

ჭ ი მ ჯ ტ ი
ც ი ს ი უ ვ ი ლ ი



ქოლნ ლომეთანთიქე

მ ხ მ ვ ჯ უ გ ნ
ლ ე
უ ე მ ო ვ ე ე ლ ე ა გ ნ



„ლიტერატურა და ხელოვნება“
თბილისი

. გიორგი ციციშვილის წინამდებარე წიგნი წარმოადგენს მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომს კოლა ლომთათიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველში გაშუქებულია კოლას ცხოვრების ძირითადი ქარგა, უმნიშვნელოვანესი ბიოგრაფიული მომენტების ჩვენებით და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის დახასიათებით (როგორც ახლადმიკვლეული საბუთების საფუძველზე, ისე აქამდე ცნობილი მასალების მიხედვით). ხოლო მეორე ნაწილი ეძღვნება კოლა ლომთათიძის ლიტერატურული შემეციდრობის ძირითადი დარგის — პროზაულ თხზულებათა იდეურ-თემატურ (შინაარსობრივ) და მხატვრულ ანალიზს.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მდიდარი და თვითმყოფი, მრავალფეროვანი და ღრმად ეროვნული ქართული მხატვრული ლიტერატურა, ყოველთვის უწყვეტად დაკავშირებული თავისი ხალხის სურვილებსა და იდეალებთან, მოსწრაფებებსა და მიზნებთან, — მრავალზე მრავალ ნიჭიერ შეამოქმედეს ითვლის, რომელიც დაძაბულ ლიტერატურულ საქმიანობის გვერდით უდიდეს საზოგადოებრივ ჰაანსაც ეწეოდა და მშობლიური ქვეყნის ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ხალხის წინამძღოლად, მის ბელადად და აღიარებულ მოთავედ გვევლინებოდა.

მწერლობისა და სახალხო ინტერესებისათვის სასარგებლო საზოგადოებრივი საქმიანობის შეჩვენება განსაკუთრებით ნიშნეულია XIX-XX საუკუნეებისათვის. ილია ჭავჭავაძე იყო პირველი დიდი მხატვარი და მოაზროვნე, რომელიც მოგვევლინა არა მარტო ხელოვანად და შემოქმედად, არამედ სახალხო ტრიბუნად, უანგარო საზოგადო მოღვაწედ, ხალხის ქემმარტ მესვეურად. დიდ ილიას კვალს არა ერთი ღირსეული მამულიშვილი გაჰყვა, რის შედეგადაც ქართველი ხალხის საზოგადოებრივ მოძრაობას და მხატვრულ აზროვნებას მრავალი სახელოვანი მოამაგე შეემატა, რომელიც თვალსაჩინო შემოქმედიც იყო და დიდად სასარგებლო საზოგადო მოღვაწეც.

ერთი ასეთთაგანია, სახელოვანი, ქართველი მწერალი, ფრიად ნიჭიერი და ორიგინალური ბელეტრისტი, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთი უთვალსაჩინოესი სიტყვის ოსტატი, უანგარო საზოგადო მოღვაწე და უმეშარი რევოლუციონერი, სახალხო თავისუფლებისათვის თავშეწირული მებრძოლი — ჯოლა ლომთათიძე.

სალიტერატურო-ასპარეზზე გამოსვლისას ჯოლა ლომთათიძე იმ ლიტერატურულ მიმდინარეობას მიეკედლა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისის კრიტიკული რეალიზმის სახელითა ცნობილი

(ირ. ევდოშვილი, ჰ. ლომთათიძე, ნ. ჩხიკვაძე და სხვანი) და, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისის კრიტიკული რეალისტების გზას აგრძელებდა (ევნ. ნინოშვილი, შ. არაგვისპირელი, დ. კლდიაშვილი, ან. ერიათავე-ზომტარია, ვ. ბარნოვი).

1905-1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს. ქართველი კრიტიკული რეალისტები ე. წ. „რევოლუციურ-დემოკრატიული“ მწერლობის დამწყებებად მოგვევლინენ. ჰოლა ლომთათიძე, იროდინ ევდოშვილთან ერთად, ამ „რევოლუციურ-დემოკრატიული“ მწერლობის ერთ-ერთი მესაძირკვლე იყო. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ჰოლა კვლავ კრიტიკული რეალიზმის პოზიციებზე დგას და რეალისტური ლიტერატურის შემოქმედებითი პრინციპებს დარწმუნებული და აქტიური დამცველია.

ჰოლას, როგორც კრიტიკული რეალისტის, მიერ დახატული რეალისტური სურათი რევოლუციამდელი ყოფისა, ესაა ხმამაღალი და მჭევრმეტყველი მამხილებელი დოკუმენტი პირსისხლიანი თვით-მპყრობელური რეჟიმის მიერ ხალხის სოციალ-პოლიტიკური და ნაციონალური ჩაგვრისა, ექსპლოატატორული საზოგადოებზ უკუ-ღმართობისა და უღმრთებლობისა, კაპიტალის გამხრწნელი ზეგავლენისა აღაპიანის სულზე.

მაგრამ ჰ. ლომთათიძის შემოქმედება არ თავსდება მხოლოდ ერთი ლიტერატურული მიმდინარეობის ფარგლებში. XX ს. დამდგვის ქართველი კრიტიკული რეალისტებზ უმრავლესობისაგან განსხვავებით, ჰოლას შემოქმედებაში გვაქვს არა მარტო არსებულის რევოლუციური უარყოფა, არამედ მოცემულია ახალი იდეალები, ვმირები, მოჩანს სახალხო თავისუფლების მიღწევის მთავარი გზა (ბრძოლის გზა) და მოხაზულია იმ ახალი, სამართლიანი სოციალური სისტემის ზოგადი კონტურები, რომელიც მისი აზრით, გარდუვლად უნდა დამკვიდრდეს თავისუფლებისათვის საერთო-სახალხო შეიარაღებულ ბრძოლის შედეგად.

მომავლის ამ ნათელი პერსპექტივით ჰოლა ლომთათიძე მარქსიზმმა შეაიარაღა. ჰოლა, პირველი, ბოლომდე თანმიმდევრული მარქსისტი მწერალია ქართული ლიტერატურის ისტორიაში. აი, ამ პერსპექტიული, რევოლუციური ხედვით და დადებითი იდეალების ქადაგებით განსხვავდება ჰოლა თავისი დროის ლიტერატურის მოღვაწეთა დიდზუდიდი უმრავლესობისაგან. მან შესძლო დაეხატა ახალი

ტაბი თავისი თანადროული ცხოვრებისა, დაებატა მუშა-რევოლუციონერის, — სოციალური და ნაციონალური თავისუფლებისათვის მებრძოლი მუშა-პროლეტარის სახე, მოეცა პროფესიონალი-რევოლუციონერების მხატვრული პორტრეტები, ეჩვენებინა რსდმ პარტიის მოღვაწეთა საქმიანობა. ყოველივე ამის წყალობით, ე. ი. სინამდვილეს მართალი ასახვას, მისი რევოლუციური განვითარებაში (ე. ი. დიალექტიკურად) ჩვენებისა და სოციალისტური იდეურობის წყალობით, ჭ. ლომთათიძე გვევლინება სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ერთ-ერთ უაღლოეს წინამორბედად ~~პროფესორად~~ ნოვანი ქართული მწერლობის მდიდარ ისტორიაში.

სოციალისტური რეალიზმის მხატვრულ მეთოდთან და ამ მეთოდის ბაზაზე შექმნილ ლიტერატურასთან ჭოლას აახლოებს ის რომანტიკული გზნებაც, რომელიც თავიდან ბოლომდე მსკვეალავს მის შემოქმედებას (განსაკუთრებით შემოქმედებას მეორე პერიოდს). ჭოლა ლომთათიძის რევოლუციური რომანტიზმი ერთ-ერთი ნიშანია, რომელიც აახლოვებს მას ამ მეთოდთანაც და ლიტერატურულ პრაქტიკაში მის პირველ დამამკვიდრებელთან, დიდ პროლეტარულ მწერალთან — მაქსიმ გორკისთან.

ჭოლა ლომთათიძემ ახალი გზა გაწაღდა ქართულ ლიტერატურაში: ესაა თანამედროვეობის ამსახველი და თანამედროვე რევოლუციური იდეალებით გამსჭვალული ლირიკული პროზა. ჭოლა არა მარტო ამ ეანრის ერთ-ერთი დამწვებია ქართულ მწერლობაში, არამედ მისი ყველაზე უფრო თვალსაჩინო ოსტატიც.

ჭოლა ლომთათიძეს შემოქმედების იდეურ-შემეცნებითი, შინა-არსობრივი ღირებულება, ისევე როგორც მისი მხატვრული ფასეულობა, ფრიად მნიშვნელოვანია. სწორედ ესაა ჭოლას უმთავრესი ღვაწლი ქვეყნისა და ხალხის წინაშე და სწორედ ესაა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის საფუძველი.

მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება ჭ. ლომთათიძის როლი და მნიშვნელობა ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და რევოლუციური მოძრაობის წინაშე. იგი ერთ-ერთი გამოჩენილი პროფესიონალი რევოლუციონერი და სახალხო თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლია. დიდი ხნის მანძილზე ჭოლას რევოლუციური საქმიანობა მიჩქმალული იყო და არასწორად შექედებოდა. ამის მიზეზია ჭ. ლომთათიძის ყოფნა „მეუმცირესეთა“ (მენშევიკთა).

ფრაქციაში (1906—1912 წლებში), როცა ბოლშევიკები და მენშევიკები, ფორმალურად, ჯერ კიდევ ერთ პარტიაში — რუსულ პარტიაში ერთიანდებოდნენ.

ქოლა ლომთათიძის თანმიმდევრულ ლენინურ პლატფორმაზე შედგომას ზელს უშლიდა ისიც, რომ ქოლა თავისი რევოლუციური პრაქტიკით დაკავშირებული იყო უმთავრესად გლეხობასთან და მთელი რიგი მიზეზების გამო ნაკლებად იცნობდა ერთადერთ ბოლომდე რევოლუციურ ძალას — პროლეტარიატს.

მოუხედავად, „მეუმცირესეთა“ ფრაქციაში ყოფნისა, ქოლა ლომთათიძე, როგორც მისი ცხოვრების დაკავრებული შესწავლა ცხადპყოფს, არასოდეს არ ყოფილა ორთოდოქსი მენშევიკი. პირიქით, თავისი საქმით, ცხოვრებით, მოღვაწეობით, იგი უფრო ახლო იყო ლენინურ-ისკრულ, ბოლშევიკურ პოზიციებთან. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ქოლა ყოველთვის გაურბოდა ფრაქციულ ბრძოლას და პარტიის მთავარ ამოცანას ხალხის რევოლუციურ დარაზმეაში, საბრძოლოდ მის ამხედრებაში, გაინთავსუფლებელ მოძრაობაში რაც შეიძლება ფართე მძაებან ჩაბმაში ზედაცდა. აქეთ იყრ წარმართული მთელი მისი პრაქტიკული საქმიანობაც.

1905—1907 წლების რევოლუციამ და ქ. ლომთათიძის მისდამი დამოკიდებულებამ ცხადყო, რომ ქოლა, მოუხედავად მენშევიკურ ფრაქციაში ყოფნისა, — თავისი სულით, მისწრაფებებით, ხასიათით, თავისი პირადი ცხოვრებითა და მხატვრული შემოქმედებით — არ გამოხატავდა ამ პოლიტიკურ მიმდინარეობას. თუ ობიექტურად და ღრმად შევაფასებთ ქოლა ლომთათიძის საქმიანობას, ცხადი ხდება, რომ მენშევიზმთან ქოლას შეუღარებლად უფრო ნაკლები აქვს საერთო ვიდრე ბოლშევიზმთან.

თუქცა ქოლამ ვერ მოასწრო ლენინიზმის ქემშარიტ პოზიციებზე დადგომა, ბოლშევიკურ პარტიაში გადასვლა — მისი ცხოვრების გეზი, აზროვნებისა და მისწრაფებების ევოლუცია უუქველსა ხდის ქ. ლომთათიძის ზურგშექცევას მენშევიზმისაღმი, რომელიც სულ უფრო და უფრო (განსაკუთრებით კი ქოლას სიკვდილის შემდეგ) აშკარად ეშვებოდა ოპორტუნისმის ქაობში. ქოლა ლომთათიძის ცხოვრებისა და შემოქმედების დაკვირვებული შესწავლა უუქველსა ხდის მის შედგომას ერთადერთ ბოლომდე თანმიმდევრული რევო-

ლუციური პარტიის პოზიციებზე. ამაზევე მეტყველებს ანლახან მიკელუელი რამდენიმე საყურადღებო დოკუმენტით.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ცალმხრივი და უმართებულო შეფასება ჭოლა ლომთათიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული პოზიციისა უკანასკნელ ხანებამდე გრძელდება. თვით ისეთი ავტორიტეტული გამოცემა, როგორც უნდა იყოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ მომზადებული ნაშრომი „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“ იმგვარ „ცოდვებს“ ჰკიდებს ჭოლას და ისეთ კონტექსტში იხსენიებს მას (ნარკვევის ავტორი ჩანგაშვილი), რომელიც არა მარტო სრულიად შეუფერებელია ჭოლასათვის, არამედ დაცინვადაც კი ჟღერს რევოლუციისათვის ამ თავშეწირული მოღვაწის მიმართ. აი, როგორ არის ნაბახევი და რანაირ კონტექსტშია მოქცეული ჭ. ლომთათიძის სახელი:

„დაცემულობის განწყობილებებმა თავი იჩინა ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგშიც. მოღური მწერლები გაბოროტებათ აკრიტიკებდნენ, „აცამტვერებდნენ“ მარქსიზმს, ცდილობდნენ დანახინჯებული სახით წარმოედგინათ მუშათა კლასის მამაცური ბრძოლა, ცილს სწამებდნენ რევოლუციას, თავიანთ ნაწარმოებებში ხოტბას ატახმდნენ ვამცემლობას, სიამოვნებით წერდნენ სქესობრივ თავაშეებულობასა და გარყვნილებაზე და მთელ ამ სისამაღლეს „პიროვნების თავისუფლების“ კულტით ფარავდნენ. უიმედობისა და გულგატეხილობის მოტყუებმა თავი იჩინა მწერალ ჭოლა ლომთათიძის იმდროინდელ ნაწარმოებებში“¹.

ამ დროს ჭოლა ლომთათიძე ვაჟკაცურად იტანდა საშინელ წამებას მეფის საპყრობილეებში. მას არაადამიანური ტანჯვის გადატანა უხდებოდა, რათა ბოლომდე დაეცვა თავისი პოლიტიკური მრწამსი და სულიერი სახე. კატორღამისჯილი ჭოლა მხნედ იტანდა ყოველივეს, იტანდა რევოლუციის მომავალი გამარჯვებისათვის, რსდმ პარტიის სახელის შეუბღალაობისათვის, ქართველი ხალხის სოციალური და ნაციონალური თავისუფლებისათვის, — რაც მას წმიდა-თაწმიდა მოვალეობად მიაჩნდა. სწორედ ამ მაღალმა იდეალებმა

¹ საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, (1883-1921 წლები) საქ. კ. ც. გამომცემლობა, თბილისი, 1957, გვ. 231.

მიაცეს ძალა ქოლას ბოლომდე დარჩენილიყო პროლეტარიატის საქმისათვის ერთგულ მებრძოლად.

ციხემ და წამებამ ვერ გატეხეს ქოლა ლომთათიძის უღრეკი ჭული, მრავალჯერადი ნებისყოფა. ფიზიკურად დაუძლეურებულმა ადამიანმა საოცარი სიმტკიცე გამოიჩინა. ამ იშვიათი, პირდაპირ ფუნქციონალური სიმტკიცისა და უღრეკი ჯანიათის გამოვლინება ქოლას მხატვრული ნაწარმოებები, შექმნილი შემოქმედების მეორე (ე. წ. „საპრობილის“) პერიოდში ე. ი. 1907—1914 წლებში. ქოლა აწერებდა ციხეში დაწერილი მოთხრობების გადმოგზავნას და მეგობრები კი რედაქციებს აწვდიდნენ მათ.

განა ყოველივე ამის შემდეგ, აქვს ვისმე უფლება ქოლა ლომთათიძე იმ ადამიანთა რიცხვს მიავუთვნოს, ვინც რეაქციის პერიოდში რევოლუციის უღალატა და მტრების ბანაკში გადაბარგდა, ვინც „ხოტბას ასხამდა გამცემლობას, სიამოვნებით წერდა სქესობრივ თავაშვებულობასა და გარყვნილებებზე“ — ცოდვებზე, რომელთა მხილებასა და დაგმობას ამდენი გულის ცეცხლი, ამდენი ძალა და ენერჯია შეაღია კეთილშობილური ბუნებისა და უწმინდესი სინდის-ნამუსის პატრონმა ქოლამ?

სახალხო თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი და მალაღნიჭიერი მხატვარი-შემოქმედი, ქოლა ლომთათიძე, თავიდანვე გრძნობდა თავის მოწოდებასაც და თავის ლიტერატურულ უნარსაც, რომლის სრული გამოვლინება მას სამწუხაროდ აღარ დასცალდა. ერთ-ერთ თავის ჩანაწერში, მისთვის ჩვეული იუმორით, ქოლა წერდა: „...იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, რომელიც მუდამ უკვდავებაზე ოცნებობდა. შეუსრულდა თუ არა იმას ოცდაარვა წელი, ეს კაცი მოკვდა (სწორედ ამდენისავე იყო ქოლა, როცა იგი ცოცხლად დამარხეს მეფის საპრობილეში გ. ც.) არავის არ გაუგია მისი სიკვდილი და არც ის, რომ ის მომავლავი, მუდამ უკვდავებას ეპოტინებოდა და რამდენად მალე ასწევდა თავს, იმდენად მიწასკენ ეზიდებოდნენ მას მიწიერნი. მოკვდა ის, არაუთარო ნაშთი, რომ ის უკვდავებას ეძებდა, არ დარჩა. ეს ნიშნები ჩაყლაპეს ნათესავებმა, რომელთაც შიოდათ, საზოგადოებამ, რომელსაც ასეთი კაცების ჭამა უყვარს და სხვა და სხვა. იგი ქე იყო ჭირში და ჩვენ ქე ვაყავით ლხინში...“.

ცხადია, რომ ეს „კაცი“ თვით ქოლა ლომთათიძეა. მართალია, იგი „ჩაყლაპა“ ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ, რომელსაც „ასეთი

კაცების ჯამა უყვარს“, მაგრამ იგი უკვალოდ როდი მომკვდარა, პირაქით, მან ღრმა და საშიშრადისო კვალი დასტოვა ქართულ იწერლობაში და საპატიო ადგილიც დაიმკვიდრა ქართველი ხალხის მხატვრული აზროვნების მდიდარ მატრიანეში; ყოველივე ეს, დაგვიანებული, მაგრამ ღირსეული საფასურია მისი შემოქმედებითი ნიჭიერებისა და ხალხისათვის უზგარო თავდადებისა.

წინამდებარე წიგნის მიზანია. სწორედ, ამის ჩვენებაში მდგომარეობს.



ჩვენი ნაშრომი არ წარმოადგენს ჰოლა ლომთათიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ყოველმხრივსა და ამომწურავ დახასიათებას. უნდა ითქვას, რომ ასეთი იგი ვერც იქნება, რამდენადაც ჯერ კიდევ არაა სრულად გამოვლენილი არც ჰ. ლომთათიძის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა და არც მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც ჰოლას ცხოვრებასა და პარტიულ-საზოგადოებრივ საქმიანობას ასახავენ.¹

მეცნიერული ინტერესია ჰ. ლომთათიძისადმი, განსაკუთრებით, უკანასკნელ ათწლეულში გაძლიერდა. ამის შედეგია 1956 წელს „საბჭოთა მწერლის“ მიერ გამოცემული ჰოლას თხზულებათა კრებული (რომელსაც რატომღაც „თხზულებათა სრული კრებული“ ეწოდება, მაშინ, როცა იგი სრულიადაც არაა ასეთი), რამდენიმე გამოკვლევა და კრიტიკულ-ლიტერატურული ხასიათის წერილი. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა დ. რაჩიშვილის წიგნი „ჰოლა ლომთათიძე“ (1960 წელი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის გა-

¹ ცნობილი გახდა, რომ ჰ. ლომთათიძის არქივის ნაწილი, ჰოლას დაპატიმრების პირველსავე წლებში, ხელთ ჩაეარღნია მის ახლო ნაცნობთ ბ-ჩ-ს და შემდეგ ბათუმელ კ. ნ.-ს. შემდგომი ბედი ამ არქივისა ჯერაც დაუდგენელია. ასევე ცნობილია, რომ ჰ. ლომთათიძის ნაწერები მისი სიყვდილის შემდეგ ხელთ ჰქონია ჰოლას სარატოველ მეგობარს ლებედევს. დღესაც გაურკვეველია გადმოგზავნა ამ უკანასკნელმა ეს ნაწერები საქართველოში (მთლანად ან ნაწილობრივ) თუ არა. აქამდე ვერ მოინახა ჰოლას ბიოგრაფიასთან დაკავშირებული მთელი რიგი ოფიციალური საბუთებისა, მაგალითად, ჰოლას როგორც პატიმრის საქმე, წინასწარი გამოძიების, დაკითხვისა და ჩხრეკის აქტები, მეორე სახელმწიფო სათათბიროს დაპატიმრებულ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასთან დაკავშირებული საბუთები და ზოგიერთი სხვა.

მომცემლობა), რომელიც შედარებით სრულსა და ვრცელ ნაშრომს წარმოადგენს.

სამწუხაროდ, აქამდე ვერ მოხერხდა ჯ. ლომთათიძის მრავალრიცხოვანი პუბლიცისტური წერილების სრულად გამოვლენა და შეკრება-გამოცემა, ისევე როგორც კოლას პოეტური მემკვიდრეობის შეგროვება. მათი შესწავლა კი, უფრო გააღრმავებდა ჩვენს ცოდნას კოლაზე, როგორც მწერალსა და მოღვაწეზე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მუშაობა ჯ. ლომთათიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოვლინება-შეკრებაზე კვლავაც გაგრძელდება, რაც შექმნის პირობებს ამ საინტერესო მწერლის, ნიჭიერი პუბლიცისტის და თავდადებული საზოგადო მოღვაწის ყოველმხრივი შესწავლისათვის.

წინამდებარე წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება; პირველში, მოცემულია ჯ. ლომთათიძის ცხოვრების ბიოგრაფიული ქარგა და დახასიათებულია მისი პარტიულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ხოლო მეორეში, განხილულია კოლას მხატვრული პროზა, როგორც უძირითადესი და უმთავრესი მხარე მისი მხატვრული შემოქმედებისა.

წიგნში არ შევიტანეთ ჯ. ლომთათიძის ლექსების, თარგმანების, კორესპონდენციების, კრიტიკულ-ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილების ვარჩევა-შეფასება. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, საჭიროა მათი სრული გამოვლინება და მეორეც, იმიტომ, რომ წიგნის მოცულობა არ გვაძლევდა ამის საშუალებას. ვიხედოვნებთ, რომ ამის გაკეთებას (წერილთა სახით) შემდეგშიც მოვახერხებთ.

იშკქედებს თუ არა უარყოფითად, ჯ. ლომთათიძის საერთო შეფასებაზე, მხოლოდ მისი ბელეტრისტიკით შემოფარგვლა? ჩვენ ვფიქრობთ რომ არა, რადგან მისი არც თუ მრავალრიცხოვანი ლექსები (ამასთან, მხატვრულად ნაკლებ საინტერესო და ეპიგონური), ისევე როგორც პუბლიცისტიკა, უპირატესად იმ იდეების და შეხედულებების გადმოცემას ემსახურება, რომელიც უფრო ღრმად, სრულად და ორგანულად კოლას მხატვრულ პროზაში გამოვლინდა.

კოლა ლომთათიძის ცხოვრება და მოღვაწეობა იძლევა ფრიად საყურადღებო მასალას ქართველი და რუსი ხალხების კულტურულ-საზოგადოებრივი კავშირებისა და ურთიერთობის შესასწავლად ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პროლეტარულ ეტაპ-

ზე. ცნობილია, რომ მთელი რიგი გამოჩენილი რუსი მწერლები (მაგალითად, მ. გორკი, ლ. ანდრეევი, ვ. კოროლენკო) და ცნობილი საზოგადო მოღვაწეები მალალ შეფასებას აძლევდნენ კოლა ლომთათიძეს¹.

წიგნის შეზღუდულმა მოცულობამ გვაიძულა რამდენიმე (არც თუ ჩვენი ნებით ნაყარნახევი!) „ხერხის“ ხმარება. ასე, მაგალითად:

1. კ. ლომთათიძის ბიოგრაფიის გაშუქებისას, ჩვენ იძულებული ვიყავით მოკლედ გადმოგვეცა კოლას ცხოვრების შედარებით უფრო ცნობილი ფაქტები და დეტალები, რათა მათ ხარჯზე, უფრო ვრცლად შევჩერებულიყავით მწერლის ცხოვრების იმ მომენტებზე, რომელიც ან უფრო ნაკლებადაა დღეისათვის ცნობილი, ანდა არასწორად კვალთვითიცილებული. ასეთი, ერთგვარად, „არათანაბარი“ ყურადღების მიზნით, ჩვენს მიერ გადმოცემული ბიოგრაფიული ქარგა, ალბათ, არ იქნება მთლად „პროპორციული“.

2. რევოლუციამდელი ქართული სალიტერატურო კრიტიკა მწერლის სიცოცხლეში ყრუ დუმილით უვლიდა გვერდს კოლას შემოქმედებას (ამით იყო გამოწვეული კოლას საყვედური — „გინდაც დედა შეეგინებინა ვისმეს. ოღონდ რაღაც ეთქვა ჩემზეო“), ხოლო სიკვდილის შემდეგ, არანაქლებ სიძუნწეს იჩენდა მისდამი. კოლას დამსახურების მიჩქმალვის, მისი შემოქმედების მიჩუმათების ტენდენციები, როგორც აღვნიშნეთ, არც რევოლუციის შემდეგ შეწყვეტილა. უფ-

¹ ამ მხრივ, საინტერესოა ს.ხალხო პოეტის გ. ტაბიძის არქივში შემონახული ცნობა. ესაა გ. ტაბიძის 1928 წლის ჩანაწერი, როცა თბილისში ჩამოვიდა მაქსიმ გორკი, შვილით. ქართველი მწერლების მიერ გამართულ ბანკეტზე გორკი შეხება კოლას. აი, როგორ აღწერს ამ ფაქტს გ. ტაბიძე. „გორკიმ დაიწყო საუბარი მის მიერ განზრახული ჟურნალი «Наши достижения»-ს გამოცემის შესახებ, მის პროგრამაზე. პირადად მდივანმა ფამილიარულად ჩაილაპარაკა: «Алексей Максимович, я думаю...» გორკის რაღაც აღელვება შევამჩნიე, მან, გულმოპულმა, სწრაფად შეაწყვეტინა მდივანს სიტყვა: «— Я не знаю, что вы думаете, а вот как я думаю» ოა წამის შესვენების შემდეგ სთქვა:

— ძლიერ ნიჭიერი მწერალი იყო კოლა ლომთათიძე...

— კოლა? — სთქვეს დამსწრეებმა.

— მე ხომ მის ნაწერებს ვებკლავდი «Летопись»-ში, კოლა ძალიან ნიჭიერი მწერალი იყო...» (საქ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 1918—1922).

რო მეტიც, ისინი ჩვენს დროშიც გრძელდებოდნენ.¹ მიუხედავად ამისა, დღეისათვის კოლას შესახებ საკმაო ლიტერატურა დაგროვდა: სხვადასხვა დროს წერილები და ნარკვევები გამოაქვეყნეს. ი. იმედაშვილმა, ს. დედარიანმა, ი. მანწყაემ, ს. თავართქილაძემ, გ. ჭუმბურიძემ, ნ. უორდანიამ, ვ. რუხაძემ, მ. გოგიბერიძემ, ს. თავაძემ,² უფრო მოგვიანებით კოლას მემკვიდრეობას საინტერესო კრიტიკული ნაშრომები უძღვნეს შ. რადიანმა, ს. ჭილაიამ, დ. ბენაშვილმა, ქ. ირემაძემ, ა. ლომიძემ, დ. რამიშვილმა (მონოგრაფია), რ. ბეჟანიშვილმა და სხვ.

ზემოაღნიშული მიზეზის გამო, ჩვენ თავი ავარიდეთ მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა თუ დებულებათა შეფასებას (რადგან ეს, ჯერ ერთი, გამოიწვევდა დასაბუთების საჭიროებას და, მაშასადამე, წიგნის მოცულობის ზრდას, და მეორეც, პოლემიკურ ხასიათს მისცემდა ნაშრომს). კოლას ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზის დროს შემოვიფარგლეთ ჩვენი შეხედულებების გადმოცემით და ამ შესჯელობისათვის, შეძლებისდაგვარად, თანმიმდევრული და ზოგადშემფასებლური ხასიათის მიცემით.

ქ. ლომთათიძის შემოქმედების ვარჩევისას დავადექით ტრადიციულ გზას და მწერლის შემოქმედებაში ორი ქრონოლოგიური (და არა თემატური!) პერიოდი³ გამოვყავით: 1901—1904 და 1907-15 წლებისა, რამდენადაც, მათი არსებობა უცილობდ მიგვაჩნია. გარდა ამისა, ამგვარი პერიოდიზაცია იდეურ-მხატვრული ანალიზისათვისაც უფრო მოსახერხებელი და კომპაქტურია.

წინამდებარე წიგნი, თუმცა, ახლა ქვეყნდება, მაგრამ იგი ძირითადად დაწერილია 1957—58 წლებში, როცა ავტორმა პარალელურად მოამზადა ოთხთახანისანი ნარკვევი „კოლა ლომთათიძე“, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემად მომზადებული „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ექვსტომეულში დაბეჭდვად.

¹ ამ მხრივ, ტონის მიმკემი იყო მალაქია ტოროშელიძის თანამოსწავლეობა საბჭოთა მწერლების I საკავშირო ყრილობაზე 1934 წელს, სადაც მან უარყოფითი შეფასება მისცა ქ. ლომთათიძის შემოქმედებას.

² საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ს. თავაძის სტატია — „კოლა ლომთათიძე“ (1925 წ.), რომელიც პირველი სრული კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი იყო.

³ ჩვენ არ ვიზარებთ მკვლევარ დ. რამიშვილის აზრს, ვითომც კოლას შემოქმედების დასაწყისად უნდა 1898 წელი მივიჩნიოთ.

სსრკ-ის
ქ

საგარეო ურთიერთ-
-ობის განყოფილება
მოსკოვი



ქოლა (ბიკენტი) ბიბონის ძე ლომთათიძე დაიბადა ყოფილი ოზურგეთის მაზრის (ამჟამად ჩოხატაურის რაიონის) სოფელ ჭაჭიეთში, 1879 წლის 7 ივლისს (ძვ. სტილით 24 ივნისს)¹.

ქოლას მამას, ბიბონს, თუმცა „საშუალო გლეხად“ თვლიდნენ, მაგრამ სინამდვილეში იგი მეტად ხელმოკლე კაცი ყოფილა და საკმაოდ ღარიბადაც ცხოვრობდა. თანამედროვეთა დახასიათებით, უაღრესად კეთილშეგობილი, მოსწრებელი სიტყვა-პასუხის ბიბონი ამაყი და შეუპოვარი ადამიანი ყოფილა. თვით ქოლა, თავის ავტობიოგრა-

¹ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ქოლას დაბადების ადგილს და დაბადების თარიღს, უმეტეს წილად არასწორად მიუთითებენ. ქოლა დაიბადა არა სოფელ მეწიეთში, როგორც ამას უჩვენებს მკვლევართა უმეტესობა (დაწვებული ს. თავაძით და ი. იმედაშვილით). არამედ ჭაჭიეთში. ეს ორი სოფელი ძალზე ახლოა ერთმანეთთან და მათ შორის მხოლოდ ერთი ლუგუბა ჰყოფს, რომელიც ქოლას არაერთხელ აქვს ნახსენები და რომელიც ხიდისთავში მდინარე გუბაზოულს ერთვის. რევოლუციამდე ჭაჭიეთი შედიოდა ოზურგეთის მაზრის ჩოხატაურის უბნის (УЗАСТУК) ზიდისთავის თემში. ბიბონის სახლი, რომელიც ყაზახებმა გადაწვეს გურიის დარბევისას, 1906 წელს, სოფელ ჭაჭიეთში მდებარეობდა და იმ ადგილს, სადაც იგი იდგა, დიხაშხო ერქვა.

რატომ მიაჩნდათ ქოლას მშობლიურ სოფლად მეწიეთი, ან საიდან მოდის ეს შეცდომა? ქოლას წინაპრებს ძველად მართლაც მეწიეთში უცხოვრიათ, შემდეგ კი რომელიღაც მათგანი ჭაჭიეთში გადასულა და იქ დასახლებულა. მაგრამ ამის მიუხედავად, ქოლას მამაპაპა ტრადიციულად მეწიეთის ეკლესიის მრევლს კუთვნებია იქ დადიოდა სალოცავად, იქ ქორწინდებოდნენ; ინათლებოდნენ და იქვე იმარხებოდნენ (მეწიეთის სასაფლაოზე დაკრძალულია ქოლას დედ-მამა, ბიძები და სხვა ახლო ნათესავები). ამიტომ ქოლას ზოგიერთ ოფიციალურ დოკუმენტში დაბადების ადგილად მეწიეთია მითითებული, რაც არა სწორია. (იხ. ამ საკითხზე ი. მეგრელიძის წერილი — „ლიტერატურული გაზეთი“, 1958 წ. № 52) ქოლას დაბადების ადგილს სწორად მხოლოდ დ. რამიშვილი მიუთითებს, მაგრამ ყოველივე განმარტების გარეშე, რის გამოც მკითხველმა აღარ იცის, ვინაა მართალი, იგი თუ სხვანი.

დღემდე არასწორადაა მიჩნეული ქოლას დაბადების თარიღიც. გაზეთ „თ-

ფიული ხასიათის ნაწარმოებებში, მას „გულქვასა და სასტიკს“ უწოდებდნენ. ბიბონს ახლო მეგობრული დამოკიდებულება ჰქონია გურიის ში კარგად ცნობილ „ნაროდნიკთან“ — ეპიფანე კალანდაძესთან და ამ უკანასკნელთან ერთად, განთქმული იყო თავისი ბუხტარული სულით, პროტესტანტული განწყობილებით ყოველივე თანამედროვესადმი.

ბიბონი ლაშაზი გარეგნობის ყოფილა, კონტაობა ყვარებია და სოფელში თურმე მოარშიყედ ითვლებოდა. მაგრამ როგორც ერთხმად ამბობენ მასზე, იგი „ოჯახის კაცად“ (ე. ი. მეოჯახედ) არ ვარგებულა და უფრო გარე-გარე სიარული სჩვეოდაო. ერთ ხანს, კოლას მამას, სადაც სამხრეთ რუსეთში პატარა საეკვროც გაუღია (ეტყობა ძმების დახმარებით. რამდენადაც მისი სამივე ძმა—ილარიონი, ლავრენტი და იაგორი — ვაჭრები ყოფილან), მაგრამ ვერ წასვლია საქმე კარგად, მალე გაკოტრებულა და უკანვე დაბრუნებულა.

ნამედროვე აზრის“ 1915 წლის 204 და 211 ნომრებში გამოქვეყნებული მასალის საფუძველზე. ს. თავაძემ კოლას პირველ ვრცელ ბიოგრაფიაში მიუთითა 1878 წლის 24 ივნისი (უნდა ვიფიქროთ ძველი სტილით). ეს თარიღი დაადასტურა ი. იმედაშვილმაც, თავის „ქართულ მოღვაწეთა ლექსიკონში“. ი. იმედაშვილის და ს. თავაძის ეს ჩვენება უკონტროლოდ გაიმეორეს სხვა შეკვლევარებმაც, კერძოდ დ. ბენაშვილმა («Литературная энциклопедия» პირველი გამოც. ტ. VI, 1932 წ.) შ. რადიანმა («XX ს. ქართული ლიტერატურა» 1951 წ.), ს. კილაიამ («XX ს. ქართული მწერლობა» 1956 წ.), ბ. ელენტმა («История грузинской литературы» ალ. ბარამიძესთან და შ. რადიანთან თანაავტორობით, 1958 წ.), და სხვებმაც. სულ უკანასკნელ ხანს გამოცემულ დ. რამიშვილის მონოგრაფიაში — „კოლა ლომთათიძე“ (მეცნ. აკადემიის გამომცემლობა 1960 წ.) კოლას დაბადების თარიღი სრულიად არაა მოცემული.

სსრკ ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდების გადათვალიერებისას ჩვენ მოვინახეთ კოლას მიერ შევსებული ანკეტა, სადაც იგი თავისი დაბადების თარიღად ასახელებს 1879 წელს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს თარიღი უფრო სარწმუნოა, ვიდრე კოლას გარდაცვალების ეამს, 1915 წელს, ვაზეთ „თანამედროვე აზრში“ ნეკროლოგის სახით გამოქვეყნებული მასალის საფუძველზე მიჩნეული თარიღი. კარგად ცნობილია, რომ ასეთი ხასიათის მასალები აჩქარებით კეთდება, ამიტომ ნეკროლოგთა ჩვენებები ხშირად არასაიმედო და მცდარია. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ე. „თეატრის და ცხოვრების“ 1915 წლის 7 ნომბრის ნომერი (45), სადაც მოთავსებულია ცნობა კოლას გარდაცვალების შესახებ. აქ კოლას დაბადების თარიღად 1881 წელია მიჩნეული. ჩვენის აზრით, კოლას დაბადების თარიღად 1879 წელი უნდა მივიჩნიოთ. იგივე თარიღი (ე. ი.

ბიბონს სოფლად მამულები არ გააჩნდა და თითქმის ყოველთვის გა-
ჭირვებაში ყოფილა. იგი უფრო იოლ სამუშაოს ეძებდა და ცოტა
ხანს, თურმე, ფეხზე ვაჭრობასაც მისდევდა. ბიბონის ხასიათა
გასაგებად საყურადღებოა ერთი პატარა დეტალი, შემონახული სხვა-
დასხვა პირთა მოგონებებში: როცა ბიბონს ძალზე გაუჭირდებოდა
ხოლმეო, იგი სხვისი წერილფეხი! დაკვლასაც არ ერიდებოდაო.
მაგრამ საყვედურის თქმას ვერაფერს უბედავდა, რადგან შეზობლებს
ამ ომახიანი ვაჟკაცის დიდი შიში და რიდი ჰქონდათო.

მას შემდეგ, რაც ალიხანოვ-აფარსკის დამსჯელმა რაზმებმა კო-
ლას მამისეული სახლი გადაწვეს, ბიბონის ოჯახი უსახლკაროდ
დარჩენილა და ხან ერთ ნათესავთან აფარებდა თავს და ხან შო-
რესთან. მამის სიკვდილის შემდეგ, სოფელში ჩამოსვლისას კოლა
უფრო ხშირად ჩერდებოდა ან სერაპიონ კალანდაძესთან (ნათლის,
ეპიფანეს ძმასთან), ან ბიძასთან — ლავრენტი ლომთათიძესთან.

ბიბონსა და მის ძმებს გურიაში მეტსახელად „კირკაჟას“ ეძახ-
დნენ („კირკაჟა“ გურულ დიალექტზე კირკიტას ე. ი. მაგარს ჩიშ-
ნავს. ამის მიხედვით, ხალხურ იდიომატიკაში „კირკაჟას“ „ძხელად
გასაფრტყვნელის“ მნიშვნელობით ხმარობენ). ასეთი თქმულებაც
ყოფილა: „ბიბონა კირკაჟას გველის ენა აქვს ჭიბეში შენახული და
ამიტომ ყველასთან იმარჯვებსო“. სხვათა შორის, შემდეგში კოლას
მტრები კოლაზედაც იგივეს ამბობდნენ: „საწამლავი ენის პატრო-

1879 წ.) ნაქვენებია ჟერ კიდევ კ. ლომთათიძის სიცოცხლეში გამოცემულ წიგ-
ნში: Члены Государственной Думы (Портреты и биографии). Второй со-
зыв (ე. მეორე სათათბირო) 1907—1912 гг. (Составитель — М. М.
Бойович, изд. Сытина, 1907 г. стр. 466. Портрет и справка).
რაც მთავარია, კოლას დაბადების თარიღად 1879 წელი იგულისხმება ყველა მის
ნაწერებშიც. თავის დღიურში (იხ. ე. „მნათობი“ 1934 წ. № 10) მას 1907 წლის
13 დეკემბერს ჩაუწერია — ახლა მე მეოცდარევე გაზაფხულის მომსწრე ვარ
და ეგების მეოცდაცხრემდეც მივხობდეთ“. აქედან ცხადია, რომ თავის დაბადების
თარიღად კოლა 1879 წელს გულისხმობს.

საერთოდ კოლა ლომთათიძის დაბადების თარიღის ჩვენებაში დიდი არეუ-
ლარევა სუფევს. იყო შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ბეჭდური ორგანო
ერთსა და იმავე ნომერში ორ სხვადასხვა თარიღს მიუთითებდა; მაგ. „თეატრმა
და ცხოვრებამ“ 1915 წლის № 46-ში უჩვენა 1881 წელიც და 1879 წელიც, ხოლო
ამაზე ადრე 1878 წელი.

ნიაო“, „ცოფიანი კაციო“. თუ არსებულ მოგონებებს დაეუჭერებთ, ქოლას მამა ხანდახან წვრილმანი უკანონობის ჩადენასაც არ ერიდებოდა. არის ცნობა, რომ მას სხვისი მიწა მიუთვისებია, ხოლო მეორეჯერ მეზობლის, ღორი დაუსაკუთრებია.¹ ქოლა ამბობდა, თურმე, ბავშვობაში: „როცა გავიზრდები, მამაჩემის მიერ მიტაცებულ ღორს მის პატრონებს უკანვე დავუბრუნებო“.

ქოლას დედა, ეროდინე, ღარიბი ბახველი აზნაურის, ქაიხოსრო ნიკოლაიშვილის ასული იყო.² ეს სათნო და მეტად ლმობიერი ქალი, ქოლას ბავშვობაშივე გარდაცვლილა ქლეჩით. ქოლას, ალბათ დედისაგან გადაედო ეს საშინელი სენი, რადგან იგი ჯერ კიდევ ხაადრ ბავშვობიდანვე დაქლეჩებულა, შემდეგ, თუმცა, დაზიანებული ფილტვები შეხორცებია, მაგრამ სატუსალოს მძიმე პირობების გამო, სენმა კვლავ დარია ხელი და საბოლოოდ იმსხვერპლა კიდევ. მამისაგან ქოლას დაპყლოა—სიამაყე, სითამამე, ენაწყლიანობა და მახვილგონიერება; დედისაგან კი — პატიოსნება, შიხაგახი სითბო, თავმდაბლობა და კაცთმოყვარება.

დედის სიკვდილი მგრძნობიარე და მოსიყვარულე ბავშვისათვის პირველი დიდი უბედურება იყო ცხოვრებაში. ქოლას განსაკუთრებული ძალითა და სინაზით უყვარდა თავისი ავადმყოფი და ტკბილი დედა. მისმა სიკვდილმა სამუდამო კვალი დააჩნია ქოლას სათუთ გულს. მრავალი წლის შემდეგ, იგი არაერთხელ აგვიწერს ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებებში დედის სიკვდილს (მაგალითად, მოთხრობებში „სახარობელის წინაშე“, „პირველი მაისი“) და მრავალი წლის შემდეგაც აშკარად იგრძნობა ავტორის გულწრფელი მღელვარება და უკუზრუნებელი ტკივილი. ბიბონს, ქოლას გარდა, კიდევ ექვსი შვილი ყავდა, რომელთაგან მხოლოდ ორი შერჩა: ფედოსია და სიდონია.³

1 ამ ამბავთან დაკავშირებული ეპიზოდი (სხვისი ღორის მიტაცებისა) ქოლას ერთ-ერთ მოთხრობაშიც აქვს ასახული.

2 მწერალ ხარიტონ ვარდოშვილის მამის ბიძაშვილი. ზოგიერთი ცნობა ნიკოლაიშვილების ოჯახის შესახებ ხარიტონ ვარდოშვილმა მოგვაწოდა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

3 ბიბონს, ეროდინე ნიკოლაიშვილთან სულ შვიდი შვილი ყავდა, ოთხი მათგანი (ბიქტორი, ნინო, ეაშალა, გულიზარ) ადრევე გარდაიცვალნენ, ხოლო სიდონია

1886 წელს, 7 წლის კოლა მიბარეს ბასილეთის ორკლასიან სასწავლებელში. იმხანად ბასილეთის სკოლას გამგეობდა სიმონ ორჯონიკიძე, ხოლო მასწავლებლობდა არსენ წითლიძე, თავის დროზე ფართოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მენშევიკური. პარტიის ავტორიტეტული წევრი. არსენთან კოლას დიდი და ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა. წითლიძესთან ერთად 20 წლის შემდეგ, კოლა რსდმპ V ყრილობაზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის გურიის ორგანიზაციას წარმომადგენლობდა. ბასილეთის სკოლაში სასწავლო პროცესიც კარგად იყო დაყენებული და მოწაფეთა შორის ეროვნული თვითშეგნების გამომუშაებასაც სათანადო ყურადღება ექცეოდა (ა. წითლაძისა და ს. ორჯონიკიძის წყალობით). აქ მოწაფეებს არ უკრძალავდნენ გარეშე წიგნების კითხვას მშობლიურ ენაზე და პირიქით, ქართული ენისა და ლიტერატურისადმი სიყვარულს უნერგავდნენ.

სკოლაში კოლა მკვირცხლი და გულმხიარული ყმაწვილი ყოფილა. მას საუკეთესო მოსწავლის სახელი ჰქონია დამსახურებული და ბასილეთის ორკლასიანი სასწავლებელიც პირველ მოწაფედ დაუმთავრებია.

ნიჭიერ ყმაწვილს ადრე შეჰყვარებია წიგნის კითხვა. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის მის საყვარელ მასწავლებელს არსენ წითლიძეს. არსენი სახალხო განათლების ერთი იმ მოღვაწეთაგანი იყო, რომელნიც ხალხში სწავლა-განათლების შეტანისათვის თავგამოდებით მუშაობდნენ და მთელ თავის ძალ-ღონეს ამ დიდ ეროვნულ და კულტურულ საქმეს ახმარდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს სახაზინო, თუ საუწყებო სკოლებში ქართველ

ნია და ფედოსი ახლაც ცოცხლები არიან. კოლას დის, სიდონიას, მოგონებებიან (იხ. საქ. ლიტერატურული მუზეუმი, კოლას არქივის ფონდი საქ. №—20112) ჩანს, რომ ბიქტორი 15 წლისა დაიღუპა, ნინო ოცისა (იგი გათხოვილი ყოფილა ნატანებში ვინმე ხეთასზე); გულიზარი დედის ავადმყოფობის დროს დამწვარა და გარდაცვლილა. შემდეგი, რიგით მეხუთე შვილი კოლა იყო.

კოლას მომდევნო ფედოსია გათხოვილა იაგორ ელიევილზე და სოფელ ხევიში დასახლებულა, ხოლო ყველაზე უმცროსი, სიდონია, ცოლად გაჰყოლია კობულეთელ უსუფ დადიანს.

მწერალთა თხზულებების კითხვა აკრძალული იყო, არსენი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მძინე ახერხებდა მოწაფეებისათვის ქართველი მწერლების წიგნების მიწოდებას. იგი თვით უკითხავდა მათ. ამიტომაც იყო, რომ წიგნების კითხვა ჭოლას სკოლაშივე შეუწყვარდა.

ჭოლას ჯერ კიდევ ადრეულ სიჭაბუქეში გამოაჩნდა ის თვისებები, რომლებიც მას მუდამ ახასიათებდა: პირდაპირობა, სითამამე, შემმართებლობა, პრინციპულობა და პატიოსნება. ჭოლა დაუძღველ ზიზლს გრძნობდა ყოველგვარი სიყალბისა თუ სიცრუისადმი და ბოლომდე დარჩა უკომპრომისო ადამიანად. განსაკუთრებით მკაცრი და მომთხოვნი იყო იგი ნამუსიანობისა და ეთიკის საკითხებში. ჭოლას ახლო მცნობთა მოგონებებში შემოგვიჩანხეს მრავალი ფაქტი და ეპიზოდი, მაჩვენებელი იმისა, თუ როგორი თავგამოდებითა და დაუნდობლობით ებრძოდა იგი ყოველგვარ უსამართლობას. ჯერ კიდევ 10 წლისაც არ იყო ჭოლა, როცა ხიდისთავის მანრაში საჯაროდ გამოლანძღა სოფლის მწერალი, რომელიც ანგარებიანი მიზნებით აბეზღებდა და ცილს სწამებდა შეგირდების საყვარელ მასწავლებელს.

პირდაპირობამ და პრინციპულობამ არაერთი უსიამოვნება შეჰყარა ჭოლას, მაგრამ მას არც ერთხელ არ უღალატნია ცხოვრების დევიზად გამხდარი ამ ცნებისათვის და პირად ცხოვრებაში, თუ პოლიტიკურ და ლიტერატურულ საქმიანობაში მუდამ ცდილობდა მათ გამართლებას, ერთხელ აღებული გეზის დაცვას.

1888 წელს ჭოლა ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში შეუყვანიათ,¹ მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ იძულებული გამხდარა უსახსრობის გამო სწავლისათვის თავი მიენებებინა. აქვე უნდა ითქვას, რომ ჭ. ლომთათიძე მეტად თავმოყვარე კაცი იყო და ცხოვრე-

¹ ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში იმ დროს საკმაოდ ცნობილი მასწავლებლები მოღვაწეობდნენ. ჭოლას ასწავლიდა გ. ქიქოძე (შმა ვაბრიელ ვპისკოპოსის და ბიძა მწერალ გერონტი ქიქოძისა). რაც შეეხება დ. რამიშვილის ცნობას, რომ ჭოლას ასწავლიდა „სახელგანთქმული პედაგოგი ბართლომე შერგელიძე“ — არაა სწორი, რადგან ბ. მეგრელიძე ჭოლაზე სამი წლით უმცროსი იყო და, ცხადია, ვერ იქნებოდა მისი მასწავლებელი. ბართლომე კი არ ასწავლიდა, ამხანაგობდა ჭოლასთან.

ბაში ნახული მრავალი გაჭირვების მიუხედავად, ბიძებისა და ორი-
ორე ნათესავის გარდა, თხოვნით არავეინ შეუწუხებია.

აი, რას წერს. ჟოლანზე მისი პირველი ბიოგრაფი, ცნობილი
ქართველი მწერალი ს. თავაძე, რომელიც საკმაოდ ახლო იცნობდა
მას: „როდესაც ჟოლას მამა რამდენიმე წლის შემდეგ მეორე ცოლს
შეირთავს, ჟოლა დედინაცვალს ვერ ეგუება და მამის ოჯახს გაუ-
რბის. უფრო ხშირად თავის დეიდასთანაა, რომელიც როგორც სა-
ხით, აგრეთვე ზასიათითაც დედამისს ჰგავს“.

ჟოლას ოჯახური პირობები კი თანდათან უარესდებოდა. ჯერ
კიდევ ბავშვი იყო იგი, როცა მამაც გარდაეცვალა. დაობლე-
ბულ ჟოლასა და მის ორ დას ახლო ნათესაეები პატრონობდნენ.
ბავშვები ხან ერთ ბიძასთან იყვნენ, ხან მეორესთან და ხან კიდევ
დეიდასთან. ამ ხანებში და შემდეგაც, განსაკუთრებული მზრუნვე-
ლობა ჟოლასადმი გამოიჩინა მისმა ნათლიამ, ეპიტანე კალანდაძემ.
(მამის მეგობარმა) და უშვილო ბიძამ, ოზურგეთელმა ეაქარმა,
ილარიონ ლომთათიძემ, რომელიც ჟოლას გადასახლებაშიც ეხმა-
რებოდა და რომელმაც ჟოლა თავის მემკვიდრედ გამოაცხადა
(დაპატრონებამდე).

1890 წელს ჟოლა ტოვებს ოზურგეთს და მეგობრების დახმა-
რებით ეწყობა სამუშაოდ დაბა ჩოხატაურიდან 3 კმ დაშორებული
სოფლის, ხიდისთავის ბიბლიოთეკაში, სადაც იგი ერთდროულად
ფოსტალიონიცაა, ბიბლიოთეკის „გამგეც“ და დამლაგებელიც. ამ
სამსახურისათვის ჟოლა თვეში 5 მანეთს ღებულობდა.

იმხანად, ოზურგეთის მაზრა, მოსახლეობის სწავლა-განათლე-
ბის თვალსაზრისით, საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე კუთხეს
წარმოადგენდა. გურიის გლეხობა სიღარიბის მიუხედავად ძალუმაღ-
ილტვოდა ცოდნისაკენ. ამიტომ იყო, რომ თუმცა, გურიის გლე-
ხთა უმრავლესობა დიდ მატერიალურ სიდუხჭირეს განიცდიდა, მა-
გრამ სკოლებთან და ბიბლიოთეკების გახსნა-დაარსებისათვის არა-
ფერს ზოგავდა. ერთ-ერთი ასეთი სახალხო ბიბლიოთეკა ხიდის-
თავშიც არსებობდა და მან კეთილი სამსახური გაუწია თვითგანვი-
თარებას დაწაფებულ კაბუქს.

ბიბლიოთეკაში მუშაობამ ჟოლას დიდი სარგებლობა მოუტა-
ნა. იგი გატაცებით კითხულობდა რუსულსა და ქართულ წიგნებს

და საოცარი გულმოდგინებით, პირდაპირ უშრეტი ენერგიით იძენდა მრავალფეროვან ცოდნას.

1893 წლიდან იწყებს გამოსვლას საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში კარგად ცნობილი ორგანო, ყოველკვირეული ჟურნალი „კვალი“, რომელიც იმხანად პროგრესულ-ბურჟუაზიული მიმდინარეობის თელსაზრონს გამოხატავდა. 1897 წელს ეს ორგანო შეიძინა ე. წ. „მესამე დასმა“ და ამ ხნიდან „კვალი“ ლეგალური მარქსიზმის მქადაგებელი გახდა. ჯერ კიდევ 1893/94 წლებში, „კვალს“ საქართველოში მრავალი მიმდევარი გაუჩნდა. „კვალის“ მომხრე და მის პოზიციებზე მდგარ ახალთაობას სოფლებში „კვალელებს“ უწოდებდნენ. კოლაკ თავიდანვე „კვალელი“ გახდა და მისთვის დამახასიათებელი გაბედულებით დაუპირისპირდა ძველი თაობის წარმომადგენლებს.

სწორედ ამავე ხანებში, ახალი იდეებით შთაგონებული კოლა წერს პამფლეტს სოფლის ბობოლეების, ამ ადგილობრივი „დავით დროიძეების“ წინააღმდეგ.¹ ასეთმა-თამამმა ხალაშქრებამ სოფლის თავკაცების წინააღმდეგ მას დიდი უსიამოვნება მიაყენა და იძულებული გახდა ხიდისთავის სამკითხველო მიეტოვებინა. ამის შემდეგ კოლა ისევ ოზურგეთს დაუბრუნდა და რამდენიმე ზანს ადგილობრივ სტამბაში ამკინძველად მუშაობდა.

1896 წელს, ხანმოკლე მომზადების შემდეგ, კოლა ლომთათიძე მეგობრების მიერ შეგროვებული ფულით მიემგზავრება ქუთაისს და მონაწილეობს სამეურნეო სკოლაში მისაღებ კონკურსში. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, იგი ჩარიცხეს სკოლაში სახელმწიფო ხარჯზე.

ქუთაისის სამეურნეო სკოლაში კოლა უახლოვდება კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეს, ცნობილ რევოლუციონერს, მიხა ცხაკაიას, რომელიც იქ ეკონომ-მეთვალყურედ მუშაობდა. მ. ცხაკაიას სამეურნეო სკოლაში თავის პროპაგანდისტული წრე ყავდა. ამ წრეს მარტო პოლიტიკური ხასიათი როდი ჰქონდა. იგი მსმენელებს თვითგანვითარებაშიც ეხმარებოდა. წრის წევრები ისე მდნენ საიდუმლო სენსაწერ ჟურნალს. სულ მალე

¹ პამფლეტებს კოლა შემდეგშიც წერდა. ასეთია, მაგალითად, მისი სატირული-ხასიათის ლექსი ბენია ჩხიკვიშვილზე და ფილიპე მახარაძეზე.

ჰოლა ამ ნახევრადსაიდუმლო წრის აქტიური წევრი გახდა და გულ-
მოდგინედ მონაწილეობდა მის მუშაობაში.¹

მაგრამ მარქსისტული რევოლუციური წრის მუშაობა ადგი-
ლობრივ ხელისუფლებას შეუმჩნეველი არ დაარჩა: მ. ცხაკაია
სკოლიდან გააძევეს, რამაც მოწაფეთა ერთსულოვანი უკმაყო-
ფილება და გაფიცვა გამოიწვია. მოწაფეთა მღელვარებას ჰოლა
ხელმძღვანელობდა. ამიტომაც, 1897 წელს იგი სკოლიდან დაით-
ხოვეს.

ქუთაისში ცხოვრების ეს პერიოდი ფრიად საყურადღებოა
ჰ. ლომთათიძის პიროვნების ფორმირებისათვის. ჯერ ერთი, სწო-
რედ აქ მოხდა მარქსიზმთან ჰოლას პირველი დაახლოვება: მ. ცხა-
კაიას პროპაგანდისტულ წრეში გაეცნო იგი მარქსისტულ ლიტერა-
ტურას და პირველი რევოლუციური ნაბიჯებიც (მოწაფეთა გა-
ფიცვის მოწყობა) აქ გადადგა.

გარდა ამისა, იმდროინდელ ქუთაისში, საქართველოს ამ
მეორე დედაქალაქსა და ეროვნული კულტურის დიდ კერაში,
მჩქეფარე საზოგადოებრივი საქმიანობა მიმდინარეობდა. ოთხმოც-
დაათიანი წლების ქუთაისი საქართველოს ლიტერატურული, პუბ-
ლიცისტური, თეატრალური და საგანმანათლებლო მუშაობის დიდი
ცენტრი იყო და ამ მხრივ ტოლს არ უდებდა თბილისს. ჰოლას მჩქე-
ფარე ხასიათს სწორედ ასეთი მჩქეფარე ატმოსფერო სპირდებოდა
და ამიტომ შეიყვარა მან ქუთაისი, რომელიც თბილისთან ერთად, მის
უსაყვარლეს სამშობლო ქალაქად გადაიქცა. ისევე როგორც თბი-
ლისს, ჰოლამ ქუთაისსაც მთელი რიგი ამაღლვებელი, კემშარიტი
შვილური გრძნობით გამთბარი სტრიქონები მიუძღვნა.

ჰოლა მთელი თავისი ძიცოცხლის მანძილზე ოცნებობდა ცოდნის
შეძენასა და განვითარებაზე; ეს წყურვილი მას სიკვდილამდე გაჰყვა.
მიუხედავად დიდი ერუდიციისა, იგი თავის თავს მაინც „უსწავლე-
ლად“ თვლიდა. თანამედროვეთა მოწოდებით, ჰოლას არა ერთხელ
აღუნიშნავს სინანულით ეს გარემოება. რა თქმა უნდა, თავის თავი-

¹ საყურადღებოა, რომ ამავე ხანებში ჰოლა რევოლუციურად ესწრებოდა
სიმ. ჰვარიაშვილის წრის მუშაობასაც, რომელიც უპირატესად ეროვნულ-პატრიოტული
თემბატით იყო დაინტერესებული. ეს ინტერესი პრობლემათა ორი რიგისადმი --
სოციალური და ნაციონალური საკითხებისადმი, სიცოცხლის ბოლომდე შერჩა მას.

სადმი მომთხოვნელი და მგრძნობიარე კოლა გადაქარბებულად მკაცრად უდგებოდა თავის პიროვნებას, თორემ საერთო განათლებითა და ზოგადი ცოდნით იგი გაცილებით მაღლა იდგა მრავალ იმდროინდელ „მოწინავე“ ინტელიგენტზე, რომელთაც უნივერსიტეტის დიპლომებით მოჰქონდათ თავი.

სამეურნეო სკოლიდან დათხოვილი კოლა რამდენსამე ხანს ქუთაისში ცხოვრობს,¹ ხოლო 1898 წელს მეგობრების დახმარებით ხარკოვში მიემგზავრება და იქ სამეურნეო სკოლაში მსმენელად ეწყობა. ხარკოვში ცხოვრების პერიოდი ერთი უმძიმესთაგანია ქ. ლომთათიძის ბიოგრაფიაში. საშინელ გაჭირვებას, მუდამ შიმშილს, უსახლკარობას, ჩაუცმელობას, ზოგჯერ პირდაპირ სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა იგი, მაგრამ ეს საოცარი ნებისყოფისა და მოთმინების აღამიანი სტოიკურად იტანდა ყოველივე სიღუბნით, რათა ცოდნა შეეძინა და „შეიარაღებული“ დაბრუნებოდა თავის სამშობლოს.

მოთხრობაში „ჩემი დღიური“ კოლა აგვიწერს ხარკოვში მისი ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდს (გამონაგონი, მაგრამ ავტობიოგრაფიული ხასიათის პერსონაჟის — ილიკო იაშვილის — პირით). უსახლკარო ილიკო, ზამთრის 35 გრადუსიან ყინვაში სასტუმროდან სასტუმროში დადის, რომ ცოტათი მაინც გათბეს. სასტუმროში შესვლის მოსამიზნებლად იგი შევიცარს ვიღაც არარსებული პიროვნების შესახებ ეკითხება: — ცხოვრობს იგი აქ თუ არაო.

მოუსვენარი და რევოლუციურად განწყობილი კოლა ხარკოვში ყოფნისას მარტო სწავლით როდი კმაყოფილდებოდა — იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს სტუდენტთა მოძრაობაში. 1893 წელს, ახალგაზრდობის ერთ-ერთ საიდუმლო შეკრებაში მონაწილეობისათვის ქ. ლომთათიძეს აპატიმრებენ და ეტაპით გზავნიან საქართველოში, ოზურგეთის მაზრის უფროსის განკარგულებაში. ამის შესახებ მ. ალი² წერს თავის მოგონებაში: „მოგვივიდა ხარკოვიდან წერილი: კოლა და რამდენიმე ამხანაგი სადღაც წაიყვანეს,

¹ მარად ხელმოკლედ მყოფი და მატერიალურად შევიწროებული კოლა იძულებულია სხვადასხვა სამუშაოს მოჰკიდოს ხელი. ქუთაისში ყოფნისას, იგი ერთ ხანს მ. ლალიძის ლიზნათის ქარხანაში მუშაობდა ბოთლების მრეცხავად.

² მ. ალი — ფსევდონიმი, რომლის ამოხსნა ჩერკეზობით ვერ შეეძლებოდა (შესაძლოა, იგი მ. ჩავახიშვილს ეკუთვნოდა).

ხოლო სად — საიდუმლოებითაა მოცული, მგონი დახოცესო¹.
ქოლას ამხანაგები ამ ცნობამ მწუხარებაში ჩააგდო. ბოლოს გამო-
იჩვენა, რომ პოლიციას ტუსაღები სასწრაფო ეტაპით დაეგზავნა
მანარის უფროსების (ე. ი. საცხოვრებელი ადგილების მიხედვით,
გ. ც.) განკარგულებაში და ქოლაც მოულოდნელად ოზურგეთს
ესტუმრა².¹

თავისი რთული, უცნაურად დახლართული და ბობოქარი ცხო-
ვრების მანძილზე ქოლამ მრავალი ადგილსამყოფელი და კიდევ
უფრო მეტი სამსახური გამოიცივალა. მთელი მისი ახალგაზრდობა
ადგილიდან ადგილზე სიარულმა და ლუკმა პურის ძიებამ შეიწირა.
ამ მიზეზით იგი არა იშვიათად აღმოჩენილა ტრაგიკომიკურ მდგომარეობაშიც. ასეთი იყო. მაგალითად, მისი სამსახური მონასტრული
ხასიათის სამრევლო სკოლაში.

რამდენიმე თვის მანძილზე, ქოლა, ეს მეტროპოლი ათეისტი და
შეურიგებელი რევოლუციონერი, დაბა სუფსასთან მდებარე პატარა
სოფელ წყალწმინდაში³ ბერებთან ერთად ცხოვრობდა და ეკლესიის
მომავალ მსახურთ ათეიტცნობიერებდა.

ამ პატარა ეპიზოდთან დაკავშირებულა ქოლას ბიოგრაფიის
ერთი ყურადსაღები მომენტიც: ჰ. ლომთათიძე თავის თხზულებებში
არაერთხელ მიმართავს ციტაციას „სამღვთო წერილიდან“. ხანს,
რომ მან კარგად იცის სახარება, და საერთოდ, ძველი ქართული
სასულიერო მწერლობა.³ მართალია, სახარებას ტუსაღებსაც
აძლევენ ციხეში საკითხავად, მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ,
რომ სასულიერო ლიტერატურას ჰ. ლომთათიძე საფუძვლიანად
პირველად სწორედ წყალწმინდას ბერებთან ყოფნისას გაეცნო.

დაახლოებით 1900 წელს, ქოლა თავის მახლობლის, აბ. წულაძის
(პარტიულ-კონსპირაციული სახელი „რიჟა“) რეკომენდაციით რა-
ქაში მიემგზავრება და იწყებს მუშაობას ხეტყისმრეწველ მოსეშვი-

¹ „მუშა“, № 759, 1925 წლის 1 ივნისი.

² სუფსაში იმხანად ქოლას ბიძას, იაკობს, სავაქრო ჰქონდა და, ეტყობა,
წყალწმინდას სკოლაში მასწავლებლობაც მანვე მოუხერხა.

³ ი. იმედაშვილი, რომელიც ქოლასთან ერთად იხდიდა მეტეხის ციხეში პარტიზობის ვადას, აღნიშნავს, რომ ჰ. ლომთათიძე დიდი მონდომებით სწავლობდა
ძველ ქართულ ენას და სასულიერო ლიტერატურას (იხ. გ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წელი. № 47).

ლთან, მეფუტკრის თანაშემწედ. მაგრამ ბრძოლასა და თვითგანვითარებას მოწყურებული ჰოლა ვერ ძლებს დიდხანს სადმელიის ულრან ტყეში და ბედის საძიებლად თბილისში მიემგზავრება.

1901 წელს ჰოლა უკვე თბილისშია და გულმოდგინედ მუშაობს თვითგანათლებაზე. ამ დროს იგი უკვე 23 წლისაა. გაკირვებისა და შიმშილის მიუხედავად, ჰოლა მხნე, მედიანია და საოცარი მოწადინებით განაგრძნობს თვითგანვითარებას. თბილისშივე იწყებს იგი შემოქმედებით მუშაობას. ამ ხნიდან იღებს სათავეს მისი ლიტერატურული საქმიანობის ე. წ. „პირველი პერიოდი“, რომელიც 1905 წლის რევოლუციის ბობოქარმა დღეებმა შეწყვიტა.

1901 წელი მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია ჰოლას ცხოვრებაში. ამ წელს იგი გამოდის ლიტერატურულ ასპარეზზე. მისი პირველი ნაწარმოები ჟურნალმა „მოაზნემ“ დაბეჭდა დეკემბერში (XII) ნომერში. ეს იყო მოთხრობა „დავითი“. მაგრამ ჰოლას ამ პირველ ნაწარმოებს გამოქვეყნება დაასწრო მეორემ, რომელიც „დავითის“ შემდეგ დაიწერა. ეს იყო მოთხრობა „ცხოვრების გულიდან“¹ დაბეჭდილი 1901 წლის 21 დეკემბერს, გაზ. „ცნობის ფურცელის“ სურათებიან დამატებაში.

მთელი 1902 წლის პირველი ნახევარი ჰოლა თითქმის განუწყვეტლივ მოგზაურობს საქართველოს დაბა-ქალაქებში და რაიმე სამსახურის შოვნას ცდილობს, მაგრამ ამაოდ. გზადაგზა იგი მრავალ სხვადასხვა საქმესაც კიდებს ხელს (მაგალითად, საბუღალტრო კურსებზე² სწავლას), თუმცა დიდხანს არც ერთ მათგანს არ მისდევს და უმეტეს წილად უმუშევარი დაიარება. დ. ცინცაძის³ სიტყვით, რომელიც იმ დროს (1901-1902 წლებში) არსენ წითლიძესთან ერთად ძველ სენაკში მასწავლებლობდა (ეს ის არსენია, რომელიც

¹ ამ სათაურით ჰოლას ორი ნაწარმოებია ცნობილი. მათ ურთიერთმიმართებას და პუბლიკაციის ისტორიას შეეხებით მათი გარჩევის დროს.

² საბუღალტრო კურსებზე სწავლისას ჰოლას დიდი ნიჭიერება გამოუჩენია. შოგონებში შემორჩენილი ცნობების თანახმად მისი მასწავლებელი გვიგინეშვილი, განცვიფრებული იყო ჰოლას ათვისების უნარით მათემატიკაში.

³ დ. ცინცაძის მოგონება, სამწუხაროდ, დღემდე არ გამოქვეყნებულა. ჩვენ ეისარგებლეთ ამ მოგონების თავაძისეული ვადმოცემით.

ქოლას ჯერ კიდევ ბასილეთის ორკლასიან სასწავლებელში ასწავლიდა). ქოლა ლომთათიძე ხშირად დადიოდა არსენთან და მ. ცხაკაიასთან (ეს უკანასკნელი მალულად ცხოვრობდა ა. წითლიძესთან), და ხშირად უჩიოდა დავითს: „კუჭი მუდამ ცარიელი მაქვს და სულ ის აზრი მაწუხებს, როგორ ვიშოვო სადმე სამსახური“.

1902 წელს ზაფხულში დავით ცინცაძე მიღის ჰიათურაში და იწყებს მუშაობას შავი ქვის მწარმოებელთა კავშირის საქმეთა მმართველად. რადგან ქოლა მთლად უსახაროდ იყო დარჩენილი, არსენ წითლიძისა და მიხა ცხაკაიას რჩევით დ. ცინცაძემ თან წაიყვანა ჰ. ლომთათიძეც და იგი ჰიათურის საბადოებში მწონავ კონტროლიორად მოაწყო.¹ ქოლას ძალიან გახარებია ასეთი სამსახურის მიღება, რადგან ჰიათურაში მუშაობა მემალაროელ მუშებთან დაახლოებისა და მათთან კავშირის გაბმის საშუალებას აძლევდა. მუშებთან დაახლოება და მათ შორის რევოლუციური მუშაობის წარმოება კი ქოლას დიდი ხნის ოცნება იყო. დ. ცინცაძის გადმოცემით, ქოლას სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა მუშა-ჩალავდრების მიერ ჩამოტანილი შავი ქვის მიღებისა და აწონვის ოპერაციების კონტროლი.

სულ მალე ქოლას, მართლაც, გაუბამს კავშირი ჰიათურელ მემალაროელებთან. იგი არა ერთხელ გამოსარჩლებია მათ და ცოტა ხანში მუშათა შორის დიდი ავტორიტეტიც მოუპოვებია. მრუწვეულებთან დავას და მუშებისადმი გამოსარჩლებას შავი ქვის მწარმოებელთა კავშირის ხელმძღვანელებში ქოლას მიმართ დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია. გარდა ამისა, ქოლაზე ადრევეც ეჭვი ჰქონდათ — ფიქრობდნენ, იგი, ალბათ, პროკლამაციებს ავრცელებსო.² ამ ეჭვსა და ქოლას გამომწვევ საქციელს პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობა მოჰყვა. ქოლას რომ ჰიათურიდან გაქცევით არ ეშველა თავისათვის, მას აუცილებლად დააპატიმრებდნენ.

ჰ. ლომთათიძის განწყობილებისა და მებრძოლი ბუნების გა-

¹ ჰიათურაში ყოფნისას და მერეც, ქოლას დიდ დახმარებას უწევდა ალ. მითაიშვილი, რომლის მეუღლეს ქოლას ბიძაშვილი იყო.

² ჩვენის აზრით, ეს ეჭვი არ იყო საფუძველს მოკლებული. ქოლას ჰიათურიდან მოულოდნელი გამოქცევა იმას მოწმობს, რომ მას დევნისა შეეშინდა. მხოლოდ მრეწველთა უკმაყოფილება ქოლას გაქცევის მიზეზი ვერ გახდებოდა.

სათვალისწინებლად საყურადღებოა ეპიზოდი, რომელსაც დ. ცინცაძე გადმოგვცემს, ქიათურაში ჰოლას ცხოვრების პერიოდიდან. გულფიცხმა ჰოლამ ჯობით გალაბა ერთ-ერთი მრეწველი, რომელიც მემალაროელთა ძარცვით ჯიბეს ისქელებდა. იგივე ავტორი ასეთ ცნობას გვაწვდის: „ქიათურაში ჰოლა მუშებს ძლიერ უყვარდათ. მის პირდაპირობას წმინდანობას უწოდებდნენ და საუკეთესო ქომავალ და სანდო ამხანაგად მიაჩნდათ. სამაგიეროდ, მოწინააღმდეგე ბანაკში მტერი გაუჩნდა“. დ. ცინცაძის დაკვირვებული დახასიათებით ჰოლა „...რალაც უცნაური და იშვიათი ბუნების ადამიანი იყო. უღრეკი, უშიშარი და დაუდგარი. მისი გული მუდამ ჩაგრულთა მოქომაგე გრძნობით იყო სავსე. ის იმდენად ზომანე მეტად პირდაპირი იყო, რომ ხანდახან ამ მის თვისებას კაცი უხეშ თავებდობად, ან სისულელეთ ჩათვლიდა. მაგრამ თუ დააკვირდებოდი, გაიგებდი, რომ ეს თვისება მაღალი ღირსება იყო მხოლოდ რჩეულის და ხალხის მეგობრისა“.

1903 წელი უმნიშვნელოვანესი თარიღია ჰოლას ცხოვრებაში: ამ წელს იგი შედის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში და ამ ხნიდან მოყოლებული მთელ თავის ცხოვრებას ამ პარტიის ბრძოლასა და საქმიანობას სწირავს. რევოლუციური მოღვაწეობისათვის მან თავისი უსაყვარლესი საქმე, თავისი შინაგანი მოწოდება — ლიტერატურულ-მემოქმედებითი საქმიანობაც კი დასთმო. რალაც საოცარი ერთგულებით, გატაცებით, ენერგიითა და მუყაითობით მარულებდა ქ. ლომთათძე რსდმპ-ს ყოველგვარ დავალებას. იგი უყოყმანოდ დაადგა პროფესიონალური რევოლუციონერის ეკლიან გზას და წუთითაც არ უღალატნია მისთვის. 1903 წლიდან ჰოლა პარტიის გურიის კომიტეტის მიერ დაკისრებულ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა და პარალელურად დიდი ნაყოფიერებით წერს პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ თხზულებებს.

ამავე 1903 წელს, ქ. ლომთათძე ხდება გაზეთ „ეკლის“ უახლოესი თანამშრომელი და სქვეყნებს მასში უმთავრესად საპოლემიკო ხასიათის წერილების სერიას სხვადასხვა ფაქედლონივებით.¹ სხვათა შორის, ამ ხანებში გაზეთს რედაქტორობდა დიდი ქართ

¹ სხვადასხვა დროს ჰოლას ფსევდონიმები იყო: სპირიდონ მცირიშვილი, გერი, ქ. ოლია, ხახანა, ანარქისტა და სხვა.

ველი მწერალი გიორგი წერეთელი. უნდა ითქვას, რომ 1902 და 1903 წლები ყველაზე ნაყოფიერი წლებია კოლას შემოქმედების ე. წ. „პირველი პერიოდისა“. დაწყებული 1904 წლიდან ვიდრე 1907 წლამდე ქ. ლომთათიძეს არც ერთი მხატვრული ნაწარმოები არ დაუწერია, რადგან ამ წლებში იგი ეწეოდა მეტად დაძაბულ პარტიულ მუშაობას, როგორც რსდმპ პარტიის პროპაგანდისტი და პროფესიონალური რევოლუციონერი. ამავე ხანებშია დაწერილი რამდენიმე მისი პოლემიკური წერილი.

პირველი შემოქმედებითი წარმატებებით გათამამებული ქ. ლომთათიძე ზედიზედ აქვეყნებს ათამდე მოთხრობას. გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“, რომელმაც პირველმა მიაქცია ყურადღება კოლას, 1902 წლის იანვარში დაბეჭდა მისი „შეყვარებული“ და „მატი“, აპრილში „ტალღები“ (ეს მოთხრობა, სხვათა შორის, ია ეკალაძის გავლენითაა დაწერილი), შემდეგ კი „დასაფლავება“ და „ერთი საღამო ბატონ ადვოკატთან“. 1902 წლის დამლევს კოლა უკავშირდება „ეკალა“ და ამიერიდან (დაპატიმრება-გადასახლება-მდე) მხოლოდ ამ ეურნალში აქვეყნებდა თავის მოთხრობებს — „ზღვა“, „აღსარება“, „ნაზარეველი აღსდგა“, „კვლავ ფიქრი, ფიქრი“, „სიცრუე“. თუ 1902 წელს კოლამ შვიდი მხატვრული ნაწარმოები გამოაქვეყნა, 1903 წელს მან მხოლოდ 3 მოთხრობა დაბეჭდა. მაგრამ ეს არ იყო მუშაობის შენელებს შედეგი. საქმე ისაა, რომ ამ წელს კოლამ თარგმნა მისი საყვარელი მწერლის ლეონიდ ანდრეევის მოზრდილი ფსიქოლოგიური ხასიათის ნაწარმოები „აზრი“, რომელმაც, ისევე როგორც ლ. ანდრეევის შემოქმედებამ მთლიანად, გარკვეული შემოქმედება მოახდინა ახალგაზრდა ქ. ლომთათიძეზე.

1904 წლის დასაწყისში რსდმპ პარტიის დავალებით კოლა ფოთში მიემგზავრება და იქ პარტიის მუშა-მოსამსახურეთა შორის პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა. მალე კოლას ხელმძღვანელობით ფოთში ჩამოყალიბდა მუშათა ორგანიზაცია. ფოთში ყოფნისას იგი წუთითაც არ წყვეტს კავშირს გურიასთან. მისი სკოლის მეგობარი ს. რემონიძე წერდა 1925 წელს: „ფოთში (კოლა) გიგანე-

1 ამ ნაწარმოების კოლასეული თარგმანი გამოქვეყნდა ეურნალ „ეკალის“ 1903 წლის 11—18 ნომრებში.

შვილის საბუღალტრო კურსებზე შედის ყასიდად, რომ ექვი არ აიღონ და მუშებში აწყობს წრეებს, ეწევა პროპაგანდა-აგიტაციას. მთელი გურია ხომ მის რაიონად ითვლება, ამიტომ მთელი გურიის მშრომელი გლეხობა კარგად იცნობდა ჭოლას და უყვარდათ იგი".¹ 1904 წლის დამლევს ჭ. ლომთათიძე ისევ გურიას უბრუნდება და მთელ ძალღონეს რევოლუციური მოძრაობის გაღვივებას ახმარს.

როგორც ცნობილია, 1904 წლისათვის რევოლუციური მოძრაობა გურიაში ფართო გაქანებას აღწევს. რევოლუციური დუდილი შემართებლური სულით განთქმულ საქართველოს ამ კუთხეში ჯერ კიდევ 1902 წელს დაიწყო. გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ თავის 1903 წლის 2-3 ნომერში ასე აღწერდა გურიის გლეხთა განათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას: „მოძრაობა დაიწყო გურიის ქვემო ნაწილში... ადგილობრივი ხელისუფლება პირველად არავითარ ყურადღებას არ აქცევდა... მოძრაობა კი სულ ძლიერდებოდა და მოკლე ხანში მოედო დასავლეთ გურიას და აღმოსავლეთ გურიის რამოდენიმე სოფელს... ხელისუფლებამ ამ დროს გაიგო საქმის ვითარება და გონს ნოვიდა“.²

1903 წელს გურიაში შეიქმნა გლეხთა კომიტეტი. მას ეწოდა „გურიის სოფლის მუშათა კომიტეტი“. მახელწოდება სოფლის მუშათა კომიტეტი — ამბობდა თავის სიტყვაში რსდმპ III ყრილობაზე მიხა ცხაკაია — კავშირის კომიტეტმა მისცა სიფრთხილისათვისო“, რათა „სოფლად მომუშავე პროპაგანდისტები არ ჩაფლულიყვნენ წერილბურჟუაზიულ შეხედულებებში“ და უფრო ადვილი ყოფილიყო გლეხების პროლეტარული იდეოლოგიის საფუძველზე დარაზმვა.

ბროშურაში, რომელიც 1904 წელს არალეგალურად გამოსცა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა — „გლეხთა მოძრაობა გურიაში“ გლეხთა გამოსვლების მიზეზად მითითებული იყო: „მიწის სივიწროვე, საიჯარო გადასახადების სიდიდე, დიდი სახელმწიფო გადასახადები, დრამა-ფული, ბათუმის ამბები, სოფლებს ავსება

¹ ს. რემონიძის (ს. თავართქილაძის) მოგონება იხ. მანჭკავას წიგნში „ქოლა ლომთათიძე“ თბილისი, გამომც. „განახლება“, 1925 წ.

² გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლა“, 1903 წ., № 2—3, აპრილი-მაისი, გვ.

უკმაყოფილო ქალაქელი მუშებით და 1901 წლის მოუსავლიანობა)“ ბათუმის ამბებში იგულისხმებოდა 1902 წლის 9 მარტის პოლიტიკური გაფიცვა და დემონსტრაცია). ცნობილია, რომ აგრარულ-გლეხური მოძრაობა გურიაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში აღინიშნებოდა. ბათუმის შემოერთების შემდეგ, ბაქო-ბათუმის რკინიგზის გაყვანამ გამოიწვია ოზურგეთის მაზრაში კაპიტალისტური ურთიერთობის აჩქარებული განვითარება და გლეხთა მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი გლეხური მოძრაობის ზრდას.

1903 წელს, ლენინური გაზეთი „ისკრა“ 15 ივნისის ნომერში (№ 42) აღნიშნავდა გურიის გლეხთა მძაფრ პროტესტანულ განწყობას. 15 ოქტომბრის ნომერში გაზეთი უფრო დაწვრილებით აღწერდა გურიაში შექმნილ მდგომარეობას: „ერთ-ერთი სოფლის გლეხებმა თავიანთ კრებაზე დაადგინეს უარი განუცხადონ ხუცებს ჩვეულებრივ გადასახადზე; მემამულეებს ღალად მისცენ არა მოსავლის ნახევარი, არამედ მეოთხედი; არაფერი მისცენ მემამულეებს საძოვრებით, სათბობითა და ტყით სარგებლობისათვის, თავიანთ რიგებიდან მემამულეებსა და ხუცებს არ მისცენ მოსამსახურეები. ძალიან მალე ასეთი მოთხოვნები წამოაყენეს თითქმის მთელ ოზურგეთის მაზრაში... ამჟამად მთელ მაზრაში ჩაყენებულია ქარები, გლეხები მტკიცედ ადგანან თავიანთ გადაწყვეტილებებს და არაფერის დათმობა არა სურთო“.²

ოზურგეთის მაზრის გლეხთა მოძრაობა მხარდაჭერასა და ნაგრძნობას პოულობდა მთელს საქართველოს და განსაკუთრებით იმერეთსა და სამეგრელოს გლეხობაში. 1903 წელს ბაქოს გაფიცვამ ბიძგი მისცა დიდი პოლიტიკური გაფიცვების ახალ ტალღას. საქართველოში გაიშალა ფართე საგაფიცვო მოძრაობა. იგი დაიწყო 1903 წლის 14 ივლისს თბილისში. შემდეგ მოედო ბათუმს, ქიათურას, ხაშურს. მისივე გავლენით იმავე წლის ნოემბერში ჩოხატაურში ჩატარდა წვევამდელთა დიდი პოლიტიკური დემონსტრაცია.

1904 წლის 13 იანვარს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა

¹ იხ. „გლეხთა მოძრაობა გურიაში“, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის გამოცემა, 1904 წ., გვ. 12—13.

² გაზ. „ისკრა“, 1903, № 46, 15 ოქტომბერი.

მოიწვია ოზურგეთის მაზრის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის II ყრილობა, რომელზედაც განხილულ იქნა გურიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის საკითხები. ამ ყრილობაში აქტიურ მონაწილეობასღებულობდა ჭოლა ლომთათიძე, რომელიც ამ დროისათვის რსდმ პარტიის ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწე და ავტორიტეტული თავკაცი გახდა საქართველოში. ყრილობის შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა.

ამ ხანებში ჭოლამ მოსვენება არ იცოდა. იგი განუწყვეტლივ ცხენზე იჯდა და მთელ გურიას უვლიდა. ჭ. ლომთათიძე დაუღალავად მონაწილეობდა მრავალრიცხოვან მიტინგებში, მანიფესტაციებსა და კრებებში, დისკუსიებსა და დისკუტებში. თითქმის ყოველ თავყრილობაზე წარმოთქვამდა ხალხის ასამხედრებელ, მის აღმაფრთოვანებელ სიტყვებს და მსახებში რევოლუციური გზნებით დანადმულ ლოზუნგებს ისვროდა.

ამ პერიოდში მენშევიკებს გურიის კომიტეტში დიდი უმრავლესობა ყავდათ. ქართველ მენშევიკთა ლიდერები, განსაკუთრებით, ნოე ქორდანიას და ისიდორე რამიშვილი, ყოველ დონეს ხმარობდნენ, რათა ხალხში დიდი ავტორიტეტის მქონე ჭოლა თავისი გავლენის ქვეშ მოექციათ. მათ სურდათ ჭ. ლომთათიძის დიდი სახელი და ნდობა, რომლითაც იგი გურიის გლეხობაში სარგებლობდა, თავიანთი ფრაქციული ინტერესებისათვის გამოეყენებინათ. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ამას ხანდაზან აღწევდნენ კიდევ. მაგრამ ჭ. ლომთათიძის ბიოგრაფიული მასალების დაკვირვებული შესწავლა უცილოდ ცხადყოფს, რომ ჭოლა ყოველნაირად ჯაურბოდა ვიწრო ფრაქციული ინტერესების დაცვას და იმ შიდაპარტიულ ბრძოლაში ჩაბმას, რომელიც მეუმრავლესობასა და მეუმციირესობას შორის წარმოებდა. ჭოლა ისწრაფვოდა ხალხის რევოლუციური დარაზმვისაკენ, გამათავისუფლებელ მოძრაობაში რაც შეიძლება უფრო ფართე მასების ჩაბმისაკენ.

ამ მხრივ საგულისხმოა ჭოლას ამხანაგისა და მახლობელის, გიორგი ლომთათიძის, მოგონება. „როცა მენშევიკურმა კომიტეტმა — წერს გ. ლომთათიძე, — ჭოლა პროპაგანდისტული დავალებით გურიის სოფლებში გაგზავნა, ჭოლამ „წინააღმდეგ კომიტეტის დირექტივისა, საკითხების მენშევიკური თვალსაზრისით გაშუქების მაგიერ დაამუშავა სულ სხვა თემა უნდა დამუშავებუ-

ლიყო შემდეგი საკითხები: 1. რა ჯობს არსებულ მომენტში მუშათა კლასისათვის — რუსეთ-იაპონიის ომში მთავრობის გამარჯვება, თუ დამარცხება. 2. ბურჟუაზიული მთავრობის დაცემის შემდეგ ახალი მთავრობის არჩევნებისას — ბლოკი თუ ბოიკოტი ბურჟუაზიასთან. 3. ბიუროკრატიული მთავრობის მოსპობისთანავე ახალმა მთავრობამ უნდა დემოკრატიზმის გზით მოამზადოს ნიადაგი, თუ ერთბაშად ჯობს გადაიდგას ნაბიჯი სოციალიზმისაკენ.¹

იგივე გ. ლომთათიძის მოწმობით ჭოლა ხშირად გამოდის კრებებსა და მიტინგებზე, მაგრამ უფრო საერთო საკითხებზე. „ერთხელ, — წერს იგი — ხიდისთაველ ბიჭებში სიტყვა ჩამოვარდა ჭოლაზე, ამბობდნენ — „ჭოლა ფრაქციულ კამათში მონაწილეობაა ნაკლებად ღებულობსო“. ეს ამბავი ერთმა იმით ახსნა, რომ ჭოლა ამ საკითხებში ნაკლებად მომზადებულიაო. მეორემ იკითხა: „ასეთი ნიჭიერი კაცი, ნეტა რატომ ჩამორჩა ამ საკითხებში“. მას პირველმა უპასუხა, — „ეს იმიტომ, რომ იგი მთავარ ყურადღებას აქცევს არა ფრაქციულ კინკლაობას, არამედ პოლიტიკურ ორგანიზაციულ მუშაობასო“.²

უანგარო, თავდადებულ, კეთილშობილ, პრინციპიალურსა და გულმართალ ჭოლას ხალხში ძალიან დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. ბოლშევიკი თევდორე კალანდაძე ამბობდა — „მენშევიკების ცენტრალური კომიტეტი — ეს ჭოლა ლომთათიძე არისო“.

როგორც აღვნიშნეთ, 1905 წლის რევოლუციის წინა წლებში ქ. ლომთათიძემ ერთ-ერთი უნიჭიერესი პროპაგანდისტის სახელი დაიმსახურა. შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების პერიოდში რსდმპ კავკასიის კომიტეტი და მასთან ერთად გურიის კომიტეტიც, დიდი ყურადღებას აქცევდა მეზობელ სამრეწველო ცენტრებს, მოზრდილ დაბებსა და პორტებს, განსაკუთრებით, სადაც ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა და ქართველ მუშათა კადრები არსებობდა. სწორედ ასეთი იყო იმხანად ქ. ნოვოროსიისკის ნავსადგური, სადაც რამდენიმე ასეული ქართველი მუშა მსახურობდა პორტში. რსდმპარტიის დავალებით, ქ. ლომთათიძე, როგორც გამოცდილი და

¹ იხ. საქ. ლიტერატურული მუზეუმი, ქ. ლომთათიძის არქივის ფონდი, საქმე № 13465 — ხ.

² საქ. ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი № 15195, გ. ლომთათიძის მოგონება, გვ. 30.

ერთერთი ყველაზე უკეთესად მომზადებული პროპაგანდისტი, იმასთან, რუსული ენის კარგი მცოდნე, 1904 წლას დამლევს, თუ 1905 წლის დასაწყისში ქ. ნოვოროსიისკში გააგზავნეს.

ნოვოროსიისკში კოლამ ძალიან დიდი ორგანიზაციული მუშაობა ჩაატარა და მას მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის მუშათა ადგილობრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბების საქმეში. ნოვოროსიისკში ყოფნისას კოლას წუთითაც არ შეწყვეტია კავშირი საქართველო¹თან და კერძოდ გურიასთან, რასაც ბათუმ-ნოვოროსიისკის შორის მოარული გემების დახმარებით ანხორციელებდა.

ქ. ნოვოროსიისკში გატარებულმა ნახევარმა წელმა კოლას პირად ცხოვრებაშიც ღირსშესანიშნავი როლი ითამაშა. აქ მან გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე — ელისაბედ ბენიამინის ასული გიდე-რინსკაია, რომელიც კოლას თითქმის მთელი მომდევნო ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი და ერთგული შეგობარი შეიქმნა.

რამდენადაც ამ საინტერესო ადამიანის პიროვნება ქ. ლომთათიძის ბიოგრაფია უმრავლესობას არასწორად აქვს წრამოდგენილი და დახასიათებული (ხშირად, ყურმოკრული ამბების, ან სხვა არალოიალურ პირთა მოგონებების საფუძველზე), საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველისათვის სწორი ცნობების მიწოდება და ობიექტური დახასიათება იმისა, ვინც ხანგრძლივი დროის მანძილზე ტუსადის ხვედრს უმსუბუქებდა კოლას და ვინც იმ მძიმე წლებში ერთადერთი ედგა მხარში ყველასაგან მივიწყებულ და ყველასაგან მიტოვებულ კოლა ლომთათიძეს. მართალია, კოლას გარდაცვალებამდე ორიოდ წელით ადრე, მათ შორის განხეთქილება მოხდა, მაგრამ განა ამ მიზეზის გამო ვისმე უფლება აქვს ხაზი გადაუსვას ყოველივეს, რაც მათ შორის მანამდე იყო

ელისაბედ ბენიამინის ასული გიდე-რინსკაია,¹ რომელიც კოლაზე გათხოვების შემდეგ თავის გარდაცვალებამდე ლომთათიძედ იწერებოდა, დაიბადა 1887 წელს, უკრაინის ქალაქ ნიკოლაევში. პაპამისი საფრანგეთიდან გადმოსახლებული ფრანგი ებრაელი ყოფილა (შემდეგ პოლონეთში ნაცხოვრები). მისი ნამდვილი გვარი იყო გიდე-რინსკა. ამ გვარმა რუსეთში სახეცვლილება განიცადა და კო-

¹ მკვლევარნი არასწორად მიუთითებენ კოლას ცოლის გვარს, როგორც გიდემირსკაია.

ლას მეუღლე იწერებოდა გიდე-რინსკაიად. ელისაბედის დედა პოლონელი ებრაელი იყო, გვარად — მეტ. იგი ერთ ხანს მოწყალე-ბის დად მუშაობდა სააგადმყოფოში.

ელისაბედის (მას შინაურობაში ცილიას უწოდებდნენ და საქართველოშიც უფრო ამ სახელითაა ცნობილი) მამა ბენიამინი (ვენ-ნიამინი), თავის დროზე შეძლებული ვაჭარი ყოფილა. იგი პურის ექსპორტზე გამდიდრებულია, მაგრამ შემდეგ, რაღაც მაქინაციის გა-მო გაკოტრებულა და ცილიას ბავშვობაშივე (ცილიას გარდა მას კიდევ ოთხი ვაჟიშვილი ყავდა) საცხოვრებლად ნოვოროსიისკში გა-დასულა. საქმეები ვერც იქ წასვლია კარგად და ყუბანის ერთ-ერთ სტანიცაში „ფოდრაჩიობა“ დაუწყია. მიუხედავად ამისა, მას გარ-კვეული შეძლება მაინც შერჩენია და შვილებსაც კარგი განათლება მისცა.

მატერიალურად საკმაოდ უზრუნველყოფილი ცხოვრების მიუ-ხედავად, ცილიას მძიმე ბავშვობა ჰქონდა. დედამისი მეტად ავი ქა-ლი ყოფილა და ქალიშვილს სასტიკად ექცეოდა. არც მამას ჰყვარე-ბია ბავშვი, რადგან ეპკვი ჰქონდა, რომ იგი მისი შვილი არ იყო (მარ-თლაც, როგორც თვით ელისაბედ ბენიამინის ასულმა განგვიცხადა, იგი ყოფილა უკანონო შვილი ერთი უკრაინელისა, რომელიც ხში-რად მოდიოდა ხოლმე მალულად გიდე-რინსკების ბაღში და უაღერ-სებდა პატარა ცილიას).¹ როცა ცილია წამოიზარდა, წინააღმდეგობა მშობლებთან კიდევ უფრო გამძაფრდა. ამის მიზეზი გახდა ქალიშვი-ლის დამოუკიდებელი ხასიათი, განსაკუთრებით კი მისი პოლიტი-კური შეხედულებები — სიმპათია რევოლუციონერებისადმი.

ცილიამ 1903 წელს წარჩინებით დაამთავრა ნოვოროსიისკის ქალთა გიმნაზია (მანამდე იგი პროგიმნაზიად ითვლებოდა) და მა-მის დახმარებით იმ წელსვე დაინიშნა პედაგოგად ნოვოროსიისკის სამოქალაქო სასწავლებელში, სადაც გერმანულ ენას ასწავლიდა.

გიდე-რინსკების ოჯახი ტიპიური მეშჩანურ-ბურჟუაზიული ოჯახი იყო — კარჩაკეტილი, ძუნწი, ანგარიშვანი, ეგოისტური. მას კავშირი ჰქონდა ასეთსავე „წესიერ ოჯახებთან“. კერძოდ, ქალაქის

¹ ელისაბედ ბენიამინის ასულ გიდე-რინსკაია-ლომთათიძის ცხოვრების ზო-გიერთი მომენტი მოგვითხრო თვით მანვე. ჩვენ ვინახულეთ იგი ქ. მოსკოვში 1956 და 1957 წლებში.

პოლიცემისტერთან, რომელიც ბენიამინის ქვისლი იყო და ნოვო-როსიისკის ქალაქის თავის, ვექსლერის ოჯახთან. ვექსლერი ეს ულ-მობელი ექსპლოატატორი, ცილიას მამას ბიძად ერგებოდა სხვათა-შორის იგი და მისი მეუღლე მოთმინებიდან გამოსულმა შინა შოსამ-სახურემ ცუდით აჩეხა.

ახალგაზრდა ქალს გული უწუხდა ამ სულისშემხუთველ ატ-მოსფეროში. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა დაუახლოვდა ცნობილი ნოვოროსიისკელი ლიბერალური მოღვაწის, პროხოროვის წრეს, სა-დაც თავს იყრიდნენ ოპოზიციური ელემენტები და პროგრესულად განწყობილი ახალგაზრდობა. პროხოროვის წრე მეტად ჭრელი იყო. აქ დადიოდნენ სოციალ-დემოკრატები, ესერები, ახარქისტები, ტოლსტოველები (კრინიჩანელები) ლიბერალები და სხვანი.

ვერც ამ წრემ დააკმაყოფილა ცილია და მან არალეგალურ მარ-ქსისტულ წრეს მიაშურა, რომელსაც ქოლა ხელმძღვანელობდა. ამ წრის არსებობა ცილიამ თავისი მოწაფეების შემწეობით შეიტყო. სამოქალაქო სასწავლებელში (იგი ექვსკლასიანი იყო) მრავალი კავკასიელი სწავლობდა (უმეტესად ქართველები და სომხები), რომელთა მახლობლები, სოლო ზოგჯერ თვით უფროსკლასელებიც ეს-წრებოდნენ წრის მეცადინეობას.

სწორედ ამ დროს გაეცნო ცილია შანესა და მსიარულს, შიხან-დასახულსა და მტკიცეს, კეთილშობილსა და ანდამატივით მიძინი-ველ ჭაბუკს — ნოვოროსიისკის პორტის მუშათა არალეგალური წრის ხელმძღვანელს, არაფრის მქონესა და მუდამ ხიფათში მყოფ პროფესიონალ-რევოლუციონერს — ქოლა ლომთათიძეს. ნიჭიერმა, განათლებულმა, დიდი შინაგანი ძალის მქონე ხელმძღვანელმა ერთ-ბაშად მოხიბლა ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელსაც სიცოცხლე-საგით შეუყვარდა რომანტიკული პროპაგანდისტი.

ქოლა ლომთათიძესაც პირველი ნახვისთანავე მოეწონა ჭკვიანი და განათლებული ახალგაზრდა ქალი, რომელიც, ამასთან ერთად ფრიად ლამაზიც იყო. მალე, გამოცდილმა კონსპირატორმა და ორ-განიზატორმა, ცილია გიდე-რინსკაია ნოვოროსიისკის მუშებთან დასაახლოვებლად გამოიყენა. ქოლას რჩევით, ცილია მოეწყო მას-წავლებლად ქალაქის „საკვირაო სკოლაში“ და უნარიანად ენმარე-ბოდა არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ ქოლას მუშებთან კავ-შირის გაბმვაში.

რევოლუციურმა მუშაობამ კიდევ უფრო დაახლოვა ისინი და მალე ქოლამაც დაუძლეველი სიყვარული იგრძნო ქალისადმი. პირველი გაცნობიდან რამოდენიმე თვის შემდეგ, მშობლების გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ცილია ცოლად წაყვა ქოლა ლომთათიძეს. ქოლა ლომთათიძე არ იყო ადვილად მოსახიზბელი კაცი. აკი წერდა კიდევ თავის თავზე: მე საზოგადოდ ძნელად შემიყვარდება ქალი და თუ შემიყვარდა, სამუდამოდ შემიყვარდებაო. ქოლამ თავისი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ ამ სიტყვებს გულწრფელად ამბობდა. ქ. ლომთათიძემ ისიც იცოდა, რომ სხვა ერის ქალი უფრო ძნელად ეგჯება ქმარს.¹ მაგრამ ამ სიძნელის მიუხედავად, იგი არ შეუდრკა ეროვნულ ზღუდეს და თავისი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირა სხვა ეროვნების წარმომადგენელს.

1905 წლის გაზაფხულზე ცილია გიდე-რინსკაია ქოლას მეუღლე შეიქნა და ამიერიდან სიკვდილამდე ლომთათიძის გვარს ატარებდა (ელისაბედ ბენიამინის ასულ ლომთათიძე გარდაიცვალა 1959 წელს ქალაქ მოსკოვში).

როგორც აღვნიშნეთ, 1905 წლის ზაფხულისათვის ქოლას ყოფნა ნოვოროსიისკში სახიფათო შეიქნა. მას დაეინებოთ უთვალთვალებდნენ, რასაც ხელს უწყობდა გაბოროტებული „სასიმაძრო“, რომელიც პოლიციისაგან „მიმტაცებელ“ ქოლას მიმართ ქმედით ზომებს მოითხოვდა. გაზრდილი ხიფათის თავიდან ასაცილებლად, ქოლა პორტის მტვირთავ მუშების ხელშეწყობით, ივხისის ერთ-ერთ ღამეს ცოლთან ერთად ნოვოროსიისკიდან გამოიპარა და ბათუმში ჩავიდა.

თავის დროზე ცნობილი საზოგადო მოღვაწის, თოფურაძის დახმარებით ქოლამ თავისი მეუღლე ბათუმში მცხოვრები რუსი ინტელიგენტის ოჯახში მოაწყო რეპეტიტორად, თვითონ კი გურიაში წავიდა; ცოტა ხნის შემდეგ მან ცოლი ოზურგეთში გადაიყვანა

¹ ეს აზრი გამოკვეთილად მან სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გამოთქვა (ეგრეთაა პირადი ცხოვრების მაგალითზე). „თავისუფალიც, რომ ვიყუე, უცხო ეროვნების ქალს მაინც არ შევირთავდი, რადგან მასთან შეჩვევა, შეთანხმება ძნელია, მით უფრო, რომ ყოველივე მშობლური, ნაციონალური ძალზე მიყვარს და მისი დათმობა არ შემოიძლიან. ...თუმცა ახლა ყველას ვეპუთენი, ყველა ჩემი იშები არიან... რას იზამ, ყოვლის უძლიერეს საკვირველებას წარმოადგენს გული...“ (წერილი ა. ქოჩარაინისადმი, 1912 წ. VII).

(ჭოლას მეუღლესთან ურთიერთობისა და მათი შემდგომი ერთობ-
ლივი ცხოვრების ამბავს ჩვენ ქვემოთ შევეხებით).

1905 წლის მთელი მეორე ნახევარი ჭოლამ დაუღალავ რევო-
ლუციურ საქმიანობაში გაატარა.

ნოვოროსიისკიდან ცოლთან ერთად დაბრუნებულ ჭოლას სა-
ქართველოში კიდევ უფრო დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა
დახვდა. 1905 წლის დასაწყისში მომხდარმა „სისხლიანი კვირის“ ამ-
ბავმა ფართო გამოძახილი ჰპოვა გურიაში. 1905 წ. 18 იანვარს, სო-
ციალ-დემოკრატიული პარტიის კავკასიის კომიტეტი აქვეყნებს
ი. ბ. სტალინის ცნობილ პროკლამაციას — „კავკასიის მუშებო,
დროა შური ვიძიოთ“. 28 იანვარს, მუშათა დემონსტრაციის დახე-
რეტის საპასუხოდ გაიფიცა თბილისის პროლეტარიატი. ბრძოლის
ქინი თანდათან ძლიერდებოდა. ქართველი მუშები და გლეხობა
საბრძოლველად ამხედრდნენ.

ოზურგეთის მაზრაში, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად,
შეიქნა რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც ხელმძღვანელო-
ბას უწევდნენ გლეხთა მასების რევოლუციურ გამოსვლებს. აჯან-
ყებული გლეხობის „დასამშვიდებლად“ მეფის ნაცულის საგახებო
განკარგულების თანახმად, 1905 წლის თებერვალში შეიქნა „რაი-
ონის განსაკუთრებული რაზმი“ (ასე ეწოდებოდა ალიხანოვ-ავარსკის
დამსჯელ სამხედრო შენაერთს). ამასთან ერთად, ქუთაისისა და ბა-
თუმის გუბერნატორებს ჩამოართვეს განმგებლობიდან ოზურგეთის
მაზრა, ბათუმის ოლქი, სენაკის მაზრის ნაწილი და აჯანყებით მო-
ცული საქართველოს ეს პროვინციები პირსისხლიანი ალიხანოვ-
ავარსკის განუსაზღვრელ უფლებებს დაუმორჩილეს.

ლენინური გაზეთი „ვპერიოდი“ 1905 წლის 30 მარტის (12
აპრილის) ნომერში წერდა: „თავისი სიმტკიცით და შეგნებულობით
უმაგალითო გურიის გლეხთა მოძრაობა — ერთ-ერთ პირველ ად-
გილს დაიჭერს კავკასიის პროლეტარული მოძრაობის ისტორიაში.
ამჟამად, მთელი საქართველო ცხოვრობს გურულების ცხოვრებით.
და გვგონია, არ არის ერთი კაციც კი, რომელიც ასე თუ ისე გურიის
საქმეზე არ მსჯელობდეს. გურიის გლეხთა მოძრაობა იშვიათი შოკ-
ლენაა ისტორიაში. ეს ჩვეულებრივი გლეხთა აჯანყება კი არ არის.
არამედ სავსებით შეგნებული პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც
მთლიანად ეხმარება მთელი რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ

მოდრაობას. გურიის გლეხობის მოძრაობა, რა თქმა უნდა, 'შეუქმ-
ნეველი არ დაჩეხებოდა მთავრობას და გურიაში იგზავნება 10000
კაცისგან შემდგარი რაზმი მხეცი ადამიანის, ალიხანოვ-ავარსკის შე-
თაურობით, „მაზრის საბოლოო დაშოშმინებისათვის“. მაგრამ სამ-
ხედრო ძალა ვერ შეაშინებს ბუნებით მეომარ ქართველებს და აი,
ჯართან ერთად გურიაში იგზავნება მთავარსამმართველოს საბ-
ქოს წევრი, ბ-ნი სულთან კრიმ-გირეი... იგი წარმოთქვამს ძლიქვებ-
ლურ სიტყვებს, ელაჭუცება გლეხებს, არ იშურებს დაპირებებს.¹

კრიმ-გირეის წამოწყების ჩაფუშვის შემდეგ ალიხანოვ-ავარსკა
დაიძრა გლეხთა „ამბოხის“ გასანადგურებლად. გაზეთი „ეპერიოდი“
იმავე ნომერში წერდა: „ქართველი გლეხები დიდი ხნის გახშავლობ-
ბაში უწყევდნენ წინააღმდეგობას საბერძნეთის ხანების ურდოებს,
მათთვის ძნელი არ იქნება წინააღმდეგობა გაუწიონ ხან-ხიკოლოზის
ურდოებსაც“.

ერთ-ერთი პირველთაგანი გურიის აქტიურ რევოლუციონერ-
მოღვაწეთა შორის, ვინც თავგამოდებით იღწვოდა გლეხობის შეიარ-
აღებისა და მთავრობის წინააღმდეგ ხალხის შეიარაღებული გა-
მოსვლისათვის, ჭოლა ლომთათიძე იყო. მართალია, ნასაკირალის ის-
ტორიული ბრძოლის შემდეგ ჭოლა იძულებულია პარტიულ დის-
ციპლინას დაემორჩილოს და ოფიციალურ გამოსვლებში ხელი აი-
ლოს ბრძოლის ქადაგებისაგან (რამდენადაც მენშევიკების ფრაქ-
ციამ 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ აჯანყების მიზანი მიღ-
წეულად ცნო და ბრძოლაზე ხელი აიღო), მაგრამ ოქტომბრამდე
ოფიციალურად და (ოქტომბრის შემდეგ კი ფარულად) აჯანყებისა
და ბრძოლის ერთი მგზნებარე მქადაგებელთაგანია. მაგრამ ეს უფ-
რო გვიანდელი ამბებია; 1905 წლის ზაფხულზე კი, როცა ჭოლა სა-
ქართველოში დაბრუნდა, ბრძოლის ტაქტიკა გარეგნულად, თით-
ქოს მენშევიკების მხრივაც იყო აღიარებული, თუმცა მათი ლიდერე-
ში ყოველ ღონეს ხმარობდნენ ბრძოლის თავიდან ასაცილებლად.

რსდმ პარტიის III ყრილობაზე (რომელიც 1905 წლის აპრილ-
მაისში ჩატარდა) ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ახლა გლეხთა მოძრაობა
დღის წესრიგში დგას და პროლეტარიატის პარტიამ ოფიციალურად
უნდა განაცხადოს, რომ იგი ყოველნაირად უჭერს მხარს ამ მოძ-

¹ გაზეთი „ეპერიოდი“, 1905 წელი. № 14.

რაობას და სრულებითაც არ ზღუდავს მის გაქანებას“.¹ აქვე, ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში „გლებთა მოძრაობისათვის მხარდაჭერის შესახებ“ ლენინმა მაღალი შეფასება მისცა გურიის გლებთა მოძრაობას და თქვა: „გლებთა მოძრაობისათვის მხარდაჭერის საკითხი შეიძლება ითქვას ორად იყოფა: 1. თეორიულ საფუძველად, 2. პარტიის პრაქტიკულ გამოცდილებად. ამ უკანასკნელ საკითხზე პასუხს მოგვეცემს მეორე მომხსენებელი ამხ. ბარსოვი (მ. ცხაკაია), რომელიც საუცხოოდ იცნობს ყველაზე მოწინავე გლებურ მოძრაობას გურიაში“.² მ. ცხაკაიას მოხსენების საფუძველზე, რომელიც განსაკუთრებით გურიის გლებთა მოძრაობას ეხებოდა, რსდმპ III ყრილობამ მიიღო სპეციალური რეზოლუცია: „კავკასიის ამბების გამო“, რომელშიც პარტიულ ორგანიზაციებს კავკასიის ამბების პოპულარიზაციისაკენ მოუწოდებდა.

ამის შემდეგ ოზურგეთის მახრის რევოლუციურმა ძალებმა ფართოდ გააჩაღეს მუშაობა შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად. დაიწყო იარაღის დამზადება. მენშევიკები (კერძოდ, ნ. ჟორდანიას, რომელიც სპეციალურად ჩავიდა გურიაში გლებთა შეიარაღების შესაფერხებლად) წინააღმდეგი იყვნენ შეიარაღებული აჯანყებისა.

მენშევიკთა ოპორტუნისტული პოლიტიკის ნათელსაყოფად და მის ჩასაშლელად ბოლშევიკური ფრაქციის დავალებით გურიაში სპეციალური დავალებით გაიგზავნა ი. ბ. სტალინი, რომელიც ხელმძღვანელობდა საჯარო დისკუსიებს მენშევიკებთან (კერძოდ ჩოხატაურსა და ხიდისთავში). ი. ბ. სტალინი თამამად და მტკიცედ მოუწოდებდა ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

ბათუმის რევოლუციური მუზეუმის არქივში ინახება ძველი ბოლშევიკის, სეფე ცინცაძის, მოგონება ამ დისკუსიების შესახებ იგი წერს: „1905 წლის ივლისის მეორე ნახევარში, როგორც მახსოვს ესე (პეტრე) ცინცაძემ, ერმილე დოლიძის ეტლით ჩვენსას, ზემო ფარცხმაში ამოიყვანა ახალგაზრდა სოსო... მეორე დღეს ამბაკო მეგრელიშვილის ეზოში გაიმართა კრება, რომელსაც 900 კაცამდე ესწრებოდა.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, IV გამოცემა, ტ. 8, გვ. 474.

² იქვე, გვ. 471.

როცა სტალინმა ლაპარაკი დააძთავრა, მენშევიკების წარმომადგენელმა, ქოლა ლომთათიძემ შემოიტანა წინადადება გადაღებულყო ეს კრება, რადგან ჩვენ არ ვართ დღეს მომზადებულიო. მისივე მოთხოვნით, კრება დაინიშნა მესამე დღისათვის... მესამე დღეს, შუა ფარცხმაში, ეკლესიის გალავანს გადაღმა 3000 კაცამდე შეიყარა, პირველი სიტყვით გამოვიდა სოსო და მის შემდეგ მენშევიკთა წარმომადგენლები მ. ლორთქიფანიძე, ი. მეგრელიძე, რ. ჩიხლაძე, ბ. ჩხიკვიშვილი და სხვები სულ 16 კაცი“.

მეტად საგულისხმოა, რომ ქოლა თუმცა ესწრებოდა ამ ძიტინგს და როგორც მენშევიკთა წარმომადგენელი, კიდევ უნდა გამოსულიყო ი. ბ. სტალინის „ხაზის“ წინააღმდეგ, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. ქოლა არ გამოსულა ამ მიტინგზე ი. ბ. სტალინის წინააღმდეგ იმიტომ, რომ მის ხასიათსა და ბუნებას ბოლშევიკური ტაქტიკა უფრო ეწყობოდა, თუმცა კი ფრაქციული კუთვნილებებისა და დამკვიდრებული პარტიული ეთიკის გამო, მას არ შეეძლო ეს ახდელიად დასაჯაროდ ეჩვენებინა, რამდენადაც ეს მენშევიკებთან სრული გათიშვის ტოლფასი იქნებოდა, ხოლო ჰ. ლომთათიძე იმხანად ჯერ კიდევ არ იყო მენშევიზმთან კავშირის სრული გაწყვეტისათვის სავსებით მომზადებული, არც ფსიქოლოგიურად და არც იდეოლოგიურად.

მენშევიკთა ლიდერებს ჰ. ლომთათიძეზე ამ დროსაც დიდი გავლენა ჰქონდათ. მენშევიკები მეტად შიშობდნენ, რომ მგზნებარე მებრძოლი, დაუდგრომელი და უშიშარი ბუნების ქოლა ბოლშევიკების მხარეზე არ გადასულიყო და ამიტომ ყველა ხერხს მიმართავდნენ რათა ეუდამ თავიანთ კონტროლის ქვეშ ჰყოლოდათ. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ქოლას უფრო ღრმად „ჩათრევას“ ფრაქციულ დავაში (მის „შემოსამტკიცებლად“ უწყევდნენ დიდ მატერიალურ დახმარებას: ამ დროს ქოლა პარტიის სალაროდან თვეში 40 მანეთს იღებდა ოქროთი, როგორც პროფესიონალი რევოლუციონერი, მას ირჩევდნენ საპატიო თახამდებობზე და სხვ.). საერთოდ მენშევიკები; განსაკუთრებით გურიის კომიტეტიდან, მკაცრად მოითხოვდნენ თავიანთი მომხრეებისაგან მენშევიკური ხაზის გატარებას. ურჩების წინააღმდეგ ისინი საგანგებო ზომებს მიმართავდნენ

(პარტიიდან გარიცხვის ჩათვლით) და რამდენადაც კომიტეტში უმრავლესობა ყავდათ — ამას ადვილად ახერხებდნენ.

1905 წლის ოქტომბრის დასაწყისში გლეხები საქართველოში და, კერძოდ, გურიაში უკვე საკმაოდ შეიარაღებული იყვნენ და სიგნალს ელოდნენ. აჯანყების სიგნალი გახდა სრულიად რუსეთის ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვა. როგორც ცხობილია, ოქტომბრის კოლექტიური გაფიცვა სრულიად რუსეთის გაფიცვად იქცა. 14-15 ოქტომბერს გაიფიცა ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი. ოზურგეთის მაზრის გლეხებმაც აქტიურად დაუჭირეს მხარი მებრძოლ პროლეტარიატს და სწორედ ამის გამოხატულებას წარმოადგენს ნასაკირალის ისტორიული ბრძოლები.

1905 წლის 15 ოქტომბერს შთელ მაზრაში შეწყდა მოძრაობა, დაიკეტა დუქნები, სახალხო რაზმები შეიარაღდნენ. დაიწყო ბარიკადების შენება. გზისა და რკინიგზების გაფუჭება. აჯანყების ხელმძღვანელობისათვის დააარსეს „სამხედრო შტაბები“, დაიწყო ქარის მცირე ნაწილების განიარაღება. სამხედრო ეშელონებზე დატემა და იარაღის გატაცება. რევოლუციური გამოსვლებით შეშინებულმა ოზურგეთის მაზრის უფროსმა, ლაზარენკომ, ვერ მოახერხა ქუთაისის გუბერნატორ-სტროსელსკისთან დაკავშირება და დახმარება ბათუმის გუბერნატორს თხოვა.¹

18 ოქტომბერს, როცა თბილისში მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტი ცხადდებოდა, ოზურგეთის მაზრის უფროსი 120-მდე ქარისკაცით გაემგზავრა ჩოხატაურში, აჯანყებული გლეხების „დასამშვიდებლად“. მაგრამ როცა იგი ჩოხატაურში შევიდა, მთელი ხალხი მთებში დახვდა გახიზნული. სხვათა შორის, მთებში იმალებოდა ქოლა ლომთათიძეც. ლაზარენკომ განიზრახა უკან, ოზურგეთში დაბრუნება. მისი განზრახვა შეიტყეს აჯანყებულებმა და გადაწყვიტეს დახვედროდნენ მას გზაში (ნასაკირალის ქედზე, რომელიც რვა კილომეტრითაა დაშორებული ოზურგეთს და ოციით ჩოხატაურს), რათა რაზმი განეიარაღებინათ, ხოლო ჩამორთმეული იარაღით კიდევ უფრო გაეფართოებინათ აჯანყება.

აქვე უნდა ითქვას, რომ მენშევიკთა უმრავლესობა ამ გეგმის

¹ იხ. ვ. სიხარულიძის სადისერტაციო ნაშრომი „გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ოზურგეთის მაზრაში 1900—1905 წ. წ.“ გვ. 205.

წინააღმდეგი იყო. მათი რჩევის წინააღმდეგ, აჯანყებული გლეხები ღამით 21 ოქტომბერს, მართლაც დაესხნენ მაზრის უფროსის რაზმს, გაიმართა ცხარე ბრძოლა. დასკრეს მრავალი სალდათი და მრავალი მოკლეს. ლაზარენკო ალყაში მოიპყვდიეს. მთელ მის რაზმს განადგურება ელოდა, მაგრამ მან მოახერხა ოზურგეთში მყოფი ბატალიონისათვის მომხდარი შემთხვევის შეტყობინება და იქიდახ მისი რაზმის საშველად მყისვე დაიძრა ორი ასეული რეგულარული ჯარისა. ამ ასეულებსაც ისეთივე დღე მოელოდა, მაგრამ ამ დროისათვის აჯანყებულ გლეხებში თავი იჩინა უთანხმოებამ, ქალაქიდახ ჩამოსულებმა მოიტანეს ამბავი 17 ოქტომბრის მანიფესტისა. შეხშევიკების ცდითა და გავლენით აჯანყებულებმა მოხსნეს ალყა ლაზარენკოს რაზმს. მაგრამ თვითონ იარაღი არ დაუყრიათ და შეიარაღებული რაზმები კვლავაც შეინარჩუნეს.

ნასაკირალის ამბებმა დიდი გამარეგოლუციონერებელი გავლენა იქონია არა მარტო გურიაზე, არამედ მთელ საქართველოზეც გურიის ამბებისადმი ქართველი ხალხის ერთობლივი გამოხმაურების მაჩვენებელია იმავე 1905 წლის 30 ოქტომბერს თბილისში ჩატარებული მიტინგი, რომელიც ოზურგეთის მაზრაში შექმნილ მდგომარეობას მიეძღვნა. „რადგან გურიის მოძრაობა თავისი ხასიათით და მიზნებით არაფრით არ განსხვავდება რუსეთის დახარჩენი დემოკრატიის განმანთავისუფლებელი მოძრაობისაგან — აღნიშნავდნენ მიტინგის მონაწილენი — სახალხო მიტინგი პროტესტს უცხადებს მთავრობის აგრესიულ პოლიტიკას გურიის მიმართ. პოლიტიკანები იმიტომ აუკუღმართებენ გურიის მოძრაობის აზრს, რომ უფრო ადვილად მოიხმარონ სამხედრო ძალა გურიაში რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად. მიტინგი დაუყოვნებლივ მოითხოვს, გამოწვეული იქნან გურიდან ჯარი და კაზაკები“¹. მიტინგი აფრთხილებდა მთავრობას, თუ „გურიის გასასრესად“ ჯარს გააგზავნიან, მთელი ქართველობა ავჯანყდებითო“.

ასეთი პროტესტები, გურიაში დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნასთან დაკავშირებით, მრავალი იყო. მაგალითად, თბილისში ცნობილი მწერლისა და შესანიშნავი საზოგადო მოღვაწის ი. იმე-

¹ იხ. ცსიამ, ფონდი 400, საქმე იბ ფ. 24—25 და „ცნობის ფურცელი“ 1905 წ. 1 ნომბერი.

დაშვილის ხელმძღვანელობით ჩამოვიდნენ კახეთის გლეხობის წარმომადგენელნი, ოცდაათკაციანი ცნენოსანი დელეგაციის სახით და მეფის ნაცვლის მოადგილეს განუცხადეს: „ყველანი მზად ვართ სისპლის უკანასკნელ წვეთამდე დაეიცვათ გურულებით“,¹ თუ იქიდან დამსჯელ რაზმს არ გამოიყვანთ.

როგორც აღნიშნავს ი. ხუციშვილი: „მძლავრმა საპროტესტო მოძრაობამ პარტიზანული ბრძოლის გაძლიერებამ, სამხედრო ადმინისტრაციისა და სამხედრო ხელისუფალთა წრეებში შექმნილმა პანიკამ და დაბნეულობამ, საკუთარი ძალებისადმი რწმენის უქონლობამ აიძულა მეფის ნაცვალი ხელი აეღო ოზურგეთის მაზრაში დამხმარე დამსჯელი რაზმის გაგზავნაზე.“²

1905 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში თბილისში დაიწყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის გადაზრდა შეიარაღებულ აჯანყებაში. ამ შეიარაღებულმა აჯანყებამ საქართველოს მრავალ კუთხეში მძლავრ გაქანებას მიაღწია. ქუთაისის მრავალ მაზრაში, მათ შორის ოზურგეთისაშიც, აჯანყებულებმა გააუქმეს მთავრობის დაწესებულებანი სოფლად, ადგილობრივი სასამართლოები და ისინი სახალხო ხელისუფლების არჩევითი ორგანოებით და სახალხო სასამართლოებით შეცვალეს. მთელი ოზურგეთის მაზრა აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. აქ რევოლუციურ მმართველობას სათავეში ედგა კომიტეტი, რომელთა წევრები ხალხის ნდობით სარგებლობდნენ.

ერთ-ერთი ასეთი გაულენიანი და ავტორიტეტული წევრი იყო ჯოლა ლომთათიძეც. დეკემბერში გურიის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა ასეთი ცნობა გამოაქვეყნა: „მოქალაქენო, გურიაში არსებობს სამხედრო რევოლუციური შტაბი. რომელსაც აკისრია გურიის საბრძოლო რაზმების შექმნისა და მათდამი ამა თუ იმ რევოლუციური გამოსვლისადმი ხელმძღვანელობის მოვალეობა. სამხედრო-რევოლუციური შტაბი მკაცრად იცავს სამხედრო-რევოლუციურ დისციპლინას. ზოგიერთი საბრძოლო რაზმეული უცხო პირებთან ერთად პირდაპირ ზულიგნურად მოქმედებს და ყველაფერს

¹ იხ. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1905 წელი, 3 ნოემბერი.

² ი. ხუციშვილი „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“, სახელგამი, 1958 წელი, გვ. 311.

იტაცებს, რაც ხელში მოხვდება, ამიტომ სამხედრო შტაბი ამით აცხადებს, რომ: 1. სასტიკად აკრძალულია ასეთი მოქმედება, 2. კერძო პირებს სასტიკად ეკრძალებათ იარაღი ატარონ ქალაქ ოზურგეთში, 3. აკრძალულია შტაბის ნებართვის გარეშე იარაღით და მასაღით ყოველგვარი ვაჭრობა და მისი გაცვლა, 4. სამხედრო შტაბი დროებით ნიშნავს პატრულებს ქალაქში და 5. დამნაშავე პირები გადაეცემიან სამხედრო სასამართლოს“.¹

„ახალი სახალხო ხელისუფლება რევოლუციურად წყვეტდა აგარულ საკითხს. აწყობდა ოზურგეთისა და მისი მაზრის სამეურნეო ცხოვრებას. მან შემოიღო რევოლუციური წესრიგის დაცვა, ხელთ იგდო სარკინიგზო ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. იგი ზრუნავდა მოსახლეობის მომარაგებაზე, ხელმძღვანელობდა ახალი წითელი რაზმების ჩამოყალიბებას, იარაღის შეძენას და განაწილებას, სახალხო სკოლების შექმნას, აწყობდა რევოლუციურ სასამართლოს და ა. შ. ნდობით აღჭურვილი პირები ხშირად გამოდიოდნენ ინფორმაციებით ოზურგეთისა და მის მაზრაში მოწყობილ მიტინგებზე თავიანთი საქმიანობის შესახებ, ამასთან ერთად ყურს უხვდებოდნენ და ასრულებდნენ ბალხის მითითებებს“.²

სხვა „რესპუბლიკების“ საქმიანობაც ასეთივე იყო.

ვ. ი. ლენინი თავის ცნობილ „მოხსენებაში 1905 წლის რევოლუციის შესახებ“ ამგვარი „რესპუბლიკების“ შესახებ შემდეგს აღნიშნავდა: „რუსეთის ზოგიერთი ქალაქი იმ დღეებში განიცდიდა პერიოდს სხვადასხვა ადგილობრივი პატარა „რესპუბლიკებისას“, რომლებშიც მთავრობის ხელისუფლება გადაყენებულ იქნა და მუშათა დეპუტატების საბჭო ნამდვილად მოქმედებდა, როგორც ახალი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება. სამწუხაროდ, ეს პერიოდები მეტად ხანმოკლე იყო „გამარჯვებანი“ მეტად სუსტი, მეტად იზოლირებული“.³

სამწუხაროდ, ჭ. ლომთათიძის ცხოვრების ამ პერიოდზე (1905 წლის შემოდგომიდან—1906 წლის გაზაფხულამდე) დაწვრილებით

¹ იხ. საქ. სსრ ცსია, ფონდი 113, „თბილისის სასამართლო პალატა“, საქმე „გურიის რესპუბლიკის შესახებ მოწმეთა დაკითხვის ოქმები“.

² იხ. ვ. გ. ხუციშვილი, „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“ სახელგამი, 1958 წ., გვ. 373—374.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ. მე-4 გამოც. ტომი 23, გვ. 327.

არაფერი ვიცით და არც რაიმე დოკუმენტია გამოვლენილი. ცნობების შევსების ერთადერთი წყარო, ჭერჭერობით ისევე მისი პუბლიცისტური წერილებია (რომლებიც მაშინ ფსევდონიმებით იბეჭდებოდა, ხოლო სრულად გამოვლენილი ჭერაც არაა) და ჭოლას მახლობელთა მოგონებებია.

მაგრამ ერთი სავსებით ცხადია: ამ პერიოდში ჭოლა დაუცხრომელ რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა. იგი, როგორც აღვნიშნეთ, გურიის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი იყო და იარაღსამული გლეხობის მეთაურად გვევლინება. ყველა საბუთი ამაზე ლაპარაკობს, რომ ამ დროს ჭოლა ლომთათიძე ხალხში უდიდეს ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი ვერ მოიპოვებდა აჯანყებულ გურიაში ამ ავტორიტეტს, რომ მენშევიკური, შემთანხმებლურ-ოპორტუნისტული, ჩადალი პოლიტიკის გამტარებელი ყოფილიყო.

1905—1906 წლებში (IV ყრილობამდე) ჭოლა ფაქტიურად ბოლშევიკური ტაქტიკის გამტარებელია, თუმცა ფორმალურად მენშევიკურ ფრაქციის წევრად თვლის თავის თავს. დაწყებული 1905 წლის, ზაფხულიდან, როცა ნოვოროსიისკიდან ჩამოვიდა და ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, იგი აქტიური მოქმედების მომხრედ გვევლინება და საქმით შეიარაღებული აჯანყებისათვის იღწევს. მისი მეუღლის მოწმობით, ნასაკირალის ბრძოლების დროს, ჭოლა იქვე მახლობლად იმყოფებოდა და ენერგიულად უწყობდა ხელს მასების დარაზმვას, რეზერვების მომზადებას.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხებამ მოსკოვში, (რომელიც ვ. ი. ლენინის შეფასებით, რუსეთის პირველი რევოლუციის უმაღლესი საფეხური იყო და რომლის დამარცხების მიზეზს, ერთის მხრივ, იარაღისა და წითელი რაზმების სიმცირე, ხოლო, მეორე მხრივ, აჯანყების დაქსაქსულობა და არაორგანიზებულობა წარმოადგენდა), თბილისის პროლეტარიატის გამოსვლების დამარცხებამ, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მოღალატურმა საქმიანობამ და რეაქციული ჯარების სიჭარბემ განაპირობა შეიარაღებული აჯანყების დამარცხება მთლიანად საქართველოში.

მიუხედავად ამისა, ქართველი პროლეტარიატი 1906 და 1907 წლებშიაც განაგრძობდა ბრძოლას. ამის თაობაზე ვ. ი. ლენინი წერდა: „რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოსადეგი ჯარები,

ყველგან უკვე ამოძრავებულია, ხოლო კავკასიისა და ციმბირის „ღამშვიდება“ ჯერ კიდევ ქიანურდებაო“.¹

1906 წლის დამდეგისათვის რეაქცია საქართველოში მწვაედება. თვითმპყრობელობა შეუდგა საქართველოში აჯანყების ჩაქრობას. „მეფის სატრაპები კალისასვით მოედვენ მთელ საქართველოს, აჯანყების ჩაქრობაში საქართველოში მონაწილეობდა 15 ქვეითი პოლკი, 8 საკავალერიო და კაზაკთა პოლკი, 11 საარტილერიო ბატარეა, 3 სატყვიამფრქვევო ასეული და 2 სხვადასხვა დანიშნულების ბატალიონი. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩაფრები, გოროდოვოელები, ჟანდარმები და შავრაზმელები, რომელთა საერთო რიცხვი 3.000 კაცს აღემატებოდა“.²

1906 წლის იანვრის დასაწყისში, ბათუმში ფორმირებულ იქნა დამსჯელი რაზმი გურიის „წესრიგისა და კანონიერების“ დასამყარებლად. საექსპედიციო რაზმს მეთაურობდა პოლკოვნიკი კრილოვი, რაზმში ნახევარ ათასამდე ჯარისკაცი შედიოდა. კრილოვმა მოთხოვა გურიის გლეხობისაგან, რომ მისთვის ჩაებარებინათ 4.000 შაშხანა, რაზედაც გლეხებს მოსწრებულად უპასუხიათ: — „ჩვენ რომ ამდენი იარაღი გვქონოდა, არც ერთ თქვენგანს მხრებზე თავი არ შერჩებოდაო“. დაიწყო რეაქციის აღვირახსნილი თარეში და სისხლიანი რეპრესიები.

1906 წლის დასაწყისში რეაქციის გამძაფრების გამო ჭ. ლოხთა-თიძე კვლავ არალეგალურ მდგომარეობაზე გადადის და ეს მაშინ, როცა მენშევიკთა თითქმის ყველა ლიდერი საეცებით ლეგალურად ცხოვრობდა. ეს ფაქტიც იმის მაჩვენებელია, რომ ჭოლა არასოდეს არ ყოფილა მხდალი, თავდამზღვევი და ორტოდოქსი მენშევიკი, რომ იგი რეაქციის ხანაში ბოლშევიკ-რევოლუციონერთა მსგავსად იატაკქვეშეთში ყოფნას რჩეობს და ჩანს, საამისო მიზეზებიც აქვს. 1905 წლის ზაფხულიდან (ნოვოროსიისკიდან დაბრუნებულ შემდეგ) 1906 წლის იანვრამდე იგი რომ „თვინიერი“ პოლიტიკის გამტარებელი ყოფილიყო, მას არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლა აღარ დასჭირდებოდა.

1 ვ. ი. ლენინი, თხზ. მე-4 გამოცემა, ტომი X, გვ. 98.

2 ი. ხუციშვილი, „1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში“, სახელგამი, 1958, გვ. 378—379.

1906 წლის მარტ-აპრილში იგი თანამშრომლობს რსდმპ გაერთიანებული თბილისის კომიტეტის ყოველდღიურ ქართულ გაზეთ „ელვაში“¹, რაც შეეხება მხატვრულ შემოქმედებას, მას 1904—1905 და 1906 წლებში აღარათფერი გამოუქვეყნებია, რადგან მთლიანად რევოლუციურ საქმიანობაში ჩაფლულს, ლიტერატურულ მუშაობისათვის აღარ ეცალა.

1906 წლის მარტ-აპრილში, საქართველოს რსდმპ ორგანიზაციებში დაიწყო სამზადისი რსდმპ პარტიის მორიგი IV ყრილობისათვის. მენშევიკებმა, რომელნიც ისწრაფოდნენ, რათა აღგილობრივ ორგანიზაციათაგან დელეგატებად მენშევიკები გაეყვანათ, ხელი შეუწყვეს კოლა ლომთათიძის IV ყრილობის დელეგატად წამოყენებას, რადგან იცოდნენ, რომ გურიაში დიდი ავტორიტეტის მქონე კოლა აუცილებლად არჩეულ იქნებოდა, თუნდაც მისთვის ვინმე ბოლშევიკი დაეპირასპირებინათ. შემდეგ კი მენშევიკ. ლიდერებს იმედი ჰქონდათ, რომ ფრაქციული დისციპლინის მოშველიებით ისინი შესძლებდნენ თავის სასარგებლოდ მის გამოყენებას.

მართლაც, 1906 წლის აპრილში ჯ. ლომთათიძე აირჩიეს რსდმპ IV „გამაერთიანებელი“ ყრილობის დელეგატად, გურიისაგან, გადამწყვეტი ხმით (ამ ყრილობაზე გურიისაგან სამი დელეგატი იყო წარგზავნილი) და კოლაც დაუყოვნებლივ გაემგზავრა სტოკჰოლმში (შვეცია). თუ რაოდენ ძნელი იყო ეს მგზავრობა ამას ცხადყოფს კომუნისტური პარტიის უძველესი წევრის, ე. დ. სტასოვას მოგონება, რომლის ნაწყვეტს აქ მოვიყვანთ:

„პეტერბურგში, რუსეთის სხვადასხვა მხრიდან ჩამოსულ დელეგატთა მიღებასა და დაბინავებას ხელმძღვანელობდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია. ჯ. ჰელსინკფორსში (ჰელსინკში) ვიღებდი და ვანაწილებდი მე, ხოლო იმათ, ვინც მიემგზავრებოდა ქალაქ აბოზე გაეღიოთ, იღებდა ვალერიან ივანეს ძე ბოგომოლოვი („ეშმაკი“). ხანდახან მე და ბოგომოლოვი ურთიერთს ეცვლიდით ე. ი. იგი ჩამოდიოდა ჰელსინკში, ხოლო მე ქ. აბოში მიემგზავრებოდი.

¹ ამ გაზეთს პოლიცია დაესხა სწორედ მაშინ, როცა იქ კრება მიმდინარეობდა. დააპატიმრეს ფ. მახარაძე, მ. ბოჭორიძე, გ. ქიქოძე შემდეგ მ. ცხაკია და ბევრი სხვა.

იმ შემთხვევაში, როცა საჭირო ხდებოდა დელეგატთა დიდი რაოდენობის ერთდროულად გადაყვანა (იგულისხმება რუსეთ-ფინეთის საზღვარზე გადასვლა. გ. ც.), ჩვენ მივემგზავრებოდით ქ. განგეში. ასე, მაგალითად, ერთხელ მე და „ემშაკმა“ შევიტყვეთ, რომ გროვდება დელეგატთა დიდი რაოდენობა. „ბორზე“ ისინი აუცილებლად თვალში საცემი იქნებოდნენ („ბორე“ გემის სახელწოდებაა, რომლითაც დელეგატები მიემგზავრებოდნენ. გ. ც.). ამ გემზე ჩვენ გადაგვყავდა არა უმეტეს 2—3 დელეგატისა. მოგვიხდა დელეგატთა დიდი ჯგუფის განგეს გზით გამგზავრება, ვითომდაც მასწავლებელთა ექსკურსიისა. ამასთან, თვითველმა დელეგატმა მიიღო „დავალება შეეძინა შესაფერი ტანსაცმელი ე. წ. „კოსტუმი-სამეული“, რათა არავითარი ეჭვი არ აღეძრა.

უკან მობრუნებისას საქმე ასეთნაირად მოვაწყეთ: ლ. მ. კნიპოვიჩი აძლევდა დელეგატებს ფულსა და საიდუმლო მარშრუტს, ან განგეზე გავლით, ან აღდანის კუნძულებზე მდებარე მარიენგამნამდე, ანდა ქ. აბომდე. მარიენგამნაში ჩასული ამხანაგები ყოვნდებოდნენ იქ ჯამ დღეს. ჩვენ ეს ხელს გვიწყობდა, რადგან საჭირო იყო მათი ნაკადის რუსეთში დანაწევრებულად გამგზავრება. განგესა, აბოსა და მარიენგამნაში ისინი იღებდნენ ფულს და საიდუმლო მისამართს ჰელსინგფორსამდე, ხოლო იქიდან ქ. ვიბორგამდე. ყოველივე ეს კეთდებოდა იმ მიზნით, რომ თავიდან აგვეცილებინა დელეგატთა ერთდროული ჩასვლა პეტერბურგში.

ვიბორგიდან დელეგატები მიემგზავრებოდნენ სააგარაკო მატარებლებით და პიტერში ცალკე-ცალკე ჩადიოდნენ. ამ სისტემის წყალობით მეფის პოლიციამ, თუმცა კი შეიტყო სტოკჰოლმის ყრილობის შესახებ, მაგრამ ვერც ერთი დელეგატი ვერ დააპატიმრა. ყველა ისინი მშვიდობიანად დაბრუნდნენ თავ-თავიანთ ორგანიზაციებში და შესძლეს ყრილობის გადაწყვეტილებანი და მისი მუშაობის ამბავი თავიანთი ამომრჩეველებისა და ორგანიზაციებისათვის მოეხსენებინათ“.¹

ჟოლას პოლიტიკური იდეალებისა და იდეური მრწამსის გასათვალისწინებლად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მის მონაწილეო-

¹ Е. Д. Стасова, «Страницы жизни и борьбы», Гос. Издат. политической литературы, Москва, 1957, стр. 58.

ბას და გამოხსვლებს ამ ყრილობაზე, რის გამოც შედარებით ვრცლად შეეჩერდებით ამ საკითხზე.

როგორც ცნობილია, რსდმპ IV „გამაერთიანებელი“ ყრილობა მიმდინარეობდა 1906 წლის 23 აპრილიდან 8 მაისამდე (10—25 აპრილი ძველი სტილით). იგი შედგა ქ. სტოკჰოლმში. ეს ყრილობა თავისი შემადგენლობით მენშევიკური იყო (მას ესწრებოდა 62 მენშევიკი და 46 ბოლშევიკი). ჰოლა, ისევე როგორც დელეგატთა უმრავლესობა, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა ფსევდონიმით. იგი ვორობიოვის გვარით ფიგურირებდა.

იმისათვის, რომ უფრო ღრმად გავერკვეთ იმ განწყობილებებსა, ტენდენციებსა და აზრებში, რომელიც ყრილობის დროს ჰოლა ლომთათიძისათვის იყო დამახასიათებელი, უნდა შევეხოთ ყრილობის მუშაობის რამდენიმე დეტალს. ეს „წვრილმანი“ საქმე როდია, სწორედ ეს წვრილმანი ქმნის ფაქტების ამ ჯაჭვს, რომელიც საბოლოო ანგარიშში ჰოლა ლომთათიძის პარტიულ-იდეოლოგიური პროფილის გამოკვეთაში დაგვეხმარება.

ამ ყრილობაზე, ისევე როგორც შემდგომზე (V-ზე), რომელზედაც ჰოლა მონაწილეობდა, ტარდებოდა ე. წ. სახელობითი კენჭისყრა. ყრილობის მთელი მუშაობის მანძილზე იგი რამდენჯერმე განმეორდა. რამდენადაც ასეთი კენჭისყრა ყოველთვის გამოხატავდა გარკვეულ წინააღმდეგობებს და წარმოადგენდა მძაფრი კამათის შედეგს ბოლშევიკებს და მენშევიკებს შორის (მათ, როგორც ვთქვით, ამ ყრილობაზე ხმის უმრავლესობა ჰქონდათ) ამიტომ საინტერესოა რა პოზიცია ეჭირა ჰოლას სახელობითი კენჭისყრის დროს, ე. ი. ყველაზე მძაფრი საკამათო საკითხების გადაჭრისას.

პირველი კენჭისყრა მოხდა რეგლამენტის შეცვლის წესის საკითხზე (შეიცვალოს იგი კენჭისყრით თუ არა). ვ. ი. ლენინი და ბოლშევიკების უმრავლესობა ამის მომხრე იყო, მენშევიკები კი წინააღმდეგი. ჰოლამ ერთადერთმა ქართველმა მენშევიკთაგან სხვა 7 კაცთან ერთად (მათ შორის იყო სტ. შაუმიანი) თავი შეიკავა ამ საკითხზე დავისას და მამასადამე, არ აპყვა მენშევიკურ ფრთას.

საინტერესოა, რომ ყრილობის მესამე სხდომაზე ვ. ი. ლენინმა, რომელიც გაეკამათა მენშევიკ დანს, გამოთქვა აზრი დღის წესრიგში ნაციონალური საკითხის შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ და დაეთანხმა მათ, ვინც ეს წინადადება შემოიტანა. ნოე ჟორდანიას კ

პირიქით, გამოვიდა ნაციონალური საკითხის განხილვის წინააღმდეგ, ვ. ი. ლენინმა და ქართველოვმა (ვიქინაძემ) შეიტანეს წინადადება, რომელიც დიდი უმრავლესობით გავიდა და მან დღის წესრიგის მე-11 პუნქტის სახე მიიღო ამ კამათში. ჭოლა ლენინის მხარეზე იყო.

ამავე სხდომაზე ჭოლას შეაქვს წინადადება დატოვებულ იქნას დღის წესრიგში საკითხი — „არჩევნების შედეგები და სახელმწიფო. სათათბიროსთან დამოკიდებულების შესახებ“ უცვლელად, როგორც იგი ფორმულირებულია გაერთიანებული ც.კ.-ის პროექტში. მაგრამ ეს წინადადება არ გავიდა. უმრავლესობამ მიიღო მენშევიკ დანის წინადადება. ლენინი თავის ცნობილ წერილში „მოხსენება რსდმპ გამაერთიანებელ ყრილობის შესახებ“ წერდა, რომ მენშევიკები არ აძლევენ არავითარ შეფასებას არჩევნებს სათათბიროში, რომელთა ეშინიათ პირდაპირ შეხედონ სინამდვილეს და ამიტომ არ სურთ საერთო შეფასება მისცენ არჩევნებს, რადგან ასეთი შეფასება მათ წინააღმდეგ ლაპარაკობსო. ჩანს. ჭოლა არ ეთანხმებოდა ამ საკითხში მენშევიკებს და მომხრე იყო სათათბიროსადმი უფრო მკაფიო პოლიტიკისა და არჩევნების მთლიანობაში შეფასებისა. მენშევიკთა უმრავლესობამ კი მიიღო დანის შესწორება და დღის წესრიგში ნაცვლად პუნქტისა — „სახელმწიფო-სათათბიროში არჩევნებისა და თვით სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხი“ — შეტანილ იქნა „სახელმწიფო სათათბიროში არჩევნები“ — რაც არსებითად ცვლიდა საკითხს. ცხადია, რომ შედეგის განხილვა სულ სხვა რამაა, ვიდრე არჩევნებისადმი და თვით სათათბიროსადმი დამოკიდებულებისა, რადგან არჩევნების დროს ნდებოდა ფალსიფიცირებაც, მოტყუებაც, შანტაჟიც და სხვა მაქინაციებიც. სწორედ ამის გამოაშკარავება არ სურდათ მენშევიკებს და ამიტომაც ავიწროვებდნენ (ვითომ „აკონკრეტებდნენ“) საკითხს. ჭოლა კი ამ საკითხში არსებითად ბოლშევიკების მხარეზეა და ეს ფრიად საყურადღებოა.

არანაკლებ საინტერესოა ჭოლას გამოსვლა ყრილობის მეხუთე სხდომაზე. მასზე გამოქვეყნდა ვ. პ. აკიმოვის (მეხნოვეცის, ცნობილი მენშევიკის, რსდმპ რიგებში მყოფი ყველაზე უფრო უკიდურესი ოპორტუნისტის და «Рабочее дело»-ს ერთ-ერთი რედაქტორის) განცხადება, თხოვნით, ყრილობაზე მისი დაშვების შესახებ. ჭოლამ მაშინვე პირველმა შეიტანა წინადადება — „უარი ეთქვასო“, მაგრამ

მენშევიკთა უმრავლესობამ სათრი არ გაუტება აკიმოვს და იგი მოწვეულ იქნა ყრილობაზე სათათბირო ხმით.

რსდმპ IV ყრილობაზე ჭოლა არ ვრიდებოდა ქართველ მენშევიკთა და მათი ლიდერების წინააღმდეგ გამოსვლას, მათთან „დამოკიდებულების გაფუჭებას“. მეოთხე ყრილობაზე სამანდატო კომისიის მოხსენებოს შესახებ კამათის დროს, ნ. ჟორდანიას გამოვიდა ხარკოვის დელეგატის რწმუნებების განხილვის წინააღმდეგ. ნ. ჟორდანიას შემდეგ მაშინვე სიტყვა აიღო ჭოლამ და გაეკამათა ჟორდანიას. მან მისთვის დამახასიათებელი პრინციპულობით მოითხოვა საქმის განხილვა. „ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ბნელი საქმეების გახსნისაო“.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა ჭოლა მერვე სხდომაზე, რომელსაც ჭერ ვ. ი. ლენინი თავმჯდომარეობდა, მერე კი დანი. ამ სხდომაზე მიმდინარეობდა კამათი აგრარულ საკითხზე. ჭოლას გარდა ამ სხდომაზე საქართველოდან გამოვიდნენ ჭიჭინაძე (ქართველოვი), ნ. ჟორდანიას (კოსტროვი), საყვარელიძე (საყვარელოვი). ორი პირველი მუნიციპალიზაციას უჭერდა მხარს, უკანასკნელი კი ნაციონალიზაციას.

იმისათვის, რომ სწორად გაეიგოთ ჭოლას პოზიცია ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში, ვრცლად დევსესახებით მის სიტყვას ამ ყრილობაზე. შემდგომში ვ. ი. ლენინი წერდა: „აგრარული საკითხი ანუ, უფრო სწორად, რომ ვთქვათ, აგრარული პროგრამის საკითხი, ყრილობამ პირველ რიგში დააყენა. კამათი დიდი იყო.“¹ და აქვე ზუსტ კვალიფიკაციას აძლევდა აგრარულ პროგრამის ძირითად პროექტებს, რომლებიც ყრილობაზე იქნენ წამოყენებულნი.

ჭოლა ამბობდა: „ახალი აგრარული პროგრამის აუცილებლობას ყველა აღიარებს. ამ საკითხზე, ვფიქრობ არ არსებობს ორი აზრი ჩვენს წინაშე. სამი მთავარი პროექტია: 1. მუნიციპალიზაციის, 2. ნაციონალიზაციის და 3. დაყოფის (раздел). წარმოდგენილ პროექტთა სიუხვის გამო უნდა დაგვესკვნა, რომ ამ საკითხში ფრაქციულობა არ უნდა შეგვეტანა — არიან მენშევიკები, რომლებიც ამ საკითხში მხარს უჭერენ ლენინს, და პირიქით, არიან ბოლშევიკები, რომლებიც იხრებიან ამხ. ჯონის² პროექტისაკენ.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტომი 10, გვ. 392.

² ჯონ (Джон) — პარტიული სახელი ყრილობის დელეგატის პ. პ. მასლოვისა, ცნობილი ეკონომისტი, აგრარული საკითხის სპეციალისტი. II ყრილობის შემდეგ მენშევიკი. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მეცნიერულ სამუშაოზეა. 1929 წლიდან აკადემიკოსი.

ამ პროექტიდან რომელია ჩვენთვის ყველაზე სასარგებლო? გლეხები მოინდომებენ მიწას — ეს ფაქტია. მიწების დატაცება გლეხთაგან ნიშნავს რევოლუციის მაქსიმალურად გაქანებას. ვინ ჩადგება მაშინ რევოლუციის სათავეში? ვინ უხელმძღვანელებს გლეხთა აჯანყებას? თუ, როგორც ამას ვვარაუდობთ, სათავეში ჩვენ ჩვეულებით და გლეხთა მოძრაობას ჩვენ დავუფუძლებით, მაშინ რევოლუციურ კომიტეტებში აღმოჩნდებიან სოციალ-დემოკრატები. ისინი იქნებიან დამფუძნებელ კრებაშიც. მიწათმფლობელობის რომელ ფორმას შესთავაზებენ ისინი გლეხობას?..

მაშასადამე, რა რჩევა უნდა მივცეთ ჩვენ გლეხობას? — კითხულობს ჭოლა და ამტკიცებს, რომ „ჩვენ უნდა ვეცადოთ სოფელში ისეთი პირობების შექმნა, რომ კლასთა ბრძოლა უფრო ფართოვდებოდეს და ვითარდებოდესო“. ამ მიზნით ჭოლას ყველაზე მიზანშეწონილად მიაჩნია მიწების გადაცემა ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის.

ამასთან დაკავშირებით იგი საკმაოდ მძაფრად ეკამათება ი. ბ. სტალინს, რომელმაც აღნიშნა, რომ გურიაში იყო არა რევოლუციური თვითმმართველობა, არამედ რევოლუციური თვითმმართველობები და რომ ყველა საქმეებს გურიაში მეთაურობდა კომიტეტი (ი. ბ. სტალინიმა ჭოლას რეპლიკა ესროლა: „თავის დროზე მე გიპასუხებთ ამაზეო“). ჭოლა კი ამტკიცებდა, რომ გურიაში რევოლუციური აღმავლობის დროს, რეაქციის გამარჯვებამდე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები წარმატებით მეთაურობდნენ მასებს (რსდმპ კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობის პირობებში) და, რომ ამ დემოკრატიული ორგანიზაციების საქმიანობა და განვითარება შეაფერხა დაწყებულმა რეაქციამ. ამით ჭოლა ამტკიცებდა, რომ გურიაში (გურიის საკითხი ამ პრობლემასთან დაკავშირებით ერთ-ერთმა მომხსენებელმა „ჯონმა“ წამოჭრა) მოგვცა მაგალითი იმისა, თუ როგორ შესძლებენ ადგილობრივი თვითმმართველობები გაუძღვენ საქმეს, იმ შემთხვევაში, თუ მიწა მათ გადაეცათ, ე. ი. მიწის მუნიციპალიზაციის პირობებში. მაგრამ ჭოლა არ იყო „მუნიციპალიზაციის პროექტის იმ სახით მიღების მომხრე, როგორც ეს მენშევიკებმა წამოაყენეს. იგი არ იყო „მუნიციპალიზაციის“ ორთოდოქსი მომხრე. იგი იცავდა „მუნიციპალიზაციას მიწათა დაყო-

ფით“. ეს მეტად საყურადღებო მომენტი. იგი გვიხასიათებს ჭოლას პოზიციას აგრარულ საკითხში და გვიჩვენებს, რომ ამაში იგი არ გაპყვა მთლიანად მენშევიკებს. აი, რას ამბობდა იგი თავისი სიტყვის დასასრულს: „მე, ისევე როგორც სხვებს, შემძლია აღვნიშნო, რომ გლეხობას სურს მიწა და იგი მიაღწევს კიდევ თავის საწადელს. რა იქნება შემდეგ, ან რაზე დათანხმდება იგი — გადასცეს მიწა სახელმწიფოს, თუ მუნიციპალიტეტს — ძნელი სათქმელია. მე პირადად, კი მომხრე ვარ მიწის „მუნიციპალიზაციისა, დაყოფით“. შემძლია დაეუმატო ერთი რამ. თუ ჩვენ ვაშარცხებდით სოციალ-რევოლუციონერებს სოფლად, უმთავრესად იმიტომ, რომ ჩვენი გლეხობისათვის სრულიად უცხოა აზრი მიწის სოციალიზაციის შესახებ, დოვლათის საერთო საარგებლობის შესახებ“.

როგორც ცნობილია, ამ ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა ხმა მისცა „დაყოფის მომხრეებს“, რათა დაექსაქსა ხმები და ხელი შეეშალა მიწათა მუნიციპალიზაციის მენშევიკური პროექტის მიღებისათვის.

რადმ IV ყრილობის დღის წესრიგის მეორე პუნქტის (მიმდინარე მომენტი და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანები) განხილვისას ჭოლას მენშევიკური ფრთის პოზიცია უჭირავს. მაგრამ მან ეს პოზიცია გამოხატა არა სიტყვებში და აქტიურ გამოსვლებში, არამედ ჩუმი მონაწილეობით კენჭისყრაში. ჩვენი აზრით, იგი აქ მოქმედებდა არა იმდენად შინაგანი რწმენითა და იდეური მოტივებით რამდენადაც ფრაქციული კუთვნილების შემბოროკავი იძულებით.

კვლავ აქტიური მონაწილეობა მიიღო ჭოლამ დღის წესრიგის მესამე პუნქტის, სახელმწიფო სათათბიროსთან დამოკიდებულების განხილვისას. აქ ჭოლამ პროტესტი განაცხადა (მე-18 სხდომაზე). მან თქვა: „ვიღებ რევოლუციური წესით სიტყვას და ვაცხადებ პროტესტს, რომ მუდამ ლაპარაკობს 13 კაცი და სხვებს კი არ ალაპარაკებენ“. არსებითად, ეს შენიშვნა მენშევიკთა წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგან მათ ყრილობაზე უმრავლესობა პყავდათ და ხშირად ორატორთა ისეთ „რეგულიაციას“ ახდენდნენ, როგორც მათთვის უფრო სასარგებლო იყო.

მეცხრამეტე სხდომაზე აქვეყნებენ ჭოლას, და სხვა ოთხი ამხანაგის ერთობლივ (მათ შორის საყვარლოვიც იყო) წერილობით

განცხადებას: «Решительно протестуем против систематического гильотирования прений по самым существенным вопросам порядка дня съезда. В частности, мы протестуем против прекращения прений по вопросу о Государственной Думе, имеющей для нас, членов партии, роковое значение, значение жизни и смерти партии. Предупреждаем съезд, что систематическое гильотирование прений, лишаящее нас возможности принять участие в обсуждении и выработке тактики и сводящее наше участие в делах съезда к выслушиванию докладов, может заставить нас, в конце концов, оставить заседание съезда»¹.

მეოცე სხდომაზე მოხდა მძაფრი შეტაკება ნ. ჟორდანიასა და ი. ბ. სტალინს შორის, რომელმაც ამხილა მენშევიკების შემთხვევითი პოლიტიკა და თავის სიტყვაში მეშვიდე სხდომაზე თქვა, რომ გურიაში იყო „წვრილ-წვრილი ადგილობრივი თვთმმართველობები და არ იყო ერთიანი და მთლიანი რევოლუციური თვითმმართველობა, რომ საერთოდ, გურიაზე ბევრი ლეგენდაა გავრცელებული და რუსი ამხანაგები სრულიად უსაფუძვლოდ იღებენ ყოველივე ამას ქეშმარიტებად“.²

ნ. ჟორდანიამ დელეგატთა უფლებამოსილების საკითხის განხილვისას სპეციალურად აიღო სიტყვა (ეს საკითხი დაყენებული იქნა თბილისიდან ყრილობის სახელზე მიწერილ წერილში, რომელსაც ათი წევრი აწერდა ზელს და სადაც ნათქვამი იყო, რომ მენშევიკები ყოველი ღონით და საშუალებებით ცდილობდნენ ხმების და მანდატების მოგროვებას, რათა მეტი დელეგატი წარეგზავნათ ყრილობაზე) ჟორდანიამ სამართლიან კრიტიკას და დროულ მხილებას სიცრუე და ცილისწამება უწოდა. ცხადია, ეს, უპირველეს ყოვლისა, ი. ბ. სტალინის მისამართით იყო თქმული. როცა თავმჯდომარემ სთხოვა ჟორდანიას ეს „სიტყვები უკან წაიღე“, წამოხტა ჭოლა და თქვა — „თუ მაგან ეგ სიტყვები უკან წაიღო, მაშინ მე ვამბობ მათაო“. ცხადია, ასეთმა ინციდენტმა ჭოლასა და სტალინს შორის კიდევ უფრო გააუარესა მათი ურთიერთობა. ჭოლას

¹ Протоколы IV (Объединительного) съезда РСДРП, Партиздат, Москва, 1934 г. стр. 349.

² იქვე, გვ. 350—355.

ასეთი უცნაური გაცხარება იმით უნდა აიხსნას, რომ მასა და ი. ბ. სტალინის შორის აღრეც არაერთხელ ჩამოვარდნილა კამათი, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში საქმეში უფრო ღრმად ჩახედული, უკეთ მომზადებული, დინჯი და თანმიმდევრული ი. ბ. სტალინის სასარგებლოდ მთავრდებოდა. ეტყობა ეს აღიზიანებდა ჭოლას და ამტყობდა ურთიერთობას მათ შორის.

ამავე სხდომაზე დამტკიცდა რეზოლუცია, რომელიც ქართველ დელეგატთა ინიციატივით იქნა მიღებული და რომლის თანახმად იქ, სადაც იქნება არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში (ასეთები იმზანად ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული), ჩადმპ ორგანიზაციებს აქვს უფლება წამოაყენონ და ეცადონ გაიყვანონ თავისი კანდიდატები, მაგრამ ისე, რომ არ შევიდნენ ბლოკებში სხვა პარტიებთანო. ყრილობის ოცდამეორე სხდომაზე დაიწყო კამათი შეიარაღებული აჯანყების თაობაზე მომზადებული რეზოლუციის შესახებ. ამ სხდომაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ჭოლა.

ჭოლა ლომთათიძის ეს გონებაამახვილური და მკვეთრი სიტყვა, რომელმაც ყრილობაზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა (შენშევიკები ტაშს უკრავდნენ, ხოლო ბოლშევიკები პროტესტს აცხადებდნენ. ხშირად გაისმოდა სიცილი, შეძახილები), ერთხელ კიდევ ამქლავნებს ჭოლას მაღალ ორატორულ უნარს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სიტყვა, უმეტეს წილად. მცდარი მენშევიკური პოზიციის გამომხატველია. ამ სიტყვაში ჭოლა მძაფრად და არასწორად ესხმოდა თავს ვ. ი. ლენინის ორ ნაშრომს: „ორი ტაქტიკა“¹ და „უნდა მოვაწყოთ თუ არა რევოლუცია?“² აგრეთვე ბოლშევიკებს ვოინოვს და კრასინს, მწარედ დასცინოდა ალექსინსკის, რომელიც ყრილობაზე ბოლშევიკი იყო, მაგრამ შემდეგ თეთრი ემიგრანტი გახდა.

ჭოლა უსამართლოდ ადანაშაულებდა ბოლშევიკებს, რომ ისინი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას საპიორთა ბატალიონად მიიჩნევენ და სულ საბარკადო ბრძოლებზე ლაპარაკობენო. ამ თავის გამოსვლაში ჭოლამ პირველმა გამოთქვა აზრი, რომელმაც შემდეგ-

¹ გამოქვეყნდა ბოლშევიკურ გაზეთში „კპერიოდ“, № 6, 1905 წ. 14 თებერვალი.

² გამოქვეყნდა ბოლშევიკურ გაზეთში „კპერიოდ“, № 7, 1905 წლის 21 თებერვალი.

წი-დიდი როლი ითამაშა რსდმპ ისტორიაში და რასაც ვ. ი. ლენინი სპეციალურად გამოეპასუხა ამავე სხდომაზე, როცა მან ჭოლას გამოსვლის შემდეგ სიტყვა ეძღო, რათა საგანგებოდ ხაზი გაესვა ჭოლას მიერ გამოთქმულ მოსაზრებისათვის. თავის სიტყვაში ჭოლამ თქვა: „ყოველთვის როცა მე მიხდებოდა მეკამათა ამ თემაზე აზრანაგებთან, უმრავლესობიდან (ბოლშევიკებთან — გ. ც.) მე შეჩვენებოდა, რომ მათ განზრახ არა სურთ ჩემი გაგება, რომ განზრახ ცილს გვწამებენ ჩვენ (მენშევიკებს — გ. ც.); რათა შეურაცხყონ ჩვენი რევოლუციური თავმოყვარეობა. ახლა ვხედავ, რომ ეს ასე არ არის. ახლა აშკარაა, რომ ჩვენ სხვადასხვა შეხედულებებისანი ვართ, რომ ჩვენს შორის საშუალო ხაზის პოვნა შეუძლებელია, რომ ან ჩვენ უნდა ვიქნეთ გაძევებული პარტიიდან, ან ისინი. ამ გამაერთიანებელმა ყრილობამ ცხადყო, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიმუშაოთ ერთ პარტიაში.“¹ „მე შევიტყვე, — ამბობდა ჭოლა, — რომ რუსი დეკადენტები შეიშალენ ფერებზე, განსაკუთრებით ბაც ფერებზე. რსდმპ-ს ნაწილიც შეიშალა სიტყვებზე, განსაკუთრებით მკვეთრ, მყვირალა სიტყვებზე“.

ჭოლა ლომთათიძე ილაშქრებდა მყვირალა ლოზუნგებისა და სიტყვების წინააღმდეგ, ილაშქრებდა იმ ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელთაც მისი აზრით, ზომიერების გრძნობა აკლდათ. აი, როგორ ხატოვნად და ლამაზად (მაგრამ არცთუ მთლად მართებულად) ეკამათებოდა ჭოლა ვოინოვს (ა. ვ. ლუნაჩარსკის). ამხ. ვოინოვი ყოველთვის ლაპარაკობს მკვეთრი სიტყვებით და ამიტომაც იგი რევოლუციონერია, — ირონიით ამბობდა ჭოლა, — ჩვენ გვერდს უშვლით, ვერიდებით მკვეთრ, მყვირალა სიტყვებს, ამიტომ ჩვენ კადეტები ვართ. მაგრამ ნება მოგვეცით მოგახსენოთ, ამხ. ვოინოვო, რომ მკვეთრი, ხმაშალალი სიტყვები ჭერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ ზისხართ თეთრ ცხენზე ხმლით ხელში, როგორც ბრძანავინტერმა (ლ. ბ. კრასინმა — გ. ც.), როცა ადამიანს თავისი რევოლუციურობის დისამტკიცებლად არ გააჩნია არაფერი, გარდა ლიტონი ფრაზებისა და მკვეთრი სიტყვებისა, იგი ემსგავსება მწუხარე

¹ Протоколы IV (объединительного) съезда РСДРП, Партиздат, Москва, 1934 г. стр. 397.

სახის რაინდს, რომელიც ჯოხზე ამხედრებულა. გარწმუნებთ, რომ თქვენი ხმამაღალი სიტყვები ვერავის ვერ დააშინებენ“.

ამ გამოსვლაში ჭოლა მოითხოვდა არა დაუყოვნებლივ შეიარაღებულ აჯანყებას, არამედ რევოლუციის რეზერვების მომზადებას, ფართო მასების გარეევოლუციონერებას და ამ მიზნით აგიტაცია-პროპაგანდის კიდევ უფრო გაშლას. ამით იგი, არსებითად, მენშევიკურ პოზიციას ემხრობოდა და უპირისპირდებოდა ბოლშევიკებს, თუმცა არც მთლიანად და სავსებით.

სიტყვის დასასრულს ჭოლამ თქვა: „მე კიდევ ერთხელ ვამტკიცებ, რომ ამყამად ჩვენი მთავარი ამოცანა მდგომარეობს არა ტექნიკურ მუშაობაში შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად, არამედ მოსახლეობის უფართოესი ფენების გარეევოლუციონერებაში, რა თქმა უნდა, საჭიროა იარაღის შექმნა. მეზრძოლი რაზმების მომზადებაც, მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა პირდაპირ ვუყუროთ საგნებს და არა ფარდები ჩამოვიფაროთ თვალებზე, საჭიროა ვილაპარაკოთ სიზარტლე და არა მადალფარდოვანი, გაბერილი ფრაზები. ჩვენ ეხლა განსაკუთრებით გვესაჭიროება მასების ორგანიზაცია, საზოგადოების დანაჩინი ელემენტების გარეევოლუციონერება.“

ჩვენის აზრით, თუ ღრმად ჩავხედავთ ჭოლას სიტყვის შინაარსს, მისი პოზიცია შეიარაღებული აჯანყების მოწყობის საკითხში არ განსხვავდება რადიკალურად ბოლშევიკთა პოზიციისაგან, თუმცა ჭოლა მენშევიკთა სახელით გამოდის.

ჭოლა ლომთათიძის შემდეგ სიტყვა აიღო ვ. ი. ლენინმა, რომელმაც თავისი გამოსვლის დასაწყისში თქვა: „ამხ. ვორობიოვმა (ჭ. ლომთათიძემ — გ. ც.) თქვა, რომ მენშევიკებს არ ძალუძთ ჩვენთან, ბოლშევიკებთან ერთ პარტიაში 2უშაობა. მე მიხარია, რომ ამ თემაზე პირველმა ლაპარაკი წამოიწყო სწორედ ამხ. ვორობიოვმა, რომ მისი სიტყვები გამოდგებოდნენ „აგიტაციურ მასალად“ მე არ დავეკუვდებოდი, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა აგიტაციური მასალა პრინციპიალურ საკითხებზე და უკეთეს აგიტაციურ მასალას მიმდინარე ყრილობის წინააღმდეგ ვიდრე თქვენი (მენშევიკების. — გ. ც.) რეზოლუცია, შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენდით“.

ჭოლას სიტყვამ და ვ. ი. ლენინის უამომხაურებამ დიდი შეხლა-

შემოხლა გამოიწვია. უკვე შემდეგ სხდომაზე (ოცდამესამეზე), ყრილობის დელეგატთა ჯგუფმა წარადგინა წერილობითი განცხადება, რომელიც გამოაქვეყნა სხდომის თავმჯდომარემ — დანმა. განცხადებაში ნათქვამი იყო:

«Ставя на вид Объединительному съезду нашей партии, на который мы посланы тысячами организованных рабочих, что разногласия, известные нам и раньше, не таковы, чтобы разрывать на части РСДРП, мы горячо протестуем как против заявления т. Воробьева, что необходимо не объединяться а раскалываться, так против того, что т. Ленин подхватил это заявление, сказав, что он рад тому, что т. Воробьев это сказал первым».

Ставим на вид Объединительному съезду, что роль т. Ленина и его влияние таковы, что его слова получают особенное значение. Такие заявления недопустимы на нашем съезде для тех, кто и раньше, до съезда знал о существующих в партии разногласиях»¹.

ახლოვური განცხადება გააკეთა დელეგატთა სხვა ჯგუფმაც. ეს განცხადებაც სხდომის თავმჯდომარე დანმა გამოაქვეყნა. ამ მეორე განცხადებაში ნათქვამი იყო:

«Энергично протестуем против заявления т. Воробьева и поддержавшего его т. Ленина, что мы не можем работать в одной партии и что большинству и меньшинству необходимо расколиться. Не имея императивных мандатов, мы все же, несомненно, отражаем безусловно прочное убеждение делегировавших нас организованных социал-демократов, что партия наша должна составить одно организованное целое, несмотря на наличие расхождений в вопросах тактики. Если бы мы разделяли взгляд т. Воробьева, то были бы лицемерами, идя на Объединительный съезд, о котором раньше было всем известно, что на нем будут представлены два тактических течения.

В этом отношении занятия съезда ничего нового не дали, и мы предполагаем во всяком участнике Объединительного съезда уверенность не только в возможности, но и в необхо-

¹ Протоколы IV (Объединительного) съезда РСДРП, Партиздат Москва, 1934 г. стр. 405

დიმოსი სოვმესთნოი რაბოთა ობოიხ ტეჩენიი ვ ედინოი პარტიი»!

ისტორიამ ცხადყო, რომ მართალი იყვნენ არა ეს მოღვაწენი, რომელნიც შესაძლებლად თელიდნენ მენშევიკთა და ბოლშევიკთა თანამშრომლობასა და ერთ პარტიაში ყოფნას, არამედ პირდაპირი და უკომპრომისო ჭოლა ლომთათიძე.

ამავე სხდომაზე გამოქვეყნდა ჭოლას წერილობითი განცხადება, რომელშიც იგი წერდა: «Ввиду того, что во время перерыва товарищи обращались ко мне с упреком, заявляю: «В сегодняшней моей речи, я, коснувшись вопроса об объединении с большевиками, выразился в том смысле, что невозможно найти среднюю линию объединения и что или течение меньшинства должно быть изжито, или наоборот. При этом я выражаю свое собственное мнение, а не мнение моих товарищей»¹.

ოცდამეექვსე სხდომაზე ამავე საკითხზე წაკითხულ იქნა ვ. ო. ლენინის განცხადება. ვ. ო. ლენინი წერდა:

«Неверно, что я «поддержал» т. Воробьева, сказавшего, что работать вместе в одной партии большевики и меньшевики не могут. Я отнюдь не «поддерживал» такого утверждения и отнюдь не разделяю такого взгляда.

Смысл моих слов: «Я рад, что т. Воробьев сказал это первым был исключительно иронический, ибо победители, имеющие большинство на съезде, обнаружили лишь свою слабость, заговаривая первые о расколе»².

როცა ყრილობა იხილავდა რეზოლუციას შეიარაღებული აჯანყების შესახებ, იხილებოდა სამი პროექტი: მენშევიკების, ბოლშევიკების და აკიმოვის (მახნოვეცის). ჭოლამ ხმა მძცა მენშევიკთა რეზოლუციას და არც შეეძლო სხვანაირად. ეს მთავარი საკითხი იყო და უთანხმოება ამ საკითხზე ნიშნავდა ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას მენშევიკებთან, რისთვისაც ჭოლა ამხანად შინაგანად მომზადებული ჭერ კიდევ არ იყო, მაგრამ აქვე მან ჩაიდინა უცნაური საქციელი — მან მხარე დაუჭირა აგრეთვე მეორე რეზოლუციასაც (აკი-

¹ Протоколы IV (Объединительного) съезда РСДРП. Партиздат, Москва, стр. 406.

² Протоколы IV (Объединительного) съезда РСДРП. Партиздат, Москва, 1934 г. стр. 405.

მოვისას). საყურადღებოა, რომ ამ უკანასკნელის მომხრე მხოლოდ ორი დელეგატი იყო — ჯოლა და ბოლშევიკი კოლპინი (ს. ფ. კოტოვი, პეტერბურგიდან). რა უნდოდა ამით ჯოლას? ჭერჯერობით ძნელი სათქმელია.

რსდმპ IV ყრილობის დამთავრებისთანავე ჯ. ლომთათიძე საქართველოსაკენ გამოემშურა და კვლავ არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა, რადგან ოზურგეთის მაზრის უფროსი გამძვინვარებული დასდევდა საშიშ რევოლუციონერსა და მემამბოხე პროპაგანდისტს (თუმცაღა მრავალი მენშევიკი-პროპაგანდისტისადმი რაღაც საექვეო ნეიტრალობას იჩენდა).

ამ დროს ჯოლამ კვლავ დაუცხრომელი რევოლუციური საქმიანობა გაშალა და ყოველნაირად ცდილობდა მის მიერ ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა პრაქტიკულადაც განეხორციელებინა. იგი კვლავ დიდ გაჭირვებასა და საფრთხეში იმყოფებოდა. აი, როგორ აღწერს ამ პერიოდში ჯოლას ცხოვრება მისი მეგობარი ს. რემონიძე: „თუ რომელიმე პარტიის ლიდერი გამოვიდოდა სალაპარაკოდ, ძირველად ჯოლას გამოუშვებდნენ, როგორც საუკეთესოდ მომზადებულს. ლაპარაკი იცოდა უბრალოდ, ირონიული ღიმილით, მოპირდაპირესაც კი არ წყენოდა მისი ლაპარაკი. ჯოლა სრულიად უბრალო ადამიანი იყო, შეუმჩნეველი, არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა თქვენზე. სანამ დაახლოვებით არ გაიცნობდით. მანამდე ვერც კი წარმოიდგენდით, თუ მას რაიმე სერიოზული მომზადება და დადებითი ღირსება ჰქონდა. იცვამდა სრულიად უბრალოდ. კარგად ჩაცმული ის არავის ახსოვს მანამ, სანამ სათათბიროში არ აიჩიეს დეპუტატად. არასოდეს თავის პირად ბედნიერებაზე არ ფიქრობდა. თავის თავი თითქოს არც კი ახსოვდა. ამიტომ თითქმის არ ყოფილა ისეთი დღე, რომ კრიტიკული მდგომარეობა არ ჰქონებოდა. ამ მხრივ ყველაფერი აკლდა მას: ტანი, ფეხი, საჭმელი, სასმელი, საკუთარი მოსასვენებელი ბინა, მაგრამ ამავე დროს არავის ახსოვს ჯოლას ვინმე შეეწუხებინოს. შიმშილით მოკვდებოდა და ხელს არავის გაუწვდიდა, არავის შეაწუხებდა თუ გინდ რაც უნდა საუკეთესო ახლობელი მეგობარი და ამხანაგი არ ყოფილიყო“.¹

¹ ს. რემონიძე, მოგონება. დაბეჭდილი ი. მანწყავას წიგნში „ჯ. ლომთათიძე“, თბილისი, გამომც. „განათლება“, 1925 წ.

რეაქციის სუსხი საქართველოში კი სულ უფრო და უფრო მატულობდა. დაახლოებით ამ დროს (ქოლას IV ყრილობაზე გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე) პოლკოვნიკ კრილოვის რაზმმა ქოლას მამისეული სახლ-კარი გადაწვა. ქოლა ამ დროს ტყვეს ყოფილა შეფარებული. არსებული მოგონებების თანახმად, დამსჯელი რაზმის მეთაურმა წინადადება მისცა სოფელს, შეესიეთ, დაინაწილეთ, მეფის მოღალატის სახლ-კარი. ვისაც რა გსურთ წაიღეთ — ნებას გაძლევთ სულ ერთია, შაინც დაეწვაეთო. მაგრამ არც ერთი არ დაძრულა ადგილიდან, არავის არ უცდია ქოლას ქონების ხელყოფა.

სისხლიანმა რეპრესიებმა და მძვინვარე რეაქციამ ვერ ჩაკლა ქართველი ხალხის მებრძოლი სული და 1906 წლის ზაფხულ-შემოდგომისათვის, ისევე, როგორც მთელს რუსეთში, გლახთა მოძრაობამ საქართველოშიც, კვლავ დიდ მასშტაბს მიაღწია. ბენდერის 132-ე ქვეითი პოლკის მეთაური, პოლკოვნიკი ტოლმაჩოვი, ასე უპატაკებდა ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორს ოზურგეთის მაზრაში არსებული მდგომარეობის შესახებ: „1. გურიის ყოველ სასოფლო თემს განაგებს 4 ასისტავი და თავმჯდომარე. 2. ყოველ თემში არის სამხედრო ბიუროს უფროსი, რომელსაც ემორჩილება წითელი რაზმი. მის განკარგულებაშია შეიარაღება. 3. მთავრობის სასამართლოებმა (მომრიგებელი სასამართლოები და სათემო სასამართლოები) დაახლოებით 1906 წლის ივნისის შუა რიცხვებიდან მთლიანად შეწყვიტეს არსებობა. ამის ნაცვლად ენერგიულად მოქმედებენ რევოლუციური სასამართლოები. 4. ყოველ თემში მიმდინარეობს თანხების გაძლიერებული შეგროვება რევოლუციური საჭიროებისა და შეიარაღებისათვის. ჩოხატაურის, ლანჩხუთის და ნაწილობრივ გურიანთის უბნების თითქმის ყველა მცხოვრები მონაწილეობს რევოლუციურ მოძრაობაში. ერთნი აქტიურად, სხვები (უშეტესად მოხუცები) პასიურად, იხდიან რა ყოველთვიურ შესატანს საქიროებისათვის.

მოკლედ, გურიაში მოქმედებს საკუთარი რევოლუციური ადმინისტრაცია, საკუთარი სასამართლოები, არის საკუთარი არმია, აგროვებენ გადასახადს. რუსეთის ხელისუფლება ნამდვილად ნომი-

ნალურია და გამოიხატება შეიარაღებული ძალის ' დახმარებით გა-
დასახადების აკრეფაში".¹

ამ გამძაფრებულ რევოლუციურ სიტუაციაში 1906 წლის დე-
კემბერსა და 1907 წლის იანვარ-თებერვალში მიძღვნარეობდა II სა-
ხელმწიფო სათათბიროს არჩევნები. ეს სახელმწიფო სათათბირო,
თვითმპყრობელობის აზრით, უფრო დამჯერე და „მშვიდი“ უნდა
ყოფილიყო, ვიდრე პირველი, ანუ ვიტყვას სათათბირო, დაშლილი მე-
ფის მიერ 1906 წლის ზაფხულში.

საქართველოს საარჩევნო ოლქებში დეპუტატთა წამოწყება-კენ-
ჭისყარისადმი მიძღვნილი კრებები უმრავლეს შემთხვევაში 1907
წლის იანვარ-თებერვალში ჩატარდა. არსებული საარჩევნო კანო-
ნით საქართველოს მიეცა რვა ადგილი.² მენშევიკებისა და კადეტების
ბლოკმა შესძლო ამომრჩეველთა დიდი რაოდენობის თავის მხარეზე
გადაბრება, რის შედეგადაც ხმის დიდი უმრავლესობა გაინაღდეს.
და ამიტომ, საქართველოს რვავე საარჩევნო ოლქში დეპუტატებად
მენშევიკები გავიდნენ (ესენი იყვნენ: ა. ლ. ჯაფარიძე, ს. მ. ჯულე-
ლო, ა. გ. ზურაბოვი, კ. ჟ. კანდელაკი, ნ. ა. კაციაშვილი, ბ. ბ.
ლომთათიძე, გ. თ. მახარაძე და ი. გ. წერეთელი). საქართველოდან
ერთ-ერთ დეპუტატად ჰოლა ლომთათიძე იქნა არჩეული. სახელმწი-
ფო სათათბიროს სხვა 55 დეპუტატთან ერთად, რომლებიც რსდმპ-
წევრები იყვნენ, იგი სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქცი-
აში გაერთიანდა. ეს ფრაქცია სათათბიროს მოწინავე რევოლუციურ
ბირთვად იქცა.

სახელმწიფო სათათბიროში ჰოლა ლომთათიძის არჩევას მოჰყვა
მისი ოფიციალური ლეგალიზაცია, რადგან იმხანად მოქმედი კანო-
ნის თანახმად სათათბიროს დეპუტატის პიროვნება ხელშეუხებლად
იყო გამოცხადებული.

ს. რემონიძის მოგონებაში არის ეპიზოდი, რომელიც ჰოლასა.

¹ ესიათ, ფონდი 400, საქმე 89, ფფ. 56—57.

² სპეციალურ ღირებულებაში „სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების დე-
ბულების კავკასიისადმი მიყენებისა და დამატებითი მითითებების შესახებ“, —
რომელიც მეფემ გამოსცა 1906 წლის 4 თებერვალს, — კავკასიას და ჩრდილო
კავკასიას (ყუბანის ოლქის ჩათვლით) სათათბიროში გამოეყო 29 ადგილი. აქედან
8 — საქართველოს ეკუთვნოდა (თბილისს — 1; თბილისის გუბერნიას — 3; ქუთაისის
გუბერნიას — 3; ბათუმისა და სოხუმის ოლქებს — 1 ადგილი).

ცხოვრების ამ მომენტს გვისურათებს. ს. რემონიძე წერს: „სათათბიროში არჩევის წინ ის იმალებოდა, რადგან დასაქვრად დასდევდნენ, მარა როცა აირჩიეს, გამოეცხადა მაზრის უფროს ტოლმაჩევს. „გთხოვთ მიცნობდეთ მე ვახლავარ ბიკენტი ლომთათიძე, სახელმწიფო სათათბიროს წევრი“ — უთხრა ღიმილით ჭოლამ. ტოლმაჩევმა ზრდილობიანი სალაში მისცა: — „გადარჩი დაქვრას, გაიმარჯვე; არჩევამდე მოსულიყავი თუ კარგი ბიჭი იყავიო“—მიუგო ღიმილითვე ტოლმაჩევმა“.¹

ჭოლას არჩევას სათათბიროში მენშევიკი ლიდერები სრულიად არ გაუხარებია.² მათ თვალში ჭოლა ლომთათიძე ისეთი ყაიდის კაცი იყო, რომლის საქმეს და სიტყვას წინასწარ ვერ გაითვალისწინებდი. მენშევიკებს ყოველთვის აფიქრებდა და აშინებდა ჭოლას პირდაპირობა, ჭიჭური მიტანება, პრინციპულობა, უჩვეულო რევოლუციური ვზნება. ამიტომ ებრძოდნენ ისინი სხვადასხვა ვერაგული ხერხებით უმწიკვლო და კეთილშობილურად ბუნების ჭოლა ლომთათიძეს. პატიმრობის პერიოდში, როცა ჭოლამ გონებმა. თვალთ გადახედდა თავის წარსულს, მან ყოველივე ეს ცხადად დაინახა. აქი წერდა კიდევ იგი შინაგანი ტკივილით და სინანულით „ამეთი ბიჭები ურევან ჩემს მოწინააღმდეგეებში და ესენი რომ ფედერალისტების, ან სხვა პარტიის ბანაკიდან ყოფილიყვნენ. კიდევ ჰო. მკლავს დღემდის ის რომ ესენი ჩვენებია, ჩვენი პარტიის (იგულისხმება მენშევიკური პარტია — გ. ც.) ექვ, ახლაც ხელი ამიკანკალდა, მაგათი ჭოქი ვაწყდა!...“³

მენშევიკებმა სპეტაკი ადამიანის სახელი უსირცხვილოდ დაუკავშირეს სამეძაო სახლს და ჭოლას სახელის შესაბაღალავად მრავალნაირი ცოდო დასწამეს. სწორედ ამაზე წერს მისთვის ჩვეული იუმორითა და გულისტკივილით ჭ. ლომთათიძე თავის დღიურში: სათათბიროში არჩევნების დროს, დელეგატები თურმე გაოცებთა

¹ ს. რემონიძის მოგონება იხ. მანწყავის წიგნში „ჭოლა ლომთათიძე“, თბილისი, გამომც. „განათლება“, 1925 წ.

² არის ცნობები, რომ მენშევიკმა ლიდერებმა ჭოლას ჭორებიც კი გაუვრცელეს, რათა სახელი შეებღალათ და ამით მისი ავტორიტეტი დაეწიათ. იხ. საქ. ლიტ. მუზეუმში არსებული საქმე № 15597—ბ, ცნობა ჭოლას ს. თავართქილაძისადმი მიწერილ წერილში.

³ საქ. ლიტერატურული მუზეუმში, ჭ. ლომთათიძის არქივი; საქმე № 15597-ბ.

და შიშით შეჰყურებდნენ ქუთაისში ჩასულ ჰოლას და ეუბნებოდნენ: „კაცო, მეასედი თუა მართალი, რაც თქვეს შენზე, გვიკვირს მიწამ რაფერ გზიდაო“. „ყველაფერი სისაძაგლე მომახვიეს თურმე თავზე—წერს ჰოლა—მეორე დღეს, საღამოს, რაჭველი ამომრჩეველები მათვალეირებდნენ და სიცილით მეუბნებოდნენ—კაცო, მართლა ასეთი ხომ არა ხარო“.¹ რა თქმა უნდა, ყოველივე ამან ზიანი მოუტანა ჰოლას და უცილოა, რომ ის 9 საწინააღმდეგო ხმა, რომელიც მან არჩევნებზე მიიღო, ამ უსინდისო ცილისწამებში შედეგი იყო. აქი თვით ჰოლაც წერს: „რა თქმა უნდა, გაშავებამ (ე. ი. ცილისწამებამ, ლანძღვამ) იმ მოტივით, რომ მე არაპარტიული და უზნეო კაცი ვარ, ძალიან გამწყვიტა წელში“.²

ქართველი მენშევიკები არა ერთხელ ცდილან მის „მოთვინიერებას“ მასში მეტი „თავდაპერილობისა და სიღინჯის“ გამოუმუშავებას; კიდევ უფრო უსიამო იყო ამ „თავხედი რევოლუციონერის“ არჩევა მეფის თვითმპყრობელობისა და მისი აღმინისტრაციის ადგილობრივი ორგანოებთან. მოვიყვანთ ჩვენს მიერ მიკვლეულ რამდენიმე დოკუმენტს, რომელიც ცხადყოფს თვითმპყრობელობის დამოკიდებულებას ჰ. ლომთათიძის დებუტატად არჩევისადმი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა 1907 წლის 29 იანვარს სპეციალური ცირკულიარით მოითხოვა ცნობები სახელმწიფო სათათბიროში არჩეული დებუტატების შესახებ.³ ამის საპასუხოდ ქუთაისის გუბერნატორმა იმავე წლას 9 თებერვალს შინაგან საქმეთა მინისტრს მიაწოდა შემდეგი ცნობები: „ა. წ. 29 იანვარს ცირკულარული მითითებების შესასრულებლად, გირდგენთ ცნობებს ბლანკების სახით, სახელმწიფო სათათბიროს წევრებზე ქუთაისის გუბერნიისაგან—წერეთელსა, მახარაძესა და ლომთათიძეზე და ამასთან ერთად, მაქვს პარტივი მოვახსენო თქვენს მაღალადმატებულებას, რომ არც ერთი მათგანი არ სარგებლობს პოპულარობით ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის დიდ უმრავლესობაში. მათ არა აქვთ არც არავითარი გავლენა და არც თავიანთი მოღვაწეობით მოუპოვებიათ რაიმე

¹ იხ. ე. „მნათობი“, 1939 წ. № 7—8, ჰოლას დღიური.

² იქვე.

³ იხ. სსრკ. ცენტრ. ისტორიული არქივის ფონდი № 431, საქმე № 143.

მნიშვნელობა. ყველა ისინი სოციალ-დემოკრატი-მენშევიკები არი-
ან!¹

შემდეგ მოდის თვითეულის დახასიათება: ჯერასიმე თომას ძე
მანარაძისა (რომელიც ოზურგეთის საარჩევნო ოლქში იყო არჩეუ-
ლი), ირაკლი (ჯაკი) გიორგის ძე წერეთლისა (არჩეული იყო ქუთა-
ისში) და ჭოლასი. ამ უკანასკნელზე იმავე დოკუმენტში წერია:
„ლომთათიძეს არ მოუღია საშუალო განათლებაჲ კი, მონაწი-
ლეობდა მთავრობის საწინააღმდეგო მოძრა-
ობაში, რის გამოც იმსახურებდა აღმინისტრაციულ სას-
ჯელს, მაგრამ წარმატებით იმალებოდა, აწარმო-
ებდა აგიტაციას, ავრცელებდა სოციალ-დემოკ-
რატიულ იდეებს“ (ხაზი ჩვენია — გ. ც.).

„სამივე ზემოთდასახელებული: ამხანაგი — აღნიშნულია ამავე
დოკუმენტში — აღმოჩნდა არჩეული სახელმწიფო სათათბიროს
წევრად არა თავისი პოპულარობის წყალობით, გავლენით, ან
მნიშვნელობით, არა სასარგებლო საზოგადო მოღვაწეობაში დამსა-
ხურებით, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატიულ-
მა პარტიამ, რომელმაც ყველაზე მეტი მეცადინეობა გამოიჩინა თა-
ვისი პარტიული კანდიდატების სახელმწიფო სათათბიროს წევრებად
გაყვანაში, წამოაყენა კანდიდატურა ზემოთ აღნიშნულ პირთა“².

ამ ცნობებს თან ერთვის დეპუტატის ანკეტა, რომელშიც, სხვათა
შორის აღნიშნულია, რომ ჭოლა არჩეულია დეპუტატად ოზურგე-
თის მაზრის მიწათმფლობელთაგან და რომ იგი არჩეულია არჩევნე-
ბის პირველსავე დღეს, 34 ხმით, ცხრის წინააღმდეგ.³

¹ სსრკ ცენტრ. ისტორიული არქივი, ფონდი № 431, საქმე 142.

² იქვე.

³ ერთ-ერთ საქმეში (№ 447, ნაწილი V) მოიხანა ჭოლას მეორე ანკეტაც. მო-
ვიყვანთ მას შთლიანად რამდენადაც იგი საყურადღებოა ჭოლას წლოვანების
დასაზუსტებლად და ბიოგრაფიული დეტალების თვალსაზრისითაც:

Губерния — Кутаисская.

Выборщик — съезд землевладельцев.

фамилия — Ломтатидзе.

Имя — Викентий.

Отчество — Бибонов.

Возраст — 28 лет.

Звание — крестьянин.

ცნობებს ჰოლა ლომთათიძეზე და სხვა სოციალ-დემოკრატ დეპუტატებზე, ეტყობა, შეუფიქრანებია შინაგან საქმეთა სამინისტრო. რის გამოც ამ სამინისტროს სათათბიროში არჩევნების ჩატარების განსაკუთრებული საქმეთა მმართველობა 1907 წლის 24 თებერვალს, მიმართვით № 1613, თხოვს პოლიციის დეპარტამენტს, რათა ამ უკანასკნელმა, რაც შეიძლება საჩქაროდ მიაწოდოს მათ უფრო დაწვრილებითი ცნობები ქართველ დეპუტატებზე. პოლიციის დეპარტამენტს, როგორც ჩანს, მიუწოდებია საჭირო ცნობები (საქმეებზე, ისინი ჯერ კიდევ არაა მოკვლეული), რაც ჩანს იმ თანდართული ქალაქიდან, რომელიც დეპარტამენტს გაუგზავნია 1907 წლის 10 მარტის (№ 4712) თარიღით. აქ აღნიშნულია, რომ დეპარტამენტი აწვდის ცნობებს ქ. ლომთათიძეზე, კ. კანდელაკზე, ვ. წერეთელზე, გ. მახარაძეზე, ა. ჯაფარიძესა და ს. ჯუღელზე. რაც შეეხება სხვა პირებს — ა. ზურაბოვს, ნ. კაციაშვილს, მათზე ცნობები არ მოგვეპოვებო.

სათათბიროში არჩევამ გამოაკეთა ჰოლა ლომთათიძის მატერიალური მდგომარეობა. თუ შანამდე იგი მეტად ხელმოკლედ იყო (რადგან პარტიისაგან მიღებული დოტაციით უნდა ერჩინა ოჯახი და თვითონაც უნდა ემოგზაურა დავალებების შესასრულებლად), ამიერიდან მას შედარებით უზრუნველი მდგომარეობა ექმნებოდა, რამდენადაც სათათბიროს დეპუტატებს დღეში ათი მანეთი ეძლეოდათ

Вероисповедание — православный.

Народность — родной язык грузин (гурец).

Степень образования — окончил сельскохозяйственную школу.

Род занятий — неизвестен.

Постоянное место жительства и прописка (в отношении лиц обязанных ею) — неизвестно где ныне проживает; сам житель Басилетского общества Озургетского уезда.

Уезд и съезд от которых избран — Озургетский съезд землевладельцев 20 января 1907 г.

Ценз по которому участвовал в выборах (земля или недвижимое имущество, торгово-промышленное предприятие и т. д.) — мелкий землевладелец.

Размер ценза — 2. р. 30 к.

Личный ценз или по уполномочию — личный.

¹ სსრკ ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი № 431, საქმე № 146, გვ. 248.

ოქროთი (ე. ი. თვეში 300 მანეთი),¹ რაც მაშინდელი კურსით საქმა-
ოდ დიდ თანხას შეადგენდა.

ჭოლა ლომთათიძის სახელმწიფო სათათბიროში არჩევამდე მისი
მატერიალური მდგომარეობის გასათვალისწინებლად საინტერესოა
გ. ლომთათიძის მიერ ჩაწერილი მოგონება ერთ-ერთი გლეხისა,
რომლის თქმით, არჩევნების წინდლით, ჭოლას ჰქონდა სახელმწიფო
გადასახადების დაფლიანება 10 მანეთის რაოდენობით. არსებული
დებულების თანახმად, დეპუტატობის კანდიდატად წამოყენება
ადამიანისა, რომელსაც სახელმწიფო გადასახადი არ ჰქონდა დაფა-
რული, დაუშვებელი იყო. ასეთ შემთხვევაში, კანდიდატურა მექანი-
კურად უქმდებოდა. როდესაც ეს გურულებს შეუტყვიათ, მაშინვე
დაუფარავთ ჭოლას ვალი, რადგან შეშინებიათ, რომ მათი საყვარე-
ლი რჩეული, ამ ფორმალური საბაბით, კენჭისსაყრელი კანდიდატე-
ბის სიიდან არ ამოეგდოთ.

მუდმივმა გაკირვებამ და შიმშილმა, მეტისმეტმა დატვირთვამ,
ხშირმა მოგზაურობამ ქალაქიდან ქალაქში, მხარიდან მხარეში,
შუენლებელმა აგიტაციურ-პროპაგანდისტულმა მუშაობამ კი-
დეგ უფრო გააუარესა ჭოლას არცთუ კარგი ჯანმრთელო-
ბა. ცილია ლომთათიძის (ჭოლას მეუღლე!) ცნობით, 1905—1906
წლებში მას ტუბერკულოზური პროცესი გაუერთულდა და
იგი სულ უფრო და უფრო ხშირად აღეზინებდა სისხლს.
ამიტომ ჭოლა იძულებული იყო დროდადრო, ხანმოკლე
ხნით, ბახმაროში ასულიყო სამკურნალოდ და დასაყვენებლად.
საერთოდ კი, ჭოლა ლომთათიძე სრულიად არ ზოგავდა თავის
თავს, ყოველთვის ისე იყო საზოგადო საქმით გატაცებული, რომ
საკუთარი თავისა და ჯანმრთელობისათვის ვერ იცოდა.

1907 წ. თებერვალში ჭოლა ლომთათიძე გაემგზავრა ქ. პეტერ-
ბურგში სახელმწიფო სათათბიროს გასსწაზე. (მან რამდენიმე სხლო-
მა გამოტოვა, რადგან დაგვიანებით ჩავიდა ცოლთან ერთად) პეტერ-
ბურგში იგი ცხოვრობდა პირველხარისხოვან სასტუმროებში „ევ-
როპეისკაიასა“ და „ასტორიაში“, სადაც ორი ოთახი ეჭირა. ჭოლას
ბინაზე ხშირად იმართებოდა დუმის სოციალ-დემოკრატიული
ფრაქციის სხდომები. განსაკუთრებით ხშირად იყრიდნენ თავს დე-

¹ სათათბიროს სესიების პერიოდში, რომელიც ხშირად თვეობით გრძელ-
დებოდა.

პეტატები საქართველოდან — გერასიმე მახარაძე, არჩილ ჯაფარიძე; ირაკლი წერეთელი, კაციაშვილი, ასევე ხშირად დადიონდენ რუპის სოციალ-დემოკრატები, უფრო მენშევიკები.

მეორე სახელმწიფო სათათბიროს პირველი სხდომა შედგა 1906 წლის 20 თებერვალს კვირა დღით, პეტერბურგის „ტავრიჩევის სა-სახლეში“. თუ პირველი დუმა დიდი ზეიმით გაიხსნა, სამაგიეროდ — „მეორეს გახსნისას არავითარი ზეიმი და ცერემონიალი არ ყოფილა, მაგრამ ხალხი ახლადჩამოსულ დეპუტატებს ისეთივე აღტაცებით შეეგება, როგორც პირველისას. დედაქალაქის ქუჩები, რომლებიც „ტავრიჩევის სასახლის“ მახლობლად მდებარეობს სავსე იყო ხალხით, რომელიც აღტაცებული შემახილებით ხვდებოდა დეპუტატებს და მრავალი მათგანი ხელში ატაცებული მიჰყავდა.¹

პირველ სხდომაზე არჩეულ იქნა თავმჯდომარე¹ (ვ. ა. გოლოვინი). სხვა სხდომები კი საქმიან ხასიათს ატარებდა. II სათათბირომ სულ ჩაატარა 53 სხდომა (20 თებერვლიდან—2 ივნისამდე). მესამე სხდომაზე სათათბიროს დეპუტატები დანაწილებულ იქნენ განყოფილებებში (შეიქმნა სულ თერთმეტი განყოფილება). კოლა მოხვდა II განყოფილებაში (ქართველთაგან აქ მხოლოდ იგი იყო) ყოფილ შინაგან მინისტრ სვეტოპოლკ-მირსკისთან და ცნობილ თავად კურაკინთან ერთად (თვითიველ განყოფილებაში 45 დეპუტატი ერთიანდებოდა).

მეხუთე სხდომაზე სიტყვით გამოვიდა მეფის მთავრობის თავმჯდომარე სტოლიპინი, ხოლო შემდეგ კაკი წერეთელი, რომელმაც სხდომაზე მეტად თამამი მამხილებელი სიტყვა წარმოსთქვა. ამ სიტყვამ მემარჯვენე დეპუტატების (პურიშკევიჩი, შულგინი და სხვა) შუროკბელი გულისწყრომა გამოიწვია. ასევე სხდომაზე გამოვიდა არჩილ ჯაფარიძე, ხოლო მეექვსე სხდომაზე (7 მარტის), რომელზედაც მიმდინარეობდა კამათი მთავრობის თავმჯდომარის დეკლარაციის შესახებ, სიტყვა აიღო კოლა ლომთათიძემ. კოლას სიტყვა მრავალმხრივია საყურადღებო.

რამდენადაც ეს სიტყვა ფართე ქართველი საზოგადოებრიობისათვის დღემდე უცნობია და ჯერ არსად დაბეჭდილა (გარდა პეტერ-

¹ Голубев, «Вторая Государственная Дума», с. Петербург, უთარილა. გვ. 16.

ბურგში გამოქვეყნებული მეორე სახელმწიფო სათათბიროს სტენოგრაფიული ანგარიშის). ჩვენ უხე და დავესესხებით მას. „ჩვენ მოვისმინეთ მრავალი საყვედური იმის გამო, — თქვა ჯ. ლომთათიძემ, — რომ ვითომც ჩვენ, აქ (ე. ი. სათათბიროში — გ. ც.) რუსული რევოლუციის ფილიალი გავხსენით. რუსული რევოლუცია ცოდვილია იმაში, რომ სურს ხალხს პური მისცეს. აი, თურმე საშინელი ცოდვა რუსული რევოლუციისა. თუ ეს ასეა, თუ რუსული რევოლუცია ცდილობს დააპუროს მშვიდრები, თუ მას სურს მისცეს გლეხობას მიწა, მუშებს კი ანაზღაურება მათი შრომისა, მაშინ ეს რევოლუცია არ იმსახურებს დაცინვას... მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ასეთი სიტყვები ნათქვამი იყო განსაზღვრული დემაგოგიური მიზნით, იგი ნაკარნახევია სურვილით, რათა გარკვეული განწყობილება შექმნას იმ სფეროებში, რომლებშიც ეს ვაჟბატონები (ვინც ამგვარ ხმებს ავრცელებს) ცდილობენ ცხადად ან მალულად შეძრომას, რათა დაამტკიცონ, რომ სახელმწიფო სათათბიროში ხალხის წარმომადგენლებს არ ძალუძთ იზრუნონ ხალხის კეთილდღეობაზე.¹ ამაში ჩანს ნამდვილი დემაგოგია, უნამუსო დემაგოგია — მე ამას აშკარად ვაცხადებ ამ ტრიბუნიდან.

თ ა ე მ ჯ დ მ ა რ ე (აწყვეტილებს): თუ შეიძლება, ნუ ხმარობთ ისეთ სიტყვებს, როგორცაა — „უნამუსო“.

ჯ. ლომთათიძე (განაგრძობს): ეს ვაჟბატონები აცხადებენ, რომ ისინი ხალხის არჩეულნი არიან. მეც ხალხის არჩეული ვარ და ვაცხადებ, რომ მაქვს უფლება თავისუფლად ვილაპარაკო. თუ ასეთი გამოთქმები დასაშვებია ერთი მხარისათვის, მეც მაქვს სურვილი საგნებს საკუთარი სახელი ვუწოდო, და ვამბობ, ესაა დემაგოგია და სიძაგელი, უნამუსო დემაგოგია“.

შემდეგ ჰოლა ლომთათიძე აკრიტიკებს ზოგიერთ გამოსულ ორატორს, რომელიც ცარიელი ფრაზებით, ლიტონისიტყვებით, ბავშვური პროექტებით ლამობდა „საქმის გამოსწორებას“ და მოვლენათა ფესვში არ იყურებოდა. ჰოლა ირონიულად დასცინოდა სინამდვილეს მოწყვეტილ ამ პროექტობანებს.

„შემოტანილი იქნა წინადადება შევისწავლოთ შიმშილობის მიზეზები, — განაგრძობდა ჰოლა, — მე იმ ადგილებიდან ვარ, რომელ-

¹ დემაგოგებში ჰოლა შემარჯვენე დეპუტატებს — პურიშევიჩს, შულგინს და მათ კომპანიას გულსხმობდა.

ბიც, საერთოდ, ფრიად მდიდარია ყოველგვარი ბუნებრივი სიკეთით, მაგრამ მე ვაცხადებ, რომ იქაც შიმშილია. რატომ შიმშილობენ იქ? იმიტომ, რომ დამსჯელმა ექსპედიციამ ცეცხლს მისცა გლეხთა სახლები და ბელღები, ამიტომაც შიმშილობს იქ გლეხობა. მაშასადამე, კომისიამ უნდა შეისწავლოს ის მიზეზები, რომლებიც შიმშილს იწვევენ. ეს კომისია ცხადყოფს, რომ ადმინისტრაცია და ხელისუფლების წარმომადგენლები იმის მაგიერ, რომ ხალხი გააძღონ, გლეხთა სახლებსა და ბელღებს ცეცხლს უკიდებენ, სწვავენ და თვით გლეხებს კი საველე მუშაობის დროს იჭერენ და გადასახლებაში აგზავნიან. გლეხობა შიმშილობს და შიმშილი კიდევ უფრო გაძლიერდება, უმთავრესად აი, ამ მიზეზების გამო. კომისიამ უნდა შეისწავლოს შიმშილობის მიზეზები.

ზ მ ე ბ ი ა დ გ ი ლ ე ბ ი დ ა ნ (მემარჯვენეთა მხრიდან): რა ენაზე ლაპარაკობთ? თქვენი არაფერი გვესმის!

ჭო ლ ა ლ ო მ თ ა თ ი ძ ე: „შე კომისიის წინააღმდეგი როდი ვარ, კომისიისა, რომელიც ხელისუფლებას კონტროლს გაუწევს. მაგრამ მე უფრო შორს მივდივარ და ვამბობ: საჭიროა ღუძამ გამოყოს კომისია, რომელიც შეისწავლოს და დაადგენს მოსახლეობის საჭიროებას“.

შემდეგ, ჭოლა მოუთხოვრებს სათათბიროს, თუ როგორ წარმოუდგენია ამ კომისიის მუშაობის ხასიათი და ამოცანები. ცხადია, ჭოლას ამგვარ სიტყვას სახელმწიფო სათათბიროს უმრავლესობა, რომელსაც რუსეთის იმპერიის უმაღლესი მმართველი წრეები შეადგენდნენ — მინისტრები, სენატორები, გენერალიტეტი, უმაღლესი სამღვდელოება, მემამულე-მაგნატები, მემარჯვენე პარტიების რეაქციონერი მეთაურები — დიდი აღშფოთებით შეხვდა.

რეპლიკაში — „თქვენი ლაპარაკი არ გვესმისო“, გარდა პირდაპირი აზრისა, ნართაული, ქვეტექსტური აზრიც მოჩანს. ჭოლა ხეპირად ლაპარაკობდა, ეტყობა ღელავდა (რაც სტენოგრაფიამაც იგრძნობდა) და ამიტომ, მოუხედავად შინაარსიანობისა, რევოლუციური ძარღვიანობისა, მისი ეს სიტყვა წმინდა ორატორულ-მეტყველებითი თვალსაზრისით ვერაა ისეთი, როგორც ჭოლას საუკეთესო გამოხვედები. მაგრამ რეპლიკაში — „თქვენი ვერაფერი გავიგეთო“ — იაიცი იგულდისხმება, რომ მოწინააღმდეგეებს იდეურადაც არ ესმოდათ ერთმანეთისა.

ჯავის ამ სიტყვაში ქოლამ თამამად შეუტია იმ პერიოდის ყოველწამდე ფიგურას, რუსეთის მთავრობის თავმჯდომარეს, მრისხანედ და სისხლისმსმელ სტოლიპინს. სტოლიპინი ძალას არ იშურებდა, რათა რეაქციის შავბნელი ძალებით ჩაეხშო ყოველივე მოწინავე და რევოლუციური, ჩაეკლა სიმართლის ხმა რუსეთის მთელ იმპერიაში, განსაკუთრებით კი მის პერიფერიებზე, ნაცუმციარესობათა შორის, რათა მათი შესუსტებით, დარბევით გაციმბირებით გაეძლიერებინა ველიკოდერჟავინიკების და დიდმპყრობელ შოვინისტთა „მამულიშვილური“ პოზიციები.

ქოლა ლომთათობის სიტყვის დროს სტოლიპინი დარბაზში იმყოფებოდა და ადვილი გასაგებია, რომ ქოლას მხრივ მის წინააღმდეგ ლაპარაკი დიდი ვაჟკაცობა იყო. „თვით მთავრობის თავმჯდომარემ (და მე ვაცხადებ, რომ ასეთი კონსტიტუციონალური მინისტრი, როგორც სტოლიპინია, კაცს არ ახსოვს), კონსტიტუციონალური მინისტრის ამ ხორცშესხმულმა იდეალმა,—თქვა ქოლამ,—განახალა გუშინ, რომ ჩვენ გვაქვს უფლება ვამხილოთ მთავრობის მოქმედება. მაშასადამე, თუ თვით ისეთი კონსტიტუციონალური მინისტრის აზრით, როგორც სტოლიპინია, ეს დასაშვებია, მით უფრო დასაშვებია ჩვენთვის, რათა ეხლავე შევუდგეთ სამინისტროებისა და ადმინისტრაციის პირდაპირ მხილებას. ეს მხილება კი ფრიალ სერიოზული იქნება. სწორედ ამ მიზნით უნდა შევქმნათ კომისია, რომელიც შეისწავლის ხალხის შიმშილობის მიზეზებს. ამაში არაფერი იქნება არც ანტიკონსტიტუციური და არც რაიმე რევოლუციური“.

ქოლა თავს ესხმის მათ, ვინც აჭიანურებს ხალხის მდგომარეობის ოდნავ მაინც გაუმჯობესებას და სიტყვას ასე ამთავრებს: „... ზოგიერთები ამბობენ, სანამ გლეხებს გავაძლობდეთ, საჭიროა წერა-კითხვა ვასწავლოთო. მაგრამ სანამ სკოლები გაიხსნება, შიმშილი თავისას იზამს. ან ეგება თქვენ გინდათ, რომ მანამდე გლეხობამ სრული დემორალიზაცია განიცადოს, რომ გაჭირვებამ ბოროტმოქმედებად აქციოს? არა, ჩვენ არააოღეს არ მოვცემთ ამის ნებას, და ვფიქრობ, რომ ჩვენ კი არ ვილაყბებთ, არამედ საქმეს გავაკეთებთ. ხალხს პური უნდა ვუშოვოთ, ხოლო საიდან უნდა ვიშოვოთ პური, ამას ჩვენ მიგითითებთ“.¹

¹ იხ. «Государственная Дума», второй созыв, стенографические отчеты, 1907 год, сессия вторая, том I, с. Петербург, 1907 г. стр. 236—238.

საქელმწიფო სათათბიროში ასეთი ტონით ლაპარაკი ჯოლას ზოგერთ „პარტიულ ამხანაგსაც“ კი თავებდობად მიაჩნდა. მაგრამ თვით ჯოლა არ ლალატობდა თავის თავს, იგი სათათბიროშიც ისეთივე პირდაპირობითა და უშიშარობით გამოდიოდა, როგორც სახალხო მიტინგებზე, საჯარო დისპუტებზე და პარტიულ კრებებზე. ძნელი იყო მასთან კამათი, რადგან მისი პირით თვით სიმართლე ლაღდებდა. ამიტომ „რეაქციონერებმა“ ნაცად ფანდს მიმართეს—გესლიან დაცივნას და დისკრიმინაციას. შავრაზმელ პურიშკევიჩს (როგორც შემდეგ გამოირკვა, რეპლიკა სწორედ მას ეკუთვნოდა) და თავმჯდომარეს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა.

„ს მ ა ა დ გ ი ლ ი დ ა ნ: ჩვენ გთხოვთ, ორატორის სიტყვა რუსულად გვითარგმნოთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: იგი რუსულად ლაპარაკობდა.

ასეთ მოთხოვნას ჯოლა მართლაც გაუცეცხლებია — კაცი რუსულად ლაპარაკობდა და მისი ქართული აქცენტის დასაცინად, ცინიკოსები ითხოვდნენ — მისი რუსული ვერ გავიგეთ, გვითარგმნეთ მისი სიტყვაო. ჩანს, ჯოლას მაინც თავი შეუკავებია, თუმცა შემდეგ სიტყვა აღარ მოუთხოვნია.

მიუხედავად იმისა, რომ ჯოლა სიტყვით აღარ გამოხსულა, მას არ შეუწყვეტია სათათბიროს მუშაობაში აქტიური მონაწილეობა. ოცდამესამე სხდომაზე იგი რამდენიმე სხვა დეპუტატთან ერთად ხელს აწერს პროტესტს, რომელშიც მოითხოვს, რომ ჭეფის მთავრობის ამა თუ იმ გადაწყვეტილების ან მოქმედების განხილვისას უნდა ნებადართულ იქნას მთავრობის პოლიტიკის ძირითადი მართლულების, სახელმწიფო გეზის განხილვა და კრიტიკაც. უამისოდ სიტყვის თავისუფლება ფუჭიაო. ამაზე ცოტახნით ადრე (მე-17 სხდომაზე) ჯოლა ლომთათიძე არჩეულ იქნა სახელმწიფო სათათბიროს ადგილობრივი საქამართლოების კომისიის წევრად.¹

¹ თავის დროზე ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, 11 სათათბიროს ყოფილი დეპუტატი, კუზმინ-კარაგაევი, გადმოგვცემს, რომ სათათბიროში ჯოლა გააფთრებით იცავდა წინადადებას მოსამართლეთა არჩევითობის შესახებ. თუ მოსამართლეები დანიშენიით იქნებოდა, — ამბობდა თურმე ჯოლა, — მაშინ უცხო ხალხს ჩამოგვისახლებენ და საქართველო წაილეკებაო. ყველა საკითხს ჯოლა თავისი ხალხის ინტერესების სასარგებლოდ უდგებოდაო, დასკვნის კუზმინ-კარაგაევი.

29-ე სხდომაზე (17 აპრილს) მას, სხვა ქართველ დეპუტატებთან ერთად შეუტანია „სასწრაფო და რიგგარეშე“ განცხადება, რომელშიც აღნიშნულ იყო, რომ სათათბიროს თავმჯდომარე გოლოვინი, სისტემატურად ბოროტად იყენებს უფლებას და არ ალაპარაკებს დეპუტატებს. თავმჯდომარე არ საჩუკებლობს იმათი ნდობითაც კი, ვინც იგი აირჩია და ამიტომ იგი გადაყენებულ უნდა იქნასო. -- აი, ჭოლას და მისი ამხანაგებმა საპროტესტო განცხადების დედა-აზრი.

მაისის უკანასკნელ სხდომაზე ჭ. ლომთათიძე აღარ ჩანს. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ 46-ე სხდომაზე (24 მაისს) განიხილავდნენ ლანჩხუთში საეგზეკუციო-დამსჯელი რაზმის ბოროტმოქმედებას, რაც გურულმა გლეხობამ თავის დეპუტატებს აუწყა. ამ საკითხზე განცხადებით გამოვიდა მეფისნაცვლის მოადგილე ბარონი ნოლდე და დეპუტატი ა. ზურაბოვი. მათ შორის მეტად მძაფრი კამათი ატყდა. ჭოლა რომ ამ დროს სხდომაზე ყოფილიყო, იგი აუცილებლად გამოვიდოდა გურული გლეხობის დასაცავად, მაგრამ როგორც ქვემოთ ვნახავთ, იგი ამ დროს ლონდონისაკენ მიემგზავრებოდა.

ჭ. ლომთათიძის პეტერბურგში ყოფნის დროს, როცა იგი როგორც დეპუტატი, სახელმწიფო სათათბიროს მორიგი სესიის მუშაობაში მონაწილეობდა, მოხდა ერთი შემთხვევა, რომელიც კარგად ახასიათებს ჭოლა ლომთათიძეს, როგორც უშიშარ რევოლუციონერს, სახალხო საქმიანათვის თავდადებულ რაინდს, როგორც ადამიანს, რომელიც ყველაზე მაღლა აყენებდა არა პირად კეთილდღეობას, არამედ ხალხის განთავისუფლებასა და ბედნიერების საქმეს.

1907 წლის მაისში, სწორედ მაშინ, როცა სახელმწიფო სათათბიროს სესია მიმდინარეობდა, ლონდონში მოწვეულ იქნა რსდმპ V ყრილობა. ჭოლა ჯერ კიდევ მანამდე იქნა არჩეული ამ ყრილობის დელეგატად, გურიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისაგან. ჭოლა ლომთათიძეს ყოველგვარი შინაგანი უხერხულობისა და სიბედისის ქენჯნის გარეშე შეეძლო არ წაშულიყო ამ ყრილობაზე, რადგან მას არა ნაკლებ საპატიო და საძნელო ამოცანა ჰქონდა დაკისრებული — სოციალ-დემოკრატიული პარტიის ინტერესების დაცვა სა-

თათბიროში, რაც იმავე ამომრჩევლების დავალებას წარმოადგენდა, ვინც იგი ყრილობაზე წარგზავნეს.

მაგრამ ჭოლა რა ჭოლა იქნებოდა, ასე რომ მოქცეულიყო! იგი მყისვე ტოვებს პეტერბურგს, ტოვებს უზრუნველყოფილ ცხოვრებას, სიმშვიდეს, პატივს და საშინელ ხიფათში იგდებს თავს: არალეგალურად, შეცვლილი გეაჩით და ყალბი საბუთებით, მიემგზავრება საზღვარგარეთ, ინგლისში, რათა რსდმპ პარტიის ყრილობას დაესწროს. მან ამით მთელი თავისი ღირსეული სასწორზე დადო, რადგან მარცხის შემთხვევაში—საზღვარზე დაკავების. ან მისი პიროვნების შეცნობის შემთხვევაში — გარდუვალად დაღუპვა ელოდა. რაღაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით თამამმა მოგზაურობამ კარგად ჩაიარა და ჭოლა საღ-სალამათი დაბრუნდა ლონდონიდან.

მაგრამ ბედმა მაინც უმუხტლა. არ გასულა ლონდონიდან მისი დაბრუნებიდან ორი დღეც, რომ იგი მეორე სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სხვა 54 წევრთან ერთად დააპატიმრეს და სამუდამოდ გამოამწყვდიეს საპყრობილოს ნოტიო კედლებში. სანამ მეფის საპყრობილეში ჭოლას წამებას გადმოეცემდეთ, მოკლედ შევეხებით, მის მონაწილეობას რსდმპ V ყრილობის მუშაობაში.

რსდმპ ყრილობა ჩატარდა 1907 წლის 13 მაისიდან 1 ივნისამდე. იგი მიმდინარეობდა იმ მომენტში, როცა რევოლუციური აღმავლობა რეაქციის პერიოდს უთმობდა ადგილს. ეს იყო რევოლუციის უკანასკნელი გაბრძოლების ეამი, 3 ივნისის გადატრიალების წინაღულე.

ყრილობაზე დელეგატებად გურიის რსდმპ ორგანიზაციისაგან წარგზავნილ იყვნენ ადგილობრივი მუშაკებიც და მენშევიკური ცენტრის წარმომადგენლებიც, რომლებიც გურიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში იყვნენ დელეგატებად არჩეული, სულ 9 კაცი: ვარდენ ჭიბუტი (ვარდენი), არსენ წითლიძე (შუბინი), რაფიელ ჩახლაძე (ალექსიძე), სამსონ პაიჭაძე (კრეპკი), ჭოლა ლომთათიძე (ხაზანი) და აგრეთვე პოტრესოვი, ნიკოლაევი, აქსელროდი და ზაგორსკი.

თუმცა ყრილობა აპრილში გაიხსნა, მაგრამ აქტიური წინასაყრილობო სამზადისი ჯერ კიდევ 1907 წლის თებერვალ-მარტში დაიწყო. იმეამინდელმა მენშევიკურმა ც.კ-მა 1907 წლის 1 თებერვალს დაგზავ-

ნა წერილი — „ყველა პარტიული ორგანიზაციისადმი“, სადაც მოცემული იყო ყრილობის დღის წესრიგი და ნაჩვენები იყო დელეგატთა არჩევის წესი და ნორმები. ამ ყრილობისათვის ბოლშევიკებმაც და მენშევიკებმაც მოამზადეს რეზოლუციათა პროექტები და საკუთარი ტაქტიკური პლატფორმები. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ბოლშევიკური რეზოლუცია დაწერილი იყო თვით ვ. ი. ლენინის მიერ და ისინი წინასწარ გამოქვეყნდნენ კიდევ გაზეთებში «Пролетарий» და «Новый луч». განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ეს რეზოლუციები გამოქვეყნდა ქართულ ბოლშევიკურ პრესაშიც, კერძოდ, გაზეთებში „ჩვენი ცხოვრება“¹ და „დრო“².

დელეგატების არჩევნები ჩატარდა 1907 წლის მარტსა და აპრილში (პარტიის 500 წევრთაგან ერთი დელეგატი). როგორც ცნობილია უდიდესი სამრეწველო ცენტრების პარტიორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს ბოლშევიკურ პლატფორმას და დელეგატებადაც უპირატესად ბოლშევიკები აირჩიეს. მენშევიკებს კი მხარი მისცეს უმთავრესად არასამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და წვრილხელოსნურმა რაიონებმა. მენშევიკთა დელეგატების ყველაზე დიდი რიცხვი გაგზავნეს ამიერ-კავკასიის, კერძოდ, თბილისისა და გურიის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა. ამიერ-კავკასიისგან სულ იყო 33 დელეგატი.

სხვათა შორის, V ყრილობას სათათბირო ხმით ესწრებოდა მ. გორკი. ჩვენის აზრით, შეუძლებელია, რომ ქოლა, რომელიც ესოდენ აფასებდა მ. გორკის და კარგად იცნობდა მის შემოქმედებას, პირადად არ გასცნობოდა მას, მით უფრო, რომ ყრილობა არც ისე ხალხმრავალი იყო.

როგორც ცნობილია, V ყრილობა მოასწავებდა ბოლშევიკების დიდ გამარჯვებას მუშათა მოძრაობაში. ყრილობას ესწრებოდა 105 ბოლშევიკი და 97 მენშევიკი. ამას გარდა, პირველ მხარს უჭერდნენ ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რის გამოც ბოლშევიკებს ყრილობაზე მტკიცე უმრავლესობა ჰქონდათ.

ყრილობამ ბოლშევიკური შეფასება მისცა ყველა არაპროლეტარულ პარტიას. მან დაგმო მენშევიკთა ცდა „მუშათა ყრილობის

¹ 1907 წლის 28 თებერვალი, № 9.

² 1907 წლის 23 მარტი, № 2.

მოწვევისა, როგორც ცდა პარტიის წერილბურჟუაზიულ მასაში გათქვეფისა. ყრილობამ მიიღო აგრეთვე ბოლშევიკური რეზოლუცია პროფკავშირების საკითხზე. საერთოდ, ყრილობა ბოლშევიკური ხაზის აშკარა გამარჯვების დროსით მიმდინარეობდა.

მეტად საგულისხმოა ჭოლა ლომთათიძის ქცევა ამ ყრილობაზე. თუ რსდმპ IV (სტოკპოლმის) ყრილობაზე (სადაც მენშევიკებს მტკიცე უმრავლესობა ჰქონდათ და ამიტომ შეეძლოთ გულდამშვიდებულნი ყოფილიყვნენ, რადგან მათთვის გამარჯვება ბრძოლის გარეშეც უზრუნველყოფილი იყო) ჭოლა მეტად აქტიურად მოქმედებდა და საკმაოდ გამომწვევად ეჭირა თავი; თუ იქ იგი ხშირად მონაწილეობდა კამათში, შექჟონდა მრავალი შესწორება და წინადადება. გამოდიოდა სხვადასხვა სახის განცხადებებით, ისროდა უამრავ ცეცხლოვან რეპლიკას, რაჲაეც ხშირად დიდი აურზაური, დავა, ყვირილი და ალაჩქოთი მოსდევდა — ლონდონის ყრილობაზე იგი პირიქით — რაღაც საოცრად წყნარი, თითქმის უჩინარია. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ სწორედ აქ სჭირდათ მენშევიკებს აქტიურობა, ხერხიანი ბრძოლა უფრო მრავალრიცხოვანი ბოლშევიკების წინააღმდეგ და ამ მიმდინარეობის ყველა წარმომადგენელი, გარდა ჭოლასი, სწორედ ასე იქცეოდა.

უნდა ვიფარაუდოთ, რომ უკვე მაშინ ჭოლა ლომთათიძის მსოფლმხედველობაში გარდატეხა ხდებოდა. ჭოლას ხასიათს სრულიადაც არ შეეფერებოდა პასიური ყოფა, გაჩუმება, რაღაც უტყვი მორჩილება. როდესაც ჭოლა რაიმე აზრს არ იზიარებდა, იგი ვეფხვივით მიიწვედა მოწინააღმდეგეზე. და თუ IV ყრილობაზე, მთელი რიგი საკითხების ბოლშევიკური გადაწყვეტისას ჭოლა დუმს, კამათში არ ერევა, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი დუმილი თანხმობის ნიშანია, ბოლშევიკური ტაქტიკის მიღების, მისი გაზიარებისა და შინაგანი აღიარების ნიშანია.

ამ ნიშანთებმა უფრო გარკვევით იჩინეს თავი მოგვიანებით. როცა ჭოლა მტკიცედ დადგა პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში თვითმპყრობელობის დამარცხების, ე. წ. „პორაჟენცობის“ ბოლშევიკურ პოზიციასზე.

ამასთან ერთად ის ფაქტიც, რომ 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ჭოლა საქმიანად და სიტყვიანად მხარს უჭერდა და ატარებდა არა მენშევიკურ შემთანხმებლურ პოლიტიკას, არამედ შეიარაღებუ-

ლი აჯანყებისა და თამამი ბრძოლის ბოლშევიკურ ტაქტიკას, ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ ჭოლას ხასიათს, მის განწყობა-აზროვნებას, მის პრინციპებს უფრო ეწყობოდა ხაზი, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლენინურ-ბოლშევიკური ფრთა ატარებდა.

როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, ჭ. ლომთათიძის ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ ოგი თავიდანვე, ჯერ კიდევ 24 წლის ასაკიდან, პოლიტიკური მოღვაწეობის პირველი ნაბიჯებიდანვე გაახვედრეს მენშევიკმა ლიდერებმა თავიანთი ფრაქციულობის ქსელში და შემდეგაც, ხედავდნენ რა ჭოლას უდიდეს პოპულარობას ხალხში, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ეს ავტორიტეტული პიროვნება თავიანთი შეუხელებელი გავლენის ქვეშ ყოლოდათ და ამავდროულად, არცთუ ძლიერ დაეწინაურებინათ.

ჭოლა ლომთათიძის კი არ ყოფნიდა ძალა და სათანადო პოლიტიკური მომზადება, რათა ამ ქსელიდან თავი დაეღწია, მაგრამ ჭოლას ცხოვრების დაკვირვებულნი შესწავლა ნათლად ცხადყოფს მის, ლტოლვას ამისაკენ. მრავალი ბიოგრაფიული ფაქტის გარდა, ამის დამადასტურებელია ჭოლა ლომთათიძის მხატვრული შემოქმედების იდეური მიზანდასახულობა და ხასიათი.

ჭოლა ლომთათიძის თანმიმდევრულ ლენინურ პლატფორმაზე შედგომას, ბოლშევიზმის მხარეზე გადასვლას ხელს უშლიდა ის გარემოებაც, რომ ჭოლა თავისი რევოლუციური პრაქტიკით უმთავრესად დაკავშირებული იყო გლეხობასთან და მთელი რიგი მიზეზების გამო ნაკლებად იცნობდა ერთადერთ ბოლომდე რევოლუციურ ძალას — პროლეტარიატს.

როგორც ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, ლონდონის ყრილობის შესახებ დაწერილ „დელეგატის ჩანაწერებში“ — „... ბოლშევიკების ტაქტიკა წარმოადგენს მსხვილი მრეწველობის პროლეტარების ტაქტიკას, იმ რაიონების ტაქტიკას, სადაც კლასობრივი წინააღმდეგობანი განსაკუთრებით მკაფიოა და კლასობრივი ბრძოლა განსაკუთრებით მკვეთრია. ბოლშევიზმი ნამდვილი პროლეტარების ტაქტიკა არის.

მეორე მხრივ, არა ნაკლებ ცხადია ისიც, რომ მენშევიკების ტაქტიკა უმთავრესად წარმოადგენს ხელოსანი მუშებისა და ნახევარპროლეტარი გლეხების ტაქტიკას, იმ რაიონების ტაქტიკას, სადაც კლასობრივი წინააღმდეგობანი მთლად მკაფიო არ არის და კლასობ-

ჩივი ბრძოლა შენიღბულა. მენშევიზმი პროლეტარიატის ნახევრადბურჟუაზიული ელემენტების ტაქტიკა არის“.¹

გლეხური მოძრაობისადმი ინტერესი და გლეხთა საკითხის გარკვევის სურვილი მოჩანს ჭოლა ლომთათიძის ერთადერთ გამოსვლაში V ყრილობის მეექვსე სხდომაზე, სადაც მან მოითხოვა, რომ ყრილობას განეხილა ეს საკითხი. „გლეხობას შორის მუშაობის საკითხი — მთელი ამიერ-კავკასიისათვის ერთი უპირველესი მნიშვნელობის საკითხია, — თქვა ჭოლამ, — ამიტომ შემომაქვს წინადადება ვიმსჯელოთ მასზე“. მაგრამ ყრილობის სამუშაო პროგრამისა და დღის წესრიგის გადატვირთვის გამო ეს არ მოხერხდა.

ამრიგად, 1905—07 წლების რევოლუციამ ცხადყო, რომ ჭოლა, მიუხედავად მენშევიკური ფრაქციისადმი კუთვნილებისა, თავისი სულით, მისწრაფებებით, ხასიათით, პირადი ცხოვრებითა და მხატვრული შემოქმედებით არ გამოხატავს ამ პოლიტიკურ მიმდინარეობას. თუ ობიექტურად და ღრმად შევაფასებთ მის საქმიანობას, ცხადი გახდება, რომ ჭოლას მენშევიზმთან შეუდარებლად უფრო ნაკლები აქვს საერთო, ვიდრე ბოლშევიზმთან. მოუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ჭოლამ ვერ მოასწროლენინიზმის ქეშმარიტ პოზიციებზე შედგომა და ბოლშევიკურ პარტიაში გადასვლა, მისი ცხოვრების გეზი, აზროვნებისა და მისწრაფებების ევოლუცია უეჭველს ხდის კ. ლომთათიძის წურგულე მენშევიკებსადმი, რომელიც უფრო და უფრო ეშვებოდა აშკარა ოპორტუნის მიხედვით. ჭოლას ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა უეჭველსა ხდის მის შემოტრიალებას ერთადერთი ბოლომდე თანმიმდევრული რევოლუციური პარტიისადმი.

1907 წლის ივნისის დამდევს ჭოლა ლონდონიდან პეტერბურგში დაბრუნდა. არ გასულა მისი ჩამოსვლიდან ორიოდე დღეც, რომ წელმომაგრებულმა მეფის მთავრობამ ე. წ. „3 ივნისის გადატრია-

¹ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტომი 2, სახელგამი, თბილისი, 1953 წ. გვ. 51.

² ამ უკანასკნელს შეეხებით შრომის მეორე ნაწილში — „კ. ლომთათიძის შემოქმედება“.

ლება“ მოახდინა. ამ დღეს თვითმპყრობელობამ გარეკა II სახელმწიფო სათათბირო და დაპატიმრა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქცია.

დაპატიმრებულთა შორის ერთ-ერთი პირველი ქოლა იყო. მას, ისევე როგორც რსდმპ ფრაქციის სხვა 55 წევრს, „ოზრანკის“ მიერ შეთითხნილი დოკუმენტების საფუძველზე პროვოკაციული ბრალდება წაუყენეს: „მოწოდება შეიარაღებული აჯანყებისაკენ“.

მეორე სახელმწიფო სათათბიროს გარეკვასთან დაკავშირებით ი. ბ. სტალინი წერილში, „სათათბიროს გარეკვა და პროლეტარიატის ამოცანები“, წერდა: „მეფის მთავრობა, თავს დაესხა სათათბიროს სოციალ-დემოკრატთა ფრაქციას, ცრუ ბრალდება წაუყენა მის წევრებს, თითქოს ისინი დაუყოვნებლივ აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს, და ამრიგად სათათბიროს გარეკვის მთავარ დამნაშავეებად გამოიყვანა ისინი“.¹

თვით ისეთი მკაცრი მსაჯულიც კი, როგორც ი. ბ. სტალინი იყო, რომელიც იმხანად არცთუ დიდი სიმპათიით იყო გამსჭვალული თვითმპყრობელობასთან ბრძოლის ლეგალური ფორმებისადმი, მაღალ შეფასებას აძლევდა II სათათბიროს ს. დ. ფრაქციას: „მუშათა მასობრივი მოძრაობა დამთავრდა 1907 წლის 22 ნოემბრის გაფიცვით, II სათათბიროს ს. — დ. დეპუტატებისათვის კატორღის მისჯის გამო და მუშათა მასობრივი მოძრაობა კვლავ აღორძინდა 1911 წლის დამლევს, ისევე ისე მეორე სათათბიროს ს. დ. დეპუტატების, მუშათა კლასის ამ მოწინავე მებრძოლთა, ამ გმირთა ხვედრთან დაკავშირებით, რომელთა საქმეს ახლა IV სათათბიროს მუშა დეპუტატები განაგრძობენ“² (ხაზი ჩვენია გ. ც.).

1911 წლის დამლევს პრესაში გამოქვეყნდა მამხილებელი დოკუმენტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ს. დ. დეპუტატების წინააღმდეგ წარმოდგენილი ბრალდება ოზრანკის მიერ შეთითხნილ პროვოკაციას წარმოადგენდა. ამავე წლის დამლევს მესამე სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიტანა შეკითხვა საქმის გადასინჯვის შესახებ, მაგრამ სათათბირომ უარყო იგი.

¹ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტომი II, გვ. 44.

² იქვე, გვ. 287.

დაპატიმრების შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში კოლა პეტერბურგის ერთ-ერთ საპოლიციო უბანში ჰყავდათ დამწყვედეული. შემდეგ იგი გადააგზავნეს ე. წ. „წინასწარი პატიმრობის ციხეში“ («тюрьма предварительного заключения») პატიმართა ჯარგონზე მას — «предварилловка», ანუ «предварилка» ეწოდება). ეს ციხე ლიტეინისა და შპალერნაიას ქუჩების გადაკვეთასთან მდებარეობდა. აქ კოლა გამოძიებისა და სასამართლო პროცესის დროსაც იჯდა და სასამართლოს შემდეგაც (1908 წლის მაისამდე). მერე კი მისთვის ნამდვილი გოლგოთა დაიწყო. ციხიდან — ციხეში, ხშირად ბორკილგაყრილს, ზამთრის ყინვასა და ზაფხულის პაპანაქებაში ეტაპით დაატარებდნენ ქლექით დასუსტებულ, მუდამ სიციხიანსა და ჭირის ოფლში მსუქრავ კოლას.

თავისი პატიმრობის განმავლობაში კოლამ ცხრა ციხე მოიარა (თუ იმ ციხეებსაც ჩავთვლით, სადაც იგი ეტაპით მგზავრობისას დროებით გაუჩერებიათ): პეტერბურგის, მოსკოვის, კურსკის, ხარკოვის, სევასტოპოლის, ბათუმის, ახალციხის, თბილისის და ბაქოს. მაგრამ ხანგრძლივად მხოლოდ პეტერბურგის, სევასტოპოლის, ახალციხისა და თბილისის (მეტეხი) ციხეებში იჯდა.¹ დანარჩენებში კი მხოლოდ იმიტომ მოხვედრილა, რომ იქ ტუსაღა ეტაპები გაუჩერებიათ.

კოლას ბიოგრაფიისათვის, მისი სულიერი განცდების, პოლიტიკურ შეხედულებათა ევოლუციისა და საერთოდ, მთელი მისი პიროვნების სწორად შეცნობისათვის მეტად მნიშვნელოვანია პეტერბურგის საპრობილეში (ე. წ. «предварилка») პატიმრობის ხანა. სწორედ აქ დაიწყო მან თავისი დღიურის სისტემატური წერა. ეს დღიური² უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, მოუხედავად იმისა, რომ ჩვენამდე ჯერჯერობით მხოლოდ შესამეღია

¹ ზოგიერთი ავტორის ცნობით იგი იქდა ასტრახანისა და სარატოვის ციხეშიც, მაგრამ ეს არასწორია. ამ ქალაქებში კოლა მხოლოდ თავშესაფარში ცხოვრობდა. სარატოვის ციხეში ყოფნა მას შედეგად მიაწერეს, რომ არასწორად ამოიკითხეს სილიბისტრო თავართქილაძისადმი კოლას წერილის თარიღი (საქ. ლიტერატურული მუზეუმი, ხელნ.წერი № 15597). იგი 1913 წლის 15 აპრილს სარატოვის თავშესაფარიდანაა მიწერილი, მაგრამ ზოგიერთმა მისი თარიღი 1911 წლად ამოიკითხა, ამასთან დაუჯერა ვიღაც უცნობის მინაწერს: «სარატოვის ციხე».

² გამოქვეყნებული 1934 წელს იურ. „მნათობში“ № 7—8 და № 9.

მოდწეული (ნაპოვნია და გამოქვეყნდა დღიურების შესამე რვეული).
ქ. ლომთათიძის დღიური განსაკუთრებით იმითაა მნიშვნელოვანი,
რომ იგი უტყუარა საბუთია ჭოლას პოლიტიკური ევოლუციისა,
პარტიულ-იდეოლოგიურ შეხედულებათა შეცვლისა, მენშევიზმი-
სადმი ზურგშექცევისა და ბოლშევიკურ პოზიციებზე თანდათანო-
ბითი შედგომისა.

ჟურნ. „მნათობის“ რედაქცია სახსრებით მართალი იყო, როცა აღ-
ნიშნავდა, რომ ჭოლას დღიური „უპირველეს ყოვლისა, საყურად-
ღებოა, როგორც პოლიტიკური მოღვაწის საზოგადოებრივი და პარ-
ტიული შეხედულებების გამომხატველი“.¹

მაგრამ რედაქციამ ჩანს, ერთგვარად მაინც დაიზღვია თავი და
იმჩათვის, რომ მენშევიკად აღიარებული მოღვაწისადმი მეტისმე-
ტი „სიმპათია“ არაფის ესაყვედურა, სპეციალური „კრიტიკული შე-
ნიშვნა“ დაურთო, რომლის თანახმადაც ჭოლა ლომთათიძე, თურმე
ვერ ახერხებს მენშევიკ ლიდერებისადმი სათანადო კრიტიკული და-
მოკიდებულების გამომქლავნებას, რადგან „ორგანულადაა დაკავში-
რებული მენშევიკურ ფრაქციასთან“, რის გამოც თავის წინააღმდე-
გობას მენშევიკ ლიდერებთან „არ აძლევს პრინციპულ ხასიათს“.

რამდენად „ორგანულად“ იყო დაკავშირებული ჭოლა მენშევიკი-
მთან, ამას მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ერთობლივი განხილ-
ვის შედეგად დავინახავთ. სწორედ რომ, პირიქით, თუმცა ჭოლა
უდავოდ დაკავშირებული იყო მენშევიკურ ფრაქციასთან და მის
მომხრედ თვლიდა თავს, — მაგრამ როგორც ჭოლას ცხოვრებისა
დაკვირვებული შესწავლა გვიჩვენებს, „ორგანულად“ დაკავშირე-
ბული მაინც არა ყოფილა. აშკარა ზურგშექცევა მენშევიკური ტაქ-
ტიკისადმი და მენშევიკ ლიდერებისადმი, რაც ასე მკაფიოდ მოჩანს
ჭოლას ბიოგრაფიასა და შემოქმედებაში, ნათლად მეტყველებს
ამაზე.

გარდა ამისა „მნათობის“ რედაქცია აშკარა წინააღმდეგობაში
მოექცა; ერთის მხრივ, იგი წერდა, რომ „დღიურებში“ ჭოლას კრი-
ტიკა „მეტისმეტ შინაურულ ხასიათს ატარებს, რომ ჭოლა „არ აძლევს მას (ე. ი. მენშევიზმის კრიტიკას —

¹ „მნათობი“, 1934 წელი, № 7—8. იხ. რედაქციის შენიშვნა ქ. ლომთათიძის
დღიურისადმი.

გ. ც.) პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ხ ა ს ი ა თ ს, და ამავე დროს აღნიშნაედა, რომ ჭოლა „ააშქარავებს მენშევიკთა მოღალატურ გზას“, რომ „დღიური წარმოდგენს ნათელ დოკუმენტს იმის გასაგებად, თუ რა წინააღმდეგობებს და შინაგან უთანხმოებებს ჰქონდა აღგილი ამ დროს მენშევიკურ ბანაკში“ და რომ „დღიურში საკმაოდ მოჩანს ამ ბელადების წვრილობურ უაზიუღი, ოპორტუნისტული სახე“.1

მაგრამ იმის კითხვა: როგორ მოახერხა ჭოლა ლომთათიძემ ეჩვენებინა მენშევიკთა წვრილობურ უაზიუღი ოპორტუნისტული სახე, მათი მოღალატური გზა და მათ შორის არსებული შინაგანი უთანხმოებანი, თუ მისი კრიტიკა „მეტისმეტად შინაურული ხასიათისაა“ და ამ კრიტიკას ჭოლა არ აძლევს „პრინციპულ ხასიათს?“

ასეა, როცა წინასწარ მიკერებული იარლიყი ზღუდავს ობიექტურ შეფასებას, როცა კონიუქტურული სქემა ამრუდებს ისტორიულ სიმართლეს. ჭოლას ზანმოკლე კავშირი მენშევიკურ ფრაქციასთან, ისიც მაშინ, როცა ბოლშევიკები და მენშევიკები ჯერ კიდევ ფორმალურად ერთ პარტიას წარმოადგენდნენ, თავდაზღვევის მოყვარულმა მრავალმა ავტორმა ჭოლას რევოლუციური დამსახურების მისაჩქმალად, მისადმი დაუმსახურებელი საყვედურების საბაბად გამოიყენა.

უმართებულო საყვედურები ახლაც გრძელდება. სამწუხაროდ, ასეთი გარემოება, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზოგიერთ ავტორიტეტულ ნაშრომშიაც შეინიშნება.

ჭოლა ლომთათიძის „დღიური“ მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტია, რომელიც ავტორის ცხოვრების არა ერთ მხარესა და დეტალს ჰფენს შუქს, მაგრამ ჩვენ უპირატესად მასში არსებულ იმ ცნობებზე შევჩერდებით, რომელნიც გვაწვდიან საჭირო მასალას ჭოლას საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროფილის უკეთ წარმოსადგენად.

ამ მხრივ დღიური იწყება მეტად მნიშვნელოვანი ამბის გადმოცემით, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ჭოლას დაპირისპირებას, მასთან ერთად საპატიმროში მყოფ ქართველ მენშევიკთა ლიდერები-

1 „მნათობი“, 1934 წელი № 7—8, სარედაქციო შენიშვნა.

სადმი, კერძოდ. ირაკლი (კაკი) წერეთლისა¹ და არჩილ ჯაფარიძისადმი.² რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას მენშევიკ ლიდერებთან აღრე უჩენია თავი, მაგრამ ციხეში ურთიერთობა საბოლოოდ გამწვავებულა და სრულ გათიშვამდე მისულა.

როგორც ცნობილია, 1907 წლის 3 ივნისს, დამით, დაპატიმრებულ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრთა სასამართლო პროცესი 22 ნოემბერს დაიწყო (მანამდე გამოძიება ტარდებოდა). დაპატიმრებულმა დეპუტატებმა გადაწყვიტეს ბოიკოტი გამოეცხადებინათ მეფის მთავრობის გადაწყვეტილებასადმი (რომლის თანახმადაც, სასამართლოს უნდა დახურულ კარებში გაერჩია სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის საქმე) და პროტესტის ნიშნად არ გამოეცხადებულეყვნენ სასამართლოში.

პირველ ხანებში ჯოლა აქტიური „ბოიკოტისტი“ იყო. აი, რას წერდა იგი თავის დღიურში 1907 წლის 12 ნოემბერს: „მე ბოიკოტისტი ვარ. ჩემი სინდისი ვერ ურიგდება იმ გარემოებას, რომ ჩვენ

¹ ირაკლი (კაკი) წერეთელი (1882—1959 წწ.) გამოჩენილი მწერლის, გორგი წერეთლის შვილი, პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, ცნობილი მენშევიკი, მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერი. სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ციხეში გადასახლებული, საქართველოში დაბრუნდა 1903 წელს და ჩაუღვა სათავეში ეურნალ „კვალს“, რომელიც ქართველ მენშევიკთა ორგანოდ აქცია. სათათბიროში გამოამუშავა თავი როგორც წვრილბურჟუაზიულმა შემთანხმებელმა. მის პოლიტიკურ კურსს მძაფრად აკრიტიკებდა ვ. თ. ლენინი. მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოც. დემოკრატიული ფრაქციასთან ერთად დაპატიმრეს და კატორღა მიუსაჯეს. 1912 წელს ციხიდან გამოუშვეს და ციხეშიც გადასახლეს. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა პეტერბურგში. მოითხოვდა პირველი მათელოი ომის გავრცელებას და კოალიციას ბურჟუაზიასთან. 1917 წლის მაისიდან ვ. წ. პირველი კოალიციური მთავრობის მინისტრი (ფოსტა-ტელეგრაფის), ივლისის აშბების შემდეგ რუსეთის საშინაო საქმეთა მინისტრი. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დამფუძნებელი კრების ერთ-ერთი ლიდერი. კრების გარეკვის შემდეგ ჩამოდიხ საქართველოში და მენშევიკური მთავრობის ერთ-ერთი მეთაური ხდება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ემიგრანტი და საბჭოთა კავშირის მტერი. ემიგრაციაში წარმომადგენლობდა ქართულ „სოციალ-დემოკრატიის“ საერთაშორისო „სოციალისტურ ბიუროში“. იყო მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის წევრი.

² ჯაფარიძე არჩილ ლევანის ძე (1875—1908) ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი მოღვაწე. მენშევიკი. 1900 წელს დაპატიმრეს როგორც მოსკოვის სტუდენტობის აღმასკომის წევრი. 1904 წელს დაბრუნდა

აშკარად, საქვეყნოდ მოგვეხვიეს ბრალდება და როცა ჩვენ გვეკუთვნის სიტყვა, როცა ჩვენ უნდა გავცეთ პასუხი ამ ბრალდებაზე, ამ დროს გვამწყვდევენ ცხრაკლიტულში, რომ არავინ გაიგონოს ჩვენი ხმა. ეს მასხრად აგდება ჩვენი. ათჯერ მეტი შეურაცხყოფა იმაზე, რაც მოგვაყენეს და ერთადერთი პასუხი ჩვენი მხრივ, ღირსეული, შესაფერი პასუხი იქნება ის, რომ ჩვენ სენატორებს გამოვუცხადოთ ზიზღი და დავებრუნდეთ კამერებში“.

ამ დროს კაკი წერეთელი და არჩ. ჯაფარიძე ბოიკოტის წინააღმდეგი იყვნენ. კოლა ირონიით ლაპარაკობს მათ გადაწყვეტილებაზე — სასამართლოში ლამაზი „რეჩები“ წარმოეთქვათ—„ექვსი თვეა სწერენო“, ამბობს კოლა და დასცინის თავისი „პარტიული ამხანაგების უზომო „რეჩომანიას“. როცა დაპატიმრებულ დეპუტატთა უმრავლესობა ბოიკოტის მომხრე იყო, ამ დროს ზოგიერთი მენშევიკი ლიდერი, კერძოდ, წერეთელი და ჯაფარიძე ანტიბოიკოტის პოზიციებზე იდგნენ და აცხადებდნენ:—სათათბიროს სოც. დემოკრატიულ ფრაქციას არა ვთვლით პარტიულ დაწესებულებად, ამიტომ არ ვემორჩილებით უმრავლესობის გადაწყვეტილებასო (ე. ი. ბოიკოტის მომხრეებს—გ. ც.).

კოლა მათ ამგვარ საქციელს — „მეტისმეტად ბინძურ, ყოვლად საძაგელ და სამარცხვინო ინციდენტს“ უწოდებს და აქვე მკაცრად აკრიტიკებს ჯაფარიძე-წერეთელს: „ეს პატიოსანი „დემოკრატები“ მანამდე სცნობენ დემოკრატიზმს, სანამ ეს მათი სურვილების წინააღმდეგ არ მიდის, ხოლო, თუ მათ არ მიჰყვები, მაშინ 30 კაცში, 28 კაცს, ორი კაცი „პარტიის გარეშე“ აცხადებს. ასეთ არა-

პარიზიდან. 1905 წლის რევოლუციის დროს იყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საოლქო კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრი. რსდმპ V (ლონდონის) ყრილობის დელეგატი. მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, მთლიან სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი და მენშევიკური ხაზის გამტარებელი. სათათბიროს გარეკვის შემდეგ, კოლასთან ერთად დააპატიმრეს და 5 წლის კატორღა მიუსაჯეს. მოკვდა ქვეყნით, 1908 წელს, როცა პეტერბურგის ციხიდან სევასტოპოლში გადააყვადათ.

ქ. ლომთათიძე არჩილ ჯაფარიძის ხსოვნას სპეციალური წერილით გამოეხმაურა (მისი გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ), რომლოდანაც ჩანს, რომ მათ შორის არსებულ წინააღმდეგობების მიუხედავად, კოლას ძალზე უყვარდა ა. ჯაფარიძე და დიდ პატივსაც სცემდა „პატიოსან, დიწყ, კუყიან არჩილს“ (იხ. კოლას წერილი-მოგონება—„არჩილ ჯაფარიძის ხსოვნას“).

სოლიდარობას პარტიულ უმრავლესობასთან, ქოლა აღმაშფოთებლად თვლის და აწკენის „რამდენად ბევრი მუშაობაა საქირო პარტიაში, რომ ასეთი თავხედობა არ გამეორდესო“.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა გამოირკვა, რომ სათათბიროს ფრაქციის 7 წევრი „სეპარატულ პოზიციაზე დადგა“ და გადაწყვიტა სასამართლოში გამოცხადება, ქოლამ შეიცვალა პირვანდელი შეხედულება (რადგან შეიქმნა საფრთხე, რომ ფრაქციის ამ განმდგარ ნაწილს შეეძლო „ლაფში ამოეთხვარა ყოველივე“). ამის თავიდან ასაცილებლად ქოლა ახალ ვითარებაში „ანტიბოიკოტის“ პოზიციაზე გადავიდა. გარდა ამისა, ოფიციალურ დამცველებს იხეთი გარემოება მოუყვანიათ მოსთვის მოტივად, რომელსაც ქოლა ფრიად აღუშფოთებია და დაუჩქარებია „ანტიბოიკოტისტების“ მხარეზე მისი გადასვლა. მართალია, იგი არ გვამცნობს ამ მოტივის რაობას (სიფრთხილის მიზეზით—„მანსოვს ცინეში ვზივარო“), მაგრამ აღნიშნავს: „ამ მოტივმა ისე გამაბრაზა, რომ ერთი დაკვრით, მივემხრე ანტიბოიკოტისტებსო“. ქოლა ნაწილობრივ, რომ იგი მოულოდნელად წერეთლისა და ჯაფარიძის მხარეზე აღმოჩნდა („ჩემდა სამწუხაროდ“), მაგრამ ამის მიუხედავად კვლავინდებურად ლანძღავს მათ.

აქვე უნდა დავძინო, რომ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ქოლა მტკიცედ დაადგებოდა ანტიბოიკოტის პოზიციას, მას შეუტანია შემდეგი სახის განცხადება: თუ სასამართლოში დეკლარაციის კითხვა ერთს შეაწყვეტინეს, მეორემ განაგრძოსო, თუ მათაც შეაწყვეტინეს, მესამემ; და ასე შემდეგო. ქოლა ლომთათიძეს ეს წინადადება ანტიბოიკოტურ პოზიციად ჩაუთვალეს და უარყვეს. (ამ დროს უმრავლესობა ბოიკოტს ემხრობოდა). ამრიგად, ქოლა ადრევეც (არსებითად) და შემდეგაც ანტიბოიკოტის პოზიციაზე იდგა.

ამ გაცხარებული კამათის დროს მეორე სათათბიროს დაპატიმრებულ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას შეატყობინეს, რომ რსდმპ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ბოლშევიკებმა ზმა მისცეს მეფის სასამართლოს ანტიბოიკოტს, ხოლო მენშევიკებმა—ბოიკოტს. გააგეს თუ არა ეს ამბავი მენშევიკებზე ლიდერებმა (კერძოდ, ჯაკი წერეთელმა და არჩ. ჯაფარიძემ), მაშინვე „იკვალეს ფერი“ და შეეცადნენ მყისვე დამდგარიყვენენ რსდმპ. ც.—კ.—ის მენშევიკურ პოზიციაზე, ე. ი. ბოიკოტის პოზიციაზე.

ქოლა ლომთათიძე აღუშფოთებოდა წერს ამის შესახებ: „როცა ჯა-

ფარიძე-წერეთელმა (ჟოლა მათ „კამარილიას“ უწოდებს) გაიგეს მენშევიკები — ბოიკოტისტები არიან გართო, მოვიდნენ ფრაქციასთან და გაშოაცხადეს: ჩვენ მიგვაქვს უკან ჩვენი სიტყვებიო“.

ამრიგად, ჟოლა ლომთათიძე მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სასამართლო პროცესისადმი დამოკიდებულების რთულსა და წინააღმდეგობრივ საკითხში, თავისი თმვივი და იმ პოზიციამდე, რომელიც რსდმპ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლშევიკურ ფრთას ეკავა და მტკიცედ დაუპირისპირდა მენშევიკლიდერებსაც; მათ ტაქტიკასაც ამ საკითხში, და მენშევიკურ პოზიციასაც, საერთოდ. ამასთან, მეტად თამამად რადიკალურად და პრინციპულად.

ეს ფრიად დიდი მნიშვნელობის ფაქტია და იგი სათანადოდაც უნდა გავითვალისწინოთ; როცა ზოგიერთმა მენშევიკმა ნახევრად პირდაპირ, ნახევრად ნართულად, ჟოლას მენშევიკური პოზიციის მართობა და „თავისიანებისადმი“ ამგვარი დაპირისპირება უსაყვედურა და მისი ანეთი საქციელი „ანარქიზმად“ მონათლა, ჟოლამ დაუნდობლად შეუტია მას და კინაღამ მუშტი-კრივზე გადავიდა.

ყოველივე ამან, საბოლოოდ გააუარესა ჟოლას ურთიერთობა მენშევიკ-ლიდერებთან. ჟოლაში ისინი უკვე აშკარა ზიზღს იწვევდნენ და ეს ნათლად ჩანს დღიურში. შეტაკებანი მათ შორის (ე. ი. ჟოლასა და მენშევიკებს შორის) სულ უფრო და უფრო მწვეავდებოდნენ.

სასამართლოს პირველ სხდომაზე ჟოლა ამაყად და უღიერად პასუხობდა შავრაზმელ თავმჯდომარეს, დეიერს, რომლის კითხვაზეც—„თქვენ მეშჩანინი ხართო?“, ჟოლას უთქვამს: მე არ ვცნობ წოდებას „მეშჩანინ“, მე ოზურგეთის მცხოვრები, მოქალაქე ლომთათიძე ვარ და მართლმადიდებლად ვითვლებიო (ე. ი. მხოლოდ „ვითვლები“, სინამდვილეში კი არა ვარ მორწმუნეო). ამის გამო წერეთელსა და ჯათარიძეს სასტიკად გაულანძლავთ ჟოლა და მათ შორის სერიოზული ჩხუბი ამტყდარა. კაკი წერეთელს უთქვამს ჟოლა ლომთათიძისათვის — „შენ არვის უჭერი, შენ ხულიგანი ხარო“. ამაზე გულმოსულ ჟოლას კიდევ უფრო უარესად გაულანძლავს კაკი:—*подлец, мерзавец, сволочь*—უწოდებია მისთვის ჟოლას,— „ვუჭერი კი არა, რომ ვიცოდე შენისთანებისაგან შედგება პარტია, მე იმ პარტიას მივაფურთხებდი, რამდენადაც კი შემეძლებოდაო“—

უპასუხია გააფთრებულ კოლას. — „მოიცა, შენ ამასაც მალე ჩაი-
ღენო“ — დაუყვირია არჩილ ჭაფარიძეს. ჩანს, ჭაფარიძე მაშინვე
გრძნობდა, რომ კოლა სულ მალე ზურგს შეაქცევდა მენშევიკებს.

დღიურიდან ვიგებთ, რომ ციხის ეზოში ერთ-ერთი გასეირნების
დროს მომხდარი შეტაკებისას კოლას მართლაც მიუფურთხებია თა-
ვისი ყოფილი ამხანაგების, კაკი წერეთლისა და არჩილ ჭაფარიძე-
სათვის. ამის შემდეგ მათი ურთიერთობა განუწყვეტელ ჩხუბში გა-
დაიზარდა. რა თქმა უნდა, ზედმეტია მტკიცება, რომ ამ უსიამოვ-
ნების ერთადერთი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მთავარი მი-
ზეზი პოლიტიკური შეხედულებების სხვაობა იყო.

მორიგი შეტაკება მათ შორის სათათბიროს სოციალ-დემოკრატი-
ული ფრაქციის მიერ თავის რიგებიდან 7 დეპუტატის გარიცხვის
თაობაზე¹ მოხდა. კაკი წერეთელი კოლას წინადადების წინააღმდეგ
გამოსულა (კოლას წინადადება ითვალისწინებდა ამ დეპუტატთა
მიმართ რეპრეზირული ღონისძიებებისაგან თავშეკავებას). „იშოვა
დრო წერეთელმა, წარმოსთქვა სიტყვა“ — დაცინვით წერს კოლა
განთქმულ მკერამეტყველზე. წერეთლის მიერ წამოყენებული საბუ-
თების საპასუხოდ კოლას უთქვამს, — «это ерунда, а не возражение»
„ბატონო ლომთათბივე! მომიბრუნდა წერეთელი, თქვენ ბევრ ნე-
ბას აძლევთ თავს... в самом деле, посади свинью за стол, она и
ноги на стол....» — უთქვამს კაკს. — «И потому я по мере сил
буду Вас гнать от стола, господин Церетели» უპასუხნია კოლას.

აქვე კოლა წერს მეტად საგულისხმო სტრიქონებს: „ვერავინ
ქვეყანაზე ვერ დამაჯერებდა, რომ ოდესმე არჩილ ჭაფარიძესთან
ასეთ დამოკიდებულებაში ჩავდგებოდი. ღმერთმა იცის, მე ის მიყ-
ვარდა და დღესაც მიყვარს, დიდ პატივს ვცემდი ყოველთვის...²
ღმერთმა იცის, სულითა და გულით მინდა მტყუანი ვიყო მასთან,
მე არ შემრცხვებოდა არჩილის წინაშე ბოდიშის მოხდისა, ... მაგ-

1 ალინინის, სახნოს, რიბალჩენკოს, გუბარევის, გუბენკოს, სტეპანოვის და
პრიბოლკოს საქმეზე, რომელნიც უარს ამბობდნენ ფრაქციის ყველა მოქმედება
ეკისრათ. კოლამ შეიტანა წინადადება, რათა ზოგიერთი მათგანისთვის ესპიები-
ნათ ეს დანაშაული და არ გაეროცხათ რსდმპ რიგებიდან.

2 ეს გრძნობები არჩილ ჭაფარიძისადმი კოლამ ერთხელ კიდევ დაადას-
ტურა 1909 წელს დაწერილ თავის წერილში — „არჩილ ჭაფარიძის ხსოვნას“.

რამ შე მართალი ვარ, მართალი ვარ, მართალი!
ერთი იოტის ოდენა ექვიც არ შემდის ჩემი საქ-
ციელის სისწორეში და ასეთ შემთხვევაში
მე ვერ დამახევიანებს უკან ვერავითარი ძა-
ლა. ვერავითარი სიმპატია“¹ (ხაზი ჩვენია — გ. ც.). ამ
სტრატეგიაში მთელი ჭოლა მოჩანს: პრინციპული, მტკიცე, უკომპ-
რომისო, როცა საკითხი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემებს
ეხება.

ჭოლა სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა ძენშევიკთა უნია-
დაგობასა და ამორალიზმში. 1907 წლის 26 ნოემბერს იგი წერს თა-
ვის დღიურში მეტად მნიშვნელოვან აზრს: „გიჟივით მეხასიათება
ჰეინეს გადაკითხვა. ციხეში მანც სენად გადამექცა ეს. სულ ვზუპი-
რობ იმის ლექსებს, მიკვირს, რუსეთმა რომ ვერ დაბადა ვერც ჰეი-
ნე, ვერც ბერანე... საქართველოზე ხომ არა ღირს ლაპარაკი, გადა-
შენებული ქვეყანაა (რა თქმა უნდა, ეს აფექტია და სიმწარის
წუთშია ნათქვამი, თორემ, ჭოლას საქართველო არასდროს არ მი-
აჩნდა „გადაშენებულ“ ქვეყნად—გ. ც.). წინ მივალთ გვეგონია, ნამ-
დვილად კი ჭავჭავაძე-წერეთლის პოეზიის ნასუფრალით იკვებებიან
ჩვენი მელექსეები, იმეორებენ და მერმე რა უნიჭოდ, უშნოდ, არა,
ჩვენ როლი მივდივართ წინ,—წინ. მიდიან სხვები და ჩვენ მიეჩანჩა-
ლებთ მათ უკან. ლიტერატურაში და ცხოვრებაში, არავითარი ორი-
გინალური ნაბიჯი არ გვაქვს...

ხანდახან გული მიკვდება—რათ არის ასე ღარიბი ჩვენი მდიდა-
რი ქვეყანა მეთქი? ასეთ ბუნებით მდიდარ ხალხს, ასეთ სათაყვანე-
ბელ პროლეტარიატს, როგორიც არის ქართველი პროლეტარიატი,
რათ ახვევია ასე უშნო, რაც ყველაზედ უსამაგლესია, ასეთი შური-
ანი, ასეთი ენატანია და გველაძუა, დიახ, გველაძუა ინტელიგენცია?
მე მიკვირს ზოგიერთი მათგანისგან მანც, რანაირად აშაღლდნენ ისინი
სოციალდემოკრატიულ მოძღვრებამდე? ისევ ბოლშევიკებს (ცოდვან
გამოტეხილი სჯობია), ის ევ ბოლშევიკებს არა უშავთ
ამ მხრით, მათ იციან ამ ხანაგობა, შეუძლიათ
გააკეთონ მჭიდრო წრე, მჭიდრო კავშირი—ისი-
ნი. თლად არ გადაქცეულან ორდენის წევრე-

¹ ე. „მნათობი“ 1934 წ. № 7—8, გვ. 209.

ზად... ძალიან ადვილი მოსალოდნელია, რომ უნიკო ინტელიგენციის წყალობით თვით სოციალ-დემოკრატიის პრესტიჟი დაეცეს მუშების თვალში—აი, რას მოველი მე ყველაზე უფრო და აი, რისი მემინია...“

„ღლიურის“ ზემოთ მოტანილ პატარა ფრაგმენტში გამოთქმულია ჭოლას, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ინტიმური“ დამოკიდებულება იმ სამი უმთავრესი პრობლემისადმი, რომელიც მას ყველაზე მეტად აღელვებდა სიცოცხლეში: 1. ეროვნული საკითხისადმი—საქართველოს ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის, საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმის, ხალხის პოლიტიკური ტყვეობის და ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხისადმი (რომელმაც შემდეგში მხატვრული გამოხატულება ჰპოვა ეროვნული პრობლემისადმი მიძღვნილ ნაწარმოებში „უბნს წიგნიდან“). 2. ბოლშევიზმისა და მენშევიზმის პოლიტიკური ხაზისადმი, რაც, არსებითად, ნიშნავდა ამ პარტიების რაობისა და საზოგადოებრივი ღირებულების საკითხის გარკვევას. აქ აშკარად ჩანს, რომ ჭოლას ინტიმური და გულწრფელი სიმპათიები ბოლშევიკთა მხარეზეა. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ დროს მოხდა არსებითი გარდატეხა მის პოლიტიკურ-შეხედულებებში. 3. ლიტერატურული პრობლემებისადმი. ჭოლა გრძნობდა, რომ ძველი გზით სიარული, ძველი თემების, მოტივების და იდეური პრინციპების განმეორება და გადამღერება აღარ შეიძლებოდა. რომ თვით ისეთ დიდ შემოქმედთა განმეორებაც კი, როგორც იყო ილია და აკაკი, ზიანს მოიტანდა.

ამ პრობლემისადმი დამოკიდებულებაში მოჩანს ახალ ვითარებაში გარკვეული და ახალი ამოცანების ნათლად მჭრეტი მწერალი, რომელიც ერთნაირად უარყოფს ტრადიციულ გზასაც და მოღერნიზმსაც. სწორედ ამ პოზიციამ განსაზღვრა ჭოლას, როგორც რევოლუციურ-დემოკრატიული სკოლის მწერლის, კრიტიკული რეალისტის შემოქმედებითი სახე, რომელიც სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთ უახლოეს წინამორბედად მოგვევლინა.

ღლიურიდან ჩანს, რომ ჭოლა ნათლად ხედავს და მკაცრად აკრიტიკებს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთის აშკარა რენეგატობას: „რუსეთში მენშევიკები თანდათან წყალღებიან, გარბიან პარტიიდან (იგულისხმ...

მება რსდმ პარტია — გ. ც.) და ვინ იცის, რას ებლაუქებიან. დღეს მუშათა ყრილობა, ხვალ პროფკავშირები, ზეგ კოოპერატივები — უზნეო ქალივით იცვლიან სათაყვანებელს საგნებს. ჩვენში ეს არ ხდება ჯერ, ალბათ იმიტომ, რომ მუშები უფრო მეტი ინიციატივის პატრონები არიან ჩვენში და ისე ვერ თამამობენ ბ-ნი ინტელიგენტები. რუსეთში კი ყველას ყოფნის ჯერჯერობით მუშათა მასაა... ძალიან დასცინიან ბოლშევიკები მენშევიკებს. ერთმა ბოლშევიკმა მითხრა პეტერბურგში: მე ერთი შეხედვით ვიცი კაცს, ბოლშევიკია თუ მენშევიკიო.

— რანაირათ? — დავეკითხე მე.

— მენშევიკებს მეოცნებე თვალები აქვთო.

ეს მშვენივრად ახასიათებს რუსეთელ მენშევიკებს და ახლა კი, ხელჩართული ბრძოლის დროს ოცნება, როგორც გენებოთ, მაგრამ რალაც ეხამუშება ყურს“!

დღიურიდან ნათლად ჩანს, რომ ჭოლას გათიშვა მენშევიკებთან საცვებით დასრულებული პროცესია. ამიტომაც, რომ იგი გულწრფელი წუხილით ამბობს: „ყველაზე უფრო იმის მეშინია ჯაფარიძე-წერეთელთან არ მომიწიოს ყოფნა. ეს იქნება ჩემთვის ორმაგი სატანჯელიო“ (იგულისხმება კატორღაში გაგზავნა და მომავალი პატიმრობა). ჯაფარიძესა და წერეთელს ჭოლა ლომთათიძე „რომის პაპებს“ უწოდებს და დაცივნით წერს: „ამ რომის პაპებს გონიათ, მათ გარდა არავის არ აქვს წარმოდგენა არც თავმოყვარეობაზე, არც რამე ასეთზეო“.

თუ როგორ აცრუვებია გული ჭოლას მენშევიკ ლიდერებზე და ზოგიერთ სხვა ნაკლებად მხნე სოციალ-დემოკრატზე, ეს კარგად ჩანს 10 დეკემბრის ჩანაწერიდან: „კინალამ გავიქეცი სეირნობიდას, ისე გამიჭირდა; ყველა დაძლია სევდამ, ჩაფიქრდნენ, თავები ჩალუნეს. ვერა, ვერ არან მებრძოლი ბიჭები ჩვენი ყოფილი ფრაქციის უმრავლესობა...“ ფრაქციაში კი უმრავლესობა ხომ მენშევიკური იყო!

განუწყვეტელი დავა, ჩხუბი და კინკლაობა „თავისი პარტიის ხალხთან“ უფრო და უფრო ღრმად ახედებს ჭოლას მათ-შინაგან

¹ ე. „მნათობი“, 1934 წ. № 7—8, გვ. 210.

რაობაშიც და „პარტიული ამხანაგების“ მისაღმი დამოკიდებულება-შიც

„დღეს, დაწოლილს, წამომეპარა ერთი კითხვა: რამდენ კაცს დასწვაჟს გულს ჩემი სიკვდილი ჩემს „ამხანაგებში“-მეთქი. ერთ ხანს არ მინდოდა ამაზე ფიქრი, მაგრამ დაბოლოს შემძიყრო. მივედი იმ დასკვნამდე, რომ მთელ საქართველოში, ჩემ პარტიულ ამხანაგებში დასწვაჟს გულს ჩემი სიკვდილი 3-ს თუ 4-კაცს. დიდი გაჭირვებით გამოვნახე ეს რიცხვი და ესეც იმდენად საეჭვოა ჩემთვის, რომ იმათ არ ვიხსენიებ აქ, რომ ვინმემ, თუ ეს დღიური როდესმე ხელში ჩაუვარდა, არ გადაიხარხაროს“.¹

აქედან ცხადია, რომ ჭოლას უკვე აღარავინ ეგულება გულწრფელ მეგობრად, როგორც იგი უწოდებს „თავის პარტიულ ამხანაგებში“, ე. ი. მენშევიკური ფრაქციის წევრებში.

აი, როგორ აფასებს იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის იმ მენშევიკურ ფრთას, რომელსაც აქამდე თავის თავსაც აკუთვნებდა: „ამ გაქუცული ინტრიგანების ბრბოს არ შეუძლია ამხანაგობა, ამ შურითა და სიბინძურით გაჟღენთილ სხეულებს არ შეუძლიათ ამ გრძობის სისპეტაკედე ამადლება. ეს მე ყოველთვის ასე მწამდა დაახლოვებით (ე. ი. ჭოლა აღიარებს, რომ მენშევიკებზე ყოველთვის უარყოფითი შეხედულების ვიყავი), მაგრამ სავსებით დავრწმუნდი, როცა ჩემი კანდიდატურა წამოაყენეს სახელმწიფო დუმაში“.²

ამის შემდეგ ჭოლა მოგვითხრობს იმ ფარულ ბრძოლასა და ინტრიგებზე, რომელსაც მენშევიკი ლიდერები მის წინააღმდეგ მიმართავდნენ. ასეთია, მაგალითად, ეპიზოდი ქუთაისის გუბერნიის ორგანიზაციებს კონფერენციაზე, რომელსაც უნდა საბოლოოდ აერჩია დელეგატები (კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ დასახელებული კანდიდატურებიდან) II სახელმწიფო სათათბიროში ასარჩევად. ჭოლას მოწინააღმდეგეებს მიუმართავთ ბინძური ხრიკებისათვის, როგორცაა შესახებაც იგი წერს: „იმ დღეს დაიბადა ქუთაისში ბინძური ხმა ჩემს შესახებ, თითქოს მე საროსკიპოში ვყოფილიყავი მოსამსა-

¹ „მნათობი“, 1934 წ. № 10, გვ. 128.

² იქვე, გვ. 129—130.

ხურეთ „ვიზიბალად“, ახლაც არ ვიცი, რა არის ეს, ვინ დამარწმუნებს მე, რომ ეს ხმა ჩემი პარტიული ამხანაგებისაგან არ გამოვიდა პირველად“.¹

თუ აქ (1907 წლის ოქტომბერში) კოლა ჯერჯერობით მხოლოდ ეჭვს გამოთქვამს („ვინ დამარწმუნებს, რომ ეს ხმა მათი დარბეული არ არისო“) 1914—1915 წლების წერილებში იგი მტკიცედ და დაჯერებით წერს, რომ ეს საზიზლარი ხმა მენშევიკ-ლიდერთაგან მოდიოდა, რადგან მათ არა სურდათ კოლას არჩევა სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატად.

კოლას მტრებს, „ოპოზიციას“, როგორც იგი მათ უწოდებს, თვით ამომრჩევლებშიც დაუწყიათ „მუშაობა“, რათა სახელი გაეტეხათ კოლასათვის. „ყოველგვარი“ სისაძაგლე მომახვიეს თურმე თავზე. —წერს კოლა.—მეორე დღეს, საღამოს, რაჭველი ამომრჩევლები დიდი ცნობისმოყვარეობით მათვალისწინებდნენ და სიცილით მეუბნებოდნენ,—კაცო, მართლა ისეთი ხომ არა ხარო... გაშტერებულია შემხვდნენ გურული დელეგატი გლებებიც—კაცო, მესადი თუ მართალია, რაც თქვეს შენზე, მიკვირს, მიწამ რაფერ გზიდაო“.

მენშევიკი ლიდერების მიერ გამოგონებულმა საზიზლარმა ცილისწამებამ კოლას, თურმე, პეტერბურგშიც აასწრო: „ავედი პეტერბურგში და, როცა ერთმა ანონიმურმა წერილმა დამანახა, რომ ჩემს შესახებ ეს ხმა მთელმა დუმამ იცოდა, ამ წუთსავე დავრწმუნდი, რომ მე ვეღარ გავიმართებოდი, რომ ჩემი „კართერა“ გათავებული იყო და პირველად ავედი თუ არა ტრიბუნაზე, გადავიხედე თუ არა იქედან და დაჯინახე დაკვირვებული, მომღიმარე თვალები, მომართული ჩემკენ, ყველაფერი გადამავიწყდა... უცებ გამოირბინა გულში, რა იქნება, რომ ვინმემ წამომაცახოს ახლა ეს-მეთქი, და მე თვითონ არ მახსოვს, რა წამოვროსე. შემდეგ რამდენი ქალიც შემხედავდა, ან კაცი, ყველა ამაზე ფიქრობდა, მეგონა, და თან ვიცოდი, რომ ამ სიცრუესთან ბრძოლა ჩემთვის შეუძლებელი იყო. საჭაროდ არავინ მეტყოდა და ისე ებრძოლე უხილავს, ჯათავიან ჰიდრას. აი, ასეთი ჭორი დაიბადა ჩემს პარტიულ ამხანაგებში“.²

კოლა გრძნობს, რომ მისი „პარტიული ამხანაგების“ საქციელი

¹ „მნათობი“, 1934 წ. № 10. გვ. 131.

² „მნათობი“, 1934 წ. № 10. გვ. 132.

შემთხვევითი არაა. მას უკვე სწორი წარმოდგენა აქვს მათ მორალსა და ხასიათზე, მათი ბრძოლის „მეთოდებზე“ — „რაც მომივიდა მე არჩევნების დროს, იგივე დაემატებოდა თვითოეულ ჩემს ოპონენტთაგანს, რომ ვინცოცაა ჩემს ალაგზე დარჩენილიყო. ეს იმიტომ, რომ ინტრიგანების ბრბოა ეგრეთწოდებული პარტიული ამხანაგები და არასხვა არაიმე“.¹

„...გაშავებამ იმ მოტივით, რომ მე არაპარტიული და უზნეო კაცი ვარ, ძალიან მომწყვითა წელი — აღიარებს ჭოლა და აქვე აღსარებასავით გვეუბნება სიტყვებს. რომლებიც მთელი მისი ცხოვრების მართალი და გადაუქარბებელი დანასიათებაა: — ჩემი ჯანი და ღონე, ჩემი დედ-მამა, ნათესავები, ჩემი პირადი გრძნობები, ყველაფერი მე უარყავი (აბა დამიმტყიცონ, რომ აგრე არ არის!). მე არც ერთხელ გულში არ დამბადებია, ან დამადლება, ან ამპარტვენება, მე პარტია მიყვარს, იმიტომ, რომ არ შემიძლია არ მიყვარდეს, მე მას ვეკუთვნი, ერთი პირადული მომინახონ, აბა, ჩემს პარტიულ ცხოვრებაში, ერთი ნაბიჯი დაასახელონ ისეთი, რომელიც პირად სურვილებებისთვის ყოფილიყო გადადგმული... უკანასკნელ ორ წელს მე ჩემი ცოლი და ბავშვი ვცხოვრობდით თვეში ოცდაათი მანეთით, რომელსაც პარტია გვაძლევდა. სამაგიეროდ, მე ვეკუთვნოდი პარტიას სავსებით, ახლაც ვეკუთვნი, მუდამ მისი ვიქნები. აი, ვკვდები მე ახლა, ქალი ავადმყოფი მყავს, თუ არ მოვკვდი, კატორღაში მივდივარ ხომ მაინც, რა რჩება ჩემ ცოლ-შვილს, ვინ დაარჩენს, ვინ შეინახავს?... პირველად ჩემ სიცოცხლეში იმ დამეს ვიგრძენი უმადურობის სიმწვავე და დილას დიდხანს ვერ ავდექი, ერთიან დავარდნილი ვიყავი, როგორც ამბობენ“.²

ჭოლას მართლაც ჰქონდა უფლება ეთქვა თავის თავის შესახებ: „მე ისეთების რიცხვს არ ვეკუთვნი, რომლებიც პირადი ინტერესების გამო სხვის ღირსებას ამცირებენ“.

ხუთმა მძიმე და მქენჯანემა თვემ, გატარებულმა მეფის სასჯრობილეში, ციხის სასტიკმა რეჟიმმა, მძაფრმა უთანხმოებამ „პარტიულ

¹ „მნათობი“, 1934 წ., № 10, გვ. 132.

² იქვე. გვ. 130

ამხანაგებთან“, დაეკვებამ მათი პოლიტიკური კურსის სასწორეში, განსაკუთრებით, კი რევოლუციის აშკარა დამარცხებამ და სწვა ათასგვარმა უსიამოვნებებმა სულიერად ააფრიალა და ფიზიკურად გატეხა ჭოლა.

მისი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა და მიუხედავად იმისა, რომ ჭოლას არა სჩვევია წუწუნი და ჩივილი, მიუხედავად იმისა, რომ მას არ უყვარს ლაპარაკი თავის ავადმყოფობაზე — დღიურის მოკლე და ძუნწი ჩანაწერები ნათლად მეტყველებენ იმ აუტანელ მდგომარეობაზე, რომელშიც იგი იმყოფებოდა.

აი, რამდენიმე ჩანაწერი დღიურიდან:

„ოფლმა დამახჩო კაცი... ოფლში, მყარალ, ბინძურ ოფლში ვცურავ...“ „...მე შეურაცხყოფას მაყენებს ამ მყარალი ოფლისაგან სიკვდილი. არიან ჭლექიანები, კვდებიან, მაგრამ რა წყნარად. რასუფთად, რა ლამაზად. მე კი ამ ოფლში უნდა ვცურავდე. ოჰ, რა აუტანელი რამ არის, რა სიბინძურეა, მეტისმეტია, ეს უსამართლობაა!“ ანდა: „საშინელი ციება ამიტყდა. გათავდება თუ არა ციება, ჩამავდებს სიცხეში. რას ვბოდავ, ღმერთმა იცის, გათავდება სიცხე დამაციებს“; „მესამე დღეა, ლუქმა არ ჩამიდგია პირში“... „დავბრუნდი თუ არა კამერაში, ისევ გამაცივა და დავწექი... სადილს ვერ წავეტანე. ერთიან ვკანკალებ, წყეული ნერვები ისე დაიშალნენ, რომ ვერაფერი ვეღარ ააწყობს მათ. ერთი ძველებურად დამაძინა, მაინც. ერთი მაგრად, ძველებურად დამაძინა.. თუგინდ ნურც გამაღვიძოსატუსალო გარყვნის კაცს“.

ფიზიკურ ავადობას სულიერი დეპრესიაც გამოუწვევია. ჭოლას აწამებს უძილობა და როცა ცოტა ხნით თვალს მილულავს — კომპარული სიზმრები სტანჯავს. იგი ხან პარიზის ბარიკადებზე ხედავს თავის თავს, ხან მყარალ გუბეში მოფართხალეს და ხანაც სახჩობელას მარყუჟში თავგამოყოფილს, „ყოველთვის ძალღივით უნდა ვიყო?“. კითხულობს იგი და ჩივის: „ისე ვარ დასევდიანებული, რომ ვერც კი ვწვდები ამ ყოვლისმომცველ სევდას... ეს სიცარიელე მძიმე და მტანჯველია... ნეტავ დამაძინა, მაგრამ ძილი ჩემთვის დიდი ხანია განუხორციელებელ სოცნებად იქცა... ჩემს თავში რაღაც განუწყვეტელი ხმაურია და ამ ხმაურში გარკვევით, მკაფიოდ მესმის. ერთ-ერთი მამაცური გურული სიმღერა“.

მაგრამ ვერც ღამის კოშმარებმა, ვერც უძილობამ, ვერც საზი-
ზღარმა ოფლმა, ვერც ფილტვებისა და ყელის ქლექმა ვერ მოღრი-
კა უტეხი რევოლუციონერი. 1907-1908 წლის ცივ ზამთარში, როცა
ნოტიო პეტერბურლი ნისლითა და ყინვით იყო აღსავსე, ქოლას
ბნელ საკანში, რომელიც ქვის საფლავს უფრო ჰგავდა, გათოშილი
ტუსალი მხნედ იტანდა გაჭირვებას: „მცივა, შიგნით (მის საკან-
ში—გ. ც.) თითო გოჭი ყინვაა. კამერაში ისეთივე სიცივეა, როგორც
კარში“ — ჩივის ქოლა, მაგრამ მისთვის ჩვეული სიმტკიცით აცხა-
ლებს — „მაინც ჩვენსკენ არის გამარჯვების ღმერთიო“.

ასევე მხნედ და უტეხად შეხვდა ქოლა მეფის სასამართლოს
შკაცრ განაჩენს, 5 წლის კატორღას. ეს უმძიმესი სასჯელი იყო და
ქოლამ კარგად იცოდა, რომ ასეთი მძიმე სასჯელი ჯერ არავის გადა-
ეტანა და იგი არსებობდა სიკვდილის მისჯას უდრიდა.

განაჩენის გამოცხადების მეორე დღეს, (განაჩენი სასამართლომ
1907 წლის 1 დეკემბერს გამოიტანა, მაგრამ ქოლამ, პროტესტის
ნიშნად, არ ისურვა სასამართლოში მისვლა და განაჩენის მოამენა),
ქოლამ ჩაწერა თავის დღიურში: „ურა! ხუთი წლის კატორღა მო-
მანიჭეს... არ ვიცი სხვებს რა ხვდა, რამდენმა მიიღო ხუთი... მე ყო-
ველთვის ხუთს ვღებულობდი სწავლაში, ხუთი მომისაჯა სამსაჯუ-
ლომაც. სკოლაში თუ უმაღლესი ბალი ხუთია, აქა, დანამდვილებით
ვიცი, ხუთ წელზე მეტი კატორღაში მუშაობა არავის რგებია ჩვენს
საქმეში... ასეთია რუსეთის მართლმსაჯულება“.

ორიოდე დღის შემდეგ იგი იმედიანად წერს: „მე ჩემ სიცოცხ-
ლეში კატორღაში ვიყავი, შემაშინე კატორღით, თუ ძმა ხარ! პარ-
ტიულ არისტოკრატებს უფრო აეწვევათ ზურავი“ (ამ „პარტიულ
არისტოკრატებში“ ქოლა მენშევიკ ლიდერებს და ზოგიერთ პარტი-
ულ ინტელიგენტს გულისხმობს).

„დღიურში“ ქოლა სასტიკად დასცინის მეფის სასამართლოს,
მის სამართლიანობასა და მართლმსაჯულებას, თამამად ამხელს პრო-
ცესის შეთითხნილ საბეს, „სიმართლე მაინც გამარჯვებს“, — სჯე-
რა მას და თავისი მომაკვდინებელი სარკაზმით აღნიშნავს, „დღეს
ხელში ჩამივარდა გაზეთის ნომერი ჩვენი პროცესის შესახებ, რო-
მელიც თავდება ასე: «После тщательного и всестороннего
рассмотрения всех обстоятельств дела и выслушивания сторон
(რა „მხარეები“, როცა მხოლოდ ერთი მხარე იყო)...«тщательное

и всестороннее рассмотрение дела» — შესანიშნავია! — განა სასამართლოს სკირია ამ სიტყვების ხმარება? — განა ეს თავისთავად არ უნდა იგულისხმებოდეს? და როცა ის თვითონ ამბობს ამას, განა სიცილით არ უნდა ვუთხრათ ბატონ მსაჯულებს — თუ პილპილი არ გიქამიათ, პირი რათ გეწვიოთ?..

ჩვენ ხომ არც თვითონ დავსწრებივართ საქმის გარჩევას (პროტესტის ნიშნად — გ. ც.) და არც დამცველები გვეოლია — как же были прения сторон?..».

მარტო განაჩენის გამოტანას როდი შეხვდა მხნედ ჰოლა ლომთათიძე. შემდეგშია, როცა უფრო ღრმად გაიაზრა თავისი განწირულება, მას არ დაუკარგავს მებრძოლის სახე და კვლავინდებურად ბულიერი სიმტკიცით და ფოლადისებური ნებისყოფით წერდა: „ეს მესამე დღეა მშვენიერ ხასიათზე ვარ. კატორღა, ვნახოთ ერთი, რა არის ეს კატორღა, თუმცა ვიცი, რომ იქიდან ცოცხალი ვერ გამოვალ — куда уже при моем здоровии. საწყალი არჩილ ჭაფარიძე, ის გადაიტანს განა კატორღას? მისთვის, წერეთლისათვის და ჩემთვის, — კატორღა ეს სიკვდილით სასჯელია“.¹

აი, კიდევ ერთი საბუთი ჰოლას უღრეკელობისა და იმ საქმის გამარჯვების რწმენისა, რომელსაც იგი ასე შეგნებულად წირავდა სიცოცხლეს: „ვისაც ქრისტიანობის გავრცელების ეშინოდა, იმისთვის ქრისტეს დასჯა იურიდიული დანაშაული კი არა, ვეებერთელა პოლიტიკური შეცდომა იყო. ამ უდავო ქეშმარიტების გამხელა საშიში არ არის ჩვენთვის, ვინაიდან იმათ, ვინც ასეთ შეცდომას ჩადის, ამაში ვერ დაარწმუნებ და ამიტომ გაეიმარჯვებთ ჩვენ“.

ჰოლა ლომთათიძემ მარტო მომავალ გამარჯვებაში რწმენა როდი შეინარჩუნა; მას არც ის სიძულვილი გაჰქარწყლებია, რომლითაც სიკაბუკიდანვე განიმსქვეალა თვითმპყრობელური რეჟიმისა და ჩაგვრაზე აგებული სოციალური სისტემის მიმართ. „ეჰ, რანაირად, რა ბრმად თესვენ ეს წუნკლები (ე. ი. მეფის ხელისუფლება — გ. ც.)

¹ არჩილ ჭაფარიძე, ირაკლი (კაკი) წერეთელი და მახარაძე ისევე როგორც ჰოლა, მძიმე ავადმყოფები იყვნენ და სასამართლომ მათ, ოთხივეს, კატორღა ციხით შეუცვალა. ა. ჭაფარიძე, მართლაც, რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა.

სიძულვილსა და შურს, რა წინდაუხედავად ასწავლიან სამაგიეროს გადახდას თავის მტრებს, როგორ აბოროტებენ ადამიანებს.... ეჰ, თქვე ჯალათებო! განა ასეთმა წვრილმანმა და გათახსირებულმა ხალხმა უნდა გაიმარჯვოს?..“¹

ზიზღი თვითმპყრობელობისადმი, ძველი რუსეთის პოლიტიკური-ბიუროკრატიული აპარატისა და მართლმსაჯულებისადმი ჭოლას დღიურის ყოველ სტრიქონში გამოსჭვავის. ამასთან ერთად, ყველგან იგრძნობა თავისი ქვეყნისა და ხალხის მოყვარული მამულიშვილის გულის ფეთქვა.

ზოგიერთი მოკოსმოპოლიტო სოციალ-დემოკრატისაგან განსხვავებით, ჭოლა მუდამ გამოირჩეოდა ჯანსაღი პატრიოტული სულისკვეთებით. იგი არასოდეს არ ყოფილა ნილილისტურად განწყობილი ნაციონალური გრძნობის მიმართა და არც ნაციონალური საკითხი ესმოდა ისე გაიზარებულად და ვულგარიზატორულად, როგორც ზოგიერთ ურამარქსისტს. ფართე ინტერნაციონალიზმი ხელს არ უშლიდა ჭოლას ყოფილიყო თავისი მშობლიური ქვეყნისა და ხალხის უზადო სიყვარულის მატარებელი პატრიოტი.

საპყრობილეში ჩამწყვდეულ და სამშობლოსაგან მოწყვეტილ ჭოლას კიდევ უფრო გაუძლიერდა სიყვარული საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი, დაინტერესება სამშობლოს მდგომარეობით, მისი აწმყოთი და მომავლით. ქვეყნის უნუგეშო ყოფით გამოწვეულ დარდს. სამშობლოს ხსნის გულწრფელი წადილი და ამ შველის რწმენა ეწმახნებოდა.

ამიტომ, რომ ჭოლას დღიურში მკაფიოდ მოჩანს გულდაკოდილი პატრიოტის დაუოკებელი წუხილი და გულისწყრომა: „ჩამივარდა ხელში ქართული გაზეთის „წყაროს“ მეთერთმეტე ნომერი, — წერს ჭოლა, — უჰ, როგორ აქცევენ გურიას; როგორ გარყვანეს ხალხი ამ წუნკლებმა! (ე. ი. მეფის მთავრობამ — გ. ც.) განა შეიძლება წარმოდგენა თუ ადამიანის ხელიდან ამდენი სისაძაგლე გამოვა?“

რამდენადაც ჭოლა ყველაზე მეტად სწორედ გურიის გლეხობასთან იყო დაკავშირებული, ცხადია, მის ჩანაწერებშიც ყველაზე ხში-

¹ „მნათობი“ 1934 წ. № 10; გვ. 131.

რად გურიის ამბებს ვხვდებით. ჰოლა ძალიან განიცდიდა, როცა გურიიდან ამბავს დაუგვიანებდნენ. მის ჩანაწერებში ხშირად შეხვდებით ასეთ წამოძახილებს: „გურიიდან კიდევ არავითარი წერილი არ არის და არა, გამოიბეს ამ წვერძაღლებმა ძაღლის ბალანი“. ანდა: „კავკასიიდან კიდევ არავითარი წერილი არ არის. ეტყობა კარგი ამბები არ არის იქ, ეს ცხადია, თორემ ასე როგორ დაყრუვდნენ ეს წვერძაღლები“..

საქართველოსა და გურიის შესახებ მიღებული ყოველი პატარა ცნობა, მას ხან ახარებს, ხან ადარდიანებს. მაგრამ ყოველთვის ცხოველ ინტერესს აღუძრავს. „გავიგე, რომ ტოლმაჩევი ოდესის გენერალ-გუბერნატორად დაუნისნავთ, ეგების ახლა ამოისუნთქოს რამდენიმეთ, უბედურმა გურიამ“. — წერს ჰოლა.

დღიური საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იგი ნათლად გვიჩვენებს ჰოლას ჩაუქრობ ინტერესს ლიტერატურისადმი. აუტანელი პირობებისა და ათასგვარი ტანჯვის მიუხედავად, ქვეყანას მოწყვეტილი, დახუთულ საკანში დამწყვდეული ჰოლა თვალმოუცილებლად აკვირდება ლიტერატურულ ცხოვრებას, ცდილობს კარგად გაერკვეს საქმის ვითარებაში და ახერხებს კიდევ ამას. ამგვარი სიყვარული, ერთგულება, შეუწინაღებელი ინტერესი ლიტერატურისადმი, ისიც ისეთ გარემოში, როგორშიაც ეს გატანჯული კაცი იმყოფებოდა — მხოლოდ სულით და ხორცილ ლიტერატორს, მხოლოდ იდეური მწერლობის ქემმარიტ ჯარისკაცს შეეძლო, და სწორედ ასეთი იყო ჰოლა ლომთათიძე.

მარტო ერთი დღის (უფრო სწორად, ღამის) განმავლობაში, იგი ზოგჯერ რამდენიმე ნაწარმოების წაკითხვას ასწრებდა. საგულისხმოა ისიც, რომ ჰოლა, ეს უსახსრო პატიმარი, თავისი „უკანასკნელი გროშებით“ ხშირად წიგნს ყიდულობდა, რათა თვალყური ედევნებინა თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრებისათვის. ციხეში იგი, უპირატესად, იძენდა რუსულ ენაზე დაბეჭდილ წიგნაკებს, ე. წ. „უნივერსალური ბიბლიოთეკის“ სერიულ გამოცემას, თითო ასეთი წიგნაკი, თითო მწერალს, ან ნაწარმოებს ეძღვნებოდა და იაფიც (ორი შაური) ღირდა.

ის, ვინც იცნობს ჰოლას ლიტერატურულ პრინციპებს, მის ერთგულებას მხატვრული რეალიზმისადმი, სწრაფვას იდეურობისადმი

და განუწყვეტელ ზრუნვას ხალხის დამრავლელ-მაორგანიზებელი ე. ი. რევოლუციის სამსახურში ჩამდგარი ლიტერატურის შესაქმნელად, იგი დღიურის ძუნწ შენიშვნებსა და ლაჭანურ დახასიათებებში ადვილად დანახავს. იმავე ორიენტაციის მტკიცე დაცვას, რასაც ჭოლა მანამდეც და შემდეგაც, ე. ი. მთელი სიცოცხლის მანძილზე ახორციელებდა. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ კრიტიკულ ლიტერატურაში არცთუ იშვიათად შეხვდებით აზრს, ვითომც ჭოლას ხარკი გაეღო დეკანდენტური ლიტერატურისადმი. არაფერი არ შეიძლება იყოს ამ აზრზე მცდარი. იგი სხვა არაფერია, თუ არა შეურაცხყოფა ამ თავდადებული მებრძოლისა და რეალიზმის პოზიციებზე მტკიცედ მდგარი მწერლისა, რომლის შემოქმედება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ერთ-ერთ წინამორბედად გწვევლინება.

პეტერბურგის ციხეში ჭოლა ლომთათიძე იმყოფებოდა 1908 წლის მაისამდე. (1907 წლის ივნისიდან). მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი იქდა იმავე „პრედვარილკა“-ში (дом предварительного заключения).

განაჩენის გამოტანის შემდეგ (1907 წლის 1 დეკემბერი), მისმა მეუღლემ და მეგობრებმა შუამდგომლობა აღძრეს, რათა ჭოლა, როგორც ტუბერკულოზიანი, სამხრეთში; კერძოდ, საქართველოში გადაეყვანათ. საპატიმროების მთავარმა სამმართველომ ცოლის ენერგიული ცდების შედეგად¹ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და დაად

¹ როგორ მოახერხა ელისაბედ ლომთათიძემ ჭოლას სამხრეთისაკენ გადაყვანის ნებართვის მიღება? როგორც აღვნიშნეთ პეტერბურგის ციხეში ჭოლას ყოფნის დროს, ცილა, აძლედა კერძო გაყვითლებს და პარალელურად სხვადასხვა დაწესებულებებშიც მსახურობდა. ერთ ხანს იგი მუშაობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის გეოლოგიურ კაბინეტში; პრეპარატორად და ბარათებს ავსებდა: კაბინეტს ვანაგებდა პროფესორი პეტსი. ეს უკანასკნელი იყო ახლო ნათესაურ ურთიერთობაში ნიკოლოზ II-ის მთავრობის დიდ მოხელესთან, პ. გ. კურლოვთან (შემდეგში თეთრი ემიგრანტი), რომელიც რეაქციის პერიოდში დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად (ე. ი. მოადგილედ) და უანდარმთა კორპუსის უფროსად. აი, სწორედ ამ კურლოვის დახმარებას მიაღწია ცილიამ, პროფესორ პეტსის მეოხეებით.

მეორე პიროვნება, რომელიც ჭოლას მეუღლეს ეხმარებოდა, იყო გურული ნაკშიძის ქალი, გათხოვილი პეტერბურგში. იგი ცოლად ყავდა დიდ ჩინოსანს და სამეფო კართან დაახლოებულ პირს, ბარონ მენდორფს. ამ ცოლქმარს არაერთი სიკეთე გაუკეთებიათ ჭოლასა და ცილიასათვის.

გინა ჰოლა ლომთათიძის გადაყვანა სევასტოპოლის ციხეში. ასეთივე გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი წერეთლის, ჯაფარიძის და მახარაძის მიმართ, რომლებიც ასევე მძიმედ დაავადებული იყვნენ. მაგრამ ამ უკანასკნელთ უარი განაცხადეს სევასტოპოლში გადასვლაზე, რადგან საქართველოში გამგზავრებას ცდილობდნენ. ამრიგად, სევასტოპოლში წასვლაზე მარტო ჰოლა დათანხმდა. რატომ?

თუ გავიხსენებთ ჰოლას ჩანაწერს — „ყველაზე უფრო იმის მეშინია. ჯაფარიძე-წერეთელთან არ მომიწიოს ჯდომა, რადგან ეს იქნება ორმაგი სასჯელიო“ — ცხადი გახდება, რომ ჰოლამ თავი აარიდა ყოფილ „პარტიულ ამხანაგებთან“ ე. ი. მენშევიკებთან ყოფნას, რაც გარდუვალი იქნებოდა, თუ ისინი ერთ ციხეში მოხედებოდნენ. სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჰოლამ სევასტოპოლში გადაყვანაზე თანხმობა განაცხადა. გამოზავნულდა თუ არა, ჰოლა გზას გაუყენეს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ მისი მეუღლის კეთილშობილური საქციელიც. იმისათვის, რომ ავადმყოფ ქმართან განუშორებლად ყოფილიყო და მისთვის მგზავრობის სიძნელე შეემსუბუქებინა, მან ციხის ადმინისტრაციას თავი დააპატიმრებინა და ამრიგად, თვითონაც ტუსაღთა ეტაპით იმგზავრა სევასტოპოლამდე. ეს იმიტომ, რომ ძველი კოდექსის მიხედვით: მხოლოდ ამ სახით იყო შესაძლებელი ტუსაღთან ერთად მგზავრობა. გზად ჰოლა კურსკის ციხეში გააჩერეს, სადაც რაღაც საპროტესტო მოქმედების გულისათვის ბარკილები დაადეს, მაგრამ კურსკის გუბერნატორის ჩარევის შემდეგ (ჰოლამ მას საჩივრით მიმართა) მალე ისევ მოხსნეს.

თუ როგორ იქცეოდა და საპყრობილეში თავი რანაირად ეკირა ლომთათიძეს, ამაზე მოგვითხრობს II სახელმწიფო სათათბიროს წევრი, ყოფილი დეპუტატი თბილისის გუბერნიისაგან, ა. გ. ზურაბოვი.¹ რომელსაც იმავე საპყრობილეში მოუხდა ჯდომა, სადაც ჰო-

1 ა. გ. ზურაბოვი (1873—1909) რევოლუციური მოძრაობის მონაწილე, ბათუმის კომიტეტის დელეგატი რსდმპ II ყრილობაზე. თანამშრომლობდა ქართულსა და სომხურ რევოლუციურ პრესაში. ჰოლასთან ერთად იყო რსდმპ IV ყრილობის დელეგატი სტოკჰოლმში და მეორე სათათბიროს დეპუტატი. II სათათბიროს გარეყვის შემდეგ იატაკქვეშეთში იყო, მერე დააპატიმრეს და კატორღა მიუსაჯეს. საქართველოს მენშევიკურმა ხელისუფლებამ გააძევა თბილისიდან.

ლას. აი, როგორ ახასიათებს იგი თავის მებრძოლ ამხანაგს: „ჭოლა ეკუთვნოდა იმ გამოჩენილ მოღვაწეთა რიცხვს, რომელნიც ხალხის სიღრმიდან წამოსულნი რევოლუციურ მოძრაობას რევოლუციის წინდლით შეუერთდნენ. ხალხში აღზრდილმა ჭოლამ, რომელმაც დედის ხსენთან ერთად შეისისხლხორცა მშობლიური გარემოს აზრი, განცდები, ჩვევები და რომელიც, ამასთან ერთად, დაჯილდოებული იყო ორგანიზატორის შესანიშნავი თვისებებით, სათნო, გრძნობიერი, გულით და მხატვრული ნიჭიერებით — სულ მალე დაიკავა ფრიალთვალსაწინო ადგილი მუშათა მოძრაობაში და მთელი არსებით მიეცა პროლეტარიატის განთავისუფლების საყვარელ საქმეს.

თავისი პიროვნების ამ თვისებათა მეოხებით ჭოლა ცოცხლად და და სუნთქავდა იმ ღვიძლ კლასთან კავშირით, რომელსაც ასე შევისხლხორცა. სადაც არ უნდა ყოფილიყო, იგი ყველგან ისწრაფოდა შეენახა კავშირი ამ ცხოველმყოფელ წყაროსთან, რომელიც არა მარტო მორალურად, არამედ, როგორც ეს ცხადყო მთელმა მისმა ტრაგიკულმა ცხოვრებამ — ფიზიკურადაც მოქმედებდა მასზე.

როგორც ხალხის რჩეული მეორე სახელმწიფო სათათბიროში, გაგზავნილი მეტად საპასუხისმგებლო პოსტზე ისტორიული გარდატეხის მომენტში, როცა მუშათა დემოკრატია ძაბავდა უკანასკნელ ძალებს, რათა ხელი შეეშალა მოძალებული რეაქციის გამარჯვებისათვის. ჭოლა მახვილად ადევნებდა თვალს მშობლიურ კავკასიაში მოვლენათა მსვლელობას, რომლისგანაც იგი მთელი 5.000 ვერსით იყო დაშორებული.

მან პირველმა დაიწყო მუშაობა ადგილებთან კავშირის დამამყარებელ კომისიაში, რათა ყოველდღიურად უშუალო კონტაქტში ყოფილიყო მშობლიურ წრესთან. დღიდან თავისი დაპატიმრებისა ჭოლა განუწყვეტლივ იბრძოდა ამ კავშირის შენახვისათვის და იბრძოდა, როგორც იტყვიან, კბილებითა და ფრჩხილებით, არ ტოვებდა რა სულ მცირე შესაძლებლობასაც კი, მისი გაუმჯობესებისა და გაფართოებისათვის. ამით აიხსნება ის განუწყვეტელი და მძაფრი შეტაკებანი, რომელიც მას ჰქონდა ციხის ადმინისტრაციასთან, მისი განუწყვეტელი მომთაბარეობის — ერთი ციხიდან მეორეში გადაბარების დროს.

როგორც ცნობილია ციხეში ადამიანს აღედგრის სურვილი მიწერ-მოწერისა. პატიმრისათვის ეს არის ერთადერთი კავშირი გა-

რე სამყაროსთან, ე. წ. „თავისუფალ ქვეყანასთან“. ჭოლას ეს სურვილი პირდაპირ ავადმყოფურ მასშტაბებამდე ჰქონდა განვითარებული. მცირედი ბარათი იმათგან, ვინც კიდეც „ცოცხალია“ და შებრძოლი პროლეტარიატის რიგებში დარჩა, ჭოლას მღელვარე გულს მაცოცხლებელ ნექტარს აწვევებდა და მის გადამტყდარ ორგანიზმს ძალ-ღონეს ჰმატებდა. მას კიდეც ერთი საშუალება გააჩნდა გარე სამყაროსთან, „თავის“ გარემოსთან კავშირისა, ეს იყო ლიტერატურა, იგი დაჭილდოებული იყო მხატვრული ნიჭიერებით, იყო პოეტი და ბელეტრისტი, ორიგინალური სტილის მწერალი. მას ჰქონდა იშვიათი უნარი ფსიქოლოგიური ანალიზისა და განზოგადებისა.

ასე, მაგალითად, ჯერ კიდეც პეტერბურგის წინასწარი პატიმრობის ციხეში ყოფნისას, ჭოლას მეზობელ კამერაში იჯდა ერთი ყოფილი საზღვაო ოფიცერი (მე დამავიწყდა მისი გვარი), რომელსაც ჩამოხრჩობა ჰქონდა მისჯილი, მეფის მოკვლის მიზნით მასზე თავდასხმის განზრახვისათვის. ჭოლას კავშირი ჰქონდა დამყარებული ამ ოფიცერთან მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. კავშირი საიდუმლო კაკუნით ჰქონდა დამყარებული. ჭოლას სიტყვით, მისი სიკვდილმისჯილი მეზობელი განაჩენის სისრულეში მოყვანამდე ერთი საათით ადრე კაკუნით ამცნობდა მას თავის მხნე განწყობილებას¹. ჭოლამ შემდეგში, თავის ერთ სტატიაში მოგვცა შესანიშნავი ფსიქოლოგიური ანალიზი სიკვდილ-მისჯილის უკანასკნელი დღისა.²

ჭოლა ბევრს წერდა და თარგმნიდა, ამასთან, კარგადაც. იგი ახერხებდა თავისი ნაწერების გაპარებას და ისინი იქ, შორეულ და მშობლიურ კავკასიაში იბეჭდებოდნენ. მათ კითხულობდნენ ისინი, ვისთანაც ჭოლა მთელი თავისი არსებით განაგრძობდა ყოფნასა და ცხოვრებას, და ვისკენაც ასე შეუოკებლად ისწრაფვოდა მისი ნატანჯი, მაგრამ კვლავინდებურად მგრძნობიარე გული.

როცა ციხის აღმინისტრაცია, კვლავ ჭოლავდა იმ ბზარებსა და

¹ ჩვენის აზრით, ეს შემთხვევა, რომელსაც ჭოლა ლომთათიძის შემოქმედების მკვლევარნი ნაკლებად იცნობდნენ, დაედო საფუძვლად, მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებს — „სახარობელას წინაშე“.

² აქ ზურაბოვი უნდა ცდებოდეს. ჭოლას ამაზე რაიმე სტატია კი არ დაუწერია, არამედ მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ზურაბოვის პატიმრობისა და ციხიბირში გადასახლების დროს დაიბეჭდა და ალბათ, ამიტომ მისთვის უცნობი დარჩა.

სარკმელებს, რომლებსაც კოლა მალულად ხვრეტდა შჩელგოვიტოვის პოლიციელი ჯალათების მიერ ოსტატურად აგებულ ზღუდეებში, მაშინ კოლა, დააეადებული მძიმე სენით, ძაბავდა მთელ თავის სუსტ ძალებს, რათა კვლავ შეენარჩუნებინა გარე სამყაროსთან ეს თავისი სუსტი მაგრამ მაცოცხლებელი კავშირი.

ასე, მაგალითად, როდესაც სევასტოპოლის ციხეში მას წაართვეს მისი მრავალწლიანი შრომის ნაყოფი, ჰეინეს თბზულებათა მისეული ქართული თარგმანები. მაშინ კოლა, როგორც ეს შემდეგში მიაშბეს სევასტოპოლის პოლიტკატორღელებმა, კბილებით ჩააფრინდა ციხის ადმინისტრაციას. საქმე ის კი არ იყო, რომ ნამუშევარს ართმევდნენ, ეს, გასაგებია, ფრიად მტკივნეული იყო, მთავარი მისთვის ამ შემთხვევაში ის იყო, რომ მისი ცხოვრებიდან მთლიანად უნდა აშოშლილიყო ის წლები, რომლებიც კოლამ ამ თარგმანს შეაღლია; რადგან იგი წერდა და თარგმნიდა სწორედ იმათთვის, ვისთვისაც თავისი ხმის მიწვდენა მხოლოდ საკუთარი კალმის მეოხებითა შეეძლო“.

კოლა ლომთათიძის ეს დახასიათება კარგად ეხამება თვით კოლას აზრს თავის თავზე, რომელიც მან ახლო მეგობარს, ბ. შარაშიძეს გაანდო 1907 წლის 31 დეკემბერს მიწერილ თავის ინტიმურ ბარათში. ეს ბარათიც მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტია. ჯერ ერთი, იგი გამოხატავს თვით კოლას აზრს მის მიერ ბრძოლით განვლილ გზაზე. მეორე: გვიხასიათებს მის უმძიმეს მდგომარეობას ციხეში, და მესამე, ნათელყოფს კოლას ოპტიმისტურ ხასიათს. მის უქრობ რწმენას უკეთესი მომავლის გარდუევალობაში.

გარდა ამისა, ეს წერილი გვიჩვენებს, თუ რა კარგად ფლობდა კოლა ლომთათიძე რუსულ ენას (ბარათი რუსულადაა დაწერილი)¹. კოლამ იმიტომ კი არ მიწერა იგი რუსულად, რომ რუსული ენა მშობლიურზე უკეთ იცოდა, ანდა ქართულს ერჩივნა (როგორც ეს მისი „პარტიული ამხანაგების“ უმრავლესობას ახასიათებდა, რომელნიც რუსულად უკეთ ლაპარაკობდნენ და წერდნენ, ვიდრე ქართულად), არამედ იმიტომ, რომ კატორღამისჯილის კორესპონდენცია (ორი

¹ სპატიმროს საკანში მართოდ მყოფ კოლას ამ ბარათს ვერც ვერავინ დაუწერდა და ვერც შეუსწორებდა. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ არსებობს ორმოდე ცნობა, თითქოს მასალების რუსულად დაწერაში მას ყოველთვის ცოლი „ეხმარებოდა“.

წერილი თვეში), როგორ წესი. ისინჯებოდა ციხის ადმინისტრაციის მიერ და ამ მიზნით წერა მხოლოდ რუსულად შეიძლებოდა. კოლას ქვემოთ მოყვანილ ბარათსაც აზის ასეთი გასინჯვის კვალი — საგანგებო შტამპზე აწერია—«Просмотрено в канцелярии прокурора СПб судебной палаты».

ბ. შარაშიძისადმი მიწერილ ბარათში კოლა ივონებს ერთად გატარებულ სიჰაბუკეს. მონაწილეობას სცენის მოყვარეთა სპექტაკლებში (კოლას სცენისმოყვარეობის შესახებ სხვა დოკუმენტი არ შემონახულა), ნაცნობ-მეგობრებს და ნატრულობს ნეტავ კიღევ ერთხელ გამატარა მშობლიურ ადგილებშიო, შემდეგ კი განავრძობს:

«Да, брат, все это было да сплыло, прошлого не воротишь, а будущее уже не так заманчиво, рассуждая с шкурной точки зрения, с точки зрения собственного удовольствия. Но один вопрос приходит мне на ум сейчас,—да жил ли я когда-нибудь для собственного удовольствия и если и были грешные попытки к этому, достигал ли цели? Кажется нет. А дальше? Пройдя эту ступень и оглянувшись назад, может быть и теперешнее мое положение я вспомнил бы с чувством глубокого удовольствия! Конечно, это так будет.

Только теперь меня мучат иные сомнения—я не на штуку болел. Будь я на свободе я, конечно, с этой болезнью справился бы очень скоро — я тогда, в Супсе, болел точно также, хотя три раза сильнее, однако я поборол ее. Но здесь, в такой обстановке мне невозможно бороться с ней: и это вынужденное бездействие меня мучит, я весь полон разных предчувствий и т. д.

Но все это глупости, авось все пойдет к лучшему. Я бы с большим удовольствием писал тебе письма и для меня это было бы большим утешением — иметь сношения с друзьями и товарищами, но как только мы будем поставлены в каторжные условия, писать потом невозможно. Каторжанам разрешается переписываться два раза в месяц с самыми близкими — с женой, матерью, отцом. Иметь сношения с остальным миром им не полагается. Так вот, до перевода из этой тюрьмы, я еще могу писать, а потом уж нельзя будет. А как говорят, переведут нас скоро, со дня на день нужно ожидать. И там кажется начнется новая жизнь, новые впечатления, новые люди. Трудно жить с убийцами, разбойниками, с дегенератами, с настоящими преступниками, но нужно полагать, что иногда

люди попадают в более худшие условия, да терпят»¹.
სევასტოპოლის ციხეში ჭოლა ლომთათიძემ კარგა ხანს დაჰყო. უნდა ითქვას, რომ სევასტოპოლის ციხის რეჟიმი არ იყო პეტერბურგზე უკეთესი. მით უმეტეს, რომ სევასტოპოლის საპატიმროს ადმინისტრაცია რატომღაც თავიდანვე ფრიად მკაცრად ექცეოდა ჭოლას და იგი რამდენჯერმე (თუმცა ხანმოკლედ) კარცერშიც ჩასვეს. ერთხელ თუ ორჯერ მისთვის ბორკილებიც კი გაუყრიათ, მაგრამ ყირიმის ჰავამ მაინც სასარგებლოდ იმოქმედა ჭოლა ლომთათიძეზე და იგი უკეთესად გრძნობდა თავს, ვიდრე პეტერბურგში.

მაგრამ ციხის ადმინისტრაციის დამოკიდებულება ჭოლასადმი კიდევ უფრო გაუარესდა მას შემდეგ. რაც მან 1909 წლის აპრილში მესამე სახელმწიფო სათათბიროს² გაუგზავნა შეკითხვა-პროტესტი რუსეთის საპატიმროებში სიკვდილმისჯილთა აუტანელი მდგომარეობის შესახებ. ეს წერილი ცნობილი მენშევიკის, დანის, დახმარებით ჭოლამ მიაწვდინა პეტერბურგის მმართველ წრეებსაც, საზღვარგარეთულ პრესასაც და საზღვარგარეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებსაც³.

ჭოლას მაშხილებელმა წერილმა დიდი აურზაური გამოიწვია იგი გამოაქვეყნეს მთელმა რიგმა გაზეთებმა და მან თვით მეფის ოჯახის წევრებამდეც კი მიალწია (პეტერბურგში მცხოვრები ქართული ოჯახების შემწეობით). კერძოდ, ზემოთ მოხსენებული ნაკაშიძის ქალისა და პრინც კ. პ. ოლდენბურგსკის მეუღლის, აგრაფინა (ატატო) ჯაფარიძის (გრაფინია ზარნეკაუს) დახმარებით, ეს წერილი წაუკითხავთ ამ უკანასკნელის მაზლის, მეფის დიდი მოხელის, ა. პ. ოლდენბურგსკის სალონში, სადაც ჭოლას წერილს გაცნობიან ნიკოლოზ მეორის ოჯახის წევრებიც. ერთ-ერთ მათგანს შიშით წამოუყვირია კიდევ: „ეს წერილი ლეონიდ ანდრეევის „შვიდ ჩამობრჩობილზე უფრო იმოქმედებს ხალხზეო“.⁴

¹ საქ. ლიტერატურული მუზეუმი, კ. ლომთათიძის არქივის ფონდი, ხელნაწერი 15595.

² მესამე სახელმწიფო სათათბირომ იარსება 1907 წლის ნოემბრიდან 1912 წლის ივნისამდე.

³ იხ. ამ საკითხზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, ი. მეგრელიძის წერილი (საქ. ლიტერატურული მუზეუმი კ. ლომთათიძის ფონდი).

⁴ ელისაბედ ლომთათიძის ნაშრომიდან.

როცა სევასტოპოლის ციხის ადმინისტრაციამ გაიგო, რომ მათი პატიმარი „არცხვენს“ მეფის საპატიმროს და რომ სევასტოპოლის ციხეში მომხდარი „უწყისობანი“ კოლა ლომთათიძის წყალობით მთელმა ქვეყანამ შეიტყო, მან გადაწყვიტა ჯავრი ეყარა, დაუმორჩილებელ ტყვეზე და კიდევ უფრო მოუჭირა მარწუხები. ამის შედეგად კოლას რამდენჯერმე ჩააცვეს ე. წ. „მომათვინიერებელი ხალათი“, რომელსაც საგიჟეთშიც იყენებენ (ე. წ. „УСМИРИТЕЛЬНАЯ РУБАХА“). ხანგრძლივად ამყოფეს კარცერში, უღერებდნენ პისტოლეტებს, შეუწყვიტეს გზავნილების გადაცემა, აღარ უშვებდნენ კოლ-შვილის სანახაევად, წაართვეს წერის უფლება და სხვა.

კოლას ყოფნა სევასტოპოლის ციხეში აუტანებლი ხდებოდა. მაშინ კოლას მეუღლემ, ცილიამ, კოლასავე მითითებით, დაიწყო ზრუნვა ქმრის სხვა ციხეში გადასაყვანად. ცილია გაემგზავრა პეტერბურგს, პატარა ჭოლიკო კი სევასტოპოლში დატოვა. პეტერბურგში ცილიამ კავკასიის ნამესტნიკის ერონცოვ-დაშკოვის უახლოესი თანამშრომლების, ბარონ ნოლდეს და სენატორ ვატაცის დახმარებით, შესძლო მიეღო კოლას სევასტოპოლიდან საქართველოში, კერძოდ, ბათუმის ციხეში გადაყვანის ნებართვა.

1910 წელს კოლა გემით ბათუმში წაიყვანეს. მისი მეუღლის სიტყვით, გამცილებელ ბადრაგს ეშინოდა, რომ კოლას თანამზრახველები გემს დაეცემოდნენ და ტუსაღს გაათავისუფლებდნენ. ამიტომ კოლას მოდარაჯე ჯარისკაცთა რიცხვი გააორკეცეს, ხოლო კაიუტაში, სადაც კოლა და მისი მეუღლე ისხდნენ, ჟანდარმები შეიყვანეს¹.

ბათუმის ციხეში კოლა ნახევარ წლამდე იჯდა, შემდეგ იგი ახალციხის საპატიმროში გადაიყვანეს, რათა გურიისათვის მოეცილებინათ. ბათუმში კოლასთან ხშირად ჩადიოდნენ ნაცნობ-ნათესაეები, რომლებიც მატერიალურადაც ეხმარებოდნენ მას. ამ გარემოებამ ჩანს შეაფიქრანა ადმინისტრაცია და კოლა უფრო მოშორებულ უფრო „მყუდრო“ ადგილას გადაიყვანეს, ახალციხეში. აქ კოლა ლომთათიძემ წელიწადზე მეტი ხანი დაჰყო, ახალციხიდან მეტეხის ციხეში გადააგზავნეს, მეტეხიდან კი ასტრახანს გაუყენეს.

ვერც ციხემ, ვერც წამებამ ვერ მოტეხა კოლა ლომთათიძის

¹ ელისაბედ ლომთათიძის ნაამბობიდან.

უდრეკი ხასიათი, მისი ფოლადისებური ნებისყოფა და ფიზიკურად დაუძლეურებულმა ადამიანმა საოცარი სულიერი სიმტკიცე გამოიჩინა. ამ იშვიათი, პირდაპირ ფენომენალური სიმტკიცისა და ამტანობის გამოვლინებაა ჭოლას მხატვრული ნაწარმოებები, შექმნილი შემოქმედების მეორე პერიოდში, ე. ი. 1907—1914 წლებში. სხვადასხვა კონსპირაციული საშუალებებით ჭოლა ახერხებდა ციხეში დაწერილი ნაწარმოებების გარეთ გადმოგზავნას, მეგობრები კი რედაქციებს აწვდიდნენ მათ.

დაპატიმრების პირველსავე თვეებში (ჯერ კიდევ პეტერბურგის წინასწარი პატიმრობის ციხეში ყოფნის დროს) შექმნა მან ლირიკული პროზის უშესანიშნავესი ნიმუში და რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის უთვალსაჩინოესი ნაწარმოები — „სახარხობელას წინაშე“.

1907—1908 წლებში ჭოლას ამ მოთხრობის გარდა არაფერი დაუწერია. სამაგიეროდ, 1909, 1910, 1911, 1912 წლებში დიდი ნაყოფიერებით მუშაობდა და წელიწადში 4-5 მოთხრობას წერდა. თუ გავითვალისწინებთ იმ პირობებს, რომელშიც მას უხდებოდა მუშაობა, ცხადი გახდება ის გმირობა, რომელსაც ამით ჭოლა სჩადიოდა.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა პერიოდი, როცა ჭოლა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ციხეებში იჯდა (მაგალითად, ბათუმისა, სადაც დაწერა „პირველი მაისი“ და ახალციხისა, სადაც დაწერა რამდენიმე მოთხრობა. გამონაკლისს ამ მხრივ მხოლოდ მეტეხის ციხე წარმოადგენდა).

სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით ჭოლა ლომთათრძის ციხეში ცხოვრების შესახებ. წარმოდგენა ამ ბედუქულმართ ყოფაზე ისევე მისი მხატვრული ნაწარმოების მიხედვით უნდა შევიმუშავოთ. მაგრამ არსებობს ორიოდე მოგონება, რომელიც აგვიწერს საპატიმროში ჭოლას ქცევას და ცოცხლად წარმოგვიდგენს ამ უდრეკი მებრძოლის პორტრეტს.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ი. იმედაშვილის მოგონება ზეტეხის ციხეში ჭოლას ყოფნის შესახებ. „ერთდღეოვანი იყო ცხოვრება ჩვენი... გადაუწყვიტეს, ჩამოახრჩვეს, გაგზავნეს, — აი, უმეტესად რა „ახალი“ ამბებით ვიკვებებოდით. ასეთ ერთდღეოვნება-

ში ციხის კედელთა შორის გაისმა — ჯოლა ლომთათიქე მოჰყავთო!.. და ყველა, ვინც იცოდა ამ წამებულის ვინაობა, მოუთმენლად მოელოდა — როდის იქნება, თვალთ ვნახოთო... ჩვენი ციხე შალღღებდა. ღირსება ემატება! — წამოიძახა ერთმა ტუსალთაგანმა.

ერთ ჩვეულებრივ დღეს, როდესაც ორმოციოდე პოლიტიკური ტუსალი ციხის თონისებურ ეზოში ირგვლივ ვიდოდით, როგორც კალოში შებმული დაქანცული საქონელი, ვილაცამ გადმოგვძახა — „ეტაპი მოვიდა, ჯოლა მოიყვანეს“. ყველამ ციხის სამმართველოსაკენ გავიხედეთ, სამმართველოში ათამდე ტუსალი იდგა... გულმა ფანქალი დაიწყო, ვათვალთვრებთ ვერ ვარჩევთ — კარჩაკეტილ საკნებიდან ფანჯრებში დაბორკილებულნი („კანდალჩიკები“) იცქირებიან, — ყველას ყურამდე მიაღწია — ჯოლა მოიყვანესო.

არ გასულა დიდი ხანი, მოყვანილი ტუსალები ეზოში გამოიყვანეს: — გამარჯობათ, ამხანაგებო! — გადმოგვძახა ერთმა ხმელხმელმა, აწოწილმა, გამხდარ-გატეხილმა გრუზა ტუსალმა, — ჯოლას გაუმარჯოს უპასუხეს. ამხანაგებმა ერთმანეთი გადაპოცნეს. ხელს ართმევდნენ, მორიგე ზედამხედველი ყვირის, მაგრამ ყურს არავინ უგდებს. ვილაცა უპასუხებს: „депутат с нами!“ რამდენიმე ხნის შემდეგ „ძველ შენობაში“ მოათავსეს. ძველი შენობის მკვიდრთ გვიხარია, ვამაყობთ... პყრობილმა არწივმა მალე გამოაჩინა კვანჩები. მესამე დღეს ერთი ამბავი მოახდინა მნახველთა მისაღებ ოთახში უზრდელ-უდიერი საქციელისათვის. არ გასულა მეტი ხანი და საზოგადო სახმარი პურის უფარგისობის გამო აშკარა საყვედური განაცხადა (თუმცა თითონ უკეთესი, თეთრი პური ეძლეოდა)...

ხალხის ნდობით აღჭურვილი დეპუტატი, მაგრამ უფლებაყრილი და სამოქალაქო სიკვდილით დასჯილი, ციხეშიაც ისევ დეპუტატი, ყველა მას ენდობა, მმართველობაც ანგარიშს უწევს და ხშირად გამოელაპარაკება ხოლმე... როგორც ავადმყოფი (ქლეჭი სჭირდა), მზიურ ოთახში მოათავსეს, სრულიად ცალკე...

ციხეში არა ერთხელ შეგვეხვედრია ხებრე მორიგე... საკმაო იყო მცირე მიზეზი, რომ ცოცხლად დამარხულებს ცეცხლი მოგვედებოდა, მაგრამ ხშირად ბოლმას გულში ვიკლავდით, ჯოლა კი — ვიდრე ასეთ ხებრეს არ მოაშორებინებდა არ დაწყენარდებოდა.

ცოცხალი მოკავშირე-მოსაუბრე იყო, ხან გესლიანი, მწარედ დამ-

ცინავი, ხან კი მოსიყვარულე, საამო, მაგრამ მუდამ გულწრფელი: რაც გულში აქვს, ენაზე ადგებაო, სწორედ იმაზე ითქმებოდა... ზოგჯერ ერთი სიტყვით ისე დაახასიათებდა ათვალწუნებულ კაცს, რომ, როგორც იტყვიან, მოსპობდა ხოლმე. ერთხელ რალა ცაზე კარცერში წაყვანა მოუნდომეს. „ახლავე კარცერში!“ — მოისმა უფროსის მაღალი ხმა. „სცრუობ ვერ წამიყვანთ“ — იყო ჭოლას პასუხი... ყველა ერთეული საკანის კარი ჩაკლიტულია, სანათურებთან მიმდგარი ტუსალები ყურგამახვილებულნი ვიციკირებით, აცა, რა იქნებაო! „შვიდი დღე-ღამით ჩაჰკეტეთ!“ — გაიცა ბრძანება. ყველას ელდა გვეცა: ეს ხომ აშკარა სიკვდილია! ჩანს, მაგის მოკვლა სურთ, — მოისმის აქეთ-იქიდან... არ გასულა ხუთიორე წუთი, ჭოლა ისევ უკან ამოიყვანეს. რა მოხდა? — უმაღლესი ბრძანებაა, კარცერში არ ჩასვათო.

ჭოლა ციხეში განუწყვეტლივ მუშაობდა: კითხულობდა, წერდა, თარგმნიდა და რალაც მანქანებით ციხის გარეთ გზავნიდა თავის ნაწერებს... იშვიათად მინახავს ასეთი მოწადინებული, ბეჯითი, მწიგნობრობის მოყვარე. განსაკუთრებით დაეწაფა ძველ ქართულ მწერლობას. ენა უნდა შევისწავლოო...

ბოლო ხანებში დიდი უკმაყოფილო იყო ზოგიერთი რედაქციისა: „მაგათი სული კი არ იყოს, რა გაკვირვებით უგზავნი ნაწერებს და ეგენი კი... ან „ჰკარგავენ“, ან... ეშმაკმა წაიღოს.. ერთი გავიდე! ჭოლას მეტეხის ციხეში საგანგებო კერძი ეძღეოდა, რაც კი შეიძლებოდა სათუთად უვლიდნენ... განსაკუთრებით ყურადღებით ექცეოდა ცოლი. მისი ციხეში შემოსვლა და ჩვენი—მთელი ძველი შენობის ტუსაღთა სიხარული ერთი იყო... ყველანი მოწიწებით პატივს ვცემდით იმ უცხო ქალს, „ჩვენს რძალს“, რომელიც ერთი ქალაქიდან მეორეში გადადიოდა, სადაც კი ჭოლას გადაიყვანდნენ და ფარვანასავით თავს ევლებოდა. მისი მოწყალებით უმაღლესი მოხელენი ტუსაღთა ჰირ-ვარამსაც მიაქცევდნენ ხოლმე ყურადღებას.

1913 წელს, ერთ დილით რალაც ცვლილება შეგნიშნე მუდამ მხიარული ჭოლა თითქმის ორი კვირა გულით ზიდავდა ბოლმას: „საზიზღარი უსახელო წერილი მიეღო ოჯახზე“.¹

¹ ი. თ. „თეატრი და ცხოვრება“ 1915 წ. № 47, გვ. 5, ი. იმედაშვილი „ხალხის წარმომადგენელი მეტეხის ციხეში“.

თუ ჭოლა საპატიმროს მძიმე პირობების მიუხედავად, მაინც ახერხებდა შემოქმედებით მუშაობას, ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის მის მეუღლეს — ელისაბედ (ცილია) ლომთათიძეს. ცილიას დახმარებით ჭოლამ მიიღო „უმალღესი ნებართვა“, რომლის თანახმადაც ციხის ადმინისტრაცია ვერ დაამწყვდევდა ჭოლას კარცერში და ვერ გამოიყენებდა მის მიმართ ფიზიკურ სასჯელს. ამის გარდა ციხის უფროსები ვალდებული იყვნენ გამოეყოთ მისთვის მშრალი, ნათელი საკანი, მიეცათ თეთრი პური და გაუმჯობესებული ულუფა.

რამდენადაც, ელისაბედ ლომთათიძის და ჭოლას დამოკიდებულება ყოველთვის არ არის სწორად და ობიექტურად გაშუქებული ჩვენს ლიტერატურაში. საჭიროდ მიგვაჩნია უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ჭოლას ბიოგრაფიის ამ მეტად მნიშვნელოვან მხარეზე.

1913 წლის დამლევამდე ელისაბედ ლომთათიძე ერთგულად და დიდის მონდომებით პატრონობდა თავის მეუღლეს. იგი, როგორც აღვნიშნეთ ციხიდან ციხეში დაჰყვებოდა ქმარს თავისი მცირეწლოვანი ვაჟიშვილით, ჭოლიკოთი, და იმ ქალაქებში ეწყობოდა საცხოვრებლად, სადაც ჭოლა პატიმრობას იხდიდა. ასე იყო პეტერბურგში, სევასტოპოლში, ბათუმში, ახალციხეში და თბილისში.

თუ რა მზრუნველობას იჩენდა ცილია ქმრის მიმართ, ამას ცხადყოფს საპატიმროში ყოფნის დროინდელი ჭოლას ჩანაწერები, რომლებშიც ცილია თითქმის ყოველდღიურადაა ნახსენები. აი, ნიმუშად რამდენიმე ჩანაწერი ცილიას შესახებ: „ისე მოუთმენლად მოველოდი დღეს ცილიას ნახვას... და ცილია კი არ მოვიდა. არ ვიცი რატომ? ეგებ დაიჭირეს, ეგებ ავად არის, ან ეგებ რაიც აღვიღლად მოსალოდნელია — შეეზარა მოსვლა“. მეორე დღეს კი გახარებულნი წერს: „ცილია ავად ყოფილა და იმიტომ ვერ მოვიდაო“. ჭოლას დღიურში ხშირად მეორდება ასეთი ჩანაწერები: „ცილიასაგან მივიღე ოთხი წერილი ერთად, ერთიც ღია ბარათი, სურათით.. სიყვარულს მიცხადებს ცილია — კიდევ არ მოვძულდი...“

ზოგჯერ ჭოლას დღიური საშემოსავლო „რეესტრს“ ემგვანება; იგი წვრილად აღნიშნავს ცილიას მიერ გამოგზავნილ თუ მოტანილ ნივთებსა და სურსათს, მაგალითად: ცილიასაგან მივიღე საბანი — მშვენიერი“; „მივიღე ცილიასაგან პიდუაკი (თბილი) ვაშლები და

წამალი;“ „მივიღე მისგანვე ღია ბარათი ლონდონის სიტის სურათით (ჩემს მიერ მოტანილი ლონდონიდან)“, „მივიღე ცილიასგან ფორთოხლები, ხალვა და სუხარი“ და ა. შ.

„ცილიამ მითხრა — ვცდილობ შლისელბურგის სამაგრაეში დაგტოვონ. ეგებ რამე გამოვიდესო... რა თქმა უნდა, ყველაფერი დავეუფარე ჩემი ჯანმრთელობის შესახებ. რომ სუნი არ, სცემოდა, საცვლები გამოვიცვალე... ფული, როგორც იქნა, მოვაგროვეო, მითხრა მან და ეხლა ჩქარა, 31 დეკემბერს, გავწეე ბავშვთან გურიაშიო. მე ამდენ ხანს ვაძალებდი მას წასვლას, წერილობით თუ სიტყვიერად ვებრძოდი. მაგრამ როცა მან გადაწყვეტით თქვა, მეწყინა — მემძიმა მისი მოშორება. სანამ ის იქ მივა და მერე პეტერბურგში მიბრუნებას მოახერხებს, ვინ იცის, ჩვენ საით გადაგვისვრიან, რა მომივა. კერძოდ მე...

ბავშვის ნახვა კი ისე მინდა, ისე მენატრება ამ უბედური არსების დანახვა... რა მოელის ამ ობოლს?.. მამა არ ჰყავს, დედაც ავადმყოფი, რომელიც შეიძლება ერთ ღამეს გათავდეს... რა ეშველება მას? რა დააშავა? ჩემი დანაშაულის მსხვერპლია საცოდავი, უმწეო ბავშვი... ეჰ, ერთი მანახა მაინც“.

„ცილიასაგან დღეს არავითარი წერილი არ არის. რა მეშველება, როცა ის წავა, ასე მგონია იმის მეტი ადამიანი აღარ არის ქვეყანაზე, რომელსაც მე ვაინტერესებ“.

ცილია ამხნევებდა ქმარს, უგზავნიდა სანოვაგეს და ტანსაცმელს და სხვადასხვა ხერხით, ადმინისტრაციისაგან დაფარულად აწვდიდა კორესპონდენციას. კოლა ხშირად წერს: „შემომპარა დღევანდელი „ტოვარიში“ და წერილიო“, ანდა, „აბანოში წავედი. იქ გადმომცეს ქართული ჟურნალები, ძველი, მაგრამ ჩემთვის ახალი იყო — ქუთათური „ცისკარი“ და „ახალი ქვეყანა“.

„გადმომცეს ცილიას წერილი — მიჯავრდენა, გატყობ ავად ხარ. ეს კი არ შეიძლება. როგორც კი ჩაწვები, მე წელი მომწყდება, გული გამიტყდება, განწირულება შემიპყრობსო. მე კი ისევ ისე ვარ. ხუთ დღეში ცილია წავა და შემდეგ ვნახოთ, რას ჰქვია მართობა. აქამდე კვირაში ორ-სამჯერ კიდევ ვნახულობდი მახლობელ ადამიანს, ვერთობოდი, ვმშვიდდებოდი, სულით ვასვენებდი, აწი კი სანამღი?..“

დაუღალავი ზრუნვით, ენერგიული მოქმედებით ცილია ცდილობდა ჭოლასათვის მრავალმხრივი დახმარების გაწევას. მან რამდენჯერმე მოახერხა ჭოლა სამოქალაქო ექიმებისათვის ენახვებინა. „მნახა ექიმმა. ვილაც „ზნამენიტოსტი“ უნდა იყოს — სატუსალოს ექიმი ისე იდგა მის წინაშე, როგორც უბრალო ჯარისკაცი გენერლის წინაშე გაჩერდება ხოლმე... კანტორის წინ, კარებთან, რუსთა ექიმთან მივყავდი, იდგა ცილიც. ფერმკრთალი. მივუახლოვდი თუ არა, გამაჩერეს, გაუღეს იმას კარი, გაუშვეს გარეთ, მოხურეს ისევ და მერმე მითხრეს — ახლა წამოდით... საშინლად მეწყინა...“

„აქამდე თურმე ეჭვდაც არ მოსდიოდა ცილიას ჩემი ფილტვებით ავადმყოფობა. საცოდავი, რა მწარედ ტიროდა... დარწმუნებულაა, რომ მოვჩჩები, ისიც კატორღაში. აი, ასეა, როცა ადამიანს არ სურს დაიჭეროს რამე...“; „ცილია მიემგზავრება გურიაში, ბავშვთან. ვინ იცის, რა დაემართება. შეიძლება დაატუსალონ, იქ ხომ არც კანონი არსებობს (ეს არსად არ არსებობს რუსეთში) და არც მისი. ნასახი.“

პატიმრობით გაბეზრებულ, ავადმყოფობით გატანჯულ და ძარღვებმოსული ჭოლას, თითქმის ყოველი ციხის ადმინისტრაციასთან, რომელშიც კი იგი იქნა, ნამდვილი ომი ჰქონდა გამართული. ამის გამო განუწყვეტლივ გადაჰყავდათ ერთი საპატიმროდან მეორეში და დიდხანს არც ერთგან არ აჩერებდნენ. წარმოსადგენია, რა გაკირვებაში იმყოფებოდა მისი ცოლ-შვილი, რომელსაც განუწყვეტელი წანწალი და ახალ-ახალ ადგილებზე დასახლება უხდებოდა. ვერ მოასწრებდა ცილია ერთ ქალაქში დაბინავებას, სამუშაოს შოვნას (მას ხომ შვილიც უნდა ერჩინა და ქმარსაც დახმარებოდა!), რომ უნდა ხელახლა აყრილიყო და სხვაგან გადაბარებულყო.

მისი თავდადებით და ერთგულებით გახარებული ჭოლა სიხარულით აღნიშნავდა თავის დღიურში — „ცილიამ დაქინებით მოითხოვა, თუ გადაგასახლეს, მეც შენთან მივდივარ, თუ კატორღაში გაგაგზავნეს, სადაც შენ იქნები, იქ წამოვალ... ჯერ ვნახოთ რა იქნება და მერმე ვიფიქროთ ამაზე მეთქი, ვუთხარი“.¹

თვით ჭოლას მახლობლები და ნათესავები, რომლებიც ყოველთვის საკმაოდ შკაცრად და კრიტიკულად (ხოლო ჭოლასთან გაყრის

¹ „მნათობი“, 1934, № 7-8, გვ. 212.

შემდეგ ზოგჯერ არასამართლიანადაც) აფასებდნენ ცილიას ყოველგვარ საქციელს — აღნიშნავენ ჭოლას მეუღლის მზრუნველობასა და ამაგს. ჭოლას მახლობელი ადამიანი, გიორგი ლომთათიძე, თავის მოგონებაში წერს: „ქარგი ქალი იყო ცილია, ქართველი ქალი არ იზამს იმას, რასაც ის აკეთებდა... ბავშვს ცალკე პატრონობდა, ჭოლას ცალკე. ახლა კიდევ ჭოლა ბავშვზე ძლიერ ძნელი მოსავლელი იყო — მზუნჯიანი, ფიცხი“.¹

ამ ყოფაში გაატარა ცილიამ მთელი შვიდი წელიწადი, იმ იმედით, რომ ჭოლას მალე გაანთავისუფლებდნენ და ისინი კვლავ ერთად იცხოვრებდნენ. მაგრამ ბედმა ორთავეს უმტყუნა. როგორც აღვნიშნეთ, რამდენიმე მოწინავე ქართველი ინტელიგენტის დახმარებით, ცილიამ შესძლო შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან ჭოლას საქართველოში დასახლების ნებართვის მიღება, მაგრამ საომარი პირობების გამო მეფისნაცვალმა ამის უფლება არ დართო და საალყო წესების მოხსნამდე აუკრძალა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ყოფნა.

კეთილშობილური ბუნების ჭოლამ ადრევე არა ერთხელ შესთავაზა ცილიას გაყრა. მაგრამ ქალი ყოველთვის შორს იჭერდა ამ წინადადებას. განუწყვეტელმა ტანჯვამ. აუტანელმა პირობებმა ისედაც თავდაუქერელი, ფიცხი და ყოველჯამს აღგზნებული ჭოლა კიდევ უფრო ძნელი ასატანი გახადა. აკი თვითონაც აღიარებდა 1907 წლის დამლევის: „ამ ბოლო დროს (სამწუხაროდ. ეს მარტო „ბოლო დროს“ არ იყო — გ. ც.) მე ვამჩნევ, აუტანელი გავხდი — წერილი მივწერე სასტიკი (იგულისხმება ცილიას—გ. ც.). მის ალაგს მე ამდენ ხანს ავიკრეფდი გულა-ნაბადს და წავიდოდი ჩემგან—«от этого уродна»².

მიუხედავად იმისა, რომ ჭოლას კვლავინდებურად უყვარდა ცოლი, ყოველი მათი შეხვედრა წამებად გადაიქცეოდა ხოლმე, სულ მცირე მიზეზი, ავადმყოფს მოთმინებას აკარგვინებდა და სიგიჟემდე მიჰყავდა. ცოლ-ქმრისათვის თანდათან ცხადი შეიქნა, რომ მათი ერთობლივი ცხოვრება უკვე შეუძლებელი იყო.

ცოლქმრული ურთიერთობის გაწყვეტას ხელს უწყობდა ორი გარემოებაც: ჭოლას ზოგიერთი მტერ-მოყვარის საქციელი. ისინი

¹ საქ. ლიტერატურული მუზეუმი, კ. ლომთათიძის არქივის ფონდი გ. ლომთათიძის მოგონება, 13465-6.

² „მნათობი“, 1934 წ. № 7—8, გვ. 211.

ვითომ ჰოლას „ნამუსის შენახვაზე“ ზრუნავდნენ, მისი ცოლის უბიწოებას უფროთხილდებოდნენ და დროდადრო ისედაც განაწამებ პატიმარს ანონიმური წერილებით სტანჯავდნენ.

არსებობს ეჭვი, რომ ანონიმურ წერილებს (მეტეხის, ციხეში ჯდომის პერიოდში) ოხრანკის აგენტებიც აგზავნიდნენ, რათა რაც შეიძლება ჩქარა მოეღოთ მისთვის ბოლო.

გათიშვის ერთ-ერთ მიზეზს საზოგადოდ ჯიუტი ჰოლას დიდი ხნის აკვირებულნი აზრიც წარმოადგენდა; ჰოლა რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ქალი დიდხანს ვერ გაძლებს უმამაკაცოდ. ქალის სისუსტის ასეთ წმინდა ფიზიოლოგიური მიზეზებით ახსნა ჰოლას ადრინდელ შემოქმედებაშიც მოჩანს. პატიმრობის ბოლო პერიოდში მას კიდევ უფრო გაუძლიერდა რაღაც ნილილისტური დამოკიდებულება ქალისადმი, რაც მას ადრეულ პერიოდშიც ახასიათებდა და რაც ასე მკვეთრად შეიცვალა რევოლუციის აღმავლობის დროს, როცა იგი თვით იყო ცოცხალი მოწმე ქალთა გმირული რევოლუციური თავგანწირვისა.

რეაქციის პერიოდში მოძალებულმა დეკადენტურმა მიმდინარეობებმა (რომელთაც ჰოლა ყოველთვის ზიზღით ეპყრობოდა), ისევე როგორც საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულმა ერთიზმმა, ეტყობა, ქვეცნობიერად იზოქმედა ჰოლაზე. რის შედეგადაც იგი კვლავ ძველ შეხედულებებს დაუბრუნდა და მაღალი აზრი ქალზე, ისევე უარყოფითით შეცვალა.

ჰ. ლომთათიძის თანდაყოლილი ეჭვიანობა კიდევ უფრო ართულებდა საქმეს. ასტრახანში გადასახლებამ ყოველივე ეს უკიდურესად გაამძაფრა. ჰოლა განუწყვეტლივ ნერვიულობდა, კირვეულობდა, თითქოს ყველა ირგვლივ მყოფის მოთმინების გამოცდას ლამობდა. ცხადია, ყველაზე მეტად მისი ამგვარი „რეპრესიები“ მისსავე მეუღლეს ვნებდა. ასტრახანში ჩასვლისთანავე ჰოლამ მეუღლის განმოსაჯარებლად „შეირთო“ ცოლად (ე. წ. „гражданским браком“) ერთი ესერი ქალი, ეროვნებით პოლონელი, რომელიც, სხვათა შორის, სარატოვიდან მისი ნეშტის გადმოსვენებასაც ესწრებოდა, მაგრამ თავი მეტად უჩინრად, თავდაპირილად ეპირა და ცდილობდა შეუმჩნეველი ყოფილიყო.

მაგრამ იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელმაც დააჩქარა ჰო-

ლასა და ცილიას გათიშვა. 1912 წელს, ცილიამ თბილისში გაიცნო კომუნისტური პარტიის ძველი წევრი და თავის დროზე ცნობილი პროფესიონალი-რევოლუციონერი რუბენ კატანიანი. იგი, როგორც კვალიფიციური ვეჭილი, რსდმ პარტიის ც. კ-ის დავალებით, პარტიის წევრთა გასამართლების დროს პროცესებზე ადვოკატად გამოდიოდა. მათი დაახლოვება ასე მოხდა: 1911—12 წლებში ჰოლას მეტეხის ციხეში ჯდომის პერიოდში დაარსდა მეორე სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დაპატიმრებულ დეპუტატთა დამხმარე კომისია, რომელიც ქველმოქმედების დახმარებით და სხვადასხვა მხატვრულ-კულტურული ღონისძიებებიდან შემოსული ფულით პატიმარ დეპუტატებს დახმარებას უწევდა. ამ კომისიის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და კომისიის თავმჯდომარე იყო ცნობილი რუსი მეცნიერი მ. მ. კოვალევსკი¹. მოადგილედ კი თავის დროის თვალსაჩინო პოლიტიკური ფიგურა, კუზმინ-კარაგაევი² მუშაობდა.

ამ კომისიის თბილისის ფილიალში სამუშაოდ მიიწვიეს ცილია ლომთათიძე, როგორც ყოფილი დეპუტატის მეუღლე. აქ ცილია რამდენსამე ხანს მსახურობდა და პარალელურად ე. წ. „მასწავლებელთა საზოგადოების“ სკოლაში ასწავლიდა. თბილისის ამ სკოლას 1910—1912 წლებში დირექტორობდა ცნობილი რევოლუციონერი ქალი, კომუნისტური პარტიის უხუცესი მოღვაწე, ე. დ. სტასოვა, რომელიც აღრიდანვე იცნობდა ჰოლასაც და მის მეუღლესაც. ე. სტასოვას თბილისურ ბინაზე (ანდრეევის ქუჩა № 13)³ ხშირად იკრიბებოდ-

¹ შაქსიმე კოვალევსკი (1851—1916 წწ.) მოსკოვის, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი. ცნობილი იურისტი, ისტორიკოსი და სოციოლოგი. ბურჟუაზიულ-ლიბერალური ყაიღის მოღვაწე. მთელი რიგი ფურნალ-გაზეთების რედაქტორი. მას იცნობდა კ. შარქსი, ხოლო ფ. ენგელსს არაერთხელ აქვს მოხსენიებული მისი შრომები. რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, ვ. ი. ლენინი მას ცალი ფეხით რეაქციის ბანაკში მღვარს უწოდებდა.

² ვ. დ. კუზმინ-კარაგაევი, იურისტი, კადეტების პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, 1 და 11 სახელმწიფო სათათბიროს წევრი. რევოლუციის შემდეგ თეთრგვარდიელი. 1920 წლიდან ემიგრანტი, მას და ჰოლას არაერთხელ ჰქონიათ მძაფრი კამათი 11 სათათბიროს სხდომების დროს. კ. ლომთათიძის გარდაცვალების შემდეგ კ. კ—მ ჰოლაზე მოკლე წერილიც გამოაქვეყნა.

³ ამჟამად.

ნენ ცნობილი რევოლუციონერები, კერძოდ: ს. ორჯონიკიძე, ს. სპან-
დარიანი და სხვანი.

1912 წლის ზაფხულში სტასოვა პეტერბურგს გაემგზავრა, სა-
დაც დააპატიმრეს და ეტაპით თბილისში გადმოგზავნეს. აქ იგი ჩას-
ვეს ორთაქალის საგუბერნიო ციხეში. სადაც მასთან ერთად იჯდნენ
ფ. შვეიცერი, გ. ვოხნინა, ა. ოვივიანი და კამოს დები — ჯავაირა
და არუსიაკ ტერ-პეტროსიანები. 1913 წელს დაიწყო პროცესი ე-
სტასოვას, ს. სპანდარიანის და სხვათა საქმეზე.

პარტიის ც. კ.-ს რუსეთის ბიუროს მითითებით (ბიუროს ი. ბ.
სტალინი ხელმძღვანელობდა) სამართალში მიცემულ ამხანაგებს
გამოეყოთ ადვოკატები პარტიის წევრთაგან. ერთ-ერთი ასეთი ად-
ვოკატი, რომელიც დახმარებას უწევდა სტასოვას და მის ჯგუფს:
იყო რ. პ. კატანიანი¹. სწორედ ამ დროს მოხდა ცილიას და ს. კატა-
ნიანის დაახლოება (ისინი ერთმანეთს კუზმინ-კარაგაევმა გააცნო). პა-
ტიმრობისა და ავადმყოფობისაგან მთლად შეცვლილ, მუდამეამს
აფორიაქებულ, ხშირად უხეშ და მუდამ ეჭვიან ჭოლასთან შედარე-
ბით რ. კატანიანი სრულიად საპირისპირო ადამიანი მოჩანდა. ჭო-
ლას „კეთილისმსურველებმა“ მაშინვე განვაში ატეხეს და ციხეში
ათასგვარი ჭორები დაირხა. ჭოლას და ცილიას რომ მეტი მოთმინე-
ბა და თავდაპირილობა გამოეჩინათ, შესაძლოა ყოველივე ეს წარ-
მავალ ეპიზოდად დარჩენილიყო, მაგრამ ავადმყოფურად თავმოყვა-

1 უკვე მაშინ რუბენ პავლეს ძე კატანიანი, რომელიც ჭოლაზე ორი წლით უმ-
ცროსი იყო, საკმაოდ ცნობილ პირთვლებს წარმოადგენდა. ბოლშევიკური პარტიის
წევრი 1903 წლიდან, იგი მრავალჯერ იყო დაპატიმრებულ-გადასახლებული რევო-
ლუციური მოძრაობისათვის. 1906-8 წლებში იგი არალეგალურ მდგომარეობაში
იმყოფებოდა. 1908-9 წლებში მუშაობდა თბილისში არალეგალური ბოლშევიკური
ჟურნალის „ბრძოლას“ ერთ-ერთ რედაქტორად. 1909—1913 წ. თბილისის სოციალ-
დემოკრატიული ორგანიზაციის დავალებით ეწეოდა ლიტერატურულ-პროპაგანდის-
ტულ მუშაობას. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მუშაობდა მთელ რიგ საპასუ-
ხისმგებლო თანამდებობებზე. იყო წითელი არმიის პოლიტიკური სამმართველოს
პოლიტგანყოფილების უფროსი, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
აგიტპროპი (აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე). 1920—21 წწ. საბჭოთა
კავშირის პროკურორის მოადგილე (1933—37 წ.წ.), 1937 წელს რეპრესირებულმა
მთელი 20 წელი გადასახლებაში გაატარა. ამჟამად პერსონალური პენსიონერი.

რე ჟოლამ მაშინვე, ერთი ხელის დაკვრით, მოიცილა მეუღლე და მისი სახელის გაგონებაც აღარ ინდომა. თავის მხრივ, ეტყობა ცილი-ამაც აღარ გამოამეღავენა სწრაფვა შერიგებისაკენ.

მოსკოვში გადასახლებისა და ჟოლას სიკვდილის შემდეგ ცილია კიდევ უფრო აქტიურად ჩაება საზოგადოებრივსა და პარტიულ მუშაობაში. 1917 წელს იგი მოსკოვის რევოლუციურ კომიტეტში მუშაობს, ხოლო 1918 წლიდან რსფსრ მინისტრთა საბჭოში. ცნობები ამის შესახებ შემონახულია აქტომბრის რევოლუციის არქივში¹. მოსკოვში ცილია კიდევ უფრო დაუახლოვდა პარტიის ცნობილ მოღვაწეებს, ნ. კრუპსკაიას, რ. ზემლიაჩკას, კოლონტაის, ე. სტასოვას და სხვებს, რომელთაც იგი ჯერ კიდევ რევოლუციამდე იცნობდა. ასე, მაგალითად (თებერვლის რევოლუციისა და კრუპსკაიას ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ), იგი კრუპსკაიას ხელმძღვანელობით ერთ ხანს საკვირაო სკოლებსა და კულტურის სახლებში მუშაობდა. 1915 წელს ელისაბედ ლომთათიძე შედის ქალთა უმაღლეს კურსებზე და მათი დამთავრების შემდეგ საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან პარალელურად ლიტერატურულ საქმიანობასაც იწყებს. ელისაბედ ბენიამინის ასული ლომთათიძე ათეულზე მეტი წიგნის ავტორია. მისი ნაშრომებიდან უნდა აღინიშნოს: „Записки инспектора труда“, издательство МГСПС «Труд и книга», Москва, 1924 г. (ამ წიგნის ცალკეული თავები ამაზე ადრე დაიბეჭდა გაზეთებში «Правда», «Известия», «Коммунистический труд»); книжка очерков — «Хамовники», издательств. «Федерация», Москва, 1926 г. ამ წიგნმა მ. გორკის დადებითი შეფასება დაიმსახურა. ოციან წლებშივე ქ. მოსკოვში ცალკე წიგნად გამოიცა ელ. ლომთათიძის «Справочная работа в клубах» რომელიც ნ. კრუპსკაიას დავალებით დაიწერა; «Пять писем из Пура», Госиздат УССР, Харьков, 1933 г. 1931, 32, 33 წლებში ე. ლომთათიძე, როგორც კომინტერნის თანამშრომელი, მოგზაურობს გერმანიაში და იმავე წლებში ეურნალ «Красная Новь»-ში ათავსებს წერილების სერიას, რომლებიც

¹ Государственный архив Октябрьской революции и социалистического строительства Московской области, фонд 4619, опись 2, дело 64, актуальн Г. И. Ломов (Опоков), «12-ая годовщина Октября», Госиздат, 1929 г., стр. 46.

შემდეგ ორჯერ გამოიცა ცალკე წიგნად «Старинный город Там-
бург» (პირველი გამოცემა 1930 წ., მეორე 1933 წ.). ამ წერილებში
ე. ლომთათიძე მკაცრად აკრიტიკებს ჰიტლერსა და ხელისუფლები-
საყენ მსწრაფ ფაშისტებს და ნილაბსა ხდის მათ. ე. ლომთათიძის
მრავალი წერილი გაბნეულია 20-იანი და 30-იანი წლების რუსულ
ჟურნალ-გაზეთებში. მას აქვს წერილები ცნობილ რუს მწერალ, სე-
რაფიმოვიჩთან, თანავეტრობითაც.

რატომ შევჩერდით ესოდენ ვრცლად ელისაბედ ლომთათიძის
ბიოგრაფიაზე, ანდა რა საინტერესოა მისი ცხოვრების ის პერიოდი,
როდესაც იგი ჰოლასთან გაყრილი იყო და არც არა აკავშირებდა
მასთან? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ,
ე. ლომთათიძის ბიოგრაფიები უმრავლეს შემთხვევაში არასწორად
და მიკერძობით გვისურათებენ ელისაბედის (ცილიას) პიროვნე-
ბას.

მეორე, და უმთავრესი ისაა, რომ ელისაბედ ლომთათიძე თავი-
სებური სარკეა, რომელშიც თვით ჰოლა მოჩანს. იგი ხომ ჰოლამ
აღზარდა. მან გაათვითცნობიერა, პოლიტიკურ მოღვაწეობაში ჩაით-
რია, საზოგადოებრივ საქმიანობას აზიარა და ცხოვრების დიდ შარა-
ზე გამოიყვანა, თუ არა ჰოლა, ელისაბედი, ალბათ, მამამისის მეშჩა-
ნური ოჯახის ზღურბლს ვერ გასცილდებოდა.

უშიშარმა რევოლუციონერმა, მასების ნიჭიერმა ორგანიზატორ-
მა, მგზნებარე პროპაგანდისტმა და მშრომელი ხალხის ერთგულმა
ჰოლამ სავსებით გადაადულა, გადაჰედა ახალგაზრდა ქალიშვილის
ხასიათი და თავისი გულის ნაწილი გადასცა. მართალია, მათი ერთო-
ბა დაირღვა და სიკვდილამდე სამიოდე წლით ადრე ჰოლამ კავშირი
გაწყვიტა ცოლთან. მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ელისა-
ბედ ლომთათიძემ არაადამიანური ტანჯვა გადიტანა ჰოლასთვის და
უამრავ განსაცდელს გაუძლო.

იგი ერთადერთი ადამიანი იყო ქვეყნად, რომელიც უძძიმეს
წლებში ერთგულად მხარში ედგა ჰოლას და ტანჯვა-წამებას
უადვილებდა მას. ეს მაშინ, როცა უახლოესმა ნათესავეებმა, ამხანა-
გებმა და სამწერლო საზოგადოებრიობამ ფაქტიურად მიივიწყა და
თითქმის არაფერი გააკეთა იმ ადამიანისათვის, რომელმაც მთელი
თავისი სიცოცხლე ხალხის უკეთესი მერმისისათვის ზრუნვასა და

ბრძოლას შესწირა. მართალია, ელისაბედმა განუზომელი ტრავმა მი-
აყენა ჭოლას, როცა დასცილდა მას, მაგრამ თავის დროზე დიდა
შეებაც მოუტანა.

ჭოლამ არა მარტო პოლიტიკურად აღზარდა მეუღლე, არამედ
სამწერლო საქმესაც აზიარა. ამიტომ წიგნები, რომლებიც ჩვენ ზე-
მოთ ჩამოვთვალეთ, ჭოლას მზრუნველი წაბიძგების, გულისხმიერი
დახმარებისა და, ამასთანავე, მომთხოვნი ზედამხედველობის ნაყოფია.
ჭოლამ ჯერ კიდევ ბათუმში დააწყებინა კორესპონდენციებისა და პა-
ტარა მოთხრობების დაბეჭდვა ბათუმის გაზეთებში — მოთხრობებს
იგი ხან ინიციალებს აწერდა, ხან ფსევდონიმებს („ლომთათი“, ან
„ოლ. ლეჟავა“). ამავე ფსევდონიმს ატარებდა იგი ბათუმსა და ოზურ-
გეთში არალეგალური ცხარეების დროსაც (სანამ ჭოლას სათათბი-
როს დეპუტატად აირჩევდნენ).

უნდა ითქვას, რომ ჭოლა დაპატიმრების პირველსავე თვეებში,
რაღაც საკვირველი აღდგოთი, თითქოს გრძნობდა მეუღლესთან და-
შორების გარდუვალობას. შეიძლება იმიტომ რომ იცოდა, აგრე აღ-
ვილად ვერ დააღწევდა თავს საპატიმროს, ხოლო ქალის მუდმივი გამ-
ძლეობის იმედი, როგორ ზემოთაც აღვნიშნეთ, მას არა ჰქონდა.
შავალითად, ჯერ კიდევ 1907 წლის ნოემბერში იგი წერდა თავის
დღიურში: „ვინ იცის, ეგებ ეს კიდევ მოხდა (ე. ი. ცილიას გულის-
აყრა ჭოლაზე და მისგან წასვლა — გ. ც.). მაგრამ ციხეში ასეთ პი-
რობებში არ მეუბნებაო“. ცოტა მოგვიანებით იგი წერდა: „ერთი
დამანახა ჩემი ცილია სამი-ოთხი წლის შემდეგ ჩემი სიკვდილისა!
„Увы утешится жена....“

ეს მართლაც ასე მოხდა და ამაში, როგორც ვთქვით, თვით ჭო-
ლასაც მიუძღვის ბრალი. მაგრამ ელისაბედ ლომთათიძეს ვერ გავა-
მართლებთ. მან ბოლომდე ვერ დაიჭირა გამოცდა და მიატოვა უკვე
სასიკვდილოდ განწირული ქმარი. რითაც დაამცირა და ერთგვარად
თვით გააუფასურა ის დიდი ამაგი, რომელიც მას ჭოლა ლომთათი-
ძის მიმართ მიუძღოდა.

1914 წლის მაისში ჭოლას პატიმრობის ვადა უთავდებოდა. ჩანს,
ეს ვადა მას რამდენიმე თვით შეუმცირეს¹. მიუხედავად იმისა, რომ

¹ სანამ არ აღმოჩნდება ჭ. ლომთათიძის „საპატიმრო საქმე“, რომელიც მას ცი-

იუსტიციის მინისტრმა, შჩეგლოვიტოვმა, საგანგებოდ განაცხადა: ყოფილ დეპუტატებზე არ ვრცელდება პატიმრობის ვადის 1/3-ით შემცირება „ქარგი ყოფაქცევისათვის“, რაც ნავარაუდები იყო კოდექსით. ამიტომ ცილიამ წინდაწინ იწყო ზრუნვა, რის შედეგადაც იუსტიციის სამინისტრომ 1914 წლის მაისში ნება დართო ქოლას კავკასიაში ცხოვრებისა, რაც სიხარულით აუწყა ქართველ მკითხველს ე. „თეატრმა და ცხოვრებამ“ (1914 წ. 19 აპრილი), მაგრამ მეფის ნაცვლის უარმა (საომარი მოქმედების მიზეზით) ყველაფერი ჩაშალა.

1914 წლის მაისში პატიმრობის ვადამოთავებული ქოლა იმის ნაცვლად, რომ კავკასიაში საცხოვრებლად დაეტოვებინათ, ასტრახანის თავშესაფარში გააგზავნეს. „ციხის ვადა რამ შეათავა — წერს ი. იმედაშვილი — დღითიდღე მოელოდა, გამიშვებნო, ერთხანად ასეთი აზრი გავრცელდა კიდევ, მაგრამ მოულოდნელად ქოლას იმედები გაუტრუვდა, და სამშობლო გურიის მაგიერ ასტრახანს უკრეს თავი“...

ასტრახანამდე მგზავრობამ რამდენიმე კვირა გასტანა. რადგან ქოლა ბაქოს გზით წაიყვანეს, ერთ ხანს ბაქოს ციხეშიც ამყოფეს და შემდეგ კვლავ თავის გზას გაუყენეს.

ასტრახანში ქოლა ლომთათიძე, როგორც ეს ი. იმედაშვილისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს¹ 1914 წლის ივნისის პირველ რიცხვებში ჩაუყვანიათ და ასტრახანის საგუბერნიო ერობის თავშესაფარში გაუმწესებიათ, პატიმარ-ინვალიდის უფლებით. თუ რა პირობებში იმყოფებოდა ქოლა ლომთათიძე ასტრახანში, ამას ნათლად გვიჩვენებს მისი წერილი გამოჩენილ რუს მწერალ კოროლენკოსადმი, რომელიც, როგორც ნაკლებ ცნობილი დოკუმენტი მთლიანად მოგვყავს:

„პატივცემულო ბატონო რედაქტორო!

ხიდან — ციხეში დაყვებოდა, მთელი რიგი საკითხების გარკვევა ჟურჯერობით შეუძლებელი ხდება.

¹ „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წელი, № 17, გვ. 7.

ახლა მე იმდენად მოვმჯობინდი, რომ წერა 'შემიძლია და მსურს, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის საზოგადოებრივ აზრს მიემართო. ვიშედოვნებ, რომ ეს ჩემი მიმართვა კპოეებს ადგილს თქვენი პატივცემული გამოცემის ფურცლებზე. საქმე ასეთნაირადაა:

მიმდინარე წლის ივლისის პირველ რიცხვებში მე დამეწყო ძლიერი სისხლის დენა პირიდან. რამაც სიცოცხლისათვის ფრიად საშიში ხასიათი მიიღო. მთელი შვიდი დღის განმავლობაში დღეში სამჯერ სისხლი მდიოდა, რის გამოც ერთბაშად დავიკელი წონაში 31 გირვანქით. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება ჩემი გადარჩენისათვის, ხოლო ამისათვის, უწინარესად ყოვლისა, საჭირო იყო ჩემი დროებით მაინც დახსნა იმ მომაკვდინებელი პირობებიდან, რომლებშიც მე მიხდება ცხოვრება. ეს პირობები კი, აი, როგორია:

ვცხოვრობ ასტრახანის საგუბერნიო ერობის თავშესაფარში, საზოგადოებრივი მეთვალყურეობის ქვეშ. ამ თავშესაფარში გამამწესეს საკატორღო ვადის მოთავეების შემდეგ, მუდმივ გადასახლებაში გაგზავნის ნაცვლად. ამაზე აღრე ავადმყოფობის მიზეზით და გადასახლებულთა შესახებ არსებული წესდების 27 პარაგრაფის საფუძველზე, საკატორღო სამუშაოები შეცვლილი მქონდა საერთო ხასიათის საპატიმროში ჯდომით.

ჩემი თავშესაფარი მდებარეობს ქალაქ ასტრახანის გარეუბანში, ე. წ. „პარაბიჩის გორაკზე“, უშუალო მეზობლობაში იმ ადგილებთან, სადაც საასენიზაციო ტრანსპორტები ქალაქის უწმინდურებას ღვრიან (ექსკრემენტებს).

თვით გორაკი დასახლებულია, უპირატესად, ასენიზატორებით და თვითეული კომლის ეზო-კარმიდამო გადაქცეულია საასენიზაციო ტრანსპორტისა და ცხენების სადგომად. თავშესაფარის მახლობლად პატარა მინდორია, რომელსაც წყლის ჩასაშვებად გაკეთებული არხი სერავს. გაზაფხულობით, ვოლგის აღიდების დროს, ეს ბასეინი წყლით ივსება, ხოლო შემდეგ შმორდება და ხრწნას იწყებს. რადგან წყლის ახალ ნაქადს აღარ იღებს. აი, სწორედ ამ დიდ გუბეში რეცხავენ ასენიზატორები თავიანთ ტრანსპორტს, რის გამოც მთელი ზაფხულის განმავლობაში ამ გუბიდან აუტანელი სიმყარლე სცემს. ხოლო როცა ქარი დაუბერავს, მაშინ ადგილებიდან, სადაც საასენი-

ზაციო ტრანსპორტს ცვლიან, ისეთი ჯოჯობითური სურნელება მო-
დის, რომ, პირდაპირ, სუნთქვაც კი შეუძლებელი ხდება.

აი, ასეთ ადგილას და ამგვარ პირობებში მიხდება ცხოვრება და
სუნთქვა მე, რომელსაც ფილტვებისა და ყელის ქლექი მჭირს. სწო-
რედ ამ პირობებიდან იყო საჭირო ჩემი, თუნდაც დროებით დახსნა,
რათა ავადმყოფობის მკაცრი შემოტევის დროს მაინც მქონოდა სა-
შუალება მესუნთქა სუფთა ჰაერით და არა მსმენოდა სასენიზაციო
ტრანსპორტის განუწყვეტელი ბრახა-ბრუხი ჩემი ფანჯრის წინ. სა-
ჭირო იყო სწორად მოვლა და ექიმის მეთვალყურეობა. მეგობრებმა
გადაწყვიტეს დაეეწვინე წითელი ჯვრის საავადმყოფოში.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ თავშესაფარის აღმინისტრაციას არა
ჰქონია თავშესაფარიდან ჩემი რამდენიმე დღით გამოშვების უფ-
ლება. და არც არავის შესძლებია ჩემთვის დახმარების გაწევა, ელემ-
ენტარული ადამიანური უფლების — მკურნალობის უფლების —
მოპოვებაში. ძველად ამ უფლებას აპყრიდნენ ხოლმე იმ პი-
რებს, რომელთაც სამუდამოდ კატორღა ჰქონდათ მისჯილი დე-
დის ან მამის მკვლელობისათვის. მათ მიმართ ეს წესი ახლა გაუქ-
მებულია, ხოლო ჩემს მიმართ იგი თურმე დღესაც ძალაში რჩება.
იმიტომ ხომ არა, რომ მე დასჯილი ვარ არა მშობლების მკვლელო-
ბისათვის, არამედ 102 მუხლის საფუძველზე და აშკარად უაღ-
ბი დოკუმენტების მოშველიებით. (ხაზი ჩვენია—
გ. ც.) მე ქვემოთ მომყავს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძ-
ველზედაც საგუბერნიო ერების სამმართველომ არ მისცა საავად-
მყოფოში ჩემი მოთავსების დასტური.

„იუსტიციის სამინისტრო

საპატიმროების მთავარი სამმართველო

III საქმეთამმართველობა

განკარგულებითი

1913 წლის 23 მაისი, № 17

ცირკულიარულად

გუბერნატორებს, ოლქების უფროსებს, ქალაქთა მმართველებს

რადგანაც ხშირად ებადებათ ეჭვი, თუ რამდენად შესაძლებე-
ლია იმ პირთ, რომელნიც პატიმრობის უადის გასვლის შემდეგ, თა-
ნახმად გადასახლებულთა შესახებ არსებული 27 სტატიისა. (1909

წლის გამოცემა) მოთავსებულნი არიან (?) საზოგადოებრივი მეთვალყურეობის თავშესაფარებში — ნება დაერთოთ დროებით მაინც მიატოვონ თავშესაფარი და საღმე გავმგზავრონ — საპატიპროთა მთავარი სამმართველო, ექსტრაციის სამინისტროს პირველ დეპარტამენტთან შეთანხმებთა აცნობებს თქვენს აღმატებულებას, თქვენის მხრივ სათანადო განკარგულების გასაცემად, რომ ყოველგვარი მიტოვება თავშესაფარისა, კანონის მიხედვით ვალისწინებლობისა გამომდინარე, შესაძლებელია ნებადართულ იქნას მხოლოდ დამხმარებელ მონარქის მოწყალეების მიღების გზით, რომელიც უნდა განსაკუთრებულად იქნას გამოთხოვილი ყოველკერძო შემთხვევაში...“ (ხაზი კოლასია, — გ. ც.).

აი, სულ ესაა. და უცებ მე, პატიპრობის ვადის შესრულების გამო თითქოსდა ციხიდან განთავისუფლებული, კვლავ პატიპრად ვიქეცი, და ისიც ისეთ პატიპრად, რომელიც იმ უფლებებმაც კი მოწყლებულია, რომლითაც ყოველი ჩვეულებრივი პატიპარი სარგებლობს.

ციხეში რომ ვყოფილიყავი, მე მომათავსებდნენ საავადმყოფოში, ყოველდღე მინახულებდა ექიმი, დამინიშნავდნენ ავადმყოფის ულუფას და უფასოდ მიმკურნალებდნენ. მაგრამ მე ციხეში არა ვარ, მე ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გავგზავნეს არა მუდმივ დასასახლებლად ციხეში, არამედ საზოგადოებრივი მეთვალყურეობის თავშესაფარში და მე არ მაქვს უფლება მკურნალობისა. უბრალო პატიპარს—ნახევრად უსწავლელ ფერშალს—შეუძლიან საავადმყოფოში გავგზავნა ტუსაღისა, ხოლო მე ამისათვის უხეანეს მთავრობას უნდა მივმართო...

მაგარიამ არაღირს ამ უგვანო ცირკულარზე ლიპარაკი, ყოველი პატიოსანი ადამიანი ადვილად მიხვდება რამდენია მასში დაცინვა, დაწიხვლა, წვირღილი მტრობა, განუკითხაობა და თავისი საქციელის დაუსჯელობის რწმენა იმ ადამიანთან მხრივ, რომელთაც ეს ცირკულარი შეუქმნიათ (ხაზი ჩემია—გ. ც.) მე მხოლოდ რამდენიმე შენიშვნის გაკეთება მსურს.

პირველი შენიშვნა: წესდების ოცდა მეშვიდე სტატია არაებობს 1845 წლიდან, მაგრამ 1913 წლის 23 მაისამდე არ აღბრუნა არავითარი ექვი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ იგი.

შენიშვნა მეორე: საპატიმროთა მთავარი სამმართველოს ცირკულარი № 27, დათარიღებული 1913 წლის 23 მაისით, მომართულია მხოლოდ ჩემს საწინააღმდეგოდ (ხაზი ჩენია — გ. ც.). 1912 წელსაც, 1911 წელსაც და უფრო ადრეც, ციხეებიდან ამწესებდნენ თავშესაფარში, მაგრამ ასეთ დაცინვას არ მიმართავდნენ.

შენიშვნა მესამე: 1913 წლის 28 აპრილს გამოტანილ იქნა თბილისის საგუბერნიო საციხო კომიტეტის დადგენილება, რომელმაც მომიყენა 27-ე სტატია და გამაჰწესა საზოგადოებრივ თავშესაფარში. ეს დადგენილება გაგზავნილ იქნა საპატიმროების მთავარ სამმართველოში და სამი კვირის შემდეგ, მაისის დამლევს, ჩემს „განთავისუფლებასთან“ ერთად გამოიცა ეს ცირკულარი. აი, ისტორია. მეტი წერა აღარცა მჭურს, კიდევ რაღა შემიძლოს... ამიტომ ვათავებ.

კიდევ ერთი, ლამის დამავიწყდა: მინდა აღვნიშნო, რომ ეს ცირკულარი ხელმოწერილია საპატიმროთა მთავარი სამმართველოს უფროსის, გრანის მიერ. უმართებულო იქნებოდა არ აგვედინიშნა ის გარემოება, რომ ბატონმა გრანმა იგი შეთხზა არა მარტომ, არამედ იუსტიციის სამინისტროს პირველ დეპარტამენტთან ერთად. ეს დეპარტამენტი იმ „სამართლიანობის“ სამინისტროს ეკუთვნის, რომლის სათავეში თვით შჩეგლოვიტოვი¹ დგას. წინამდებარე წერილით მე მიხლდა მეცნობებინა თქვენთვის, რომ ცირკულარმა ჩემამდე მოაღწია, მე იგი წავიციოთზე, საკუთარ ტყავზე გამოვცადე და რომ მათ შეუძლიან კმაყოფილნი იყვნენ, სასირცხვილო არაფერი სქირთ.

II სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი ბ. ლომთათიძე².

არც ერთმა ლიბერალურმა გაზეთმა ეს ჩემი წერილი არ დაბეჭდა. მოგმართავთ თხოვნით ეგება თქვენ შესძლოთ მისი გამოქვეყ-

1 იგულისხმება ი. გ. შჩეგლოვიტოვი რეაქციონერი და ქალათი, მეფის რუსეთის დიდი მოხელე, იუსტიციის სამინისტროს I დეპარტამენტის მმართველა, შემდეგ იუსტიციის მინისტრი (1906—15 წლებში) შაჟრაზმელი. II და IV სათათბიროს სოც-დემოკრატიული ფრაქციების წინააღმდეგ მიმართული სასამართლო პროცესის ინიციატორი.

ნება. თანახმა ვარ შემეცირებაზედაც კი. არა უშავს, რომ ვერ მომისწრებს. პატივისცემით.

ბ. ლომთათიძე.

ასტრახანში, 6 აგვისტო, 1914 წელი“.

თავისთავად ცხადია, რომ ამგვარ წერილს ვ. გ. კოროლენკო ვერ გამოაქვეყნებდა, რაგინდ ღიღი სურვილიც არ უნდა ჰქონოდა. ამიტომ იყო, რომ ამ საინტერესო წერილს მზის სინათლე არ უხილავს და მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი საზოგადოებრიობისათვის¹.

წერილი კოროლენკოსადმი დაწერილია მძაფრად, თამამად, ლაკონურად. იგი, ისევე, როგორც კოლას შევითხვა გაგზავნილი მესამე სახელმწიფო სათათბიროს სოც. დემოკრატიული ფრაქციისადმი, დიდი ძალის მამხილებელი დოკუმენტია, მიმართული თვითმპყრობელური რეჟიმისა და მისი მართლმსაჯულებას წინააღმდეგ.

წერილში იგრძნობა სასტიკი სარკასმი, ზიზღი თვითმპყრობელობისა და მისი ჯალათებისადმი. კოლა გრძნობს, რომ მას აღარაფერი ეშველება („არა უშავს, რომ დაბეჭდვა ვერ მომისწრებს“). მაგრამ პასუხის გაცემას არც არავინ ჩქარობდა. აროტესტების „პასუხად“ კოლა უფრო შორს გადააგდეს და კიდევ უფრო მოწამლულ გარემოში დაასახლეს (სარატოვის ბუნებრივი გაზის საბადოებზე). ვფიქრობთ, რომ კოლა ლომთათიძე მართლაც არა ცდებოდა, როცა ყოველივე ამაში უმაღლესი მმართველობის ბოროტ განზრახვლებას ხედავდა.

წერილიდან ჩანს, კოლა დარწმუნებულია, რომ საპატიმროთა მთავარ სამმართველოს ცირკულარი მის წინააღმდეგეა მიმართული. ამ ცირკულარზე დაგზავნის თარიღის და კოლას სასჯელის მოხდის თარიღის უცნაური დამთხვევა გვაფიქრებინებს, რომ საპატიმროთა მთავარი სამმართველო, იუსტიციის სამინისტროს პირველ დეპარტამენტთან ერთად, ცდილობს ჯავრი იყაროს და სამაგიერო გადაუხადოს ადამიანს, რომელმაც მათი ბოროტმოქმედება მზის სინათლეზე

¹ ეს წერილი აღმოჩნდა ვ. გ. კოროლენკოს თანამშრომლის, ეურნალ „Психическое государство“-ს მუშაკის, პეშეხოვოვის, არქივში, ვ. ი. ლენინის სახ. ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ფონდებში. იგი მოიძია სპ. ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომელმა ს. ლევივილიმა გასულ (1964) წელს. წერალის ფოტოპირი ინახება სპ. ლიტ. მუზეუმის ფონდებში.

გამოიტანა და არა მარტო მთელ რუსეთს, არამედ მთელ ევროპას გააგებინა (მხედველობაში გვაქვს კოლას წერილი III სათათბიროსადმი).

მართლაც, კოლას შეკითხვა მესამე სახელმწიფო სათათბიროსადმი, რომელშიც იგი ასეთი შემადარწუნებელი სიმართლით აღწერდა სიკვდილმისჯილთა ტანჯვას და ამ ტანჯვის ზემოქმედებას დანარჩენ ტუსაღებზე, იყო ნაღმი, რომლის აფეთქებამ შესძრა მთელი პროგრესული ინტელიგენცია.

ჭოლა ლომთათბიძეს შემთხვევით როდი გაუგზავნია ეს წერილი-გამორჩენილი რუსი მწერლის ვ. გ. კოროლენკოსათვის. ჭოლა ძალიან კარგად იცნობდა კოროლენკოს შემოქმედებას, უყვარდა ეს შემოქმედება და ამიტომ თარგმნა კიდევ მისი ერთი ნიმუში. საერთოდ კოროლენკო მრავალმხრივ იმსახურებდა ჭოლას სიმპათიას: ჯერ ერთი, იგი იყო აღზრდილი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატების ტრადიციებზე და მათ გავლენას განიცდიდა; კოროლენკომ, ისევე, როგორც ჭოლამ, მძიმე ცხოვრების გზა განვლო; ისევე, როგორც ჭოლა. ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას გლეხობაში; ისევე, როგორც ჭოლა, განიცდიდა გაუთავებელ რეპრესიებს, რის შედეგადაც იყო მრავალჯერ დაპატიმრებული და გადასახლებული; ისევე, როგორც ჭოლა, იყო თამამი პროტესტანტი, შეუპოვარი და უშიშარი ვაჟაკი, რომელიც ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ პოლიციის ვახუწყვეტელი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

გარდა ამისა, კოროლენკოსა და ჭოლას ბევრი რამ ანათესავებდა: რწმენა ხალხსა და მის საბოლოო გამარჯვებაში; პუბლიცისტური სიმბავილე და მხატვრულ ნაწარმოებებში პუბლიცისტური ელემენტის სიჭარბე; დემოკრატიული სული, რევოლუციური მისწრაფება (პოლიტიკური იდეალების ერთგვარი წინააღმდეგობრიობისა და ბუნდოვანების მიუხედავად), თავიანთი შემოქმედებითი გზის დასაწყისში ჭოლაც და კოროლენკოც ნაროდნიკული ლიტერატურის ვარკვეულ ზემოქმედებას განიცდიდნენ. ორივე იყო უდიდესი ჰუმანიტი და სიმართლასათვის თავგამოდებული მებრძოლი. ორივე მზად იყო უსამართლობის წინააღმდეგ ყოველ წუთს საბრძოლველად. ორივე მტკიცედ იდგა რეალისტური ლიტერატურის პოზიციებზე და ზიზღით უყურებდა ბურჟუაზიულ-დემკადენტურ ლიტერატურას. ორივე თამამად გამოდიოდა ნაციონალური და სოცია-

ლური ჩაგვრის წინააღმდეგ, ორივე იყო მწერალი-მოქალაქე, მწერალი-დემოკრატი.

მართალია, მათ შორის განსხვავებაც დიდი იყო — ჰოლა რევოლუციური პროლეტარიატის ტიპური წარმომადგენელი. და მისი თეორიისა და ტაქტიკის ერთგული მიმდევარია, ხოლო ვ. გ. კოროლენკომ ბოლომდე ვერ გაიგო პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის მნიშვნელობა და ამოცანები. მაგრამ სიმპათიისათვის საფუძველი კიდევ უფრო დიდი იყო. ჰოლა არ შეეძლო არ მოეხიზლა კოროლენკოს შემოქმედების დახვეწილ მხატვრულ ფორმას, უბრაწინვალეს ენას, მძაფრ ექსპრესიას და დიდ ოდნეურ მიზანდასახულობას. ამრიგად, შემოქმედებითი სიახლოვე ერთ-ერთი მიზეზია კოროლენკოზე ჰოლას არჩევანის შეჩერებამ.

გარდა ამისა, ჰოლამ იცოდა, რომ გულისხმიერი კოროლენკო გულითადად ეხმაურებოდა ყველა მას, ვინც მას მიმართავდა.

იყო კიდევ ერთი მიზეზი კოროლენკოსადმი წერილის გაგზავნისა. ამ დროს (ე. ი. 1914 წელს), ჰოლას, რომელიც მუდამ დაკვირვებით თვალს ადევნებდა ლიტერატურას, არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ ამ რამდენიმე წლის წინ კოროლენკო უკვე გამოეხმაურა მის წერილს მესამე სახელმწიფო სათათბიროსადმი.

1910 წლის მარტ-აპრილში კოროლენკომ გამოაქვეყნა თავისი განმარტებული სტატია რუსეთში ფართოდ გავრცელებული სოცედილით დასაჯის წინააღმდეგ, სათაურით — „საყოფაცხოვრებო მოვლენა“ («Бытовое явление, заметки публициста о смертной казни»). გაზეთი „პრავდა“, 1913 წლის 21 ივლისის ნომერში წერდა, რომ ეს ნაწარმოები „თავისი შთაბეჭედავი ძალით გვერდში ამოუღებება ჩვენი საუკუნის საუკეთესო ქმნილებებს“.

საგანგებო წერილში, რომელიც ლევ ტოლსტოიმ ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ მიწერა კოროლენკოს, ტოლსტოი აღნიშნავდა: „მისი მოქმენის დროს ვერ ვიმჯრებ (რემლუბს კი არა — ქვითონს. ვერ ვპოულობ სიტყვებს, რომ მოგახსენოთ ჩემი მადლობა და სიყვარული ამ სტატიისათვის, რომელიც შესანიშნავია თავისი გამოქმენვლობითაც, აზრითაც და რაც მთავარია გრძნობითაც. იგი უნდა გადაბეჭდოს და გამრავლდეს მილიონ ეგზემპლარად. არავითარი სიტყვები სათათბიროში. არავითარი ტრაქტატები, არავითარი დრამა-

ბი, რომანები ვერ მოახდენენ იმის მეთახედ კეთილისმყოფელ გავლენას, რომელიც შეუძლიან მოახდინოს ამ სტატიამ“.

მაქსიმ გორკი აღნიშნავდა, რომ კოროლენკოს სტატია „არის შესანიშნავი ნიმუში პუბლიცისტიკისა“, რომ იგი „ითარგმნა ყველა ევროპულ ენებზე და იაპონურადაც“. აღსანიშნავია, რომ კოროლენკოს ამ სტატიას, სხვა მასალასთან ერთად, საფუძვლად დაედო ჟოლას ახლო ნაცნობის, მეორე სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატის, გ. არხანგელსკის დღიური. არხანგელსკის, ისევე როგორც ჟოლას, კატორღა ჰქონდა მისჯილი.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ჟოლას ცნობილ შეკითხვას მესამე სახელმწიფო სათათბიროსადმი — გარკვეული რაოდენობის უთამაშნია კოროლენკოს ამ პუბლიცისტური ნაწარმოების შექმნაში, რაც თვით წერილიდანაც კარგად ჩანს.

აი, სწორედ ამ ფართოდ განმარტებულ სტატიაში (რომელიც იმავე 1910 წლის ივლისში ცალკე წიგნიდანაც (დაიბეჭდა) კოროლენკომ განსაკუთრებით მოიხსენია ჟოლა ლომთათიძე და მთელს ევროპაში განსაუკრებული მისი შეკითხვა მესამე სახელმწიფო სათათბიროსადმი.

აღწერს რა შემთხვევებს, როცა „მცირე საფასურიანი“ და ნაკლებ გამოცდილი ჯალათების წყალობით, მსხვერპლს ფაქტიურად ორჯერ სჯიდნენ სიკვდილით, ვ. გ. კოროლენკო აღნიშნავს: ახლა „გამოცდილ ჯალათთა რიცხვი, რომელთაც დიდი პრაქტიკა აქვს, სულ უფრო და უფრო იზრდება, ამიტომ ყველა ციხეში არ ხდება იმგვარი შემადრწუნებელი ამბები სიკვდილმისჯილთა წამებისა, რომელიც ასეთი შემზარავი სიმართლით აქვს დახატული ყოფილ დეპუტატს ლომთათიძეს, მის მიერ მესამე სახელმწიფო სათათბიროს სოციალდემოკრატიული ფრაქციისადმი გაგზავნილ წერილში. მე მინდა დავიხსნა მკითხველი იმ სურათის ხელმეორედ აღწერისაგან, რომელიც სათათბიროში შეკითხვის დასმისათვის იყო გამიზნული და გასულ წლის ყველა გაზეთის გვერდები მოიარა. ამჯერად მივმართოთ არა გამონაკლისს, არამედ ზოგად წესს და უნახოთ, როგორ კეთდება ეს ჩვეულებრივად, ჩვეულებრივ ყოფით პირობებში.

სულ ახლახანს დეპუტატ გეგეჭკორის მიმართა რუდოლფ გლაზკომ, რომელიც აი, უკვე ჩამდენიმე წელია, რაც რიგის ციხეში ეწამება ყოველგვარი ჟამოძიებისა და სასამართლოს გარეშე. იგი იხვეწება გასამართლების დანიშვნას, რადგან ამით ასე თუ ისე დასრულდება მისი სულიერი და ფიზიკური წამება. ისევე როგორც ლ. მ. მთათიძეს, ყველაზე საშინელ სატანჯველად მას სიკვდილმისჯილებთან მეზობლობა მიაჩნია. „ჩამსვენს — მწერს იგი — ერთადგილიან საკანში, სიკვდილმისჯილთა საკნების მეზობლად. დამეები არ მძინავს. კედელში ნაჩქარევად აკაკუნებენ სიკვდილმისჯილნი. გათენებისას კორიდორში ისმის ხმაური, დეზების წყარუნი, გულსაკლავი კვილი — „მშვიდობით ამხანაგებო“. ეზოში აქრობენ ფარნებს, სიკვდილმისჯილნი ჩამოსადრჩობად მიჰყავთ“.¹

ვ. გ. კოროლენკოს ისე ჩაბეჭდიანგონებაში კოლას მიერ აღწერილი სურათი, რომელსაც იგი შემაძრწუნებელს უწოდებს («потрясающими чертами обрисовано бывшим депутатом Ломтатидзе»), რომ იგი ძალაუვნებურად აგონდება სხვა, ანალოგიური შემთხვევის აღწერისას.

იყო კიდევ ერთი მიზეზი, რითაც აგრერიგად იზიდავდა ვ. გ. კოროლენკო კოლას, ესაა კოროლენკოს სიმპათია ქართველი საზოგადო მოღვაწეებისადმი. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის გამოჩენილ რუს მწერალთაგან კოროლენკო ყველაზე ახლო იდგა და ყველაზე მეტ ინტერესს იჩენდა რევოლუციურად განწყობილი ქართველებისადმი. ასე, მაგალითად, იგი გადასახლებაში შეხვდა და იცნობდა ქართველ რევოლუციონერებს, ე. წ. „ორმოცდაათის პროცესის“ მონაწილეებს, ივანე ჯაბადარსა და მის მეუღლეს, ალექსანდრე ციციშვილს (ციციანოვს), ეკატერინე გამყრელიძეს და არა ერთხელ ახსენებს მათ სახელებს თავის თხზულებებში, კერძოდ, სახელგანთქმულ ნაწარმოებში «История моего современника», რომლის მეხუთე ნაწილში («იჩუტსკის საპატიმროში») თანაგრძნობით აღწერს ჯაბადარისა და ციციშვილის რევოლუციურ საქმიანობას და ვრცლად ახასიათებს მათ.²

1. ვ. გ. კოროლენკო, თხზულებათა ანთომეული (რუსულ ენაზე), ტომი IX, მოსკოვი, 1955 წ., გვ. 519.

2. ვ. გ. კოროლენკო, თხზულებათა ანთომეული, ტომი VII, გვ. 209, 260, 261, 392, 393, 423.

თავის მეორე ცნობილ პუბლიცისტურ ნაწარმოებში, ვრცელ თხზულებაში „სამხედრო მართლმსაჯულების ნიშნები“ («Черты военного правосудия»)¹ ვ. გ. კოროლენკო ესარჩლება ორ ქართველ ჟურნალისტს — ნიჟარაძეს და დოლიძეს, რომელთაც თურქესტანის გენერალ-გუბერნატორმა, გენერალმა მაციევესკიმ, უკანონოდ ჩამოართვა უფლება საკასაციო სარჩელის მიცემისა. ამავე წერილში კოროლენკო აღნიშნავს, რომ ასეთ უკანონობასა და უმსგავსეობას კიდევ უფრო ხშირად სჩადის მეფისნაცვალთა აპიერაკე-კასიაში.

ჩანს, ჰოლანდოზობით იცოდა ყოველივე ეს და ალბათ ამიტომ, ჯერ კიდევ 1913 წლის 15 მარტს, კოროლენკოს გაუგზავნა „თეთრი ღამის“ თავისივე თარგმანი. აი, რას წერდა ჰოლანდოზობით კოროლენკოს: „გიგზავნით რუსულად თარგმნილ ჩემსავე ნაწარმოებს „თეთრ ღამეს“ და უმოჩინოვებთ გთხოვთ გულდასმით წაიკითხოთ. გარდა თქვენს პატივცემულ ჟურნალში ჩემი ნაშრომის დაბეჭდვის სურვილისა, ასე მოქცევას შევალბებ ისიც, რომ შესაძირება გავიგო თქვენი გადამწყვეტი აზრი, შემიძლია თუ არა თარგმანა?.. ქართულ ლიტერატურაში კი არის ბევრი ისეთი რამ, რომლის გაცნობა საჭიროა რუს მკითხველთათვის და, თუ პირველად ჩემი ნაწარმოები ვთარგმნე, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი სტილის, აზრისა და გრძობის გადმოცემა უფრო შეადვილებოდა ვიდრე სხვისა...“²

თარგმანი ცხადია, არ დაიბეჭდა. ვფიქრობთ, სტილიურ-ენობრივი თვალსაზრისით იგი ვერ იღვა სათანადო სიმალეზე და გარდა ამისა, თავისი სულითა და იდეური მიზანდასახულებით არცთუ სავსებით შეესაბამებოდა ჟურნალის იდეურ-პოლიტიკურ პროფილს. ცნობილია, რომ ამ ჟურნალის რედაქტორის, ვ. გ. კოროლენკოს, საქმიანობა უპირატესად ჟურნალის მხატვრული განყოფილების ხელმძღვანელობით შემოიფარგლებოდა. მთლიანად ჟურნალი კი, რედაქციის პერიოდში, ნახევრად კადეტური პარტიის, ე. წ. „სახალხო სოციალისტების“ პოზიციებზე იდგა. მასში კვლავ გაძლიერდა ის ტენდენცია, რომელიც წინა რედაქტორ-გამომცემელის დროს (ჟუ-

¹ ვ. გ. კოროლენკო, თხზულებათა ანთოლოგია, ტომი X, გვ. 529—563.

² მოგვეყავს ადგილი წერილიდან იმ სახით, როგორც იგი გამოქვეყნდა მ. კიაზოშვილის (მ. ხერხეულიძის) წერილში „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ. გვ. 4—6).

რწალს 1904 წლამდე მიუძღვოდა ნ. კ. მიხაილოვსკი) ბატონობდა, რის გამოც მაშინ ეს ეურწალი მარქსიზმისა და სოციალ-დემოკრატიის მტრად გვევლინებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, 1914 წლის მეორე ნახევარში კ. ლომთათიძეს გაუთავდა პატიმრობის ვადა და ყველა დარწმუნებული იყო, რომ მას, როგორც სასჯელმოზღდილს, ციხიდან გაათავისუფლებდნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა; მეფის აღმინისტრაციამ ამოატივტივა კოლექსის სპეციალური პუნქტი, რომლის თანახმადაც ჩვეულებრივი ტიპის საპატიმროში ვადამოხდილი კატორღელები მუდმივი დასახლებისათვის ციმბირში უნდა გაეგზავნათ, ანდა დავრდომილთა თავშესაფარში გაემწესებინათ. ამ მუხლის ძალით ჭოლა ლომთათიძე ასტრახანის თავშესაფარში გააგზავნეს.

ასტრახანში გადასახლებამ არა მარტო გათავისუფლების იმედი გაუცრუა ჭოლა ლომთათიძეს, არამედ მის კოჭახურ მდგომარეობაზეც გადამწყვეტი გავლენა იქონია.

საესებით მართალი იყო ა. გ. ზურაბოვი, როცა წერდა: „ჭოლა-სათვის დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ იგი სასჯელმოზღდილი, პატიმრობის ვადა შესრულებული, მაინც კიდევ პატიმარი იყო... სანამდე ჭოლა ციხეში იჯდა და თავისუფლებიასაგან მოწყვეტილი იყო მაღალი კედლებითა და რკინის კარებებით, იგი ეპაყოფილებოდა გარე სამყაროსთან მცირედი კავშირითაც კი და თავს ინუგეშებდა, რომ მალე დაუბრუნდებოდა მშობლიურ გარემოს. მაგრამ, როცა ვითომც „განთავისუფლებული“ დარწმუნდა, რომ თავისუფლება მისთვის კელაე მიუწვდომელია და რომ ყოველი მისი ცდა ციხის გარეთ გაღწევისა მაშინვე იკვეთება, რომ კავკასიაში დაბრუნება უახლოეს ხანში შეუძლებელია, რომ დამე გრძელია და განთიადი ჭურ. კიდევ არ მოჩანს — მაშინ მას აღარ ამბნიეებდა არც მიმოწერა მეგობრებთან, არც ლიტერატურული მუშაობა, რადგან ყოველივე ამით დაკმაყოფილება მას უკვე აღარ შეეძლო. და არ, ამ შეგრძნებას საკუთარი უძლურებისა, თუნდაც ღრობებით, არ შეეძლო უარესად არ მოეცება მისი დასუსტებული ჭანი და კიდევ უფრო არ გაეძლიერებინა მისი მომაკვდინებელი სნეულება“.

საბოლოო ანგარიშში ეს ასეც მოხდა, მაგრამ «Вечный жид»-ი¹

¹ „Вечный жид“ — ანუ მარადიული ებრაელი, ასე ეწოდება ბიბლიურ პერსონაჟს, ავასფერს, რომელიც დაწყვეტილი იყო ქრისტესაგან სამარადისო ტანჯვით.

(როგორც უწოდებდა თავის თავს კოლა), მისივე სიტყვით რომ ეთქვათ — მაინცა და მაინც არ ჩქარობდა საიქიოს გამგზავრებას. მას თითქოს სურდა კიდევ ერთხელ გაეოცებინა ისინი, ვისაც ხელი ჰქონდა ჩაქნული ჭლექით დახრულ ადამიანზე და დღე-დღეზე მის სიკვდილს მოელოდა.

მიუხედავად ასტრახანის მომაკვდინებელი პირობებისა, კოლა ლომთათიძე ყველასათვის მოულოდნელად იმდენად მომჯობინდა, რომ ცოტა-ცოტა შემოქმედებითი მუშაობის გაგრძელებაც კი შეეძლო. ამაზე მეტყველებს შემდეგი გარემოება: საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ კოლას ავტოგრაფებს შორის არის ორი მისი ნაწარმოების, „უსათაუროს“ და „თეთრი ღამის“ ხელნაწერები.

როცა კოლას თავისი ნაწერების შეკრება დაუწყია, ჩანს, ეს ჩარი მოთხრობაც ხელშეორედ გადაუთეთრებია. საყურადღებო აქ ისაა, რომ ეს მოთხრობები დაწერილია ორი საერთო რვეულის გვერდებზე. რვეულს კი ასეთი ბეჭდური დამლა აზის: «Писчебумажный магазин Д. И. Бирюкова в Астрахани». ცხადია, ეს რვეულები ასტრახანშია შეძენილი და მათში წერა კოლას ასტრახანშივე დაუწყია.

ასტრახანში კოლას ხანდახან თავშესაფრიდანაც გადიოდა. ამას ცხადყოფს მისი წერილი ი. იმედაშვილისადმი (1914 წლის ივნისისა), სადაც იგი ცნობებს აწვდის თავის მეგობარს. ჭერ კიდევ შეტეხის ციხეში ყოფნისას ი. იმედაშვილს (რომელიც იმავე ხანებში იხდიდა პატიმრობას) უთხოვია მისთვის: „თუ ასტრახანში ქართველ მეფეთა და ისტორიულ პირთა სამარენი ნახო, ლექსიკონისათვის (იგულისხმება ი. იმედაშვილის „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“. გ. ც.) ცნობები მომაწოდო“.

კოლას ზედმიწევნით ზუსტად შეუსრულებია მეგობრის დავალება და 1914 წლის 25 ივნისს მიუწერია წერილი საყურადღებო ცნობებით. ეს წერილი ი. იმედაშვილმა შემოკლებული სახით დაბეჭდა თავის ქურნალში „თეატრი და ცხოვრება“.¹ ამ წერილში ყურადღებას იპყრობს კოლას მეცნიერული სიზუსტით გამოჩრჩეული

¹ შემოთხსენებული წერილი, ვ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ. № 47, გვ. 7.

სტილი და შემდეგი გარემოება: შესაძლოა, ჰოლას ადგილზე სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, ასეთი მონდომება და გულწრფელი არ გამოეჩინა; მართლაც, რა ღრმა ინტერესი უნდა ამოძრავებდეს ადამიანს თავისი ეროვნული წარსულისადმი, რომ მძიმე ავადმყოფმა თავი არ დაზოგოს და რამდენიმე ვერსის მანძილზე ფეხით იხეტიალოს, რათა თავისი შორეული წინაპრების შესახებ მცირედი ცნობები დააგროვოს. ეს კიდევ ერთი საბუთია ჰოლას ჯანსაღი ეროვნული გრძნობისა, რაც ასე შესუსტებული ჰქონდა მისი დროისა და მისი პარტიის მრავალ მოღვაწეს.

ამ შემთხვევის შესახებ ჰოლა მისთვის ჩვეული თუმორით წერდა: „თუ რამედ გამოგადგება ეს ცნობები შენი შრომისათვის — ფეშქაში. ამ ცნობების შეკრება დამიჯდა ათი შაური ვერცხლის ფული... ასე რომ, თუ ვინმემ ჩემზე გითხრას, სამშობლოსთვის მსხვერპლს გამოღება არ შეეძლო, ჩემი ათი შაური წამოსძახე და შეარცხვინე... ხუმრობის გარეშე გისურვებ ჯანმრთელობას...“

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თავშესაფარში მყოფთათვის ათი შაური, ორი-სამი დღის საკვები თანხა იყო და ჰოლას ფიზიკურ მდგომარეობას, ადვილი მისაჯვედრია, რომ მისი ცხოვრების ეს პატარა დეტალი უმნიშვნელო არ არის. ამავე წერილში იგი წერდა: „ამ წყევულმა სიცხეებმა მაინც არაქათი გამომაცალა. ორმოცდათხუთმეტი გრადუსი სიცხეებია, მოდი და გაუძელი დაცრეცილი ფილტვებით. ასე თუ ისე ჭერჭერობით ცოცხალი ვარ და შემდეგში, რაც იქნეს ჯანიც გაფარდეს...“

და აი, ორმოცდათხუთმეტი გრადუსი სიცხის დროს, ავადმყოფი, ძლივს ფეხზე მდგარი ჰოლა, მილასლასებს ასტრახანის კრემლში, რათა აქ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა გარდაცვალების თარიღები დააფიქსიროს და ამ საქმეზე უკანასკნელ კაბიკებს ხარჯავს.. განა ეს ძლიერი სულის გამოვლინება არ არის, განა „მესიმისტი“ და „დეკადენტი“, „პორნოგრაფიით გატაცებული“ და „საზოგადოებაზე გულაცრუებული“ მელანქოლიკი, როგორადაც წარმოუდგენია ზოგიერთს ჰოლა ლომთაათიძე, — ამას გააკეთებდა?

ასტრახანში ყოფნისას ჰოლა გაფაციცებით თვალს ადევნებდა ქართულ ლიტერატურასა და ეურნალისტიკას. თავშესაფარში მას შედარებით უკეთესი პირობები ჰქონდა ლიტერატურული მუშაობი-

სათვის (თუნდაც იმიტომ, რომ შეეძლო დღე-ღამის რომელ საათსაც მოინდომებდა, მაშინ ეწერა და ეკითხა!). გაადვილდა მისთვის ქართული ურნალ-გაზეთების მიწოდებაც, რაც ციხეში აგრერიგად ძნელი იყო. ი. იმედაშვილიცააღმნი მიწერილ წერილში, იგი, უთვლიდა რა მადლობას ე. „თეატრი და ცხოვრების“ მიწოდებისათვის, ატყობინებდა, რომ „კლდისა“, „სახალხო ფურცლისა“ და კიდევ ქუთათური „იმერეთის“ გარდა ყველა გაზეთებს (ხაზი ჩემია. გ. ც.) ვკითხულობ, რისთვისაც იმერტის მადლობას ვწირავო“¹. აქვე აცნობებდა, რომ მიიღო ბესიკის ლუქსთა ქრებულოც.

ასტრახანის ადგილობრივი ხელისუფლება ათვალწუნებით უყურებდა საშიშ რევოლუციონერს. კოროლენკოსაღმნი გაგზავნილმა წერილმა (რაც მაშინვე შეუტყვეიათ), ისევე, როგორც მიპოწერამ საქართველოსთან და კოლქათავის დამახასიათებელმა რამდენიმე საპროტესტო გამოსვლამ, თავშესაფარის მესვეურებს და ერობის მეთაურებს კოლას თავიდან მოცილება გადააწყვეტინა.²

ამის შესახებ სარატოვის რსდმპ ორგანო „ნაშა გაზეთა“, 1915 წლის ივლისში წერდა: „ასტრახანის ადმინისტრაციას მოეჩვენა, რომ ლომთათიძის იქ ყოფნა საშიშია ქალაქის სიწყნარისა და ასტრახანელი საზოგადოებრივი ჯაობის სიმყუდროვისათვის. დაიწყო სათანადო წარდგინებები, შეტყობინებები. დააგზავნეს მიმართვები და ყოველივე ამის შედეგად პოლიციის დეპარტამენტმა დააღვინა: გასახლებულ იქნას ლომთათიძე ქ. სარატოვში“...

1915 წლის აგვისტოს დამდეგს (შესაძლოა, ივლისის დამლევს) კოლა ლომთათიძე სარატოვში ჩაიყვანეს და სარატოვის თავშესაფარში მოათავსეს. თუ ასტრახანში კოლა აქენიზატორების უბახში ცხოვრობდა და მთელი ქალაქის განაჯლის ოხშივარისაგან სუხტქვა უჭირდა, სარატოვში უარესი დამართა: იგი „შემთბვევით“ დაასახლეს იმ ხევის პირა, სადაც მათფლიოში უმდიდრესი სარატოვის საწვავი გაზის საბადო იყოფებოდა და სადაც ახლა, ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი სარატოვ-მოსკოვის გაზსადენი იღებს სათა-

¹ „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., № 47, გვ. 8.

² ამ საქმეში აქტიური როლი ითამაშა ასტრახანის საგუბერნიო ერობის ქანდაციის განყოფილების უფროსმა, შავრაზმელმა ადმინისტრატორმა—ვინმე რაფესმა.

ვეს. ხევიდან ამოსული შხამიანი ბუნებრივი გაზი ირგვლივ/ყოველი-
ვეს სწამლავდა და ხეების ფოთლებსაც კი ახმოზდა. ცხადია, რა
დღეც დაეყრებოდა ამ ჰაერით მსუნთქავ ფილტვებდაცრეცილ კო-
ლას.

1915 წლის 22 აგვისტოს იგი წერდა ბიძა ილარიონს: „ქალაქ
სარატოვში ვარ, აგერ ნახევარი თვეა. აქვე დავრჩები. მთელი ეს ზა-
ფხული სულ ვწევარ, ძლიერ ცუდათ ვარ, მაგრამ გულს მაინც არ ვი-
ტებს და მჭერა, რომ სიკვდილამდე ერთხელ მაინც მოვასწრებ საშ-
შობლო ქვეყნის ნახვას“. აქ კოლა მხოლოდ ამიერებს მოხუცსა და
აუადმყოფ ბიძას, თორემ იმედი საშობლო ქვეყნის ნახვისა ამ დრო-
ისათვის უკვე სავსებით გადაწყვეტილი ჰქონდა. თავის მძიმე მდგო-
მარეობას იგი ატყობინებს ი. იმედაშვილსაც, 13 აგვისტოს წერი-
ლით: „...ძლიერ ცუდათ ვარ, მაგრამ ეს ჩვეულებრივია, არა ახა-
ლიო“.

სარატოვში, რომელსაც უწინ „კეთილი ღემოკრატების ქალაქს“
უწოდებდნენ, საბედისწერო როლი ითამაშა კოლა ლომთათიძის
ცხოვრებაში: სარატოვის ყოფილი გუბერნატორის, პირსისხლიანი
სტოლოძინის პარპაშის დროს კოლა სამუდამოდ ჩაეკეტეს საპრო-
ბილეში და ამავე ქალაქში მოუასწრაფეს სიცოცხლე.

ძალების საოცარი დაძაბვით კოლა ლომთათიძეს სარატოვშიც
გაუგრძელებია ასტრახანში დაწყებული მუშაობა თავისი ნაწარმ-
ბების შესაკრებად და მათი ახალი გამოცემის მოსამზადებლად. ამ
ფაქტშიც კარგად მოჩანს მისი უტეხი სული და ნებისყოფა. კოლამ
კარგად იცოდა თავისი სრული განწირულება: „დიდხანს, ბიძია, ვე-
ლარ ვიცოცხლებ. შენ მტერს, მე რომ დღეში ვარ, არაქათი ვამო-
მელია, მაგრამ ამაზე ლაპარაკი მეზარება“. — წერდა კოლა თავის
მეგობარს სილიბისტრო თავართქილაძეს ქ. სარატოვიდან, 1915
წლის 29 აგვისტოს, გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე.

მაგრამ მოუხედავად ამისა, მაინც მთელ რიგ დავალებებს აძ-
ლევდა და თანაც თავის განზრახვას ატყობინებდა: „...ესლა ერთი
დიდნაგან დიდი სათხოვარი მაქვს. ყველა ჩემ ძველ ნაწე-
რებს ვაგროვებ და ხელახლა შეუდევქი იმათ გადა-
წერა-შესწორებას, რომ ჩვენი რედაქციების ყი-
ზილბაშური ხელი არ აჩნდეს იმათ, თუ ვინიცობა ა
ოდესსმე გამომცემელი გამოუჩინდათ. ვერ ჩავიგდე ხე-

ლში მხოლოდ ერთი, რომელსაც სახელად ჰქვია „სახარობელას წინაშე“. ამ მოთხრობის ბეჭდვა დაიწყო 1907 წელს, შემოდგომაზე და როგორც იქნა დაასრულეს 1908 წლის ზამთარში, თვეში ბეჭდვად ნენ ერთსა თუ ორ ფელეტონს, ასტრილად, არეულად რომ ერთიანად გაუქარწყლებინათ მისი გავლენა (ხაზი ჩემია — გ. ც.). ეს მოთხრობა ყველას მირჩევნია, ხოლო თუ შეუსწორებელი დარჩა, გადაბეჭდვა იმისი შეუძლებელია. იმედი მქონდა, თფილისში გადმოსვლის ნებას მოპყემდნენ და ვფიქრობდი, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავში მეშოვა ეს ნომრები გადასაწერათ. ეს მოლოდინი არ ასრულდა — უარი მოთხრეს. ესლა ჩემი თხოვნა ასეთია: მონახო ვინმე გადაამწერი და გაუჩივდეს რამდენათ გადასწერს ამ მოთხრობას (ხაზგასმა ჰოლასია — გ. ც.). ნომრები წერა-კითხვის საზოგადოებაში იქნება — ამშიც შეხუნდა დაეხმარო, ესე იგი მონახვაში. როცა, ღირებულებას გაიგებ — მომწერ დასულ რომსადილის ქამას დავეთხოვო კვირაში რამდენჯერმე, ამ ფულს გამოგიგზავნი... შეგიძლია თუ არა ამისრულო ეს? მეტიმეტად დამზავლებ თუ შეიძლება, თუ არა და აღარ ვიცი ვის მიუშარყო.

მეორე თხოვნა: ერთობ მოწყვეტილი ვარ ქართულ მწერლობას — „აზრის“ მეტი არაფერი მომდის დღიური¹. ვთხოვე „სახალხოს“ — არ გამომიგზავნეს უფასოთ. თხოვნა მდგომარეობს „შემდგომში“: მოელაპარაკე ჩვენს გაზეთს² — ეგებ შეუძლიათ გადაცვლით მიგზავნონ „სახალხო“. მაგალითად, ჩვენი რედაქცია ვინმე იმათ კაცს გაუგზავნის თავის გაზეთს, ამათი, მე — ასე იქცეოდნენ ახალციხეში როცა ვიყავი³.

ეს წერილი იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ სიკვდილის სარეცელზე მიჯაჭვულ ჰოლას იმდენი ხალისი კიდევ შერჩენია და მშობლიური ლიტერატურის ასპარეზზე მომუშავეთა მიშართ იმდენი ინტერესი კიდევ შემოუნახავს, რომ ისეთი სუბტი ბელეტრი-

1 ჩანს, სარატოვში გადასახლებას შეუფერხებია ქართულ ჟურნალ-გაზეთების გზავნა, რაც ასტრახანში კარგად იყო მოწესრიგებული.

2 იგულისხმება სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი.

3 საქ. ლიტერატურული მუზეუმი, კ. ლომთათიძის არქივის ფონდი, ხელნაწერი № 15596.

პტის, როგორც ს. თავართქილაძე იყო, ნაწარმოებსაც კი პრჩევს და ავტორს თავის ობიექტურ აზრს აწვდის. თანაც, მის მხატვრულ თავისებურებებზე ესაუბრება და ყოველივე ეს სიკვდილამდე ორი თვით აღრე ხდება!

განა ეს შემთხვევა ჭოლა ლომთათიძის მამაცობასა და განუხერხებლობაზე არ მეტყველებს? „შენი მოთხრობა წავეციოთ — წერდა ჭოლა ს. თავართქილაძეს, — რა თქმა უნდა, საზოგადოთ, ერთი დიდი ღირსება გაქვს, რამდენადაც მახსოვს, წინანდელ შენს მოკლე ნაწერებში — ეს ის, რასაც რუსები «завязка»-ს, «вводка»-ს ეძახიან. მაგრამ შენ ჩქარობ ძლიერ, თემას არ ამუშავებ და ამას შეუძლია შთაბეჭდილება გაანახევროს... ამის მეტს არას ვიტყვი იმიტომ, რომ ძველი შენი ნაწერების მხოლოდ შთაბეჭდილება თუ დარჩენილა ჩემს გონებაში, ხოლო ეს ერთი უკანასკნელი არ კმარა სამსჯელოდ. შენი დატყვევებული წიგნაკი რომ ჩამვარდნოდა ხელში უფრო ვრცლად მოგელაპარაკებოდი“.

ასტრახანში და შემდეგ სარატოვში ყოფნისას ჭოლა კიდევ უფრო მკვიდროდ უკავშირდება საქართველოს. თავშესაფარში მას მეტი კორესპონდენცია მოსდითადა, ვიდრე ციხეში და თვითონაც შედარებით ხშირი მიმოწერა ჰქონდა ნაცნობ-მეგობრებთან. ჭოლას იმეამინდელი წერილებიდან ჩანს, რომ იგი კარგადაა ინფორმირებული ქართული ლიტერატურის ახალი ნაწარმოებების შესახებ, მსჯელობს მათ ავტორებზე (რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ავადმყოფი ადამიანის მიერ გაჭირვებით დაწერილ მოკლე ბარათებში), ზოგს კიცხავს მისთვის ჩვეული პირუღაპირობით და ზოგსაც იწონებს. იგი ხშირად გულმოსულია, რომ ეურნალ-გაზეთები ამკარად მღარე მასალას ბეჭდავენ და მისას კი იწუნებენ: „ასეა, ძმავე, საქმე — წერს იგი ს. თავართქილაძეს, — ასეთ უმსგავსობას ბეჭდავენ და მე უარს მიუბნებიან“ — გამწარებით ამბობს ჭოლა.

სარატოვში მყოფი ჭოლა ლომთათიძე თავის სიცოცხლის დასალიერზე კვლავ საზოგადო ინტერესებზე ზრუნავს და საქართველოსათვის საჭირო და სასარგებლო საქმეებზე ფიქრობს. ერთ-ერთ თავის წერილში იგი დიდი გულისტკივილით წერდა ს. თავართქი-

1 საქ. ლიტერატურული მუზეუმი. კ. ლომთათიძის ფონდი, ხელნაწერი № 15597.

ლაძეს: „მოგეხსენებათ, რა ძვირფასი იქნება, რომ ყველა ჩვენგანი დაუტოვებდეს მომავალს თავის ნახულ-გაგონილ-ნათქვამ-ნაცადს, რა დიდი მწიფუნელობა აქვს ამას ისტორიისათვის! მით უმეტეს გაფაციცებით და გულმოადგინებით უნდა ვაგროვებდეთ ასეთებს და ვინახავდეთ. გვეყო, ჩვენ, ქართველებს, რაც დაუდევარი ვიყავით, ჩვენ ხომ ნამდვილი ის ვართ, ვისაც რუსები «Не помнящий родства»-ს ეძახიან. გვაქვს შენახული ბარათაშვილის, ორბელიანების, ჭავჭავაძეების, წერეთლების, ყაზბეგის, ნინოშვილის, ჭონქაძის, არღანიანის და სხვების და სხვების წერილები, ხელნაწერები და ასეთები? საად არის ჩვენი მოძრაობის ისტორიული საბუთები-ფურცლები და სხვები? (აქ ჭოლა ლომთათიძე საქართველაში რევოლუციური მოძრაობის მასალებს გულისხმობს — გ. ც.). ერთი სიტყვით, დროა ასეთებზე ვითქვით და ვიმუშაოთ, პირველ ხარისხოვანი საქმეა!“ (აქ და ზემოთ ხაზი ჩვენია — გ. ც.).

მაგრამ ჭოლასათვის ყველა ამ საზრუნავთა შორის მთავარი საზრუნავი მაინც თავისი, არცთუ ძალიან დიდი, მაგრამ სიცოცხლეზე უფრო ძვირფასი ლიტერატურული მემკვიდრეობის შეკრება-მოწესრიგება იყო. თუ როგორი ინტერესით, და საქმის გულთან ახლო მიტანით ეპყრობოდა ამ საქმითს ჭოლა, ეს კარგად ჩანს ერთი მისი კერძო წერილიდან, რომელსაც ვრცლად დავესახებთ. ამ წერილში ჭოლა თხოვს მეგობარს დაეხმაროს ნაწერების მოძებნაში.

როგორც ირკვევა, პეტერბურგში, სახელმწიფო სათათბიროს სხდომებზე გამგზავრების წინ, ანდა უფრო ადრე, რადმ IV (სტოკჰოლმის) ყრილობაზე გამგზავრების წინ, — მას ეს ნაწერები ჩაუბარებია ვინმე ბენიასთვის², რომლისგანაც ისინი წაუღია მათ საერთო ნაცნობს კ. ნ.-ს. შემდეგ ჭოლას ეს ნაწერები, როგორც ჩანს, ველარ მოუძებნია. ამ წერილში ჭოლა უდიდესი აღმფოთებით და გულმოსტკივილით წერს მომხდარად შესახებ და ითხოვს დახმარებას, რათა მოაძებნინონ მისი არქივი.

გარკვეული მიზეზების გამო ჭოლა ძალზე ფრთხილობს და ყო-

¹ საქ. ლიტერატურული მუზეუმი, კ. ლომთათიძის არქივის ფონდი, ხელნაწერი № 15597

² ჩვენის აზრით, იგი ბენია ჩხიკვიშვილი უნდა იყოს.

ველოვე ამას (განსაკუთრებით აღრესატებზე) წართულად ლაპარაკობს. თავის თავსაც შემოიარებით ახსენებს (ვითომც ეს მასალები ვილაც სხვას ეკუთვნის) და თავისი სახელისა და გვარის მაგიერ ლუკა ბოყვინიშვილს აწერს. აი, ეს საგულისხმო წერილიც¹:

„ძმაო, ლია!² ერთ რამეს გთხოვ, არ თუ მარტოოდენ შენ, არამედ ყველას. ნაცნობსა თუ უცნობს, — ოღონდ კი მეგობრები იყვნენ ისინი და ამ ჩემი თხოვნის დაკმაყოფილებაში, დაჩუქმუნებული ვარ, დაინტერესდებით თქვენც ჩემსავით და მწამს საშუალებას არ დააკლებთ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. საქმე აი, რაშია: როცა ბენია ფოთიდან თფილისში გაგზავნეს, მას სხვა სიბრძნევითა შორის ერთი ღიადი სიბრძნევე ჩაუღენია — მისი ხელნაწერები — დღიურები, მოგონებები, თარგმანები გადაუცია კაკალასათვის; ესე იგი არათუ გადაუცია, კაკალას თვით გამოუერთმევე იმ პირისათვის, რომელსაც მიბჯარებული ჰქონდა ბენიას მიერ, ბენიას სახელით მოუთხოვია. და რაკი ბენიას ჰქონია ნაწერები — ნუთუ მოსათმენია იმათი დაეკარგვა ვინმე აშარა დუდაკაცის მიერ? წინდაწინ გული ბრახით და წყრომით მევსება — ვაითუ, მართლა იმდენათ დაცემული და გათახსირებული არააბა არის ის, რომ აიღო და ეს ხელნაწერებიც ისე შეურაცხყო და მოკაპო, როგორც ავტორი იმათი მოკაპო და შეურაცხყო თავის მხარე-მეთქი. თუ ეს მართალი გამოდგა, ნუთუ შეიძლება ამის დაუსჯელად დატოვება? კაცო, ეს არ მოეტევება თვით ქართველ ქალსაც კი, რაც უნდა იყოს წერა-კითხვა იცის, რაც უნდა იყოს, აღამიანის მონათესავეა! პოლოცია, უანდაჩქერია ყველა ინახავს მათალას, არ სპობს — ნუთუ კაკალა ნ-ძე იმათზე დაბლა დგას ზნეობრივად? წინ და წინვე მიპყრობს ბრახი და გულის წყრომა — ვაი, თუ მართლა მოსპოისინი მეთქი. ამიტომ გთხოვ, თქვენ მოელაპარაკოთ იმას და რამენაირად გამოართვათ ისინი, თუ აქვს შენახული. თუ ძმა ხარ, კარგა გაიგე ყველაფერი და რაც შეიძლება ჩქარა გავაგებინე, რაში იყო საქმე. ამა-

¹ საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი, ვ. ლომთათიძის არქივი, ხელნაწერი № 15597.

² ლია — სილიბისტრო თეარტილაძის შერქმეული სახელია. სილიბისტრო თეარტილაძე, კოლას ერთი უახლოესი მეგობარი და სკოლის ამხანაგი იყო. იგი ავტორია მოგონებისა კოლახე. მოგონება დაიბეჭდა ს. მანწყავას წიგნში „კოლა ლომთათიძე“, ქ. თბილისი, გამომც. „განათლება“, 1925 წელი.

სათანა გთხოვ, მირჩიო, საშიში იქნება, შეეცადე რომ ი-
ვწყვიტო წერილი? ხომ არ გადასცემს ვისმეს ისეთს,
ხომ არ გამამხელს? ეელი საჩქაროთ თქვენ პასუხს. ანდა
შენ გამოგიგზავნი წერილს; წაუკითხავთ იმას და
უკანვე წაიღებთ, დაბეგვთ. ერთი გამოლანძღეც მისი რათ
ღირს! (ხაზი ჩვენა — გ. ც.)

მართალია, ასტრახანისა და სასტოვის თავშესაფარები ბევრად
არაფრით განსხვავდებოდნენ საპატიმროსაგან, მაგრამ მეცინოვნეთა
განუწყვეტელი თვალთვალისაგან განთავისუფლებულმა კოლამ
ცოტა მაინც ამოისუნთქა, დროებით, ოდნე დაშვიდდა და ბუნებ-
რივია, ასეთ პირობებში სურვილი აღძრა კიდევ ერთხელ გადაეხე-
და განვლილი გზისათვის. მისი ასეთი სურვილი მკაფიოდ მოჩანს
ერთ-ერთ წერილში, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ამ პერიოდ-
ში კოლა ლომთათაძის განწყობილებისა და იდეურ-პოლიტიკური
პოზიციის გასათვალისწინებლად.

ამ წერილში კოლა კიდევ ერთხელ უბრუნდება მისდამი მენ-
შევიკური ლიდერების დამოკიდებულებას. ააშკარავებს მის მიმართ
მათ მტრულ საქმიანობას და ფარდას ხდის იმ ზოგიერთ ფაქტს, რომელიც
ჩვენთვის მანამდე უცნობი, ან გაუგებარი იყო.

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ კოლა ლომთათაძე მეორე სა-
ხელმწიფო სათათბიროს სხდომებზე რალაც მეტად უფერულად გა-
მოიყურებოდა. კოლას ქცევაში არ ჩანდა ის მებრძოლი და აქტიური
ბუნება, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო მისთვის. ეს წერილი
გვიხსნის ამის მიზეზს: თურმე, საზიზლარმა ჭორმა, რომელიც მეზმე-
ვიკ ლიდერებმა დაუყარეს, „წელი მოწყვეტა“ ამაყ მებრძოლს და
ისეთი მქენჯნავი უხერხულობა აგრძნობინა, რომ მთლად დააკარგვინა
სიღიანჯე და თავდაჭერის უნარი, საქციელი წაუხდინა და დააბნია.

თუ 1907 წელს დაწერილ დღიურებში კოლა მხოლოდ ექვს გა-
მოთქვამდა, რომ ჭორის დამჩხევი მისი „პარტიული ამხანაგები“, ე.
ი. მენშევიკები იყვნენ, 8 წლის შემდეგ, 1915 წელს, იგი უკვე და-
ბეგითებით ამბობს, რომ ის სამარცხვინო და სა-
ზიზლარი საქმე მას სწორედ მენშევიკებმა დამართეს. ჩანს, კოლა კი-
დევ უფრო დარწმუნდა მათ ვერაგობაში და საბოლოოდ ზურგი შე-
აქცია. ამაზე მეტყველებს კოლას შედგომა ე. წ. „პორაუენტულ პო-
ზიციანზე“, ე. ი. მეფის თვითმპყრობელობის პირველ მსოფლიო

ომში დამარცხების პოზიციაზე, რომელსაც ბოლშევიკები ქადაგებდნენ.

ჭოლას „პორაქენცობას“ ერთხმად აღნიშნავენ ყველა, ვინც მას სიტოცხლის უკანასკნელ წლებში (1914—1915 წ.წ.) შეხვედრია. საბოლოო გათიშვამ მენშევიკ ლიდერებთან და მენშევიზმისადმი ზურგ შექცევამ ჭოლას „პარტიული ამხანაგების“ მხრივ მთელი რიგი რეპრესიული ღონისძიებები გამოიწვია. ცნობილია, რომ ჭოლას შეუწყვიტეს მატერიალური დახმარება, რასაც მენშევიკური ფრაქცია აწარმოებდა, ხელი აიღეს მასთან ამხანაგობაზე და ერთგვარი ბოიკოტიც გამოუცხადეს. ყოფილი „პარტიული ამხანაგები“ შურს იძიებდნენ „უღისციპლინო“ ამხანაგზე, რომელმაც მათ ზურგი შეაქცია.

ამით იყო გამოწვეული ჭოლას სიტყვები: „სარცხვილი კია, ჩემს მდგომარეობაში კაცს, შურისძიებით მოეპყრან, მით უმეტეს, რომ მე ეხლა, ალბათ, ვერაფერს დავაკლებ, ხოლო როცა ხელ-ფეხი შეკრული არ მქონდა ასეთების არ მეშინოდა მე.“¹

ამავე წერილში იგი აღწერდა მენშევიკ-ლიდერების უმსგავსოებას, რომელნიც მიზნად ისახავდნენ ხალხისა და ამომრჩევლების თვალში ჭოლა ლომთათიძის სახელის გატეხვას, მის დისკრედიტაციას, რადგან გრძნობდნენ, რომ ჭოლა არ გამოადგებოდათ ვიწრო „ფრაქციული საქმიანობისათვის“, რომ ეს „თავნება დეპუტატი“, ყოველთვის მებრძოლ-რევოლუციურ პოზიციაზე მდგომი და, არსებითად, ბოლშევიკური ტაქტიკის გამტარებელი, სულ ახლო მომავალში მათი მოწინააღმდეგე გახდებოდა.

აი, რას წერს ჭოლა მათზე: „შენ იცი თუ არა, რა მიყვეს, სათათბიროში როცა გამგზავნეს, ამ პატიოსნებმა?.. მომიჯიონეს, ბიჭო, თითქოს მე ბარდელში ეგრეთ წოდებულ „ვიშიბალად“ ვიყავი და ყოველად უმსგავსო ცილმა ამაწრო პეტერბურგში — უჰ, ჩემმა მტერმაც ნუ გამოსცადოს ის, რაც მე გამოვცადე ამის გამო — და თუმცა წინათ არ მეგონა, თუ ცილისწამება დამძლევდა — ამან, დაძლია, მომწვიტა წელი და ყოველად უსარგებლო გამხადა.

მინდოდა წამსვე უკან დავბრუნებულიყავი, მაგრამ ვძლიე თავი, იმიტომ, რომ დავბრუნებულიყავი, მკვლელი გავხდებოდი. სირცხვი-

¹ საქ. ლიტერატურული მუზეუმი, ჭ. ლომთათიძის არქივის ფონდი, ხელნაწერი № 15597.

ლით ვერას ვამბობდი და ისე ვიტანჯებოდი ჩემს გულში... ასეთი ბიჭები ურევია ჩემს მოწინააღმდეგეებში და ესენი რომ ფედერალისტები, ან სხვა პარტიის ხანაკიდან ყოფილიყვნენ, კიდევ ჰო, მკლავს დღემდე ის, რომ ესენი ჩვენებია, ჩვენი პარტიის... ექვსლაც ხელი ამიჯანკალდა, მაგათი ქოქი გაწყდა. კმარა — რაკი ასეთი ცუდი კაცი ვარ, რომ ჩემ წინააღმდეგ ყველაფერი ზომის მიღებაა საჭირო, დეე, ასე იყოს“¹...

ეს გულდაწყვეტილი ფრაზა იმის შედეგია, რომ თავშესაფარში დამწყვდეული ჰოლა ლომთათიძე თანამედროვეთა მხრივ სათანადო ყურადღებას ვერა გრძნობდა. მის დღიურშიც და წერილებშიც: თითქმის მუდამ იგრძნობა დახშული წყენა, რომელიც, ხშირად, საყვედურად გადმოიღვრება ხოლმე. დამწუხრებულ — ჰოლა ჩივის, რომ იგი ყველამ მიივიწყა, რომ მას იშვიათად წერენ წერილებს, რომ მისი ბედი და საქმე აღარაფის აინტერესებს.

განსაკუთრებით განიცდიდა იგი ამბის მოუსვლელობას გური-ოდან. გურიას, კი რეაქციის პერიოდში მძიმე დღე ადგა. ჰოლას მრავალი მეგობარი დაიპირეს და გადაასახლეს, ზოგიერთი მათგანი თვითონ გაიხიზნა. ბევრი კი, რეაქციის სუსხით შეშინებული ან ერიდებოდა მასთან მიმოწერას², ან ფიქრობდა, რომ იგი ცოცხლებში აღარ ურევია და სულერთია მივსწერ, თუ არაო. ზოგმა კი მართლაც მიივიწყა იგი, ამ მხრივ განსაკუთრებით ნათესავეები სცოდავდნენ.

* ჰოლა არ იყო ისეთი კაცი, რომ ვისმეს ფიანდაზად გაგებოდა და თავი შეეყვარებინა. მუდამ რევოლუციური საქმისათვის თავდადებულს, მუდამ საზოგადოზე მოფიქრალს, მას დროც აღარ რჩებოდა ხალხთან მეგობრული დაახლოებინა და ადამიანებთან ინტიმური კავშირის გაბმისათვის. იგი უფრო ამოღებულ ხმალს ჰგავდა და ნაცნობთა დიდ უმრავლესობას მისგან უფრო მეტი მითითება,

¹ საქ. ლიტერატურული მუზეუმი, ჰ. ლომთათიძის არქივის ფონდი, ხელნაწერი № 15597.

² ერთ-ერთ ასეთ სულმოკლე ადამიანზე ჰოლა წერდა (აბ. წულაძისადმი გაგზავნილ უკანასკნელ ბარათში) — მრავალი წერილი მივწერე და პასუხს ვერ ვეღირსეო. „თუ აბდლურ წერილს ვწერდი იმ იკარგებოდა და თუ რამეს ვთხოვდი, აუცილებლად დაიკარგებოდაო“. გაბრაზებულა ჰოლა ამბობს — აღარასოდეს აღარ მივწერ წერილსაო.

მოთხოვნა, კრიტიკა და მეთაურობა ახსოვს, ვიდრე მეგობრული სიახლოვე, ადამიანური სითბო, ალერსი და მზრუნველი სიყვარული.

ყოველივე ამან ზიზარტოვე, სულიერი ობლობა და ახლობელ-თაგან მივიწყების ტკივილები მიუტანა ამაყ და არცთუ გულგახსნილ ქოლა ლომთათიძეს.

ამიტომ იყო, რომ წყენა და გულისტკივილი ისეთივე მუღშივი თანამგზავრი შეიქნა. მისთვის, როგორც ქლექის განუყრელი ატრიბუტები — ხველა და ოფლი, სიცხე და სიზუსტე. „სახსაცილოა, რომ ეს გული ვერ ურიგდება ბედს, სურს ცოცხლებში ერიოს, ცოცხლებს კი არა სურს იგიო“¹. მწარე სინანულით წერდა ქოლა ერთ-ერთ წერილში. ამიტომ იყო, მას აღაჩაფერი ჰქონდა დაჩჩენილი გარდა იმისა, რომ ხელი ჩაექნია ყველაფერზე და წარმოეთქვა: „რაკი ასეთი ცუდი კაცი ვარ, რომ ჩემ წინააღმდეგ ყველა ზომის მიღებაა საჭირო, დეე, ასე იყოსო“... ქოლამ იცოდა, რომ ღირსეულ მსჯავრს მას მხოლოდ მომავალი გამოუტანდა და ამიტომ იბრძოდა ასე დაუღალავად, რათა მის მხატვრულ სიტყვას უკლებლივ და შეურყვანელად მიედწია მომავალ თაობებამდე.

გადიოღნენ თვეები და ქოლას მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მძიმე ხდებოდა, ახლოვდებოდა სიკვდილი. ქოლა გრძნობდა მონაწილეობის კატასტროფის გარდუვალობას და ერთ-ერთ თავის უკანასკნელ წერილში წერდა: „ოცი დღეა მძიმე ავად ვარ, სიცხე ორმოცამდე აღის. ვერავითარი წამლით ვერ შეიძლეს სიცხის დაკლება. საქმე ალაღებდზეა, გეიარს ყველაფერი, ანდა მშვიდობით. მოვლით ძლიერ მივლიან ეს და ლოცვილი რუსი ამხანაგები, ისე მატანენ თვალს, რომ ამ წერილს გამთენიას ვწერ, მიეძინა იმას, ვინც წუხელის დამეხს მითევდა. აბა წერილის დაწერის ნებას ვინ მომცემს. მოკითხვა ყველა მოკეთეს. მომწერეთ. ფულს წერილი მიჩვენია თქვენი, ჩემს სიღარიბეს რას უზამს“².

ამ წერილში მეტად მნიშვნელოვანია „რუსი ამხანაგების“ გულმხმინიერებისა და ყურადღების საგანგებოდ აღნიშვნა, მათი ასე თბილად მოხსენიება. ჩვენთვის ღიღხანს უცნობი იყო იმ „რუსი ამ-

¹ სილიბისტრო თავართქილაძისადმი მიწერილი წერილიდან.

² საქ. ლიტერატურული მუზეუმი, ვ. ლომთათიძის არქივი, ხელნაწერი № 15597

ხანაგების“ ვინაობა, რომელთაც ასეთი სამახსოვრო შემწეობა აღ-
მოუჩინეს სარატოვში მყოფ კოლას და რომელთა მეგობრულმა ყუ-
რადღებამ, აღამიანსურმა სითბომ და მზრუნველობამ გული გაუშხ-
ნევა, უკანასკნელი სიამოვნება მოჰგვარა სასიკვდილოდ განწირულ
კოლა ლომთათიძეს. ქვემოთ ჩვენ მოვიყვანთ ერთ აქამდე უტნობ
დოკუმენტს, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ კოლას
სარატოველი მეგობრების ვინაობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეგობრული მზრუნველობა კოლას
მიმართ, აღარც არაერთხელ გამოუჩენიათ, როგორც რუს, ისე ამი-
ერკავკასიის მოძმე ხალხთა წარმომადგენლებსაც. ეს იყო კოლას თა-
რთო ინტერნაციონალიზმის დაფასების თავისებური გამოხატულება.

კოლა ყოველთვის თავისუფალი იყო ეროვნული მიკერძოე-
ბისა და ნაციონალისტური ტენდენციებისგან, თუმცა ყოველთვის
ჩრებოდა თავისი ხალხისა და ერის დიდ მოსიყვარულედ, მოჭირნახუ-
ლედ და შთაგონებულ მხატვრად. ტყუილად კი არ ამბობდა კოლა:
„ყოველივე ჩემი მშობლიური, ნაციონალური ძალზე მიყვარს და მი-
სი დათმობა არ შემძლიანო“¹...

კოლასადმი დახმარებაზე, რომელიც მისთვის ჯერ კიდევ პეტერ-
ბურგისა და სევასტოპოლის ციხეებში აღმოუჩენიათ, ა. გ. ზურა-
ბოვი წერდა: «В это время (იგულისხმება 1908 წელს—გ. ც.)
как раз удалось наладить материальную помощь настолько,
что можно было приступить к серьезному лечению его тяже-
лой болезни. Но близкие к нему лица, сообщая эти отрядные
вести, прибавляли, что все равно, его положение является без-
надежным».

საქართველოს მოწყვეტილ კოლასათვის დიდად სასიხარულო
იყო ქართველ სტუდენტთა ყურადღებაც. 1914 წელს დაწყებული
პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის გამო კიევის უნივერ-
სიტეტისა და საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტები, ისევე, რო-
გორც რამდენიმე სხვა უმაღლესი სასწავლებლებისა, სარატოვში
იქნენ ევაკუირებულნი. იქ, მათ შეუტყვიათ ქართველი მწერლის
გაჭირვებული ყოფა და მცირედი დახმარება გაუწევიათ მისთვის.
გაჭირვებულ სტუდენტთა ამ დახმარებას კოლაზე ძალიან უმოქმე-
დია და მას მადლობის წერილით მიუმართავს რედაქციისათვის:

¹ აქიმ ქოჩარაინისადმი მიწერილი წერილიდან (1912 წლის 13 ივლისს).

„უმორჩილესად გთხოვთ ამ ბარათის საშუალებით ნება მომცეთ დიდი და გულწრფელი მადლობით მივმართო კიევიდან დროებით გადმობწვილ სტუდენტებს (უნივერსიტეტის, კომერციული ინსტიტუტის), რომელთაც ერთმანეთს შორის შეაგროვეს ორმოცდაშვიდი მანეთი და მე გადმომცეს. ეს ასე, მაგრამ რომელ მადლობაში შემძღვია მე გამოვთქვა ჩემი გრძნობა იმ პირთადმი, რომლებმაც აგრეთვე გამაძღეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავიანთი მუდმივი ჩემდამი ყურადღებით და მუდამ მზად ყოფნით—დამეხმარონ, თუ რაიმე შეუძლიათ. მძიმე ავად ვარ, მაგრამ ეხლა ვიცი, რომ სრულიათ მოწყვეტილი მეგობრებს, არ მოვკვდები“¹.

ქვემოთ ჩვენ დავესესხებით ერთ-ერთი ამ სტუდენტთაგანის, ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ნიკოლოზ ქოიავას, მოგონებას კოლას შესახებ.

კოლა ლომთათიძის სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში, როცა მწერალი არსებითად უკვე ცოცხლებში აღარ ეწერა — ინტერესი მისდამი ერთბაშად ანიაღვარდა. ამას დიდად შეუწყობ ხელი სარატოვის ლეგალურმა მარქსისტულმა ორგანომ „ნაშა გაზეტამ“, რომელმაც გამოაქვეყნა ფრიად საყურადღებო კორესპონდენცია კოლას შესახებ. უნდა ითქვას, რომ მანამდე მახლობელთა გარდა თითქმის არავინ არ იცოდა კოლა ლომთათიძის სარატოვში ყოფნა. განსაკუთრებით კი, რა თქმა უნდა, სარატოვის საზოგადოებრიობამ.

„ნაშა გაზეტას“ გამოსვლის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, სარატოვის ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიულმა და პროგრესულმა წრეებმა დიდი ყურადღება გამოიჩინეს კოლას მიმართ. უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ ეს ეპიზოდი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია მოწინავე რუს და ქართველ მოღვაწეთა თანამეგობრობის ისტორიიდან. იგი ორი მომხეგრის საზოგადოებრივ-კულტურული კავშირების საყურადღებო მომენტს წარმოადგენს და რევოლუციის წინა წლებში რუსი და ქართველი ხალხების ერთობლივი სწრაფვის, მათი მჭიდრო რევოლუციური ურთიერთობის მკვერამეტყველ მაგალითად გვევლინება.

როგორც აღვნიშნეთ, 1915 წლის სექტემბრის დამლევს სარატო-

¹ ეს „ლოა წერილი“ რედაქციისადმი, კ. ლომთათიძეს მიუწერია 1915 წლის 21 ოქტომბერს. იგი კოლას ერთი უკანასკნელი წერილთაგანია.

ვის მარქსისტულმა ორგანომ — „ნაშა გაზეტამ“ გამოაქვეყნა პატარა, უავტორო წერილი, რომელშიც მკითხველს ამცნობდა კოლა ლომთათიძის მძიმე მდგომარეობას, აუტანელ საცხოვრებელ პირობებს და სრულ უყურადღებობას მისდამი. საინტერესო ისაა, რომ ეს ანონიმური წერილი რედაქციაში მიიღო და დაამუშავა კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწემ გ. ი. ოპოკოვმა (ლომთაძემ), რომელსაც ჩვენ ზემოთ შევხებით და რომელმაც წერილს პოლიტიკური სიმახვილე მისცა და ბოლშევიკური სულისკვეთებით გაჟღერა. აი, რა სახით გამოაქვეყნდა ეს ხელმოუწერელი წერილი სარატოვის ორგანოში „ნაშა გაზეტა“:

„ბედმა ამყვამად, ჩვენს ქალაქში გადმოაგდო მეორე სახელმწიფო 'ათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი ბ. ბ. ლომთათიძე, კატორღამისძილი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის საქმეზე, რომელმაც 7 წლის პატიმრობა გადაიტანა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ციხეებში. ამის შედეგად, იგი დაავადდა ბოროტი ქლუქით და ისე თვალსაჩინოდ, რომ სოციალ-დემოკრატიულ დეპუტატების მიმართ თვით რუსული დამოკიდებულებების მიუხედავადაც კი, ვერ გაბედეს მისი ციმბირში გაგზავნა დასასახლებლად. ამის მაგიერ გაგზავნეს იგი ასტრახანში და მოათავსეს საზოგადოებრივი მეთვალყურეობის დავრდომილთა თავშესაფარში. ზედმეტია თქმა, რომ ასტრახანის ჰავამ და თავშესაფარში არსებულმა მომაკვდინებელმა პირობებმა ხელი შეუწყეს საშინელი სენის კიდევ უფრო სწრაფად განვითარებას. მაგრამ „მცველებმა“ აქაც არ მოასვენეს დემოკრატიის მომაკვდავი ჯარისკაცი. ასტრახანის ადმინისტრაციას მოეჩვენა, რომ ლომთათიძის იქ ყოფნა საშიშია ქალაქის სიწყნარისა და ასტრახანული საზოგადოებრივი ჰაობის სიმყურდოვისათვის. დაიწყო სათანადო წარდგინებები, შეტყობინებები, დაიგზავნა მიმართვები და ყოველივე ამის შედეგად, პოლიციის დეპარტამენტმა დაადგინა, გასახლებულ იქნას ლომთათიძე ქ. სარატოვში და მოთავსებულ იქნას დავრდომილთა საერობო თავშესაფარში.

აგვისტოს პირველი რიცხვებიდან ლომთათიძე სარატოვშია. როგორ შეხვდა მას „კეთილი დემოკრატების“ ქალაქი? გუბერნიის ერობა, რომლის განკარგულებაშიც იმყოფება ლომთათიძე, მოეპყრო მას ძალზე არა სტუმართმოყვარულად. ერობის სახალხო ჯანდაცვის განყოფილებაში, სადაც გააგზავნა პოლიციამ ლომთათი-

ქე, მას შეხვდნენ ხარხარით (როცა შეიტყვეს, რომ იგი, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, იცხოვრებს საერობო თავშესაფარში). იგი სპეციალური ბადრაგით მაშინვე გაისტუმრეს თავშესაფარში, სადაც იმყოფებიან ერობის სხვა პატიმრები. ეს თავშესაფარი მდებარეობს... ბელოვლინსკის ხევის პირას, საიდანაც ამოსული გაზები აფეთქებენ ახლომდებარე სახლებსაც კი... ოთახი მოთავსებულია ქიშკარის ზემოდან და ზამთარში მასში ალბათ ძალზე ეციება. ეხლა კი იგი ყოველთვის სავსეა საშინელი სურნელებით, რომელიც მოდის უბინძურესი ეზოდან, ხევიდან და საპირფარეშოებიდან... მაგრამ მთავარი ისაა, რომ ლომთათიძე დატოვებულია ყოველგვარი სამედიცინო დახმარების გარეშე, რამდენადაც თავშესაფარს არ ჰყავს ექიმი“...

როცა სარატოვის რსდმ პარტიის წარმომადგენლებმა და სხვა პროგრესულმა წრეებმა შეამოწმეს ეს წერილი, გამოდგა, რომ მასში ნათქვამი ყველაფერი სწორია.

ამ წერილმა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დიდი რეზონანსი იქონია. ამის შედეგად, ქალაქ სარატოვის რევოლუციურად განწყობილმა მუშებმა, პროგრესულმა ინტელიგენციამ და სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა მატერიალური და მორალური დახმარება გაუწიეს ჯოლა ლომთათიძეს, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ჯოლას დასუსტებულმა ორგანიზმმა, მისმა, როგორც თვითონ ამბობდა, „დაცხრილულმა ფილტვებმა“ ვეღარ გაუძლეს უკუბრუნებელ სენს და 1915 წლის 4 ნოემბერს, შემოდგომის ცივი ღამით, მრავალჭირგადახდნილმა ჯოლა ლომთათიძემ სამუდამოდ დახუჭა თვალი...

მგზნებარე რევოლუციონერი ჯოლა ლომთათიძე, არა მარტო სიცოცხლის დროს აგდებდა საგონებელში მეფის თვითმპყრობელობას და მის ადმინისტრაციულ აპარატს, არამედ სიკვდილითაც ბევრი უსიამოვნება მიაყენა თვითმპყრობელობის ერთგულ ბურჟებს — ჟანდარმერიას და პოლიციას.

ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ რუსეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქის — სარატოვის რევოლუციური ისტორიისათვის ჯოლას სახელმა საყურადღებო როლი ითამაშა. ჯ. ლომთათიძის დასაფლავებასთან დაკავშირებით მოწყობილმა ხალხმრავალმა დემონსტრაციამ სათავე დაუდო რევოლუციის ახალ აღმავლობას ჯ. სარა-

ტოვსა და მის გუბერნიაში. მოვიყვანთ რამდენიმე ახლად მიკვლეულ საბუთს, რომელიც ნათელაყოფს ჰ. ლომთათიძის ცხოვრების უკანასკნელ პერიოდს და იმ დიდ სახელს, რომლითაც ჰოლა სარგებლობდა მოწინავე რუს ინტელიგენციასა და მებრძოლ პროლეტარიატში.

სსრკ ისტორიული არქივის ე. წ. „პოლიციის დეპარტამენტის“ საქმეებში მოინახა რამდენიმე საყურადღებო დოკუმენტი: 1916 წლის 18 აპრილს, სარატოვის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის საიდუმლოდ უგზავნის ცნობას (ეს ცნობა უფრო აღრეა დაწერილი), რომელიც შეიცავს საყურადღებო მასალას ჰ. ლომთათიძის შესახებ. მოვითანთ მას თითქმის მთლიანად, მით უმეტეს, რომ ჰოლას სარატოვიდან გადმოსვენებონ ამბავი აქ სამხედრო სიზუსტითაა გადმოცემული.

„სარატოვის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს საქმეებიდან, ნაფიცი ვეჭილის ლებედვისა და ნაფიცი ვეჭილის თანაშემწეების ანტონოვისა და ოპოკოვის მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობა გამოიხატა შემდეგში: ლებედევმა, ანტონოვთან და ოპოკოვთან ერთად მიიღო განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა 1915 წლის 4 ნოემბერს ღამით გარდაცვლილი II სახელმწიფო სათათბიროს ზოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრის ლომთათიძის გადასვენების მოწყობაში. ისინი ილტვოდნენ იმისაკენ, რომ დასაფლავებისათვის რაც შეიძლება მეტი საზვიამო ხასიათი მიეცათ და მიეზიდათ მუშები და სტუდენტები.

ჰქონდათ რა კავშირი მუშებთან, განმათავისუფლებელი საზოგადოების „შუქურას“ („მაია“) და „ზრომის ბირჟის“ მეშვეობით, ისინი თხოვდნენ მუშებს დასაფლავებაზე აუცილებლად მოსვლას და გვირგვინებისათვის ფულის შეგროვებას. ლენტები ამ უკანასკნელებზე უნდა ყოფილიყო წითელი, ხოლო წარწერები შედგენილი იყო ანტონოვისა და ლებედვის მიერ. სამგლოვიარო პროცესის მსვლელობის დროს, თუ პოლიცია მკირერიცხოვანი იქნებოდა, ან დაიბნეოდა, გამიზნული იყო ემღერათ „თქვენ მსხვერპლად დაეცით“¹, ხოლო ნეშტის დაკრძალვისას² უნდა წარმოთქმუ-

¹ აკრძალული რევოლუციური სიმღერა «Въ жертвою пали».

² პირველ ხანებში ნაეარუდუვი იყო ჰ. ლომთათიძის სარატოვიში დაკრძალ-

ლიყო სიტყვები, რომელიც მუშებისათვის უნდა დაეწერა ანტონოვს.

ნოემბრის 7-სა და 8-ში, საერობო საავადმყოფოზე მეთვალყურეობის დროს, სადაც დასვენებული იყო ჭ. ლომთათიძის ნეშით, შენიშნულ იქნა ეგვიპტერში მიმავალი სტუდენტებისა და მუშების განუწყვეტელი ნაკადი. ამასთან ერთად, მოტანილ გვირგვინებს შორის იყო გვირგვინები წითელი ლენტებით, რომელნიც პოლიციის მოთხოვნით შეეცვლილ იქნა თეთრით. ზოგიერთ ლენტზე იყო წარწერები წითელი ასოებით. წარწერათა უმრავლესობა ტენდენციურ ხასიათს ატარებდა. 8 ნოემბერს, ღამით, ანტონოვი, ლებედე და ოპოკოვი სარატოვის სადგურზე დახვდნენ დაკრძალვაზე ჩამოსულ სახელმწიფო სათათბიროს წევრს, ჩხენკელს, რომელიც სადგურიდან პირდაპირ ლებედევის ბინაზე გაემგზავრა და ღამეც იქვე გაათია.

9 ნოემბერს შედგა ლომთათიძის ცხედრის გადასვენება სადგურზე, კავკასიაში გასამგზავრებლად, სადაც როგორც ბოლოს გამოიკრევა, უნდა მომხდარიყო მისი დაკრძალვა.

საავადმყოფოდან ლომთათიძის ცხედრის გამოსვენებაზე მოსულთა შორის იყვნენ აგრეთვე ლებედევი, ანტონოვი და ოპოკოვი. იქვე თავი მოიყარეს 400 სტუდენტმა და 200 მუშამ. თუმცა სამგლოვიარო პროცესის მსვლელობის დროს ადმინისტრაციული წესით გამოყვანილმა ზოგიერთმა მუშამ სცადა წამოეწყო სიმღერა „Въ жертвою палии“ (როცა პროცესიამ ციხეს ჩაუარა), მაგრამ პოლიციამ მაშინვე აღკვეთა ეს ცდა. ასეთივე ცდა განხორციელდა სადგურზე, სტუდენტთა ჯგუფის მიერ, სიტყვების წარმოთქმის შემდეგ, მაგრამ ისიც აღკვეთილ იქნა რკინიგზის უანდარმერიის მიერ. საღამოს, მიცვალბულის გამგზავრების შემდეგ, ლებედევი მივიდა საზოგადოება „მაიაკში“ (მუქქურა) და იქ შეკრებილ „მაიაკის“ წევრ მუშებს ზემოთ დასახელებული ჩხენკელის რწმუნობის საფუძველზე გააცნო პეტერბურგის მუშათა განწყობილება, თანაც დას-

ვა, მაგრამ რევოლუციური წრეების და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის თაოსნობით გადაწყდა მისი ნეშთის საქართველოში გადმოსვენება, რაზედაც აღებულ იქნა სპეციალური ნებართვა.

ძინა, რომ მდგომარეობა დაძაბულია და შესაძლებელია სერიოზული გამოსვლებიო.

პეტერბურგის მუშებს გაუთვალისწინებიათ ეს გარემოება და ჩხენკელის სარატოვში წამოსვლისას დაუვალეზბიათ მისთვის გადაეცა მათი თხოვნა, რათა გამოსვლების შემთხვევაში სარატოველებს მხარი დაეჭირათ პეტერბურგელებისათვის. მიმდინარე წლის იანვარში, სახელმწიფო სათათბიროს წევრის, კერენსკის სარატოვში ჩასვლისას, იგი დაპატიებულნი იქნა ლებედევის მიერ საზოგადოება „შიაკში“, სადაც კერენსკიმ ჩაატარა საუბრები მუშებთან მიმდინარე მომენტის მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც მათ აინტერესებდათ. ამ საკითხებს შორის იყო: ჩვენი მდგომარეობა ფრონტზე. სამხედრო წარუმატებლობის მიზეზები, გერმანიის ტაქტიკა და პოლონეთის მიერ დატოვებული პროვინციები. საუბრები აგრეთვე ჩატარდა ჩვენი მთავრობის საქმიანობასა და მის უძლურებაზე, სახელმწიფო სათათბიროსთან ურთიერთობაზე, პეტროგრადში პარტიული მუშაობის მდგომარეობაზე და სხვასა და სხვაზე.¹

ამავე საბუთში ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის მარტში სარატოვის გუბერნატორს ნება დაურთავს გაზეთ „პოვოლჟიეს“ გამოცემაზე, რომელიც ჟანდარმთა სამმართველოში არსებული ცნობებით; უნდა ყოფილიყო ადგილობრივი მარქსისტულ-ბოლშევიკური ჯგუფის ორგანო და ერთგვარი გაგრძელება სარატოვის მუშათა გაზეთის „ნაშა ვაზეტა“, რომელიც 1915 წლის ოქტომბერში აუქრძალავთ. ამ გაზეთს სათავეში უნდა ჩადგომოდნენ ლებედევი, ოპოკოვი და ანტონოვი, მაგრამ ჟანდარმთა სამმართველო გამოთქვამდა რწმენას, რომ ამ პირთა მომავალი გადასახლების გამო ეს გაზეთი აღარ გამოვაო.

ასეთივე ბრალდება აქვს წაყენებული ანტონოვისაც. ჟანდარმთა სამმართველოს ცნობაში ნათქვამია: „ნაფიცი ვეჭილის თანაშემწე, ანტონოვი ვლადიმერ პავლოვიჩი, ნაფიცი ვეჭილ ლებედევსა და ნაფიცი ვეჭილის თანაშემწე ოპოკოვთან ერთად, განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობდა მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრის, კოლა ლომთათიძის, დაკრძალვაში, რაც დაწვრილებითაა აღნიშნული

¹ სსრკ ცენტ. ისტორიული არქივი, პოლიციის დეპარტამენტის ფონდი, საქმე № 38, ნაწილი I.

ცნობაში ლებედვის შესახებო¹ (ეს ცნობა ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ — გ. ც.).

მაგრამ ვინ არიან ჟანდარმერიის ცნობაში მოხსენებული ანტონოვი, ლებედვი და ოპოკოვი, რომლებიც ასეთ ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ კოლას გადმოსვენებაში? მათი პიროვნების გაშიფრვით ერთგვარად ნათელი უნდა მოჰფენოდა კოლა ლომთათიძის სარატოვში ცხოვრების პერიოდს და იმ ადამიანებს, რომელნიც სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მხარში ედგნენ მას და გარდაცვალების შემდეგაც სათანადო პატივი სცეს მის ხსოვნას. ასეც მოხდა. გამოიჩვენა, რომ ოპოკოვი და ანტონოვი არიან ძველი ბოლშევიკები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები, ვ. ი. ლენინის ერთგული თანამშრომლები და თანამებრძოლები.² ერთ-ერთი მათგანი, ანტონოვი, სულ უკანასკნელ

¹ სსრკ ცენტ. ისტორიული არქივი, პოლიციის დეპარტამენტის ფონდი, საქმე № 38, ნაწილი 1.

² ოპოკოვი არის იატაკქვეშეთში შერქმეული, კონსპირაციული სახელი გიორგი იპოლიტეს ძე ლომოვისა. გ. ი. ლომოვი დაიბადა 1888 წელს სარატოვში, ბანკის მმართველის ოჯახში. რსდმ პარტიის გაყოფის შემდეგ მტკიცედ და სძულდამოდ დადგა ბოლშევიზმის პოზიციებზე. 1905 წლიდან ეწეოდა რევოლუციურ-პროპაგანდისტულ მუშაობას სარატოვში და უკვე მაშინ არჩეულ იქნა რსდმპ სარატოვის კომიტეტის წევრად. 1909 წელს იგი პეტერბურგის კომიტეტის მდივანია. პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბრუნდება სარატოვში, მუშაობს ნათიკი ვეჟილის თანამეშვედ და 1915 წლიდან სარატოვის ბოლშევიკური ცენტრის ფაქტიური ხელმძღვანელი ხდება. VI ყრილობაზე, რომელმაც 1917 წლის ივლისში გამოიტანა დადგენილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ, იგი არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრად. ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებშივე გ. ი. ლომოვი ინიშნება იუსტიციის სახალხო კომისრად და შედის პირველ საბჭოთა მთავრობაში, რომელსაც ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა. ამავე დროს იგი იზღვანება პეტროგრადიდან მოსკოვში, როგორც „შვიდეულის წევრი“, რათა უხელმძღვანელოს „ხელისუფლების მოპოვებას მოსკოვში“. 1918 წლიდან 1921 წლამდე ლომოვი არის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ვ. ი. ლენინის უახლოესი თანამშრომელი. 1931—1934 წლებში იგი სსრკ გოსპლანის თავმჯდომარის მოადგილეა, ხოლო შემდეგ სკკ ცკ პარტიული კომისის წევრი. დაიღუპა 1937 წლის რეპრესიების დროს (იხ. მასზე ე. სტასოვას წერილი, „პრავედა“, 1963 წლის 10 თებერვალი, № 41).

კოლას დამხმარე სამეულის მეორე წევრი, ანტონოვი, იგივე ანტონოვ-სარატოვსკი ვლადიმერ პავლუს ძე, არის ასევე ცნობილი რევოლუციონერი და კო-

ხანებამდე ცოცხალი იყო და მოსკოვში ცხოვრობდა. ჩვენ იგი ორჯერ მოვინახულეთ და მან მართლაც საყურადღებო ცნობები გადმოგვცა ჭოლას უკანასკნელი დღეებისა და მისი ნეშტის სარატოვიდან გადმოსვენების შესახებ. მისი ფრიად მნიშვნელოვანი მოგონება ქვემოთ მოგვყავს.

განსაკუთრებით საყურადღებოა. რომ ვ. პ. ანტონოვი (ანტონოვ-სარატოვსკი) და გ. ი. ოპოკოვი (ლომოვი) ჭ. ლომთათიძის სარატოვში ყოფნის პერიოდში ხელმძღვანელობდნენ სარატოვის გაზეთს „ნაშა გაზეტას“ («Наша газета»), რომელიც რსდმპ ადგილობრივი ორგანიზაციის ლეგალურ ორგანოს წარმოადგენდა. სწორედ ამ ორგანოში დაიბეჭდა პირველი ცნობა ჭ. ლომთათიძის მძიმე მდგომარეობის შესახებ. ანტონოვ-სარატოვსკიმ და ოპოკოვმა (ლომოვმა) სიკვდილის წინ, რამდენჯერმე ინახულეს ჭოლა, ამასთან მატერიალური და მორალური დახმარებაც გაუწიეს მას. ეს არის ერთ-ერთი

მუნიტური პარტიის ძველი შოღვწე. (ცნობები ანტონოვ-სარატოვსკოზე დაბეჭდილია წიგნში — «Библиографический сборник политкаторжан» — Деятель революционного движения в России, том V, выпуск I, изд. 1931 года, стр. 113—114). ანტონოვ-სარატოვსკი, აქტიური მებრძოლი სოციალისტური რევოლუციისათვის, დაიბადა 1885 წელს. მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობს სარატოვში. კომუნისტური პარტიის წევრია 1902 წლიდან. 1907 წლიდან — ბოლშევიკი. რეპრესიის პერიოდში დაპატიმრების შემდეგ მუშაობს ჭ. სარატოვში ნაფიცი ვეჟილის თანაშემწედ (მისთვისაც და ლომოვისათვისაც ეს თანამდებობა იყო თავისებური ნიშანი რევოლუციური საქმიანობის გასაადვილებლად). იყო დამფუძნებელი კრების წევრი. 1918 წელს, ვ. ი. ლენინის მითითებით მონაწილეობას იღებდა IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII კონგრესებში, როგორც არმიის სამხედრო საბჭოს წევრი. ხელმძღვანელობდა ბრძოლას ჩვენს ზურგში აჯანყებული ჩეხოსლოვაკების კორპუსის წინააღმდეგ და ასევე სხვა კონტრრევოლუციურ ძალებთან. ოციან წლებში იყო უკრაინის შინაგან საქმეთა კომისარი. 1920 წელს ვ. ი. ლენინის ბრძანებით დაინიშნა „სვერდლოვის უნივერსიტეტის“ რექტორად, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ე. ა. ლენინი, ი. ბ. სტალინი და პარტიის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. 1923 წლიდან სსრკ მინისტრთა საბჭოს საკანონმდებლო კომისიის თავმჯდომარე და უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის თავმჯდომარე (იხ. „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“, პირველი გამოცემა ტ. III, 1925 წ. გვ. 95).

რაც შეეხება პესამე პირს, ნაფიცი ვეჟილ ლეხმდეც, რომლის თანაშემწეებად მუშაობდნენ გ. ი. ლომოვი (ოპოკოვი) და ვ. პ. ანტონოვ-სარატოვსკი, მისი პირთა ცნობების დადგენა ჩერ ვერ მოხერხდა.

საყურადღებო ფაქტი ქართველი და რუსი ხალხების ძმური ურთიერთობისა და რევოლუციური თანამშრომლობისა.

რევოლუციის შემდეგ ვ. პ. ანტონოვ-სარატოვსკიმ გამოაქვეყნა შეტად საყურადღებო მოგონებები (მოგონებათა ეს წიგნი — „პროლეტარული ბრძოლის დროის ქვეშ“, დაიბეჭდა ქ. მოსკოვში 1925 წელს), რომლებშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვ. პ. ანტონოვის ქალაქ სარატოვში მუშაობის პერიოდს. ამ ქვეთავში ათამდე გვერდი სპეციალურად მიძღვნილი აქვს ჰოლა ლომთათიძეს. რამდენადაც ეს მასალა ქართველი მკითხველისათვის უცნობია, ხოლო იგი ფრიად მნიშვნელოვანია ჰოლას სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდის შესასწავლად, ჩვენ ქვემოთ მთლიანად დავიმოწმებთ ანტონოვის წიგნის ამ გვერდებს.

ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჰოლას სიცოცხლის სულ უკანასკნელი პერიოდის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი მასალა (გარდა მისი მოკლე ბარათებისა) და ამ მხრივ ანტონოვ-სარატოვსკის გამოქვეყნებული მოგონებები ძვირფას დოკუმენტად გვევლინება.¹

¹ 1956 და 1957 წლებში ჩვენ პირადად ვინახულეთ ვ. პ. ანტონოვ-სარატოვსკი (ისევე როგორც კომუნისტური პარტიის უძველესი წევრები ი. პეტროვსკი და ე. სტასოვა) და ვესაუბრეთ ჰოლას შესახებ. მაშინ ვ. პ. ანტონოვ-სარატოვსკი მუშაობდა თავისი წიგნის ახალ, უფრო ვრცელ, გამოცემაზე და გვითხრა, მაქვს ახალი მასალა ჰოლაზე და იმასაც შევიტანო.

ჩვენი წიგნი უკვე წარმოებაში იყო, როცა 1965 წლის 7 აგვისტოს მოსკოვის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა ანტონოვ-სარატოვსკის გარდაცვალების შესახებ. გაზეთმა „პრავედა“ და „ნივესტიამ“ დაბეჭდეს ნეკროლოგი, რომელიც ავსებს ჩვენს მიერ ზემოთ მოწოდებულ ცნობებს ამ სახელოვანი მოღვაწის შესახებ და ამიტომ დავესესხებით მას. პარტიული და საბჭოთა პრესა ანტონოვ-სარატოვსკის „კომუნისტური პარტიის“ უძველეს წევრსა და სახელოვან პარტიულ მოღვაწეს“ უწოდებს. მთელი შეგნებული ცხოვრება, — წერია ნეკროლოგში, — მან კომუნიზმისათვის აქტიურ ბრძოლას შესწირა. 1902 წელს შევიდა რა რსდმპ (ბ) რიგებში, 1905 წელს იგი თბილისში მეთვის ჭარების წინააღმდეგ მოსკოვისა და სარატოვის ბარაკებზე. ამ ბრძოლისათვის დაიჭირეს და პატიმრობა მიუსაჯეს. პირველი მსოფლიო ომის დროს იგი რსდმპ (ბ) სარატოვის იატაკქვეშა კომიტეტის წევრია და ბოლშევიკური ორგანოს „ნაშა ვაზეტას“ ერთ-ერთი რედაქტორი (სწორედ მაშინ გამოქვეყნდა პირველი წერილი ჰოლა ლომთათიძეზე — გ. უ.), რის გამოც 1915 წელს კვლავ დააპატიმრეს... 1917 წლიდან იგი სარატოვის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეა 1919 წლის ივლისიდან,

აი, რას წერს იგი „ანონიმურ წერილში“: აღწერილი ფაქტი სწორე გამოდგა. ამიტომ ჩვენმა კომიტეტმა (იგულისხმება რსდმპ (ბ) სარატოვის კომიტეტი — გ. ც.) ითავა მუშათა რამდენიმე დელეგაციის ჩამოყალიბება. ამ დელეგაციებმა ინახულეს ამხ. ლომთათიძე და პროლეტარული პირდაპირობით გამოიკითხეს, გაიგეს ყოველივე, რაც მას სჭირდებოდა. რამდენჯერმე ვიყავი მასთან მე თვითონა. პირველად იგი ნაწყენივით შეგვხვდა. როცა მე დავიწყე ლაპარაკი მისთვის ადამიანური პირობების შექმნის აუცილებლობაზე, რათა ცოტა მაინც გამოჯანსაღდეს, მან დიდი გულისტკივილით ამოინხროტინა: „უკვე გვიან არის. ამხანაგებს ამაზე აღრე უნდა ეზრუნათ, მაგრამ ყველამ მიმივიწყა. ახლა მე აღარაფერი შექირვება... აწი სულ ერთია“.

მეგობრულმა საუბარმა როგორღაც გაათბო და გამოაბრუნა. ცოტა მომბაღმა მან აქვე გამოთქვა სურვილი მიეღო ჩვენგან საჭირო ლიტერატურა მიმდინარე მომენტის შესასწავლად.

განსაკუთრებით აღელვებდა მას სოციალ-დემოკრატიის პირველ მსოფლიო ომისადმი დამოკიდებულების საკითხი. იგი ცხარობდა, იქნევდა თავის გრძელ გამხდარ ხელებს, გამწარებით ურტყამდა მუშტს მაგიდაზე და მისი თვალები საოცარი ტემპერამენტის ალით ენთებოდნენ.

ი გ ი ლ ა ნ ძ ლ ა ვ დ ა გ . ვ . პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ს² და აქვე მოგვითხრო თავისი კამათის შესახებ პლენარ-

სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ვ. ი. ლენინის დადგენილებით ამხ. ანტონოვი ინიშნება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად, ხოლო შემდეგ, განთავისუფლებული უკრაინის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარად. ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებით მუშაობდა დონბასის აღდგენაზე. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, 1923 წლიდან, ინიშნება სსრკ კავშირის უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის თავმჯდომარედ. შემდეგ იმყოფება ხელმძღვანელ სამუშაოზე იუსტიციის ორგანოებში. ანტონოვი-სარატოვისკი იყო კომუნისტური პარტიის VIII და XXII ყრილობების დელეგატი და დიდი ლენინის ერთგული თანამებრძოლი“. იხ. გაზეთი „იზვესტია“, 1956 წ., 7 აგვისტო, № 185.

1 იგულისხმება „ნაშა გაზეთაში“ გამოქვეყნებული ხელმოწერილი წერილი.

2 დაპატიმრებამდე კ. ლომთათიძეს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა გ. ვ. პლენანოვთან.

ნოვის პოზიციის დამცველთან, ნაფიც ვეჟილ მ. ი. ვასილიევთან. ხაზი ჩენია — გ. ც.), რომელიც ასტრახანიდან სარატოვში გადმოსახლდა. მღელვარება მისთვის დიდად საზიანო იყო, რადგან მაშინვე ეწყებოდა ძლიერი და კონვულსიური ხველება. როცა იგი ცხვირსახოცში სისხლიან ნახველს აფურთხებდა, დარცხვენილი ამბობდა ხოლმე პაპატიეთ თუ შეიძლება, ძალიან არასასიამოვნო შესახედი ვარ!..

გული მოგიკედებოდა ამ განწირული ამაყი არწივის შემხედვარეს, რომელიც ამავე დროს თავისი სიხალასით ბავშვსაც წააგავდა. როცა ჩემს მწარე ფიქრებს ჩახვდა, როგორღაც ჩაინავლა, თითქოს მოიქნებოდა და ყრუდ წარმოთქვა—ხედავ რა მიქნეს?

— ისინი სასტიკ პასუხს აგებენ ამაზე, — მუშტების დაწურვითა და ცხარედ წარმოვთქვი მე. ამ სიტყვებშია უეცრად სრულიად გამოცვალა: იგი როგორღაც გალამაზდა, გასწორდა, გაიშალა და გულის სიღრმიდან ამოიძახა: „ო, ერთი შემასწრო გამარჯვებას, თუნდაც ერთი წამით, და მერე გინდა მომკლაო“. აი, ნამდვილი ვაჟკაცი გამიელვა თავში „არა, გვიანაა. ვერ შევესწრები“. — წარმოთქვა თითქოს თავისთვის და კვლავ ჩაინავლა, ჩაიფერფლა.

რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ჩვენ მას მზრუნველობასა და მეგობრულ აღერსს არ ვაკლებდით. განსაკუთრებით კმაყოფილი იყო ჯ. ლომთათიძე უბრალო მუშების გულისხმობებით.

«Наша газета»-ში გამოქვეყნებულმა წერილმა (ბურჟუაზიულმა პრესამ იგი არ დაბეჭდა) დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ჯ. ლომთათიძის სანახაუდ იწყეს მისვლა საზოგადო მოღვაწეებში. ისინი ათვალეირებდნენ მის საცხოვრებელს, თავაზობდნენ გადაყვანას უკეთეს ბინაზე, კითხავდნენ რა სჭირდებოდა და ჯანმრთელობის გამოკვლევას. პპირდებოდნენ. „ტყუილა ძიჭირებებს საქმეს“ — ჩიოდა ჯოლა. იგი ამაყად კვდებოდა თავისი ქალათის ბურჟუაზიულ-ფეოდალური საზოგადოების თვალწინ და ამაყად ამბობდა უარს მისგან რაიმე დახმარების მიღებაზე.

მხოლოდ ჩვენგან იღებდა იგი დახმარებას და ისიც დიდი ჩაცვივებისა და დაბეჭდვითი თხოვნის შედეგად. მისი მდგომარეობა კი განსაკუთრებით მძიმე იყო — გამოსაცვლელი საცვალის კი არა ჰქონდა.

ჩვენი კომიტეტი და მუშები ბევრს ეცადნენ რათა ლომთათიძე

სიკვდილის ბრწყალებიდან გამოვევლიჯათ და როგორმე მისი ტანჯვა შეემსუბუქებინათ. გ. ი. ოპოკოვმა, ს. ი. მიცკევიჩმა, ი. ა. ლებედევმა და მე მიემართეთ მრავალ გავლენიან პირს, რათა ქოლა საავადმყოფოში მოგვეთავსებინა, მაგრამ ყველასაგან ისეთსავე პასუხს ვიღებდით, რომელიც ერობის საგუბერნიო სამმართველოს თავმჯდომარემ მოგვცა, — „ვეწუხვარ, რომ არაფრის გაკეთება არ შემიძლიანო“. ჩვენ მიემართეთ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას¹, კერძოდ ჩხეიძეს², მაგრამ მისგან პასუხსაც ვერ ვეღირსეთ.

ბუნებრივია, რომ ლომთათიძის უკიდურესად დასუსტებულმა ორგანიზმმა ვერ გაუძლო ავადმყოფობას. ლომთათიძე გარდაიცვალა.

ცხადი იყო, რომ რამდენადაც ლომთათიძის სიცოცხლე წარმოადგენდა განუწყვეტელ და უდრეკ სამსახურს რევოლუციისა და სოციალიზმისადმი, ამდენად მისი სიკვდილიც ამავე მიზნებისათვის უნდა გამოგვეყენებინა.

ჩვენმა კომიტეტმა გადაწყვიტა დემონსტრაციული დასაფლავების გამართვა და მასში მუშათა დიდი მასის ჩაბმა. მაგრამ ამ საქმეში მძაფრ წინააღმდეგობას წაგაწყდით მენშევიკთა და „ობოროცულად“ განწყობილ ბოლშევიკთა მხრივ. მენშევიკები ქოლას ცხედარს თავის საკუთრებად თვლიდნენ.

საკითხი გადაწყდა მხოლოდ „ავტორიტეტის“ მეშვეობით, რომელიც დაკრძალვაზე ჩამოვიდა. ეს იყო IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი ჩხენკელი. დიდი კამათის შემდეგ (ეს კამათი მიხეილ ივანეს ძე ვასილევის ბინაზე გაიმართა), ჩვენ დავითანხმეთ ღუმის დეპუტატი და ადგილობრივი მენშევიკები დემონსტრაციული დაკრძალვის მოწყობაზე.

მაგრამ ჩვენც იძულებული გავხდით გარკვეულ დათმობაზე

1 იჯლისხმება III სათათბიროს სოც. დემოკრატიული ფრაქცია.

2 ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) სიმონისძე (1874—1926) მენშევიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, III და IV სახ. სათათბიროს წევრი და სოც. დემოკრატიული ფრაქციის ლიდერი (მისი მენშევიკური „შვიდულისა“), 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ (აგვისტომდე) პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე. ოქტომბრის შემდეგ საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე. ოპორტუნისტი, რევორმატორი. 1921 წლის შემდეგ ემიგრანტი.

წავსულიყავით: დემონსტრაციული მოქმედება მხოლოდ ორ ადგილას იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული — ციხესთან და რკინიგზის სადგურთან, სადაც უნდა მიგვესვენებინა ლომთათიძის ცხედარი, საქართველოში გასამგზავრებლად.

არჩეულ იქნა დამკრძალავი კომისია „პარიტეტულ საწყისებზე“. ჩვენის მხიდან (ე. ი. ბოლშევიკთა მხრიდან—გ. ც.) მასში შევიდნენ ი. ა.: გალაქტიონოვი, ვ. მ. კორნეევი, გ. ი. ოპოკოვი, მე და კიდევ ვილაც, ახლა აღარ მახსოვს. კომისიამ შეიმუშავა გეგმა და წესი სამგლოვიარო პროცესიის მსვლელობისა. პროცესია უნდა შეკრებილიყო თავშესაფარის ეგვეტერთან და შწყობრი რიგებით, რვა კაცი თვითეულში, გაპყლოდა კუბოს. მარშრუტი ასეთი იყო: ალექსანდრეს ქუჩით, შემდეგ გერმანული ქუჩით (ამჟამად კიროვის პროსპექტი), შემდეგ ილინსკისა და მოსკოვის (ამჟამად ლეხიხის) ქუჩებით, ციხის წინ გავლით — სადგურზე.

რამდენადაც დაკრძალვაში მონაწილეობის მიღება მოისურვა არა მარტო ჩვენმა ორგანიზაციამ, არამედ „ტრუდოვიკებმაც“, „ლიბერალებმაც“ და სხვებმაც, ჩვენ ვვარაუდობდით, რომ გვირგვინების დიდი რაოდენობა მოგროვდებოდა. დამფრთხალმა პოლიციამ მოსთხოვა დამკრძალავ კომისიას წესრიგისათვის პასუხისმგებელ პირთა გამოყოფა. მან აკრძალა გვირგვინების ხელით ტარება, მათზე წითელი ლენტების მიბმა და ნაწილობრივ შეეცალა სამგლოვიარო პროცესიის მარშრუტი — გერმანული ქუჩა შეიცვალა კონსტანტინოვსკაიათი (ამჟამად საბჭოთა პროსპექტი).

რევოლუციურმა ორგანიზაციებმა, სამგლოვიარო პროცესიაში რაც შეიძლება მეტი ხალხის მოსაზიდად დიდი აგიტაციური მუშაობა ჩაატარეს ფაბრიკა-ქარხნებსა და მუშათა ორგანიზაციებში.

ჩვენ მტკიცედ ვიყავით დარწმუნებულნი წარმატებაში და მშრომელთა მასების მეტი სოლიდარობისათვის მოვითხოვდით დაკრძალვის დანიშვნას კვირადღისათვის, რადგან ამ დღეს ყველა მუშა და მოსამსახურე თავისუფალი იყო. ამას არ დაეთანხმნენ არც მენშევიკები და დეპუტატი (იგულისხმება ჩხენკელი—გ. ც.) და არც პოლიცია. რა გვექნა, შევეურიგდით იმას, რომ დაკრძალვა დაგვენიშნა სამუშაო დღეს, მაგრამ სამაგიეროდ მოვახერხეთ გამოსვენების დანიშვნა ისეთ დროს, რომ იგი შუადღის შესვენებას დაემთხვა.

წინა დღით, ლომთათიძის ცხედარი დასვენებულ იქნა თავშე-

საფრის ეგვეტერში, რომელიც იმყოფებოდა (ო, ბედის ირონიაჲ!) ჟანდარმთა სამმართველოს მეზობლად. კაცს ეგონებოდა, რომ ჟანდარმერიის შენობის თეთრ-შავად შეღებილი ფანჯრები სიკვდილის შემდეგაც გაფაციცებით სდარაჯობდნენ ლომთათიძეს.

მიცვალეზულის კუბოსთან მორიგეობდნენ დამკრძალავი კომისის წევრები. დილიდან დაიწყეს გვირგვინების მოტანა. გვირგვინებმა წითლად, თეთრად და მწვანედ მორთეს არა მარტო კუბო, არამედ ეგვეტერის დიდი ნაწილიც. კარგად მახსოვს, რომ დავითვალე სამოცამდე დიდი გვირგვინი, წითელი ლენტებითა და წარწერებით.

გვირგვინები იყო ჩვენგან (ე. ი. სარატოვის რსდმპ კომიტეტისაგან—გ. ც.) სახელმწიფო სათათბიროს წევრთაგან, მენშევიკთა ფრაქციისაგან, ბოლშევიკთა ფრაქციისაგან, ციმბირში გადასახლებული ჩვენი სახელოვანი „ხუთეულისაგან“, სოციალ-რევოლუციონერებისაგან, „ტრუდოვიკებისაგან“, „შაიაკისაგან“, სხვადასხვა პროფესიონალური კავშირებისაგან, საავადმყოფო სალაროებისაგან, სხვადასხვა ქარხანა-ფაბრიკების მუშებისაგან და სხვ.

დაკრძალვის დღეს ნათელი და მზიანი დარი დაიჭირა. გახსაკუთრებით მოუთმენელი ხასიათის ადამიანები ჯერ კიდევ აღრიან დილით შეიკრიბნენ. 10—11 საათისათვის უკვე ხუთასზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი. მრავალი იქ მყოფთაგანი ნერვიულობდა, რადგან ეშინოდა განზრახული ღონისძიების ჩაშლისა, ასეთები ჩიოდნენ არაორგანიზებულობაზე და წუწუნებდნენ.

ქ. სამარიდან სპეციალურად ჩამოსულმა კრავჩენკომ ექიდხურად მითხრა: სადაა თქვენი სახელოვანი პროლეტარიატი? თუ ამ პატარა ჯგუფით აპირებთ დემონსტრაციის ჩატარებას? აქ პოლიციელები უფრო ბევრია ვიდრე დემონსტრანტები. მაგაზე ვილაპარაკებთ დემონსტრაციის შემდეგ — ვუპასუხე მე და ხალხში „შეყუჟულ ოხრანკის აგენტებს თვალთვალი დაეუწყე. 12 საათისათვის იწყეს მოსვლა მუშათა რაზმებმა, ხოლო ნაშუადღევის პირველი საათისათვის მთელი ქუჩა ეგვეტერის წინ, სადაც ცხედარი იყო დასვენებული, ხალხით გაიჭედა. „ლურჯხალათიანთა“ რიცხვი (ე. ი. მუშებისა— გ. ც.) სამი ათას კაცს აღემატებოდა.

თუ ახლა დემონსტრაციებში მუშათა მონაწილეობა მწყობრ კოლონებად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და აღარავის აკვირვებს, უწინ სულ სხვა იყო: მაშინ ასეთი დემონსტრაცია, რომელიც მუშა-

თა ორგანიზებულობას და ღარაზმულობას მოწმობდა, განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევდა. ერთიან ნაკადად მოდიოდა არა მოცლილი ხალხი, არამედ მუშები, რომელთაც ეს-ეს იყო თავიანთი დაზგები მიეტოვებინათ, შრომის ოფლის სახედან ჩამორეცხვაც ვერ შოესწროთ, სადილიც დაეთმოთ, რათა უკანასკნელად გამოთხოვებოდხებ ბრძოლასა და ტანჯვაში დაღუპულ მებრძოლს და ამით მტკიცე პროტესტი გამოეცხადებინათ თვითმპყრობელური თავნებობისათვის.

ჩვენი ორგანიზატორების გაფრთხილების მიუხედავად, მრავალი მუშა „ხელცარიელი“ კი არ მოვიდა, არამედ საკმაოდ მოზრდილი ხელკეტებით შეიარაღებული, რომელთაც თავზე რკინის გაიკები ჰქონდათ გაკეთებული. ამასთან, თითქმის მთელ მასას ჯიბეებში ეწყო რკინის ბოლტები, კასტეტები, ფრანგული გასაღებები და სხვა „მაგარი“ ნივთები, პოლიციასთან უეცარი შეტაკების შემთხვევისათვის.

ადგილზე მოსული პოლიცემისტერი დიაკონოვი, დაბნეული და შეშინებული, ხალხში დაფუსფუსობდა და ხან მე, ხან ჩხენკელს. ხანაც ლებედევს გვაცივდებოდა — მოგვეცით „რევოლუციონერის პატიოსანი სიტყვა“, რომ პროცესია საზღვარს არ გადავა და არ „იუწყსობებსო“.

მსუქანი, მიკიტნის გარეგნობის მქონე ჩხეხკელი თითის წვერებზე დგებოდა, რათა უფრო მაღალი გამოჩენილიყო და „კეთილშობილური“ განცდით ამეტყველებული, არწმუნებდა დიაკონოვს, რომ იგი ტყუილად ლელავდა — „არაფერი ამდაგვარი არა მოხდება რა, რადგან მე თვითონ ვარ ამით დაინტერესებული“. — მრავალმეტყველად ამბობდა იგი.

„ბატონებო, — მოგმართავდა დიაკონოვი, — მე თქვენი მჭერა... მე ხომ ცხერის რქაში შემადქრენენ, რამე თუ მოხდა. ეშმაკმა წაიღოს ასტრახანის გუბერნატორი, სულ მისგან მჭირს, ყველაფერი... ეს რაღაა, — ეტაჟა იგი პროცესიას, რომელიც რიგებად ეწყობოდა, ახალგაზრდები წითელ ლენტებს ამაგრებდნენ გვირგვინებზე, „მე ხომ ვითხარით, რომ ეს აკრძალულია, ახლავე მოხსენით!“

დიაკონოვს შემოეხვივნენ მუშები, ლიბერალურ ორგანიზაციათა დელეგატები და დაუწყეს დარწმუნება, რომ მას ხელი არ შეეშალა ლენტების მიმაგრებისათვის. „არ შემიძლიან, მე მივიღე სასტიკი ბრძანება ეს არ დავუშვა“. ბოლოს კი მაინც დაუშვა, მაგრამ იმ

პირობით, რომ ეს მოხდებოდა მას შემდეგ, როცა პროცესია საო-
გურზე მივიდოდა.

— „ბატონო დიაკონოვო, — მივმართე მე, — ჩვენ მივიღეთ ცნო-
ბები, თითქოს შავრახმელები პროცესიაზე დაცემას აპირობენ. თქვენ
აღბათ მიხვდებით, რა მოყვება ასეთ მოქმედებას! გარდა ამისა, რა
საჭიროა ამდენი პოლიციელი? უმჯობესი არ იქნებოდა, რომ გაუ-
ღებრობის თავიდან ასაცილებლად მოგვეფარებინა ისინი დემონსტ-
რანტთა თვალთაგან? მე პროვოკაციების მეშინიან. ეს კი არც თქვენ-
თვის იქნება კარგი და არც ხალხისათვის. „არავითარ ექსცესებს შე
არ დაუშვებ“, — მომიგო მან, — პოლიცია უზრუნველყოფს, რომ
გარეშე პირებმა ხელი არ შეუშალონ პროცესიის სვლას“. დიდად
გმადლობთ მზრუნველობისათვის, მაგრამ სწორედ ეს არ გვჭირდე-
ბა— ვუთხარი მე, როგორც ხედავთ, პროცესიას თავისი მიზანი აქვს,
რომელიც დაგვაზღვევს ყოველგვარ უწყესობისაგან, პოლიციას კი
შეუძლიან მხოლოდ ააღელვოს მონაწილენი.

„კარგით, თქვენ მას ვერ იხილავთ, მაგრამ ღეთისგულისათვის,
ამხახაგო ანტონოვ, ყოველგვარი სკანდალების გარეშე, და იგი ხეხე-
შითა და ქშინვით გაემართა პროცესიისაკენ. რომელიც წითელ კუ-
ბოს გაჰყვა. ვილაცამ წამოიწყო საეკლესიო გალობა, მაგრამ ეს ხმა
ძალე ჩააჩუმეს და სიმღერაც მიწყდა. მივდიოდით ხელა, დაძაბული
მოლოდინით.

პოლიცია მიიმალა და მხოლოდ შემჩვედრი (გადამკვეთი) კუ-
ჩების დასაწყისში ვხედავდით დონელი ცხენოსანი ყაზახების მოყა-
რაულე რაზმებს.

როდესაც სამგლოვიარო პროცესიას გარს შემოვუარე, გავოცდი,
რადგან ვერ დავინახე ჩემი განუყრელი მეგობრები — რკინისგზე-
ლები. ნეტავ რა ამბავია? მათ ხომ წინადლით ერთსულოვნად გა-
დაწყვიტეს სამგლოვიარო დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღე-
ბა რა მთელი საამქროებით აპირებდნენ მოსვლას. შემდეგ შევიტყუე,
რომ სარატოველი რკინიგზელები, ორი ათასამდე კაცი, თავშესაფა-
რის ეგვეტერისკენ წასულან, მაგრამ პოლიციას გაუჩერებია და ას-
ტრახანის ქუჩით სადგურის მოედნისაკენ გაუბრუნებია — სულ ერ-
თია, მაინც იქ უნდა შეხვდეთ ერთმანეთსო.

ამრიგად, სამგლოვიარო პროცესიაში, საბოლოო ახგარიშში,
მონაწილეობდა არა ნაკლებ 8.000 კაცისა. პროცესიას წინ თვით

დიაკონოვი მიუძღოდა. სიმღერის დამწყებები ჩვენ იმნაირად გავა-
ნაწილეთ რიგებში, რომ მთელი პროცესია ერთდროულად ამღე-
რებულყო. ციხემდე, სადაც პოლიტპატიმრები ისხდნენ, რამდენიმე
ნაბიჯი რომ გვაკლდა, მიცემულ იქნა დათქმული ნიშანი და მთელმა
პროცესიამ, როგორც ერთმა კაცმა, წამოიწყო რევოლუციური სიმ-
ღერა — „Вы жертвою пали“.

ამ სიმღერის გაგონებაზე ისინი, ვისაც კუბო მიჰქონდა შეჩერდ-
ნენ და მთელმა პროცესიამ პირი ციხისაკენ იბრუნა. რკინის რიკუ-
ლებით აქედით ციხის სარკმელებს გაფითრებული ტუსალები მო-
აწყდნენ. პატიმრები ცხვირსახოცებს გვიქნევდნენ და გაჰყვიროდ-
ნენ: „გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს რევოლუციას“. ციხის
ერთსულოვან ხმაურზე პროცესიამ „ინტერნაციონალის“ მოგუგუნე
სიმღერით და ცეცხლრვანი ლოზუნგებით უპასუხა. ციხის ზღუდე-
ებს იქით სროლა გაისმა, მაგრამ ამისთვის არც არავის ყურადღება
მიუქცევია და არც არავინ შეშინებულა. პატიმრებმა დააგუგუხეს
რუსული „მარსელიოზა“ და ამ საბრძოლო ჰიმნის სიტყვები ტალ-
ღად მოგვაწყდა...

უეცრად პოლიცია მოგვევარდა, მაგრამ პროცესიის სიმჭიდროვის
გამო ვერაფერი გააწყო. ჩემს გვერდით ჩაირბინა აქოშინებულმა
დიაკონოვმა, რომელიც კოკლ-კოკლობით მოხტუნავე პ. ტ. ლოსევს
მისდევდა, მაგრამ ვერ დაიჭირა და მთლად გაჰარხლებული შეშლი-
ლივით ღრიალებდა — „ხმა ჩაიკმინდეთ, ყველას დაგაპატიმრებთ“.
ამ დროს კუბო კვლავ წინ წაიღეს და პროცესიაც მას გაჰყვა.

დიაკონოვი, რომელიც ჩვენი ამხანაგების რკალში მოემწყვდა,
ცდილობდა თავის დაღწევას, მაგრამ ვერაფრით ვერ გამოეცალკე-
ვა შემოჯარულ მასას და გამწარებული, უშვერი სიტყვებით ილან-
ძლებოდა. „რა მოგივიდათ, — დამცინავი ღიმილით აწყნარებდნენ
ჩვენი ამხანაგები, — უკვე ყველაფერი მორჩა და თან საშუალებას
არ აძლევდნენ, რომ სამშვიდობოს გასულიყო. ოდნავ დაწყნარე-
ბული დიაკონოვი სინანულით თავს აქნევდა და ბუზღუნებდა:
„მიგრძნობდა გული, მომატყუეს ამ სალახანებმა“. შემდეგ ხელი
ჩაიქნია და წინ გაემართა, მაგრამ უკვე პროცესიასთან ერთად
„ახალი ათმეთაური გამოგვიჩნდა“, — ხუმრობდნენ პროცესიის
რიგებში.

სადგურის მოედანზე მისასვლელად სამხედრო ყაზარმების წინ

უნდა ჩაგველო და აი, წინ მოულოდნელი სურათი გადაგვეშალა: ქუჩის ორსავე მხარეზე, ყაზარმებთან და მათ შემდეგაც, ისევე როგორც მთელს ნოედანზე. ნახევარკალად განლაგებულიყვნენ ჯარისკაცთა მჭიდრო მწყკრივები. ჯარისკაცთა ხელში თოფებზე წამოკმული ხიშტები ელავდნენ.

„სათაგვეური მოგვიწყეს“ — გაისმა აქ-იქ, მაგრამ არავინ არ შემკრთალა და სამგლოვიარო პროცესია ხიშტებს შორის დატოვებულ კორიდორში შეცურდა. მე მივდიოდი მ. ს. ოლმინსკისა¹ და გ. ი. ოპოვის მხარდამხარ. საიდანაც გაჩენილმა პ. ა. ლებედევმა შეიარაღებულ სალდათებზე მიგვეითთა და ირონიულად შენიშნა: — „ეს რა საპატიო ყარაულრ ჩაგვიმწყკრივეს?“ „კარგი იქნება თუ ამ ყარაულმა ყველა ჩვენთავანი ლომთათიძესთან არ გაგვაგზავნა“ — უპასუხა გ. ი. ოპოკოვმა.

ჯარისკაცები, ყველა როგორც ერთი, მოლუშულნი იღვნენ და ვერაფრით ვერ მიხვდებოდი გულში რა ედოთ. პროცესიამ ინსტინქტურად აუჩქარა ნაბიჯს და რამდენიმე წუთის შემდეგ ზევაად მოხეთქილმა ჯერ მოედანი აავსო, ხოლო შემდეგ სადგური, პერონი და რკინიგზის ლიანდაგი. სადგურში მდგარი ეშელონების საჭურავებიც ხალხით დაიხუნძლა. პოლიცია უკან ჩამორჩა და რადგან „ხალათიანები“ (ე. ი. მუშები — გ. ც.) მჭიდრო კედლად იყვნენ ამართულნი. ვერ ახერხებდა სათვალთვალო ადგილების დაკავებას.

სადგურის მოსაცდელ დარბაზში დაიწყო მიტინგები. პირველი კლასის დარბაზში სიტყვას ამბობდა ოპოკოვი, მეორე კლასისაში ლებედევი, მესამესაში — მე, ხოლო კუბოსთან, რომელიც ვაგონში იდგა, სიტყვები წარმოსთქვეს ჩხენკელმა, ი. კ. მილონოვმა, ი. ა. გალაქტიონოვმა, მ. ე. როზენშტეინმა და კიდევ ვილაცამ.

მასის საბრძოლო განწყობილება უკიდურესად დაიძაბა. სულ მცირეოდენ პროვოკაციასაც კი, სისხლისმღვრელ შეტაკებამდე შე-

¹ მ. ს. ოლმინსკი (ალექსანდროვი) 1863—1933 წწ. რუსეთის რევოლუციური მოძრაობის უხუცესი მოღვაწე, პროფესიონალ-რევოლუციონერი და ცნობილი ლიტერატორი. რსდმპ წევრი 1898 წლიდან, ბოლშევიკი 1903 წლიდან, ლეგალური და არალეგალური ბოლშევიკური პრესის გამოჩენილი მოღვაწე, ოქტომბრის რევოლუციის აქტიური მონაწილე, რევოლუციის შემდეგ მუშაობდა მთელ რიგ საპანუხისმკებლო თანამდებობებზე. მრავალი ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაშრომის ავტორი.

ეძლო მიეყვანა საქმე. საბედნიეროდ, პროვოკატორებმა ვერ გაბედეს გამოსვლა. მოედანზე კიდევ დიდხანს საუბრობდნენ ჯგუფებად შეკრებილი მუშები და თან ნელ-ნელა იშლებოდნენ. მალე ჩარისკაცთა ალყაც მოხსნილი იქნა.

უეტრად ხალხის დიდი ჯგუფები მიტინგებიდან რევოლუციური სიმღერებით სადგურისაკენ გაემართნენ. მოედანი კვლავ გაივსო და ავუგუნდა. დაიწყო დიდი მიტინგი. აფრიალდა წითელი დროშა, რომელიც რკინიგზელებმა მოიტანეს. გაისმა აგიტატორთა მხურვალე მოწოდებები. აგიტატორები მუშებმა ძველი გამოცდილების თანახმად მხრებზე შეიყუჩეს და თავიანთი ზურგებისგან ცოცხალი ტრიბუნა გამართეს. დაიწყო დემონსტრაცია. მაშინვე გაჩნდნენ ცხენოსანი დრაგუნები, რომლებმაც ხალხს მათახები დაუშინეს¹.

ვ. პ. ანტონოვ-სარატოვსკი თავის წიგნში აღნიშნავს, რომ ჰოლას ნეშტის ქ. სარატოვიდან თბილისში გადმოსვენების დროს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ინიციატივით გამართული მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია წარმოადგენდა პირველ სახალხო დემონსტრაციას სარატოვში, ახალი რევოლუციური აღმავლობის შემდეგ, რაც მას მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენად აქცევს. ამრიგად, ჰოლა ლომთათიძე არა მარტო თავის სიცოცხლეში იბრძოდა მოძრაობის გაფართოებისა და გაძლიერებისათვის, არამედ თვით თავისი სიკვდილითაც კი სამსახური გაუწია იმ დიდ საქმეს, რომელსაც ასე დაუზოგავად და ერთგულად შეაღია თავისი ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი და სახელოვანი სიცოცხლე.

ვ. პ. ანტონოვ-სარატოვსკის მოგონებები ჰოლა ლომთათიძის ნეშტის სარატოვიდან გადმოსვენების შესახებ ემთხვევა იმჟამად სარატოვში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, აწ ცნობილი ქართული მეცნიერისა და პედაგოგის, პროფ. ნ. ნ. ქოიავას მოგონებებს.¹

ნ. ნ. ქოიავას ცნობით. იმხანად სარატოვში არსებობდა ქართული სათვისტომო. ეს სათვისტომო, ე. წ. „ქართული კოლონია“,

¹ ჩვენ თხოვნით მივმართეთ პატივემულ ნიკო ქოიავას, რათა მას. საშუალება მოეცა გავეცნო ეს მოგონებები (დასაბეჭდად გამზადებული, მაგრამ ჭერობით ხელნაწერად არსებული). რაზედაც პატივემული პროფესორი თავახიანად დაგვათხანბდა. ამისათვის მას მადლობას მოვუხსენებთ.

შედგებოდა როგორც ევაკუირებულ სტუდენტთაგან (კიევის უნივერსიტეტისა და კიევის კომერციული ინსტიტუტის მსმენელები, ხარკოვის კომერციული სასწავლებლის მოწაფენი და სხვანი), აგრეთვე სარატოვის უნივერსიტეტის (იგი დაარსებული იყო 1910 წელს, მხოლოდ ერთი ფაკულტეტის შემადგენლობით) რამდენიმე მსმენელთაგან. 1915 წელს ქართველ სტუდენტთა რიცხვი კიდევ უფრო გაზრდილა (საქართველოდან ახალი ნაკადი ჩასულა). პროფ. ნ. ქოიავა ასახელებს ვ. ჭავჭავაძის, ი. ნუცუბიძის, მ. ჭანიშვილს, ბედუაშვილს და სხვას. ქართველ სტუდენტთა შორის ბევრი იყო სოციალ-დემოკრატი. სწორედ ამ სტუდენტებმა გაახარეს თავიანთი მზრუნველობით ქოლა, რომელმაც მადლობის წერილი გაუგზავნა ერთ-ერთი გაზეთის რედაქციას გამოსაქვეყნებლად (ამ სამადლობელო წერილის ტექსტი ზემოთ მოვიყვანეთ). პროფ. ნ. ქოიავა წერს: „ქართულ კოლონიას დიდი მწუხარება დაატყდა თავს — გარდაიცვალა ქოლა ლომთათიძე, ცნობილი მწერალი, რომელიც სარატოვში, როგორც პოლიტიკური გადასახლებული, ცხოვრობდა. მისი ცხედარი მთავრობის სპეციალური ნებართვით საქართველოში წაასვენეს.

სადგურზე მთელი ქართული კოლონია გამოცხადდა. საბარგო ვაგონში იდგა კუბო მიცვალებულით, ირგვლივ ეწყო გვირგვინები. ყურადღება მირიქცია ერთმა მათგანმა, რომელზედაც ეწერა: — „სანფაროხაჯან“. ადგილობრივა ხელისუფლების წარმომადგენელნი დაინტერესდნენ, თუ ვინ იყო ეს „სანფარო“. მათ უპასუხეს, რომ „სანფარო“ კაცის სახელიაო. სინამდვილეში გვირგვინი გაგზავნილი იყო სოციალ-ფედერალისტებისაგან და „სანფაროც“ მათი შემოკლებული და ქარაგმული სახელი იყო.

სადგურის ბაქანზე იდგნენ გამცილებლები, რომლებიც ერთბაშად ჟანდარმერიით იქნენ ალყაშემორტყმული. ბაქანზე წესრიგს იცავდა ჟანდარმთა როტმისტრი, ეროვნებით ქართველი (არ მახსოვს მგონი ჭაიანი თუ ჭაყელი). ხალხს გამოეყო და ვაგონში ავიდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი აკაკი ჩხენკელი, რომელიც

1 პროფ. ნ. ქოიავას მოგონებები დაწერილია რუსულად. მოტანილი ფრაგმენტების ქართული თარგმანი შესრულებულია ჩვენს მიერ.

სეციალურად ჩამოვიდა პეტროგრადიდან ჰოლა ლომთათიძის ცხედრის თბილისამდე გასაცილებლად.

აქ ჩხენკელმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც აქებდა ლომთათიძის მოღვაწეობას. უანდარმები კბილებს ღრქიალით უსმენდნენ მის გამოსვლას. მათ არაფრის თქმა არ შეეძლოთ, რადგან ჩხენკელი დეპუტატი იყო. ჩხენკელის სიტყვის დამთავრების შემდეგ დამსწრეთ წამოიწიეს სიმღერა „Мы жертвуют пали“. უანდარმთა როტმისტრმა განაცხადა, რომ წესრიგი დარღვეულია და ხალხის დაშლა მოითხოვა. ხალხიც ნელნელა დაიშალა. მე შევნიშნე, თუ როგორ დაშლივინებდა იქ მყოფთა შორის ჩემი ბინის პატრონი. მაშინ მივხვდი, რომ იგი „ოხრანკის“ აგენტი იყო, ჰოლა ლომთათიძის ცხედარს თბილისამდე რამდენიმე ქართველი აცილებდა. მათგან მე მხოლოდ ერთი დამამახსოვრდა, ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტი, ეუთაისელი დათეშიძე“.

1915 წლის 14 ნოემბერს ჰოლას ცხედარი თბილისში ჩამოასვენეს, ხოლო მეორე დღეს, კვირას 15 ნოემბერს კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს, მისი ამხანაგების, ყოფილი დეპუტატების ა. ჯაფარიძისა და ს. ჯუღელის გვერდით.

ჰოლას დასაფლავება ნამდვილ სახალხო დემონსტრაციად გადაიქცა. მასში 10.000-ზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. როგორც გაზეთები აღნიშნავენ, ასეთი გრანდიოზული დაკრძალვა აქ წერეთლის შემდეგ თბილისს არ ახსოვდა. მიუხედავად საომარი ვითარებისა. საალყო წესებისა, ხელისუფალთა მხრივ ხელშეშლისა და მრავალი სხვა არახელსაყრელი პირობისა, ჰოლას დაკრძალვამ ეროვნული გლოვის სახე მიიღო და დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა რქონია მასების რევოლუციონიზირების, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მათი დარაზმვის საქმეში.

ქართველი საზოგადოებრიობა ჰოლას დაკრძალვამ ორ ბანაკად გაჰყო: საზოგადოებრიობის დიდ უმრავლესობაში, მის პროგრესულად და რევოლუციურად განწყობილ ნაწილში კ. ლომთათიძის გარდაცვალებამ გულწრფელი მწუხარება გამოიწვია. ხოლო ლიბერალურ-ბურჟუაზიულ და რეაქციულ ფენებს, ისევე როგორც ნაციონალისტურად განწყობილ ინტელიგენციას — ხაზგასმული თავდაპირილობა და ერთგვარი ამრეზილობაც კი ემჩნეოდა. ამან

თავისი გამოხატულება კპოვა იმდროინდელ ქართულ პრესაშიაც. ასე, მაგალითად, თუ „სახალხო ფურცელი“ ჯ. ლომთათიძის გამოსვენება-დაკრძალვას სამგლოვიარო განცხადებით, რამდენიმე მოკლე წერილით და ერთი სარედაქციო სტატიით გამოეხმაურა, სამაგიეროდ, გაზეთმა „თანამედროვე აზრმა“ სამგლოვიარო დღეებში უამრავი საყურადღებო მასალა გამოაქვეყნა.

ქოლას გარდაცვალების პეორე დღიდან დაწყებული, ორკვირაზე მეტი ხნის განმავლობაში „თანამედროვე აზრი“ ყოველდღე აქვეყნებდა სპეციალურ წერილებს ქოლას შესახებ, მოგონებებს მასზე, განსვენებულის ნაწირმოებებსა და პორტრეტებს, სამგლოვიარო დეპეშებს, გამოგზავნილს რუსეთისა და საქართველოს მრავალი ქალაქიდან, ლექსებს, მიპღენილს ქოლასადმი და სხვა საინფორმაციო, თუ მხატვრული ხასიათის მასალებს, ზოგიერთ ნომერში ამ მასალებს გაზეთის ნახევარზე მეტი ადგილი ეკავა.

„სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებული წერილებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ი. გრიშაშვილის ხალასი გრძნობითა და შინაგანი მღელვარებით აღსავსე ლირიკული წერილი — „ბიკენტი ლომთათიძის ხსოვნას“. ამ ორიგინალურ ლირიკულ მონოლოგში ი. გრიშაშვილი წერდა: „მე მიყვარდა მისი ნაწერების გრძნობათა დოვლათიანობა, მისი სტილი, მისი სტრიქონების ნერვი, მისი მშვენიერი ტანჯვა, და მისი ავადმყოფი ფიქრი... და მე არ ვიცი, არ ვიცი, როდის გადაგეყარე, როდის წაგიკითხე პირველად, როდის დაიწყო ჩემი შენდამი სიყვარული და დღეს ასე მგონია, შენი არ იყოს, რომ შენ იმთავითვე იჯექი ჩემს გულში. და ჰგალობდი“¹.

„სახალხო ფურცლის“ რედაქციამ გამოაქვეყნა სამგლოვიარო წერილიც, სადაც საპიროდ მიიჩნია გამიჯნოდა ჯ. ლომთათიძის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ კურსს და ყურადღება მის ეროვნულ დამსახურებაზე გადაეტანა. სარედაქციო წერილში ნათქვამი იყო: „ჯ. ლომთათიძე იმ მიმართულებას ეკუთვნოდა, რომელსაც ჩვენ საესებით არ ვიზიარებთ, მაგრამ მაინც არ შეგვიძლია ღრმა პატივისცემით არ მოვიხსენიოთ ადამიანი, რომელმაც წრფელი გრძნობა და მთელი თავისი სიცოცხლე ანაცვალა ხალხის სამსახურს. რა იყო

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ. 8 ნომბერი, № 426

ჰოლა ლომთათიძის ხანმოკლე სიცოცხლე, თუ არა დაუსრულებელი ტანჯვა? ამ ტანჯვის ჩილდოთ მან ისლა მიიღო, რომ გარდაცვალებული მანც დაუბრუნდა იმ ხალხს, რომლისათვისაც იტანჯებოდა და რომელიც გატაცებულის სიყვარულით უყვარდა. ხალხიც მუხლს იდრეკს თავის ტანჯული შვილის წინაშე¹.

სულ სხვა დოვლათიანობით და თანაგრძნობით აგროვებდა და აქვეყნებდა მასალებს გაზეთი „თანამედროვე აზრი“. მან ათეული ნომრის ფურცლებზე გამოაქვეყნა ტექსტი დეპეშებისა, რომლებიც გამოგზავნილი იყო პეტროგრადიდან, მოსკოვიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, სარატოვიდან, ირკუტსკიდან, ვოატკიდან, ბაქოდან, როსტოვიდან და რუსეთის ყოფილი იმპერიის მრავალი ჰსვა ქალაქიდან. ასეული დეპეშა მოვიდა საქართველოს ყოველი კუთხიდან, მისი დაბა-ქალაქებიდან.

გაზეთში ხშირად იყო გამოქვეყნებული ასეთი საყურადღებო ცნობები: „პეტროგრაღში — ლესნერის ქარხანაში ჰოლა ლომთათიძის სახსოვრად მუშათა კრება მოხდა. სადაც 400 კაცი დაესწრო წარმოსთქვეს მრავალი სიტყვები. სადაც აღინიშნა განსვენებულის როლი მუშათა კლასისათვის“.² ანდა, ამგვარი: „ჩვენ ნავთლულის გამანაწილებელი ლაზარეთის მოსამსახურეებმა მშრომელი ხალხის სახელოვანი დამცველის და ნიჭიერი მწერლის, II სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატის, ჰოლა ლომთათიძის ხსოვნის აღსანიშნავად, რათა გამოიციეს მისი ნაწერების სრული კრებული და ამისათვის შეგროვდეს სპეციალური ფონდი — ამ მიზნით შეეკრიბეთ თანამოაზრეთა შორის მცირეოდენი თანხა. სასურველია სხვებმაც მიბაძონ ამ მაგალითს“.³ ფულის შეკრება ჰოლას დასახმარებლად მის სიცოცხლეშიც მიმდინარეობდა (როგორც რუსეთში, მაგალითად, პეტროგრაღსა და სარატოვში, ასევე საქართველოშიც).

„თანამედროვე აზრი“ ატყობინებდა თავის მკითხველებს, რომ ჰოლას გარდაცვალების შესახებ და პროლეტარიატის წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად მასალები გამოაქვეყნეს მთელმა

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი“, 15 ნოემბერი, № 432.

² „თანამედროვე აზრი“, 1915 წ., 9 ნოემბერი, № 206.

³ იქვე.

რიგმა რუსულმა გაზეთებმა (პეტერბურგის, მოსკოვის, კიევისა და სხვა ქალაქებისა). კერძოდ, გაზეთებმა: „Русские ведомости“, „Современное слово“, „Утро России“, „Речь“, „День“ და მრავალმა სხვამ.

დაკრძალვის დღეებში გაზეთმა გამოაქვეყნა ლექსები მიძღვნილი ჰოლა ლომთათიძისადმი — გ. ქუჩიშვილის, ალ. აბაშელის, ხ. ვარდოშვილის და სხვათა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გაზეთში მოთავსებულ მასალებში, შიგადაშიგ მრავალი „თეთრი ლაქა“ ჩანს. ეტყობა, ცენზურამ უკვე აწყობილ-შეკრული გაზეთის გვერდებიდან ამოაგდო ცალკეული „კრამოლური“ ადგილები.

იმ დროინდელ ქართულ პრესაში შემორჩენილია სხვა მრავალი საყურადღებო დეტალიც. მაგალითად, ასეთი: „ჰოლამ თავისი ნაწერები სიკვდილის წინა დღეებში გადასცა თავის ერთგულ მეგობარს, ნაფიცი ვეჟილს ვასილევს, რომელიც უკანასკნელ ხანებში ავადმყოფს თავზე ადგა“¹. ანდა, რომ „ქ. ხარკოვის სადგურზე მუშებისა და ინტელიგენციის შრავალრიცხოვანი ჯგუფები მოვიდნენ, რათა ჰოლას ცხედარი გაეცილებინათ და თან მწერლის ხსოვნის პატივსაცემად 16 გვირგვინი მოიტანეს. მაგრამ გამოირკვა, რომ მატარებელი ჰოლას ნეშტით ხარკოვზე კი არ წამოსულა, არამედ სხვა გზით“.

მოსკოვის მუშებმა გამოგზავნეს დიდი გვირგვინი სიმბოლური წარწერით „ჩვენ მოვალთ“ (ე. ი. მოვალთ შენს საპატივცემულოდ, შენს საფლავზე მუხლის მოსადრეკად). და მართლაც, ამ სიტყვების შესასრულებლად მოსკოველ მუშათაგან სპეციალური დელეგაცია იქნა გამოგზავნილი. აღსანიშნავია, რომ მატარებელს, რომლითაც ჰოლას ცხედარს მოსვენებდნენ, ყოველ დიდ სადგურზე ხედებოდნენ მუშების, „ახალგაზრდების და ინტელიგენციის დეპუტატები, ზოგჯერ კი სახელდახელო მიტინგებიც იმართებოდა“.

თბილისში ჩამოსვენების შემდეგ, ჰოლას ცხედარი ქაშვეთის ეკლესიაში დაასვენეს. მეორე დღეს, ეკლესიის გალავანში შედგა მოკლე მიტინგი. ორატორებმა წარმოსთქვეს სიტყვები და სამგლოვიარო პროცესია ეუკიის სასაფლაოსაკენ გაემართა (გოლოვინის, ამჟამად რუსთაველის პროსპექტით — ვერის დაღმართით — კორჩინის, ამჟამად მარჯანიშვილის ქუჩით — ჩერქეზოვის, ამჟამად

¹ გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. 18 ნოემბერი, № 213.

საბჭოს ქუჩით). კუბოს უამრავი ხალხი მისდევდა. კიდევ უფრო მეტი იდგა ქუჩების გასწვრივ, რათა უკანასკნელი პარტივი ეცა სახელოვანი მწერლის, უღრეკი მებრძოლისა და დიდი მოქალაქისათვის.

გაზეთებში ჩამოთვლილია ყველა ის ორგანიზაცია, რომელმაც გვირგვინები გამოგზავნა დასაფლავებაზე. გვირგვინების რიცხვი 80-ს აღწევს. თუ ამას დაემატებთ სარატოვიდან გამოგზავნილ 48 გვირგვინს და იმათაც, რომელიც უკანასკნელ დღეს მოიტანეს და რომელთა აღრიცხვა ვერ მოხერხდა, ცხადი გახდება, რომ გვირგვინთა რაოდენობა 150-ს აღემატებოდა. ეს მაშინ უჩვეულო შემთხვევა იყო. მრავალ გვირგვინზე (აქრძალვის მიუხედავად) წითელი ლენტები და წითელი წარწერები იყო გაკეთებული. ალბათ ამიტომ, პოლიციამ ნება არ დართო სადგურიდან გვირგვინების ხელით წაღებისა და ეტლებში ჩაალაგებისა ისინი.¹

ჰოლას დასაფლავების ორგანიზაციული ხასიათი მუშათა კლასისა და მოწინავე ინტელიგენციის დიდ იდეურ-პოლიტიკურ დარაზმულობაზე მეტყველებს. ყველა გაზეთი აღნიშნავდა. სანიმუშო წესრიგს პროცესიის მსვლელობისა და ცხედრის დაკრძალვის დროს. განსაკუთრებით საყურადღებო აქ ისაა, რომ ამ წესრიგს თვით ქართველი მუშები და რევოლუციური ინტელიგენცია იცავდა. მათ არ მისცეს პროვოკაციული მოქმედების საშუალება იმ ბოროტ განმზრახველებს, რომელნიც სპეციალურად იყვნენ ამისათვის დადარაჯებულნი.

ჰოლა ლომთათიძის, როგორც მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთერთი აქტიური წევრის დახასიათებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის წერილს, დაბეჭდილს 1911 წელს, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, რომელიც რუსულად თარგმნილი პირველად გამოქვეყნდა 1940 წელს. მასში ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა:

„ეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია არა მარტო მრავალ-

¹ საერთოდ, ჰოლა ლომთათიძის დასაფლავება დიდი ზეიმურობით გამოიჩინოდა. მაგალითად, კუბო. რომლითაც იგი სარატოვიდან წამოასვენეს, სპეციალურად იყო გაკეთებული მოჩუქურთმებული თეთისაგან და 300 მანეთი დაქდაოქროთი. ეს თანხა მებრძოლმა სოციალ-დემოკრატებმა გაიღო.

რიცხოვანი იყო, არამედ ფრიალ თვალსაჩინოც იდებურად. იგი წარმოშვა რევოლუციამ და ამიტომაც მისი ბეჭედი ჰქონდა დასმული, მისი გამოსვლები, რომლებშიც ჯერ კიდევ ისმოდა მთელ ჩვენს ქვეყანას მოდებული დიადი ბრძოლის გამოხმაურება, ღრმად და ფრიალ დასაბუთებულად აკრიტიკებდნენ არა მარტო სათათბიროში განსაზღვრულად შეტანილ კანონპროექტებს, არამედ აგრეთვე მართვა-გამგეობის მთელ მეფურ და კაპიტალისტურ სისტემას საერთოდ.

ეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, აღჭურვილი თანამედროვე სოციალიზმის უძლეველი იარაღით, მემარცხენეთა ყველა ფრაქციიდან ყველაზე რევოლუციური, ყველაზე თანმიმდევარი და ყველაზე უფრო გამსჭვალული იყო კლასობრივი შეგნებით. იგი უძლებოდა მემარცხენებს და სათათბიროს თავის რევოლუციურ ბეჭედს ასევე. ჩვენი ხელისუფალნი ფრაქციას თვლიდნენ რევოლუციის უკანასკნელ კერად, მის უკანასკნელ სიმბოლოდ, პროლეტარულ მასებზე სოციალ-დემოკრატიის ძლიერი გავლენის ცოცხალ მაგალითად. ამიტომ იგი წარმოადგენდა მუდმივ საფრთხეს რეაქციისათვის. მისი საზეიმო მსვლელობის უკანასკნელ დაბრკოლებას. ამიტომ მთავრობა საჭიროდ თვლიდა არათუ თავიდან მოეშორებინა მეტისმეტად რევოლუციური სათათბირო, არამედ, გარდა ამისა, მინიმუმამდე შეეზღუდა პროლეტარიატისა და დემოკრატიულად განწყობილი გლეხობის საარჩევნო უფლება, ხელი შეეშალა იმისათვის, რომ მომავალში შესაძლებელი ყოფილიყო ასეთი სათათბიროს არჩევა. ამ სახელმწიფო გადატრიალების განხორციელების საუკეთესო საშუალება იყო სახელი. გაეტეხათ სოციალისტური ფრაქციისათვის ჩვენი ქვეყნის თვალში და ამით თავიდან მოეშორებინათ იგი: თავი მოეკვეთათ და ამრიგად, მთელი სხეულისათვის სიცოცხლე მოესპოთ.

ოთხი წელიწადია ჩვენი დეპუტატები იტანჯებიან ბოროტგაყრილნი, რუსეთის საძაგელ საპყრობილებებში, რომელთა სასტიკი და მკაცრი რეჟიმს თქვენ, რა თქმა უნდა, იცნობთ. ბევრი მათგანი უკვე მოკვდა იქ. ერთ-ერთი დეპუტატი კჳუაზე შეირყა, ბევრს ცხოვრების აუტანელი პირობების გამო ჯანი გაუტყდა და ისანი დღეს-ჰვალ შეიძლება დაიღუპონ. რუსეთის პროლეტარიატს აღარ შეუძლია გულდამშვიდებით უყუროს, როგორ იღუპებიან მეფის

საპრობილეებში, მისი წარმომადგენლები, რომელთა ერთადერთი დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ შედგრად იბრძოდნენ პროლეტარიატის ინტერესებისათვის“¹.

ვ. ი. ლენინს მოყავს ამონაწერი ერთ-ერთი საზღვარგარეთული გაზეთის წერილიდან, სადაც ნათქვამია: „რაც არ უნდა დიდი სიძნელეები გადაგველობოს წინ, — ისინი უნდა დაველოთ და მოვითხოვოთ მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატ დეპუტატების სასამართლო პროცესის გადასინჯვა!.. მაგრამ პირვილ რიგში პროლეტარიატმა უნდა აღიმადლოს თავის მძლავრი ხმა: ეს ხომ მისი წარმომადგენლები დასაჯეს უდანაშაულოდ და აშეამად საკატორლო ციხეებში იტანჯებიან“.

წერილის ბოლოს ვ. ი. ლენინი მოუწოდებს მთელ მსოფლიოს სოციალისტებს იბრძოლონ II სათათბიროს ს. დ. ფრაქციის საქმის გადასასინჯაად: „დაე მიბაძონ ამ მაგალითს (ვ. ი. II სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისადმი ენერგიულ გამოსარჩლებას — გ. ც.) ყველა ქვეყნის სოციალისტებმა, დაე მათ პარლამენტში, თავიანთ პრესაში, თავიანთ სახალხო კრებებზე, ყველგან გამოთქვან აღშფოთება და მოითხოვონ მეორე სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის საქმის გადასინჯვა“².

მართალი იყო იოსებ იმედაშვილი, როცა ამბობდა: „ჰოლა, ჩვენი გაძვალტყავებული ხალხის სისხლი-სისხლთაგანი, ძვალი-ძვალთაგან იყო და მისთვისაც განიწირა... ვითომ სძლიეს იგი?? არა; მან სიკვდილითა თვისითა განამტკიცა ახალი ცხოვრების ბილიკი...“

სწორედ იმით დაიმსახურა ჰოლამ ქართველი ხალხის გულწრფელი სიყვარული, რომ იგი ახალი გზის დაუღალავი გამკაფავი იყო. ერთ-ერთი სამგლოვიარო წერილის ავტორი წერდა: „კავკასიის მუშები არასოდეს არ დაივიწყებენ ჰოლა ლომთათიძეს, რადგან შეუძლებლია დავიწყება იმისა, ვინც თავისი სიცოცხლის დასასრულამდე თავგანწირულად იბრძოდა პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებისათვის... ჰოლას სახით დავკარგეთ არა მარტო ნიჭიერი, თავდადებული, მამაცი, გულისხმიერი ამხანაგი, არამედ აღამიანი,

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, IV გამოცემა, ტ. 17, გვ. 386 და 390.

² იქვე.

რომელსაც მთელი თავისი დიდი და კეთილშობილური გულით ასე ძალუმაღ უყვარდა კაცობრიობა და მისი ნათელი მომავალი“.

ჰოლა ლომთათიძის ხასიათის სიმტკიცეზე კარგად თქვა მწერალმა მიხ. ხერხეულიძემ, თავის წერილში „ჰოლა ლომთათიძე, როგორც ადამიანი“. იგი წერდა: „ჰოლას სულს ძლიერებას ვერაფერს აღაშფოთებდა -- დაობლება, საპყრობილე, წამება, უკურნებელი ქლეჭი; თითქოს პასუხად იგი უფრო მძლავრად გაიძახოდა — „წინ, წინო!“ ამ სიტყვებს იგი ხმარობდა ხალხის გათვითცნობიერებისათვის... მას სძულდა ცრუ და არაწრფელი ადამიანი, ყველასაგან პატიოსნებას მოითხოვდა და ვაი, მას, რომელი ბოროტიც შეხვდებოდა... წყევლა-კრულვას შეუთვლიდა და მართალიც იყო, როდესაც ამბობდა: „ჩემში ერთსა და იმავე დროს ჭალათიც ცხოვრობს და მოსიყვარულე ბავშვიცო“...

დიახ, მტკიცე იყო მასში მცნება განკიცხვისა და გულშემატკივრობისა და, ამით, ყოველ შესშენილს იზიდავდა. უყვარდა ყველა ერთად და ყველა ცალ-ცალკე, მაგრამ... ჰოლა ყველასაგან განმარტოვებული დარჩა... „რწმენის სიმბოლოს“ გამაცამტვერებელი ქარიშხალი ჰოლასაც მოედო. სულსა დაფავედა ტანჯული გმირი, მაგრამ თავის ღვაწლს მაინც არავის აყვედრიდა — ეს იყო მისი ხასიათის მძლეთამძლეთობა, აქ იყო მისი სამართლიანი ამაყოფა, ამაყი სამართლიანობა და იმედით გაცისკროვნებული სული მისი მაინც სჭექდა: „კვკვლები, მაგრამ ჩემში განმტკიცებული რწმენა და ტრფობა კაცისა, საქმისა და სიყვარულისადმი მარად იცოცხლებსო“.¹

განვლო ჰ. ლომთათიძის მივიწყების, მისი მემკვიდრეობისადმი ქედმაღლურ-ბატონკაცური დამოკიდებულების დრომ. ჰოლას შემოქმედებამ ჭეროვანი ადგილი დაიკავა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ხოლო მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა სულ უფრო და უფრო მართებულ შეფასებას პოულობს.

ჰოლა ლომთათიძის ნეშტის დაკრძალვის ისტორიაც, თითქოს, როგორღაც სიმბოლურად გამოხატავს თვით ჰოლასა და მისი შემოქმედებისადმი დამოკიდებულების ისტორიას; ორმოცი წელი ემარხა ჰოლას ნეშტი კუჩიის სასაფლაოს განაპირა კუთხეში და მხოლოდ ოთხ ათეულზე მეტი წლის შემდეგ, 1957 წელს, იქნა გადა-

¹ „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წელი, № 45.

სვენებული ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ამ დროისათვის ჰოლა ლომთათიძის საფლავი უკვე დაკარგული იყო და სრულიად აღარ ჩანდა. რამდენადაც არსებობდა ზუსტი ცნობები, რომ იგი დასაფლავებულია სევერიან ჯუღელის, არჩილ ჯაფარიძის და არსენ წითლიძის გვერდით, გარკვეული ძიების შემდეგ მოხერხდა ჰოლას საფლავის პოვნა. საფლავის გათხრისას აღმოჩნდა ცინკის კუბო, გაზეთები ჰოლა ლომთათიძისადმი მიძღვნილი სტატიებით, მისი სურათით და გვირგვინის ლენტები. ისინი ჩაედოთ ცინკის კუბოს (რომლითაც იგი ჩამოასვენეს) და იმ მუხის კუბოს შორის, რომელშიც ეს ცინკის კუბო უკვე თბილისში ჩაუღვამთ.

საფლავის ძიება, მისი გათხრა და დიდუბეში გადასვენება განახორციელეს ჰოლა ლომთათიძის შვილმა ვიქტორ (ჰოლიკო) ბიკენტის ძე ლომთათიძემ.¹ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა იოსებ მეგრელიძემ,² რომელიც იყო ინიციატორი და მოთავე ჰ. ლომთათიძის ცხედრის დიდუბის პანთეონში გადასვენებისა და ამ სტრიქონების ავტორმა.

დიდი ხნის უსამართლობას ბოლო მოეღო. ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწის, თავდადებული მებრძოლისა და გამოჩენილი რევოლუციონერის, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის უახლოესი წინამორბედის, ქართული პროზის შესანიშნავი ოსტატის — ჰოლა ლომთათიძის სახელმა ღირსეული დაფასება პპოვა.

1 ვ. ბ. ლომთათიძე 1937 წელს იყო რეპრესირებული და მხოლოდ 1955 წ. გაიმართლეს. იგი არის სკკპ წევრი 1935 წლიდან. დაქვრამდე მუშაობდა სსრკ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის თანამშემწედ. ამჟამად პერსონალური პენსიონერია.

2 ი. ბ. მეგრელიძემ საერთოდაც ბევრი რამ გააკეთა ჰოლას სახელის ღირსეულად დაფასებისათვის. იგი არის ავტორი საყურადღებო მოგონებებისა ჰოლაზე. დახმარება გაუწია მან ამ წიგნის ავტორსაც, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ.

მსახურული
უნივერსიტეტი



ქ. ლომთათიძე დიდი სოციალური და პოლიტიკური ძვრების პერიოდში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ეს იყო საზოგადოებრივი გამოღვიძებისა და მოქალაქეობრივი აქტივობის მღელვარე ხანა, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე, გადამწყვეტი, პროლეტარული ეტაპი. მარქსისტული ჯგუფებიდან აღმოცენებული ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მიერ დარჩმული ქართველი მუშათა კლასი, ღარიბ გლეხობასა და რევოლუციურ ინტელიგენციასთან ერთად, გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ემზადებოდა. ისტორია 1905 წლის რევოლუციის ბობოქარი დღეებისაკენ მიეჭანებოდა.

ქ. ლომთათიძის ცხოვრებასა და ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე უბრალო თვალის გადავლებაც კი, განსაკუთრებითი დამაჯერებლობით ადასტურებს იმ მართებულ დებულებას, რომ ყოველი ნიჟიერი მწერლის შემოქმედება მისი თანადროული ეპოქის მხატვრული გამოძახილია.

ჭოლას შემოქმედებასა და მის თანამედროვე სინამდვილეს შორის საოცრად მტკიცე, უწყვეტი კავშირი შეინიშნება. ჭოლას ყოველ ნაწარმოებში, ყოველ სტრიქონში იმდროინდელი ცხოვრების მაჯისცემა იგრძნობა, რევოლუციური ეპოქის ინტერესები და თავისებურებანი მოჩანს. ჭოლას საზოგადოებრივი მოღვაწეობის, მსოფლმხედველობისა და მხატვრული ინდივიდუალობის მიღწევიზიყა და ნაკლოვანებებიც ამ პერიოდის ავკარგიანობით და წინააღმდეგობრივი ხასიათითაა გაპირობებული.

ამიტომ, ასე ძნელი 1905 წლის რევოლუციისდროინდელი ქართული მწერლობის წარმოდგენა ჭოლას გარეშე, ისევე, როგორც ჭოლას წარმოდგენა რევოლუციის გარეშე. ქ. ლომთათიძე ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის ერთი ყველაზე კოლორიტული და მონუმენტური ფიგურაა.

900-იანი წლების დასაწყისის ქართული ლიტერატურა მეტად

რთული და მრავალფეროვანი პროცესით ხასიათდება. ამგვარი სი-
კრულე იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების შინაგანი წი-
ნააღმდეგობრიობით იყო გამოწვეული. მძაფრი სოციალური წინა-
აღმდეგობებისა და უკიდურესად გამწვავებული კლასობრივი ბრძო-
ლის პერიოდში, როცა სხვადასხვა კლასები, ფენები, წოდებები სა-
კუთარი ინტერესებისათვის იბრძოდნენ და სამოქმედო გეზის შერ-
ჩევით იყვნენ ვართულნი — ქართული ლიტერატურა სხვადასხვა
მიმდინარეობის, სკოლისა და სტილის რთულ გრეხილს წარმოად-
გენდა.

როგორც ყოველთვის, ამ პერიოდის ლიტერატურული მიმდინა-
რეობანი, თუ დაჯგუფებანიც კლასობრივ ბრძოლაში მონაწილე
სხვადასხვა საზოგადოებრივ წრეთა ინტერესების გამომხატველად
გვევლინებიან და მხატვრული ფუნქციის გარდა გარკვეულ „სამსა-
ხურებრივ“ ფუნქციასაც ასრულებენ.

როდესაც ჰ. ლომთათიძე სამწერლო ასპარეზზე გამოდიოდა
ჯერ კიდევ აქტიურად იღწვოდნენ ქართული ლიტერატურის გამო-
ჩენილი კლასიკოსები — „დიდი სამოციანელები“ ი. ჭავჭავაძე და აკ.
წერეთელი, შემოქმედებით აყვავებას განიცდიდა ვაჟა-ფშაველა, ნა-
ყოფიერ მხატვრულ-ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდნენ ხალხო-
სანი მწერლები — ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, ა. ფურცელა-
ძე, ეკ. გაბაშვილი და XIX ს. დამლევის კრიტიკული რეალიზმის
წარმომადგენლები — დ. კლდიაშვილი, შ. არაგვისპირელი, ირ. ევ-
დოშვილი, ვ. ბარნოვი. ამავე ხანებში თანდათან ფეხს იკიდებდა და
ვითარდებოდა, ერთის მხრივ, კაპიტალიზმის დეკადანსის აუცილე-
ბელი თანამგზავრი — ნოდერნიზმი და სიმბოლიზმი, ხოლო მეორე
მხრივ, რევოლუციური აღმავლობის ზეგავლენით გარკვეულ სკო-
ლად ჩამოყალიბებული ე. წ. „რევოლუციურ-დემოკრატიული“
მწერლობა.

მაგრამ ჰ. ლომთათიძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის უამს,
გაბატონებული მდგომარეობა ქართულ ლიტერატურაში კრიტიკულ
რეალიზმს ექირა. ეს იყო ე. წ. „90-იანი წლების კრიტიკული რეა-
ლიზმი“, რომლის წამომწყებად და გამომხატველად გვევლი-
ნებიან ეკ. ნინოშვილი, დ. კლდიაშვილი, შ. არაგვისპირელი, ვ. ბარ-
ნოვი, ა. ერისთავი-ზოშტარია და ზოგიერთი სხვა.

სწორედ ამ მიმდინარეობამ განაპირობა ყველაზე მეტად ჰ. ლომ-

თათიძის შემოქმედებითი სახე. ამიტომ არის, რომ ჰოლანდურ სწორედ კრიტიკული რეალიზმის მხატვრული მეთოდი მოიმარჯვა ლიტერატურული მოღვაწეობის პირველ პერიოდში და თავისი თაობის მწერლებთან ერთად (იხ. ედოშვილი, ნ. ჩხიკვაძე, შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი) ქართულ ლიტერატურაში შექმნა ახალი მიმდინარეობა—ე. წ. „XX საუკუნის დასაწყისის კრიტიკული რეალიზმი“, რომლის მხატვრულ-შემოქმედებით ბაზაზე, 1905 წლის რევოლუციის პერიოდში, აღმოცენდა და განვითარდა ე. წ. ქართული „რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობა“.

ჰ. ლომთათიძის მსოფლმხედველობრივი საფუძვლების გამომუშავებისათვის, მისი როგორც შემოქმედის, იდეური კრედოს ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტი როლი ითამაშა მარქსისტულმა მოძღვრებამ და ჰოლანდურ პროფესიონალ-რევოლუციონერიან პრაქტიკულმა საქმიანობამ. 1903 წლიდან ჰოლანდურ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის აქტიური წევრია და ამ პარტიის პროგრამა არა მარტო მისი პირადი ცხოვრების სამოქმედო გეზია, არამედ მისი შემოქმედების იდეური საფუძველიც (განსაკუთრებით შემოქმედების მეორე პერიოდში).

შემოქმედების პირველ პერიოდში (1901—1903 წ.წ.) ჰოლანდურ თათიძემ შექმნა თორმეტიოდე ბელეტრისტული ნაწარმოები („დავითი“, „ცხოვრების გულიდან“, „შეყვარებული“, „მატლი“, „ტალღები“, „დასაფლავება“, „ერთი საღამო ბატონ ადვოკატთან“, „ზღვა“, „აღსარება“, „ნაზარეველი აღსდგა“, „კვლავ ფიქრი, ფიქრი“, „სიცრუე“).¹ მათ გარდა ჰოლანდურ ათიოდე ლექსი და რამდენიმე პუბლიცისტური წერილი გამოაქვეყნა.

ყველა ეს პროზაული ნიმუში მცირე ფორმის ნაწარმოები არის. უანრობრივი თვალსაზრისით მათი უმრავლესობა (ორიოდე ნოველური ტიპის მოთხრობის გარდა) მინიატურებს, ეტიუდებს, ესკიზებს ან სილუეტებს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდის ქართულ პროზაში სწორედ ასეთი „მცირე ფორმა“ იწყე-

¹ აქედან პირველი ორი გამოქვეყნდა 1901 წელს, უკანასკნელი სამი 1903 წელს, დანარჩენი კი 1902 წელს. ყველა ეს ნაწარმოები (გარდა „დავითისა“, რომელიც ე. წ. „მოამბეში“ დაიბეჭდა) გამოქვეყნდა გაზეთებში — „ცნობის ფურცელი“ და „კვალი“:

ბდა ინტენსიურ გავრცელებას და ქოლასაც ამ „მოდური“ უნარით დაუწყია წერა.

მიუხედავად იმისა, რომ ქოლას პირველსავე ნაწარმოებში უდავოდ იგრძნობოდა ავტორის მხატვრული ნიჭიერება — სახეთა სტელატურული გამოკვეთის უნარი და შთამბეჭდაობა, ექსპრესია და მეტყველი ლაკონურობა, და ნათლად მოჩანს უღრმესი სიყვარული ადამიანისადმი (გრძნობა, რომელიც წითელ ზოლად გასდევს მთელ მის შემოქმედებას) — ეს მცირე ფორმის ნაწარმოებები არც თემატურად და არც იდეურად არ წარმოადგენენ ახალ სიტყვას ქართულ მწერლობაში. ამიტომ ისინი ვერ მოუპოვებდნენ თავიანთ ავტორს დიდ სახელს და იგიც ვერ დააკავებდა საპატიო ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში, თუ არა მისი შემდეგდროინდელი შემოქმედება (1907—1914 წლებისა), რომელმაც ჰ. ლომთათიძე რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის ერთ წამყვან ფიგურად აქცია და ქართულ კლასიკოსთა რიგში ჩააყენა.

ქოლას პირველი პერიოდის ნაწარმოებები XX საუკუნის დასაწყისის ქართული კრიტიკული რეალიზმის მეტად საყურადღებო ნიმუშებია. ისინი მათი ავტორისათვის დამახასიათებელი მხატვრული დამატებლობით, უშუალოდ, პირდაპირობითა და მეტრძოლი შემართებით ამხელენ და კიცხავენ დრომოკმულ, ბოროტების წარმომქმნელსა და უკანონობაზე დაფუძნებულ სოციალურ სისტემას, რომელიც უწყალოდ თრგუნავდა საზოგადოების ყველაზე სიცოცხლისუნარიან ნაწილს — მშრომელ მასას.

ამ ნაწარმოებებში უკვე გარკვევით მოჩანს ლირიკული პროზის ოსტატი. ლირიკული გმირის განცდაში ძალუმად ისმის დაბეჩავებულთა კენესა, იგრძნობა „პატარა“, რიგითი ადამიანების მძიმე ხვედრი, დახატულია „ამა ცხოვრების ძლიერთაგან“ გათელილი, გაუბედურებული და გამრუდებული ცხოვრება „მამერალთა და სვემძიმეთა“ დიდი არმიისა.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ქოლა ლომთათიძე კრიტიკული რეალისტის თვალით დანახულ ცხოვრების უკუღმართობას მუქ, დრამატიზებულ ფერებში გადმოგვცემს; მიუხედავად იმისა, რომ იგი მიზნად ისახავს ჩააფიქროს მკითხველი ადამიანთა მძიმე ყოფაზე და აღძრას იმ „მტრის“ წინააღმდეგ, რომელიც ამ ყოფას შობს, აკანონებს, ხიშტებით იცავს, — იგი წინააღმდეგია „ისეთ

კვენისა, რომელშიაც მუქარა არ გამოისმის“; კოლაში „ზიზლს იწვევს დაცემა“.

კოლა ლომთათიძის კრიტიკული რეალიზმი იმით გამოირჩევა ამ მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი „საერთო საბისაგან“ (და ამ „საერთო“ კურსისაგან გამომდინარე მხატვრული ინტერპრეტაციისაგან), რომ მას არ ახასიათებს ბოროტების თვითმიზნური ჩვენება, მხოლოდ მისი მხილებით დაკმაყოფილება, ნეგატიურ მხარით შემოფარგვლა. მხოლოდ გასაკიცხი მოვლენის ჩვენება კი (პოზიტიური იდეალების გარეშე), როგორც ცნობილია, ნიშნული იყო კრიტიკული რეალიზმის მრავალი წარმომადგენლისათვის.¹

კოლასთან ხშირად ნართაულად, გადაკვრივ, სიმბოლურად მიწინებულა რწმენა უარყოფითის აუცილებელი დათრგუნვისა და ნათელი მომავლის გარდუვალობისა. მართლაც, ამ პერიოდის კოლას თხზულებებში (შემოქმედების მეორე პერიოდისაგან განსხვავებით) ჭერ კიდევ არ მოჩანს ის მეტროპოლი, შეუღრეკელი გმირი, რომელიც თვით კოლას მსგავსად თავდაუზოგავად იბრძოდა ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნისათვის, პროლეტარიატის საქმისათვის, მაგრამ „ბნელ სამეფოს“ ჩვენებასთან ერთად კოლა თითქმის ყოველთვის გვეჩვენებს ბლუჯა სხივსაც — მომავალი გარდაქმნებისა და ნათელი იდეალების სიმბოლოს.

ამიტომაც, რომ კოლა ლომთათიძის პირველსავე ნაწარმოებში (მიუხედავად იმისა, რომ მას არ ეხერხება ბუნების სურათის შთამაგონებლად, მაღალმხატვრულად გადმოცემა, რის გამოც მის შემოქმედებაში პეიზაჟი მეტად იშვიათად გვხვდება) რომანტიული გზნებით და სიმბოლური გააზრებით დახატულია სუსხიანი ღამე და „მედგრად მდგარი“ უზარმაზარი ხეები.

ეს ხეები სიმბოლურად განაზახიერებენ „დადებით საწყისს“, რადგან „ასე ჩერდებიან ხოლმე ცხოვრების გმირებიც, როდესაც მათ გარშემო ყველაფერს მუსრს ავლენს ცხოვრებისავე სუსხი“, ასე მხნედ და ასე თავაწეულნი დგანან ხოლმე იმინი და ღინჯად მოელიან

¹ მიუხედავად იმისა, არ არის მართებული შეხედულება, ვითომც კრიტიკული რეალიზმს არ შეექმნას დადებითი გმირის სახე და არც რაიმე პოზიტიური იდეალები ჰქონდეს.

გაზაფხულს: „მხოლოდ ის ვერ უძლებს ზამთარს, ვისაც გაზაფხულის სითბო არ ახსოვს“.

ამ სიტყვებში კოლას მთელი ბუნება მოჩანს. „გაზაფხულის“ მასულდგმულზელი რწმენა იყო მიზეზი და საფუძველი იმ საოცარი სიმხნევისა და კირთათმენისა, რომელსაც ეს უღრეკი მებრძოლი ამქადავებდა გარდუეალი „გაზაფხულის“ მოლოდინში.

კოლა ლომთათიძე მოურიდებლად და გესლიანად აღწერდა „ცხოვრების ზამთარს“, მაგრამ არასოდეს არ ავიწყდებოდა დედამიწაზე მედგარად მდგარი და „გაზაფხულის“ რწმენით გამსჭვალული ადამიანები, რომლებიც გაზაფხულს ელიან და მისი მოსვლისათვის იღწვიან. გაზაფხულის სიმბოლოებაში კოლა ქართული კლასიკური მწერლობის, კერძოდ, ილიასა და აკაკის გავლენის ქვეშაა, მაგრამ ამ ცნებაში იგი გაცილებით უფრო ფართე და რევოლუციური შინაარსს ღებდა, ვიდრე მისი დიდი წინამორბედნი.

კრიტიკული რეალიზმისათვის ნიშნეული დაუზოგავი მხილება სინამდვილისა, მტკიცე რწმენა ცხოვრების გარდაქმნის გარდუეალობაში, ხალხის ნათელ მომავალში და საოცარი სიძულვილი ყოველივესი, რაც კი ამ მომავლის წინააღმდეგ ამართულა — აი, ამ პერიოდის კოლას, როგორც მხატვრისა და შემოქმედის ყველაზე დაზახასათებელი თვისებები. „ამ ჩემს გულში, — წერდა პირველსავე წელს კოლა, — გულის მაგიერ ცეცხლი ანთია და ვაი იმას, ვისაც ჩემი ნერწყვი მოხვდება... მდუღარე, ნამდვილი მდუღარე — ნამდვილი მდუღარე — იქნება იგი და დასწავას რასაც წაეცხება“.

მაგრამ, თუ მჩაფრეტლთა ზიარტ კოლას გული, მართლაც რომ „მდუღარე გესლს“ ანთხევდა, სამაგიეროდ, ჩაგრულთა და სვე გამწარებულთა მიმართ იგი უნაზესი და უთბილესი გრძნობით იყო გამსჭვალული. ამიტომ ქადაგებდა ასე მგზნებარედ სიყვარულს მამვრალთადმი, ამიტომ მიუძღვნიდა ქებათაქებას ძლიერსა და მთლიან გულს, როგორც სიძულვილისა და სიყვარულის წყაროს — „რა მოსახმარია ჭკუა უგულოდ, ვინ წააქეზოს გონება, თუ არა გულმა, ვინ მისცეს სისხლი მკლავებს, გონებმს გადაწყვეტილებების სისრულეში მოსაყვანად? არა და არა უგულოდ ცხოვრება — ეს მანქანად გადაქცევა“ — გულწრფელი პათოსით ამბობდა მწერალი.

ამიტომაა, რომ თვით კოლაც ადამიანთა სასიკეთოდ აღამპრებული ვაჟკაცია, რომელიც მ. გორკის დანკოს მსგავსად ჩირაღდნად

ანთებული საკუთარი გულით გზას უკვლევდა თანამემამულეებს შავზნელი ტყისა და შმორიანი ჭაობიდან თავდასაღწევად. ეს მსგავსება გორკის გმირთან შემთხვევითი როდია; ჭოლა ლომთათიძე ისევე, როგორც გორკი, შემოქმედების პირველ პერიოდში ქმნის რევოლუციური რომანტიზმით გამსჭვალულ ნაწარმოებებს. ამიტომაც, რომ ამდროინდელ მისი ნაწარმოებები, ერთის მხრივ, მკაფიოდ გამოხატავენ კრიტიკული რეალისმის ნიშანთვისებებს, ხოლო მეორე მხრივ, რევოლუციური რომანტიზმის სტილური ნიშნების მატარებლებად გვევლინებიან.

1. **ჰოლას ლომთათიკის შემოქმედების
პირველი პერიოდი
(1001—1004 წ.წ.)**

ჰოლას პირველი პერიოდის ნაწარმოებთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შოთხრობა „დავითი“. თემატურად იგი არ სცილდება 90-იანი წლების კრიტიკულ რეალისტთა ინტერესების წრეს (ე. ნინოშვილი, დ. კლდიაშვილი, შ. არაგვსპირელი) და იმზიარადვე, როგორც ამ უკანასკნელთ თემატური ნათესაობა აკავშირებდათ წინა თაობასთან — ხალხოსან მწერლებთან, — ასევე 90-იანი წლების კრიტიკული რეალიზმის მკაფიო წარმომადგენელი ჰოლა ლომთათიძე თითქოს აგრძელებს წინა ლიტერატურული თაობის თემატურ კვალს.

ამიტომ, რომ ჰ. ლომთათიძის პირველ ნაწარმოებს, სტილურ-თემატური თვალსაზრისით, ეგ. ნინოშვილის ერთგვარი გავლენა ემჩნევა, თუმცა ავტორმა ამ მოთხრობას საკმაოდ ორიგინალური ფინალი მისცა და მხატვრული თვალსაზრისითაც წინამორბედთაგან განსხვავებულად გაიაზრა. ეს ნაწარმოები, რომელშიც საკმაოდ ნათლად მოჩანს ჰოლას სტილისათვის დამახასიათებელი მრავალი სპეციფიკური ნიშანი (პუბლიცისტური რემარკები, ლირიკული წილსვლები, აზრის განმეორებით ხაზგასმა და სხვა) და რომლის დეტალები ფრიად მრავალმეტყველია თავისი ქვეტექსტური შინაარსით— მეტად საგულისხმოა ავტორის იმეამინდელ შეხედულებათა და პრინციპთა ნათელსაყოფად.

მოთხრობა „დავითის“ იდეური მიზანდასახულობა ეპიგრაფიდანვე მოჩანს. „სარწმუნოება, თვინიერ საქმისა, მკვდარ არს“. ჰოლას სურს ამხილოს კაპიტალისტური სინამდვილისათვის ნიშნეული შენიღბული სიცრუე და ფარისევლობა, ის საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც მხოლოდ საჩვენებლად, სპეკულატურად იყენებს ჰუმანი-

ზმისა და დემოკრატიზმის დროშას და სიტყვით თუ ერთს ქადაგებს, საქმით სხვას ემსახურება.

ამ პატარა მოთხრობაში კოლამ დიდი სოციალური დრამა გადაგვიშალა, დრამა ბედთან შერიგებული, მორჩილი და უსიტყვო ადამიანებისა, რომელნიც უმოწყალოდ ითვლებოდნენ სოციალურსა და ნაციონალურ ჩაგვრაზე დაფუძნებულ რუსეთის თვითმპყრობელურ იმპერიაში.

ძუნწი, მაგრამ მეტყველი შტრიხებით დაგვიხატა კოლამ ცარიზმის ბიუროკრატიულ-პოლიციური რეჟიმის ერთი იმ დამქაშთაგანის სახე, რომელნიც მთელი ძალ-ღონით იღწვოდნენ, რათა ძველი რუსეთი ხალხთა შეუვალ საპყრობილედ დარჩენილიყო. ასეთია რუსიფიკატორული სკოლის დირექტორი ობრაზცოვი. ეს შავ რაზმელი შოვინისტი, რომლისთვისაც ადამიანი (განსაკუთრებით კი არარუსი) პირუტყვის ფასადაც არ ღირს.

სწორედ ეს ბოროტი სულის ადამიანია მოხუცი დარაჯის, უსახლკარო და მარტოხელა დავითის, ყველაზე მეტად შემავიწროებელი და უწყალოდ მტანჯველი. „ბებერ ძალს“ უწოდებს იგი უწყინარ მოხუცს და მოითხოვს, რომ უსასტიკეს ზამთარში, როცა ყინვა და ქარბუქი ხეებს ხეთქავს, დათოვლილ ბაღს განუწყვეტლივ გარს უვლადღებ. იმისათვის, რომ მოხუცი ქარსა და ყინვას ჯახურში არ შეეფაროს, დირექტორი სადარაჯო ფიცრულს დაანგრევენებს და როცა საცოდავ მოხუცს ქარბუქი გაჰყინავს, იგი დაუფარავი ზიზლით გასცემს განკარგულებას: „წაიღეთ, დადევით საღმე, შემდეგ კი დამარხეთ“.

მაგრამ ყველაზე დიდი ირონია ბედისა ისაა, რომ სწორედ ეს პირუტყვეული ბუნების ადამიანი გვევლინება ახალი თაობის აღმზრდელად, სწორედ მას აქვს დაკისრებული უქადაგოს ახალგაზრდობას კაცთმოყვარეობა, სათნოება, სიმართლე და ქეშმარიტება.

„დავითი“, ესაა მეტყველი და რამდენადმე განზოგადებული სურათი იმ დამცირებისა, განუკითხაობისა, ჩაგვრისა, რომელსაც ადამიანი ექსპლოატაციაზე დამყარებულ, უსამართლო სოციალური სისტემის პირობებში განიცდიდა; ესაა გამეფებული ფარისევლობისა და შავრაზმულ-დიდმპყრობელური სინამდვილის მახვილი კრიტიკა.

მოთხრობა „დავითის“ კულმინაციად (ამ შემთხვევაში კულმინა-

ციას ვგულისხმობთ არა როგორც სიუჟეტის დრამატული განვითარების მწვერვალს, არამედ, როგორც პერსონაჟის შესახებ ჩვენი ცოდნის გამდიდრების უმნიშვნელოვანეს ზღვარს) გვევლინება ის ეპიზოდი, როცა მიაშიტი დავითისათვის სრულიად მოულოდნელად გამოიჩვენება, რომ „ქურდი“ და სკოლის საფუტკარის დამნიავებელი თვით დირექტორი ყოფილა. ეს ფაქტი დავითის ვიწრო გონებაში მთელ არევ-დარევას გამოიწვევს.

ქოლა ლომთათიძე ამ სურათს თავისებურ სიმბოლურ გაგრძელებას უქმნის, რომელშიც ვერაგი დირექტორის ნამდვილი ბუნება მუდამდგება. ეს და-გვირგვინებელი სიმბოლური სურათი კონტრასტულ მეთოდზეა აგებული: შობადღეს დირექტორი ბავშვებს უქადაგებს სათნოებას, კაცთმოყვარეობას, პატიოსნებას, ღმობიერებას. ორიოდ წუთის შენდევ კი, როცა დარაჯის სიკვდილის ამბავს შეატყობინებენ, ცხადი გზდება, რომ თვით მას არც ერთი ამ თვისებათაგანის ოდნავი ნატანალიც კი არ გააჩნია.

აი, ასეთი კონტრასტია სიტყვასა და საქმეს შორის, იმ საზოგადოებაში, რომელშიც აღამიანები ერთიმეორის ჩაგვრითა და მოტყუებით ცხოვრობენ და რომელიც, ქოლას აზრით, სრულ გარდაქმნას მოითხოვს.

როდესაც ქოლამ „დავითი“ გამოაქვეყნა იგი სულ 22 წლის დამწყები მწერალი იყო, მაგრამ ამ ნაწარმოებში უკვე იგრძნობა ავტორის მხატვრული ზედვა, ექსპრესიულობა, განზოგადებისკენ სწრაფვა, მდიდარი სიმბოლიკით აზრის გაღრმავების უნარი და დასამახსოვრებელი მხატვრული სახეების შექმნის სანაქებო თვისება. მართალია, მოთხრობის ზოგიერთ დეტალში ე. ნინოშვილისა და შ. არაგვისპირელის ნაწარმოებთა რემინისცენციები მოჩანს, მაგრამ მთლიანად ნაწარმოები არ ატარებს მეტისმეტად ხაზგასმული გავლენის კვალს და თავისი სიახლე, სიხალისე და დიდი უშუალობა მოსდგამს.

ავტორმა შესძლო მოხუცი დავითისადმი მკითხველის სიმპათიის გაღვიძება და უდიდესი ჰუმანურობით გაუღენთილი ნაწარმოების შექმნა. ამ მხრივ, ეს პაწია მოთხრობა, ისევე როგორც ნ. ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“, ან მიხ. ჭავჭავაძის „ჩანჩურა“ — XX საუკუნის რევოლუციამდელ ქართულ პროზაში ძალიან დიდი ზემოქმედებითი ძალის ნაწარმოებად გვევლინება.

დავითის სახე, საცოდავი არსებისა, ვისთვისაც უცნობია ყოველგვარი პროტესტი და რომლის ერთადერთ ამქვეყნიურ თავდაცვით იარაღს მოკლე ლოცვა წარმოადგენს — „ღმერთო, მიხსენიო“ — ესაა განზოგადებული სახე ადამიანებისა, ვის „გალვიძებასაც“, რომელთა მიმართ სიყვარულისა და სიბრაალულის აღძვრასაც ცდილობდა ჭოლა ლომთათიძის კაცთმოყვარე გული.

მაგრამ ჭოლა მალე დარწმუნდა, რომ მაღალსა და გულცივ საზოგადოებას ვერც გულს მოუღობობ და ვერც ადამიანს შეაცოდებ. ამიტომ ჰუმანიზმისა და ალტრუიზმის ქადაგებას იგი ბრძოლის მოძახილით ცვლის და ამიერიდან მის შემოქმედებაში უსიტყვო დავითის სახე მებრძოლი სულის ადამიანთა სახეებით იცვლება.

მაგრამ ასეთი იდეური „ფერიცვალება“ ჭოლა ლომთათიძის შემოქმედების მეორე პერიოდში მოხდა. პირველ პერიოდის ნაწარმოებთა მთავარ იდეურ ლეიტმოტივად კი, მაინც უსამართლობისა და ჩაგვრის კრიტიკული გამომწვეურება გვევლინება.

ცხოვრების უკუღმართი, მახინჯი მხარეების კრიტიკას ჭოლა „პატარა“, საყოფაცხოვრებო საკითხებისათვის დიდი იდეური და სოციალური რეზონანსის მიცემით ახერხებდა. ამ ხანებში (ე. ი. 1907 წლამდე) დაწერილი ჭოლას პროზაული ნიმუშების მთავარი ღირსება ის არის, რომ მათ მაღალი დრამატული დაძაბულობა და დიდი კლასობრივი ჟღერა მოსდგამთ. ისინი ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ განაწყობენ მკითხველს და არსებულ სისტემასთან ბრძოლის საჭიროებას ქადაგებენ.

თუ „დავითში“ ეპიკური პროზის ელემენტი სჭარბობს, ჭოლას მეორე ნაწარმოები, „ცხოვრების გულიდან“,¹ უფრო ლირიკული პროზის სპეციფიკის მატარებელია. აქ ავტორს საკმაოდ რთული მხატვრული ხერხი აუჩრჩევია. იგი მთხრობელის, ივანე გულგრილაძის პირით გვესაუბრება და ამ უკანასკნელის მონათხრობის საშუალებით დამამახსოვრებლად გვიჩვენებს გაზულუქებულს, უხერხემლო ინტელიგენტის სახესაც და იმ საშინელ სინამდვილესაც, რომელსაც ეს ზერელე ინტელიგენტი ხედავს, თუმცა თა-

¹ ამ სათაურით ჭოლა ლომთათიძის ორი ნაწარმოებია ცნობილი. ქრონოლოგიურად უწინარეს ავტორმა სათაური დაუკონკრეტა და ქვესათაურად უწოდა — „ქრის, ქრის“... ერთი სახელის მქონე ამ ორი ნაწარმოების განხილვისას ჩვენ ვხელმძვანელობთ ჭოლას საბოლოო დასათაურებით

ვისი გონებრივი შეზღუდულობის წყალობით მთლიანად მაინც ვერ აღიქვამს იმ სისაძაგლეს, რომელიც ამ სინამდვილეს მოსდგამს.

ნაწარმოების „მარილი“ სწორედ ისაა, რომ მთხრობელი ვერ გრძნობს მის მიერ ობიექტივისტურად, გულცივად გადმოცემული სურათის საშინელებას. ტყუილად როდი ათქმევინებს ავტორი მოთხრობის პერსონაჟს: „დიდი გრძნობიარობით არ დაეუსაჩუქრებივარ ღმერთს, ასე, რომ მოძმეთა ჩემთა ტირილი ძვირად თუ მოაღწევს ჩემს ყურებამდე და თუ მოაღწია, დიდხანს არ გავაჩერებო“.

ამ ნაწარმოებში მწერალი ერთდროულად (ამასთან მეტად მოხერხებულად) წყვეტს ორ ამოცანას: იგი რეალისტის-მახვილი თვალით და მებრძოლის დაუნდობლობით ფარდას ხდის იმქამინდელი ცხოვრების ერთ მეტყველ და ტიპიურ მოვლენას, ზოლო, მეორე მხრივ, გვიჩვენებს შინაგან სიცარიელეს, ინდიფერენტიზმს, გულცივობას იმ ადამიანებისას, რომელნიც ამ მოვლენების ყოველდღიური მოწმენი არიან და რომელთათვისაც თანამედროვე სოციალური ყოფის საშინელი ამბავი, რალაც პატარა, „პიკანტური“ ანეგდოტამდე მდაბლდება. ასეთია მთავარი პერსონაჟი, გაზულუქებული ინტელიგენტი, გულგრილად.

მოთხრობის სიუჟეტურ ხერხემლად და იდეური აქცენტის მთავარ მატარებლად გვევლინება მეძავი ქალი, რომლის სახითაც მკითხველის წინ „დგება ქუჩა, მთელი თავისი ძალითა და სიძულვილით“. მეძავი ქალის მიერ წარმოთქმულ მამხილებელ სიტყვასთან არის დაკავშირებული ამ ეტიუდისებური მოთხრობის გესლიანი, პამფლეტური ფორმაც და იდეური მიზანდასახულობაც.

„შენ მეუბნები — მიმართავს მეძავი მთხრობელს, — რად არ გრცხვენია, ან ღმერთის, ან კაცისა... მე კი მგონია, რომ ყველას ჩემი რცხვენია და კიდევ იმიტომ ვერ მივბაგენი მათ — მემალებიან! გინახავს განა შენ ის ძვალტყავე ადამიანი, შიმშილს რომ ეძახიან? გაგიგონია რა ენაზე ლაპარაკობს ის? მე დედა ვარ, ლოთი ქმრისაგან შიტოვებული!... შენ, პატროსანო ქალბატონო, როდის იყო, რომ შეილების საზრდო გამომიგზავნე, როდის იყო, რომ ზომები მიიღე — არ გავრყენილიყავი! და შენ მეუბნები... „ღმერთი, ღმერთიო“. შენ, შენ უნდა გრცხვენოდეს ღმერთის და არა მე... მე შეილებს ვარჩენ!“

ცხოვრების მიერ გარიყული და „ფსკერზე“ დაშვებული ადამი-

ანების თემა XX საუკუნის დამდეგის მწერლობაში საკმაოდ გავრცელებული თემაა. იმ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში საკმარაოდენობით — შეიქმნა მაწანწალების, ბოგანოების, მეძაეების, დეკლამირებული და ლუმპენპროლეტარული ელემენტების სხვადასხვა სახეები.

მაგრამ ცხოვრების ამ „გერთა“ ტრადიციულ აღწერაში, კოლამ მაინც მოახერხა თავისი მგზნებარე და მამაცი ხასიათის შესაფერისი ბუნტარულ-პროტესტანტული ელემენტის შეტანა, რამაც მის შემოქმედებაში გაზარდა თანამედროვე სინამდვილის დაგმობის პათოსიკ და ცხოვრების მახინჯი მხარეების მხილების ძალაც.

ამ ნაწარმოების იდეური მიზანდასახულობის უფრო ღრმა გაგებისათვის მოვიყვანთ მ. გორკის კომენტარს (უფრო სწორედ ავტორისეულ მინაწერს), რომელიც მან დაურთო თავის მოთხრობას — „ერთხელ შემოდგომაზე (ამ ნაწარმოების ქართული თარგმანი შესრულებულია ივ. გიუნაშვილის მიერ. იგი გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“).¹ მ. გორკი თავის მინაწერში აღნიშნავდა:

„რისთვის ვლაპარაკობ ყოველივე ამას? რისთვის ბეჭდავენ ამისთანა წერილებს? ლიტერატურაში რა ადგილი აქვს როსკიპებსა და იმათ თავგადასავალს?.. იმისათვის, რომ იგრძნოთ, როგორ ვსრესავთ ცოცხალ ადამიანებს, როგორ ვუსპობთ სიციცხლეს ცოცხალ სულებს... ლიტერატურაში ადგილი აქვს ყოველ ხმას, თუ ეს ხმა გულწრფელია. ლიტერატურა არის ტრიბუნა ყოველი ადამიანისათვის, რომელსაც მხურვალე სურვილი აქვს გააგებინოს ხალხს ცხოვრების სიდუხჭირე, ადამიანის ტანჯვა-წვალება, შეატყობინოს ყველას, რომ ადამიანს პატივისცემა უნდა, რომ ყველასათვის აუცილებლად საჭიროა თავისუფლება, თავისუფლება, თავისუფლება“ (ხაზი ჩვენით — გ. ც.).²

ჭ. ლომთათიძის ნაწარმოების ქვეტექსტიც ასეთივეა: ავტორი გვიჩვენებს განატანჯი ადამიანების ბედს, ადამიანთა ცხოვრების სი-

¹ „ივერია“, 1900 წ. № 233.

² გორკის მოთხრობა «Однажды осенью», პირველად გამოქვეყნდა «Самарская газета»-ში, 1895 წ. № 154—156, სათაურით «Рассказ сывалого человека», შეტანილია მ. გორკის თხზულებათა ოცდაათტომეულში, ტ. I, გვ. 47

ღუბჭირეს და მკითხველს იმის შეგნებისაგან უბიძგებს, რომ „ყვე-
ლასათვის აუცილებლად საჭიროა თავისუფლება, თავისუფლება,
თავისუფლება“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭოლას ნაწარმოებში პროტესტი
უფრო მევეთრადაა გამოთქმული. ჭოლას მეძავი ქალი უფრო მეტრ-
ძოლი და რადიკალურად განწყობილია, ვიდრე გორკის მეძავი (ნა-
ტაშა), რაც თვით ნაწარმოებთა ავტორების რევოლუციური სუ-
ლისკვეთების ხარისხის მაჩვენებელი უნდა იყოს (რა თქმა უნდა,
ისიც გასათვალისწინებელია, რომ მ. გორკის მოთხრობა დაწერილია
1895 წელს, ჭ. ლომთათიძის კი 1901 წელს, მზარდი რევოლუციუ-
რი მოძრაობის პირობებში).

საყურადღებოა, რომ ამ მეორე ნაწარმოებში, ისევე, როგორც
პირველში, ჭოლა არ კმაყოფილდება სოციალური მხარით და
თუმცა გაკერით, მაგრამ მაინც ეხება ნაციონალურ საკითხსაც. თუ
პირველ მოთხრობაში მან დიდმპყრობელურ შოვინიზმს გაჰკრა
კლანჭი, მეორეში ცრუპატრიოტიზმი გაჰკიცხა და ის ყალბი პატ-
რიოტებიც ამხილა, ვისთვისაც „პატრიოტიზმი ღვინიან ჭიქაშია“,
ვინც პატრიოტულ მოვალეობას მალაღმარდოვანი სადღეგრძელო-
ების წარმოთქმაში ხედავს.

ჭოლა ლომთათიძის ამ ნაწარმოებს ის სატირული სიმკვეთრე ახა-
სიათებს, რომელიც პატრიოტული გულსტიკივილითაა ხოლმე ნა-
შობი. ეს სატირული ელემენტი იმ ხასიათისა, რომლითაც ილიას „კა-
ცია ადამიანი“ გამოირჩევა. შემთხვევითი როდია, რომ აქ ჭოლა
ილიას აზრების თავისებურ პერიფრაზას გვაძლევს, რითაც კიდევ
უფრო ნათელსა ხდის თავის გულისნადებსაც და მის გამიზნულო-
ბასაც.

ავტორი კიცხავს მრავალი თანამედროვე ქართველის ჰედონიზ-
მსა და სვეკმაყოფილებას, რადგან მათზე უფრო შორს იხედება და
ნათლად ხედავს იმას, რასაც ისინი თავისი ზედაპირული გონების
წყალობით ვერა სწვდებიან. „აბა როგორ შეიძლება, რომ გამაძლარ-
მა ქართველმა ბედის უკმაყოფილება იგრძნოს, ის არც იმდენად უმა-
ღური და უჭიშოა“ — ირონიულად წარმოთქვამს ჭოლა.

ჭოლას სურს, რომ ქართველებში არსებული სინამდვილის წი-
ნააღმდეგ სიძულვილი აღმოაცენოს, რადგან მისი რწმენით „კმაყო-
ფილება კაცობრიობის წელსაგია“ და მხოლოდ უსამართლო სოცია-

ლური სისტემის წინააღმდეგ სიძულვილს შეუძლია დიდი გარდაქმნების გამოწვევა, არსებულის წინააღმდეგ ხალხის აშხედრება.

ფრიად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ჭ. ლომთათიძემ თავის მოთხრობაში სატირული კლანჭი გაჰყრა იმ შემთანხმებელ-რეფორმატორებს, რომელთაც პატარ-პატარა ნახევრული ღონისძიებებით (არსებული პოლიტიკური და სოციალური სისტემის ხელუხლებლად), სურდათ სახალხო ბედნიერების დამყარება და „ძმობის, ერთობის და თანასწორობის“ მოპოვება. მოთხრობის ორი პერსონაჟი გულწრფელად აღიარებს: „ვეუსურვეთ რა საქართველოს ნაფიც მსაჯულთა სამართალი და ერობა, დაელიეთ რა რამდენიმე პატრიოტული სადღეგრძელო — ქართული პატრიოტიზმი ხომ ღვინის ქიქაშია — ცოტა არ იყოს დავიდალენით ამდენი ზვინის მუშაობით“...

„ნაფიც მსაჯულთა სამართალი“ და „ერობა“ აქ შემთხვევით როდია მოხსენებული. სწორედ ეს იყო ზოგიერთი ლიბერალისა და რეფორმატორის მოთხოვნათა თავი და ბოლო და სწორედ ამისთანა „მოღვაწეებს“ დასცინის აქ ჭ. ლომთათიძე. ამგვარი „პატრიოტები“ ჭოლას ლუარსაბ თათქარიძის ღვიძლ ძმებად წარმოუდგენია. „ალფონს დოდე ამბობს — წერს ჭოლა — თვითეული ფრანგი რამდენიმედ მაინც ტარტარენ ტარასკონელია. ქართველების დოდემ კი ასე უნდა თქვას: ყველა ქართველი რამდენიმედ მაინც ლუარსაბ თათქარიძეა, ვინაიდან ბატონებო, თუ მისი მკვიდრი შვილი არა, მისი შტოიდან მაინც წარმომდინარეობენ ქართლოსის კურთხეული შვილები“.

ამრიგად, უკვე პირველსავე მოთხრობებში გამოიკვეთა ინტერესთა რკალი, თემები, რომლებიც შემდგომში ჭოლას შემოქმედების შთამაგონებელ წყაროებად იქცნენ — ესაა სოციალ-პოლიტიკური უკუღმართობის მხილება და ეროვნული პარობლემა.

თავისი შემოქმედების მესამე ძირითად თემას — სიყვარულის პარობლემას, ჭოლა შეეხო თავის მესამე მოთხრობაში — „შეყვარებულნი“. ამ მოთხრობაში, რომელიც გარეგნულად ეტიუდის შთაბეჭდილებას ტოვებს, მოცემულია ორი დიამეტრიულად საწინააღმდეგო აზრი ქალსა და სიყვარულზე, რო-

მელიც, ეტყობა, თვით კოლასაც აწვალებდა მთელი მისი ცხოვრების მანძილზე და რომელთა დაპირისპირებასაც განუწყვეტლივ ეხვდებოდა მწერლის ყველა იმ ნაწარმოებში, სადაც იგი ქალსა და სიყვარულს ეხება.

ესაა, ერთის მხრივ, რწმენა „ნამდვილი“ წმინდა სიყვარულისა, რომელიც აღამაღლებს, აკეთილშობილებს ადამიანს, რწმენა ქალის მაღალ ღირსებებსა და დანიშნულებაში, ხოლო მეორე მხრივ, სკეპტიკური დამოკიდებულება ქალის როლისა და უნარისადმი, მისი სიწმინდისა და კეთილშობილებისადმი, რალაც ცინიკური, უარისმყოფლური დამოკიდებულება ნამდვილი სიყვარულისადმი, დაეკეება ამ წმინდა გრძნობის არსებობაში.

მიუხედავად ამ კიდილისა და რალაც უცნაური გაორებისა, კოლა ლომთათიძე, საბოლოოდ, თითქმის ყოველთვის, წმინდა სიყვარულის მქადაგებლად და ქალთა უფლებების დამცველად გვევლინება. ამიტომ მწერლისათვის მახლობელი და მისაღებია სწორედ იმ ახალგაზრდის განცდა და აზრი, რომელიც ამტკიცებს, რომ „სიყვარული ერთად-ერთი წყაროა კეთილშობილების, ერთად-ერთი წამალია, რომელიც ჩვენს მოუხეშავ და ბოროტ გულს ალბობს, ჩვენს პროზაიკულ, მატერიალური ინტერესებით ავსებულ ცხოვრებას აფერადებს, სილამაზეს აძლევს“.

ამ მოკლე ლირიკულ ეტიუდში იგრძნობა კოლას მგზნებარე ბუნება, ისმის მისი მღელვარე გულის ცემა. მწერალი ჭიჭური პირდაპირობით მიმართავს მკითხველს და ცდილობს დაარწმუნოს იმ ჭეშმარიტებაში, რომლისთვისაც თვით მას ძნელად მიუგნია და ახლა სურს ყველას გაუზიაროს, ყველას უქადაგოს თავისი მონაპოვარი, ყველა დააჭეროს თავისი აზრის სისწორეში: „რა ვუყვით, რომ თქვენ პირველყოფილ ადამიანის შეხედულებას ვერ გასცილებიხართ ქალზე, რა ვუყვით, რომ მეც თქვენი აზრისა ვიყავი, რა ვუყვით, რომ დღევანდელი ქალი თავის დანიშნულების სიმალღეზე ვერა დგას!.. დავანებოთ ისინი უკეთეს დროს და გარემოებას და ვნახავთ, რომ ქალი ღირსი იქნება თავყვანის ცემისა. გული, ქალის გული, თავდება, რომ ისინი მოლოდინს გაამართლებენ! სცდება ბებერი შოპენჰაუერი, როდესაც უარყოფს ქალის

მ ა ლ ა დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა ს , რ ო დ ე ს ა ც უ ა რ ყ ო ფ ს ქ ა ლ -
შ ი ა მ ზ ა ნ ა გ ს .“

მართალია, შემდგომში, პირადმა გამოცდილებამ ქალის მიმართ არა ერთი მწარე საყვედური ათქმევინა ჭოლა ლომთათიძეს, ორა-
ოდეჯერ, კვლავაც დააექვა სიყვარულის კეთილისმყოფელ ძალაში.
მის მარადიულობაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ბოლომდე დარ-
ჩა ქალთა ემანსიპაციის, მამაკაცებთან მათი თანასწორობის მტკიცე
მომხრედ, ქალთა ინტერესების ერთგულ დამცველად და წმინდა,
ამაღლებული სიყვარულის მგზნებარე მქალაგებლად.

ამიტომაც იყო, რომ უკვე თავის ერთ-ერთ პირველ მოთხრობა-
ში¹ ჭოლა გულწრფელად ნატრობდა: „ოპ, ქალო, ქალო, მოვესწრე-
ბი კი იმ ბედნიერ დღეს, რომ დედაკაცი აქეზებდეს მამაკაცს გმირულ
საქმეზე? ველირსებით კი იმ დროს, როცა შენი ლამაზი ბაგენი გზას
დაულოცავენ მებრძოლთ? მენაზა მინც ამისი, მახარობელი მერ-
ცხალი“.

მოთხრობა „მ ა ტ ლ ი ს“ სახით ავტორმა შექმნა მეტად საგუ-
ლისბმო ნაწარმოები. მართალია, იგი მოკლებულია გარკვეულ ამ-
ზავსა და პერსონაჟებს და მხატვრული კუპიურებით გადმოცემულ
მსჯელობას უფრო წააგავს (კაცობრიობის სტიმულზე, საზოგადოე-
ბასა და პიროვნებაზე, შიმშილსა და სიმამღრეზე და სხვა), ვიდრე
მხატვრული პროზის ჩვეულებრივ ნიმუშს, მაგრამ ეს ნაწარმოები
ძალიან მნიშვნელოვანი იდეური მიზანდასახულობით გამოირჩევა.
მისი პუბლიცისტური ელემენტი და ფილოსოფიური ასპექტი ამ
ნაწარმოების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გამიზნულებზე მეტყ-
ველებენ.

კოტა უცნაური მხატვრული ფორმის მიუხედავად, ავტორის
„სატკივარი“ სავსებით გარკვევით მოჩანს: „მინდა ვიშრომო, მინდა
თავი ვირჩინო — ამბობს მოთხრობის გმირი — მინდა მეც კაცებ-
ში გავეროო და... და ამის მაგიერ გსრესენ, ტყავს გაძრობენ, ფეპ-
ქვეშ გთელავენ... ქუჩაში რომ ვინმემ მხარი გაგკრას, ბოდის მო-
გიხდის და როდესაც კისერში ფეხებს დაგაბიჯებენ, როდესაც უკა-
ნასკნელ სახსარს მოგისპობენ, მაშინ კი არაეინ არ ცნობს თავს დამ-
ნაშავედ, განა ეს დაცინვა არ არის ზრდილობის, ადამიანობის?“.

¹ „ტალღები“, „ცნობის ფურცელი“, 1902 წელი, № 1781.

და აი, სწორედ აქ ჩნდება ის მეოთხე „ელემენტი“, ის მეოთხე თავისებურება, თემატიკური რკალი, რომელიც წინა სამივით,¹ წითელ ზოლად გააჭყვება კოლას მთელ შემოქმედებას — ესაა ბრძოლის ქადაგება, სამართლიანობის, ნამდვილი ადამიანური ცხოვრების ბრძოლით მოპოვების მოწოდება. „ტირილით და ვიშით ისე ვერას გააწყობ. როგორც ჩვენს ბატონებთან ვერ დაამტკიცებ, რომ ესა გვეჩრია და არა ის, რასაც ისინი გვაწოდებენ. მის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო, რადგანაც საწინააღმდეგო საგანი ძალას წარმოადგენს და ძალა და გულჩვილობა ხომ ვერ დაუდგება ერთმანეთს“.

ავტორს სურს, რომ ჩაგრულთა წასა ერთობლივად დაირაზმოს მტრების წინააღმდეგ და სიძულვილით ავსებულმა სამკედრო-სასიციოცხლოდ შეუტიოს დღეშმანს. ჩაგრულთა ასაჯანყებლად, მათი რისხვისა და შურისგების გამოსაწვევ ხერხად, მტრის მიმართ დაუნდობლობის აღმზრდელ საშუალებად კოლას შიმშილი მიაჩნია.

ხალხის გაჭირვებასა და შიმშილში ხედავს ჭ. ლომთათიძე მასების საბრძოლოდ დარაზმვის, უსამართლობის წინააღმდეგ მათი ამხედრების საუკეთესო საშუალებას: „კუჭის სიმაძღრე, აი, რას უნდა ერიდოს თანამედროვე მებრძოლი. მგელი ორწილ გაბედული და ღონიერი მაშინ არის, როდესაც შია. კუჭი უნდა იყოს ცარიელი, საზაგიეროდ გული, გული უნდა ასაზრდოვო. გული უნდა ერთი ვეებერთელა ქურა იყოს, სადაც ცეცხლი მუდმივ უნდა გუზგუზებდეს. და აი, მაშინ დარწმუნებული იყავი, რომ შენი გასროლილი ტყვია მიზანს არ ასცილდება“.

„მატლში“ ჭ. ლომთათიძე ქადაგებს ძლიერი ხასიათების, მებრძოლი ადამიანების საჭიროებას, ამკობს მათ შინაგან სილამაზეს და გადამწყვეტ მნიშვნელობას აკუთვნებს ცხოვრების გარდაქმნის საქმისათვის. ავტორს მოსწონს და უყვარს ისინი, ვინც „წინააღმდეგია კვენისისა, რომელშიც მუქარა არ გამოისმის“, მასში „ზიზღს იწვევს სულით დაცემა“.

კიდევ უფრო მეტ ზიზღს იწვევს კოლაში შემრიგებლური დამოკიდებულება არსებულ უსამართლობასთან, მეშჩანური განმარტობა და საკუთარ ნაჭუჭში ჩაქეტვა, სწრაფვა „წყნარი ცხოვრები-

¹ ეს სამი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის: სოციალური უკუღმართობის მხილება, ეროვნული პრობლემა და ქალის, ოჯახის და სიყვარულის საკითხები.

საქენ“, ირგვლივ გამეფებული „ყაჩაღობის“ პირობებში. ადამიანის შეგუებას ყოვლად უკუღმართ სოციალურ სისტემასა და პოლიტიკურ რეჟიმთან ჭოლა „მოქცეიანებას“ უწოდებს და ამ მოქცეიანებაში დიდ ბოროტებას ხედავს.

„იცი, რას ნიშნავს „დაქცეიანება“? ეს არის — არც მეტი და არც ნაკლები — სულის სიკვდილი, „დაქცეიანება“ ეს წელკავია ჩვენი, ეს ისეთი მათრახია, რომელიც... არაქათს ჭლევს კაცობრიობას. ამ სენის წყალობით ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაქცეულა.

შეგნებული, პატიოსანი ნაწილი კაცობრიობისა მაგის წინააღმდეგ მთელი თავისი ძალღონით უნდა ამხედრდეს. ისტორია კაცობრიობისა — ეს განუწყვეტელი ბრძოლაა „დაქცეიანებასთან“. ვის ებრძოდა ვოლტერი, შილერი, პიუგო, დიკენსი — „დაქცეიანებულებს“. ვინ სდევნის დღეს მეცნიერებას, კულტურას, ნათელ აზრს? — იგივე „დაქცეიანებულები“. „დაქცეიანება!“ — ამ სიტყვაზე მე თვალწინ მიდგება უსულო ადამიანი, ცოცხალი მიცვალებული, მგლური თვალებითა და კბილებით, მიდგება თვალწინ გაბატონებული მუცელი და დაშინებული სული, ადამიანი, რომელსაც ყოველნაირი კავშირი აქვს გაწყვეტილი თავის უფლებასთან, რომელიც მომკვდარა, როგორც ადამიანი და ცოცხალია, როგორც პირუტყვი!

„დაქცეიანება“ — ეს არის დღესასწაული ღორის დაწესის აგება ადამიანის, მევერწარმო მიდგენია „დაქცეიანება“ და ადამიანობა ერთად. დღიდან ადამიანის გაჩენისა, ეს ორი ელემენტის ამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა შია და აი, ეს ბრძოლა არის წითელი ზონარის ისტორიისა. ამ ზონარზეა აკინძული ყველა ფაქტები ადამიანის წარსულისა“.

ეს ვრცელი ამონაწერი აქ იმისათვის მოვიტანეთ, რომ ცხადვით რამდენად პირდაპირ, თამამად, პუბლიცისტური სიმკვეთრითა და პოლიტიკური მგზნებარებით გამოდიოდა ჭოლა ლომთათიძე შეგუების წინააღმდეგ და რა ხმამაღლა, რა გაბედულად მოუწოდებდა „დაქცეიანებასთან“ ბრძოლისკენ; როგორც ერთადერთ საშუალებაზე

„ცხოვრების ჯოჯოხეთიდან“ თავდახსნისა და თავისუფლების მოპოვებისა.

„დაჰკვიანებასთან“ ერთად ჯოჯოხეთი ილაშქრებს მოთმინების წინააღმდეგაც, რადგან ხალხის ზედმეტ მოთმინებაში კაცობრიობის აისუსტეს და ადამიანთა საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური წარუმატებლობის მიზეზს ხედავს. აი, როგორ ახასიათებს მოთმინებას „მატლის“ პერსონაჟი, სანდრო, რომლის სიტყვებშიც თვით ჯოჯოხეთს შეფასებანი და აზრები მოჩანს: „მოთმინება“ — აი, ის წყვეული ჭაჭვი ამირანისა, რომლიდანაც არ იქნა და არა, ვერ გაითავისა აუფლა თავი ამ უებრო გმირმა. მოთმინება — ეს თითქოს ჩაქუჩია, რომელმაც უნდა ამსხვრიოს ადამიანთა სურვილებიცა და მისწრაფებანიც! აი, ამ წყვეული „დაჰკვიანების“ მკვიდრი შვილია — მოთმინება.

არა, ძმავე, მოთმინებით ჩვენ ვერ დავიმკვიდრებთ ქვეყანას, ეს დრო-მოკმეული მცნებაა, რომელიც სამუდამოდ უნდა ამოიშალოს თავიდან. მოთმინება და იმედოკი არა, ბრძოლა და იმედო...

ეს მომწოდებლური სიტყვები მკითხველისადმი მიმართული. ამ სიტყვებში მოჩანს მთელი ჯოჯოხეთი — მგზნებარე პროპაგანდისტი, უშიშარი ნებრძოლი, ცხოვრების ახლებურად გადაჭედვის დარწმუნებული მომხრე და მასების რევოლუციური ბრძოლის ერთ-ერთი მოთავე.

ამრიგად, „მატლი“ ჯოჯოხეთის მოთმინების მისწრაფებათა საოცარ ერთიანობაზე მეტყველებს და მისი პიროვნების მონოლითურობის შესანიშნავ საბუთს წარმოადგენს. ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციამდე ბევრად ადრე პირველსავე მოთხრობებში ჯოჯოხეთი რევოლუციური ქარიშხლის მომლოდინედ, მის მომხრედ, მოტრფილედ და მქადაგებლად გვევლინება. 22 წლის ქაბუკს სურს აამხედროს და გაიტაცოს მასები, იგი იმთავითვე ამეღავენებს რევოლუციის ტრიბუნის თვისებებს და ოცნებობს იმ დროზე, როცა ხალხს მოთმინების ფიალა აეცემა და დახავსებული სამყაროს იერიშზე გადავა.

აი, ამიტომაც იგი ასეთი ზიზღით გაშკაფალული „მოკვიანებისა“ და „მოთმინების“ მიმართ, რომელნიც, მისი აზრით, რევოლუციური პროგრესის შემფერხებელ დაბრკოლებებს წარმოადგენენ.

1902 წელს დაწერილი მოთხრობა „ტალღები“ იმ მხრივაც საყურადღებოა, რომ მთლიანობაში წარმოგვიდგენს ქოლას და გვიჩვენებს მისი რევოლუციამდელი და რევოლუციის დროინდელი მისწრაფებების ერთიანობასა და უწყვეტობას. ქოლა ლომთათიძე იყო და დარჩა რევოლუციის შთაგონებული მხატვარი დი აგიტატორი.

იმავე, როგორც თავის დროზე, ილია ქაქუცაძე თერგს შეტრფოდა და გაღვიძებული ცხოვრების სიმძოლოდ სახაედა, ქოლაც შეტრფის აღელვებულ ზღვას („ტალღები“), შეტრფის მისი „ცოფიანი ტალღების“ გაშმაგებულ ბრძოლას ნაპირთან“.

„ჩემი გულიც იღვიძებს ამ დროს, ღონეს ივსებს, გაბედული ხდება, მოხვებს ერთი დავიყვირო, ისეთი ვიყვირო, რომ ცა და ქვეყანა შევძრა, ყველაფერი უვარგისი და ცუდი შევეყარო ერთად და მერმე, ვიქცე რა წყლად, გადავლეკო ისინი ცხოვრებიდან...“

ეს სიმბოლური შინაარსის ესკიზი¹ ნათელი ქვეტექსტის შეძახილით მთავრდება: „ოჰ, დიდებულო ტალღავ, რა მიყვარხარ შენ! მოდი სანატრელო!“ აქ ტალღა იმ სახალხო მღელვარების აღგორიანაა, რასაც ასე ნატრობდა იმდროინდელი მახინჯი სინამდვილის დაუნდობელი მტერი და უდრეკი რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული ქოლა.

ფიქრი „ტალღებზე“ (როგორც საზოგადოებრივი მოძრაობისა და მღელვარების სიმბოლოზე) ქოლას შეგნებაში მყისვე უკავშირდება ფიქრს ქალზე, როგორც არსებაზე, რომელსაც მისი სიტყვით „არა სწამს არავითარი ტალღა მისი საკუთარი გულის გარეშე“.

როგორც ეხედავთ, მწერალი აქაც მჭიდროდ აკავშირებს საზოგადოებრივ წინსვლის საქმეს, რევოლუციის საქმეს—ქალისა და სიყვარულის პრობლემასთან. მაგრამ რისთვის? — იმისათვის, რომ კადევ ერთხელ იქადაგოს ქალთა დარაზმვის მნიშვნელობა რევოლუციური წინსვლელობისათვის, მოუწოდოს საზოგადოებრიობას

¹ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ესკიზში აგრძნობა დიდი სიახლოვე ქოლას უფროსი თანამოკალმის შალვა დადიანის მინიატურებთან. ქოლა კარგად იცნობდა მის შემოქმედებას. „შეყვარებულში“ ქოლას მოყვას ერთი სტროფი შ. დადიანის ცნობილი ლექსიდან — „მხოლოდ წინ ერთს“. ქოლას ეს ესკიზი უახლოვდება შ. დადიანის „ჩამოკრულენს“ მიზანდასახულობით, სიმბოლური გააზრებით, მკაფიო აღგორიით და რევოლუციურ-დემოკრატიული სულით.

ქალთადმი ხელშეწყობისაჲენ, ქალების რევოლუციის სამსახურში ჩადგომისაჲენ, მამაკაცთა შემწედ და მეგობრად გახდომისაჲენ.

ჰოლა ლომთათიძე ცდილობს ქალთა მოქალაქეობრივ თვითშეგნების გაღვიძებას, მათ აქტივიზაციას, დარაზმვასა და ახლებურად აღზრდას. სწორედ ეს ოცნება ჩანს ნაწარმოების ლირიკული გმირის სიტყვებში: „ოპ, ქალო, ქალო. ზოგენსწრებით კი იმ ბედნიერ დღეს. იმ სურათს, რომ დედაკაცი აქეზებდეს მამაკაცს გმირულ საქმეზე? ველირსებით კი იმ დღეს, რომ შენი ლამაზი ბაგენი გზას ულოცავდეს მებრძოლთ? შენახა შინც ამის მახარობელი მერცხალი!“

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჰოლამ თვით შექმნა ასეთ „მახარობელ მერცხალთა“ სახეები. მან მოგვცა ქალთა რამდენიმე პერსონაჟი, რომელნიც მტკიცედ უდგანან გვერდში მამაკაცებს და მათ გამხნევებელ, შთამაგონებელ ძალად გვევლინებიან. ჰოლას ქალები სწორედ იმ ქალების განსახიერებას წარმოადგენენ, რომელნიც მომავალში მართლაც წარმოქმნა რევოლუციურმა სინამდვილემ.

მჩქეფარე და დაუდგრომელი ჰოლა ქართულ ლიტერატურაშიც ასწრაფებული ნაბიჯებით შემოიჭრა. მისი სამწერლო დებიუტი შემოქმედებით ციებცხელებას გვაგონებს: რაღაც სამიოდე-ოთხიოდე თვეში ხუთამდე მოთხრობას აქვეყნებს, რაც იმდროინდელი პერიოდული პრესის „წარმადობის“ თვალსაზრისით, უთუოდ დიდ ინტენსიობას წარმოადგენს.

ჩანს, სათქმელი ჰოლას ჯერ კიდევ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლამდე დაგროვებია, გულში დაჰკუბებია და ამ აღრევე გააზრებულმა სახეებმა, მქენჯანემა აზრებმა ერთბაშად ჰპოვეს გამოსავალი — ნიაღვარივით გადმოხეთქეს. ჰოლა თითქოს ჩქარობს თქვას თავისი სათქმელი და ამის გამო პირველსავე მოთხრობებში თითქმის ყველა იმ საკითხს ეხება, რომელნიც შემდგომში მისი შემოქმედების სერხემალურ თემებად იქცნენ.

აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით ჰოლა ლომთათიძე კვლავ დაუბრუნდა ამ თემებს, როცა ცხოვრებაში მომხდარი ისტორიული ძვრებისა და მწერლის იდეოლოგიურ შეხედულებებში მომხდარი ცვლილებების გამო საბოლოოდ დადგინდა და შემუშავდა ჰოლას მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისი, შემოქმედებითი მეთოდი და პრინციპები, გამოკრისტალდა მისი ინდივიდუალური მხატვრული სტილი.

ჰოლა ლომთათიძის რევოლუციამდელი პერიოდის ნაწარმოე-

ბებში (თვით ისეთი ესკიზური ხასიათის მოთხრობაშიც კი, როგორცაა, მაგალითად „დასაფლავება“) თითქმის ყოველთვის ორი თემა ეწმახნება ერთმანეთს: სოციალური და ნაციონალური. ამ ორ უმთავრეს თემას ავტორის გულიდან მომდინარე ლირიკული განცდები ეხლართება. ეს განცდები ლირიკული პროზის ფურცლებად ახვევია იდუის მატარებელ კოკორს. განცდები გამოწვეული ხალხის ტანჯვით, სამშობლო ქვეყნის ბედკრული მდგომარეობით.

ამიტომ მიმართავს მწერალი ორმაგი (სოციალური და ნაციონალური) ჩაგვრის მარწუხებში მოქცეულ საქართველოს: „კურტანი! ეს ხომ შენი უნაგირია, სამშობლო მხარე! არსებობა შენი — ეს ხომ ამ კურტანს ქვეშ წოლააა და ბრძოლა ამ კურტანთან, ბრძოლა გაუთავებელი, უღმერთო“...

მწერლის თანამედროვე სინამდვილე, სადაც ქურდობა და ბოროტება, მრუშობა და გამცემლობა არსებობის აუცილებელ პირობად იყო გამხდარი, სადაც „სიმდიდრე ისე ვაჭრობდა ადამიანებით, როგორც ძროხის ხორცი“ — ქვეყნის წინამძღვრად ჩამულეთისთანა ყაჩაღებს აწინაურებდა. მაგრამ პირველი „დაწინაურების“ შემდეგ ყაჩაღები კიდევ უფრო გაუმადლარი და ხარბები ხდებოდნენ.

მათ საოცრად გაზრდილ მადას ვერაფერი ვერ აძლობდა, შავი შიშის მეტი. ამიტომ აგვირგვინებს ამ მოთხრობას გესლიანი რეფრენი. — „შენ გააძლე გაუმადლარი, საშობლო მიწავ“

გაუმადლარ ჩამულეთში, ნართაულად, ექსპლოატატორთა მთელი კლასი იგულისხმება! ავტორი ცდილობს ჩამულეთისთანა ადამიანებისადმი მათი სიკვდილის შემდეგაც კი ზიზღი გეაგრძნობინოს, რადგან ჭოლას აზრით: „სიკვდილის შემდეგ რომ სიყვარული, ან სიტულებილი არ ვიგრძნოთ ადამიანისადმი, მაშინ ხომ ისტორიაც უნდა წავშალოთ, რადგან ეს ორი ნიჭი სწერს მას“.

ზიზღი მჩაგვრელებისადმი ჭოლას მიაჩნია ისტორიის უდიდეს ძალად და სწორედ მასში ხედავს კლასობრივი თვითშეგნების გამოუმუშავების მიზეზსაც და შედეგსაც. ჭოლა ზიზღის თავისებურ „თეორიასაც“ კი ქმნის და კიდევ უფრო განავრცობს თავის გამონათქვამა! „შხამიანი, ცეცხლოვანი ნერწყვიან“ შესახებ.

„სიყვარულის ქადაგება მაშინ შეიძლება, როდესაც ენას გულის

1 ეგულისხმობთ „შეყვარებულის“ ზემოთმოყვანილ სტრიქონებს: „ჩემს გულში გულის მაგიერ ცეცხლი ანთია და ეაი იმას, ვისაც ჩემი ნერწყვი მოხვდება...“

გესლში ამოაელებ და იმისაგან შემზადებულ სიტყვებს მოპირდაპირეს შესტყორცნი. რამდენად მეტს პნერგავ ადამიანის გულში ზიზღს რომელიმე საგნისადმი, იმდენად ძლიერი მქადაგებელი ხარ სიყვარულისა, ვინაიდან წარმოუდგენელია სიყვარული, თუ სიძულვილი არ შევიძლია. როგორ პფიქრობ, რა იქნებოდა სახარება, რომ ის ფარისეველთადმი ზიზღით არ იყოს გაჟღენთილი? აი, ასეთ ზიზღს ჰქვია გამაყეთილშობილებელი ზიზღი. ეს ამალღებს ადამიანს...“

მართლაც, კოლას მთელი შემოქმედება ესაა ორი საპირისპირო გრძნობის გამოვლინება — სიძულვილი ექსპლოატატორებისადმი, თვითმპყრობელობისადმი, ბურჟუაზიული წყობილებისადმი და სიყვარული — ადამიანისადმი, მუშათა კლასისადმი, მისი განთავისუფლების საქმისადმი.

პ. ლომთათიძემ, მართლაც რომ გესლში ამოაელო თავისი მახვილი, სიმაართლის მღალადებელი ენა და მჩაგვრელთადმი დაუფარავი ზიზღით შემზადებულ სიტყვის ყუმბარებს; სტყორცნიდა ხალხისა და თავისუფლების მტრებს, ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღეებიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

პ. ლომთათიძის 1905 წლის რევოლუციის წინადროინდელ შემოქმედებაში ფრიად საყურადღებოა სიმბოლურ-ალეგორიული ხასიათის ნაწარმოებები, რომლებიც ირიბი, ნართული თქმებითა და სახეებით გვიხატავენ მოახლოვებული რევოლუციური ქარიშხლის სურათს და მიზნად ისახავენ ხალხის საბრძოლო სულისკვეთებით გამსჭვალვას, მის ამხედრებას ძველი წესწყობილების წინააღმდეგ.

ასეთია, მაგალითად, მინიატურა „ნ ა ზ ა რ ე ვ ე ლ ი ა ლ ს დ გ ა“, რომლის ბიბლიურ სამოსში გახვეულ ალეგორიულ სახეებში იგულისხმება ხალხის საბრძოლველად დარაზმვა.

მინიატურის ფინალში ჩაგრულ-ნაწ:პები მშრომელი მასება, რომლებიც ექსპლოატატორებს სამუდამოდ წელში გატეხილი და მონურად მოხრილი პკონიათ, გაიმართებიან, მკედრეთით აღდგებიან, მჩაგვრელები კი „ჩუმი წყევლით შეხედნენ გათენებას. მათთვის ახლა იწყებოდა საღამო...“ ამ სიტყვებში, რომლებიც მინიატურას აგვირგვინებენ, ისევე როგორც მთელ ნაწარმოებში, იგრძნობა მდიდარი ქვეტექსტი.

„იესო ნაზარეველი, რომელიც თქვენ აწამეთ, მკედრეთით აღდგა“. — ესმით მჩაგვრელებს იღუმალა ღმა და ამ იღუმალა ხმის მო-

წახილშიც თავისი ნართაული აზრია — ნატანჯი და ჯვარცმული ქრისტე (ნაზარეველი) იმ სიმართლისა და სამართლიანობის აღევორიაა, რომელიც ექსპლოატატორულ საზოგადოებაში განუწყვეტელი დევნასა და კიცხვას განიცდიდა.

ასეთივე რევოლუციური განწყობითაა ამეტყველებული ჟოლას მეორე მინიატურაც — „აქ რე სინათლე, აქ რე, მე მაინც ავანთებ მას“, რომლის თვით სათაურიც მის აღეგორიულ ხასიათზე მეტყველებს. მართლაც, ამ მინიატურის აღეგორიული საძმოსელი იმდენად გამჭვირვალეა, რომ მეფის ცენზურა მაშინვე ჩახვდა ქვეტექსტს და აკრძალა მისი გამოქვეყნება (ეს ნაწარმოები მართო ჩვენს დროში დაიბეჭდა.)¹

ამ მოკლე, სხარტი მინიატურის სიმბოლური აზრი ყოველ ფრაგმენტში მოჩანს. ამიტომაც გაუსვა ცენზორმა ხაზი აღეგორიულ სურათს, სადაც თვითმპყრობელური რუსეთის ნართაული სახეა გამოცემული: „ზამთრის ბნელ ღამეს ზოეცო ჩრდილოეთის მხარე (ჩრდილოეთის მხარეში ცხადია თვითმპყრობელური რუსეთის იმპერია იგულისხმება გ. ც.)... ავი ღმერთი სიბნელისა, ღმერთი, რომელსაც დაეპყრო ბნელეთი, ხელს უშლიდა ადამიანების კანონიერ ცდას — ბედნიერი ცხოვრების მოწყობისა და სინათლეს უქრობდა მათ, რათა წაერთვა ხალხისათვის მაცოცხლებელი სითბო და შუქი.

მაგრამ სადაც კი სიბნელის ღმერთი, ხალხთა დასაჩაგრავად, მკვარს აქრობდა, იქ ღმერთი სინათლისა, კეთილი გენიოსი, ხალხისავე სასიხარულოთ აჩაღებდა ცეცხლს და ეს ცეცხლი ანათებდა, არა თუ მარტო ქოხს, არამედ ქოხს გარეთაც“.

სიავის ღმერთი უფრო გაბოროტდა, მაგრამ რამდენსაც მეტს უბერავდა, რამდენსაც მეტს ცდილობდა, „იმდენად უფრო და უფრო მატულობდა ალი და ინთებოდა ცეცხლი“. განა ცხადი არაა, რომ ეს „ცეცხლი“ რევოლუციური ალია, რომელიც თავის სინათლეს უწყდენდა „შორეულსა და მიყრუებულ სოფლებს, ისე, რომ იმისი გამოანაშუქი აღწევდა უცხო ქვეყნებსაც კი“.

„ავი“ და „კეთილი“ ღმერთების ამ ბრძოლაში ინათა კიდევ და ბნელიც განიფანტა. „სინათლეში“ კი „ცეცხლი“ საჭირო აღარაა. ამ უკანასკნელი სახის სიმბოლური ქარაგმისაგან განთავისუფლე-

1 „მნათობი“, 1929 წ. № 5.

ბით, ასეთ აზრს ვიღებთ. —სახალხო თავისუფლების პირობებში აღარც „რევოლუციური ცეცხლის“ საჭიროება იქნება.

ასეთივე რევოლუციურ ქვეტექსტს შეიცავს მინიატურა თეთრ ლექსად „ზღვა“ (ლექსი ი-პროზად)¹.

აღვლევადი ზღვის სიმბოლიკა ჭ. ლომთათიძის შემოქმედებაში პირველად გამოჩნდა ესკიზში „ტალღები“. იქ ასეთი სიმბოლური სურათი იყო დახატული „ტალღა ტალღას ეჯახება, ღელვა მატულობს და მისი მედგარი ხმა მკაფიო გუგუნით იფანტება ჰაერში, ამოძრავებს გაჩერებულ სივრცეს“.

ადვილი მისახვედრია. რომ ეს განრისხებული სტიქიონი რევოლუციური დუდილის ალეგორიაა. „ტალღებში“ მოცემული ეს ალეგორია შემდგომ გაშლას პოულობს მინიატურაში „ზღვა“, რომელშიც კვლავ აბობოქრებული ტალღების სიმბოლიკას ვხვდებით. „დაეჯახა ტალღა ტალღას, ახმაურდა და აბობოქრდა ზღვისა უფსკრული, ბრძოლის სურვილი აღმურივით მოედო გულსა“.

მწერალი აღტინებაზე: შოდის ამ სურათით, აბობოქრებული ზღვა მასში ფართო ასოციაციებს იწვევს —მას სურს, რომ ასეთივე „ღელვა“ ამოვარდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რათა წალეკოს და შთანთქას ქვეყნად გამეფებული უსამართლობა. ამიტომაც იზიდავს და ათრობს მას მოვარდნილი ქარიშხალი. „კვლავ აღღვა ღმერთი, დიდი ღმერთი მედგარი ბრძოლისა, კვლავ ახმაურდა, ამოძრავდა უძლევი ძალა... გაშვდა სივრცე. ამოყარა მისი სიღრმიდან რაც სიბინძურეს მოეყარა ძილის დროს თავი, უბრძანა ტალღებს —გაეტანა ის ნაპირს გაღმა...“

ალეგორიული სამოსი აქაც ნათელია და ამიტომ ადვილი მისახვედრია, თუ რას გულისხმობს ავტორი იმ „სიბინძურეში“, რომელიც ზღვის „ძილის დროს“ (ე. ი. დამყაყებული საზოგადოებრივი ყოფის დროს) ამოტივტივებულია ცხოვრებში სიღრმიდან და რომლისგანაც „განთავისუფლებას“, რძა გარყვასაც და თავიდან მოშორებასაც ცდილობს აბობოქრებული სტიქიონი.

იგივე აზრი, ე. ი. „ზღვის“ (ანუ ხალხის, ცხოვრების) „თვითგაწმენდისა“ მოცემული იყო უფრო ადრე გამოქვეყნებულ ესკიზში — „ტალღები“. მაგრამ მაშინ ავტორი ჯერ კიდევ არ იყო „შეჩვეული“ ზღვის ღელვას „ვერ ვუძლებდი ამ აურაცხელი სივრცის ბობოქრო-

¹ არაერთხელ აღნიშნულა, რომ „ზღვას“, ის ეკალაძის გავლენა ამჩნევია. ვტიქრობთ, ეს მართლაც ასეა.

ბას და ჯოჯოხეთურ ღრიალს, ბრძოლის ყიეინას, ხმაურობა მძულდა“.

ეტყობა ავტორი მაშინ ჭერ კიდე ვერ ჩაწვდომოდა „თვითგაწმენდის“ სიბრძნეს, — „მძაგდა ის ტალახი და სიბინძურე, რომელიც მას ასე ერთგულად გამოჰქონდა ნაპირზე და სტოვებდა. რა ვიცოდი მაშინ, თუ იმ ტალახს მზე გააშრობდა და ზღვას კი გული ეწმინდებოდა. ის ხომ ადამიანი არ არის, რომ გულს ჩაბინძურება აიტანოს?..“

საინტერესოა, რომ „ზღვაში“ ავტორი კელავ გამოთქვამს ზიზღს „კმაყოფილებისადმი“ და „დაჰკვიანებისადმი“, რაშიაც ჭოლა ბედთან შერიგებას, ბრძოლაზე ხელის აღებას, მაენე ლიბერალიზმს გულისხმობს. ეს აზრი მან პირველად „მატლში“ გაატარა, სადაც მოთმინებას უწოდებდა „წყეულ ჯაჭვს ამირანისაჲ, რომლიდანაც ვერ იქნა და ვერ გაითავისუფლა თავი უებრო გმირმაო“. ასეთივე მანე საწყის ხედავდა იგი სიმამლრეშიც, როგორც მეშხანური ყოფის იდეალში. ჭოლას მიხედვით „კუჭის სიმამლრე —აი, რას უნდა ერიდოს თანამედროვე მებრძოლი“.

მებრძოლი სულის დაჩლუნგებას, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვას ჭოლა —„დაჰკვიანებას“ უწოდებს. „ამ სიტყვაზე მე თვალწინ მიდგება... გაბატონებული მუცელი და დაძინებული სული, ადამიანი, რომელსაც ყოველნაირი კავშირი აქვს გაწყვეტილი თავისუფლებასთან, რომელიც მომკვდარა როგორც ადამიანი და ცოცხალია როგორც პირუტყვი!“

მინიატურა „ზღვაშიც“ ისეთივე ზიზღია გამოთქმული „კმაყოფილებისადმი“, როგორც „მატლში“ — „სიმამლრისა“, „დაჰკვიანებისა“ და „მოთმინებისადმი“. ჭოლა ლოშთათიძეს სძულს თვითკმაყოფილება, რომელმაც არ იცის არც ზღვისებური „ლელვა“ და არც ტალახის ნაპირზე გამოტანა, თვითგაწმენდის მიზნით. ჭოლას იგი ძალზე მაენე გრძნობად მიაჩნია. „კმაყოფილებაე“, შე წელკავო კაცობრიობის, მოსისხლე მტერო კეთილშობილ გულისტივილთა, სატანის შვილო, მომწამლელო ჩვენის ცხოვრების, შავ ძალთა მიერ ამა ქვეყნად წარმოგზავნილო, ღვთის მცნების —სიყვარულის —შესამუსრავად“.

ავტორის აზრით, სიყვარული როგორც ადამიანთა თანხმობისა და ძმური თანამშრომლობის სიმბოლო მაშინ ეწვევა სვე-გამწარებულ

კაცობრიობას, როდესაც იგი „ვით ზღვა განიწმინდება“ სიბინძურისაგან.

ჰოლა მოუთმენლად ელის „დიდი მცნების“, „სიყვარულის, ქვეყნად სტუმრობას, თუმცა კი იცის, რომ კიდევ დიდხანს დაავიანდება მას მოსვლა. „მოხვალ ვიცი, მაგრამ როდის, იმედო, როდის იქნება დაღალულნი ჩაგეკვრათ გულში!.. „კმაყოფილება“ ჭერ თავის სრულ უფლებებშია და სიბინძურეს, ჩვენი გულის სიღრმეში ჩაფლულს, ნანატრი სხივი ოდნავადაც არ მინათებია!..“

ამ ნაწარმოების აზრიც, სავსებით ნათელია: „კმაყოფილება, კაცობრიობის ეს წელკავი, ზღვის „ღელვამ“ უნდა მიწისაგან პირისა აღგავოს, რათა რაც შეიძლება მალე ესტუმროს გატანჯულ კაცობრიობას — სათნოება, სიწმინდე და სიყვარული კაცთა შორის.

არანაკლებ საინტერესოა თბილი ლირიზმით გამსჭვალული ესკიზი „აღსარება“, რომელშიც დროდადრო გამოქვადენებულ მელანქოლია ოპტიმიზმს ეხლართება. ამ მკირე ფორმის ნაწარმოებში ჰოლას გესლიანი სარკაზმიც გამოვლინდა.

ავტორი დასცინის ყველა იმ მეშჩანს, ვინც უპირველესად, საკუთარ ტყავს უფრთხილდება. ასეთ „მოჭკვიანებულ“ და „წინდახედულ“ ეგოისტებს თბილი, „ოცმანეთიანი ადგილის“ დაკარგვისა ეშინიათ და ამიტომ ცხოვრებაში ყოველგვარ „უმსგავსობას ურიგდებიან“.

ასეთებისთვის — „სხვისი ჰირი, ლობეს ჩხირია“. რაც არ უნდა მოხდეს, ისინი ბოროტების წინააღმდეგ ხმას არ აღიმალლებენ. „თქვენ მხდალნი ხართ — მიმართავს მათ ავტორი — თქვენ ყველაფერი გაშინებთ, თქვენ, ბატონებო, კურდღლები ხართ, რომელთაც წყალში გადამხტარი ბაყაყიცი კი აგიტეხთ გულის კანკალს“. ასეთი პირდაპირობით და დაუზოგაობით მიმართავს მგზნებარე ჰოლა თავდაზღვევის მოყვარულ მხდალ მეშჩანებს.

ამავე ესკიზში ღრმა განცდითაა აღწერილი წვიმიანი ქარაშოტი და მოცემულია ავდრის პლასტიკური სურათი. წვიმასა და ქარში (ალეგორია მძიმე თანამედროვეობისა), როცა განსაკუთრებით იგრძნობა რბლობისა და მოუსაფარობის სიმწვავე, ავტორი მაინც გულს არ იტეხს. მას სწამს, რომ „ეს წვიმა, ეს ქარი დროებითია. გამოვა დარი... იმედი და სულ იმედი!“

მდიდარია თავისი სიმბოლიკით და ქვეტექსტით თეთრ ლექსად

დაწერილი ლირიკული ეტიუდი — „კვლავ ფიქრი, ფიქრი“ (ლექსი პროზად), სადაც ასევე ხმამაღლა უღერს უსამართლობითა და ბოროტებით გულდათუთქული მოქალაქის მწარე საჩივარი.

ამ პერიოდში (1903 წ.) აეტორს, ჩანს, ჯერ კიდევ არ აქვს შემუშავებული მტკიცე სამოქმედო პროგრამა და ამიტომ, მშრომელთა კენესის პასუხად, მას ხან სოციალური ქარტეხილების ნატვრა აღმოხდება და ხანაც მწარე კენესითა და ცრემლებით იოხებს გულს.

ეს ნაწარმოები რიტმული პროზის ჩინებული ნიმუშია. მისი ცალკეული ნაწილები კი ლექსის თვისობრიობას ამჟღავნებენ. აი, როგორ სახეს მიიღებს ქოლას ეს „მოთხრობა“, თუ მას ლექსის ფორმით წარმოვიდგენთ:

თქვენ, ჩემო ძმებო, მეგობრებო, ცხოვრების ბუშნო,
სულ ყველაფერი თქვენი უღლით გაკეთებულა.
ციხე, დარბაზი, ოქრო-ვერცხლი, პური და ღვინო
თქვენი ძლიერი მარჯვენითა გამზადებულა.

ამის ნაცვლად კი თქვენი ცრემლები დიდ ოკეანედ
გადაქცეულა, ერთ ადგილასა შეკავებულა
და რომ იხეთქნა, გადმოლაზოს დიდი კედლები,
ასე მძლავრად ჯერ კიდევ ის არ აღელვებულა.

თქვენთვის, პაერო და ფილტვებო არსებობისა,
თქვენთვის, მიძღვნია ჩემი სულა და ჩემი გული,
ვფიცავ თქვენს ცრემლებს, მწარე ცრემლებს, რომ თქვენი
კენესით,

მეცა მქონია ეს თვალები დასივებული...!

აქ, ისევე როგორც მოთხრობაში „სახარბოებლან წინაშე“ ისმის მჩაგვრელთა თამამი გამოწვევა, მოჩანს გაზრდილი კლასობრივი თვითშეგნება და იგრძნობა თავისუფლებისათვის მებრძოლი ადა-

¹ განზრახ მოგვაქვს ვრცელი ციტატა. რათა მივანიშნოთ მისი ლექსალური ფორმა (14 მარცვლიანი კლასიკური ლექსის მიზაძვეთ დაწერილი) და ვაჩვენოთ, როგორ გამოიყურება სტროფებად და ტაეებად დალაგებული ქოლას „ლექსი პროზად“.

მიანის სიამაყე. „დამერწმუნე, ვარდით ფენილ შენს ცხოვრებაში. — მოვეკვდები, მაინც არ გაგიცვლი ეკლიან გზასა“ — ეუბნება ლირიკული გმირი „სევეკმაყოფილ“ ცხოვრების „ბობოლეებს“. ავტორს სჯერა, რომ ჩაგრულს ყველაზე უკეთ ჩაგრულისავე ენა ესმის: „ტანჯული ტანჯულს, უფრო მივახვდენო“.

მიუხედავად მძიმე განცდებისა, ობლობისა და მიუსაფარობის მწარე გრძნობისა, საბოლოო მიზანი ჯოლა ლომთათიძეს სავსებით ნათლად და იმედინად ესახება: „მაგრამ იმედი მაინც არ სწყვეტს სიმთა უღერასა. დიდი მიზანი, სიყვარულის ნავში მჭლომარეს, დღესაც ლამაზი, მშვენიერი მინათებს სვლასა“.

ამ პოეტურ ნაწარმოებში მწარე ფიქრის საგანს ცხოვრებინა გერად გამბდარი ხალხი წარმოადგენს. უააა მშრომელი აღამიანები და ისინი ვინც მანამდე შრომობდნენ სანამ ჯანი ჰქონდათ, ხოლო უხლა ილაჯგაწყვეტილ ბოგანობად და მატანტალებად გადაქეუულან. ამიტომაც, რომ ავტორს „მწარე ფიქრი, მწარე ნაღველი, კვლავ დაძმარებულ გულს ეკვრის და აღარ შორდება“. აი, როგორ მიმართავს ჯოლა გასაცოდავებულ არსებას:

შენ დაიბადე ბნელ, ნესტიან გამკვარტლულ ჯოხში
მზისა ნათელი შენსა აკვანს არა სწვდებოდა
და შენი მშობლის ტკბილი ნანა შენსა სასთუმალს
პურისა ნატვრას არასოდეს არ სცილდებოდა.

როგორ გვაგონებს ეს ნაწყვეტი ირ. ვედოშვილის ცნობილ ლექსს:

მე დავიბადე ძველს წნულის ჯოხში, ლერწამი იყო ჩემი
აკვანი,
ზევიდან ჩვარი ძლივსა მფარავდა, სიცივით კრთოდა
შიშველი კანი.
დედის ნანასა ქარი სისინით ჯოხს შემოჩრილი ბანსა აძლევდა,
და ჩემი გული იმა ხმაზედა გამოუკვეველ შიშითა
კრთოდა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ ნაწარმოებში იგრძნობა დიდი სიახლოვე ირ. ვედოშვილთან (კერძოდ მის „განკიცხულთან“, „მუშასთან“, „მატანტალასთან“). ჯოლა თითქოს ხაზს უსვამს და ერთ-

გვარ არანეირებასაც კი ახდენს ირ. ევდოშვილის ცალკეული პოეტური თქმებისა თუ სახეებისას. და ეს არცაა გასაკვირი: ჰოლაც და იროდიონიც ერთი ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლებად გვევლინებიან და მათი შემოქმედებითი სიახლოვეც ამითაა გაპირობებული.

როგორც აღვნიშნეთ, ჰოლას პირველი პერიოდის ნაწარმოებებში მოჩანს მონახაზი: ყველა იმ თემატური რკალისა, რაც შემდეგ უფრო გაშლილი სახით წარმოდგენილია მისი ე. წ. „მეორე პერიოდის“ შემოქმედებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ორი მოტივი: ციხის სურათები, სასიკვდილოდ განწირული ტუსაღის განცდების გადმოცემით და საყვარელი ქალის ლალათით გამოწვეული ექვის, შეურაცხყოფისა და გულისტკივილის მხატვრული აღწერა.

გარდა ამისა, ჰოლას აღრიხდელ ნაწარმოებებში მოჩანს რაღაც მიუსაფარობის, ობლობის, უთვისტომობის გრძნობა. იმ ხანად ამისათვის, თითქოს, რაიმე განსაკუთრებული მიზეზი არც არსებობდა, მაგრამ ეს გრძნობა მაინც მკაფიოდ გამოქვდავდა არა ერთ ნაწარმოებში, მაგალითად: „შეყვარებულში“ (სადაც ადამიანურ სიბზოს და გულისხმიერებას „მოშივებული“ ავტორი ნატრობს: „რა ბედნიერებაა, როდესაც გრძნობ, რომ სადღაც ცის ერთ კიდეში არსებობს არსება, რომელსაც შენ ანსოვხარ... შენზე ფიქრობს“); „აღსარებაში“ (სადაც ობლად დარჩენილი ავტორი მეგობარს უბმობს: „სადა ხარ, სადა, შენ ჩემო, მეგობარო?.. სწორედ ამ დროს მკირიხარ მე შენ!“); „კვლავ ფიქრი, ფიქრში“ („კვლავ ის წყურვილი სიყვარულის, ძმობა-ერთობის, რაის წყალობით მე ვშთენილვარ ქვეყნად გმობილი...“); „აღსარებაში“ (სადაც კვლავ მეგობრის ძიებაა — „მეგობარო, შენ სადა ხარ ამ დროს? რატომ არ გამამხნევებ. რატომ არ შემომიდგები მხარში, რატომ არ შემიმსუბუქებ მძიმე ტვირთს, რომელიც ვიკისრე?“) და სხვ.

შემოქმედების მეორე პერიოდში სიმწირისა და ობლობის გრძნობა კიდევ უფრო გაიზარდა, გამკვეთრდა და უნდა ითქვას, რომ ამას ჰქონდა თავისი მყარი საფუძველაც და ღიდი მიზეზიც.

რთვისტომობის დრამატულ განცდასთან ერთად, ჰოლას აღრეულ ნაწარმოებებში მოჩანს სევდისა და მელანქოლიის ერთგვარი

ჩანასახიც. ამ გრძნობის მუდმივ ატრიბუტად (ისევე როგორც ობ-
ლობის და მიუსაფარობის შემთხვევაშიც) კოლას მხატვრულ პრო-
ზაში წვიმა და ქარი გვევლინება, როგორც გ. ტაბიძის რომანტიკულ-
სიმბოლისტური პერიოდის ლექსებში პოეტის სულის ორეულები
მოჩანს (ქარი, ხომლი და სხვა) ასევე კოლასაც ყავს თავისი განუშო-
რებელი თანამგზავრები, რომლებიც მის განწყობილებას გამოხატა-
ვენ:

ერთ-ერთი ასეთი „ატრიბუტია“ სევდის მომგვრელი, მოსაწყე-
ნი წვიმა: „...წვიმა ნაღვლიანად შემომსისინებს, არე-მარე შავ ბუ-
რუსს მოუცავს, ქარი სევდის მომგვრელი ზუზუნით დაქრის ტიალ
მინდორში... და მე კი მგონია, რომ სადღაც შორს, ჩემი გულის
ერთ-ერთ კუნჭულში ვიღაც უცნობი, მაგრამ ჩემი ძალიან მახლო-
ბელი, უხილავი, მაგრამ მუდამ განუშორებელი ადამიანი მიმჭდარა
იქ და მწარედ ქვითინებს მეთქი!..“

ზოგიერთი კრიტიკოსი განსაკუთრებით ზაზს უსვამს სევდისა
და უნუგეშობის გამოვლინებას კოლა ლომთათიას შემოქმედების
მეორე. ე. წ. „საპყრობილთს პერიოდში“ და ამით კოლას გულ-
გატეხილობას, პესიმიზმს ასაბუთებს. ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ ამ-
გვარი გრძნობები (სევდა, უთვისტომობა, ნაღველი) არც პირველ
პერიოდში იყო მისთვის უცხო, მაგრამ ყოველივე ეს გულგატეხი-
ლობის შედეგი კი არ არის (არც ადრეულ ნაწარმოებებში და არც
შემდეგ დროინდელში), არამედ იმ შავბნელი გარემოს ლირიკული
განცდაა, რომელსაც, მართალია, არ ჩაუხშავს კოლას ოპტიმისტური
სული და მებრძოლი ბუნება, მაგრამ რომელმაც გამოვლინება ჰპოვა
მის ლირიკულ შემოქმედებაში, როგორც გარკვეულმა რეფლექსმა
უკუღმართი სინამდვილმა მქენჯნავ შემოქმედებაზე. სინამდვილისა,
რომლის გაცამტვერებას და რევოლუციურ გარდაქმნას იგი ვერ მო-
ესწრო.

კოლა ლომთათიძემ თავისი საოცარი ალღოთი თითქოს წინას-
წარ იგრძნო ის ტკივილიც, რომელიც ადამიანში საყვარელი არსე-
ბის დაღატი და ზურგშექცევა იწვევს. ესეც არანაკლებ გასაკვირია,
24 წლის კოლა, რომლისათვის ჯერ არავის ეღალატნა, ტრა-
გიკულად განიცდიდა იმას, რაც ათი წლის შემდეგ მას ნამდვილად

დაემართა. ამიტომ ვამბობთ, რომ ჭოლას თითქოს რაღაც გულთამ-
ხილაობა მოსდგამდა.

ამ მხრივ (ე. ი. ამ საოცარი „გულთამხილაობის“ თვალსაზრისით) მეტად საყურადღებოა ჭოლას ყველაზე ვრცელი ნაწარმოები. დაწერილი მისი შემოქმედების პირველ პერიოდში — მოთხრობა „სიცრუე“ (1903 წ.).

ამ მოთხრობაში, რომელიც კარგად შეკრული და დასრულებული სიუჟეტით გამოირჩევა, პირველად გვხვდება ორივე ეს „წინასწარგანცდილი“ თემა — საპყრობილისა და საყვარელი ქალის ღალატისა. შემდეგში ეს თემები ვრცელი და მრავალნაირი ვარიაციით წარმოგვიდგებიან ჭოლას მოგვიანო ხანის ნაწარმოებებში.

„სიცრუე“ თავისებური გზაჯვარედინია ჭოლას შემოქმედებაში. ერთის მხრივ, აქ მკაფიოდ მოჩანს ლირიკული პროზისათვის ნიშანდობლივი თვისებები და, მეორე მხრივ, რეალისტური ეპიკური თხრობის ის გეზი, რომელიც ჯერ კიდევ „დავითში“ დაისახა.

ლირიკული პროზის ნიშანდობლიობის ასეთი შერწყმა ეპიკურა თხრობის სპეციფიკასთან, ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებმა ე. წ. „მეორე პერიოდის“ ერთ ყველაზე დამახასიათებელ თვისებად გვევლინება.

მოთხრობა „სიცრუე“ კიდევ იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ ამ დროს (1903 წ.) ჭოლას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საპყრობილეში ჯდომის გამოცდილება, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ისეთი ზუსტი დეტალებით, დამაჯერებელი რეალისტურობით და მხატვრული სი-
ცხოველით აღწერს ციხეს, რომ მეფის საშინელი საპყრობილე მკითხველს ცხადლივ წარმოუდგება თვალწინ.

ეს გარემოება (ისევე, როგორც მრავალი ამგვარი მაგალითი) ლაპარაკობს ჭოლას ფანტაზიის დიდ გაქანებაზე, წარმოსახვის გზით ტიპიზირებული სურათების შექმნის უნარზე. ჭოლა ლომთათიძე არა მარტო პირადად ნახულისა და განცდილის ექსპრესიულად გადმოცემის ნიჭით იყო დაჯილდოებული (ამას, მის მიერ საპყრობილის თემის დამუშავება და, საერთოდ, შემოქმედების ავტობიოგრაფიული ელემენტი მოწმობს), არამედ წარმოსახვის გზით შექმნილი, განზოგადებული და მკვეთრად ინდივიდუალიზირებული (ე. ი. ტიპიზირებული) სახე-სურათების შექმნის ნიჭითაც.

ქოლა აქ მახვილ ირონისტადაც წარმოგვიდგება. დაწერილებით აღწერს რა ციხის გაძლიერებულნი „დაცვის სისტემას“ და მასში გამოფეხებული საოცარი სისასტიკის რეჟიმს, იგი გესლიანად კითხულობს: „რა ეშველებოდა საზოგადოებას, რომ აგრე გულმოდგინედ არ იცავდნენ მის მშვიდობიანობასო!“. მაგრამ ეს ირონიული აზრი მხოლოდ პირველი საფეხურია კიდევ უფრო თამამი განზოგადებისათვის, რომელიც ღრმა და მართებული კვალიფიკაციაა მთელი იმდროინდელი სოციალ-პოლიტიკური სისტემისა: „განა ეს ქვეყნიერებაც იგივე საპყრობილე არ არის და აღამიანები იგივე მცველები არ არიან ამ ვეებერთელა საპყრობილისა, რათა სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზედ ფეხი არ დაადგმევიონო?“

ამრიგად, ამ ნაწარმოებში უკვე თავიდანვე გამოსჭვივის ქოლას ლირიკული პროზის კიდევ ერთი ნიშანდობრიობა: მხატვრული ელემენტისა და მახვილი, მებრძოლი, მომწოდებლური პუბლიცისტიკის ურთიერთ გადაჯაჭვა; პუბლიცისტური წიადსვლებისა და რემარკების ორგანული დაკავშირება მხატვრულ ხასიათებთან და სახეებთან.

„სიცრუე“ იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ ამ მოთხრობით იწყება ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში მდიდარი ავტობიოგრაფიული მასალის ჩართვა, რითაც გამოირჩევა ქოლას შემოქმედების მეორე პერიოდის დროინდელი თითქმის ყველა ნაწარმოები.

ამრიგად, ეს მოზრდილი მოთხრობა თემატურადაც და იდეურადაც იმ დამაკავშირებელ ხიდს გვაგონებს, რომელიც ქოლას შემოქმედების ორ პერიოდს აერთიანებს.

ფორმალ-სტილისტური თვალსაზრისით ამ მოთხრობაში ორი ელემენტია გადაჯაჭვული: — ლირიკული და ეპიკური. ნაწარმოებში საკმაო ადგილი ეთმობა წარსულის მოგონებასაც (მოგონებები ქოლასათვის ერთგვარი მხატვრული ხერხია, რომლის საშუალებითაც იგი ავრცობს ნაწარმოების დროულ-ქრონოლოგიურ ჩარჩოებს და თემატიკურ რკალს), განსაკუთრებით: მუშათა კლასის რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველ ეპიზოდებს.

ქოლა ლომთათიძე რომანტიკული გზნებით გვიჩვენებს რსდმპს წინამძღოლობით გამართულ დემონსტრაციებს, გაფიცვებს, შეიარაღებულ გამოსვლებს, რევოლუციური ბრძოლის მხატვრულად

გამართულ სურათებს. აქვეა ქალ-ვაჟის სასიყვარულო თავგადასავალიც. ეს სამიჯნურო ეპიზოდი ნაწარმოების სიუჟეტურ ხერხემლად გვევლინება, მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობაში ეს ამბავი არ არის ერთადერთი (ქოლას ლირიკური პროზისათვის, საერთოდ, დამახასიათებელია მრავალპლანიანობა, სიუჟეტური დატოტიანება, რამდენიმე თემატური ხაზის ურთიერთგადახლართვა).

აღსანიშნავია, რომ აქ შეღავნდება ის თავისებური გადაწყვეტა რომანტიულ-სასიყვარულო თემისა, რაც ესოდენ დამახასიათებელია ქოლასათვის: მისი ყველა შეყვარებული ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანი არის და ავტორიც სიყვარულის პრობლემას რევოლუციურ-დემოკრატიულ ასპექტში წყვეტს.

სიყვარულის რევოლუციურ-დემოკრატიულ ასპექტში გაშუქება იმაში გამოიხატება, რომ ჭ. ლომთათიძე მიზნად ისახავს ამ დიადი გრძნობის — რომელიც, მისი სიტყვით, „ნამდვილი დემოკრატიული გრძნობაა, იგი არავის არჩევს და ყველას თავის კალთის ქვეშ იფარებს“ — რევოლუციური საქმის სამსახურში ჩაყენებას. მწერალს სურს სიყვარული ადამიანთა ასამოქმედებელ იარაღად აქციოს და სახალხო თავისუფლებისათვის ბრძოლის საშუალებად გამოიყენოს.

„სიცრუის“ ძირითადი მიზანდასახულება ორგვარი სიყვარულის დაპირისპირებაში მდგომარეობს: ერთი, რომელიც არსებობს და რომელიც დიდი ხანია, რაც წაბილწულია უსამართლო სოციალური სისტემის წყალობით და, მეორე, ისეთი სიყვარული, რომელიც „თავისუფლების მომავალ სამეფოში“ იშვება და რომელიც უკვე არსებობს თავისუფლებისათვის მებრძოლ კეთილშობილ გმირთა გულში, როგორც მომავლის ადამიანთათვის დამახასიათებელი კეთილშობილური თვისება.

მოთხრობაში გადმოცემული ამბავი სადა და ბუნებრივია: ციხეში სასიკვდილო სარეცელზე წევს ავადმყოფი ტუსადი, რომელსაც გაგიჟებით უყვარს თავისი სატრფო, მარო. ტუსადმა არ იცის, რომ ამ ქალმა კარგა ხანია უღალატა მას და სხვას დაუკავშირა თავისი ბედი. მოღალატე ქალი წერილით ატყობინებს თავის გადაწყვეტილებას მომავლად „სატრფოს“ და ცდილობს „გულწრფელი აღიარებით“ შეალამაზოს თავისი უღირსი საქციელი. მაგრამ მომავლადვი

ტუსაღის, ლევანის, მეგობარი (რომელიც მთხრობელ პირად გვევლინება) დაუმაღავს ამ ამბავს სასიკვდილოდ განწირულ ამხანაგს და სრულიად გადაასხვაფერებს ქალის ბარათს.

იგი კითხულობს არა ნამდვილ წერილს, არამედ თავის მიერვე შეთხზულ ბარათს, რომელსაც, მისი აზრით, დაწერდა „ნამდვილი ქალი“, სპეტაკი და კეთილშობილი. ამ შეთხზულ წერილში მარო აღწევდა ისეთ პასუხს, რომელიც უნდა მიეცა მას, იგი რომ „ნამდვილი ქალი“ ყოფილიყო. მეგობრის მიერ გამოგონებულ ამ ბარათში მარო თავის „მზადყოფნას“ უცხადებს ლევანს და ატყობინებს, რომ თანახმაა ყველგან წაჰყვეს მას, რათა მისი ქირი და ლხინი გაიზიაროს. ასეთი პასუხის გაცემა შეეძლო. არა ბურჟუაზიული მორალით გახრწნილ ქალს — გეტერას, არამედ სახალხო თავისუფლების იდეით გასპეტაკებულ ადამიანს. „მომავლის ქალს“.

აი, ამაშია მთელი „სიცრუე“. ავტორმა დაგვიხატა პორტრეტი არა რეალურად არსებული ქალისა, მისი ტიპიური მორალური საზიზისა, არამედ პროგრესულ-რევოლუციური მწერლის ფანტაზიით გამოგონებული, იმხანად არარსებული (ან მეტად იშვიათად არსებული) კეთილშობილური ბუნების ასულისა; ვინც, მართალია, იმ „ეპოქის შვილი“ არ იყო, მაგრამ ვისაც, ჭოლას რწმენით, გარდუვალად წარმოქმნიდა მომავალი. სამართლიანობის ახალ პრინციპზე შექმნილი თავისუფალი საზოგადოება.

სხვათა შორის, ამ მოთხრობაში კვლავ ადგილი აქვს ერთგვარ კიდილს ორ შეხედულებას შორის ქალზე. გარდა ზემომოყვანილი აზრისა, ავტორი დროდადრო ამჟღავნებს სკეპტიკურ დამოკიდებულებას ქალისადმი. მოთხრობიდან ისეთი აზრი გამოსჰვივის, რომ იმდროინდელი ქალის პატრონება არ არსებული რამაა, სიცრუეა; რომ ნამდვილი ქალი (მეოჯახე, მოქალაქე, მებრძოლი, მეგობარი, დედა და მეუღლე) მხოლოდ მომავლის საქმეა.

ქ. ლომთათიძის მეორე პერიოდის შემოქმედებაში კიდილი ქალის შესახებ დადებით აზრსა და საპირისპირო მოსაზრებას შორის კიდევ უფრო მკვეთრად იგრძნობა. მაგრამ ჭოლას სასახლოდ უნდა ითქვას, რომ პირადი ცხოვრების ავი მაგალითის მიუხედავად, მან არა თუ არ დაჰკარგა რწმენა ქალის დიდ უნარსა და მაღალ დანიშნულებაში, არამედ ახალი, მარქსისტული მსოფლმხედველობის

თეალსაზრისით დასაბუთებული დიდი პრინციპის — ქალთა თანასწორულფლებიანობის პრინციპის. — ერთ-ერთ პირველ მქადაგებლად მოგვევლინა ქართულ მწერლობაში.

ქ. ლომთათიძემ პირველმა შემოიტანა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში მარქსისტული შეხედულება ქალთა საკითხზე, ახალი პროგრესული აზრი ქალების ადგილისა და დანიშნულების შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქოლა ლომთათიძის 1901—1903 წლების მხატვრული შემოქმედების დახასიათება არ იქნება სრული, თუ არ შევეხეთ „მცირე ფორმის“ სამ პროზაულ ნაწარმოებს: ესაა პირველი ვარიანტი მოთხრობისა „ცხოვრების გულიდან“ („ჰქრის, ჰქრის“),¹ „ამონაკენსი“ (ლექსი პროზად)² და „ერთი საღამო ბატონ ადვოკატთან“.

მოთხრობაში „ცხოვრების გულიდან“ (ჰქრის, ჰქრის) გერული გლეხკაცის დუხჭირი ყოფის მეტყველი სურათით დახატული. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასეთი „თანამიმდევრული“ ეპიკურობა, რომლითაც ეს ნაწარმოები გამოირჩევა (ქოლას ახსულეებებისათვის დამახასიათებელი რომანტიკური შეფერილობის, სიმბოლური გააზრების და ლირიკული გმირის მოქმედებასთან შერწყმულობის გარეშე), ქოლას პირველი პერიოდის შემოქმედებაში მხოლოდ „დავითში“ გვხვდება.

„ცხოვრების გულიდან“ თავისი ქანრული სპეციფიკით არა იმდენად მოთხრობაა, რამდენადაც საყოფაცხოვრებო თემაზე აგებული ესკიზი, ეტიუდი. ავტორი აქ სრულიად განზეა გამდგარი (როგორც ეს ეპიკურ ნაწარმოებს შეეფერება) და მიუყერძობებელი მოთხრობელის როლში გამოდის.

ეს ნაწარმოები მძაფრი სოციალური ყღერით გამოირჩევა. მწერალი დაუზოგავად ამხელს მშრომელი გლეხკაცობის მჩაგვრელებს,

¹ იგი არ გამოქვეყნდა, რადგან მეფის ცენზურამ აკრძალა ჟურნალ „მოამბის“ X- ნომერი, რომელშიც ეს ნაწარმოები იყო აწყობილი. მას დაბეჭდვა მარტო ჩვენს დროში ელირსა. გამოქვეყნდა ქ. „ქართულ მწერლობაში“ (1928 წელი, № 12) მას არაფერი საერთო არა აქვს ამავე სახელწოდების ნაწარმოებთან, რომელიც ზევით გავარჩიეთ.

² „ამონაკენსი“ ცენზურის მიერ იქნა აკრძალული. იგი უნდა დაბეჭდილიყო 1904 წლის ჟურნალ „კვალის“ № 4-ში. შემდეგ ქ. ლომთათიძემ სახელწოდება შეუცვალა მას და ახალი სათაურით — „სწულის ფიქრები“ გამოაქვეყნა ილიას „ივერიაში“, 1904 წ. № 252.

რომელნიც ისედაც, უკიდურეს სილატაკეში მყოფ გლეხს კიდევ უფრო საშინელ დღეში აგდებენ და უკანასკნელ სარჩო-აბაღლებელს ართმევენ.

თავისი იდეურ-თემატური მხარით „ცხოვრების გულიდან“ რაიმე პრინციპული სიახლით არ გამოირჩევა. უფრო მეტიც, იგი ეგ. ნინოშვილის ნაწარმოებების, კერძოდ, მისი „გოგია უიშვილის“ გავლენის კვალი აჩნია (შემთხვევითი არ არის, რომ ამ დროს ჭოლა თავის ფსევდონიმად ეგ. ნინოშვილის გმირის, სპ. მცირიშვილის, ახეხლს ატარებდა და რომ მთავარ პერსონაჟს მოთხრობისა „ცხოვრების გულიდან“ — ასევე გოგია ჰქვია). ასეთი „ნასესხობის“ მიუხედავად, კოლორიტული დეტალების, რეალისტური გამომსახველობის, სურათის შთამბეჭდაობის წყალობით ეს ნაწარმოები მაინც ხალისიანი ინტერესით იკითხება და სინამდვილის მართალ სურათად გვევლინება.

საყურადღებოა პერსონაჟთა ენობრივი დახასიათების თავისებურებაც. კოლორიტისათვის მწერალი ფართოდ იყენებს გურულ დიალექტს. უნდა ითქვას, რომ გურული კილოს ასე „ხეავრიელად“ გამოყენება ჭოლას არც ერთ სხვა ნაწარმოებში არ გვხვდება. ჩანს, ახალგაზრდა ბელეტრისტს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ამ მხრივ გამომუშავებული საჭირო ზომიერება.

მოთხრობის ამბავი მეტად მარტივია: გალატაკებულ გლეხს, გოგიას, მევახშე პავლე შიადგება და ბოქაულის დახმარებით უკანასკნელ ქონებას წაართმევენ. მათ შემდეგ ბოქაულის თამაშემწე და იასაული გაჩნდებიან, და რაც პირველთ გადაარჩათ, იმასაც მიიტაცებენ. გოგია ჯერ გონზუდაც არ მოსულა, რომ მონოზნები მოაკითხვენ და შემოწირულებას მოსთხოვენ. გამწარებული და ბოლმით გონებადანიშლული გოგია მონოზნებს დაეტაკება და გალახავს. ამისათვის პრისტავი საპატიმროში ჩააგდებს „ფიცხ“ ყაძახს. „ნაობახტში“ გოგია გაცივდება და ავადმყოფობას გადაჰყვება. ობლად დარჩენილ მის ცოლ-შვილს კი შიმშილით სიკვდილი ელის.

„მოუსწრებს იმათ გაზაფხული, გათბებიან ობლები? — კითხულობს ავტორი და დაძინს — „არ ვიცი, მხოლოდ ჯერ ჰქრის და ჰქრის (ქარი). ჯერ კიდევ სცივათ სამშობლო ქვეყნის ობლებს“.

უნდა აღინიშნოს, რომ ჭოლას ეს ნაწარმოები უფრო მეტი სურათოვნებითა და ექსპრესიით გამოირჩევა. ვიდრე ე. ნინოშვილის

„გოგია უიშვილი“, რომლის ზემოქმედებასაც იგი უდაოდ განიცდის.

ქოლა ლომთათიძის „ერთი საღამო ბატონ ადვოკატთან“ თავისი ნათელი რეალისტურობით და საყოფაცხოვრებო თემატიკით ძალიან ახლოს დგას ზემოთგანხილულ ნაწარმოებთან. ორივეში გვაქვს ობიექტური გადმოცემა სინამდვილის მართალი სურათისა და ავტორისეული „მეს“ სრული უჩინარობა, მისი ჩაურევლობა თხრობაში.

„ერთი საღამო ბატონ ადვოკატთან“ არ გამოირჩევა ისეთი სოციალური სიმძაფრით და არსებული უკუღმართობის ისეთი თამამი კრიტიკით, როგორც „სხოვრების გულიდან“ („ჰქრის, ჰქრის“) „ერთი საღამო“ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზნედაცემულობას მოგვეთხრობს და თანამედროვე ყოფის მორალურ-ეთიკური მხარით იფარგლება. მაგრამ ამორალური სახე პირმოთნე და ფლიდი მართლმსაჯულების პატარა ფინიასი — ირიბად თვით იმ დარგისა და სფეროს ზნეობრივ დანახათებადაც გვევლინება, სადაც ასეთი კაცუნები პატიოსანი შაუშაველის როლს თამაშობენ სასამართლოსა და ბრალდებულს შორის.

ნაწარმოების საფუძვლად გამოყენებული ამბავი ამ შემთხვევაშიც ისეთი ლოკალური, მარტივი და ეტიუდიურია, რომ ქანრული თვალსაზრისით „ერთ საღამოს“ მოთხრობად ვერ მივიჩნევთ. იგი უფრო ესკიზია, ე. წ. „სურათია“.

ერთ ჭარმაგ ადვოკატს ახალგაზრდა ლამაზი შინამოსამსახურე ჰყავს. თავისდაუნებლიეთ, პატივცემული ადვოკატი მოსამსახურისა და მისი საქმროს ხევენა-ალერსია მოწმე შეიქმნება. „გაფიცებულნი“ ადვოკატი გააგდებს საქმროს, დატუქსავე მოახლეს, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ თვით შეეცდება მოახლის ხელში ჩაგდებას, მოახლე შორს დაიჭერს გარყვნილი „ჩაზენის“ არშიყობას და გამოლანძღავს მას.

ეს არის და ეს; მაგრამ ამბის ამგვარი სიმარტივის (და ერთგვარი დაუსრულებლობის) მიუხედავად: სხარტი თხრობის, ბუნებრივობის, სახეთა მკაფიობის და ავტორის მდიდარი დაკვირვებულობის წყალობით ეს მცირე ფორმის ნაწარმოები ცოცხალი სინამდვილიდან ამოკვეთილი ტიპიური ამბის შთაბეჭდილებას ახდენს. ჩანს, ავტორი კარგად იცნობს აღწერილ ხალხს, გარემოს და მათ მკვეთრ, ზუსტ დახასიათებას გვაწვდის.

სულ სხვა ხასიათისაა კოლა ლომთათიძის „ამონაკენესი“¹ (ლექსი პროზად). უნდა ითქვას, რომ მეფის ცენზურას შეცდომით არ აუკრძალავს იგი რომანტიკული გზნებით და პოეტური აღმადრენით დაწერილ ამ ლირიკულ მონოლოგში მკაფიოდ იგრძნობა ლტოლვა სანახო თავისუფლებისადმი. აღეგორიული „საყვარელი“, ვისთანაც „შეყრას“ ნატრობს ლირიკული გმირი, სწორედ ის თავისუფლებაა, რომლისკენაც დაუოკებლად ისწრაფვოდა კოლა ლომთათიძის გატანჯული და მოწყურებული გული.

ამ ნაწარმოებში მოჩანს კოლასათვის დამახასიათებელი წუთიერი სევდის და მარტოობის ჰანგები. მაგრამ ყოველივე ეს პრელუდიაა იმისათვის, რომ კიდევ უფრო მკაფიოდ გვაჩვენოს თავისი წყურვილი, თავისი სწრაფვა საყვარელი არსებისაკენ, ვისზედაც იგი დღენიადღა ოცნებობს.

თანდათან აშკარა ხდება, რომ ეს „არსება“ არის სახალხო თავისუფლება. სევდა კი იმიტომ ჰბურავს ავტორის გულს, რომ სანატრელი არსება ჭერ კიდევ შორსაა მისგან. „... ისევ მარტო ვარ... გულში ჩაჰკერია არემარეს მკედრული სიმშვიდე. დღიურ ვარაპით დაქანცულსა ქვეყანას სძინავს. არ სძინავს მხოლოდ ამ ოხერ გულსა თავის ბუდეში, ვით გალიაში დამწყვდეული ლომი, ის გმინავს. რით დავამშვიდო? — ეს იქვეები, შავი იქვეები ნაღველნარევი სიმღერებით მივსებენ გულსა — არა ვიცი რა, მეღირსება კიდევ თუ არა, თავი შევწაწირო, მტლად დავეღო ჩემს სიყვარულსა!...“

მომდევნო სტრიქონები ცხადყოფენ „საყვარელი არსების“ ვინაობას: „ქელავ მაგონდება გულისტოლო, — მიმართავს ლირიკული გმირი თავის საოცნებო საგანს — ნეტარი წაში, როცა პირველად ააუღერე ციური ჩანგი და გულდაკოდილს, იმედმიხდილს ბეჩავ შრომის შვილს, მისი ჰანგებით გადამიფერე გულისა ქანგი!“.

„თავისუფლების ჰანგმა“ სამუდამოდ დაატყვევა და მოაჯადოვა მწერალი. ხალხთა ბრძოლის ხმას იგი „სანეტარო ჰანგს“ უწოდებდა და აღიარებს, რომ მისი ოცნება სწორედ ამ ხმასთანაა დაკავშირებული: „ჩემ ოცნებათა მძლე ფესვები იქ არის რგული, იმ ხმებზედ იგრძნო ჩემმა გულმა, თუ

¹ ეს ნაწარმოები კოლამ უძღვნა ლ. კანტურიშვილს.

რა ხილია თავისუფალი მიწა წრათება და სიყვარული, იგრძნო გულმა და იმედმა ც, აქამდე მხდალმა, ფრთები გაშალა, ცის ციავში გაიქრა და ჩემს არსებას, მოდუნებულს, არაქათომოშლილს, წამს შექდინა დაუძლეველი: დიადი ძალა და იმა ძალმა წინ გამწია, გზას მიმითითა, ცხოვრებას ჯულში დამანახა საყვარლის სახე“.

ლირიკული გმირი აღიარებს, რომ მას და მის საყვარელ არსებას ბედის ერთი ერგოთ და ამიტომ განუყრელად მასთან ყოფნასურს: ორივეს ერთი ჯვაქვს ბედი, ერთად დავსცეთ ბრძოლის ველზე მძლავრი ყიჟინა, ერთად ვიყოთ განთიადის წინამორბედი!“

მაგრამ, როგორც ჭ. ლომთათიძის მრავალ სხვა ნაწარმოებში. აქაც თავს იჩენს დროებითი დაეჭვება, რადგან ირგვლივ მყოფი ბუნება ცავი და ინდიფერენტულია ლირიკული გმირის განცხადებისა და სურვილებისადმი: „დარდი არა აქვს, თუ რა ვიფი მომავალზედა — გულისტკივილით ამბობს: ავტორი და ღრმად ჩაფიქრებულ მწუხარედ კითხულობს: არა ვიცი რა, მეღირსება კიდევ თუ არა, გულში ჩავეყრა, ექმსახურო ჩემ საყვარულსა“.

(ამრიგად, შემოქმედების ე. წ. „პირველი პერიოდი“ ჭოლა ლომთათიძისათვის თავისებური „სინკრეტიზმის“ ხანაა, რომელშიც ჩანასახოვანი სახით ადგილი ჰპოვა ყველა იმ თემამ და მოტივმა, რომლებიც შემდეგში ასახვის დამოუკიდებელ საგნებში გადაიზარდნენ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ სამწერლო ასპარეზზე ჭოლა შინაგანად მომზადებული მოვიდა და თან თავისი სამყარო, საკუთარ ინტერესთა რკალი, თემათა მარაგი და, რაც მთავარია, ყოველივე ამის საკუთარი ხილვა, ორიგინალური გაშუქების ჩანაფიქრი მოიტანა.

ამ პერიოდში ჭ. ლომთათიძის ხელწერა, მისი სტილი ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ დადგენილი და ჩამოყალიბებული. მის შემოქმედებაში ორი ძარღვი მოჩანს: რეალისტური ამსახველობისადმი ლტოლვა და მასალის რომანტიზებისაკენ, ყოველდღიურობაზე მისი „ამაღლებისაკენ“ სწრაფვა.

რეალისტურად მოწოდებული შინაარსის გახვევა რომანტიკულ სამოსში ჭოლას შემოქმედების (როგორც ამ პირველი პერიოდის, ისე საერთოდ) ერთი ნიშანდობლივი თვისებაა. მეორე ასეთი სპეციფიკური ნიშანი, ესაა ღრმა სიმბოლიკის მოხერხებული გამოყენე-

ბა, რაც კიდევ უფრო ზრდის ნათქვამის ქვეტექსტსაც, განმაზოგადებელ ხარისხსაც და შის ფილოსოფიურ ასპექტსაც. სიმბოლიკის გვერდით ქოლა ლომთათიძე ხშირად მიმართავს ალეგორიასაც, რაც ნართაულობის ელფერით მოსავს მის ნაწარმოებებს.

უნდა ითქვას, რომ ეს ოთხი ნიშანი ქოლას შემოქმედებამ შემდეგშიაც შემოინახა.

ქოლას პირველსავე მოთხრობებში გამოქვადენდა მისი სხვა შემოქმედებითი თავისებურებებიც: მდიდარი იუმორი, ფრაზის ლაკონურობა და სურათოვნება. ლირიკული წიადსვლებისადმი სწრაფვა და პოეტურობა. ენობრივი ხორკლიანობის მიუხედავად ქოლას სტილი შიმშიდველი და გასაგებია, კომპოზიცია სადა და მწყობრი.

შემოქმედების პირველმა პერიოდმა დაგვანახვა, რომ ქოლას ერთნაირად კარგად ძალუძს ეპიკური აღწერები ტრადიციული ფორმით (ქართულ კლასიკურ მწერლობაში დამკვიდრებული საშუალებების დახმარებით) და მასალის სიმბოლურ-ნართული გადმოცემაც, ლირიკული პროზის ექსპრესიული ხერხებით, რომლის ერთ-ერთი პირველი შემომტანი ქართულ ლიტერატურაში (ია ეკალაძესთან ერთად) და დამამკვიდრებელიც იგდ. იყო.

მაგრამ მთავარი, რასაც ქოლას შემოქმედების პირველ პერიოდზე დაკვირვება გვიჩვენებს, ესაა მტკიცე უწყვეტობა და მკაცრი თანმიმდევრობა ესთეტიკური და პოლიტიკური იდეალებისა, ძირითადი შემოქმედებითი პრინციპისა, რომლებსაც ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისიდან დასასრულამდე მტკიცედ მისდევდა ეს დიდი ჰუმანისტი, დარწმუნებული რეალისტი და პროლეტარიატის საქმისათვის თავდადებული მებრძოლი.

როგორც ვნახეთ, კ. ლომთათიძე თავის პირველ სამწერლო ნაბიჯებიდანვე მოგვევლინა როგორც მტერი ყოველგვარი ჩაგვრისა, ძალადობისა და უსამართლობისა.

შემდეგ წლებში, როცა უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ქოლას მსოფლმხედველობითი კრედო, იგი გამოდიოდა არა უსამართლობის წინააღმდეგ „საერთოდ“ და ზოგადად, არამედ, როგორც ყოველგვარი უსამართლობის მთავარი ბურჯის — ექსპლოატატორული საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ და ამ წყობილების ბოროტი წარმონაქმნის, ყველაზე საშინელი პოლიტიკური რეჟიმის, — მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

2. **ქოლა ლომთათიძის შემოქმედების მეორე პერიოდი** (1907 — 1915 წ.წ.)

სამწლიანი ღუმილის შემდეგ (1903—1906 წ.წ.), რომელიც ქოლა ლომთათიძის 1905 წლის რევოლუციაში აქტიური მონაწილეობით იყო გამოწვეული, 1907 წლიდან იგი კვლავ დაუბრუნდა შემოქმედებით მუშაობას და, შეიძლება ითქვას, სიკვდილამდე კალამი ხელიდან აღარ გაუგდია.

მაგრამ რაოდენ დიდი განსხვავებაა „პირველი პერიოდის“ ქოლას მდგომარეობასა და იმ პირობებს შორის, რომელშიაც იგი შემოქმედებითი მუშაობის განახლების შედეგად იმყოფებოდა. ამ დროს იგი უფლებო, ტანჯული პატიმარია და ასეთად დარჩა სიკვდილამდე. ამიტომ უწოდებენ ქოლას შემოქმედებით მოღვაწეობაში 1907—1915 წლებს — „საპატიმროს პერიოდს“.

მიუხედავად იმისა, რომ ქოლა ლომთათიძის შემოქმედების პირველი პერიოდის ნაწარმოებებში თავი იჩინეს მოტივებმა, რომლებიც ნიშნეულია მთელი მისი შემოქმედებისთვის, ქოლას ლიტერატურული მემკვიდრეობის ძირითად ნაწილს, როგორც თემატიკის, ისე მისი იდეური გადაწყვეტისა და ინდივიდუალური სტილის გამოვლინების თვალსაზრისით, წარმოადგენს ლიტერატურული მოღვაწეობის მეორე პერიოდი (1907—1914 წ. წ.) ე. წ. „საპყრობილეს პერიოდი“, როცა 1905 წლის რევოლუციის დათრგუნვით გალაღებულმა მეფის მთაერობამ ციხის საკანში გამოკეტა მგზნებარე რევოლუციონერი და შესანიშნავი ბელეტრისტი.

სწორედ „მეორე პერიოდის“ ნაწარმოებებით შესძლო ქოლა ლომთათიძემ ქართული ლიტერატურის ისტორიაში საპატიო ადგილის მოპოვება და მისი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი ნაწარმოები, რომელშიც თვალსაჩინოდ გამოვლინდა ავტორის მხატვრული ნიჭიერება, იდეური მიზანდასახულობა, რევოლუციური სულისკვე-

თება, მებრძოლი ბუნება და ორაგინალური მხატვრული სტილი იყო ფსიქოლოგიური ხასიათის ნოველა „სახრჩობელას წინაშე“. რომელმაც თავის დროზე¹ დიდი გამოწმაურება კპოვა.

„სახრჩობელას წინაშე“ თავისი ორიგინალურობის, ექსპრესიის. შთამბეჭდაობის და შესანიშნავი სურათოვნების წყალობით არა მარტო კოლას ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია, არამედ რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის ღირსშესანიშნავი ნიმუში და ქართული ლირიკული პროზის კემმარიტი მარგალიტი.

X X საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ჭ. ლომთათიძემ ახალი სული შთაბერა და ახალი ელერა შესძინა ეპისტოლარულ ჟანრს („სახრჩობელას წინაშე“, „ჩემი დღიური“ „უბედური“ და სხვა). მან მეტი სიღრმე, მეტი გაქანება მისცა ე. წ. „პირველი პირით“ თხრობას, რასაც ქართულ მწერლობაში მდიდარი ტრადიციები მოსდგამს (საკმარისია გავიხსენოთ, რომ ამგვარი თხრობის ნიმუშად გვევლინება ძველი ქართული მწერლობის ჩაეთი შედეგრი, როგორცაა იაკობ ურტაველის „შუშანიკის წამება“).

ეს არ არის ნეტხევეითი. ეპისტოლარული სტილი და „პირველი პირით“ თხრობა ლირიკული პროზისათვის ყველაზე ორგანულსა და მოსახერხებელ საშუალებებს წარმოადგენენ, რამდენადაც ამ ჟანრისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მკითხველში უშუალოების გრძნობის გამოწვევა, ინტიმურობის განწყობის აღძვრა და ამას კი ყველაზე ეფექტურად პირველი პირით თხრობა აღწევს. უნდა ითქვას, რომ ეპისტოლარული სტილიც არსებითად, ამავე ხერხს ეფუძნება.

„სახრჩობელას წინაშე“ კოლა ლომთათიძის საყვარელი ნაწარმოები იყო. სიკვდილამდე ორი თვით ადრე, თავის ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში² (რომელიც 1915 წლის 29 აგვისტოთია დათარიღებული) კოლა წერდა „ყველა ძველ ნაწერებს ვაგროვებ და ხელახლა

¹ პირველი თავები გამოქვეყნდა 1907 წელს. გაზეთში „წყარო“ (№ 36, 37), შემდეგი, გაზეთში „ციხარტყელა“ № 57, ხოლო № 4, დასასრული — 1908 წელს, გაზეთში „ციხარი“ № 4, 215.

² იხ. წერილი ს. თვარქლიძისადმი, საქ. ლიტ. მუზეუმი, ჭ. ლომთათიძის არქივის ფონდი, ხელნაწერი № 15596.

შეუღლები იმით, გადაწერა-შესწორებას, რომ ჩვენი რედაქციების ყი-
ზილბაშური ხელი არ აჩნდეთ, თუ ვინცოდაა ოდესმე გამოცემული
გამოუჩნდათ. ვერ ჩავიგდე ხელში მხოლოდ ერთი
რომელსაც სახელად ჰქვია „სახარობელას წინაშე“... ეს მო-
თხრობა ყველასს მიჩრევიანია, ხოლო თუ შეუღლები-
რებელი დარჩა გადაბეჭდვა იმისი შეუძლებე-
ლია“ (ხაზი აქ და ქვევით ჩვენია — გ. უ.).

ქოლა ლომთათიძე აქვე განმარტავს მიზეზს, თუ რატომ არის
შეუძლებელი ამ მოთხრობის გადმობეჭდვა უკვე დაბეჭდილი ნუს-
ხიდან: ქოლას წერილიდან ირკვევა, რომ რედაქციას თუ ცენზურას
ძალიან უწვიალებიან და უჭიკვნიან მოთხრობის ტექსტი: „ამ მოთ-
ხრობის ბეჭდვა დაიწყეს 1907 წლის შემოდგომაზე და როგორც იქნა
დააარულეს 1909 წლის ზამთარში, თვეში ბეჭდულენ ეროსა თუ
ორ ფურცელს, ას ვარილად, არც უღლად, რომ ერთი-
ანად გადაეჭარწყლებინათ მისი გავლენა“.

აი, სწორედ ესაა მიზეზი მოთხრობის „ასერილად და არეულად“
გამოქვეყნებისა: ბეჭდვითი სიტყვის „კარანტინი“ დამცველებს
ეწადათ. — „რომ ერთიანად გაქარწყლებინათ მისი გავლენა“. მაგ-
რამ ქოლა რას ქოლა იქნებოდა, რომ სიტყვას თავისუფლებით ჯალა-
თებდათვის თავისი ნაწერების გაღასხვადვებებს და იდეური შინა-
არსის გაქარწყლების საშუალება მიეცა. მას გადაუწყვირნებია ეს
ნაწარმოები, ეუღლასმით ჩაუწერებია მისი ტექსტი და საკლთარი
ხელით გადაუწერია იმ სახით, როგორცაა სურდა, რომ მისი საყვა-
რელი მოთხრობა მომავალში დაბეჭდილიყო.

საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში ინახება ქოლას მიერ
გადაწერილი ტექსტი მოთხრობისა „სახარობელას წინაშე“. ამ ავტო-
გრაფის პირველსავე გვერდზე ავტორისავე ხელით გაკეთებულია ასე-
თი საგულისხმო მინაწერი: „სილიბისტრო თავართქილაძემ გადააწე-
რია წ. კ-ის წიგნთსაცავში დაცული ნომრებიდან ეს მოთხრობა —
პირველი სატუსალოში — „სახარობელას წინაშე“. თუ დამცალდა მე
გადაეწერ, ხოლო რაც ვწერო, მოსალოდნელია თუ ვერ მოვასწერე,
გთხოვთ თუ დაბეჭდოთ გულმოდგინეთ და ყურადღებით გადაიკი-
თხოთ. სპ. მკ-ლი“¹.

¹ საქ. ლიტერატურული მუზეუმი. კ. ლომთათიძის არქივის ფონდი, ხელნა-
წერი № 15600.

სიკვდილის სარეცელზე მწოლარე ავადმყოფის ამ ხორკლიან, გაუქალაშინებელ ფრაზებში წამღველი ტრაგიზმი იგრძნობა: ჭოლას მუდამ იმისი შიში აქვს, რომ „ვერ მოასწრებ“ და მართლაც, ამ მოთხრობის მთლიანად ჩასწორება¹ მას ვეღარ მოუხწრია.

თუ რაოდენ მნიშვნელოვან საქმედ თვლიდა ჭოლა თავისი ნაწერების ხელუხლებლობის დაცვას, ცენზურისა და რედაქციების მხრივ მათი შერყვნადაჯან დაზღვევას, ამას კარგად გვიჩვენებს მის მიერ ნაბეჭდად იღმორული, ნახევრად მავუღრებელი ტონით ფაქტობული წარწერა მეორე ავტოგრაფის, „პირველი მაისი“, თავფურცელზე: „ვინც გინდა იყოს ჩემი კორექტორი — კაცი, ქალი, გინდ გასათხოვარი: შენთან მაქვს ერთი შესახვეწარი, გთხოვ ამისრულო ეს სათხოვარი—ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ ა დ გ ა ა ს წ ო რ ო კ ო რ ე ქ ტ უ რ ა და ა რ ა ყ ი ზ ი ლ ბ ა შ უ რ ა დ“ (ხაზგასმა ჭოლა ლომთათიძისაა — გ. ც.).

„სახორბელას წინაშე“ ჭოლას პირველი მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც მან საბატობროში შექმნა. ეს მოზრდილი მოთხრობა პეტერბურგის წინააწარი პატრიარხის ციხეში დაიწერა. მძალი შემოქმედებითი ისტორიასათვის, ჩვენს აზრით, მეტად მნიშვნელოვანია II სახ. სათათბიროს დეპუტატის, ჭოლას ახლო ამხანაგის, ა. გ. ზურაბოვის, ზემოდნახსენები წერილი, სადაც იგი, სხვათა შორის, აღნიშნავდა:

„... პეტერბურგის წინააწარი პატრიარხის ციხეში ყოფნისას, ჭოლას მეზობლად, ერთადგილიან კამერაში, იჯდა ერთი ყოფილი საზღვაო ოფიცერი (მე დამავეიწყდა მისი გვარი), რომელსაც ჩამოხრჩობა ჰქონდა მისჯილი, მეფის მოკვლის მიზნით, მასზე თავდასხმის

¹ ს. თავართქილაძის მიერ გადაწერილ ნუსხაში აკლდა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფრაგმენტი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ნაწარმოების იდეური მხარისა და მწერლის მეტროლი ბუნების დასახასიათებლად. ეს ფრაგმენტი ეტყობა ს. თავართქილაძეს შემდეგ დამატებთ გაუგზავნა, მაგრამ ჭოლას ან ძალა არ ეყო მისი ჩასწორებისათვის, ანდა ამ დამატებამ ვეღარ ჩუასწრო ცოცხალს. ეს დამატებით გაგზავნილი ფრაგმენტი იწყება ჭიარან ვარდოსანიძის ჩანაწერებს „2 საათთან“ („ეს, как хороши, как свежи были розы“) და მთავრდება მეორე დღის „12 საათით“ („სწორედ აგრე წვიმდა ამ საღამოს ტფილისში“).

განზრახულობისათვის. ჭოლას კავშირი ჰქონდა დამყარებული ამ ოფიცერთან მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. ეს კავშირი საიღუმლო კაცუნით ზორციელდებოდა. ჭოლას სიტყვით, მისი სიკვდილმძინაჭილი შეზობელი, განაჩენის სიარულეში მოყვანამდე ერთი საათით ადრე, ამცნობდა მას თავის მზნე განწყობილებას. ჭოლამ შემდეგში მოგვცა შესანიშნავი ფსიქოლოგიურად ხანალიზი-სიკვდილ-მისაჯილის უკანასკნელი დღის შესახებ“.

ძნელა მტკიცება იმისა, რომ სწორედ ეს ეპიზოდი დაელო საფუძვლად მოთბრობას „სახრჩობელას წინაშე“, მაგრამ საფიქრებელია, რომ მან ერთ-ერთი შემოქმედებითი იმპულსის როლი ითამაშა.

როგორც, აღვნიშნეთ, საპატრიარქოში გამომწყვეტელი, გრძნობიერი და ზულიერად აფორიაქებული ჭოლა თითქმის განუწყვეტლივ ნერვიულობდა. იგი ავადმყოფურად განიცდიდა თავის იძულებით „უსაქმურობას“. ხშირად ჭოლა დეპრესიულ მდგომარეობაში ვარდებოდა და კომპარებინ ტყვეობაში აღმოჩნდებოდა ხოლმე. ასეთ დროს მას მწარე ფიქრები იპყრობდნენ, სულიერ წონასწორობას ურღვევდნენ და მოახლოვებული სიკვდილის განცდას უქმნიდნენ.

აი, რას წერდა ჭოლა ლომთათიძე თავის დღიურში 1907 წლის 8 დეკემბერს: „დღეს არ ვიცი რათ, უცებ თავში შემიძვრა ფიქრი. უცებ დაერწმუნდი, რომ მე სახრჩობელაზე გავათავებ სიცოცხლეს. არააოდეს არაფერში არ ეყოფილვარ ასე დაწმუნებული, როგორც ამ აზრში. ეს მეორეჯერ შემართებდა; პირველად ასეთი ფიქრი მომივიდა 1905 წლის ოქტომბრის წინათ... აშკარად, წათლად ებუდავდი ჩემ წინ სახრჩობელას, ქალას, პროკურორს და ჭოლას. უკან ხელეშეკრულს, რომელიც თავს ყოფდა ბაწაწაში... განზე ვაფიხებდი იქაც იგივე სურათი დამიღვა თვალწინ...“

რომ დღიურის ჩანაწერები და „სახრჩობელას წინაშე“ ერთი განწყობილებით იქმნებოდა. იქიდანაც ჩანს, რომ მოთბრობაში სხვადასხვა ვარიანტებით ხშირად მეორედმა დღიურში მოცემული ბუნების სურათები, ქარის კენესა, წვიმის ხმაური, ტელეგრაფის მავთულების ზუზუნნი...

„სახრჩობელას წინაშე“ მეტად რთული და შინაგანი წინააღმდეგობებით აღბეჭდილი ნაწარმოებია ავტოგრაფიული ხანაიასის რამ-

დენიშე დეტალურ მოუხედავად, მასში არცთუ ისე ადვილია ავტორის ნააზრევ-ნაფიქრალის გამოყოფა პერსონაჟთა თავისთავადი მეტყველებისაგან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორისეული სიტყვის პერსონაჟთა მეტყველებიდან განსაკუთრებით სიძნელე მრავალჯერ გამხდარა ამ ნაწარმოების შესახებ მცდელობის გამოტყობის მიზეზი (როგორც ნაწარმოების, საერთოდ და მთლიანად, შეფასებისას, ისე ცალკეულ ფრაგმენტთა, თუ მოტივთა იდეურ-მინააჩრახბრივი ინტერპრეტაციის დროს).

„სახარბოვლას წინაშე“ შექმნილია იმ შავბნელი რეაქციის პერიოდში, როცა რუსეთის პირველი რევოლუცია უკვე დამარცხებული იყო და მეფის თვითმპყრობელობა ყოველ ღონეს ხმარობდა მისი „ფესვების“ ამოსაძირკვად, რევოლუციის „სახსენებლია მოასპობად.“

ეს იყო დრო, როცა იწყებოდა ყველაზე „სამარცხენო ააწილედია, როცა ცხოვრების ზედაპირზე წამოტივტივდნენ დეკადანისა, ზნედაცემულობის, ხელოვნების აშკარა ხასობის ტენდენციები. დადგა ხანმოკლე; მაგრამ ავადმოსაგონარი ხანა საზოგადოებრივი იდეალების ფეხქვეშ გათეღისა. თავაშვებული ინდივიდუალიზმისა, უიმედობისა და მისტიკისა. როცა ანტირეალიზმმა, ეგოცენტრიზმმა და პორნოგრაფიამ რეალისმის დამარცხება მოიწადინა.

ამ რთულ, საოცრად წინააღმდეგობრივ პერიოდში კოლა ლომთათიძე წერს ნაწარმოებს, რომელშიც აღძრავს და რევოლუციური პოზიციებიდან აშუქებს ყველაზე არსებით, ყველაზე საჭირბოროტო საკითხს იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისას: საკითხს რევოლუციის მომავლის შესახებ და შეცვლილ პირობებში მებრძოლ-რევოლუციონერთა ქცევა-საქმიანობის, მათი მორალური სახის შესახებ.

ამ დიდი შთამბეჭდავი ძალის, ექსპრესიის და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მებრძოლი, ოპტიმისტური სულითკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოების შესახებ მრავალი უმართებულო აზრი გამოითქვა. კოლას მიერ რეალისტურად ასახული პერსონაჟების (რომელნიც ცოცხალი სინამდვილიდან აღებულ ხასიათებს წარმოადგენენ) განცდებს, აზრებსა და სულისკვეთებას ავტორისეულად მიიჩნე-

ვლენენ და ამის საფუძველზე თვით ქოლა ლომთათიძესაც შიშს, დაბნეულობას, ბრძოლაზე გულისაღკრებას სწამებდნენ.

ბართალია, ასეთი ვაგებობა მომხრენი, უმრავლეს შემთხვევაში, აღნიშნავდნენ, რომ ამგვარი გამოვლინებანი ნაწარმოებში საბოლოოდ მაინც ითრგუნება მებრძოლი, ოპტიმისტური საწყისის მიერ, მაგრამ მაინც საჭიროზე დიდ როლს აკლავდნენ მათ და, რაც მთავარია. დაცემულობის განწყობილების მთლიანად ავტორს აწერდნენ.

მოთხრობაში „სახრჩობელას წინაშე“ ჭ. ლომთათიძემ მიზნად დაისახა ეჩვენებინა ორგვარი დამოკიდებულება პროლეტარიატის ბრძოლიანადში, რომელიც გამომუშავდა 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გამეფებული რეაქციის პირობებში და რომელიც საზოგადოების მტრულად დაპირისპირებული კლასებისათვის თუ ფენების პოზიციებში შეინიშნებოდა. ერთის მხრივ, ეს იყო ბრძოლის გაგრძელების წყურვილი და რწმენა შრომელთა საბოლოო გამარჯვებაში, ხოლო მეორე მხრივ, შიშის, მოღლილობის, რევოლუციისაგან განდგომის, ბრძოლაზე ხელისაღების ტენდენციები და პასიურ-მჭვრეტელობითი დამოკიდებულება აწმყოსადგმა.

პერსონაჟთა ფსიქოლოგიური დახასიათებისადმი ღრმა ინტერესმა, რომელსაც ჭ. ლომთათიძე მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე იჩენდა და ამ რთული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის უნარმა, რომელიც მას არა ერთხელ დაუმტკიცებია თავისი მხატვრული ნაწარმოებებით, უბიძგეს ავტორს, რომ ეს ორი სხვადასხვა ტენდენცია გამოეხატა არა ორ სხვადასხვა მოქმედ პირს, არამედ ერთ ადამიანს, ერთ პერსონაჟს. ასეთი რთული მიზანდასახულობა, ჯერ ერთი, ფსიქოანალიზის მეტ შესაძლებლობას აძლევდა მწერალს და უფრო სანტიერესობა ზღვიდა ამგვარ მხატვრულ ბერძნს, და მეორეც, ასეთი ვაოჩებულობა უფრო შეეფერებოდა იმ ეპოქის ადამიანებს, რომელთა შორის მრავლად მოპოვებოდა შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვნებები. აი, სწორედ ასეთმა ჩანაფიქრმა განაპირობა ნაწარმოების მთავარი გმირის, ჯეირან ვარდოსანიძის ხასიათი.

ამ მოთხრობის ფაბულური ხერხემალი ლირიკული პროზის ნიმუშებისათვის დამახასიათებელი სიმარტივით გამოირჩევა. აქ წამყვანია არა სიტუეტური პერსონაჟები, რომლებშიც, ჩვეულებრივ, ტიპიური გარემოს სურათები და ეპოქის ნიშნეული მხარეები მოჩანს, არა სიტუაციათა ცვალებადობა და მოქმედებითობა, როგორც ეპი-

კურ ნაწარმოებში შინაარსობრივი განვითარების ატცილებელი პირობა (სადაც სიუჟეტი კონფლიქტის გამოვლინების, ხასიათების დამხეულებს და მათი ურთიერთობა-შეუტაკების რატორიად გვევლინება), არამედ ფსიქოლოგიური სიღრმითა და სისრულით გადმოცემული მთავარი გმირის შინაგანი ეანცდები.

ამ ნაწარმოებში მოქმედებებს დინამიკრობა მიიღწევა არა ამბის თანამიმდევროული განვითარებით, არამედ გმირის შინაგანი ეანცდებისა და მანყობილებების ცვალებადობით. შოთხრობის სიუჟეტური ქარგის, ერთი შეხედვით, ასეთი შეზღუდულობის მოუხედავად, ავტორი ისეთი ოსტატობითა და მხატვრული მოხერხებულობით გადმოგვეცემს, ი. ქავჭავაძის სიტყვით რომ ვთქვათ, გმირის „სულისა და გულის დიდ ძვრებს“, რომ ნაწარმოები დაზღვეულია ყოველგვარი შინაგანი სტატიურობისაგან და დიდი ემოციურობით და დინამიურობით ხასიათდება.

ეს ნაწარმოები ერთ-ერთი ყველაზე უფრო მხატვრულად სრულქმნილი და იდეურ-შინაარსობრივად ღრმა და მდიდარი ქმნილებაა ქოლას შემოქმედებაში.

შოთხრობის სიუჟეტური ქარგა ასეთია: სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიურ მოღვაწეს, პროპაგანდისტსა და პროფესიონალურ რევოლუციონერს, სიცოცხლით საუესე ახალგაზრდა ვაჟაკს, ჭეირან ვარლასანიძეს, რომელიც როგორც საშიში პიროვნება, პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, დააბატმრებენ და სიკვდილს მიუსჯიან. ჭეირანი მხნედ და უდრტეინველად ხედება ამ სანჯელს. იგი დარწმუნებულია პროლეტარიატის საქმის გამარჯვებაში. საქმისა, რომელაეც სიცოცხლეს სწირავს.

ჭეირანი იმდენად მბაეცი და მშვიდია, რომ უკანასკნელ დღემდე, სანამ მას სახარობელაზე წაიყვანენ, დლოურსაც კი წერს. მას ბოლომდე შეუნარჩუნებია მსჯელობის უნარი. იგი გონების თვალთ აკვორდება და იმანებმს მთელ თავის წარსულ ცხოვრებას და არ ნანობს უღროო სიკვდილს. შესამდებელი რომ იყოს ცხოვრების თავიდან დაწყება, იგი მზადაა ბელმეორედ გასწოროს თავი რევოლუციის საქმისათვის. ჭეირანის გულში მტრისადმი უსაზღვრო ზიზღია დაბუდებული. იგი აღსავსეა შურისძიების ურძნობით.

ვარლასანიძე იგონებს თავისი წარსული ცხოვრების ებიზოდებს და თხრობაში ჩაწნული ეს მოგონებები აფართოვებენ ნაწარმოების

დროის ჩარჩოს. მათი საშუალებით ავტორი გვაცნობს გმირის ბიოგრაფიას და უფრო მეტყველად გვიჩვენებდა მის კეთილშობილურ სულიერ თვისებებს. ჩართული ეპიზოდების მეშვეობით ავტორი სინათლეს ჰქვინა ჯეირანის ბიოგრაფიას, მის წიარსულს (დედის სიკვდილის იცენა, მეძვეთან შეტყვედრა, საღამო თბილისში, რომანტიკულ-სამიჯნურო ეპიზოდები და სხვ.). ყოფითი ხასიათის ბიოგრაფიული დეტალების გვერდით მოთხრობაში მრავლადაა ჩაწინწყალული რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდები (პროკლამაციების ჯავრკვლევა, მუშებთან პროპაგანდისტული მუშაობა, ტერორისტულ-დღევრსიული აქტები და სხვ.).

ბრძოლებში გამობრძმედილი, უტრები და უღრეკე ჯეირანი კატეგორიულად უარყოფს პროკურატორის წინადადებას პატიების შესახებ: „ბუტრეუბნიულმა შარლატანებმა შეგებრალონ თქვენ სიკვდილით დასაჯელნი, იმათ ითხოვონ მოწყალეობა მე კი მოვევლები, როგორც შეშევენის სიკვდილი დამარცხებულ მეტრძოლს“... — ამასად პასუხობს იგი. ამდღელებელია მოთხრობის დასაჯრული: ჯეირანი ატყუებს ამხანაგებს, რომ მას სიკვდილი კატორღით შეუცვალეს, რათა ტყუილბრალოდ არ შეაწუხონ ციხეში მჯღარი მეგობრები და არ აახმაურონ ისინი პროტესტის ნიშნად, მისი სახრჩობელაზე წაყენის მომენტიში, რადგან იცის „სულ ერთია, არაფერი გმხოვად“. ასე გმირულად, ლამაზად, კეთილშობილურად კვლება ჯეირანი. იგი ვერაფერმა ვერ გატება და ცერც პროლეტარიატის მომავალი გამარჯვების ჩწმენა შეუტყა — „პროლეტარიატი კარგად იყოფს და თავისუფლებას მოვიპოვებთ“, ამბობს იგი. „ცოცხლობდეს პროლეტარიატი!“ — აი, ჯეირანის უკანასკნელი სიტყვები.

როგორც სოუეეტური ქარგულსაც ჩანს, მამაცმა და უღრეკმა რევოლუციონერმა ჯეირან ვარღოქანიძემ, შეგნებულად, სინანულისა და უკანდახვევის გარეშე თავი დასჯო საშსხვერკლოზე — რევოლუციური საქმისათვის, სახალხო თავისუფლების საქმისათვის. მან იცოდა, რომ „მხდლნი ვერ დაისაქუთრებენ ქვეყანას“, იცოდა, რომ მისი სიკვდილით დასაჯა ათასებს გამბოფნიზლებს, უყეთ გააცნობს მათ „სინახლიან კანონს“ და ერთი ჩამობრჩობილის წაცეულად ათასი მამსცი ჩადგება თავისუფლებისათვის მეტრძოლთა რიგებში.

იყო წუთი, როცა აღმზიანურმა განცლებმა, სიცოცხლის დაუძ-

ლეველმა წყურვილმა ჰიკედლიოს წინაშე შიში აგრძნობინეს ჯეირანს. მწარე მქენჯნავმა გრძნობამ, თავის გადაჩენის ინსტინქტმა მოიცვა მისი არსება. მაგრამ ეს წამიერი, სწრაფმავალი განცდა იყო მხოლოდ და ჯეირანმა ფოლადისებური ნებისყოფის წყალობით, ვაჟკაცურად დათრგუნა სპორადულად გამოძვლავებული ეს წამიერი სისუსტე და სავსებით ბუნებრივი განცდები. მათ არავითარი კვალი არ დაუტოვებიათ ვარდოსანიძის გარეგნულ ქცევაზე და არც არავის შეუმჩნევია ისინი. ამდენად, ჯეირანი ბოლომდე დაჩა მტკიცე, ქედმოუხრელ მებრძოლად, თუმცაღა, გმირის ფსიქოლოგიური დახასიათების თვალსაზრისით, სწორედ ეს ზანმოკლე ჭიდილი ადამიანურ სისუსტესა და მებრძოლის უღრეკელობას შორის არის კულმინაციური წერტილი მოთხრობისა.

წაწარმოებში რეალიზებულად გამოვლინდა ქოლას შემოქმედების ერთი ძირითადი თემატიკური ხაზი — უსამართლო სოციალური სისტემის კრიტიკისა, თვითმპყრობელურ-პოლიციური რეჟიმის ბარბაროსული ზასიათის მხილვისა და მათ წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური მოძრაობის ასახვისა.

მეტის „მართლმსაჯულებამ“ კანონგარეშე დააყენა ჯეირანი. იგი გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს. „ქვეყანაზე ორი მოპირდაპირე ძალა არსებობს, ორი მოსინსხლე დაუძინებელი მტერი — ზიმდიდრე და სიღარიბე, ძლიერი და სუსტი. ძლიერს ჰყავს ჯარი, კანონი, მღვდელი ჯვრით ხელში, პროკურორი. მე სუსტი ვარ და ამიტომ მპყრჩობენ, გავძლიანდები მაინც დამახრჩობენ“. მაგრამ „საზოგადოებას, რომლის სახელითაც პროკურორი დაპარაკობდა, ამ საზოგადოებას დაუეცტეს კარები და საქმის გარჩევაზე არ დაისწრეს“.¹ ამ გარეგნულად სასხვათაშორისო რეპლიკაში მომავლდინებული ირონია ელერს: განაჩენი გამოაქვთ იმ საზოგადოების სახელით, ვისაც არაფერს ეკითხებიან. ერთი ამგვარი შტრიხით ბუჩუქაზიული კანონიერების მთელი ფარისევლური ბუნებაა მხილებული.

ავტორი მხამიანი საჩკაზმით დალაჟს თვითმპყრობელური რეჟიმის აუცილებელ შედეგს — უკანონობას, ჯალათებსა და კაცის

1. ანალოგიური სიტუაცია გადმოცემულია ქოლას „დღიურში“, როცა მას და 11 სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დაპატიმრებულ დეპუტატებს „დაკეტლ კარებში“ ასამართლებდნენ.

მკვლევებს, რომლებსაც ეს რეჟიმი წარმოშობს და რომლებიც... „როცა უნდათ, აგიხვევენ პირს, ხელებს შეგიკრავენ და მათი მურღალი იხელებათ გცემენ, რამდენიც უნდათ... გცემენ შენ, პირაბვეულსა და ხელებგაკრულს, გაგიხსნიან გულს და შიგ გულში ჩაგაფურთხებენ, გაგიხსნიან გულს და მათი ბინძური ხელებით ჩაყრიან შიგ სიბინძურეს... იდავს, ყველაფერს ჩაღიან!“ ჩაღვან — „ასეთია ნადიმი გამარჯვებულისა, ასეთია სურვილი მისი, ვინც ღონიერია“.

ამიტომ აზავთებულა ჭეირანის გულში მჩაგვრელთაღმი ზიზღისა და შურისძიების წამლეკი ტალღა. მასში თანდათან ძლიერდება „წყურვილი საშინელი, უსაზღვრო, გაუმაძლარი, დაუზოგავი შურისძიებისა; წყურვილი სისხლისა და სამაგიეროს გადახდისა“... ჭეირანი შტერია იმ უკუღმართი პოლიტიკური წყობილებისა, რომელიც მიზეზია მასებში ტანჯვისა, ვინც ჭვარს აცვამს „უთვალავ ქვრივსა და ოხერს“, ვისი გამოძახობითაც ქვეყანა „ოჭვარისა და ტანჯვის სამეფოდ“ გადაიქცა. იქ „ოხრავენ და ჩივიან გულდაწყვეტით, ღრმად და უნუგემოდ და იღვიძებს გულში უთვალავი ჭრილობა, გაგონდება შეურაცხყოფა და დაცინვა, მოტყუება და ღალატი“.

ჭეირანის თავდადებული მეძრძოლია, „მე იმათ ვეძრძოლი, ვინც სიცოცხლეს არ გვანებებს“ — ამბობს იგი — ამიტომ სწყურვიან ჩემი სისხლი კანონსო“. ჭეირანს, ერთის მხრივ, უხარია კიდევ თავისუფლებიან საქმისათვის სიკვდილი, რადგან ეს აღმგზნებულ იმოქმედებს ხალხზე და კიდევ ერთხელ ნათელყოფს სისხლიან რეჟიმს. იგი ასე მიმართავს „კანონს“ და მის დამცველთ: „ღვარე სისხლი და მიირთვი ის! იყავი ჭალათი, რომ უფრო გამოგიცნონ, მოიპარე ადამიანები, ჩემად, მალულად გააბამართლე და დახოცე... დახოცე, სანამ მოერიო მათ! იზანავე სისხლში...“ ჭეირანი ამჟნეუებს თავის თავს: „ადი, ადი სასარჩობელაზე, დაენახვე ქვეყანას... ყვავილო მოწყვეტილო, დაფიქრდებიან, როცა დამქნარს გიხილავენ“...

მსხვერპლად თავის მოტანა როდი აღონებს ჭეირანს. პირიქით, იგი უფრო მეტ სიამაყესა და თავის თავისადმი პატივისცემას გრძნობს. საოცარი ძალით, კეთილშობილური შინაგანი მღელვარებით და პროლეტარიატის საქმისაღმი ერთგულებითაა გამსჭვალული მისი მგზნებარე სიტყვები, სიტყვები, რომლებიც თვით ჭოლას გულისნადღვრის გამომხატველად გვევლინებიან: „ბედს არ ვემდღარი. ის კი არა, ხელახლა, თავიდან რომ დავიწყო სიცოცხლე, ისე, რომ ყო-

ველიძე ეს მახსოვდეს, დაბეჭდითებით შემოიძლია ვთქვა, რომ ისევ აქ მოვალ. არა, ბედს არ ვემდური. მე ვიცოცხლე ისე, როგორც მე მინდოდა და მესმოდა სიცოცხლე. თუ ვინმე დამტყუბა სიცოცხლით, მეც ერთი იმთავანი ვარ, თუ ვინმეს ფაშოუცდია შეება და სინჯარული მეც გამომიცილია. ჩემი სიყვარულიც სრული იყო და სიძულვილიც, რწმენაც და უარისყოფაც. ამა ერთი ის რად ღირს, რომ მე ვიცი — ჩემი საშუალებით ბევრი, ბევრი თავი ამუშავებულა, ბევრი დაფიქრებულა! გახანა მე არ იცის იმ ბედნიერი, რომლის გატაცებულ სიტყვებზე იმდენს ანთებია თვალები და გულში ბრძოლის ცეცხლი აგზნებია, სისხლი ამუშავებია, აჩქარებია! მე ერთი იმ ბედნიერთაგანი გახლავარ, რომელსაც მიმიღია რწმენა, ატყუებული, გატაცებული შემოთვალბია ის და შემდეგ სხვებთანათვისაც გადაიხილა და ამნაირად მეც გადამიბამს ახალი რგოლები იმ დიდი და მჭიდრო ჯაჭვისათვის, რომელსაც მუშათა პარტია ეწოდება. მუშათა-მებრძოლი არმია! მე, რომელსაც ისეთ ჯანსაღ, ისეთ მომავალი ბედნიერების მატარებელ წრეში მიმუშავია და მისი სიყვარული მინახავს, გახანა მე არ ვარ ბედნიერი?" — ამ ცეცხლისმკვესსაც სიტყვებს ამბობს სასიკვდილოდ განწირული აღამიანი და მათში მტკიცე კლასობრივი თვითშეგნება, რკინის ნებისყოფა და პოლიტიკურად გათვითცნობიერებული მებრძოლის უდრეკი, შემმართებელი, გმირული ბუნება იფრქვება.

სიკვდილის წინ ჭეირანი სინჯარულით მიესალმება მომავალ თავისუფალ სიცოცხლეს, იმ გარდღვალ სამართლიან სისტემას, სადაც „ყველაფერი კარგი უნდა იყოს, უნდა მოეწყოს, მოეწყობოდეს! მაშ, ასწიეთ მადლა ღრთმა სიცოცხლისა და ბრძოლა სიკვდილს“.

გახანა შეუძლია ბედნიერად ჩაატვალოს თავი სასიკვდილოდ განწირულმა აღამიანმა და სიკვდილის წინა წუთებში სინჯარულიც იგრძნოს, თუ იგი დარწმუნებული არ იქნება იმ დიდი საქმის გამარჯვებაში, რომელსაც ემსახურება და რომელსაც თავს სწირავს? ჩეირან ვარლოსანიძე იმითომ ეგებება ასე უშიშრად სიკვდილს, რომ მას ღრმად სწამს პროლეტარიატის საქმის უცილო გამარჯვება. მას იმედი უნახია, რომ მდვილად დამძლია გულში ღრთებით შემოპარული შიში და კვდება ისე, როგორც შეჭვერის ერთადერთ, მოლოდინ რევოლუციური და ყველაზე მოწინავე კლასის — პროლეტარიატის —

ღირსეულ შვილს, რომელიც საკუთარი სიკვდილითაც კი ღირს სამსახურს უწევს მუშათა კლასს.

აი, რას წერს იგი ჩამოზარბობამდე ჩამდენიშე საათით ადრე თუის დღიურში „...სინარულსა და აღტაცებას ვგრძნობ, მთელი არსება ნეტარებას განიცდის. ეხლა ზად არის ჩემი პროტურორი, აბა, ერთი ნახოს — დამძლია თუ არა! აბა ერთი ჩამოიხედოს ჩენს გულში აბა ერთი ჩამოიხედოს და დანიანავს, თუ რა დარცხვენით მიიპარება მის მიერ შექმნილი ცილისწამება ჩვენს შესახებ, მისი კანონი, რომლითაც ის მათარბობელაზე მგზავნის! მხოლოდ გუშინწინ... გუშინწინ მე ვკანკალებდი, გუშინწინ ბევრს, ბევრს შევნატრე“. — მაგრამ ეს მხოლოდ გუშინწინ იყო. დღეს კი ჭეირანი მწარედ ინანიებს იმ მცირეხნოვან შიშსა და დაბნეულობას. რომელიც მოახლოვებულმა სიკვდილმა აგრძნობინა უნებურად. ის შიში მხოლოდ წამიერი გრძნობა იყო, უშიშრობა კი მისი მარადი თვისებაა. გრძნობა დამოშინებული, გონება მოკრეფილი ჭეირანი კვლავ ჭეირახია: „მხატვთ გახა დაბუნად? ძალიან კარგი, ეხლა მე მოვდივარ თქვენზე და დამაგრდით... ჭიქურად, აშქარად მოვდივარ მე და დამაგრდით, აბა!“...

და აი, მოახლოვებული სიკვდილის წინაშე ჭეირანი ცდილობს მოასწროს მთელი სიძარბოლის თქმა, ექსპლოატატორთა დაუნდობელი მხილება. ნაწარბოების უკანასკნელი გვერდები ესაა საოცარი ძალისა და შემართების მამხილებელი სიტყვა, რომელიც სამარცხვინო ბოძზე აკრავს იმ შავბნელ ძალას, რომელიც ხალხს მუხლებზე აჩოქებდა, აწიებდა და სიბხლს სწოვდა.

„ბევრი ხართ თქვენ! ფულები გაქვთ თქვენ, და ღმერთიც თქვენს მზარბეა, იმიტომ, რომ ფულები გაქვთ თქვენ, ბევრისაგან ბევრი მეცნიერი და სწავლული ამართლებს თქვენს არსებობას ქვეყანაზე, იმიტომ, რომ ფულები გაქვთ თქვენ!.. თქვენ ბუნდნიერნი ხართ იმიტომ, რომ გაქურდით, გაძარცვით უბედურნი, თქვენ ტყავი გაძვრეთ მუშას, ამიტომ ფულები გაქვთ თქვენ... ამიტომ თქვენსკებ არის კანონი და სამართალი, მღვდელი და ეკლესია, ამიტომ ძლიერნი ხართ თქვენ... მაგრამ ჩემს საზარბობელას არ ცავცელი თქვენს ბუნდნიერებაზე, თქვენ, რომელთაც ბუნდნიერება ავიშენებდათ სხვის უბედურებაზე... ვინ გაგამართლებს თქვენ, როცა პასუხს მოგთხოვენ; ვინ გაბედავს თქვენს სასარგებლოდ ხმის ამოღებას?.. აბა, ერთი მიმოიხედეთ გარშემო, აბა დაფიქრდით, რა იქნება, თუ თქვენ

მიერ გაუბედურებული ქვეყანა ალაპარაკდა. თუ მან ამოიღო ხმა და ანგარიშის გასწორება მოითხოვა... ეპ, იცოდეთ ერთი, რა მძაგხართ თქვენ!.. თქვენი სიყვარულიც მძაგს და სიძულვილიც, თქვენ მიერ შექმნილი ზნეობაცა და კანონიც, მძაგს თქვენი ღმერთი, რომელმაც იქადაგა ყოფილად ბინძური სიტყვა — მოთმინება თქვენი სისაძაგლისა... ასე ათასი ცნა რომ მქონდეს, ასე ათასი ენით შეგდახებლით მე თქვენ: — სიკვდილი თქვენ, მკვლევლებო! ბრძოლა თქვენ, ქურდებო და ავაზაკებო!..“

ასეთი ვნებიანი, ასეთი ემოციური, ხმალივით აღესილი სიტყვების წარმოთქმა და მჩაგვრელთაღმძი ასეთი საოცარი ძალის მამბილებული ბრალდების წარდგენა მართო იმას შეეძლო, ვინც თვითონ იყო უნაპირო გესლითა და მტრობით გაქუნთილი ექსპლოატატორული საზოგადოებრთა და მისი ყაჩაღურ-ფარდისეულური ინსტიტუტისადმი. ამ სიტყვებში თვით ქოლას გულის თრთოლვას ვგრძნობთ. ეს მისი სულის სიღრმიდან მომდინარე წყევლაა და ამიტომაც არის იგი ეგზომ მოქმედი, გესლში ნალესი და დამდალველი.

მაგრამ ჭეირანს მართო გესლი რომელი უდღეს ფულში. იგი ნაზი, ძლიერი და კეთილშობილური სიყვარულითაა გამსჭვალული თავისი ძმებისადმი, ჩაგრული და დაბეჩავებული ადამიანებისადმი, მშრომელი კლასისადმი, რომელსაც უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებისკენ მოუწოდებს და მტკიცედ დარაზმვას, მტერზე საიერიშოდ მისვლას უქადაგებს. ამიტომ, ჭეირანის ცეცხლოვან, მომწოდებლურ სიტყვებში მოყვასისადმი იმდენივე სიყვარული მოჩანს, რამდენიც უნაპირო ზიზლი და დაუძინებელი მტრობა მჩაგვრელთაღმძი: „ჩემო ძმებო და ამხანაგებო, გაძარცულნო და შეურაცხყოფილნო... თქვენ, ვინც ვერასოდეს ვერ ისწავლით სახვის უბედურებაზე ბუდნიერების აგებას, სახვის ნაშრომით ცხოვრებას, თქვენ, ვინც შრომობთ და ნაშრომს გართმევენ, ვინც ოფლს ღვრით და მაინც გშიათ... თქვენ, ჩემო ძმებო და ამხანაგებო, მაღლა, მაღლა ასწიეთ დროშა ბრძოლისა და მედგრად, ამაყად შემოკრებით მის გარშემო, შემოკვარით ზარს ბრძოლისაკენ მომწვევს და დასძახეთ ქვეყანას გაბედულად და უშიშრად, დასძახეთ, ბიჭებო, ყიჟინა და მიესიეთ მტერს!..“

მოუხედავად იმისა, რომ ლირიკულ პროზაში საერთოდ, და ამ-ნა-წარმოებში, კერძოდ, — სიუჟეტი იდეის მხატვრული რეალიზაციი-

სათვის არ თამაშობს ისეთ გადამწყვეტ როლს, როგორც წმინდა ეპიკური ხასიათის ნაწარმოებში, ჭეირან ვარდოსანიძის მებრძოლი პეროვინება, მისი უდრეკი რევოლუციურობა ვერ იქნება საესებით ცხადყოფილი მხოლოდ მისი ცეცხლოვანი სიტყვების გადმოცემით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოთხრობის სიუჟეტს და განსაკუთრებულ ფინალს.

ჩამოხრჩობამდე ორიოდ საათით ადრე, ჭეირანს კიდევ იმდენი განსჯის უნარი და უდრეკელობა შერჩენია, რომ აღტაცებით ლაპარაკობს ერთ-ერთ ტუქალზე, რომელიც მეგობრის ჩამოხრჩობისათვის უძიხს უფროსი გაუღანავს. მაგრამ ამაზე საყურადღებო მხოლოდ დეტალია: როცა ჭეირანი დარწმუნდება, რომ ჩამოხრჩობა ველარ აცდება, იგი მოატყუებს მეგობარ ტუქალუმს, ფითომც სიკვდილი კატორღით შეუტყუალეს, რათა ისინი საპროტესტო გამოსვლებს ააუღონ და ამით უსარგებლო რებრეზიციებს გადაარჩინოს: „მშვიდობით, ჩემო ძვირფასო ამბანაგებო, იგაიღვიძებთ ხვალ და მე აღარ ვიქნები, მშვიდობით!..“

ჭეირანი სახსრჩობელაზე აღის არა როგორც დამარცხებული ადამიანი და უიმედო საქმისათვის მებრძოლი, არამედ როგორც დროებითი უკუდახვევის კანონზომიერი მსხვერპლი, თანაც ისეთი, რომლის სისხლის ყოველი წვეთი სულ ახლო მომავალში ასჯერ და ათასჯერ იქნება ზღვეული. ამას მოწმობს მიხვგრელთაღამი მიმართული მისი უკანასკნელი სიტყვები: „იქადაგეთ მორჩილება და მონობა, სიმდაბლე და სიმშვიდე, აქცხეთ ღმერთთ დარაჯად თქვენი გარყვნილი არსებობინა... და ვევედრეთ ღმერთს, რომელითაც ამდენხანს ატყულებდით ქვეყნურებინა!.. იცურავეთ სისხლში, იხანავეთ სისხლში მოძმეთა თქვენისა, დათვეროთ სისხლით, სანამ თქვენ მიერ დაღვრილ სისხლს არ დაუბრუნებართ თქვენ; სანამ — შურისძიებინს არ მოუღმწყვდევინართ მკლავებში“.

გმირულად, უშიშრად ეწირება რევოლუციას ჭეირან ვარდოსანიძე: „რა, რა იქნები, სახსრჩობელავე, ჯილათო! რად დაჰკარგე შენი საშინაარი სახე, რად მიცქერი აგრე უფერული და უშინაარსო? და შენც სიკვდილო, მუთუჟ ასეთი სუსტი ხარ? რად ველარ მაშინებს შენი გულგრილი სახე, შენი ცივი ქმენა?... ვერა, ველარ დამძღვევ, ბებერო, ველარ! ამაყად, უშიშრად გიყურებ თვალებში, ამაყად,

უშიშრად აფაჩიყებ ფეხს სკამზე! ზურგეუანიულმა შარლატანებმა "მე-
გაბრალონ თქვენ სიკვდილით დასასჯელნი, იმათ ითხოვონ მოწყა-
ლება! მე კი მოვევლები, როგორც შეშენის სიკვდილი დამარცხე-
ბულ მებრძოლს. მე მოვევლები, როგორც დამარცხებული სოცია-
ლისტი... ჰე, ჯალათო, მზათა კისურა..."

ჯეირახის ზახით ვბირული სიციაცსლე, დიალი საქმისათვის თავ-
განწირვა ამარცხებს სიკვდილს. ამ ნაწარმოებში იგრძნობა ის რე-
ვოლუციური რომანტიზმი, რომელიც შეინიშნებოდა მ. გორკის ად-
რეულ ნაწარმოებებში. მსჯავსად კორკის „ქალიშვილთა და სიკ-
ვდილისა“, სადაც სიკვდილი ძლეულია სიყვარულის მიერ, კოლას ამ
ნაწარმოებში სიკვდილს სძლევს გმირობა და რევოლუციური თავ-
დადება.

ამრიგად, ჯ. ლომთათიძის „სახრჩობელას წინაშე“ ესაა შთავგონე-
ბული ჰიმნი მამაცობისა, უდრეკელობისა, რევოლუციური თავდადე-
ბისა. ესაა ამაღლევებელი თხრობა მუშათა კლასის იმ გმირი მებრძო-
ლებს შესახებ, რომლებიც ავრორასავე სიტყვით, წარმოადგენენ
„ახალ როგოლებს დიდი და მჭიდრო ჯაჭვისა, რომელსაც მუშათა პარ-
ტია ეწოდება, მუშათა მებრძოლი არმია“.

„სახრჩობელას წინაშე“. ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია
მთელს ქართულ ლიტერატურაში, რომელშიც ასე ხელშეწყობად,
ასე მკვეთრად აჩვენა 1905 წლის რევოლუციის ძირითადი მამოძრა-
ვებელი ძალის — პროლეტარის მებრძოლი სჯებ და მუშათა კლასის
მოწინავე რაზმის, რსდმპ-ს ტიპური წარმომადგენლის თავდადება.
მწერალმა დასამახსოვრებელი მხატვრული სახეებით გვიჩვენა კლა-
სობრივი თვითშეგნებისა და იდეური გათვითცნობიერების ის მაღა-
ლი დონე, რომლითაც ჩასათადებოდა ნაციონალურ-გაუმმათავისუფ-
ლებელი ბრძოლის მესამე — პროლეტარული ეტაპი.

მოთხრობა „სახრჩობელი“ კოლას ერთ-ერთი ყველაზე
ვრცელი ნაწარმოებია, რომელსაც მოცულობით მხოლოდ „ძე კაცი-
სა“ აღემატება. მიუხედავად იმისა, რომ საპურობილის სურათებმა
ადრეც გაიღვეს (მაგალითად, მოთხრობაში „სახრჩობელას წინა-
შე“), საპურობილის გაშლილი რეალისტური აღწერა. შეიძლება ით-
ქვას, სწორედ აქედან იწყება და კოლას შემოქმედებისათვის ეგზომ
ნიშნული თემა — საპურობილისა და ტუქალისა სპეციალურ დამუ-
შავებამ პირველად ამ ნაწარმოებებში პოულობს.

ამასთან ერთად, აქ განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი კრცული ავტობიოგრაფიულ დეტალების ჩართვის პრაქტიკამ. ამ ორმა ნომენტმა — ფარეშოს რეალისტურმა აღწერამ და საკუთარი ცხოვრებიდან რეალისტური ეპიზოდების მოშველიებამ განსაზღვრა ნაწარმოების ეპიკური ხასიათი. ამიტომაც, რომ „საპყრობილეში“, მიუხედავად პირველი პირით თქრობისა, მდიდარ ლირიკური წილსვლებისა და ლირიკული პროზისათვის დამახასიათებელი სხვა მრავალი ნიშნისა, მაინც ვერ ჩაითვლება „წმინდა წყლის“ ლირიკული პროზის ნიმუშად (იბდენად ძლიერია მასში თანამიმდევრული რეალისტური თქრობის ელემენტი), რის გამოც, ეანრული თვალსაზრისით იგი მოთხრობა უაბლოვდება, თუმცა სიუჟეტურად არა სავსებით შეკრულსა და დამთავრებულს. იგი ლირიკული და ეპიკური უამრავი მიჯნაზე დგას და, მაგავსად ლირიკული პოემისა, რალაც თავისებურ, ეპიკო-ლირიკული ხასიათის პროზაულ ნაწარმოებებს წარმოადგენს.

მის ეპიკურ ხასიათზე მეტყველებს მოთხრობის კომპოზიციური სტრუქტურაც, გამირობებული ამბის თანამიმდევრული განვითარებითა და აგრეთვე მოთხრობის დაყოფა ლოგიკურად დაკავშირებულ თავებად და ქვეთავებად.

ამ ნაწარმოებში პარალელურად ორი სამყაროს სურათი გვეხატება: ციხე და ციხის მიღმა სინამდვილე, რომელიც ავტობიოგრაფიულ ეპიზოდთა წყნებას წარმოადგენს. ავტორი ხან გონების თვალით გასაქვერის წარსულს, ხან ისევ ციხეს უბრუნდება და ამ ორი „სამყაროს“ თანამიმდევრული ცვლა ნაწარმოების მთელ სივრცეზე წარმოებს. ამას, ერთგვარი მობოლიშებით, თვით ავტორიც გვეუბნება: „რადგანაც ტყუილ ჯდომას ტყუილი შრომა სჯობია. სწორედ ამიტომ ვიღებ კალამს და ვსწერ ყველაფერს, რაც კი კალამს ქვეშ მომყვება. ვწერ, რაც გადავიტანე, რაც ვიხილე, ვწერ საპყრობილის სურათებს, რომელშიც ხანდახან გამოერევა ხოლმე ციხის გადაღმელი სურათებიც, უამისობა შეუძლებელია“

მე მწერალი როლი ვარ. სხვა ღროს და სხვა გარეშობებში შეიძლება ერთი სიტყვაც არ დამეწერა — ვერ მოვიცილიდი“.

ნაწარმოებში ასახული ორივე გარემო ცხოვრების საოცარი ცოდნით, მეტყველი დეტალებით და ცხოველი ფერებითაა დახატული. ასეთია, მაგალითად, ყრუ, პროვინციალური ქალაქის შემწარ-

ხური ცხოვრებას დასურათება, რომელიც (მოუხედავად ლაქონიზმი-სა, დიდი სისრულითა და ექსპრესიითა წარმოსახული, საოცარ-პლასტიკურობითა და დასამაძალოვრებული ფერადოვნებით გამოიჩევა რევოლუციონერ ქალთა ორი ტიპური სახე — მემანქანე ნატაშას („შავთვალა“) და ლიხასი; ცხოვლადაა გადმოცემული გაუთავებელი კამათი „მეუმრავლესებსა“ (ბოლშევიკები) და „მეუმცირებსს“ (მენშევიკებს) შორის; საუკეთესო ენარული სურათების მონაიყურ მოქვედულობით განოიჩევა სოშქე-თათართა ელექტის ღაროს განჯაში ნახული თათარის სახე. და გურულ ქორწილში შემთვრალი მაყრებში წაძიბვილავების კომიკური სცენა და სხვა მრავალი.

ბუნებრივია, რომ ყველაზე ვრცლად ტუსალის სულიერ მდგომარეობას ეხება ავტორი. „გძინავს თუ გღვიძავს, დადინარ თუ ზინარ, ერთი სიტყვით, ყოველთვის... მოგონებაში ცურავ. ხოლო რაც უნდა უშინაარსო იყოს ის, რაც უნდა უმნიშვნელო, აქ ამ აღავას, ყველა მრავალმნიშვნელოვანია, ღრმად შინაარსიანი და ძვირფასი“ — ამბობს ის.

საპყრობილის სურათებიდან დასუციწყარია ზედაშხეღველ სუკინის, ამ „საზინლარი და აღმშფოთებელი“ არსების გაწიბილების სცენა. საოცარი ფსიქოლოგიური ჰიღრმით და უშუალობითაა გადმოცემული ეპიზოდი სამხრეთიკაკენ ეტაპის გამგზავრებისა და ერთერთ საპყრობილეში ციხის ადმინისტრაციასთან თამამი შესიტყვებისა. პერსონაჟთა ენობრივი დახასიათებით, ოსტატურად გაღმოცემული დიალოგით და ორიოდე მახვილი შტრინით ავტორი ახერხებს ციხის უგულო თანამშრომლების მეტყველი სახეების გამოკვეთას.

უცხად ბნელეთის ამ სამყაროში ნათელი სბივი შემოიჭრება. მოგონება ამოტივტივებს თბილი ლირიზმით აღსავსე სურათებს. ტუსალის მონი პაწია შვილი ესტუმრება: „ქშენით, ბაჭბაჯით, ხელეგამლილი მორბის პატარა პიტუნა, ვულში ეკვრება და ფუნჩიულა ხელებს სახეზე უთათუნებს“. მაგრამ ამ ხანმოკლე სინარულს ისევ პირქეში გარემო სცვლის და ციხის შემზარავი სინამდვილე მწერლის მადლიანი წარმოსახვით გაცოცხლებული, სულთამაშუთავივით აღიმართება მკითხველის წინაშე. აი, გულქვა და ბოროტი ზედამხედველი ზოსიმოვი — „პაილენების ბაბუაღ“ წოდებული, რომელიც

„მტყუანსა და მართალს ყველას ასმენს“. აი, ციხის უფროსის თანა-
შემწე, შავრაზმელი „პოგრომჩიკი“ გვლინი — მეტსახელად ბედუი-
ნი, „ზედმიწვევით შხაღლი და ჟსაფინდისო, ვინც ოდესის ებრაელთა
დარბევით პრავოჩჩიკობა „იშოვა“, — ეს ნამდვილი ალა-მაჰმადხა-
ნი“. აი, გველაძეუა ზედამხედველი ზახარჩუკი, რომელსაც „გულ-
წრფელად უპარია“ ტუსალთა ტანჯვა და რომელიც ასევე გულწრ-
ფელად ამტკიცებს, რომ „ტუსალს ღღეში ორჯერ მაინც უნდა სცემ-
დნენ“. აქვეა გონებანაღვნი ზედამხედველი დერუნიოვი — მეტსა-
ხელად „მორდა“, ეს გახრწნილი ცინიკოსი, ადამიანის სახეს მოკ-
ლებული ციხის ექიმი, რომელსაც „ციხის უფროსზე უფრო სძულს
ტუსალები“ და სხვანი.

ასეთი შემხარავი სიმართლათა და შთამბეჭდაობით დაგვიხატა
ქოლამ თვითმპყრობელური რუსეთის საპყრობილს შემადრწუნებე-
ლი სურათი, სადაც „ყოველივე ღონისძიება მძილებული, რომ მარ-
თლაც მონატრონ სიკვდილის აღამიანს“.

ამ უსაზიზღრეს არსებათა გვერდით რა ამალღებულნი, კეთილ-
შობილნი და მიმზიდველნი მოჩანან გულგაუტეხავი რევოლუციონე-
რები, კატორღელები — ორეშკო, მანკო, მეზღვაური იურკა —
რომელთაც არაადამიანური პირობების მიუხედავად ოდნაეც არ
დაუქარგავთ სიმტკიცე, რწმენა, ზალხური იუმორი და რომელნიც
ვერ მოტეხა ვერც ჯალათების ტანჯვა-წამებამ, ვერც საპყრობილის
უსასტიკესმა რეჟიმმა.

საოცარი დამაჯერებლობით გადმოსცემს ქოლა პოლიტიკურ ტუ-
სადთა პროტესტსა და გაფიცვას ციხეში, როცა ისინი შეუღღრეკლად
იბრძვიან ციხის აღმინსტრაციის წინააღმდეგ და თავიანთი დაუ-
მორჩილებელი სულით, გაუტეხაობით ციხის გულქვა მესვეურებსაც
კი განაცეიფებენ. უსაზღვრო ზიზლით არის გამსჭვალული ავტორი
მათადმი, ვინაც ზალხის ცხოვრება საპყრობილედ აქცია. ამიტომ
იჯანებს იგი გოეთეს სიტყვებს — „ჩვენ არ შეგვიძლია მიუღვომელი
ვიყოთო“. სამაგიეროდ, ავტორი უდიდეს სიყვარულს განიცდის იმ
ადამიანებისადმი, რომლებიც შხად არიან თავისუფლების საქმისათ-
ვის „ისევ იტანჯონ, ისევ ვადაიტანონ ბედის ჩაბნის მათრახები“,
ვინაც თვითმპყრობელობა უკაცრიელ ტიფანში აგზავნის, ვინც „სა-
ზღვდამოდ შორდება ნაცნობ ადვილებს“, ვინც „ვერასოდეს ვერ ნა-

საქვს სამშობლო ქვეყანას, თუ რომ... თუ რომ შენ არ აღიმაღლე ხმა".
--- დაასკვნის კოლა და ამ „შენში“ ჩაგერჯულთა იმ არმიას ვულისხ-
მობს, რომელსაც პროლეტარიატი სარდლობდა და რომლის რიგებ-
შიც თვით კოლასნაირი უტენი სულის მეომრები იზრდებოდნენ.

სურათების ფრაგმენტარულობის მიუხედავად, მთლიანად ნაწარ-
მოები, საბოლოო ანგარიშში, მაინც არ ტოვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ:
სურათთა კრებულის შთაბეჭდილებას, რადგან ეს ცალკეული ეპიზო-
დები გაერთიანებული არიან შინაგანი განწყობილებით ერთი გამჭო-
ლი იდეით და ერთი მიზანდასახულობით, რის შედეგადაც ნაწარმოე-
ბის ცალკეული სურათები ერთი მთავარი იდეის სხვადასხვა ხასია-
თის ილუსტრაციას წარმოადგენენ. მაგრამ ამ ერთგვარად მაინც
ფრაგმენტარულ სურათებთან ერთად გვაქვს დასრულებული პორტ-
რეტიც რთული ფსიქოლოგიური ბუნების ადამიანისა, რომლის განც-
დები და მისწრაფებანი უაღრესად ნიშანდობლივია მისი თანადროუ-
ლი ეპოქისათვის და რომლის მხატვრულ ხასიათშიც მოჩანს მრავალ-
ი ტიპიური თვისება, ნიშნეულ: იმ ხანის ადამიანთა ძალიან დიდი
წრისათვის.

ეს კოლორიტული და დასამახსოვრებელი პერსონაჟი არის კოლა
დროზდოვი, რომლის სახეც ლირიკული გმირის (ვიპი პირითაც მიმ-
დინარეობს თხრობა) შემდეგ ამ ნაწარმოების ცენტრალურ პერსო-
ნაჟად გვევლინება, რის გამოც დიდი იდეურ-შინააქსოობრივი დატ-
ვირთვა აქვს რა და განზოგადებულ ხასიათს წარმოადგებს.

ქ. ლომთათიძის მიერ კოლა დროზდოვის სახის ცხოვლად და და-
სამახსოვრებლად გამოქანდაკება ცხადყოფს ტიპიზირებული ხასი-
ათების შექმნის უნარს; ხასიათებისა, რომელნიც შთაგონებული არი-
ან თანამედროვე სინამდვილით, მაგრამ რომლებშიც ასევე მკაფიოდ
მოჩანს ავტორის წარმოსახვით გამდიდრებული მხარეები, დაფუძნ-
ებული წინგანქვრეტის და ისტორიის განვითარების მომავალი ტენდე-
ნციების შეცნობის შესაძლებლობაზე.

კოლა დროზდოვი, რომელსაც სასიკვდილო განაჩენი სამუდამო
კატორღით შეუტყვეალეს, ერთი იმ მრავალთავანია, ვის სულშიც რე-
ვოლუციის დამარცხებამ ათასი წინააღმდეგობა და შინაგანი კოხ-
ფლიქტები წარმოშვა, ვიპი მამაცობაც შიშმა განდევნა, რწმენა —
ეჭვმა გაანელა, თავდადების სურვილს — თავის გადარჩენის ინსტინ-

ქტმა დასძლია და მონოლითურობა გაორებულიობამ შესცვალა; ვის გულსაც ათასი ქია. ზრავს და ათასი ერთიშეორის საწინააღმდეგო გრძნობა დაუფლავია. „წაფთა დრო, როცა ვატენილ ზარბაზნებს გულმკერდს ვუშვერდით და მამაცურად ვკედებოდით“. ახლა, კოლა აზრით, გმირობის დრო აღარ არის. ცხოვრების ინსტიქტმა წალეკა კეთილშობილური და გმირული მისწრაფებანი. „მოგვცხეს, ძმავ, არ უნდა ლაპარაკი... გედლიეს და გადადიან კიდეც შალაყს ჩვენს კისერზე“ — ამბობს დროზდოვი.

სწორედ ამ განუწყვეტელმა და მძიმე „მოცხებამ“, ამ დამარცხებამ გატეხა კოლა, წელი გაულუნა, მკერდი შეუნგრია ლამაზსა და მიმზიდველ ვაჟკაცს. მის ალერსიან, მშვენიერ ღრმა თვალებს სევდისა და შინაგანი ტკივილის ბინდი გადაეკრა. კოლას გაორებული ბუნება ყველა დეტალში მოჩანს. იგი „ხან ბერს“ ემსგავსება, მონასტრის შორჩილს, ხან კი ძალღივით იკბინება“.

კოლა დროზდოვი, მოღლილი ინტელიგენტის ტიპური განსაზიერებაა. იგი ხშირად ფიქრობს იმაზე. თუ რაგორ მოიქცეოდა საყრობილედან ერთბამად რომ გაუთავისუფლებდათ და თითქმის ყოველთვის იმ დასკვნამდე მიდის, რომ ასეთ შემთხვევაში აუცილებლად მოშორდებოდა საზოგადოებას, საღმე უდაბურ ადგილას გადაიხვეწებოდა და ბუნების წილში, უკაცრიელ სიჩუმეში კპოვებდა მშვიდსა და მყუდრო ცხოვრებას: „ერთ წამსაც არ გავჩერდები ქალაქში, არც სოფელში, არც ერთ ნაცრობს არ ვინაზულუბ; არც დედაჩემს... წავალ უღრან ტყეში, იწავალ შორას, მოვინახავ დაბურულ ალუგს... და იქ დავბინავდები... ათასი წელი რომ გავძლო, ერთხელაც რა არის, ერთხელაც არ ამოვიღებ ხმას... ერთი დუკი სიტყვა არ წამომცდება, ვიქნები მუნჯი. მე მესმის, თუ რად გარბოდნენ კაცები უდაბნოში, მესმის იმათი სულისკვეთება, რომელნიც შორდებოდნენ სოფელს, იმალებოდნენ ტყეში გავარდნილნი, და სდუმდნენ“.

ჩინეგატ ინტელიგენტთა ასეთი მისწრაფებები 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ იშვიათი არ იყო. ცხოვრებისგან გაქცევის უსოდველ გარემოში განმარტობის ტენდენციები და ბუნების წილისკენ რუსოსებური ლტოლვა (თუმცა სხვა მიზნითა და მიზნით) იმ მძიმე დროის ფრიალ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა:

სადმე ყრუ ადგილს დავესახლები
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი,
სადაც იქნება ცოფი ნაკლები
და უფრო ნაკლებ ადამიანი.

(გ. ტ ა ბ ძ ე)

მართალია, ასეთი აზრები ყოლას ყოველთვის არ უტრიალებს თავში („ხანდახანო“, როგორც თვითონ ამბობს), არც მის მეგობრებს სჯერათ მისი ამგვარი მინსწრაფების მულმიფობისა და ამბობს მონაწილე მთბრობელი (ავტორი) კიდეც ეჭამათება ზმას — „რა თქმა უნდა, ეს თქვენი მულმივი აზრი არ არის, თქვენ მხოლოდ ხანდახან მოგეხასიათებათ ესაო“. — მაგრამ მიუხედავად ამისა, კოლა დროზდოვი მკაფიო ტიპია გაორებული, ფადაღლილი და ბრძოლაზე ხელაღებული ინტელიგენტისა, რომელიც ასე ძალიან განსხვავდება იქვე მყოფი სხვა ტუსადებისაგან (ისეთ უდრეკ მუშა-რევოლუციონერთაგან, როგორცაა, მაგალითად, ორეშკო, მანკო, ლურკა და სხვანი). ეს უტეხი მებრძოლებიც ოცნებობენ ციხიდან გასვლაზე, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ უღრან ტყეში გადაიჯარჯონ და პირადი მყუდროება ეძიონ, არამედ იმისათვის, რომ კვლავ ბრძოლა სწყურიათ, ბორკილების მახვილებად გადაქცევა სურთ და მზალ არიან ხელმეორედ შეეწირონ სახალწო თავმსუფლების საქმეს, რევოლუციის საქმეს:

ამ ნაწარმოებში უდიდესი ლირიული იმანცილით, საღვკარი სითბოთი და ექსპრესიითა დახატული რევოლუციონერის დედის, ტანჯული მოხუცი ქალის სეფდიანი სახე. თავისი ემოციონალური ზემოქმედებითა და მხატვრული დასარულუბულობით იგი ყველაზე ძლიერი ხასიათია იმანწამები დედის პორტრეტებს შორის, რომელნიც კოლას არა ერთხელ დაუხატავს. ამ თითქოსდა სილუეტური, ე. წ. „რიკრშეტის“ ხერხით მონახული სახის შექმნა ავტორს უდაოდ იმ უკვდავმა სიყვარულმა უკარნახა, რომელიც კოლას თავისი დედისადმი ჰქონდა.

კვირამი ორჯერ ჩადის პატიმარ კოლასთან, ციხიდან ორმოცი ვერსით დაშორებული სოფლიდან სამოცი წლის მოზულცი დედა, რათა, რაღაც ათიოდე წუთით, სამუდამო კატორღამისცილი ერთადერთი შვილი ინახულოს, მაგრამ ერთხელაც არ წამოსცდენია საყვედური მისადმი, ერთხელაც არ დაუჩიულია თავის ტანჯულ ცხოვრებაზე. სულ რომ არაფერი, კვირამი ორჯერ ორმოცი ვერსის ფეხით აქეთ-

იქით იგავლა ჯანსაღ ვაჟკაცსაც გაუჭირდებოდა. ჯერ კიდევ სასამარ-
თლოში, როცა კოლას სიკვდილით დასჯის განაჩენს კითხულობდნენ,
შვილმა მზად აღუწერა დედისავენი გვირგვინი, „ისიც თურქებზე მე მიც-
ქურადა და იცი? მან გამიცინა მე. დიახ, გამიცინა ჩემმა ბუბერმა დე-
დამ და მგონია, მეც ღიმილით ვუპასუხე. მას რაში ეყვირა, თავისი
ქალაქი თმები რომ გაეშალა და დაეგლოჯა, სახე რომ დაეკაწრა, ღმე-
რთმანი, ასე არ დამიშძიმებდა, ანე არ დამიკოვლდა ვუღს... ერთხელ
მანაც გამეგონა მისგან საყვედური, ერთხელ მანაც ეთქვა, რომ დავ-
ტანჯე, მოვლშაშე სიბერე. ერთხელ მანაც ეთქვა, რა შიშია ჩემს მი-
ერ მიყენებული ტანჯვა — არა, არააოღეს! მოვა, მინახულეშა. ძლივს
ვხედავ რკინის დოლაბანდში იმის სახეს, ფერმკრთალს, დაღვრემილს,
ძლივს ვხედავ იმის მიმქრალ თვლებში, თუ როგორ თამაშობს
ცრემლის წვეთი: მეუბნება ახალ ამბებს, ერთხელაც არ ახსენებს,
თუ როგორ იტანჯება, თუ რამდენი შეურაცხყოფა და დაცინვა გა-
მზაცვდა აღმინატრაციონაგან და 10 წუთის შემდეგ მიღის უკან ჩე-
მი ბებერი დედა, მიაქვს უკან მისი მოხუცებული მხარებით დიდი
ტანჯვა, დიდი ტკივილი, დიდი შეურაცხყოფა“.

არაჩვეულებრივი მხნეობით მიაქვს თავისი ხედრი ამ პატარა
ქალს, რომელსაც ტანჯვის მეტი ცხოვრებაში არა უნახავს რა. მას არ
უგჩბენია მუღამ საქმეში გართული შვილის მადლიერი აღერსაც კი,
რაც ეწოდენ ტყბილია მოაიყვარულე დედნათვის: „არც ერთხელ,
რაც თავი მახსოვს, არც ერთხელ არ მივეალე რაღებივარ დედაჩემს
ისე, როგორც მე მინდოდა... რაღაც მაკაეებდა, რაღაც არ მანებებდა,
ვიღაც მეუბნებოდა, რომ სირცხვილია გრძნობების გამომკლავნება...
უცებ მომადგება პირზე აღერსიანი სიტყვა და თუმცა სული და გუ-
ლით მინდა ვუთხრა მას, ვერ ვეუბნები...“

კოლას მიერ დახატული ტანჯული დედის სახე ერთ-ერთი უძ-
ლიერესია ქართულ პროზაში. ავტორმა შეძლო მახლობელი, გასა-
გები გაეხადა მოაღვი ქალის დედობრივი ფულის თართოლეა და შე-
ეყვარებისა იგი მკითხველნათვის. მაგრამ ავტორისათვის ეს როდია
თვითმინანი. ცხოვრებისაგან დამცირებული, წელში მოხრილი, ტრა-
გიზმით აღსავსე ფიგურა რევოლუციონერის ტანჯული დედისა ავტო-
რისათვის არის ქმედითი საშუალება, რისი შემწეობითაც იგი იმ კა-
ნონს გვიძაგებს, იმ ხელისუფლების წინააღმდეგ განგვაწყობს და იმ

სინამდვილეს კიცხავს, რომელიც ასე განუკითხავად ტანჯავს ამ კეთილ, მრავალჭირნახულ, სათნო და პატიოსან მოხუცს.

ავტორმა აქ საინტერესო ხერხს მიმართა: მან ჯერ შეგვაყვარა მოხუცი ქალი, ხოლო შემდეგ გვიჩვენა, თუ რა უბედურება მოაქვს ამ მართალი, უღანაშაულო, საცოდავი არსებობისათვის „კანონის გამაჩვენებას“. გვაჩვენა ტყვილი, ტანჯვა, დამცირება აღამიანისა. ამით იგი გვაშხედრებს იმ „კანონს“ წინააღმდეგ, რომელიც ასე წიხლავს, ასე ქელავს დედებს; ფეხებზე იმ სინამდვილეს, რომელიც ასე განუკითხავად ექცევა ხალხს და მის საუკეთესო შვილებს მხოლოდ წამების არგონებს.

„სიკვდილის წინ ის ერთხელ კიდევ წაჩმოდგენს, რომ არსებობს ამ ქვეყანაზე კანონი, რომელსაც ემსახურებოდა მისი შვილი, რომ ჰქონდა კანონმა. ის და სამტუდამოდ, სამტუდამოდ წაართვა დედამისს შვილი, იმედი, სიყვარული. წაართვა ის, შეუკრა ხელ-ფეხი რკინის ბოროტებით, ჩაუჯდოდა ხელში ჯალათებს და უთარა — აწამეთ, სიკვდილი მოაწაფეთ! ერთხელ კიდევ წაჩმოდგენს ამას და, სიმწარეში, გულზე ნაღველ-გადაფლენილი მოგვდება ის, ჩემი ბებერი დედა“.

მამაქალამე, ეს ცხოველი სურათი, დედის ეს ექსპრესული სახე, იმავე დროს თავიანთი მხატვრული ხერხის გამოვლენებაა, რათა მეტად ნართაულად, ვუალირებულად შეასრულოს რევოლუციური ამოცანა — შეგვაძლოს მეფის თვითმპყრობელური რეჟიმი, რომელიც ამ სიმპათიურ მოხუცს ერთადერთ შვილს ართმევს, შეგვაძლოს მახინჯი სინამდვილე, რომელიც ასეთ ბარბაროსულ კანონებს ეფუძნება და ამგვარი „კანონიერებით“ სულდგმულობს.

ავტორმა ამ ნაწარმოებში არა ერთი მხატვრული ხერხი გამოიყენა. განსაკუთრებით ხშირად გვიჩვენებს იგი კონტრასტულ სურათებს. ასეთია, მაგალითად, ჩამოხრჩობის ეპიზოდის ოსტატური გამოყენება იმ პრიზმად, რომელშიც ორი სრულიად საპირისპირო ნამყარო მოჩანს: მეფის ჯალათები ჯერ რევოლუციონერის სხარჩობელასთან, ხოლო შემდეგ თავიანთ თბილსა და მყუდრო ბინებში — ცოლებთან აღერსსა და განცხრომის დროს.

კოლა დროზდოვის გაორებულ პიროვნებაში ურთიერთსაწინააღმდეგო, კონტრასტული სურვილები მეფობენ. მას ხშირად აგონდება თავდადებული ბრძოლა თავისუფლებისათვის, როცა მზად იყო

უყოყმანოდ გაეწირა სიცოცხლე პროლეტარიატის საქმისათვის და გმირულად იბრძოდა ბარიკადებზე. ამგვარი წარსულის მოგონებისას იმდენი სიხარული იგრძნობა, ისეთი გზნება ახლავს მას, რომ დროუადრო გგონია, როცა კოლა ციხიდან ვანთავისუფლდება, აუცილებლად ასეთსავე ცხოვრებას განაგრძობს და წინანდებურად კელავ გმირულ ბრძოლებში ჩაებმეზაო. მაგრამ მეორე წუთში კოლა სთულ სხვაგვარ განწყობაზე: „...ემუშაობდი სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში და კარგი ზემაც ვიყავ... ეხლა კი, ეხლა მე კეთილი აღამიანი ვარ, მხოლოდ კეთილი. არა, ღმერთმანი, არ ვბრძობ, ახლა რომ უცებ გამანთავისუფლონ, ტყეში დავიძალევი, უღრან ტყეში, სადაც აღამიანის ხმას ვერასოდეს ვერ გავიგონებ, უზარმაზარი მუხის ქვეშ მოვლობავ ქობს და დავმუნჯდები“.

მაგრამ ნაწარმოების ფინალი კელავ იმ რწმენას განგვიმტკიცებს, რომ დროზდოვის გულგატეხილობა მხოლოდ დროებითია, რომ იგი ვერ განუდგება ხალხს, რომ ავტორი მართალია, როცა დროზდოვს ეკამათება — „ეს თქვენი მუდმივი აზრი არ არის, თქვენ მხოლოდ ხანდახან მოგეხასიათებათ ესაო“.

— დიახ, ნაწარმოების საერთო აზრი ისეთივეა როგორც „რევოლუციის ქარიშხალას“ ასულდგმულებდა — ის, ვინც ფრენისთვისა დაბადებული, ხოხვას ვერ შეიძლებსო. ვერც კოლა დროზდოვი შეძლებს ხალხისაგან მოწყვეტას, იმ ხალხისაგან, ვისი თავისუფლებისათვისაც მას სისხლი დაუღვრია. ამდენი უბრძოლია, ამდენჯერ ჩაუხედავს ჰიკუდილიანთვან თეალებში და ვისთვისაც ასე გაუტანჯავს თავისი საცოდავი დედა, რომელიც მხოლოდ იმიტომ იტანდა ასე მხნედ „ბედის მათრახებს“, რომ მისი შვილი ტანჯულთა და ჩავრულთა ხსნისათვის იბრძოდა. თუ არა ეს გარემოება, დედა აუცილებლად „გატყდებოდა“ და არც შვილს დაინდობდა სასაყვედუროდ.

ნაწარმოების ფინალი ეჭვს არ იწვევს. კოლა ვერ განმარტოვდება უღრან ტყეში: „იანვარში ერთი წერილის ნაგლეჯი მივიღე, რომლითაც ვავიგე, რომ კოლა დროზდოვი არ ჰქარავას იმედს, რომ ჩემთან ერთად საქართველოს ინახულებს“. თურქმე კოლას ისევ „ძმებთან ერთად ყოფნა უნდა“ და რომანტიკული და რევოლუციური საქართველოს ნახვა ოცნებად გადაქცევიო. „მოკლე წერილი იყო და ამიტომ არათუ ვიწერა იმის შესახებ — წავა თუ არა ის უღრან ტყეში, ვაეჭვეო თუ არა აღამიანებს“. ამ სიტყვებით ამთავრებს

ჭოლა მოთხრობას და მკითხველი დაწინაურებულია, რომ რაბან კო-
ლა აღარ იწერება ტყეში განმარტოების განზრახვაზე, იგი აღარ წავა
იქ, რადგან ვერ გაექცევა აღმნიანებს და მათი ბელნიერებისათვის
ბრძოლდა საქმეს. აი, ესაა მთავარი აზრი ამ დიდი ფსიქოლოგიური
სიღრმითა და სიმართლით აღსაქვე მოთხრობისა.

ისევე, როგორც მოთხრობაში „სახრჩობელას წინაშე“, ნაწარ-
მოების მთავარი გმირი, ჯეირან ვარდოსანიძე, ჯაბნის წამიერ ს-სუს-
ტეს და კვდება როგორც გაუტეხავი მებრძოლი და შეგნებულად
სწირავს თავს სახალხო თავისუფლების საქმეს, — ასევე მოთხრობის
„საპყრობილეში“ ერთ-ერთი მთავარი გმირს, კოლა დროზდოვის
შეგნებაში იმარჯვებს ოპტიმისტური საქმისი — მომავლის რწმენა
და სიცოცხლის სიყვარული. აქაც წამიერ სისუსტეს თრგუნავს სა-
ბოლოო გამარჯვების რწმენა. ნაწარმოების მთლიანი კონცეფცია
იმედის, რწმენისა და გამარჯვების გამომხატველია.

ასე ვლინდება ჭოლას უტეხი სული მის მხატვრულ ნაწარმო-
ებებში, რომლებშიც რეაქციის პერიოდში დაფრცულბული ოქვის,
გაოჩების, გულგატეხილობის, რევოლუციისათვის ზურგმექცევის
ტენდენციათა რეალისტურ ჩვენებასთან ერთად, მოჩანს მტკიცე და-
ჯერებულობა მომავალში, რწმენა ბალხის გარღვეული გამარჯვებისა.
სწორედ ეს რწმენა ასულღებულება და აცოცხლებდა ქლეჩით
ფილტვებდაცხრილულ ჭოლას მეთვის საპყრობილის ნესტიან ჯარღ-
მულეებში.

აი, რას წერდა იგი რეაქციის მძინვარების ყველაზე მძიმე მო-
მენტში 1909 წელს: „ყველა სახალხებს დავაჭრობ ჩემს უკან და მხო-
ლოდ წინ, მხოლოდ მომავლისაკენ დავიწყებ ცქერას. მხოლოდ წინ!
მხოლოდ წინ! წინ! იქ თავისუფლებაა, გამლილი მინდუტრები, ყვა-
ვილები — იქ სჯობია! ჩემს უკან დავაჭრობ ცეცხლს და დეე, იყოს
რაც უნდა იყოს, დღეს სატუსაღოში ვარ, ხვალ თავისუფალი ვიქ-
ნები...“

მაგრამ არ იქნებოდა მართებული, თუ ჭოლას რეაქციისდროინ-
დელ შემოქმედებაში ვერ შევამჩნევდით იმ სევდისა და შინაგანი წი-
ნააღმდეგობის პირდაპირ გამოძახილს, რაც რევოლუციის დამარცხე-
ბით იყო გამოწვეული. უცნაურიც კი იქნებოდა, რომ ისეთ თავდად-
ებულ მებრძოლზე, როგორც ჭოლა იყო, რომელიც მთელი თავისი
აჩსებით იყო ჩაბმული რევოლუციურ საქმიანობაში — ამ დიდმნი-

შენელოვან ისტორიულ მოვლენას არავითარი კვალი არ დაეტოვებინა. მართალია, სევდასა და გულგატეხილობას არასოდეს არ ექირა დომინანტური ადგილი არც ჭოლას პირად ფსიქოლოგიურ განწყობილებაში, არც მის შემოქმედებაში, მაგრამ მათი ეფემერული გამოვლინებანი მაინც საკმაოდ წესამჩნევია.

და ერთ-ერთი ნაწარმოები, რომელშიც დროდადრო მკაფიოდ გამოკრთის სევდის, გარების, დაბნეულობისა და მოღლილობის ნიშნები, არის ლირიკული ხასიათის მოზრდილი ნაწარმოები — „უ ს ა თ ა უ რ ო“. თვით ამ ნაწარმოების სათაური, ლუგრო სწორად, დაუსათაურება მეტყველებს მის იდეურ-თემატურ გამოუყვეთელობაზე, მიზანდასახულების ბუნდოვნებაზე, შინაგანი მისწრაფებების სათანადოდ გაუაზრებლობაზე.

„საზოგადოდ, ყველაფერი მეზარცება, არათუ წერა... გულში განსაკუთრებით იღვიძებს რბილური ტკივილი მარტობისა, მძიმე და ცივი გრძნობა... დიდხანს ვუცქირე საჩუქეში ჩემს საძეს და ყველაზე უფრო ჩემი თვალების გამომეტყველებამ გამოაცა; ეს სიობლე, რომელიც ჩემს თვალში მოჩამს, ეს სევდა, ეს სევდა!..“ ამ სიტყვებს თვით ჭოლა ლაპარაკობს, ისინი, თუმცა, მხატვრული პერსონაჟის პირით არიან თქმულნი, მაგრამ მასში ჭოლას გულის ხმა ისმის. „მძიმე სევდა დამაწევა გულზე და სულზე. ის შე მახჩობს, ის გაქყლუტას მიძირებს, ის მე სუნთქვას მოშლის“. საერთოდ, მთელი ეს ნაწარმოები თავისი განწყობილების თვალსაზრისით უადრესად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და თვით ინტიმურ მომენტებშიც კი, ჭოლას პირადი თავგადასავალი საკმაოდ სუსტადაა ვუალირებული.

ლირიკული გმირი (უმეტეს შემთხვევაში თვით ჭოლა) მოგვითხრობს თავის ტანჯვას სატუსალოში. გულის მოსაფონებლად იგი გადავარდნილა წარსულის მოგონებებში. „განა შეიძლება, — კითხულობს ავტორი, — ასწერო ის ბედნიერება, რომელიც გაჰქრა, წავიდა? ანდა, შეიძლება ასწერო ის უბედურება, რომელიც მხრებზე გაწეეს?“ ამ სიტყვებში, მართლაც, დიდი სიბრძნეა გამოთქმული: გარდასული ბედნიერებისა და მხრებზე დაწოლილი უბედურების აღწერა, ისიც დაუხანებლად, როგორც ამბობენ, „ცხელ გულზე“, მართლაც, ურთულესი ამოცანაა.

ჭოლას პროზა სწორედ იმითაა მოქმედი და შთამბეჭდავი, რომ

მწერალმა შეძლო ამ ორი უძნელესი მხატვრული დაბრკოლების გადალახვა: ფარულად ბედნიერების შთაბეჭდვად გადმოცემა და მხრებზე დაწოლილი უბედურების აღწერა. სწორედ ეს ორი მომენტი განაპირობებს კოლას მეორე პერიოდის შემოქმედლებას.

„უსათურო“ ასოციაციების ჯაქვს ფმსგაფსება. მოგონებაში გადართულ მწერალს ყოფნა ყოველი დეტალი, ბუნების ყოველი მოვლენა მოაგონებს მსგავს სიტუაციას მისი „თავისუფალი“ ცხოვრებიდან და იწყება „ნეტარი დროს“ მოგონება აი, ავტორს უეცრად გაახსენდა ტრფობა ერთი ქალისადმი, რომელსაც მან არაქართული სახელის — ლიზას — ნაცულად ქართული ხვარამზე შეარქვა (საერთოდ, კოლას უყვარს სახელების გადაქართულება). აქედან იწყება ხვარამხესთან ურთიერთობის რომანიულ-სასიყვარულო ამბის გადმოცემა.

მთელი ეს ისტორია წარმოადგენილია დიდი მხატვრული ძალით, უშუალოდ და დამაჯერებლად. ამასთან, იგი გადმოცემულია არა გაბმული და მოაწყენი თარობით, არამედ მეტად ლირიკული და ფსიქოლოგიური სიმართლით აღბეჭდილი სურათების მეშვეობით. მაგრამ ქალ-ვაჟის სიყვარულის რეალისტურად გადმოცემულ ამბავს ალაგ-ალაგ ენაცვლება რაღაც უცნაური მატყლობა სულთა კავშირის შესახებ, რომელიც ერთგვარი მისტიფიკაციის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩანს, დეკადანსის მომხლაფრებამ კოლასაც თავისებური ხარკი გააღებინა: „მე ის მიყვარდა მუდამ, ჩემი არსებობის პირველ დღიდანვე. და თუ იყო იცუთი დრო, როცა მე წინეთ ვცხოვრობდი ოდესმე. მაშინ, ალბათ მიყვარდა ის და სხვა არავინ — მე ეს აგრე მჯერა“. (ხაზი ჩვენია გ. ც.)

დროდადრო ამ ტკბილ მოგონებათა ძაფს ავტორს მძიმე სინამდვილე აწყვეტინებს. სინამდვილე, რომელიც პირქუში საპყრობილის სახით მაქლაჯუნასავით უსწოლია მის სულსა და ხორცს. მაშინ ციხის ეპიზოდები, რომლებიც მწერალს ხელს უშლიან მთლიანად მიეტყოს ახლო წარსულით ტკობას, ჩიქორად იკრებიან მის თხრობაში. იკრებიან როგორც სუნთქვა რეალური ცხოვრებისა და საცოდავ კოლას ტკბილი მოგონებებიდან მწარე სინამდვილისაკენ მიაბრუნებენ.

ამ ნაწარმოებში მკაფიოდ გამოჩნდა ის ელემენტი, რომელიც შემდეგ თანდათან იზრდება, მტკიცდება კოლას შემოქმედებაში და

ჯარკვეულ შეხედულებად ყალიბდება. ესაა სიყვარული ისეთი ქალებთანადმი, რომლებიც იღვოლოვოფუქსდაც ენათესავეებიან მას და ისეთივე თავდადებით იბრძვიან პროლეტარიატის საქმისათვის.¹

მაშასადამე, ჭოლა ლომთათიძე თვით ისეთ უპატივსაცემ ინტიმურ გრძნობაშიც კი, როგორც სიყვარულია, რევოლუციურ-დემოკრატიული პრინციპით ხელმძღვანელობს. ჭოლას შემოქმედებაში პირველად ვხვდებით სიყვარულს ახალ იდეალს — პარტიული და კლასობრივი თვითშეგნების დაკავშირებას მიჯნურობასთან.

ამით ჭოლამ სიყვარულის თავიანთური ესთეტიკური „თეორია“ კი შექმნა და ქალბატონ სიყვარულის გრძნობა მშრომელი ხალხისა და მისი განთავისუფლების საქმისადმი ერთგულების გრძნობას გადააქაჟვა. ჭოლა სიყვარულსაც კი პროლეტარიატის სარგებლობის თვალსაზრისით უდგება და „რევოლუციური სიყვარული“ მქადაგებლად გვედღინება.

ნაწარმოების მთავარ გმირს, — ვანო ლულუნაშვილს, — რომლის ზოგიერთ ქცევასა და სიტყვას ავტობიოგრაფიული ბაიათი მოსდგამს — იმიტომ შეუყვარდა ხვარამზე, რომ „...უბრალო ხალხის შვილი იყო... და ამისთვის კიდევ უფრო მიტაცებდა მე ის. ჩემს ძარღვებშიც, ზომ გლუხის სისხლი ჩჩქეფდა...“, შეუყვარდა იმიტომ, რომ „ის იყო „ჩვენი“ ქალი. „ჩვენებს“ უწყვეტა ზოგიერთ სამსახურს, იყო წევრი „ჩვენიანთა“ ერთ-ერთი ჯგუფისა. რააკვირვებოდა. ჯერჯერობით, ის ბევრს პრაფერს წარმოადგენდა, მაგრამ ის ზომ ჯერ ისეთი ჭეელი იყო, მთელი სიცოცხლე წინ ჰქონდა, კითხულობდა, მეცადინეობდა, ეცნობოდა საქმესა და იმ კითხვებს, რომელთა ცოდნა აუცილებელი იყო“, ერთი სიტყვით, „სწავლობდა სკოლაში, ჰქონდა ჯაკვეთილები და ამათან პარტიულ მუშაობასაც ეწეოდა... ის ემზადებოდა მძიმე საქმისათვის, მას მიზანი ჰქონდა და ჯანსაღს, ახალგაზრდას, „ჩველს“, როგორც თვითონ ამბობდა, არ ეშინოდა ამ მიზნისა, იყოფა სად მიდიოდა და მიდიოდა მიზნისაკენ სიცილ-თამაშითა და სიმღერით“.

ვანოს იმიტომ შეუყვარდა ხვარამზე, რომ იგიც იმავე „მძიმე საქმისათვის“ იყო თავდადებული: „რომლისათვისაც თვით ვანოც

¹ ასეთმა ახალმა ნიუანსმა სიყვარულის გრძნობაში პირველად საყრობილეთი იხინა თავი.

მზად იყო სიცოცხლე გაეწირა. აი, კიდევ ერთი დამაბნელებელი შტრიხი, რომელიც ხვარამზეა ვანო ღელუჯანაშვილთან (აეტოართან?!) აახლოვებდა: „უყვარდა მას ძლიერ ქართული მწერლობა, მაგრამ ყველა პოეტებში ყველაზე მეტად მოსწონდა ილია და ვაჟა, რომელთა ლექსები თითქმის ყველა ზეპირად იცოდა...“

ერთი ზიტყვით, რევოლუციონერი ვანოს იმიტომ უყვარს ასეთი გატაცებით ხვარამზე, რომ თვითონაც ასეთვე მისწრაფებების ადაშიანია. „მე კი ერთიან ჩაბნეული ვიყავი მუშაობაში. დიდიდან საღამომდე დავრბოდი ქალაქის ერთი კუთხიდან მეორეში, ერთი ოთახიდან მეორე ოთახში, ვცლაპავდი თუთუნის ბოლს, საათობით ვიჭეძი ნოტიო სარდატებში, ვუხსნიდი ხალხს მის ისტორიულ დანიშნულებას; ვქმნიდი წრეებს, ჯგუფებს, ორგანიზაციებს. სად იყო მაშინ მოსვენება და ძილი და როცა მე ძლიერ, ძლიერ ვიღლებოდი, ვიღლებოდი ისე, რომ სატუსალოში მყოფ ამხანაგებს შეენატროდი... საკმაო იყო ზვარამზე მომგონებოდა... და სად იყო დაღლილობა! კვლავ მიპყრობდა სურვილი და წყურვილი სიცოცხლისა, ბრძოლის, თავდადების, გამარჯვების, სიკვდილის“.

აი, ასეთი სიყვარულის თავყვანისმცემელია ჭოლაი სიყვარულისა, რომელიც ადამიანს თავისუფლების საქმისათვის მებრძოლად გადააქცევს და სიცოცხლას, თავდადების, ბრძოლის, გამსრუტების წყურვილით ადავსებან.

ვანოს ხიბლავს არა ქალის გარეგნული სილამაზე, არამედ მისი სულიერი და საქმიანი თვისებები. აი, რატომ გრძნობს იგი სულ უფრო და უფრო მეტ ლტოლვას ზვარამზესადმი — „სულ უფრო და უფრო შედიოდა ის ჩვენს საქმიებში. გაიჩინა ქალთა წრეები, შეუდგა პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლიანად დამუშავებას, რომ წრეებში შესძლებოდა ამ მეცნიერების გადაცემა. მთელი საათობით ვიჭეძით ღამეობით მე და ის და თავს ვიტეხდით, თუ როგორ მოგვეხერხებია მღაბიო, ვასაგებ ენაზე, ქართულად დამუშავება გაცვეთილები, რათა მას შესძლებოდა უბრალო მუშა ქალებში, უბრალო ენით საუბარი... და რა შშვენიერი იყო ის; რანაირი ცეცხლით ენთებოდნენ ხოლმე, მისი თვალები იმ წუთებში, როცა იმისთვის პირველად ხდებოდა ხილული რომელიმე ახალი ქეშმარიტება, რომელსაც ის ახალ საფეხურებზე აყავდა, საიდანაც ახალი და უფრო მშვენიერი სივრცე იმდებოდა“.

ვანოსა და ხვარამზეს ურთიერთსიყვარული ესაა ახალი ხანითების, ახალი აღმზანების სრულიად ახლებური დამოკიდებულება ურთიერთისადმი. ეს ურთიერთობა გვევლინება პირველ მერცხლად თანასწორუფლებიან ქალსა და მამაკაცს შორის მანამდე სრულიად უცნობი დამოკიდებულებისა (რომელიც მაშინ იშვიათ ფაქტს წარმოადგენდა და როგორც გაცრცელებული მოვლენა მხოლოდ ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულ საზოგადოებაში გახდა შესაძლებელი). ხვარამზესა და ვანოს ერთმანეთისადმი ტრფობა კიდევ უფრო გაძლიერდა და გამძაფრდა რევოლუციის ცეცხლოვან დღეებში, როცა მათ ორთავემ „მრავალრიცხოვან მიტინგებზე, გაშლილ ცის ქვეშ მოფრივალე მებრძოლი პროლეტარიატის დროშის ცქერით, საღამო მისცეს თავისუფლებას“.

რაც დრო გადიოდა ხვარამზე სულ უფრო მეტ აქტიურობას იჩენდა და უფრო მეტად ებმებოდა რევოლუციურ მოძრაობაში. „იმას ალაგი ვერ ეპოვა მთელ ქალაქში; დარბოდა, ფუსფუსებდა, თითქმის მთელი დღეები უჭმელი გადადიოდა. ის უცეც ერთი საუცეთესო მუშაკთაგანი იყო ჩვენი. მიანება თავი სკოლასა და ბავშვებს—სტამბაც მის ხელში იყო, ადრესებიც, წრეებიც“.

ხვარამზეს ასეთი ევოლუცია კიდევ უფრო აცხოველებდა ვანოს სიყვარულს ქალისადმი. თავის მხრივ, ხვარამზესაც იმიტომ მოეწონა და შეყვარდა ვანო, რომ იგი რევოლუციის თავდადებული მებრძოლი იყო. „კრებიდან კრებამდე დავრბოდი და აღრაცხელ ხალხს ვითაწმებდა — გავევშალა ჭეჩამი ჩვენი დროშა, ჩვენი ძალა, ჩვენი გავლენა, ჯგერევენებინა მტრისთვის, რომ არ ვხუმრობდით... თვითონვე მივირდა, სად ვმოულოძღვი იმდენ ძალას, იმდენ ახალ სიტყვებს სხვადასხვა კრებებზე, იმდენ ვატაცებდას... ციდექ მალალ ქვაზე ღამით და კვლავ ვიწვევდი ჭეჩამა ამხანაგებს. ხვარამზეც იქ იყო და ეს უფრო მაქეზებდა. ხელი-ხელ ჩაკიდებული დაებრუნდით ქალაქში მე და ხვარამზე. ამ საღამოს მე მივიღე უმაღლესი ჩილღო — მე მოვეწონე საყვარელ ქალს“...

ამრიგად, აქ ქალ-ვაჟის ურთიერთმოწონების და სიყვარულის საფუძველი სრულიად სხვაა; მიწნურობის ასეთი ხანაითი აბსოლუტურად უცნობია ქართული მწერლობისათვის. რევოლუციონერთა სიყვარული მანამდე არასოდეს ასახულა ქართულ ლიტერატურაში. ამ ახალი სიყვარულის, თუ შეიძლება ითქვას, ესთეტიკური საფუძვე-

ლი რევოლუციისადმი ერთგულებასა და სახალხო საქმისადმი თავდა-
დებაში მდგომარეობს. ნაწარმოების სიუჟეტური განვითარება, ერ-
თი შეხედვით, თითქოს ქალ-ვაჟის „მხარადიული“ სიყვარულის საკ-
მაოდ შელანძღულ-მოძველებული აშბისაყენ მიგვაქანებს, მაგრამ
უცებ ხდება მისი მოულოაძნელი, კოლასებური შემოზრუნება და
პრობლემა სულ სწვა კუთხით აღიმართება ჩვენს წინაშე, სულ სხვა-
გვარ გადაწყვეტას ღებულობს: ხვარამზე უგზავნის წერილს ვანოს,
სადაც უმქლავნებს თავის წრფელ სიყვარულს შინდამი, მაგრამ ამა-
ვე დროს აფრთხილებს, რომ ანეთმა სიყვარულმა შეიძლება მოწყვი-
ტოს ისინი სახალხო საქმეს, რევოლუციური ბრძოლის საქმეს და შე-
იძლება საზიანო გამოდგეს იმ საერთო მიზნისათვის, რომლისათვისაც
ორივე იღწვის და ორივე მზადაა სიცოცხლაც კი გაწიროს; ამიტომ
იგი თმობს ამ სიყვარულს, თმობს თავის ბედს — რათა მთელი გუ-
ლიყურითა და არსებით მიეცეს ხალხის ჩაგვირისაგან განთავისუფ-
ლების საქმეს, პროლეტარული რევოლუციის საქმეს.

რამდენი კეთილშობილება, რა საოცარი თავდადება, რა მოქალა-
ქობრივი სიამაყე და მაღალი თვითშეგნება მოჩანს ხვარამზეს ამ გა-
დაწყვეტილებაში. აქ იგრძნობა შექცნებული და სრულუფლებიანი ქა-
ლის ხმა, რომელსაც სწამს, რომ იგი ძეთსავე, მორალურ და მოქა-
ლაქობრივ სიმაღლეზე უნდა იდგეს, როგორც მამაკაცი და ისევე
სწირავდეს თავს რევოლუციას, როგორც მამაკაცი. ხვარამზე შეურა-
ცხყოფილია იმით, რომ ვანოს მისი ბრძოლიდან გამოყვანა სურს,
რომ ქმარი მასში, უპირველეს ყოვლისა, სუსტარსება ქალს ხედავს.
რომელსაც ბავშვივით უფრთხილდება და მისი „სამშვიდობოზე“ გა-
ყვანა სურს. „რად არ ანებებდი შენს ცოლს „გმირობა“ ჩადინა?
რა უფლების ძალით არ ანებებ, ნება მიბოძე, გკითხო? განა საბუთია
შენი სიყვარული? მე რომ შენი ცოლი ვარ და შენ უჩემოდ ყოფნა
არ შეგიძლიან? ეს ხომ, ვანო, ეს ხომ დალატია საქმის, რომელსაც
ჩვენ ორივენი ვეშაბურებით? და განა სიყვარულს დალატისაყენ უნ-
და მიუყავდეთ? განა ის ტალახისაყენ უნდა გვეწოლდეს? ანდა შეიძ-
ლება მე არ ვარ შენი ტოლი და თანაწიერი? თუ ეს ასეა, სიყვარუ-
ლი ჩვენს შორის საიდან შეიძლება?..“

ამას შემდეგ წერილში გამოთქმულია ის ღედააზრი, რომელიც ამ
ნაწარმოების იდეურ ღერძად გვევლინება და რომელსაც კოლა ლომ-
თათიძე მარტო მხატვრული სიტყვით კი არა, მთელი თავისი საკუთა-

რი ცხოვრებით, პირადი მაგალითითაც ანხორციელებდა; ეს არის რევოლუციის საქმისათვის, სახალხო თავისუფლების საქმისათვის ყოველივეს დათმობა, კერძოდ, სიცოცხლეზე უფრო ძლიერი და უფრო ძვირფასი ზრძნობა — ქვეშაირი სიყვარულის შეწირვა. „დიდი ხანია ვიკრებ ძალას, რომ იმ გზას დავდგომოდი, რომელსაც დავადექი. მე სუტატი, გაუბედავი, ყოველსავე ტრადიციას მოკლებული ქართველი ქალი ვარ. მაგრამ ქართველმა ქალმაც უნდა სძლიოს, დაბოლოს, „ქართველ ქალს“. უნდა შედგეს საკუთარ ფეხზე, გამალოს ფრთები და გაფრინდეს... უნდა გაფრინდეს, და თუ სიყვარული უშლის ამას ხელს, ძირს სიყვარული! თუ რაიმე უშლის ხელს, ძირს ყველა ეს! გადაწყვეტილია, და შენ უნდა შეხვდე ამას, ვანო, როგორც აუცილებლობას“.

ვანო დღეღუნაშვილის სპაჰელოდ უნდა ითქვას, რომ მასაც აღმოაჩნდა იმდენი მოქალაქეობრივი თვითშეგნება, იმდენი თავდადება და რევოლუციის სიყვარული, რომ ჭეროვანი სიმტკიცით შეხვედროდა სვარამზებს ანუ ნაბოქს და ღირსეულად დაეფუძებინა საყვარელი ქალის გაუგონარი საქციელი, საოცარი სიმტკიცე და თავდადება. „ურა, ხვარამზე! გაუმარჯოს მძლავრებს, გზა, გზა იმათ!“ — აღტაცებით შესძახებს ვანო.

ამრიგად, სიყვარულისა და მოვალეობის კიდელის ტრაფარეტული ამბავი კოლამ სულ სხეანაირად გადაწყვიტა — გადაწყვიტა მაღალი კლასობრივი თვითშეგნების მიქონე მებრძოლის პოზიციიდან, საქმისათვის თავდადებული მოქალაქის პოზიციიდან, რევოლუციისათვის ყოველივე პირადულის დათმობისა და შეწირვის უკეთილშობილესი პოზიციიდან.

მაშასადამე, „უსათაუროს“ ძირითადი მიზანდასახულობა მდგომარეობს მუშათა კლასის ინტერესებისათვის ყოველივე პირადულის დათმობის ქადაგებაში, თავგანწირვისაქენ მოწოდებაში და ასეთი საქციელის გაპოეტურებაში, მისი სილამაზისა და კეთილშობილებას ცხადყოფაში.

ამასთან ერთად, „უსათაუროს“ კიდევ იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ ამ ნაწარმოებში ყველაზე უფრო ხელშესახებად და რელიეფურად მოჩანს მებრძოლი რევოლუციონერის პორტრეტი. „სახრჩობელას წინაშეს“ შემდეგ, აქ ყველაზე მკაფიოდ ვლინდება ასეთა

მებრძოლის უდრეკი სული, მისი მტკიცე ნებისყოფა, გმირული თავდადება რევოლუციისათვის.

ვანსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მთავარი გმირის, მგზნებარე პროპაგანდისტის და ორგანიზატორის, ვანო ლულუხაშვილის, ცხოვრების გადმოცემისას ხშირად გვხვდება ავტობიოგრაფიული დეტალები, თვით ჭოლას თავგადასავალი. ეს ნაწარმოები შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია ავტობიოგრაფიული მასალით.

ასეთია, უპირველეს ყოვლისა, დემონსტრაციის აღწერა, სადაც ყოველივე ავტორის საკუთარი თვალთ არის ნახული და პირადად განცდილი. ამიტომაც არის აღნიშნული სურათი ესოდენ ექსპრესიული, უშუალო და შთამბეჭდავი. ეს მეტად საყურადღებო მხარეა, რადგან მისი მეშვეობით ჩვენ ვეცნობით თვით ჭოლა ლომთათიძის იმჟამინდელ განწყობილებას. ნაწარმოებში საოცარი შინაგანი წვით არის გადმოცემული შეიარაღებული დემონსტრაციისა და პოლიციასთან შეტაკების ეპიზოდები: „დილა აღრიან აფუსფუსდნენ ქუჩებში, სხვადასხვა საექვო ადამიანთა ჯგუფები—გადაცმული პოლიციელები, საიდუმლო აგენტები: ამბობდნენ სხვადასხვა ალაგას, ეზოებში ჯარი არის დამალული... ამასთან ერთად, შუა ქალაქისკენ მუშათა ჯგუფებმაც იწყეს დენა. ვხეტილობდი იმათ შუა, ვხედავდი ხაცნობებს, იმათ ღიმილს, ვაძლევედი სალამს, მიხაროდა... და თახვცილობდი მომეზადებია სიტყვა, რომელიც უნდა წარმომეთქადროშის გაშლისას, დროშის ქვეშ... გული რაღაც გამოურკვეველი სიცოცხლით ცოცხლობდა, ირგვლივ კი სულ სქელდებოდა ხალხი, ჯგუფი ემატებოდა ჯგუფს, თანდათან ავსებდა იმ მოედანს, სადაც უნდა დაწყებულყო სელა... და უცებ რაღაცამ იფეთქა. თითქოს ვიხმემ ანიშნაო — ეს ამოდენა ხალხი მიაწვა მოედნის ცენტრს და ერთ წუთში მთელი მოედანი აივსო ხალხის ზღვით და ჩემს გვერდშიც გაჩნდნენ ამხანაგები, რომელთაც მე მალლა უნდა აგეწიე სიტყვის სათქმელად. უცებ ნელი რხევით აიმართა მალლა დროშა და ისევ ნელა, აუჩქარებლად გასწორდა... სისხლი აღდუღდა, გულისცემა კი თითქოს შეწყდა... შენს ქვეშ მომკვდარვიყო შენს ქვეშ!“ — ასეთი ნატვრა შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ უკიდურესობამდე თავდადებულსა და შეუდრეკელ მებრძოლს და ჭოლა ლომთათიძეც სწორედ ასეთი იყო.

აი, რა პოეტურობით და მგზნებარებით აღწერს ავტორი თავი-

სუფლები დროშის პირველ აფრიალებას: „დროშა ჯერ კიდევ ისევ მშვიდად და აუჩქარებლად იდგა პაერში და დაგვცქეროდა თავს მარქსის მომღიმარი სურათი, თითქოს გვეუბნებოდა: — ემაგრე, ემაგრე, ბიჭებო, ამხანაგებო!... რხევით გადადგა დროშამ ნაბიჯი და მეგონა, რომ ეს თეთრ-წვერა მოხუცი წითელ ზავერდზე, სალამს გვაძლევდა თავის რაზმს, თავის ჯარისკაცებს ბრძოლის ველზე გამოსვლისას — სალამი მომავლის შემქმნელთ! სალამი პროლეტარიატს! წითელი დროშა დინჯად, მშვიდად დაგვცქეროდა თავს და ჰალარა მოხუცი უღიმოდა კაცობრიობის ბედნიერებისათვის მებრძოლთ, ამხნეებდა ამხანაგებს“.

ასეთივე ძლიერი მხატვრული პათოსითაა გაუღენთილი დემონსტრანტებზე პოლიციელთა და ჯარისკაცთა თავდასხმის სურათიც. „მოისმა ცხენების ფლოქეთთა თქრიალი, ყვირილი... ჯგუფი ცხენოსანთა შემოიჭრა ხალხში, ხმლის ყუითა და მათრახის ცემით გაიკაფა გზა დროშისაკენ... დროშის ირგვლივ კი აიშართნენ მაგარი ბზის ქოხები. უხილავმა ხელებმა მოიმარჯვეს ისინი, მოიქნიეს და რამდენიმე ცხენი უმხედროდ ვავარდა... სადღაც რევოლვერის ლულამ იელვა: კიდევ და კიდევ... იელვის ხიშტებმა — ჯარისკაცებმა თოფები მოიმარჯვეს. ხალხი უკან დაქანდა — უკან კი ყაზახები არ უშვებდნენ... და უცებ რალაცამ იქეჭა... ეხლა უფრო გაბედულად წამოვიდნენ ჩვენზე, მათრახები უფრო ბეჯითად ამუშავდა, ცხენები თელავდნენ ადამიანებს... და კვლავ იელვა პაერში რევოლვერის ლულამ და იმ წუთში, როცა მე მინდოდა მეყვირა — არ ისროლოთ მეტი, ჩემი მარჯვენა ჩემდა უნებურად წავიდა ჯიბისაკენ, მაგრად მოუჭირა ხელი ბრაუნინგს და ასწია პაერში — ჰახ! ჰახ! ჰახ! გაისმა პაერში ტყაცანი და წინ გზა გაიშალა. ეს მათთვის მოულოდნელი იყო, საპასუხო სროლას ისინი არ მოელოდნენ. მათ შორის დაეცა ვიღაც... აქ ისინი მოვიდნენ გონს, შეჯგუფდნენ და ჩამოჰკრეს ჩახმანს... ჩამოეკარ მეც ჩახმანს და სადღაც ტყვია გავგზავნე. კიდევ და კიდევ... ძმებო, რა რიგ მიყვარხართ მე თქვენ! მინდოდა მეყვირა ეს და იქვე მომეკვდარიყავი... თან კი ვისროდი რევოლვერს, სახამ პატრონები არ გამომელია. დავხედე იარაღს და ზიზლით დავახეთქე მიწაზე“.

ამას ჰოლა 1909 წელს წერდა! წერდა მაშინ, როცა გულგატეხილობა, დაბნეულობა და სევდა სულს უხუთავდა თავისუფლად

მყოფ მწერლებს, ხოლო ჰოლა, ციხის ცხრაკლიტულში გამომწყვდეული, ამ მძიმე დროს, ქართველი რევოლუციონერი ქალის ტიპიზირებულ გმირულ სახეს ჰქმნიდა და ნატრობდა დროს, როცა ქართველი ქალები მის მიერ შეთხზული მხატვრული პერსონაჟის, ხვარამზეს, კვალს გაჰყვებიან და წითელი დროშის ქვეშ დაირაზმებიან.

„შენ, რომელიც გამოგიგონე მე სატუსალოში, რომელსაც დაგარქვი სახელად ხვარამზე... რომელსაც თავი შეგაყვარე, ხოლო შემდეგ გაიძულე მიგეტოვებინე, რათა დამეცვა შენი თავმოყვარეობა და ადამიანური შეგნება!“. ეს საინტერესო ავტორისეული ლირიკული აღსარება, იმაზე მეტყველებს, რომ ხვარამზე ტიპიზირებული პერსონაჟია, შექმნილი წარმოსახვის (ფანტაზიის) დახმარებით, თუშტა ხასიათის რეალისტურ საფუძვლად რომელიდაც ნამდვილად არსებული ადამიანის სახებაა გამოყენებული.

ეს ნაწარმოებიც, როგორც ვნახეთ, რწმენითა და ოპტიმიზმითაა აღსავსე. ციხეში გამომწყვდეულმა მებრძოლმა მოგონებებს მისცა თავი და მაშინვე სევდა აღმოუცენდა გულში. „ფიქრი დავიწყე და ასე მეგონა — სასაფლაო დაეთვალაიერე. დავიღალე, მოვიქანცე. ეს იმიტომ, რომ უკან დავიწყე ცქერა და დამძიმდა, დამძიმდა გული“.

ჰოლა თითქოს გვეუბნება, რომ უკან ცქერა უნაყოფოა, უკახ მხოლოდ სასაფლაოა; საჭიროა თამამი ბრძოლა და შეუპოვარი წინსვლა: საჭიროა ოცნება მომავალზე და არა წარსულის მოგონებანი, საჭიროა სიმამაცე და თავდადება. სწორედ ამიტომ იღებს მწერალი გადაწყვეტილებას, რომელიც თითქოს გვიხსნის მთელი ამ ნაწარმოების იდეურ მიზანსწრაფვას. ჰოლა წყველის წარსულს, არც სურს იფიქროს მასზე და ამიტომ თითქოს აჭერებს თავის თავს: „არაფერი ჩემს უკან არ ყოფილა, — არაფერი, არაფერი! და თუ იყო, ჯანდაბას მისი თავი და ტანი, ჯანდაბას!...“ და აქ ჰოლა, ეს უტეხი სულის ადამიანი, საოცარი ოპტიმისტური აკორდით ათავენს ამ მართლაც რომ გულის სისხლით დაწერილ აღსარებას. სწორედ ეს აღსარებაა თავისებური იდეური რეზუმეს გამომხატველი იმ ნაწარმოებისა, რომელიც რეაქციის პერიოდისათვის უჩვეულო რწმენისა და მებრძოლი, ოპტიმისტურ სულისკვეთების ქმნილებას წარმოადგენს. „ყველა სანთლებს დაეაქრობ ჩემს უკან — წერს დასასრულს ჰოლა — და მხოლოდ წინ, მხოლოდ მომავლისაკენ დავიწყებ ცქერას. მხოლოდ წინ! მხოლოდ წინ! წინ — იქ თავისუფლებაა, გაშლილი

მინდვრები, ყვავილები — იქ სჯობია! ჩემს უკან დაეაქრობ ცეცხლს და დეე იყოს, რაც უნდა იყოს, დღეს სატუსალოში ვარ, ხვალ თავისუფალი ვიქნები“...

აი, ნაწარმოების მთავარი ძარღვი, ქოლას მთავარი ჰანგი: „წინ! იქ თავისუფლებაა, უკან კი სასაფლაოა; წინ, მხოლოდ წინ და ხვალ თავისუფლები ვიქნებით“.

პროლეტარიატის საქმის გამარჯვების ღრმა რწმენით, მებრძოლი სულით და ოპტიმისტური პათოსითაა გაშსკვალული 1910 წელს დაწერილი ქოლას საყოველთაოდ ცნობილი ხაწარმოები — „კიკეელი მაისი“. ამ დიდი შინაგახი განცდითა და მღელვარებით შექმნილ მოთხრობაშიც უხვადაა ჩართული ავტობიოგრაფიული ელემენტი და ამიტომ იგი, ისევე როგორც „უსათურო“, უაღრესად მნიშვნელოვანია ქოლა ლომთათიძის განწყობილებს, იდეალებისა და სულისკვეთების მართებულად გააზრებისათვის.

ეს ნაწარმოებიც ქოლასათვის დამახასიათებელი სტრუქტურულ-კომპოზიციური თავისებურებით გამოირჩევა. მასში ორი ძირითადი სიუჟეტური ძაფია გადახლართული: ციხის ცხოვრების იმჟამინდელი სურათები და წარსულის მოგონებები, რომლებიც მოთხრობის გმირის, ბიქტორ აგიაშვილის (ვისი პირითაც თხრობა მიმდინარეობს), თავისუფალ ცხოვრებას აგვიწერენ და მის ბიოგრაფიას გვაშკენებენ. სწორედ ეს უკანასკნელი (ე. ი. ციხამდელი ცხოვრების სურათები) არის ამ ნაწარმოებში მთავარი. ისინი გახაპირობებზე თხრობის ხასიათსაც, იდეურ აქცენტირებასაც, სიუჟეტის განვითარებასაც და ამავე დროს მოთხრობის დროულ-ქრონოლოგიური ჩარჩოების გაგანიერების ამოცანასაც ემსახურებიან.

თავდადებული რევოლუციონერი, ბიქტორ აგიაშვილი ციხეში ზის და მუშების საყვარელი დღესასწაულის, პირველი მაისის წიხდლით თავისი მღელვარე ცხოვრების წარსულ ამბებს იგონებს. ამჟამად მას ყველაზე ძალიან იმ პაწია ქალაქ „ჩ-ში“ მოხვედრა ენატრება, სადაც „რამდენიმე ვაჟაკი ერთად, ძმურად აწყვია ერთ ორმოში და მათ შორის მარხი: თინაც. ჩეჩნი თინა!...“ იქ პირველად, მთელ სამ თვეს, ჯარისკაცები იდგნენ და იმ საფლავთან არავის უშვებდნენ, „ეშინოდათ არავენ მოიპაროს ცხედარიო“.

ბიქტორ აგიაშვილი (მოთხრობელი) გადმოგვცემს საკუთარსა და იმ ადამიანთა ცხოვრების ეპიზოდებს, ვინც ამ მისთვის სანატრელ საძ-

მო საფლავშია დამარხული. სწორედ ეს ეპიზოდები კმნიან ნაწარმოების სიუჟეტურ ქარგას.

ბიქტორის (ამ შემთხვევაში თვით ავტორის) აზრით, „კაცს რაც გიყვარს, იმისთვის არავითარი მსხვერპლი არ უნდა გშურდეს“. დასაფლავებულნი კი ის აუცილებელი მსხვერპლია, რომელიც გარდუვალა თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მაგრამ აგიაშვილი მაინც ვერ შერიგებია უახლოესი მეგობრის დაკარგვას. აქამდე ვერ შეღწევა მისთვის ძვირფას ადამიანს, შესანიშნავ ქალს — თინას, ვინც ასეთი გატაცებით უყვარდა და ვინც მებრძოლ იატაკქვეშელთა წრეში ცნობილი იყო როგორც უშიშარი, რევოლუციისათვის თავდადებული მებრძოლი, გამოცდილი კონსპირატორი, მგზნებარე პროპაგანდისტი და ნიჭიერი ორგანიზატორი. ასეთივე იყო თინასთან ერთად საფლავში მწოლარე მუშა პეტუა, ეს „გულუბრყვილო და თავდადებული“ ვაჟაკი, ვინც მამაცურად დაიღუპა უთანასწორო ბრძოლაში და ვისთვისაც წითელი დროშის აფრიალება ყველაზე დიდი ბედნიერება იყო ცხოვრებაში. ბიქტორს ვერ დაუვიწყებია მამაცი მოწყალების და, რომელიც მუშათა პარტიის აქტიური წევრი იყო და რომელმაც სატუსაღოს სავადმყოფოდან დაქრილი რევოლუციონერი გააპარა, რისთვისაც თვითონ იქნა დაპატიმრებული და დასჯილი. ვერ დაუვიწყებია უახლოესი მეგობარი კოლა, მეტსახელად „მოზვერი“, რომელმაც პოლიციასთან შეტაკებისას უშიშრად აღმართა წითელი დროშა და „სანამ ტყვიამ შუბლი არ განუგძირა, იმ დროშას ხელი არ გაუშვა“.

კოლას დაღუპვაში აგიაშვილი თავის თავსაც დებს ბრალს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ წითელი დროშა დაუთმო, ეს დროშა რომ აგიაშვილს წაეღო, მას მოკლავდნენ, კოლა კი გადაარჩებოდა. მგრძობიარე და კეთილშობილ აგიაშვილს სიკვდილი ურჩევნია დღე-ხიადღ სინანულს. მეორეც, კოლა, ვმირი და უშიშარი კოლა არ ყოფილა იმ შეიარაღებული დემონსტრაციის მომხრე. მაგრამ აგიაშვილს მისთვის „მხდალი“ უწოდებია და აი, გაგულსებულ კოლასაც დაუმტკიცებია, რამდენად „მხდალი“ ყოფილა იგი. ეს სინდისის ქეზჯნა იმ მხრივაა საყურადღებო, რომ იგი ბიქტორ აგიაშვილისა და კოლას კეთილშობილურ ბუნებაში ჩახედვის საშუალებას გვიქმნის და საინტერესო მხატვრულ ხერხად გვევლინება.

ერთი ბრძნული თქმისა არ იყოს: „მითხარი ვინ არის შენი შე-

გობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენო", კოლაც მთხრობელს, ბიქტორ აგიაშვილს, მისი გარემოცვის, ნაცნობ ნეგობართა საშუალებით გვიხასიათებს. ამ ნაწარმოებში კოლა ოსტატურად გვისურათებს. რევოლუციურ გარემოს და პროლეტარიატის პარტიის ძიერ თავისუფლებიათვის ბრძოლის ტიპური სიტუაციების შექმნით. შთამბეჭქდავად გვიხატაეს მთავარი გმირის პორტრეტს. გვიხასიათებს მის სულიერ სამყაროს, მის ინტერესებს, მიზნებსა და იდეალებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიქტორ აგიაშვილის ზოგიერთ თვისებაში კოლას ბიროვნული დახასიათება მოჩანს და, ამდენად, ბიქტორის სახე ავტობიოგრაფიულ ხასიათსაც ატარებს. ამ ნაწარმოებში მთელი ძალით გამოვლინდა კოლას ძლიერი, უაღრესად მახვილი, ხან თბილი და ნაზი, ხან კი მწარე და გესლიანი იუმორი.

„ბირველი მაისის“ ყველაზე ნიშნეული მხარე ესაა ძლიერი და გადამდები პათოსი — ხალხის ამამხედრებელი, თვითმპყრობელობასთან ბრძოლისაკენ მომწოდებელი. ესაა კოლას გულის სიღრმეიდან გადმოხეთქილი საბრძოლო ყიყინა, ძველი რუსეთის პოლიციურ-მემამულური სინამდვილისადმი სიძულვილით გაჟღენთილი ადამიანის ძახილი, რომელსაც სწამს, რომ ამხედრებულ ხალხს შეუძლია ექსპლოატაციიაზე აგებული სისტემის გაცამტვერება და ახალი, ბედნიერი ცხოვრების დამკვიდრება. ესაა ძახილი ადამიანისა, რომელსაც სწამს, რომ საყოველთაო ბედნიერება მხოლოდ სიხსლიანი ბრძოლით მოიპოვება და ამიტომ მთელი თავისი ხმითა და ძალით მოუწოდებს ხალხს ამ დიადი ბრძოლისაკენ.

მთელ ქართულ ლიტერატურაში არ მოიძებნება მეორე მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც მოცემული ყოფილიყოს ასეთი პირდაპირი, ასეთი ძლიერი, თამამი მხილება თვითმპყრობელური რეჟიმისა, კაპიტალისტური სისტემისა და ამასთან ერთად მტერთან შერკინების ასეთი ბოზოქარი სულით გაჟღენთილი მოწოდება ძველი წყობილების იარაღით დამხობისაკენ: „ფუი, რა ბინძურია დღევანდელი საზოგადოება! აქ ერთი მეორეს ართმევს ლუქმას და არც კი რცხვენია! აქ ერთი რომ ილხენს, ათასს ლუქმა პური ენატრება და არც კი რცხვენია! აქ ერთის ნამუშევარს ითვისებს მეორე და არც კი რცხვენია, აქ სამეძაო სახლებია აშენებული, სადაც შიმშილით გაპირუტყვებულ ადამიანებს ამღერებენ და კოცნიან და არც კი რცხვენიათ! აქ იყიდება სიყვარული, იყიდება სინდისი, აქ იყიდება ნამუსი და

არც კი რცხვენიათ! აქ სატრფოს კოცნაც მოწამლულია, აქ უმანკო ბავშვის ტიტინიც კი ვერ ალბობს გაქვავებულ გულს... ფუი, რა ბინძურია დღევანდელი საზოგადოება?... აქ საკუთარი ბავშვების გასაძლომად სხვისი ბავშვები უნდა დაამშვიონ... აქ მათხოვრები და ქურდები ჰყავთ, აქ მკვლელები და ავაზაკები იბადებიან, აქ ადამიანი ასამართლებს ადამიანს და სატუსალოში აჯენს... თოფებით და ზარბაზნებით იცავენ ამ საზოგადოებას, მღვდლებითა და შოსყიდული მეცნიერებით ამტკიცებენ ამ წყობილების უაღრესობას, ეკლესიებით და სასამართლოებით ამაგრებენ მას“.

ძნელი გამოსაცნობი არაა, რომ მებრძოლი ვნებიანობითა და უსაზღვრო სიძულვილით აღსავსე ეს ბრალდება მარქსის. ცნობილი სიტყვებით არის შთაგონებული. ავტორი წყევლის „ჩაგრულთა სისხლით მორწყულ ქვეყანას“, რომლის გარდაქმნაც სიცოცხლის მთავარ ამოცანად აქვს დასახულა. „ეკლესიებში ისევე ქადაგებენ მოთმინებასა და მორჩილებას, ისევე აქებენ დღევანდელ წესრიგს და ისევე ყიდნიან ქუჩებში სხეულს მშვირ-მწყურვალ ადამიანები. ისევე იღვრება სისხლი პატიოსანთა და ისევე ისმის ლხენის ხმა მაღალ-სასახლეებში. იქ ადამიანის სისხლს სვამენ და თვრებიან, იქ ადამიანის ხორცს ჭამენ და ძღებიან, და ეს ადამიანები ჩვენ ვართ, ამხანაგებო! ისევე დგას ტახტი უსამართლობისა და იმის წინაშე, იკვლება უთვალავი მსხვერპლი, და ეს მსხვერპლი ჩვენ ვართ, ამხანაგებო! ისევე არ იჩებს გულს ქვეყნის მჩაგვრელი, ბედი ისევე უღიმის ჰგონიამას! ქვეყანას ძველს, ქვეყანას ცოდვილს, ისევე იმედი უღვივის გულში და ეს იმედი უნდა მოვკლათ ჩვენ“.

და იმისათვის, რომ „ქვეყანას ძველს, ქვეყანას ცოდვილს“ მოესპოს იმედი, ავტორი გულმხურვალედ მოუწოდებს მასებს: „ნებით არ დათმობენ ისინი არაფერს — ძალით უნდა, დავამარცხოთ ისინი. ამიტომ ჩვენ უნდა გავიწაფოთ ბრძოლაში — მაშ, ქუჩაზე, ამხანაგებო! ბრძოლა დროშით ხელში; შეიარაღებულნი, სადღესასწაულო ტანსაცმელში — ქუჩაზე, ამხანაგებო!... მოვდივართ შენზე, ძველო ქვეყანავ, გზა მოგვეცი! ვანთხევთ სისხლს, რომ ნიადაგი გავაპოხიეროთ — დაგვხვდით! ჩვენ გავიმარჯვებთ და ამიტომ მხიარული ვართ ჩვენ. მომავალი ჩვენია, — მაშ სიმღერა, ამხანაგებო! აფრიალდი მხიარულად. წითელო დროშავ! — შენს ქვეშ სიკვდილი ჩვენი! აფრიალდი, წითელო დროშავ — შენს ქვეშ გამარჯვება

ჩენი, ქუჩაზე, ქუჩაზე, ქუჩაზე, ამხანაგებო! პირველი მაისია დღეს! შეხედეთ, როგორ იცინის ბუნება! იმას უხარია, რომ პროლეტარიატი გაიმარჯვებს“.

აქ კოლა პირდაპირ საბრძოლო მოწოდებაზე გადადის და მისი ლაკონური, ლოზუნგური სტილი, პუბლიცისტური სიმშრალის მიუხედავად დედაზარით გუგუნებს. „შეიარაღებული გამოდით ქუჩებზე, ამხანაგებო, და სიკვდილი მათ, ვინც არ დაგანებოს სიხარული და სიმღერა! ხედავთ — გაზაფხული ეღირსა ძველს, ჩაგრულთა სისხლით მორწყულ ქვეყანას!“ ცხადია, აქ გაზაფხული სიმბოლურად ნიშნავს იმ რევოლუციურ დუღილს, რომლის დღეებსაც ასახავს „პირველი მაისი“ და ვისადმი ტრფობა ვერ გაახელა თვით იმ სუსხიანმა რეაქციამაც კი, რომლის დღეებშიაც იწერებოდა ეს შესახიშნავი და ცეცხლოვანი ნაწარმოები.

„პირველ მაისში“, ისევე როგორც „უსათაუროში“, საოცარი ძალით გამომქლავნდა პროლეტარიატის ბრძოლების ჰეროიკული სული და მისი სიმბოლოს, წითელი დროშის, ამადლეგებელი რომანტიკა; მარადიული სიყვარული და უსაზღვრო პატივისცემა — „მეწამული ბაირაღისადმი“.

„ლამაზად, ახოვანად გაიმართა ბელში დროშა, ერთი წამით შეჩერდა ჰაერში, თითქოს თვალი გადააეღო დამცველებს, მერმე კი ცოტათი დახარა თავი წინ და გაცურდა. სალამი, სალამი შენ, წითელო დროშავ! სალამი ჩვენო დროშავ! ნუ შეარცხვენ შენ პროლეტარიატს, პროლეტარიატიც ნუ შეგარცხვენს შენ! სალამი, სალამი, ამხანაგებო, გილოცავთ პირველ მაისს, რომელიც ნიშნავს, — გავიმარჯვებთო. სალამი თქვენ, ამხანაგებო! მთელი ქვეყნის ჩაგრულებო, იმედით გიყურებთ თქვენ, აბა რომელი ბელადი დაიქადებს ამას, თქვენს მეტი! გაუმარჯოს, გაუმარჯოს პროლეტარიატს... გაუმარჯოს, გაუმარჯოს! წინ, წინ, ამხანაგებო!“

აქაც, ისევე როგორც „უსათაუროში“, მოცემულია ნამდვილი ხელოვნებით შესრულებული რეალისტური სურათი საპირველმაისო დემონსტრაციის და პოლიციასთან შეიარაღებული შეტაკებისა. ნაწარმოების მთავარი გმირი, ზიქტორ აგიაშვილი რევოლუციურ ხელში ებრძვის პირსისხლიან ყაზახებს; რომლებიც არ ზოგავენ არც ქალებს, არც მოხუცებს და არც მცირეწლოვანთ: „მაშ აი, შენ!... მიირთვი, გემრიელია? ესეც კიდევ შენ... შენ... არა, არ დაზოგოთ,

ამხანაგებო, არაინ, ესენი ბავშვებსაც არ ზოგავენ — სიკვდილი მათ!... ეს მე ვარ ბიქტორ აგიაშვილი, ორი ტყვიით ყაზახი რომ დავაწვინე, მეორე ტყვია მას შუბლში მოვარტყი, როცა ის მკვდარი იყო უკვე... ეს მე ვარ და კიდევ მინდა მოვკლა, კიდევ მინდა... აბა გაბედეთ და დამხედით წინ! ბიჭებო! ასწიეთ მალღა დროშა, ასწიეთ... რად ვარგა პროლეტარიატი უდროშოდ! ტყვია, ტყვია მომეცით, ტყვია-მეთქი... აი, მე მიჭირავს ხელში წითელი დროშა პროლეტარიისა და სიკვდილი თქვენ!“.

ამ მღელვარე ლირიკული სტილით გადმოცემულ ფრაგმენტში უფრო მეტია განცდა, ემოცია, შინაგანი თრთოლვა, ვიდრე სიხამდვილის ობიექტური სურათი. მაგრამ მასში ისეთი ოსტატური ასოციაციურობითა და ნიუანსირებითაა გადმოცემული შეტაკებაში მონაწილე მებრძოლის სულიერი განწყობილება, რომ თვალწინ წარმოგიდგება ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმული ადამიანი, და ისეთი გრძნობა გიპყრობს, გეგონება ხედავ მის ყოველ მოძრაობას, თითქოს გესმის მისი ხმა და გულის ფეთქვა.

ბიქტორ აგიაშვილი თინასთან, კოლასთან და არალეგალურ წრეებში ჩაბმულ სხვა მუშებთან ერთად ებრძვის ჭარსა და პოლიციას. ბიქტორს გვერდში დასჭრიან და იგი ბეწვზე გადაურჩება სიკვდილს. დაჭრილ აგიაშვილს საავადმყოფოდან მოწყალების და გააპარებს. ეს მამაცი ქალი რსდმ პარტიის წევრი აღმოჩნდება. ტუსადის გაპარების შემდეგ იგი გურიაში იმალებოდა, მაგრამ პოლიციამ მაინც მიაგნო მის კვალს და სატუსადოში გამოამწყვდია. აგიაშვილის უახლოესი მეგობრები კი — თინა, კოლა, პეტუა მუშა, გოგი და სხვანი დემონსტრაციის დროს დაიღუპნენ. და აი, ციხეში მყოფი აგიაშვილი იგონებს თავის გმირ მეგობრებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ ეს მოგონებები ქმნიან სიუჟეტურ პერიპეტიებს.

მძიმე განცდის მიუხედავად, აგიაშვილი მაინც არ არის საბოლოოდ გულგატეხილი. მას სწამს, რომ გამარჯვება მუშათა კლასის მხარეზეა. იგი მოუთმენლად ელის პარტიზოების ვადის დამთავრებას, რათა ისევ დაუბრუნდეს საქმეს, რომლისთვისაც თავი გადაუღვია: „მე წავალ მუშათა უბანში და ავიღებ ხელში წითელ დროშას, ავაფრიალებ მას და დავიძახებ — ამ დროშის ქვეშ-მეთქი, გაწყდნენ გმირები, რომელთაც დაჩაგრული ქვეყნისათვის მომავალი ბედ-

ნიერების მოლოცვა უნდოდათ, მაგრამ ჩვენ მაინც არ გვეშინია სიკვდილისა და მზად ვართ იმის ქვეშ, თუ საჭიროა ისევ მოკვდეთ-მეთქი“.

ტყუილად ხარობს ციხის უფროსი, ტყუილად ჰგონია, რომ რევოლუცია განადგურებულია, რომ „რევოლუცია აწი წელს ვერ აღლებს“. ბიქტორ აგიაშვილის საპასუხო სიტყვები, მიმართული ციხის უფროსისადმი, თვით ავტორის სიტყვებია, იგი ამ ნაწარმოების ლეიტმოტივი და დედააზრია, ის მთავარი მიზანია. რომელსაც ავტორი ისახავდა. „არა, ძამია, არ ვართ დამარცხებულნი, — უპასუხებს ნაწარმოების გმირი ციხის უფროსს და მისი სახით ყველა მას, ვინც რევოლუციის გასარესას ნატრობს, — მოკალით ჩვენი რწმენა? მოკალით ჩვენი სიყვარული? მოკალით ჩვენი თქვენდამი ზიზღი? მოკალით ჩვენი დიდი სურვილი? ტყვია რომ გულში გვარტყით, ბაწარი რომ კისერში მოგვიჭირეთ, ამით მოკალით რომელიმე სურვილი ჩვენი, რომელიც თქვენ არ მოგწონდათ? მაშ რად ამბობთ — გავიშარჯვეთო? ვიცანით ჩვენი თავი დამნაშავედ და პატიება ვთხოვეთ? თუ მოგვკალით და აღარ გეშინიათ ჩვენი, მაშ რად დაუკარგეთ საფლავებს სახელი?.. გეშინოდეთ თქვენ იმ საფლავის, ის არ არის საფლავი დამარცხებულისა“.

ამ რწმენით, იმედით, მებრძოლი სულისკვეთებით აღსავსე ნაწარმოებს ჰ. ლომთათიძე ამთავრებს დიდი იდეური დატვირთვის ნიუანსური შეძახილით: ტყუილად ხარობენო ციხის ზედამხედველები, ტყუილად ჰგონიათ რევოლუციური მოძრაობა განადგურებულად — „აბა ერთი ჩემს გულში ჩამოახედა, რას იტყვის! მგონია შეეხარბოს!!“.

ამგვარად, „პირველი მაისი“ პროლეტარიატის საქმისათვის თავდადებულთა უტენი ნებისყოფით მთავონებული ნაწარმოებია და იგი ჰოლა ლომთათიძის დაუმარცხებელი, მებრძოლი ბუნების ერთ ყველაზე მჭევრმეტყველურ საბუთს წარმოადგენს.

როგორც აღვნიშნეთ, ნაწარმოებში მეტად მრავლადაა ჩართული ავტობიოგრაფიული ხასიათის დეტალები. არ იქნება შემცდარი, თუ ვიტყვით, რომ ნაწარმოების მთავარი გმირის — ბიქტორ აგიაშვილის ძირითადი თვისებების სახით — ჩვენ წინ ჰოლა ლომთათიძე წარმოდგება. ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, მაგალითად, ბიქტორის გარეგნობა, მისი ზოგიერთი ჩვეულება და ნიშანი

(სიფიცხე, პირდაპირობა, სითამამე), ჳლექით დაავადება, ტუსალო-
ბის ვადა, პარტიულ-კონსპირაციული სახელის „ხასანას“ შერქმევის
ისტორია¹ და სხვ. ავტობიოგრაფიულ მასალაზეა აღმოცენებული ნა-
წარმოების მრავალი პასაჟი და სურათი, კერძოდ: ცენტრალური
პერსონაჟის, ბიქტორის რევოლუციურ-პროპაგანდისტული მოღვაწე-
ობის მთავარი დეტალები, ანარქისტების პოლიტიკის კრიტიკა, შე-
იარაღებული დემონსტრაციის მოწყობა-ჩატარების სურათები და
მოთხრობაში ჩართული არა ერთი საყოფაცხოვრებო ხასიათის ეპიზო-
დი, ღორის მოკვლის ამბავი, რომელიც ბავშვობაში თვით ჳოლას
გადახდენია, დედის დასაფლავების სურათი (საოცრად ძლიერი და
ემოციონალური მხატვრული ფერებით შესრულებული), ბავშვობის
დროინდელი მოგონებები (ბებიას ჩონგური და სხვ.), შვეციის ამბები,
ჯერ „მეუმცირესებთან“ (პლებანოვთან, ზასულიჩთან, აქსელროდ-
თან) შეხვედრა, შემდეგ ვლადიმერ ილიას ძე ლენინთან გამოლაპარა-
კება და ზოგიერთი სხვა...

აი, მაგალითად, ერთი ეპიზოდი „პირველი მაისის“ პერსონა-
ჟთა ცხოვრებიდან, რომელიც ავტობიოგრაფიულ მასალაზე, ჳოლას
თბილისში ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ეპიზოდზეა
აგებული. ბიქტორ აგიაშვილის ამ მონათხრობში თვით ჳ. ლომთათი-
ძის რევოლუციური საქმიანობის ერთ-ერთი შემთხვევაა აღმოცემუ-
ლი, როცა იგი თავის პარტიულ ამხანაგებთან ერთად პირველი მაისის
დემონსტრაციას ამზადებდა. „დილიდან საღამომდე ამ დღესასწაუ-
ლისათვის ვემზადებოდით. ჩვენი მოსვენება არ იყო. წრიდან წრეში,
კრებიდან კრებაზე, ერთი უბნიდან მეორე უბანში დავრბოდით, ვეც-
ნობოდით მუშების აზრს ამ დღესასწაულის შესახებ, ვკრებდით
ცნობებს და თან ვაქეზებდით მათ, თუ ეს საჭირო იყო, ვეკამათებო-
დით. მწვავე ბრძოლა ატყდა ამ კითხვის გარშემო — შეიარაღებული
დემონსტრაცია მოვახდინოთ, თუ მშვიდობიანად გამოვაცხადოთ
გაფიცვა და ეს ვიკმართო. გაღესეთ და დალიეთ თქვენი მშვიდო-
ბიანი გაფიცვა, ჩვენ ქუჩაში გვინდა გამოვიდეთ და დროშა ჩვენი
გამოვამზეუროთ. გავშალოთ წითელი დროშა, შემოვეხვიოთ მას და
შვესძახოთ ქვეყანას — დაგამარცხებთ, გავიმარჯვებთ! წავილოთ

¹ როგორც ცნობილია, „ხასანა“ ჳოლას ფსევდონიმი და პარტიული სახელი
იყო. ამ სახელით იგი მონაწილეობდა რსდმ პარტიის V (ლონდონის) ყრილობაზე.

თან ჯობები, წავიღოთ რევოლუერები, წავიღოთ ქვეები და როცა ჩვენზე წამოვლენ, ჩვენც წავიდეთ იმათზე, როცა გვესერიან — ჩვენც ვესროლოთ, როცა მოგვეკლავენ — ჩვენც მოვკლათ და ამნაირად ვიღღესასწაულოთ დღესასწაული ჩვენი მომავალი გამარჯვებისა... ჩვენ მხდალებს როდი ვეძახით, ჩვენ ქვეყანა გვინდა დავიმკვიდროთ, მხდალნი კი ქვეყანას ვერ დაიმკვიდრებენა.

ამრიგად, ჰოლა ლომთათიძის მხატვრულ პროზას მისივე ავტორის რევოლუციური მოღვაწეობის მდიდარი გამოცდილება და პირადი საქმიანობა ასულდგმულებადა. ამიტომაც იგი ისეთი გულწრფელი, მართალი, შთამბეჭდავი და დიდი იდეურ-ესთეტიკური ზემოქმედების მომხდენი.

ჰოლას ყველაზე მეტად ადამიანის მძაფრი სულიერი კოლიზიები აინტერესებდა. მისი ნაწერების უმრავლესობა დიდი დრამატიზმით გამოირჩევა და ღრმა ფსიქოლოგიზმით ხასიათდება. ჰოლა შესანიშნავად სწვდება ადამიანის შინაგან განცდებს და ოსტატურად გადმოსცემს მათ. ჰოლას გარდასახვის, სხვადასხვა ქცევის საოცარი უნარი გააჩნია. მისი გულის ფეთქვას ისეთნაირად გრძნობ და ხედავ, გეგონება შენს ხელისგულზე ასვენიაო.

ამიტომაც, რომ მას ხშირად იზიდავს სულიერად ავადმყოფიც და ჰკუდიდან შეშლილიც, დეპრესიაში ჩავარდნილი კაციც და ნერვულ ალგუნებადობაში მყოფი ადამიანიც. პერსონაჟთა სულიერი ცხოვრების კრიზისულ მომენტებში მათი გონებისა და გულის დიდი ძვრების ჩვენება ჰოლას სტიქიაა. ჰოლას ემარჯვება ადამიანის შინაგანი წინააღმდეგობების, ეჭვისა და შიშის შექნაწინააღმდეგობების, დიდი მღელვარებისა და შინაგანი ძრწოლების გადმოცემა. მისი სტილი, მოქნილი და ელასტიური, თითქოს ზედგამოჭრილია ამისათვის. იგი განუუმეორებელი ოსტატობით გადმოგვცემს ხასიათების მდგომარეობას, ადამიანთა უკიდურეს ნერვიულ დაძაბულობას, ანგარიშმიუცემელ მღელვარებას. აგზნებადი, ნერვიული სტილის საშუალებით ადამიანთა შინაგანი მდგომარეობის გადმოცემამ, განსაკუთრებით, მწერლის საპრობილეში ყოფნის პერიოდში იჩინა თავი.

ასეთია ჰოლა ლომთათიძის მიერ 1910 წელს შექმნილი ბელეტრისტული თხზულება ჩემი დღიური, რომლის თვით სათაური აშკარად მეტყველებს ნაწარმოების ინტიმურ ხასიათზე.

„ჩემი დღიური“ ეპისტოლარული სტილის ნაწარმოებია. „რო-

გორც მკითხველი თვითონ დაინახავს, — წერს ჯოლა, — ეს დღიური ამხანაგებისადმი გასაგზავნად წერილთა კრებულს უფრო წარმოდგენს, ვიდრე ნამდვილ დღიურს“. ჯოლას ეს თხზულება სხვა მოთხრობებთან შედარებისას თავისებური კომპოზიციით ხასიათდება. ავტორი მოგვითხრობს თავის ამხანაგზე, ილიკო იაშვილზე, რომელიც მასთან ერთად საპრობილეში იჯდა და ციხეში ყოფნის დროს გაგოჟდა. და აი, ავტორი აქვეყნებს ილიკო იაშვილის დღიურს, რადგან მისი სიტყვით, ილიკო იყო — „კარგი ბიჭი, კარგი ამხანაგი და დიდი ერთგული საყვარელი საქმისა — სოციალიზმისა“.

იაშვილის ეს „დღიური“ მრავალმხრივია საყურადღებო. უპირველეს ყოვლისა, იგი ცოცხალი სურათია იმ შეუპოვარი ბრძოლისა, რომელსაც მებრძოლი სოციალ-დემოკრატია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აწარმოებდა. ავტორი (ამ შემთხვევაში თვით ჯოლა) მომხიბლავი უშუალოდ გვიხატავს ადამიანებს, რომლებიც წარბეუხრელად ეწირებოდნენ თავისუფლების საქმეს. შეზღუდული მოცულობის მიუხედავად, ეს მოთხრობა საკმაოდ რთული და მრავალპლანიანი ნაწარმოებია. მასში იმჟამინდელი პოლიტიკური სიტუაციისა და პარტიათაშორისი ბრძოლის ჩვენებასთან ერთად, დახატულია საპრობილეს სურათიც და გარკვეული კუთხით გაშუქებულია ქალისა და სიყვარულის პრობლემაც.

მაგრამ ყველაზე საყურადღებო მაინც ის არის, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ილიკო იაშვილის თავგადასავალში მკაფიოდ მოჩანს თვით ჯოლა ლომთათიძის ცხოვრების მრავალი მომენტი. ამდენად, ჯოლას ეს ნაწარმოებიც (ისევე, როგორც არაერთი სხვა) ავტობიოგრაფიულია. გამოგონებული. ე. წ. წარმოსახვით შექმნილი პერსონაჟი, ილიკო იაშვილი, ამ „პირადული“ მასალის შენიღბვა-ვეალირებისათვის საგანგებოდ მონახული მხატვრული საშუალებაა. მაგრამ ამ ავტობიოგრაფიული დეტალების მიუხედავად (რაც, არც აქ, და არც სხვა შემთხვევაში არ გვაძლევს საფუძველს ჯ. ლომთათიძის სრული გაიგივებისა მის მიერ შექმნილ რომელსავე პერსონაჟთან) ილიკო იაშვილი უადრესად დამახასიათებელი წარმომადგენელია რევოლუციის დროინდელი საზოგადოების გარკვეული ფენებისა და მას აუცილებლად მოსდგამს მრავალი ტიპური თვისება.

„ჩემი დღიური“ უთუოდ განსხვავდება ჯოლას ისეთი ნაწარმოებებისაგან, როგორიცაა „სახრჩობელას წინაშე“, „პირველი მაი-

სი“, „საპურობილეში“. მათგან განსხვავებით აქ უფრო მეტია დაე-
ქვება, სევდა და შიში.

საგულისხმოა, რომ ილიკო იაშვილი რეაქციამ იმსხვერპლა სუ-
ლიერადაც და ფიზიკურადაც, იგი ჭერ ჭკუაზე შეიშალა და მერე
მოკვდა. მართალია, ილიკო მთლიანად არ კარგავს სულის მხნეობას,
იგი ბოლომდე შედგრად იბრძვის და ქედუხრელია, მაგრამ შიშისა
და დაეჭვების ის ტენდენციები, რომელიც თუმცა მეტად ხანმოკლედ
და ეფემერულად, მაგრამ მაინც ჰქონდა ჭეირან ვარდოსანიძეს („სა-
ხარობელას წინაშე“) და განსაკუთრებით კი კოლა დროზდოვს („სა-
პურობილეში“) — ილიკო იაშვილთან კიდევ უფრო მეტად გაზრდი-
ლი და გაძლიერებული მოჩანს.

ამიტომ, რომ ილიკო იაშვილი, ეს სულიერად და ხარკიელად
ტანჯული ადამიანი, ილუპება და ვერ უძლებს რეაქციის სუსხს. უნ-
და ითქვას, რომ ეს გარემოებაც რეალური სინამდვილითაა ნაკარხა-
ხევი: 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ყველა რო-
დი დარჩა ისეთივე უშიშარ და შედგარ მებრძოლად, როგორც ბიქ-
ტორ აგიაშვილი; ყველა ისე ვმარჯულად როდი აღიოდა სახარო-
ბელაზე, როგორც ჭეირან ვარდოსანიძე. ბლომად იყვნენ ისეთებიც,
რომელნიც შიშით ძრწოდნენ მოახლოვებული სიკვდილის წინაშე
და ჭოლამ, ფხიზელი რეალისტის თვალთ. დაინახა და დაგვიხატა
არა მარტო ერთნი, არამედ მეორენიც.

ამიტომ არის, რომ ავტორი იაშვილის ცხოვრებაში ხედავს არა
მხოლოდ ინდივიდუალურ ფაქტს, არამედ იმ ეპოქის უშუალო და-
ხასიათებასაც, რომელშიც ეს ადამიანი ცხოვრობდა და მოღვაწე-
ობდა. „ამბობენ — წერს კოლა. — თვითველი საფლავის ქვის ქვეშ
კაცობრიობის ისტორიის დამარცხელია. და რადგანაც ეს სიშართლეა,
ამასთან, რადგანაც კაცობრიობის ისტორიის ცოდნა აუცილებლად
საჭიროა, ამიტომ მეც ვცადე ამ რვეულს წაწილის გამოქვეყნებით
ცოტათი მაინც ამხანა საფლავის ქვა ჩემი უდროოდ დაკარგული
ამხანაგის, ილიკო აგიაშვილის სამარისა და თქვენთვის მომეცა საშუ-
ალება ჩაგეხედათ შიგ“.

ავტორს სურს ერთი აღმნიშნის ბედში ჩაგვახედოს და ამით სა-
ზოგადოების ისტორიის ერთ კუნჭულს ნათელი მოჰფინოს. ამრი-
გად, აქ ავტორი ტაძინაციის გზაზე დგას და ეპოქის მხატვრულ

პროფილის მოცემას, იმეამინდელ ადამიანთა ტიპიზირებული სურათის დახატვას ცდილობს.

თანამედროვე სინამდვილის რეალისტურ სურათებთან ერთად ამ ნაწარმოებში უზვად მოიპოვება მდიდარი სიმბოლიკის მქონე არა ერთი სახე და დეტალი. ასეთი სიმბოლური ხასიათისაა, მაგალითად, მოწოდება „სინათლისაკენ“: — „დაანთეთ, ამხანაგებო, ცეცხლი ბუხრებში, დადგით სინათლე ფანჯრებთან და თუ ვერ ანათებს მზე, იმიტომ, რომ ღამეა, წვიმს და ბნელი ბურუსი ახვევია მდამოს, დადგით, ამხანაგებო, სინათლე ფანჯრებთან და გამოამშუქეთ ქუჩაში, იქ კაცი დგას, იქ დგას ადამიანი, იმას ქუდი მოხდილი აქვს, იმას აწვიმს, სცივა იმას და უჭირს ბნელში სიარული. ის იცქირება გარშემო და ეძებს სინათლეს, ეძებს ძალას, რომელიც მას მოეხმარება... იმას უყვარხართ თქვენ, ის თქვენ დაგეძებთ. თქვენთან უნდა მოსვლა, თქვენთან უნდა სიკვდილი — დაანთეთ, ამხანაგებო, ცეცხლი ბუხრებში, დადგით სინათლე ფანჯრებთან და გაანათეთ ქუჩა!..“

ამ სიტყვებში, ამ ალტერიაში იგრძნობა ის დიდი პროლეტარული პუმანიზმი, რომელიც ჭოლას ყოველ სტრიქონში გამოსკვივის. აქ იგრძნობა დიდი ალტრუისტის კატამოყვარე ბუნება, ჭოლას ადამიანთმოყვარული გულის ძვერა. ამიტომაც ეს მოთხრობა თავისებური ძახილია, კეთილი ადამიანისადმი მიმართული, მეგობრის მძებნელი და გამამხნეველი. ესაა სიმარტოვით გულგაბეზრებული ადამიანის დაუძლეველი ლტოლვა ადამიანისადმი, მეგობრისადმი. როცა ილიკო იაშვილი წერილებს უგზავნის „მეგობარს საკუთარ ხელში“ ამ „მეგობარში“ თვით მკითხველი იგულისხმება. ესაა საუბარი მკითხველებთან, ადამიანთან, ვისაც შეუძლია გაუგოს და უთანაგრძოს, შეიცუდოს და დაეხმაროს მას. „გწერ ამ წერილს. ღებულობ თუ არა, ამხანაგო, ჩემს წერილებს? კითხულობ, თუ არა? არ ვიცი, სად ცხოვრობ არ ვიცი... არ ვიცი რას ფიქრობ... არაფერი ვიცი შენი — მაინც გწერ. აი, დაფწერე კიდევც და დაუაწერე სათაურად — „ეს წერილი მიერთვას ჩემს ამხანაგს საკუთარ ხელში“.

ილიკოს იმ ადამიანების იმედი აქვს, ვისაც იგი წერილებს წერს. სწორედ მათი იმედით ემუქრება ილიკო იაშვილი მტარვლებს, რომელნიც „უპოწყალოდ სცემენ ტუსალებს“, ვინც „თოფით ღვანახ ფანჯრებთან, რათა ჩვენ არ დავინახოთ ზეცა“. ილიკო ემუქრება მათ: „მე ყველაფერს ვეტყვი იმ ადამიანებს, რომელთაც მე ვუყვარ-

ვარ და თქვენ წინააღმდეგ წამოვიყვან მათ, თქვენზე ავაძხედრებ მათ“.

ეს სიტყვები კარგად გამოხატავენ ავტორის იდეას: მას სურს ააძხედროს კეთილი ნების ყველა ადამიანი ქვეყნის მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

ამ ნაწარმოებში კვლავ ძალუმაღ ქლერს ექსპლოატაციაზე და ფუძნებული სოციალური სისტემის ის თამამი გაკიცხვა, რომელიც უკვე განხილულ ნაწარმოებებშიც აღვნიშნეთ: „ესლა ქუჩაში პროსტიტუტები დადიან და საკუთარი ღირსით ვაქრობენ, ესლა უმუშევრები უჭმელობით კედებიან, ქურდობას იწყებენ და აქ მოდიან, სატუხალოში. ესლა მუშები შრომობენ და ნაშრომს სხვები არაძევენ, ესლა უზარმაზარი სახლებია და დიდი უმრავლესობა კი ბიძიქურ, ნოტიო ქოხმანებში ყრია. ესლა მამამ რომ თავისი შვილი გააძლოს, ამისათვის მეორე მამას ართმევს საქმელს და იმის შვილი შიმშილით კედება. — აი, როგორია დღევანდელი ცხოვრება, მაგრამ მოიცათ, მოვდივართ თქვენზე, მოვდივართ და აბა დამაგრდით“.

სიმბოლური ქვეტექსტითაა „დანაღმულ“ ამ თხზულების ზოგიერთი სხვა სურათი და დეტალიც. ასეთია, მაგალითად სცენა, როცა უსახლკარო იაშვილი დატარიელებულ ქუჩებში დახეტიალობს და გაყინულ-გათოშინლ ადამიანს მხოლოდ პროსტიტუტკა შეივრდომებს. ესაა გესლიანი დახანათება სინამდვილისა, სადაც პროსტიტუტკა ყველაზე უფრო გამგები, კეთილშობილი და ადამიანთმოყვარეა, ვიდრე „უმწიკვლო რეპუტაციის“ მქონე ადამიანები, რომელნიც თბილ ბუხრებს მისჯლომიან და ესოდენ განუკითხავნი არაბ სვეგამწარებულთა მიმართ. საყვარელი ქალის სიმბოლურ-კრებადი სახეა კესანე, რომელზედაც ფიქრი მხნეობას მატებს, სიცოცხლის წყურვილს უძლიერებს იაშვილს.

ილიკო იაშვილი ზიზლით არის გამსჭვალული მჩაგვრელთა, მათ ერთგულ დამქაშთა და ყველა იმ ინსტიტუტების მიმართ, რომელთაც ცხოვრება საპყრობილედ უქცევიათ და მშრომელ ხალხს სისხლსა სწოვენ. „იმიტომ ხომ არ ყარს ბალინჯო, რომ ადამიანის სისხლით იკვებება? ალბათ იმიტომ ყარს. ყველა, ვინც კი ადამიანს სისხლს სწოვს და მით იკვებება, ყველა ყარს, ყველას შმორის სუნი უღის, იმიტომ ყარს ბალინჯოც“.

მაგრამ „ჩემი დღიურის“ მთავარი გმირი, ილიკო იაშვილი, ბიქ-

ტორ აგიაშვილისაგან („პირველი მისი“) და ჭივრან ვარდოსანიძისაგან („სახარხოზელას წინაშე“) განსხვავებით, მენშევიკია. ამ ნაწარმოებში საკმაოდ ვრცლად და ცოცხლად, თუმცა საკმაოდ ობიექტივისტურად და ზოგჯერ ჭეროვანი იდეური კვალიფიკაციის გარეშე, მოცემულია მენშევიკთა და ბოლშევიკთა შორის განუწყვეტელი კამათისა და შეურიგებელ წინააღმდეგობათა გამომხატველი არა ერთი დეტალი და სცენა (ასეთია, მაგალითად, მენშევიკი ილიკო იაშვილისა და ბოლშევიკი ქალის, ლიზას გაუთავებელი პაექრობა). აქვე თითქმის საილუსტრაციოდ, მაგრამ მიუხედავად ამისა, საკმაოდ რელიეფურად და დამაშინებლურად დახატულია ორი რევოლუციონერი ქალის — ნატაშას და ლიზას სახეები.

ისევე როგორც ყოველთვის, ჭოლა ამ ნაწარმოებსაც ურთავს არა ერთ მეტყველ ეპიზოდს, რომელიც თავისი ლაკონიურობის მთავრად, ღრმად ახასიათებს ეპოქას და სოციალ-პოლიტიკურ გარემოს. ასეთია, მაგალითად, ქეთოსა და იაშვილის სასიყვარულო-რომანტიული ეპიზოდი; ეპიზოდი თეატრში, როცა სცენაზე ებრაელთა რბევას აჩვენებდნენ; ჟანდარმის გალახვა, როცა ამ უკანასკნელმა ბრმა მათხოვარი კიბეზე ჩააგორა; სოფელზე ყაზახების დაცემა, ილიკოს დასაპატიმრებლად და სხვ.

ამ ნაწარმოებში ჩართულია ერთი უაღრესად საყურადღებო და ამასთან, ფართოდ ცნობილი ავტობიოგრაფიული დეტალი: ხარკოვში ყოფნის დროს, დიასახლისმა ჭოლა ქირის გადაუხდელობის გამო სახლიდან გააგდო. სუსხიან ზამთარში უთავშესაფაროდ დარჩენილი ჭოლა, ხან ერთ სასტუმროში შედიოდა და ხანაც მეორეში. რათა ორიოდ წუთით მაინც გაეთბო სხეული და პორტიეს მოგონილ გვარს ეკითხებოდა, თქვენს სასტუმროში ხომ არ გაჩერებულაო.

უაღრესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ იაშვილი უკიდურესი სულიერი დეპრესიის მომენტშიც კი არ კარგავს მტერთან შერკინების სურვილს. იგი იღუპება და კმით მარცხდება, მაგრამ საბოლოო ანგარიშში იღუპება როგორც ნებაგაუტყებელი მებრძოლი. ამ მხრივ, საინტერესოა ის დაპირისპირება, რომელსაც იგი ტუსადღად მყოფ თავის თავსა და იმ „თავისუფალ“ ჯარისკაცს შორის ახდენს, ვინც მას დარაჯობს. ამ სიტყვებში ღრმა, ნართაული აზრი იგულისხმება; ესაა სიმბოლური ქვეტექსტის შემცველი დაპირისპირება: „ჯარისკაცს ჰგონია, მე ვერ ვხედავ ზეცას. ცდება, ის ვერ ხე-

დავს ზეცას, თორემ მე კი ვხედავ. შენ ბრიყვი ხარ, ბიძია, შენ არაფერი იცი... ბრიყვი ხარ და იმიტომ გგონია შენ ეს... მე ვხედავ ყველას, რაც თვალით მოჩანს და იმასაც რაც არ მოსჩანს თვალთ. იცი თუ არა შენ, ჯარისკაცი, რომ ის, რაც თვალთ მოსჩანს, იმასთან შედარებით, რაც დაფარულია მხედველობისათვის, მხოლოდ ერთი პაწაწინტელა წერტილია და მეტი არაფერი?.. დგახარ შენ ძახლდ, გიჭირავს ხელში ვინტოვკა და გგონია წამართვი ზეცა, მაგრამ ცდები, შენ ის არც გქონია და ვერ წამართმევ. აი, ამ წუთას მე ვწევარ აქ და გონებებს თვალთ ვხედავ მზეს, რომელიც ორასათასჯერ მეტია ჩვენს მზეზე. დანახავ თუ არა შენ იმას ოდესმე?"

ცხადია, რომ ეს „მზე“, რომელსაც ხედავს და ეტრფის ხალხთა ინტერესების დაცვისათვის შეპყრობილი იაშვილი არის „მზე“ თავისუფლებისა. მას სწამს, რომ „დადგება დრო, როცა აღამიანი თავის ნაშრომს დაუბატრონება, როცა მისი ლუკმა სხვის პირში არ ჩავარდება“. სწორედ ამ რწმენისათვის გაწირა იგი „ძველმა ქვეყანამ“, საბტიკად დასაჯა იმისათვის, რომ იგი ხედავს, ეტრფის მას და იბრძვის ამ „თავისუფლებს მზის“ მოსაპოვებლად. „იმიტომ ააშენეს სატუსაღოები, გამოიგონეს თოფები, დაგუმეს აღამიანები და ერთი მათგანი ვინტოვკით ხელში დამიყენეს მეც, რადგან მეც მწამს, რომ დადგება „ბედნიერი“ დრო და საჭირო არის ეს დრო მოვადღეს“.

მართალია, ამ რწმენას, ხანდახან ღრუბელივით გადაურბენს ეჭვისა და შიშის გრძობა; მართალია, ზოგჯერ ილიაკო იაშვილს ყოველივე „აშაობათა აშაობად“ ეჩვენება და იგიც ორჭოფულად გაყურებს აღამიანის სწრაფვას პროგრესისა და განათლებისაკენ, ეცობრიობის ბრძოლას თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის; მართალია, იგი ხანდახან უმწეოა და საცოდავს უწოდებს აღამიანს, რადგან აღამიანიც და მთელი სამყაროც სტიქიის უბრალო სათამაშოდ შიანია — „როცა მეცნიერი მეცნიერულად ამტკიცებს, ორჯერ ორი ოთხია, როცა ჩვენ ამ ქეშმარიტებას ვავრცელებთ და იმის გარშემო ვკრებთ მასას, ვამწკრივებთ საბრძოლველად, როცა ჩვენის აზრით, „დიდ საქმეს“ ვაკეთებთ, ამ დროს საკმარისია ერთი რომელიმე პლანეტა შემთხვევით დაეტაკოს ჩვენს დედამიწას და ნაცარტუტად აქციოს ის“ — მაგრამ ასეთი დემორალიზებელი ეჭვი მხოლოდ წამიერი, სწრაფ წარმავალი ვრძობაა და იაშვილი მცირე „დებარესიული პაუზის შემდეგ კვლავ მებრძოლი სულისკვეთების

მატარებლად გვევლინება. იგი მზადაა საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვას საყვარელი „კესანე“ — ეს კრებადი, ალევორიული საზნე სპეტაკი სიყვარულისა, მოქალაქეობრივი გრძნობისა, თავისუფლებისა.

იხანმოკლე დაეჭვების შემდეგ ილიკო იამვილი მშინძარა, ზღუქუნა ალაშინის მაგიერ იმ თავდადებულ მოქალაქედ იქცევა, რომელიც მტრისათვის სამაგიეროს გადახდაზე ოცნებობს და სოციალიზმისათვის მებრძოლთა რეგებში ყოფნას ნატრობს: „კესანე, ამიტორეს შავრანშელუბმა, პოგრომჩიყებმა, ხულფგნებმა — წყევლა და კრულვა მათ. და სანამ ისინი ატირებენ კესანეს, არა, არ მინდა მე სიკვდილი, ამხანაგო მამო, მე მინდა თავი შევავლა იმათ, ვინც ისე მიწუხებთ ჩემს კესანეს, თუ მოვევლი, რით გადავუხადო კესანეს მტრებს? მე სოციალისტი ვარ და მწამს, რომ სოციალიზმი დამყარდება. იმისათვის იბრძვიან და იბრძოდით თქვენ, ამხანაგებო, მე კი არ უნდა ვიდგე თქვენს გვერდში? მე კი არ უნდა ვიზიარო თქვეთი სიმძიმე, თქვენი ჭვარი? რად მტყივა თავი, რად ვარ ავად?.. და მესამის მე ერთი კამეროდან მარსელიოზას ღიღინი. იმღერე, იმღერე, მეგობარო, ეს სიმღერა, იმღერე, იმღერე. ძმაო!“.

ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც შიშის გრძნობას ოპტიმისტური რევოლუციური საწყისი სძლევს და თუმცა ილიკო იღუპება, მაგრამ იღუპება, როგორც რევოლუციის ერთგული ჭარისკაცი და შეგნებული მებრძოლი.

ქ. ლომთათიძის მიერ, მისი შემოქმედების მეორე, ე. წ. „საპრობილის“ პერიოდში, არსებითად, ერთი და იგივე თემის — რევოლუციურ და კონტრრევოლუციურ ძალთა ჭიდილის ჩვენება 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს — ნაირსახა მხატვრული ხერხებით გადაწყვეტის წყალობით არ იწვევს ერთფეროვნების შთაბეჭდილებას. მასალისადმი მწერლის სხვადასხვანაირი მიდგომისა და ქოლას, ამ ჭეშმარიტი და მგრძნობიერი მხატვრის თანდაყოლილი ტაქტის გამო — არ აღიქვება მომბეზრებლად, არ გვეჩვენება უგემურ განმეორებად.

მძალობრივი სიოხვის, მდიდარი ფანტაზიის, კარგი ნიუანსირების, ღრმა ფსიქოლოგიური წვდომის და დახვეწილი ოსტატობის წყალობით, მის მიერ მოთხრობილი მსგავსი ამბები ყოველ კონკრეტ-

ტულ შემთხვევაში ახალი კუთხით წარმოგვიდგებიან და ახალ შინაგან გაშუქებას იღებენ.

რევოლუციის პათოსი, უსამართლო სისტემასთან ბრძოლის ეინი და პროლეტარიატის საქმისათვის თავშეწირვის იდეა ის თემატური საძირკველია, რომელზედაც აგებულია სიუჟეტურად მრავალძარღვიანი, მრავალპრობლემიანი და არა მარტო იდეურ-თემატურად, არამედ მხატვრულ-კომპოზიციურადაც რთული ნაწარმოები „თეორი ღამე“.

ამ შოთრობაში ერთმანეთს ენასკვება ის სამი მთავარი თემატური სიმი, რომელიც ჟოლას მეორე პერიოდის შემოქმედებას გარკვეულსა და განსხვავებულ ელერას აძლევდა: საპრობილემო საშინელებანი; ქალის, სიყვარულის და ახალი ოჯახის საკითხი; უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის რევოლუციური თავგანწირვის იდეა.

„თეორი ღამეში“, როგორც რთული ფსიქოლოგიური ხასიათის ნაწარმოებში კვლავ მრავალი ავტობიოგრაფიული დეტალია ჩართული. ამიტომ ეს თხზულება მეტად მეტყველი საბუთია ავტორის იდეურობის და იმჟამინდელი განწყობილების შესასწავლად. „თეორი ღამეში“ ჟოლა ზოგიერთ სხვა პრობლემასაც ეხება (მაგალითად, ეროვნული ლიტერატურის და ფოლკლორის საკითხები) პრობლემატიკის ასეთი სიუჟეტი მეტად რთულ ნაწარმოებად აქცევს ამ საინტერესო თხზულებას.

მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ანგარიშში, ერთგვარი შინაგანი ჭიდილის მიუხედავად ამ ნაწარმოებში ზეიმობს რწმენა გამარჯვებისა, ისევე, როგორც დიდი მოქალაქეობრივი, შეგნება და მტკიცე სურვილი სახალხო საქმისადმი ერთგული სამსახურისა — „თეორი ღამისათვის“ ფრიად დამახასიათებელია ექვოს, სევდის, სინანულის და დაბნეულობის გარდამავალი ტენდენციები, რომლებიც ჟოლას ამ პერიოდის ზოგიერთ სხვა ნაწარმოებებშიც გამოსკვივის და, რომელნიც მეტ-ნაკლებად საზოგადოდ ნიშნულია ამ ეპოქის თითქმის ყველა შემოქმედისათვის...

„მარტო ვარ, სულ მარტო და მეწვია ჩემი სევდა, ჩემი მეგობარი. გული დამიმძიმდა“ — ჩივის ლირიკული გმირი; ჩივის იმიტომ, რომ რევოლუცია დამარცხდა, რომ რეაქციამ ოთხ კედელშია გამოამწყვდია — „ოჰ, ეს ტალახიანი, ეს გამჟვარტლული, ეს ბინძური სინა-

თლე ჩემი ჰერაქლისა როგორ უნდა მოისვენოს სულმა ჩემმა ამ ოთხ კედელშია! ოთხმა წელმა გატარებულმა ამ ოთხ კედელს შუა წარმოშვა — სევდა! აღრჩევა სულისა! სევდა! და მარტოობა! მარტოობა!..

ხანდახან მიხვას (ასე ჰქვია მთხრობელს, „თეთრი ღამის“ მთავარ მოქმედ პიროს) ჰგონია, რომ მისთვის ყოველივე გათავებულა და თავის თავს მხოლოდ ცხედარს უწოდებს. მიხვას განცდილ-ნაფიქრალში ხშირად გვხვდება სევდით ამეტყველებული ასეთი სტრიქონები: „ფეხის ფრჩხილებამდე ვგრძნობ მარტოობასა და მიუღებარობას, ცივს, მძიმე ობლობას სულისას. მარტო ვარ, მარტო!..“ ხანდახან კი (უმრავლეს შემთხვევაში) მიხვას სწამს თავისი მომავალი და იმედი არ დაუკარგავს მყოობადისა.

მაგრამ თეთრ ღამეებს, ღამეებს უსაზოობისა, ტანჯვისა, მარტოობისა, შემზარავი ფიქრისა, — ხშირად მანაც თავისი გააქვს და მიხვას გონებაში მყოობაზე ფიქრი, მომავლის იმედი სულ უფრო და უფრო ეხლართება საშინელი თეთრი ღამეებით მოტანილ ტანჯვას; თეთრი ღამით წამება სულ უფრო მეტად და უფრო ხშირად ენაცვლება მომავლის მაცოცხლებელ რწმენას.

„ჩრდილოეთში გინაგზატურია? — მაშ თეთრი ღამეებიც, აღმათ, იცი. სატუსალოში იგავე თეთრი ღამეებია, გაუთავებელი, მომბაზნებელი, წყეული, დღე — დღე როდია, თეთრი ღამეა. ღამე — ღამეა. ტალახიანი ჰერაქის ფერით მოღუნებული, უძილო — თეთრი ღამე. არც დღე, არც ღამე სატუსალოში არ არის, აქ თეთრი ღამეა... ჩინეთში, თურმე თეთრი ფერი სიმბოლოა სიკვდილისა, სიმბოლოა გლოვისა და ცრემლის ღვრის. მეც თეთრ ღამეში ვარ გაზვეული, თეთრი ღამე არ მიშვებს თავის კლანჭებიდან... არ მიშვებს“...

ასეთ პირობებში მიხვას გრძნობათა და სურვილთა წინააღმდეგობრიობა სრულიადაც არ არის გასაკვირი. ასეთ ჯოჯობეთურ პირობებში სხვა მყოფთაგან გაცილებით უფრო მეტი იქნებოდა მოსალოდნელი. ტყუილად კი არ ამბობს მიხვა — „სატუსალო იმით არის მძიმე, სატუსალო იმიტომ არის წყეული, რომ უმდაბლესი და დამამცირებელი გრძნობა და გულისტქმა — იქ უწმინდესი და უსპეტაკესი მგონია, ხანდახან.“

თავისი პერსონაჟის პირით ვ. ლომთათიძემ გადმოგვცა „თეთრი ღამეების“ მიზანი, დუდაზარი და სპეციფიკა. „ეს სტრიქონები პოე-

მა როდია. მხატვრული ნაწარმოები როდია. ეს სტრიქონები უბრა-
ლო წერილებია გამწარებული ადამიანისა, რომელიც ვერ მოთავსე-
ბულა სატუსალოს ოთხ კედელში, რომელიც ვერ შესწევდნია ტყვეო-
ბას, რომელიც მთელი მისი არსებით ილტვის იმათკენ, ვისაც ის
უყვარს... ეს სტრიქონები მხატვრული ნაწარმოები როდია, ეს ნა-
წერია აჩქარებული ხელით, ჩხრეკისა და სხვა ასეთების მოლოდინ-
ში, რათა უცებ შესაძლებელი იყოს მათი მოსაშობა — იმიტომ, რომ
მე არ მსურს წაიკითხოს ეს იმან, ვისაც არ ვუყვარვარ... თან არ ვი-
ცი კი, ვის ვაუფგზავნო ეს რვეული. რვეული, ნაწერს თეთრ ღამეებ-
ში, მწვავე წუთებში, როცა განსაკუთრებით ეგრძნობდი ხოლმე
ტყვეობასა და დამცირებას... თეთრი ღამე! რამდენი წელია ვიპყო-
ფები თეთრ ღამეში. და არა ჩვეულებრივი მზე, არა ჩვეულებრივი
მთვარე მინათებს მე სიბნელეს, არამედ ერთი გაუთავებელი, უძი-
ლო და უძრავი თეთრი ღამე. ჩემი მზე მკვდრის მზეა".

ეს სიტყვები აღსარებასავეთ, საკუთარი სისხლით დაწერილ აღ-
სარებასავეთ უღერს. გარდა ამისა, ის შეიძლება კოლას მთელ შემოქ-
მედებას მიუყუენოთ. ჰ. ლომთათიძის მთელი შემოქმედებაც ხომ ასე-
თი უკიდგანო და უღმერთო ტანჯვა-წამების გამოანაუურია.

მაგრამ თეთრი ღამეებით გატანჯულ მებრძოლს მარტო ცრემლე-
ბი როდი სდის თვალთაგან, მარტო სევდით როდი ეკუმშება გული.
მის მკერდში ბოზობრობს შურისძიების მძლე ტალღა, მის არსებამში
დასადგურებულა ბრძოლისა და შერკინების დაუძლეველი სურ-
ვილი. ამ მებრძოლის შეგნებაში როდი ჩამქრალა სასოებისა და იმე-
დის ნაპერწკალი, თეთრმა ღამემ ვერ ჩაუქრო ნათელი იდეალები,
ვერ დაუცხრო ბრძოლისა და გამარჯვების წყურვილი. იგი კვლავ
აღმართულა მტრის წინაშე, როგორც შურისმაძიებელი: „თავში
იბადება კითხვა: რას იზამ, როგორ მოიტყევი, რომ „ისინი“ (ე. ი.
მტარვალები, ექსპლოატატორები, მეციხოვნენი — გ. ც.) ხელში
ჩაგივარდნენ? კითხვა ჯიუტობდა და არ მშვიდდებოდა... რას იზამ
მაშინ? ნაბიჯი ამიჩქარდა, ხელი იკუმშებოდა და უცნობი, შურის-
ძიებით გაუღენთილი გულისწყრომა გულში ძლიერდებოდა, რას ვი-
ზამ?.. არაფერს. მხოლოდ ერთი იოტის ოდენად არ შევამსუბუქებდი
იმ კანონებსა და ცირკულარებს, რომლებიც მათ ტუსადების საწა-
მებლად და დასამცირებლად შეუმუშავებიათ“.

თეთრმა ღამეებმა ვერ გაანელეს ვერც სიძულვილი უსამართლო

წყობილებისადმი და ვერც შერისძიების გრძნობა ექსპლოატატორებისადმი. „იცი თუ არა, რად მძულს ასე ღრმად, რად ვებრძვი არსებულ წესრიგს, არსებულ საზოგადოებას? არსებული საზოგადოება, მისი წესრიგი ჰბადებს და წერთნის ქურდს... ქურდი! ქურდი! რა საშინელი, რა დამამცირებელი სახელია ეს სახელი! ქურდობა. — ეს ადამიანის საზიზღარი ჩირქია, ეს სიკვდილის ჭანაჩენია იმ საზოგადოების, რომელიც ქურდს ჰბადებს... და მე მძაგს ეს საზოგადოება, მე ვებრძვი მას და ბოლომდე შევებრძოლები — დიახ, ვიბრძოლებ ქურდებს შემქმნელ საზოგადოებასთან, იმიტომ, რომ მე ადამიანი მიყვარს“.

რა შეუღრეკლობა, რა სიამაყე, ადამიანური კეთილშობილება მოჩანს ამ სიტყვებში, რომლებშიც ასე კარგად მელაუნდება ავტორის მთელი ბუნება — მისი ქედმოუხრელი, ძველი სამყაროსადმი სიძულვილით გაელენთილი სული. მაგრამ, ისევე, როგორც ჭეირანს, მინასაც, ამ საერთო უღრეკლობასთან ერთად, ხანდახან დაეჭვება და შიში დაეუფლება ხოლმე. ავტორი არ მალავს მათს ამ სისუსტეს. პირიქით, ამახვილებს ყურადღებას მასზე და თითქოს ცდილობს უფრო დამაჩერებლად გადმოგვეცეს მისი გმირის გულში წარმოებულ იეს ქიდილი შიშსა და გამბედაობას შორის.

„მე რომ მოვეკვდები, რომ ყველანი მომაკვდავნი ვართ, ეს მე ყოველთვის ვიცოდი და ეხლაც ვიცი. მაგრამ წუხელის, რაღაც განსაკუთრებულად ვგრძნობდი ამას. წუხელის ყოველივე სხვაზე ბატონობდა ის შეგნება, რომ სიკვდილის წინაშე ყოველივემ ქედი უნდა მოიხაროს... ამიტომ მე მსურდა მომკვდარიყავი, მსურდა, რომ სიკვდილი ჩქარა მოსულიყო, რომ ვისმეს მოვეკალი... ცოტათი ადრე კი, სანამ ეს წუთები განვიცადე, საშინელმა შიშმა შემიპყრო, შექმნილი სიკვდილისა და დასაკლავი საქონელივით ვკანკალებდი იმ თიქრზე, რომ უცებ გაიღება კარები, შემოვლენ ჩემთან და მომკლავენ. და ეს ველური, პირუტყვილი შიში სიკვდილისა, შემდეგ იქცა სიკვდილის სურვილად“...

მაგრამ შინაგანი დეპრესია დიდხანს არ გაგრძელებულა; გათენდა დღე და სულიერი ტანჯვა-წამებაც ღამის ბინდბუნდივით გაჰქრა: „გუშინ მე სიკვდილი მინდოდა, მაგრამ... ეხლა — არ მჭერა, განა ცოცხალს ოდესმე მოსწყურდება სიკვდილი და არ ყოფნა?“ და აი, მიხასაც სულ სხვა განწყობა იპყრობს: „სიცოცხლის წყურვილი სწყუ-

რია ჩემს სულს, სიცოცხლით სავსეა ჩემი გული“. სიცოცხლის ამ სურვილს ასულდგმულებს ორი უმთავრესი გრძნობა: სიძულვილი მჩაგვრელთადმი და სიყვარული, მარადიული სიყვარული ჩაგრულთადმი. ამ ორი გრძნობის მიხედვით აფასებს მიხა სინამდვილეს, კაპიტალისტურ საზოგადოებაში გაშვებულ სოციალურ უსამართლობას, კლასობრივ ჩაგვრას, მორალურ მარაზმს. „შევცქერე ყველა ამას და მაგონლებიან ზოგიერთი ბრწყინები, რომლებიც მშვიდობიანნი საშუალებით ფიქრობენ მოსპონ დიდი დავა სიმდიდრე-სიღარიბეს შორის. მართლა ეგრე ფიქრობთ ყმაწვილებო? აი ესენი დათმობენ რამეს ნებაყოფლობით? თუ მაგარი მუჭლუგუნნი არ უთავაზებიათ, მიხედვებიან განა ისინი, რომ ცხოვრების სუფრაზე სხვათაც უნდა ალაგი? დიდება შენ სახელს ღმერთო, რომ ასეთ ჭკუათხელ ხალხს აჩენ ქვეყნად — მშვიდობიანი გზით უნდათ მოსპონ ომი შრომასა და შრომის პარაზიტებს შორის... უნდა ეპატიოს თუ არა ღმერთი ფიქრი ამ ხეპრე ხალხს? არა, არ უნდა ეპატიოს!.. არის დრო, არის ისეთი წამი ისტორიაში, როცა სისულელე დიდი დანაშაულია, მაშინ სისულელე არ ეპატიება არავის და ეს წამი დვას ეხლაც. მაშ ძიხს ყველა სულელი — კეთილია იგი თუ ბოროტი“.

მიხას ჩამოყალიბებული კლასობრივი თვითშეგნება, მისი სამოქმედო პროგრამა და სოციალური იდეალები თვალნათლივ მოჩანს იმ მგზნებარე სიტყვებში, რომლითაც იგი თავის იდეურ თანამშრომლებს, თანამებრძოლსა და საყვარელ ქალს — მანუშაკს მიმართავს.

„ჯულში ცეცხლი იწთება, შეხე, მე ბრძოლის ველზე ვღგვევარ, იცი თუ არა, რამდენი საქმე გვიღვეს წინ? რამდენი მუხა უნდა წავაქციოთ, რამდენჯერ უნდა იქექოს მუხმა იცი თუ არა შენ, რომ შეჯარისკაცი ვარ და დიდი ღმებოს მონაწილე? უპ, რა ძლიერებია ისინი, ჩვენი მტრები. ძლიერნი არიან ისინი, მაგრამ ჩვენ დავაშარცხებთ. მდიდარნი არიან, — ვერ უშველის იმათ სიმდიდრე მათი ჭკუიანნი არიან და ბრძენნი ისინი, მაგრამ ვერც ჭკუა, ვერც სიბრძნე მათი ვერ იხსნის მათ. ისინი უნდა მოკვდნენ და ვერავეითარი ძალა ვერ იხსნის მათ. მათ ხელში აქვთ ძალა და უფლება, მათ ხელში აქვთ ბრძოლის იარაღები, მოსყიდულ მეცნიერთა რაზმები, მორალისტები და მქადაგებლები, არტისტები და მომღერლები, მწერლები და ტექნიკის განმავითარებელნი. ყველაფერი ეს მათ ეხმარება, მათ იციან ბოროტების ქედვა, მათი თითქოს სათუთი და სუფთა

ხელით უკმეხი და უსულო სატუსალოები შენდება, მაგრამ მაინც მათი აღსასრული ახლოა. ისინი მოკვდებიან და ისე მოკვდებიან, რომ ქირისუფლები, დამტირებლებიც კი არ დარჩებათ ამ ქვეყნად, ისინი კვდებიან უმემკვიდრეოდ. აი, ამიტომ არის, რომ წინდაწინ ბადებენ ისეთებს, რომლებიც დღესვე დასტირიან მათ მომავალ სიკვდილს; მდიდართა კლასის გაქრობას... წინდაწინ დასტირიან თავის მომავალა და ამ გლოვას ჩვენ ვისმენტ პენიშისტების ნაწერებსა და სიტყვებში. ამ მომავალი მათი სიკვდილის წინამორბედი ბოლოწყენი ხალხი — დეკადენტები, გულვატებილი ფილოსოფოსები და მოქეიფე ბიჭები. ღვინოსა და ბოზებში, გარყვნილებასა და ღალატში აბრაობენ ისინი თავის დარდას და მწუხარებას; აუცილებელი მომავლის გამო... მათ კუბოზე ხომ არავინ იტარებს, უმემკვიდრეოდ ისპობიან ისინი, მაგრამ ბრძოლა მათთან მძიმე და ძნელი ბრძოლაა. და ამიტომ ჩვენ ბევრი საქმეები გვაქვს, ბევრი საფიქრებელი, ბევრი საგან ბევრი ცხარე ბრძოლა მოგველის ჩვენ და მე აკი, გითხარი, ჭარისკაცი ვარ-მეთქი“.

თხრობის დროს ავტორი თავის გმირს, მიხას, თითქოს სხვადასხვა პოზიციასზე, დაკვირვების სხვადასხვა წერტილზე ამყოფებს. იგი ხან მიამიტი კაცის თვალთ და ხანაც მშიშარა ინტელიგენტის, ხან იდეური მებრძოლის და ხან ნახეერადშეშლილი ნევრასტენიკოსის თვალთ აღიქვამს ცხოვრებისეულ ფაქტებსა და მოვლენებს, ციხის სურათებსა და პირად ბიოგრაფიის დეტალებს. ეს კოლა ლომთათიძის ერთგვარი მხატვრული ხერხია.

აი, მაგალითად, რა სახით გვაწვდის იგი თავდადებული რევოლუციონერების საზრჩობელაზე ასვლის ეპიზოდს. ამ უშიშარმა ხალხმა იცის რწათვის კედება: მათ სწამთ, რომ ეს მსხვერპლი რევოლუციისათვის კეთილისამყოფელ შედეგს გამოიღებს და ამიტომ არა კრთიან, თავი არ ენანებათ. ისინი წყნარად, ვაეკაცურად, გულდაგულ ხედებიან სიკვდილს. მაგრამ ავტორი ერიდება ამ აზრს, ამ იდეური ტენდენციის გაშიშვლებას, მისი მყვირალა პლაკატური ფორმით გადმოცემას და მებრძოლთა კეთილშობილურ საქციელს ასეთა ღრმა ქვეტექსტის შემცველ მხატვრულ გადაწყვეტას აძლევს: „შუალამისას ჩვენ გაგვადვიდა ნაცნობმა კაცუნმა — საზრჩობელას აგებდნენ. იმათ, ვინც უნდა დაეხრაოთ, წინააღმდეგობა არ გაუწყვიდით, არავითარი ხმაურობა არ აუტეხიათ, რათა ჩვენ არ გაველვიძე-

ბინეთ, ჩვენი ტკბილი ძილი არ დაფრღვიათ. ყველაზე მეტად მე სწორედ ამან გამაოცა, ამ მათმა სურვილმა, რომ ჩვენ არ შევეწუხებინეთ. აღამიანს ახრჩობენ და ის კი, ჩემს ამხანაგებს არ გაეღვიძაო, უსიტყვოდ ემოჩჩილება ჯალათებსა“..

ასე უბრალოდ, თითქოს სხვათა შორის, გვიხატავს ავტორი აღბმინანებს, რომლებიც ასე მშვიდად, უღრტვინველად აღიან სახრჩობელაზე. მკითხველისათვის აღვილი მისახვედრია, რომ ასეთი საქციელი მათ შეაძლებინა მომავლის უნაპირო რწმენამ და სახალხო საქმისადმი თავდაღებამ.

განა ასევე არ მოიქცა ჭეირან ვარდოსანიძე, როცა მან მოატყუა ამხანაგები — ჩამოხრჩობა კატორღით შემიცვალესო, რათა დაემშვიდებინა ისინი და აეცილებინა მათთვის უნაყოფო პროტესტი, გამოსაჩლება მისდამი, რასაც პატიმრები აუცილებლად ჩაიდენდნენ და რასაც მათი დასჯის მეტი არაფერი მოჰყვებოდა.

მხატვრული ხერხებს გამოყენების თვალსაზრისით „თეთრი ღამე“ მეტად ორიგინალური ნაწარმოებია. აქ, პირველ ყოვლისა, თვალში გეცემა მისი მდიდარი ქვეტექსტი, სიმბოლური განზოგადება და ნართაული ნიუანსირება, როცა პატარა, ერთი შეხედვით, გარეშე შტრიხს მიღმა დიდი აზრი და მნიშვნელოვანი იდეა იმალება. ასეთი რთული ამოცანის მხატვრული რეალიზაცია მწერალს მხოლოდ მეტად დახვეწილი ოსტატობის შემთხვევაში ძალუძს.

ამ ნაწარმოებში ჭკალა გვევლინება უარესად წამახვილებული აღლოსა და მაღალი მგრძობელობის მწერლად, რომელიც აღამიანთა მართალი სახეებისა და მათი განცდის შთამბეჭდავად გადმოსაცემად ეძიებს არა იოლსა და ხმარებაში გაცვეთილ, ანდა ჭარბი პირდაპირობით გაუხეშებულ მხატვრულ ხერხებს, არამედ მეტად გამომეტყველ, ამასთან პლასტიკურ და ემოციონალურ გზებსა და საშუალებებს.

მაგალითისათვის ავიღოთ ამ ნაწარმოების იდეურად და მხატვრულად ერთი საინტერესო ფრაგმენტი: რევოლუციონერ მიხას, რომელსაც დროდადრო აღრეც გამოუმეტავენბია სევდისა და უიმედობის ნიშნები, ერთბაშად საშინელი სულიერი დეპრესია დაეფულება. უეცრად და მოულოდნელად მას ისეთივე ინტენსიური შიში მოიცავს, როგორც ჭეირან ვარდოსანიძეს, რომელსაც თავის უმწიკვლო და ქედუხრელ ცხოვრებაში ერთი ისეთი სამარცხვინო და საბედისწე-

რო წუთი მოევლინება, რომ ტახტის ქვეშ შეძრომასაც კი მოანატრებს, რათა სიკვდილს დაემალოს.

ანალოგიური მდგომარეობა იქმნება აქაც: როცა ციხის ეზოში მიხას ამხანაგებისა და თანამებრძოლების დასასჯელად სახრჩობელას აღმართავენ, მიხას გულში შიში დაიჩაღვურებს. „შემეშინდა იმის, რომ მე მომკლავენ... ხოლო ის შეგნება, რომ ჩემი დახრჩობის უფლება არავე არა აქვს, ეს შეგნება ოდნავადაც არ მამშვიდებდა“... მიხას აღარ მოსწონს ტუსადების გაუთავებელი ღრილი და ხმაური, რომელნიც სტვენითა და ყვირლით გამოთქვამენ პროტესტს მათი ამხანაგების დახრჩობის წინააღმდეგ. აღარ მოსწონს, იმიტომ, რომ ეშინია ამ ხმაურში პირადად მას არა ავნონ რა. რაღაცა დროით, თავდაცვის ინსტინქტმა გაიმარჯვა მიხას სიმტკიცესა და კეთილშობილებაზე. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წუთის წინ სწორედ მან დაიწყო საპროტესტო ხმაური, ახლა მიხა სულ სხვა გრძნობებმა შეიპყრო: „ნუ, ნუ ყვირით, თქვე ოხრებო, ნუ ყვირით, ნუ ღრიალებთ! ამ თქვენ ყვირილსა და ღრიალში მოვლენ და დახრჩობენ, ვერავინ ვერაფერსაც ვერ გაიგებს... ღმერთო, ნეტავი მალე გათენდეს ერთი! ეჭვგათავით ეს კაკუნი, დაახრჩევთ ბაკუმ, ვიცაც ახრჩობთ — ღმერთო, რით დაეიცვა თავი, რით?.. მეშინია, მეშინია, მეშინია“... ეს აფორიაქებული ფიქრთა დინება, ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები ჩინებულად გაღმოსკემენ მიხას სულიერ მდგომარეობას. იგი სიგიჟის ზღურბლზეა და ცოტა ხნის შემდეგ მისი აფორიაქება მართლაც სიგიჟემდე მიდის. მიხა იწყებს ისტერიულ ყვირილს, იხდის ტანსაცმელს, ტეხს მაგიდას, სკამს, საწოლს, უკიდებს მათ ცეცხლს და თვითონ კი ხარხარი აუტყდება. მას, როგორც შემშლილს, ციხის საავადმყოფოში მოათავსებენ.

ამრიგად, ადამიანი, რომელსაც უფლება ჰქონდა თავის თავზე ეთქვა, რომ მრავალზე მრავალი „მადალი და კეთილშობილი წუთი გამომიცდია, როცა ყველაფერი რაც კი ღვთიურია ადამიანში, ფეხზე ამღვარა ჩემში, როცა ერთი სიცოცხლე არ მყოფიდა და ათასი მინდოდა მქონიყო, რომ ერთი სამსხვერპლს წინაშე დამედო, ერთი ღვთისათვის შემეწირაო... და არც ერთი ეს, ამ საშინელ დამეს მცარ მომგონებია“. აი, ეს ადამიანი ორიოდ წუთს განმავლობაში მთლიანად იცვლება, კარგავს თავდაჭერის უნარს და შეშინებული პირუტყვის მდგომარეობამდე დადის. ნახევრადშეშლილი იგი ხატ-

რობს — ნეტავი მალე ჩამოახრჩონ ჩემი ამხანაგებო, რათა ამით ეგება მე გადავრჩეო. მას სრულიად გადავიწყებდა თავისი გმირული წარსული და უწინდებური სიმამაცე. ტყუილად როდი ამბობს იგი, დამშვიდების შემდეგ: „არც ერთი მათგანი იმ საშინელ ღამეს არ მომგონებიაო“. ეს წუთი თავისებური კულმინაცია იყო, რომლის შემდეგ დაიწყო გარდაქმნა და მიხაც დროებით სულ სხვა თვისობრიობაში წარმოგვიდგა.

გონებაზე იგი მხოლოდ მეორე დილით მოდის, როცა კოშმარულ ღამეს მზის სხივები გააფანტავს. ცხოველური სიხარული დაეუფლება მაშინ მიხას: „...მე შემოპყრო გიჟურმა სიხარულმა — ცოცხალი ვარ, ცოცხალი ვარ! სიცოცხლე მინდა და სხვა არაფერი!.. სიცოცხლეს ხომ მხოლოდ ერთხელ გამოცდის ადამიანი, მხოლოდ ერთხელ! ნუ მართმევთ ამ სიცოცხლეს, ის ისეთი მშვენიერებაა! ყველაფერი ფეხებზე მკიდია, მხოლოდ სიცოცხლე დამანებეთ. დამანებეთ ვაჟუნებო და ქვეყნიერებას ვუცქირო“...

ავტორი დაუნდობლად აშიშვლებს ადამიანს, რომლისთვისაც გონება გადარჩენის ცხოველურ ინსტინქტს დაუნიღავს და პირუტყვის დონემდე დაუქვეითებია. ესაა შედეგი სიცოცხლის ეგოისტური სიყვარულისა, ესაა ინდივიდუალისტური ბუნების გაშიშვლება, მხალეობა და სამარცხვინო ბოძზე გაკვრა მათი, ვისაც „ყველაფერი ფეხებზე მკიდია, ოღონდ სიცოცხლე დაანებონ“. ქოლას ეზიზღება ასეთი ქვეწარმავალნი და მან მხატვრულად გაკიცხა ეს სამარცხვინო ინსტინქტები, რათა დაეგმო და დაედაღა ისინი.

კოშმარულ ღამეს, მიხაში აღმოცენებული ამ სამარცხვინო გრძნობის დაუნდობელი მხილებით, მისი თამამი გამოჩნეულებით ავტორი აშიშვლებს არა მარტო მიხას, არამედ გვიხატავს მათს მართალ პორტრეტებს, ვისაც ასეთი ერთი ღამე კი არ გაუტარებია, არამედ დღენიდაც, მუდამ ამ ყოფაში არიან და საკუთარი სიცოცხლის დაკარგვის შიშით, ყოველივეს კადრულობენ, ყველა სისაძაგლესო და სიმდაბლესე მიდიან.

მართალია, მიხამ შესძლო ჩაეხშო ეს სამარცხვინო შეტოვება გულისა და კვლავ აღმდგარიყო, როგორც მოქალაქე და მებრძოლი. რომელსაც სიცოცხლე სურს არა პირადი ტკობობისათვის, არამედ იგი დიადი მიზნის მიღწევის საშუალებად, მის ხელშემწყობად მიაჩნია; მართალია, მიხა თავის თავს კვლავ რევოლუციის ჯარისკაცს უწ-

ოდებს და ისევე მზადაა თავი გასწიროს ამ დიადი მიზნისათვის, მაგრამ ვინ იცის, დიდხანს გასტანს მიხას ასეთი განწყობილება? ჩვენ აღარა ვართ წინანდებურად დარწმუნებული მის სიმტკიცესა და სიმედგრეში. ვინ იცის, ეგებ მიხა კვლავ სისუსტემ და შიშმა დაჯახნოს? ეგებ მან კიდევ იცვალოს ფერი და კვლავ დაძაბუნდეს?

მაგრამ რისთვის დასჭირდა ავტორს ამ საშინელი სურათის დახატვა? — იმისათვის, რათა უდიდესი განზოგადების სიმაღლეზე აეტანა ეს პატარა ეპიზოდი და მის მაგალითზე, ამ კონკრეტული ფსიქოლოგიური დეტალის მაგალითზე ეთქვა ღრმა და ღროული, საჭირო და სასარგებლო აზრი: ასეთმა ცხოველურმა ინსტინქტებმა, თვითგადაარჩენისა, ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმის ასეთმა ტალღამ, ასეთმა გადაჭარბებულმა სიყვარულმა საკუთარი სიცოცხლისა და პირადი კეთილდღეობისადმი მოიცვა რეაქციის წლებში საზოგადოების გარკვეული ნაწილი და რომ დეკადანაი, ესაა გამოხატულება ეგოისტური შიშისა საკუთარი სიცოცხლის დაკარგვის წინაშე, პირადი ბედნიერების დაკარგვის წინაშე.

ამგვარი დასკვნა კოლას შესანიშნავ თვისებებზე შეტყვევლებს. კოლა აქ (ისევე, როგორც მრავალჯერ მანამდეც) მთელი თავისი ხმითა და გულთა კიცხავს ზნობრივი დაცემის საშინელ ფაქტს, „საშინელ ღროს“, გიჟურ „ღაწვს“ საზოგადოებისას. ისევე, როგორც საკუთარი სიცოცხლის გახანგრძლივების სურვილმა (როცა „ყველაფერი ფეხებზე გვიდია, გარდა შენი თავისა და საკუთარი სიცოცხლისა“) — წაბილწა და ცხოველად აქცია მიხა, მსგებვე სამარცხვინო მდგომარეობაში ჩააგდო ამ მაგნე გრძნობამ მთელი საზოგადოება, რომლის დეკადენტური განწყობილებანი და გატაცებანი სხვა არაფერია, თუ არა ცხოველური ტრფობა სიცოცხლით. „ეჰ, ეხლა კი მესმის მე ის ვაქხანალია, ის გარყენილი ქეიფი, რომელმაც მოიცვა საზოგადოება რეაქციის შავ დღეებში...და მე მრცხვენია“ — გულდაწყვეტით ამბობს კოლა ლომთათიძე.

სწორედ ამ მომენტს უკავშირდება მიხას „დაცემის“ ეპიზოდი და მთელი ნაწარმოების დედააზრი. ავტორი გვეუბნება, რომ საზიანოა, მავნეა, სამარცხვინოა ის, რამაც მიხა ცხოველად აქცია: საკუთარი სიცოცხლის გარდამეტებული, ეგოისტური სიყვარული. აი, რა არის კოლას მოწოდება, მისი ლაღადისი.

ქოლამ დიდი მხატვრული ოსტატობით, შესანიშნავი ფილოსოფიური სიღრმით მოგვცა საზოგადოების ისტორიის სურათი ერთ საპასუხისმგებლო ეტაპზე. მან ეს ისტორია ნათელყო არა პუბლიცისტურ-თეორიული მჯგელობით, არამედ პატარა ფსიქოლოგიური დეტალის მეშვეობით, მართალი მხატვრული ხასიათისა და ცხოვრებისეული სიტუაციების შექმნით. ამაშია ნაწარმოებში დიდი ღირსება.

ქოლამ გვიჩვენა ჭიდილი ადამიანურ სისუსტესა და თაყვანისმცემლობაზე, იდეურად ნაწილობით რევოლუციონერის მოვალეობის გრძობას შორის. გვიჩვენა როგორც მხატვარმა, როგორც თანამედროვემ. როგორც რეალურ სინამდვილეზე დამკვიდრებულმა მწერალმა და რევოლუციის უამთადმწერელმა; ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია, რადგან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზოგიერთ კრიტიკოსს ქოლას ვმირთა განწყობილება და ნაზრევი თვით ქოლაზე გადაჰქონდა. „თეთრ ღამეშიც“, ამ ნაწარმოებში ერთგვარი ავტობიოგრაფიულობის მიუხედავად, ქოლა კი არ განიცდის სულიერ სისუსტეს, არამედ გვიხატავს იმ დროისათვის ტიპურ მოვლენას, ტიპურივე ხასიათის შემწეობით.

ავტორი ობიექტივისტურად კი არ ხატავს სურათს, არამედ შემფასებლურ დამოკიდებულებას იჩენს მისადმი. თუ მიხა, სისუსტის მომენტში, ფიქრობდა აუცილებელ სიკვდილზე, თავის სიმართლეზე, თუ იმ საშინელ ღამეს იგი „იყო სულით ობოლი და უბედური“. თუ მას ენანებოდა თავი და შექნატროდა სხვათა ბედს, სამაგიეროდ ცოტა ხნის შემდეგ, როცა დროებით დაკარგული სულიერი მხნეობა და წონასწორობა კვლავ დაუბრუნდა, როცა კვლავ აღდგა განსჯისა და ორიენტირების უნარი, ესოდენ დაჩლუნგებული სულიერი დებრესიით — მაშინ კვლავ გასწორდა წელში მებრძოლი რევოლუციონერი და შერცხვა წუთიერი საქციელისა. შერცხვა თავისი სიმხდალისა, რომელმაც კინალამ ხაზი გადაუსვა უშიშარი რევოლუციონერის სისხლის ფასად მოპოვებულ სახელს.

თავის სისუსტესა და წამიერ გრძობებზე გამარჯვებული მიხა, კაცი, „რომელმაც ეს სტრიქონები დაწერა და რომელმაც საშინელი ღამე გაატარა“ — ჰკიცხავს თეთრი ღამის კომმარით მონაბერ აზრებსა და სულიერ სიძაბუნეს: „სიწამხდრე და სისაძაგლეა ასეთი ფიქრი — წარმოთქვა მან — და გადააფურთხა... გადააფურთხა ყველა იმათ, ვინც ამ ღამეს თბილსა და მსუბუქ საბნებში ნებივრობდნენ...“

ავტორი თითქოს ბოდიშსაც კი ზღის მიხას: „ეს სტრიქონები დაწერა იმ კაცმა, რომელსაც ეხლა რცხვენია, საშინლად რცხვენია გუშინდელი ღამის, რომელსაც რცხვენია და კიდევ ეშინია, საშინლად ეშინია — ეს ღამე არ განმეორდეს“.

ნაწარმოების დასასრულს, ფენიქებერ აღმდგარი მიხა, ისევე, როგორც ჭეიან ვარდოსანიძე, სძლევს სიკვდილის შიშს, სძლევს ინდივიდუალიზმის და ეგოიზმის ხანმოკლე გამოვლინებას და კვლავ გვევლინება იმ უშიშარ რაინდად, რომელიც შეგნებულად სწირავს თავს ხალხის კეთილდღეობის საქმეს.

ქოლა ლომთათიძე იულიუს ფუჩიკის, მუსა ჯალილის და სხვა სახელოვან პატრიოტთა წინამორბედია. იგიც, ცხრაკლიტულში მჯდომარე და სიკვდილის ბრკყალებში გამომწყვდეული, წერდა საკუთარი გულის სისხლით. წერდა გმირობისა და შემართებისკენ მიმწოდებელ, თავისუფლებისა და რევოლუციური ქარიშხლებით შთაგონებულ პოემას. „სწორედ იმიტომ, რომ ერთხელ ვცოცხლობთ ამ ქვეყნად, ღორობას უნდა ვერიდოთ... ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მოხვიდე ამ ქვეყნად და წაიღო თან ღორის სახელი, ფუ!..“ როგორ მოგვაგონებს ეს შესანიშნავი სიტყვები, მეორე ისეთივე გმირისა და წამებულის, ნიკოლოზ ოსტროვსკის, კეთილშობილურ მოწოდებას.

ამრიგად, ისევე როგორც საპურობილის პერიოდის სხვა ნაწარმოებში, „თეთრ ღამეშიც“ საბოლოოდ იმარჯვებს რევოლუციისათვის თავდადებული მებრძოლი. სიმტკიცე ან უყოყმანო, ანდა სისუსტესთან ჭიდილში გამარჯვებული — არის ქოლას თხზულებათა ძირითადი ლეიტმოტივი. აქაც სწორედ იგი გვევლინება ნაწარმოების საბოლოო აკორდად. ამ უმნიშვნელოვანესი მომენტის გათვალისწინება უნდა გახდეს ამოსავალი ქოლას საზოგადოებრივი, პოლიტიკური და მოქალაქეობრივი პროფილის დასადგენად.

როგორც აღვნიშნეთ, ამ ნაწარმოებში ჩართულია არაერთი ავტობიოგრაფიული დეტალი. ასეთია, მაგალითად, ეპიზოდი ლიტერატურული მოღვაწეობის დაწყებისა და პირველი ჰონორარის მიღებისა; კრიტიკული წერილის დაწერისა, სიყვარულის თემით გატაცებული ახალგაზრდა პოეტის შესახებ (ეს პოეტი ი. გრიშაშვილი იყო და ქოლამ, ცოტა არ იყოს, ცალმხრივად და მკაცრად შეაფასა მისი ლიტერატურული დებიუტი); არალეგალურ მდგომარეობაზე

გადასული რევოლუციონერის ყოფა-ცხოვრებისა და კონსპირაციის ამბები; პეტერბურგის აღწერა და ნევის პროსპექტზე ლოთ კაცთან შეხვედრის ეპიზოდი; ერმიტაჟისა და რუსული მუზეუმის დათვალიერება და იქ ვერეშჩაჟინის სურათებით მიღებული შთაბეჭდილებების აღწერა; ანონიმური წერილების მიღება, რომელშიც ნაწარმოების ერთ-ერთ პერსონაჟს, ვასოს, ცოლის ღალატს ამცნობს (ქოლასაც ხომ მრავლად წერდნენ ასეთ წერილებს) და სხვ.

ავტობიოგრაფიული რემინისცენციები მოჩანს ამ ლირიკულ წიაღსვლებშიც, რომლებიც სიუჟეტის რგოლებს ენაცვლება. მაგალითად მოვიტანთ ასეთ ფრაგმენტს: „...და ვუამბე მე იმას ერთი საწყალი ბიჭის ისტორია, რომელიც უღედმამოდ აღიზარდა, რომელიც დიდი ტანჯვით გამოვიდა გზაზე. უცნობი და მიუსაჯარია ის ამ ქვეყნად. მაგრამ თვითონ ბევრს იცნობს და ბევრი რამ უყვარს მას. ამ სიყვარულის სახელით დგას ის ბრძოლის ველზე, ელოდება გამარჯვებას. თუმცა არც დამარცხებისა ეშინია. გამარჯვება ვერ დააბრმავებს მას. ვერც დამარცხება გასთელავს იმის ცხოველ სულს... თავისებურად ისიც ბედნიერია ამქვეყნად, ის საწყალი ბიჭი. დევნილი „სოციალ-დემოკრატი“, რომელსაც „დიდი ხანია, სატუსალოში მოელოდებიან“. განა ცხადი არ არის, რომ ეს უღედმამოდ გაზრდილი „ბიჭი“, ეს დევნილი სოციალ-დემოკრატი, თვით ქოლაა!

ამ ნაწარმოებში სიყვარულის პრობლემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მიხას (იგივე სტეპას) და მანუშაკის რომანტიული ეპიზოდი სიუჟეტის ერთ მთავარ ძარღვად გვევლინება. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ „თეთრ ღამეში“ ერთმანეთთან შერწყმულია ორი მომენტი: სიუჟეტური ამბები (საერთო პერსონაჟებით, მოქმედების თანმიმდევრობით და ამბის. ლოგიკური განვითარებით დაკავშირებული) და უსიუჟეტო ნაწილი (ლირიკული წიაღსვლებით და სიუჟეტგარე შეფრაგმენტებით).

მიხა-მანუშაკის სიყვარული იმ მხრივაც განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ იგი ინტერნაციონალური გრძნობების ნათელი გამოხატულებაა. ქოლა არა ერთხელ გვიხატავს ერთი რომელიმე ეროვნების ვაჟის თავდავნიყვებულ სიყვარულს სხვა ეროვნების ქალისადმი, ქოლა გესლიანად დასცინის შოვინისტურ ბაქიურ ლექსებს, „რომლებიც ამტკიცებენ, რომ გმირთაგმირი ჩვენ ვართ, მხო-

ლოდ ქართველები და დანარჩენი ხალხი კი ლაჩრები და ნაცარქე-
ქიებია“.

ჭოლას არ სწამს ეროვნული შეზღუდულობა სიყვარულში. სა-
თუთი და კეთილშობილური განცდების ჭოლა ვერ იტანს, როცა
დრომოკმული ტრადიციებით გაპირობებული და წინასწარაკვიატე-
ბული აზრები ზელს უშლიან სხვადასხვა ეროვნების ქალ-ვაჟს დააბ-
ლოვდნენ და ოჯახი შექმნან. სიყვარული ჭოლასათვის კიდევ იმითო-
მაც არის კეთილშობილური გრძნობა და საზოგადოებრივად მნიშვნე-
ლოვანი მოვლენა, რომ იგი ზელს უწყობს სხვადასხვა ერთა დააბ-
ლოვებასა და დამოყვრებას.

ჭოლას თქმით „სიყვარულის გარეშე არ არის სიცოცხლე“. მაგ-
რამ ქალისადმი ყოველგვარი ლტოლვა როდი მიიჩნია მას სიყვარუ-
ლის ჭეშმარიტ გამოხატულებად. იგი ნამდვილ სიყვარულს განასხვა-
ვებს ვნებისაგან და დროებითი გატაცებისაგან. „ყველა სულელს
როდი შეუძლია სიყვარული, მისწრაფება ქალისადმი, სიყვარული
როდია“, — ამბობს ჭოლა. იგი განსაკუთრებით მალა აყენებს ერთი
იდეური მრწამსის და რევოლუციის საქმისათვის თავდადებულ ად-
მიანთა სიყვარულს. სიყვარულს, რომელიც სახალხო თავისუფლები-
სათვის მებრძოლ გმირებს შთაგონებულ არსებებზე გახდის და კი-
დევ უფრო მეტი გმირობისა და სიმამაცისაყენ, სახალხო საქმისათვის
თავგანწირვისაყენ უბიძგებს. სწორედ ასეთი ამაღლებელი, რევო-
ლუციურად გამააქტიურებელი სიყვარულის ამბავია მოთხრობილი
„თეთრ ღამეში“. აი, როგორ ახასიათებს თავის გრძნობას თვით პერ-
სონაჟი: „მე მიყვარდა შუშანიკა... ის მე წინ მწევდა, მიზნისაყენ
მასწრაფებდა, უფრო ძლიერად, უფრო თავგამოდებით. ამ სიყვარუ-
ლით მე უფრო მიმოხაროდა მსხვერპლისა და ტანჯვისაყენ, ის ჰაერი
იყო, სუფთა მთის ჰაერი, რომელიც ძალასა და მხნეობას მმატებდა“.
სიყვარულის ეს რომანტიკული, რევოლუციონერთათვის დამახასია-
თებელი გაგება მთლიანად ემთხვევა ავტორის აზრს ქალსა და სიყვა-
რულზე, რომელიც ჭოლას ამ პერიოდში ჰქონდა.

საოცრად სპეტაკი ბუნების ჭოლას საშინლად სძულდა კაპიტა-
ლისტური სინამდვილისათვის დამახასიათებელი ჰეტეროზმი და ცოლ-
ქმრული დაღატი. მთელი თავისი ნაზი არსებით შეძრული და შეძრ-
წუნებული მოგვითხრობს იგი დაღატის საშინელებაზე და მთელა

გულით კიცხავს ადამიანობის დამამცირებელსა და შეურაცხყოფელ ამ საქციელს.

„თეთრ ღამეში“ მოცემულია საოცრად შთამბეჭდავი და დასა-
მახსოვრებელი სურათები მეფის საპყრობილისა. ასეთია, მაგალი-
თად, სცენები, როდესაც უფროსი ზედამხედველი წალის წვერით სა-
ბანსა ზღის მომაკვდავ ტუსადს, ხოლო მიცვალებულს შუბლზე რე-
ვოლვერს მიაბჯენს და უყვირის: „თქვი, მართლა მკვდარი ხარ თუ
არაო“. ან რად ღირს, მაგალითად, სცენა, სადაც ციხის უფროსი ასე
არიგებს თავის ხელქვეითებს: „თუ არ დაგიჯეროთ, ესროლეთ, მოკა-
ლით, მამაძაღლი“. იგივე ჩინოსანი ასეთი უინიზმით მიმართავს პა-
ტიმარ რევოლუციონერებს. „თქვენ ფეხზე უნდა წამოდგეთ არათუ
ზედამხედველის წინაშე, არამედ იმ შემთხვევაშიაც, როცა ზედამ-
ხედველის ქუდს გამოვგზავნი, მხოლოდ, საკანში“.

„თეთრ-ღამეში“ გამომქლავნდა ცხოველყოფელი სიყვარული
მრავალტანჯული საქართველოსა და მისი ხალხისადმი. გრძნობა, რო-
მელიც პატიმარ და სწულ კოლას მძიმე ხვედრს უმსუბუქებდა და
მხნეობას მატებდა. სწორედ ამ სათუთმა გრძნობამ უბიძგა მას შეექ-
მნა „უბის წიგნიდან“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კოლა უნაზესი და უძლიე-
რესი სიყვარულით იყო გამსჭვალული თბილისისადმი, საქართვე-
ლოს ამ მფეთქავი გულისადმი, რევოლუციური მოძრაობის ცენტრი-
სადმი, საქართველოს მრავალჭირნახული დედაქალაქისადმი. „ტფი-
ლისი ულამაზესი ქალაქი მგონია ამქვეყნად. მიყვარს მისი დაკლაც-
ნილი, ოღროზოღრო ქუჩები, მიყვარს მისი დიდუბე, აელაბარი, სო-
ლოლაკი, ზარფუხი, ნაძალადევი... მიყვარს იმ სისხლის გამო, რომე-
ლიც საუკუნეების განმავლობაში დაუღვრია ჩემს ძველებს მის და-
საცავად, მიყვარს წმინდა, ქართული სისხლის გამო... მიყვარს დავსც-
ქეროდე იმას თავზე, მესმოდეს მისი ხმაურობა, მისი ქოთქოთი, მისი
შფოთიანი მოძრაობა. ხორცსა და ძვალს ისხამს ის ჩემს წარმოდგენა-
ში და როგორც ცოცხალი, ძვირფასი არსება დგება ჩემს წინაშე —
მახლობელი, საყვარელი, ფასდაუღებო. და გული ჩემი მაშინ სცემს
უფრო მზნედლად უფრო პატიოსნად—არავითარი სიმდიდრე მე იქ არ
მაბადია და რამდენიმე ღამე ქუჩაშიც გამიტარებია, მაგრამ ის მაინც
ჩემი მგონია, ჩემი საკუთრება. იქ არ აფრიალდა პირველად ის ღრო-
შა, რომელსაც მე თავი შევაფარე, რომლის ქვეშ ვცდილობ მე არ-

რის პატრონი ქვეყნიერებას დავეპატრონო? ტფილისი — განა ის არ არის ჩვენი ბელადი, ჩვენი წინამძღვარი?.. ტფილისო! ტფილისო, ჩვენო დედაქალაქო”.

რამდენი სიტბო, შვილური მოკრძალება და სიყვარული იგრძნობა ამ სიტყვებში. ესაა ჭოლას პატრიოტული გრძნობის ერთ-ერთი პირველი და ყველაზე ძალუმი გამოვლენა. მაგრამ ჭოლას პატრიოტიზმში თვისობრივად სულ სხვა გრძნობაა. იგი არსებითად განსხვავდება გაბატონებულ კლასთა წარმომადგენლების „პატრიოტიზმისაგან“. ესაა რევოლუციონერის ჭეშმარიტი პატრიოტიზმი, ურღვევად დაკავშირებული პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს დიდებული გრძნობა ახალი საბჭოთა პატრიოტიზმის თავისებური წინამორბედი. ჭოლას თავისი ქვეყანა და დედაქალაქი უყვარს არა მარტო იმის გამო, რომ ხალხმა მისი თავისუფლებისთვის სისხლი დაღვარა, არამედ იმისთვისაც, რომ მან პირველმა ააფრიალა ამიერ-კავკასიაში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წითელი დროშა, დროშა სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმისა, ეროვნული და სოციალური თავისუფლებისა, დროშა მებრძოლი პროლეტარიატისა.

„თეთრ ღამეში“ ჭოლამ გრძნობით გამთბარი არა ერთი სტრიქონი მიუძღვნა თბილისს, რომელიც მის წარმოდგენაში რაღაც რომანტიზებული იერით შეფერილა, და ქართულ ენას, რომელიც მას მეგობრობის, ვაჟკაცობის, ხალხთა ურთიერთ ძმობისა და სიყვარულის ენად მიაჩნია. რუსეთში ძალდატანებით გადახვეწილ ჭოლას განუწყვეტლივ საქართველო ელანდება. „ახ, რა მშვენიერებაა ახლა იქ, იქ, სადაც დავიბადე!“ — ხშირად აღმოხდება ხოლმე მას.

ეროვნული პრობლემით დაინტერესება კიდევ უფრო მკაფიოდ მოჩანს იმავე 1910 წელს დაწერილ ჭოლას ორ საყურადღებო ნაწარმოებში — „აღრჩევა სულისა“ და განსაკუთრებით, კი მგზავრის ჩანაწერების ფორმით წარმოდგენილ თხზულებაში: „უბის წიგნიდან“. პირველში მკაფიოდ იჩინა თავი ორმა მოვლენამ: სიყვარულმა სამშობლოსადმი, მისგან შორს ყოფნით გაძლიერებულმა, და მართობის მქენჯნავმა გრძნობამ, რომლისთვისაც რეაქციის ბნელ ღამეს მისტიფიკაციები და კომპარული ხილვები ჩაუქსოვია.

საპყრობილემ თვით უტეხ ჭოლასაც თავისი დაღი დაასვა. ციხეში გატარებულმა წლებმა რწმენითა და ბრძოლის წყურვილით

აღსავესე ადამიანის სულში სულ სხვაგვარი გრძნობები და აზრები ჩააღვენთა საწამლაევიით.

საყურადღებოა, რომ ნაციონალურ პრობლემატიკისაკენ სწრაფვა, ეროვნული პრობლემით დაინტერესება და მისი სხვადასხვა მხარეების მნატერული ასახვის ცდები, განსაკუთრებით, კოლას შემოქმედების მეორე პერიოდში იჩენს თავს.

თუ რევოლუციის აღმავლობისა და რეაქციის დასაწყისში კოლა ლომთათიძე მთლიანად სოციალური პრობლემებითაა გატაცებული, თუ ამ პერიოდში იგი რევოლუციურ ბრძოლებს ეტრფის და ნაციონალური საკითხი, როგორც ასეთი, მისთვის ცალკე არ არსებობს, მეორე პერიოდში სურათი თითქმის რადიკალურად იცვლება; 1905 წლის რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში (ეკტა შემდეგაც), კოლა მხოლოდ „სუფთა“ ინტერნაციონალიზმის მქადაგებელია. მას თითქოს რცხვენია გამოყოს საქართველო და ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები პროლეტარიატის საერთო ინტერესებისაგან. მისთვის არ არსებობს „ქართველი მუშა“, თუმცა მნატერულად (ხასიათის ეროვნული სპეციფიკის თვალსაზრისით), არსებითად, სწორედ მას გვიჩვენებს. იმ პერიოდში კოლა ხედავს მხოლოდ პროლეტარიატს, თავისუფლებისათვის მებრძოლ კლასს და ინტერნაციონალიზმით გამსჭვალულ მის პარტიას. ხოლო რომელი ეროვნებისაა ეს მებრძოლი პროლეტარიატი, რომელი ხალხის მებრძოლი ავანგარდია იგი, ან რა კერძობითი ამოცანები შეიძლება ქონდეს განმათავისუფლებელ ბრძოლაში ამა თუ იმ ნაციონალიზმის მშრომელებს — ეს კოლას არც აინტერესებს და საკითხის ამგვარი დასმა მას არცა აქვს.

შემოქმედების მეორე პერიოდში კი, კოლა სულ უფრო და უფრო ხშირად ახსენებს თავის მშობლიურ ქვეყანას, ტურფა საქართველოს და მის ეროვნულ შეხედულებებში შესამჩნევი ევოლუცია ხდება. „რად მიყვარხართ მე თქვენ, სამშობლო ქვეყნის ზეცავ და მთებო, თქვენ, მინდვრებო და ტყეებო, რად მიყვარხართ მე შენ, შავო ზღვავე... დედამიწაზე შენზე უკეთესი არაფერი მინახავს მე, ჩემო სამშობლო ქვეყანავ, ჩემო საყვარელო და შემკულო მხარევე!“ — ეს არის კოლას დაგვიანებული, მაგრამ ალალი და შეუღამაზებელი გრძნობა.

საპყრობილის საშინელმა რეჟიმმა, განუწყვეტელმა სულიერმა

ტანჯვამ, დამცირებამ, რომელსაც იგი პატიმრობისას განიცდიდა და განსაკუთრებით კი რევოლუციის დამარცხებით გამოწვეულმა მძიმე განცდებმა — დაადარდიანეს, წონასწორობა დააკარგვინეს, ჯანმრთელობა შეურყიეს მწერალს, გულში იჭვის შხამი ჩააწვეთეს მას. ქვეყნის მძიმე ბედმა და ტრაგიკულმა პირადმა ხვედრმა გოლგოთად აქცია მისი ცხოვრება. ეს ორი უმძიმესი სატიკივარი სტანჯავდა ჰოლას, უმწიკველო მოქალაქესა და მგრძნობიარე პიროვნებას და ეს ტკივილები მოჩანს ჰოლას ყოველ ნაწარმოებში. ჰოლას აღმსარებლური ნაწარმოებნი იგივე მისი გაშიშვლებული გულია, რომლიდანაც სისხლი ეონავს: „სული ჩემი სწუხს, სული ჩემი შფოთავს, სული ჩემი მღვიძარეა და ელის ვიღაცას, რომელიც მას უყვარს, ელის და ვერ ეღირსა მის ნახვას. სად წავიდე მე, სად წავიდე მე, სად წავიდე მე, რომ დავისვენო, რომ გავაძლო ჩემი სულის შიმშილი, რომ მოვკლა მისი წყურვილი!.. სად წავიდე მე, სად წავიდე მე. სად წავიდე მე?“

მშობელო ქვეყანავ! მშობელი ქვეყნის უძირო და შემკულო ზეცავ, დიდო მთებო, ანკარა წყლებო და მგალობელნო ფრინველნო, — სული ჩემი სწუხს, სული ჩემი შფოთავს, სული ჩემი მღვიძარეა! და მე მარტო ვარ, მარტო ვარ! სად წავიდე მე? სად წავიდე, როცა დედამიწას ვერ ავცდები ვიცი, ხოლო დედამიწაზე კი შენზე უკეთესი არაფერი მინახავს მე, ჩემო სამშობლო ქვეყანავ, ჩემო საყვარელო და შემკულო მხარევ... ვიბრძოლო? მაგრამ მე ხომ ვიბრძვი... ვიმრომო? განა არ ვშრომობ? ვიტანჯო? მაგრამ განა შეიძლება მეტი ტანჯვა? რა მაკლია მე, რომ ასე უბედური ვარ, რა მაკლია“...

ეს სტრიქონები არა მარტო სულის შეცხადებული კივილია, არამედ ის ღია სარკმელი, რომელიც თვით ჰოლამ, მისმა საოცარმა გულწრფელობამ შეგვიღო ამ ტანჯული ადამიანისა და უიღბლო პოეტის გულში ჩასახედად. დღის სინათლე და ღამის მწუხრი იბრძვიან მასში. და თუ ღამე დროებით ახერხებს თავისი წყვდიადის იქ გამეფებას, დღე თავისი კაშკაშა სხივებით, თავისი ასწროვანი მაჯისცემით მყის ფანტავს უკუნეთ წყვდიადს. ამ განუწყვეტელმა ჰიდილმა „დღისა და ღამისა“ მოქანცა, დაღალა ქლექით დაუძლურებული ადამიანი.

„სული ჩემი სწუხს, სული ჩემი შფოთავს... მსურს, არაფერი არ ვიყოდე, ვერაფერს ვერ ვხედავდე, ბნელოდეს ყველგან, ბნელოდეს,

ბნელი იყოს ჩემი გონებაც... ასე შემართება მე ხანდახან, ღამით...
ოჰ, რა უბედური ვარ მე მაშინ, რა საცოდავი! გათენდება! ას-ბმოვა-
ნი ცხოვრება მეც, როგორც ყველას ჩამოთრევს და დამატრიალებს!
მე მაშინ ვიცი რა ვქნა, საით წავიდე, ვის მივმართო, ვის გამოვეხმალ-
ო!.. მაშინ მე ბევრი საქმე მაქვს და ვიცი რა გავაკეთო, მაგრამ ეზ-
ლა? ეხლა სადაური ვარ მე? საიდან მოვსულვარ? ვინ მიყვარს? ვის
დავეძებ? ვინ არის ის, მე რომ უბედურად მხდის? სიგიჟეა ეს ჩემი.
თუ დროებითი გულის გატეხა, წელში გამწყვეტი ექვია, თუ უბრა-
ლო დაღლილობა?..“

სამწუხაროდ, ეს იყო შედეგი ამ სამივე მიზეზისა: დროებითი
გულის გატეხვისა, დაექვევებისა და დაღლილობისა.

ლირიკულ ეტიუდში — „აღრჩევა სულისა“ გამოვლი-
ნება ჰპოვა, მართალია დროებითმა, მაგრამ მანაც საკმაოდ გამოხა-
ტულმა სკეპსისმა ადამიანსა და ადამიანურ თვისებებში, დაექვევებამ
იმ ადამიანებში, რომლებსაც თვით იგი ისწრაფვოდა. „მე შენ-
თან მოვდივარ, ძმაო ადამიანო, მე შენთან მსურს ლაპარაკი, შენი ხმა
მინდა ვისმინო“, — ამბობს ჯოლა, მაგრამ აქვე ჩვენდა გასაოცრად,
ეს უდიდესი ჰუმანისტი და ალტრუისტი მისთვის ასე არადამაზასია-
თებლად, ასე უცხოდ და უცნაურად მიმართავს ადამიანებს, ვისა
ბუნდნიერებისათვის ზრუნვა და ბრძოლა მისი ცხოვრების მთავარი
ამოცანა იყო: „მე არ ვიცი, გემართლებით თუ არა თქვენ, მაგრამ აი,
რას გეტყვით, ძმებო, ადამიანებო! თქვენ არ ხართ ღირსი შეყვარე-
ბისა! ღმერთი მხოლოდ იმიტომ უნდა უარყუთ, რომ თქვენ ხტად
და მსგავსად ღვთისა ხართ გაჩენილი. აბა, რა ღმერთი უნდა იყოს ის.
რომელიც თქვენ გგავს!.. არ მინდა მე ის, არ მინდა... მეგობარო, ჩე-
მო ერთადერთო მეგობარო, სად ხარ შენ? სად ხარ?“

აი, ეს „ერთადერთი მეგობარი“ აღარ ყავდა ჯოლას და იმიტომ
იყო, რომ სევდითა და მწუხარებით კოთხულობდა — „რად მიყვარს
მე ადამიანი, რად მიყვარს?“..

რეალური სინამდვილით გამოწვეული და სავსებით გასაგები
სევდის, დაქვევების, შიშისა და იქვის გვერდით ამ ნაწარმოებში გა-
მომყდუნდა მიტრისისა და რაღაც იდეალისტური შეხედულებების
რემინისცენციებიც. ნაწარმოების ლირიკულ გმირს ხან მთვარეზე
ოდესლაც მცხოვრებლად მოჩნია თავი, ხან ფიქრობს, რომ ერთზე
უკვე იყო ამქვეყნად „ადამიანის სახით მოვლენილი“, ხანაც ჰგონია

რომ უხსოვარ დროს არსებული და ამჟამად ხელმეორედ აღმოცენებული სულია, რომელსაც განუწყვეტლივ აწვალებს სურვილი „პირვანდელი“ (ამჟამინდელ ყოფაზე აღრინდელი) ცხოვრების გახსენებისა და პირველი საცხოვრისის დადგენისა, მაგრამ ეს ველარ მოუხერხებია.

თხზულების „აღრჩევა სულია“ ლირიკული გმირის განწყობაში რელიეფურად და კონდენსირებულად გამომქლავნდა ყველა ის იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური თუ მხატვრული ხასიათის წინააღმდეგობანი, რომლებიც საერთოდ ახასიათებდა ჭოლა ლომთათიძეს. ამასთან ერთად, და რაც საგანგებოდ ხაზგასასმელია, აღნიშნული წინააღმდეგობებით გამოწვეული ტკივილის მიყუჩების, მისგან თავდაღწევის ერთ-ერთ საშუალებად ჭოლამ აქ, პირველად შემოქმედებით პრაქტიკაში, მირჩინა სამშობლოს სიყვარული, როგორც სულის ტკივილთა დაამების ერთადერთი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი და საიმედო საშუალება.

იმავე 1910 წელს, ჭოლა წერს თავის ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანსა და საგულისხმო ნაწარმოებს „უ ბ ი ს წ ი ვ ნ ი დ ა ნ“.¹ ეს თხზულება ფრიად საყურადღებოა ჭოლას იდეურ-პოლიტიკურ, საზოგადოებრივ-ეროვნულ და მხატვრულ-ესთეტიკურ შეხედულებათა გასარკვევად. მოთხრობას ეპიგრაფად უძღვის შ. რუსთაველის ცნობილი სტროფი:

„იგი მზე ქაჯთა მეფეს ჰყავს, ქაჯეთის პატიმარია,
მუნ მისვლა მიჩანს თამაშად, თუცა გზა საომარია“.

ქაჯთა ტყეობაში მყოფი მზე სიმბოლური სახეა, რომელშიც ავტორი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ორმაგ მარწუხებში მოქცეულ სამშობლოს — თვითმპყრობელობის ქუსლქვეშ მგმინავ საქართველოსაც გულისხმობს და რეაქციით დათრგუნვილ იმ სახალხო თავისუფლებასაც, რის მოსაპოვებლადაც იბრძოდა ჭოლა და რომლის გულისათვის თვითონ იგიც მოხვდა „ქაჯთა ტყეობაში“.

ამაზე უკეთეს და თავისი განწყობილებათვის ზუსტად მისადაგებულ ეპიგრაფს ჭოლა, მართლაც რომ ვერ გამოძებნიდა. „მუნ

¹ პირველად გამოქვეყნდა გაზეთში „ახალი აზრი“, 1910 წ. ოქტომბერი, № 5, 6, 7.

მისვლა მიჩანს თამაშად, თუცა გზა საომარია“ — ჯოლა მართლაც მუდამ ასე მტკიცედ და უყოყმანოდ იდგა „საომარ გზაზე“ და უშიშარი რაინდის, ტარიელის, ეს სიტყვები მის დევიზადაც გამოდგებოდა.

საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი სიყვარული, დაცემული და დაჩაგრული სამშობლოს აუცილებელი აღორძინების რწმენა ჩაუქრობელ კელატრად ენთო ჯოლას გულში.

იმიათვის, რათა უკეთ გავიგოთ მოთხრობის „უბის წიგნიდან“ იდეურ-მინაარსობრივი მხარე, დავიმოწმებთ ერთ სიმბოლურ სურათს, რომელიც მხატვრული ექსპოზიციის მსგავსად წინ უძღვის ნაწარმოებს და რომლის გახსენებისას ნაწარმოების ლირიულ გმირს — „გული სიხარულით, სიამაყით, სიცოცხლითა და დაუსრულებელი ბრძოლის სურვილით ევსება. „მე მაშინ ბედნიერი ვარ, რაგინდ უბედური, რაგინდ ცუდ მდგომარეობაშიც არ ვიყო“. აი, ეს სიმბოლური სურათიც, რომლის გახსენებაც სიამეს ჰმატებს ავტორს:

რომელიღაც „უმადლესი მსაჯულის“ წინაშე, რომელსაც „ჰქონდა უფლება და ძალა, ჩვენება ჩამოერთვა ყველა სულდგმულისათვის, წარადგენ სხვადასხვა ერები და მათ შორის ქართველიც.

— შენი საბელი? — გაისმა მისი კითხვა ქართველისადმი.

— ქართველი, — იყო პასუხი.

— წლოვანება?

— ორი ათასზე მეტი წლისა ვარ.

— რას აკეთებდი ამდენ ხანს ქვეყნად?

— თავს ვიცავდი.

— სულ მუდამ?

— დიახ, სულ მუდამ, ქრისტეს დაბადებამდე და ქრისტეს დაბადების შემდეგაც... თავს ვიცავდი მაკედონელის ლაშქრობისაგან, ვებრძოდი მურვან-ყრუს, ოსმალის, სპარსეთს, ვებრძოდი ლეკებსა და კიდევ სხვებს, — ურიცხვია სახელი ჩემი მტრებისა, ჩინგიზ-ხანს, ალა-შაჰმად-ხანს, შაჰ-აბაზს და ლენგ-თემურს ვებრძოდი მე, რომ თავი დამეცო. ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლე ბრძოლაა თავის დასაცავად, ვებრძოდი უთვალავ მტერს — შინაურსა და გარეულს. მე ვიყავი ყმა, თავადანაურისა და სამღვდულოებაც ჩემს დაპატრონებას ცდილობდა. ყველას უნდოდა ჩემი გახრა, ჩემი შეკმა. მე მართ-

შევდნენ ყველაფერს, ერთხელ ხუცებმა და ბერებმა „ვეფხისტყაოს-
ნის“ წართმევა მომინდომეს მე...

— ეხლა რაღას შევები შენ?

— მე ეხლაც თავს ვიცავ. მტერი ეხლაც ბევრი მახვევია გარს,
მოღიან ჩემზე ხმლითაც და მოქარგული ენითაც, სიყვარულსაც მი-
ცხადებენ, რომ დამძლიონ... ეხლაც ბევრია მტერი — შინაური და
გარეული. და მე ვებრძვი მათ, თავს ვიცავ.

— არ დაიღალე?

— დაღალვა ჩემი, სიკვდილს ნიშნავს ჩემსას. არა, არ დავლილ-
ვარ, სიცოცხლე მწყურია მე და ვერ ვძლები სიცოცხლით. არა, არ
დავლილვარ.

— არც გაბოროტდი ამდენი ბრძოლით, გრძნობები არ დაგი-
ჩლუნგდა, სისხლი არ გიყვარს?

— არა, არ გავბოროტებულვარ. ვინც თავს იცავს და იმისთვის
იბრძვის — შენ იცი თვითონ — ის არ გაბოროტდება.

— მძულს შენი მტერი?

— მე თავის თავი მიყვარს და ვიცოცხლო მსურს მე. მე არ ვიცი,
მძულს თუ არა მტერი. მე ვებრძვი მას. მე თავს ვიცავ, იმიტომ, რომ
თავი მიყვარს. რა ვიცი მე, მძულს თუ არა ჩემი მტერი!

— და ელი კი გამაჩვენებას?

— რათ უნდა დავმარცხდე, მე თავს ვიცავ... და ეხლა მე მარ-
ტოც არა ვარ — ყველა ერში და ყველა ქვეყნის კუთხეში იზრდება
და მძლავრდება იმათი რიცხვი, რომლებიც თავს იცავენ და ისინი
მომეშველებიან მე, როგორც მე იმათ — რათ არ უნდა გავიმარჯ-
ვო, მე თავს ვიცავ.

და წამოღვა ფეხზე ის, ვინც იჭდა, გაშალა მკლავი და გადაეხვია
ქართველს და გადაკოცნა ის... შეჭკრა გვირგვინი იავარდისა და ყვა-
ვილებისაგან და შეამკო თავი მისი და მისცა მას ხმალი ხელში და
უთხრა: წადი, განაგრძე და კურთხეული იყოს გზა შენი: ფრიად
მძიმე და ფრიად სახარბიელო! წადი, განაგრძე!

შეიძლება სიზმარშიც ვნახე პირველათ მე ეს სურათი, მაგრამ შე-
იძლება არც სიზმარი ყოფილა ეს. შეიძლება აღელვებული, აღმდგარი
ხალხი რომ დავინახე, მაშინ მომელანდა ეს სურათი ან მაშინ, რო-
ცა ერთმა ჩემმა მასწავლებელმა ერთხელ ძაღლის ენა უწოდა ჩემს
ღედაენას... სულ ერთი არ არის, სად და როდის ვნახე ის, თუკი მე

ის მამხნევებს, ძალას მმართველს და სიცოცხლეს მაყვარებს?.. ის, ვისაც უნდა იცოცხლოს, ის არ მოკვდება“.

ეს ნაწყვეტი, რომელიც თავიდან ბოლომდე ქოლას ფანტაზიის ნაყოფია, მშვენიერად ცხადყოფს იმ დიდ სიყვარულს სამშობლოსა და თავისი ხალხისადმი, რომელიც ქოლას მთელი სიცოცხლის მანძილზე ასულდგმულვება. მაგრამ ცხოვრების პირველ პერიოდში მწერალს ეს სიყვარული „ჩუმაღ და ყუჩად“ დაქონდა, ხოლო სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი მისი შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემატურ ძარღვად იქცა.

მოთხრობას „უბის წიგნიდან“ „მოგზაურობათა ჟანრისათვის“ დამახასიათებელი სიუჟეტი აქვს: ბუნების სურათებით, ისტორიული ექსკურსიებით, ეთნოგრაფიულ-ყოფითი ჩანახატებით. დრო და დრო ყოველთვის ამას ენაცვლება ლირიკული გმირის იდეურ-შემფასებლური პოზიცია, რომელიც ფრაგმენტთა გაზაფხულისებულ სამუალებადაც გვევლინება. ეს პოზიცია შედგენდება ლირიკულ წიადსვლებშიც და თხრობაში ჩართულ ავტორისეულ რემარკებშიც. „მსურს სული და გული ჩაუდგა სურათებს, ავალაპარაკო ისინი და ყური დაუფუტო“. ეს მართლაც ასეა. ნიჭიერად დახატული სურათები თავისთავად ლაპარაკობენ. აქვეა ქოლას ლირიკული პროზისათვის დამახასიათებელი ავტობიოგრაფიული ელემენტი, ბავშვობა-ყრამობის და ცხამდელი ცხოვრების სურათები, რომელთაც პირადად განცდილის, უშუალოდ ნახულის გულწრფელობა და დოკუმენტალობა მოსდგამთ.

ყდამოგლეჯილი „ვეფხისტყაოსნით“ შეიარაღებული ავტორი ზაფხულის ერთ დღით ბორჯომიდან მტკვრის ხეობას აუყვია. მას „სურს დაისვენოს, ძალა მოიკრიბოს და შემდეგ ისევ განაგრძოს შრომა და ჯაფა“. მაგრამ მოგზაურ-მთხრობელმა (ამ შემთხვევაში თვით ქოლამ) ტყუილად კი არ წაიღო თან „ვეფხისტყაოსანი“, ქართული ხალხის ეს ეროვნული სიამაყე: იგი მის გზას უშუქებს, სინამდვილის შეცნობაში ეხმარება და ავტორიც ეამიდან ეამზე შოთას უკვდავი სტრიქონების შესანიშნავ გააზრებას იძლევა.

არც ისაა შემთხვევითი, რომ ავტორმა სამოგზაუროდ სამხრეთ საქართველოში აირჩია: ეს ხომ ის გარემოა, საიდანაც შოთა რუსთაველი წარმოდგება და ამრიგად, არც მოგზაურობის მარშრუტია შემთხვევითი, მით უმეტეს, რომ სამხრეთ საქართველოს თურქეთისაგან

შიტაცებული მიწა-წყალი ანდამატივით იზიდავს კოლას. ძველ იარებს უხსნის და საქართველოს ბედზე ჩააფიქრებს ხოლმე, მწერალი თითქოს უღელტეხილზე დგას: აქეთ — სოციალური და ნაციონალური ჩაგვრა, იქით — ეროვნული გადაგვარება. ორივე ძნელია და აუტანელი და სწორედ ესაა კოლას მთავარი საზრუნავი და სატკივარი. მაგრამ დროდადრო სინარული ასხივოსნებს მწერლის სახეს. ეს სინარული ქართველი ხალხის გმირული წარსულისა და დიდი შემოქმედებითი ცხოვრებითაა მონაბერი.

„...მიხარია აგრეთვე ისიც, რომ მეთორმეტე საუკუნეში ცხოვრობდა ქვეყანაზე დიდი პოეტი რუსთაველი და რომ ის იყო ქართველი და მეც რომ ქართველი ვარ... მიჭირავს ხელში მისი წიგნი და მეც ამ წიგნის გმირებზე ვფიქრობ ამ წუთას. ვიცი მე წიგნები, რომლებიც იმდენად ახლოა ჩემთან, რომ ხანდახან მიკვირს, რომ ისინი ჩემი დაწერილი არ არის, მიკვირს, რომ სხვამ მომასწრო მათი დაწერა. ერთი ასეთი წიგნი „ვეფხისტყაოსანია“. თუ რუსთაველი ქმნიდა მას, მეც ვქმნი, მეც სულს ვუდგამ თინათინს, ავთანდილს, ნესტანს, ტარიელს, ნურაღინ-ფრიღონს“... — ამბობს კოლა.

მართლაც, კოლა არა მარტო სულს უდგამს თავის წარმოდგენაში რუსთაველის გმირებს, არამედ იძლევა რუსთაველის სტროფთა სინათლეზე დანახული, თანამედროვე სინამდვილის მოვლენათა ორიგინალურ და ქვეტექსტით მდიდარ შეფასებებს. აი, მაგალითად, რა ასოციაციებს აღძრავს მასში ნესტან-დარეჯანის ცნობილი სიტყვები: „ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია? სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმისი საგმირონია“ — „მეც მიხატავა ასეთი ქალები, მეც ვიცნობ მათ, მე მეგობრები მყავს იმათი რიცხვიდან, მაშ, — ისინი გმირებს ეძებენ — ჩემი მეგობრები! ისინი როდღე მისტირიან ომში მიმავალ ვაჟაკებს. ქალთაში როდღე ეკიდებიან, არამედ მხარდაშხარ უღებებიან, ეხმარებიან. ისინი იზიარებენ ქირსა და ლხინს, ცოცხლობენ და კვლებიან მათთან ერთად, ხშირთ ხელში ნახავთ იმათ და ზოკვილებით ფეხებზე კიდევ. საწერ მაგიდასთან და პაწია ბავშვებთან ან-ბანით ხელში, ფაბრიკა-ქარხნებში და ტრიბუნებზე გადაუყრებით მათ... მე ვიცნობ ასეთ ქალებს, ისინი ჩემი მეგობრებია, ამხანაგებია, ამხანაგებია ჩემი და მიხარია, მიხარია მე ეს, მე ბელნიერი ვარ, მე ძლიერი ვარ, მე შეყვარებული ვარ“.

პარალელი „ვეფხისტყაოსნის“ გმირებთან შეტად დროული აღ-
ზოჩნდა: მან ასოციაციურად გაუღვიძა ჭოლას იმ ნაცნობ მებრძოლ-
თა სახეების მოგონება, რომელნიც მისთვის ესოდენ სანუკვარხო
არიან და რომელნიც თავიანთი რაინდული ღირსებებით ესოდენ
ჰგვანან შოთა რუსთაველის პერსონაჟებს. მაგრამ მთავარი ამ შემ-
თხვევაში მაინც ის არის, რომ ახალ გმირთა მოგონება ერთი შეტად
საყურადღებო დასკვნის გამოტანაში გვეხმარება: ჭოლა მარტო გუ-
შინდელ დღეს კი არ აფასებს, მხოლოდ ისტორიული წარსულის დი-
დება კი არ აყვარებს სამშობლო ქვეყანას, არამედ ის ახალიც, რო-
მელიც დღეს ამალგებს მას, როგორც სახალხო თავისუფლებისა-
თვის მებრძოლ ქვეყანას.

როგორც აღვნიშნეთ, სოციალური უკუღმართობით გამოწვეულ
ტკივილებთან ერთად, ამ ნაწარმოებში მკაფიოდ მოჩანს ჭოლას, რო-
გორც ქართველი პატრიოტის, ეროვნული ტკივილებიც. ეს ტკივი-
ლები გამომჟღავნდნენ იმ ეპიკური სტილით აღწერილ სურათებში,
რომელიც სამხრეთ-საქართველოს სოციალურსა და კულტურულ ვი-
თარუბას გვიხატავენ და მოგზაურის უშუალო შთაბეჭდილებებს წარ-
მოადგენენ. ჭოლას ამ ოსტატურ ჩანახატებში გამომჟღავნდა პორტ-
რეტისა და პეიზაჟის ჩინებული ოატატი, რომელსაც ორიოდუე გაკვ-
რითი შტრიხითაც კი, ჩინებულად ძალუქს ადამიანისა და ბუნების
საოცრად მართალი, ღრმად განცდილი, მხატვრულად შთამბეჭდავი
და ლირიკულად თბილი სურათის შექმნა. აქვე გამომჟღავნდა სხარ-
ტი დიალოგის შენების უნარი და პერსონაჟთა ენობრივი დახასიათე-
ბის ოსტატობაც. ფრაზების სათანადო წყობით (რაც გმირის განათ-
ლებას, ხასიათს, სოციალურ კუთვნილებას შეეფერება) ჭოლა ქმნის
შოკმედი პირის მეტყველ სახეს. პერსონაჟის ენობრივი დახასიათე-
ბის ეს უნარი, რომელიც მწერლის სხვა ნაწარმოებებშიც მოჩანს, და
აქაც მკაფიოდ გამომჟღავნდა, — უცილო საბუთია ჭოლას ფართო
მხატვრული შესაძლებლობისა ეპიურ მომთხრობელობით სფეროში.

ამ ნაწარმოებში მრავლადა დასამახსოვრებლად და კოლორიტუ-
ლად გამოკვეთილი ადამიანური პორტრეტები. ასე ცოცხლად წარ-
მოგიდგება, მაგალითად, იოანე ზაზაძე, „ეს დაუფასებელი თანამგ-
ზავრი“ — რომელიც განუწყვეტლივ დუმს და მხოლოდ ხანდახან
თუ გამოცრის კბილებში რაღაც ზმუილის მაგვარს“ — თავისი დარ-
დით „სონა კამეჩზე“, თავისი მტკიცე რწმენით ბრმა ანგელოზში.

ასეთივე მკაფიოებით ცოცხლდება გიორგი გელაშვილი, რუსეთ-აპონიის ომის მონაწილე, თვითდაჭერებული მსჯელობით პოლიტიკასა და დიპლომატიასზე.

მოგზაურის თვლით შენიშნული ფაქტები და დეტალები ესაა მეტყველი და ტიპოური სურათები იმ ეკონომიური სიღუბნით, ხალხის სიბნელისა და უკულტურობისა, მშრომელთა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისა, რომელსაც განიცდიდა თვითმპყრობელური რუსეთის კოლონიად ქცეული საქართველო; საერთოდ, და ეს კუთხე, კერძოდ.

ამ სურათებში მოჩამის თამამი პროტესტი ნაციონალური ჩაგვრის, ეროვნული გადაგვარების, ხალხის დენაციონალიზაციის წინააღმდეგ, რისთვისაც ასე გულმოღვინულ და მონღოებით იღწვოდნენ ყველა ჯურს და მპყრობლები, რომელთა ბერძნები, სპარსელები, მონღოლები, თურქები, ბიზანტიელები და რასაც მაშინ ჯერ კიდევ გულდაგულ ლამობდნენ ზოგიერთი, შოვინისტური პოლიტიკის გამტარებელი დიდმპყრობელები. კოლხ-აღმყოფობის და მამბილებელი ხმა მიმართულია, უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად, მათ წინააღმდეგ. და ეს პათოსი თანამედროვე ნაციონალური ჩაგვრის დაგმობა-გაკიცხვისა, პროტესტი ეროვნული დისკრიმინაციისა და ძალად გადაგვარების წინააღმდეგ (ვინც არ უნდა ახორციელებდეს და რა სარჩულითაც არ უნდა ახორციელებდეს ამ ვერაგულ პოლიტიკას) — იგრძნობა ამ ნაწარმოების ყოველ დეტალსა და ყოველ ბწყარში:

ავტორს აღეღებეს ყოველივე, რაც ნაციონალურ ჩაგვრაზე, ან ეროვნული თვითშეგნების დაკარგვაზე მეტყველებს. ამიტომ აგრძნობინა მას ტკივილი გამუსულმანებული ქართველი ქალების დანახვამ, რომელთა სახეებს უცხო თავსაბურავი, ჩაღრი, მალავდა: „ნამდვილი ქართველი ქალებია და მიყვირს და მწყენია მათი დანახვა ამ უშნო ტანსაცმელში — გულში პროტესტს აცხადებს ვიღაცა და ვუცქერი მე იმათ თვალებში, ქართულ თვალებში“... მას გუნება ეძღვრება, როცა გზაზე შემოხვედრილი მგზავრი, ოდესღაც ქართველი, ახლა კი ეროვნულად გადაგვარებული ადამიანი მადლიანი ქართული „გაშარჯების“ მაგიერ „სალამ ალეი-ქუმს“ ეუბნება. იგი „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებს ავრცელებს მაჰმადიან ქართველებში, რადგან იცის, რომ მართლმორწმუნე მაჰმადიანს „ქითაბი“ უკრ-

ძალავს სურათის გადაღებასაც და შეძენასაც, „ამ საჩუქრით მე მინდა გადავიკიდო იგი ალლაჰს, — აბა რად გამაჰმადიანდა ის ქართველი კაცი?...“ — სინანულით კითხულობს ჭოლა.

ამ ნაწარმოებში დიდი ექსპრესიით არის აღწერილი ცრუმორჩუნების საშინელებანი. ერთ-ერთ ასეთ შემადარწმუნებელ ამბად წარმოგვიდგება სურათი, როცა გამაჰმადიანებული ქართველები, უვიცი მოღვინის გავლენის ქვეშ მოქცეულნი, თავიანთი მიცვალებულის „უენებელსაყოფად“ მას თავს მოსჭრიან და ლაჭებში ჩაუდებენ. ეს საშინელი წესი, ისევე როგორც შავზნელი ზინამღვილის სხვა აღმშფოთებელი ფაქტები, კრიტიკული რეალისტის მახვილი თვალით დანახული, გულს უმღვრევნ ავტორს, სურვილს უღვიძებენ ბრძოლისა; უკუღმართი სინამღვილის ძალით დამზობისა და შეცვლისა. ეს საშინელებანი მოაგონებენ მას იმ რევოლუციურ მისიას, რომლისთვისაც მოწოდებულია რსულმ მებრძოლი პარტია და მისი ორგანიზაციები, ვისი ერთ-ერთი წევრი თვითონ იგიცაა. მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ამჟამად ამ მებრძოლი პარტიის საუკეთესო შვილნი, ბორკილებდაღებულნი ციხეში იტანჯებიან. ამიტომ არის, რომ ჭოლა ობლადაა, მარტოა. მას გვერდით აღარ ყვანან ისინი, ვისაც ეს ფაქტები მისწანიარადვე აღაშფოთებდა და მათთან საბრძოლველად განაწყობდა. ამიტომ არის, რომ იგი ბრძოლის ყიჟინას კი არ სცემს. ძველებურად, არამედ შველას ითხოვს და შეცხადებულოვით კივთა: „მე მებრძოლი ვარ და არ მეშინია არაფრის... მე წევრი ვარ ძლიერი პარტიისა, რომელმაც ქვეყანა უნდა დაიპყროს, გააბედნიეროს! და ამის მაგიერ თვალწინ მიღგება ბოძზე მტკრული გიყი. ვხედავ მოკლულ ძმას მისას, ვხედავ გათბრილ სამარეს, ვხედავ მოლას, ტიტველი მკლავით და მტკრელი დანით ხელში; ვხედავ მოჭრილ თავს, ლაჭებში უშნოდ და სამარცხვინოდ ამოდებულს... ვხედავ კბილებ-დან-ქენილ ძაღლს, ძმის, მკვლელს რომ მისიღვს და მსურს, ძალა ვატან თავს არ ავასრულო. ეს სურვილი, მსურს მეც დავიყვირო — გვიშველეთ! გვიშველეთ-მეთქი... ვიწვევ ამხანაგების სახეებს ბორკილებით ფეხებზე, ვიწვევ იმედითა და შეუდრეკელი რწმენით სავსე მათ თვალებს, ვიწვევ ყველას, ვინც მიყვარს და ვისაც ვუყვარვარ მე და

1 ამას ჭოლა ამბობს რეაქციის პერიოდში, 1910 წელს, მაშასადამე, ძველებურად ესმის პარტიის დიდი მისია.

გულში კი მსურს აედგე და დავიძახო, და ვიყვირო — გვიშველეთ! გვიშველეთ!..“ ეს ძახილი თავის სამშობლოს ბედით შეძრწუნებული ადამიანის ხმაა და ჩვენ თითქოს მკაფიოდ, გარკვევით გვესმის ავტორის შეელისაყენ მომწოდებელი ძახილი.

მაგრამ სად არის გზა ხსნისა, სადაა გამოსავალი არსებული მდგომარეობიდან? როგორ ესახება ამ საშინელებათაგან თავდაღწევის საკითხი ავტორს? მიუხედავად იმისა, რომ კოლა ნათლად ხედავს მთელ ამ შემაძრწუნებელ სინამდვილეს, იგი არაა უიმედო და პესიმიზტურად განწყობილი. მას სწამს, რომ არსებობს გზა სამშობლო ქვეყნის ხსნისა — ესაა გზა დაუცხროველი ბრძოლისა და შემოქმედებისა, შეუწელებელი წინსვლისა და საზოგადოებრივი აქტივობისა.

მოთხრობის ფინალი იძლევა თავისებურ გასაღებს კოლას შეხედულებებისა ეროვნულ საკითხზე და ამიტომ ჩვენ მთლიანად მოვიყვანთ ამ უადრესად მნიშვნელოვან ფრაგმენტს: „მე მაღლობზე ვდგევარ და გადავცქერი ჩემს დანგრეულ ქვეყანას. ჩემს წინ, ქვევით, ოხრად მოჩანს ძველი სიმაგრის თავპირდამტვრეული სურათი. დავცქერი დანგრეულ სამშობლოს, სადაც თვითეული სურათი საგსნეა გაუთავებელი და ამოუშრეტელი შინაარსით, ვდგევარ მაღლობზე და ისევ ვხედავ სურათს, რომელიც არ მახსოვს, როდის ვნახე პირველად, ან ვინ მიაშბო მე ის.

— მე თავს ვიცავდი! — მოაქვს ჩემთან ხმა ნიავს.

— მე თავს ვიცავდი! — მესმის ფოთლების შრიალი.

— მე თავს ვიცავდი! — ვკითხულობ დაბლა მტკვრის ტალღებში.

— მე თავს ვიცავდი! — ჩურჩულებს მთის მღინარე.

— მე თავს ვიცავდი! მე თავს ვიცავდი! — მესმის ირველივ და გულშიაც მეუბნება მე ვილაცა: ჩემი სისხლით მოჩაწყულა ჩემი მიწა-წყალი, ჩემ სისხლს ღვრიდა გარეშე და შინაური მტერიც მე თავს ვიცავდი! ჩემი სისხლით ირწყვებოდა ჩემი მიწა-წყალი, ჩემს სისხლს ღვრის გარეშე და შინაური მტერი — თავს ვიცავ მე, თავი მიყვარს მე, სიცოცხლე მწყურია მე და ამიტომ თავს ვიცავ... გული ჩემი ისევ ხარობს, გული ჩემი ამყობს, გული ჩემი სცემს მაგრად და ძლიერად, მას არ ეშინია, ის გაბედავს... მაღლობზე ვდგევარ მე და გადავცქერი ჩემს დანგრეულ სამშობლოს, სადაც თვითეულ ნანგრევში ბუდობს არა მარტო ბუ და ნატამალი, არამედ დიდებული, იმიტაცი და შშვენნიერი მოგონება — ბრძოლა თავის დამაცავად... აქ მუ-

შაობდნენ დედამიწის გულში ჩამალული შავი და მძაფრი ძალები — ვულკანები და ძვრანი. და აქ მუშაობდნენ ადამიანის გულში დაბუღებული მხეცობა, შავი ვულისთქმანი, — ყველა ესენი ახორბდნენ ჩემს ქვეყანას. და აქვე მუშაობდა ვულისთქმა და მარჯვენა, თავის დასაცავად სასიკვდილოდ გამოსული, აქვე მუშაობდა თავგანწირვა, სიყვარული, იმედი. აქ სიკვდილი უკვდავებას იწმინდა და აქვე სიკვდილი, სამარცხვინო სიკვდილი იყო. აქ ჰკლავდნენ იმიტომ, რომ თავს იცავდნენ და აქვე ჰკლავდნენ იმიტომ, რომ — თავს რად იცავო. თვითეული ნაბიჯი აქ საესეა დიდი შინაარსით და მე ვკითხულობ ყველაფერს, მე დიდებულ წიგნს ვკითხულობ და ვამაყობ, რომ ეს წიგნი ჩვენი დაწერილია, რომ არც ჩვენ ვმჯდარავართ უსაქმოდ ცის ქვეშ, ჩვენ თავს ვიცავდით...

მალაობზე ვღგევიარ მე და ვერ ვძლები ცქერით, მინდა ყველა ბუჩქის ძირი დავათვალიერო, ყველა ბალახ-ბულახს გამოვკითხო ამბავი... ყველა ქვა ნანგრევიდან გადმოვავლო და სისხლის წვეთები დავითვალო ზედ. აქ ცხოვრობენ არა თუ მარტოოდენ ბუნი და ნატამალნი ღამურა და ხვლიკები, აქვე ცხოვრობს დრამა ჩვენი ცხოვრებისა, მიუწვდომი იდეალებით გაყდენთილი მოგონებანი... გადამაქვს თვალი სურათიდან სურათზე, მოგონებიდან მოგონებაზე, სტრიქონიდან სტრიქონზე და მგონია, რომ ჩვენი ისტორიის დასაწყისიდან ცოცხალი ვიყავი მე, რომ ფეხდაფეხ, კვალდაკვალ, მხარდა-მხარ დავდეფდი ჩვენს ბედს, რომ ბევრჯერ მომკლეს მე და ბევრჯერ მაწამეს, რომ ღორის ხორცის ქამა ამიკრძალეს მე და ზარების რეკა. რომ შოთა რუსთაველს და მე — ერთად გვწავდა ცეცხლში ფანატრული ბერი, რომ ჩემს ცოლს, ჩემს დას, ჩემს ქალიშვილს მიუპატიურებდა ფეოდალი, რომ მეძებარ ძალში მცვლიდა ის მე და ხშირად უღელში მამამდა ხარის მაგიერ... მეღანდება ჩემი თავი სპარსთა ბანაკში ტყვედ და აგრეთვე ხმლით ხელში ბრძოლის ველზე თავის დასაცავად. მეღანდება ქეთევან დედოფალი და თამარი... და ყველა მესაუბრება, მეუბნევა მე: შენ თავს იცავდი, თავი უნდა დაიცვა შენ დალაღვა შენი, სიკვდილია შენი. შენ თავი უნდა დაიცვა!..“

აი, ესაა ამ ნაწარმოების ლეიტმოტივი, მისი მთავარი იდეური კონცეფცია: საჭიროა თავდაცვა, საჭიროა ბრძოლა შინაური და უცხო მტრის წინააღმდეგ; მხოლოდ ასეთ შემთხვევაში წამოღება

მკვლრებით დამხობილი და გაპარტახებული სამშობლო, მბოლოდ მაშინ დაისადგურებს მასში სული ცხოველი, მბოლოდ მაშინ აღდგება და გაცოცხლდება იგი.

მაგრამ სამშობლო ქვეყნის განახლების წყურვილი, მისი ბედნიერებისაკენ სწრაფვა, აეტრას ვიწრო ეროვნულმა ინსტინქტმა არ უკარნახა; ჳოლა ლომთათიძის პატრიოტიზმი არ ეწინააღმდეგება ერთა სოლიდარობისა და თანამშრომლობის ცხოველმყოფელ პრინციპებს. პირიქით, იგი გულისხმობს მათ. ჳოლა ბოლომდე დარჩა ინტერნაციონალიზმის კეთილშობილური იდეის მქადაგებლად და სპაშობლას აღორძინებასთან ერთად, მუდამ ნატრობდა ფართე, სრულ, ძმურსა და ყოველმხრივ ურთიერთობას ხალხთა და ერთა შორის, მათ შტკიცე და ურღვევ მეგობრობას, ურომლისოდაც კაცობრიობის პროგრესი შეუძლებელია. ჳოლა რწმენით უყურებდა არა მარტო საკუთარი ქვეყნის მომავალს, არამედ მსოფლოოს ყველა ხალხთა მომავალსაც. ხალხის ძალაში დარწმუნებულ მწერალს სანატრელი სურათი ეხმანებოდა: „ვღგევარ მალლობზე და თითქოს მივღვივარ, მივიკაფავ მთას, თავს ვიცავ და იკარგება საზღვარი, იკარგება განსზვავება და მზვდება წინ სპარსი, ოსმალო, რუსი, ინგლისელი და იაპონელი და მხიარული, აღტაცებული ვაძლეე მათ ხელს და ძმურად, ამხანავურად ვკოცნი მათ“.

ამ ხანებში „გაპარტახებულ სამშობლოს“ არა ერთი მწერალი დატროდა; არა ერთი მათგანი „ეძებდა“ გზებს ან „ძველი სამშობლოს“ აღსადგენად, ანდა „ახლის“ შესაქმნელად. ზოგიერთებს, მაგალითად, შესანიშნავი ქართველი ლირიკოსის კოტე მაყაშვილის მსგავსად, „სამშობლოშივე სამშობლო დაკარგულ“ ადამიანებად მიაჩნდათ თავიანთი თავი, ხოლო ზოგიერთებს არც ძველის აღორძინება სწამდათ და არც ახლის ძიება მიაჩნდათ საქიროდ. ისინი საერთოდ ვერ გრძნობდნენ სამშობლოს გაჭირვებას და თვით „სამშობლოზე“ ლაპარაკიც, რაღაც უცნაურობად და ანაქრონიზმად მიაჩნდათ. ჳოლა პირიქით, იგი არა მარტო ხედავდა და გრძნობდა სამშობლოს საშინელ მდგომარეობას, არამედ ნათლად ხედავდა მის კაშკაშა მომავალს, ხედავდა სწორ გზას ამ მომავლის მისაღწევად. მას არა მარტო სწამდა მომავალი, არამედ მზად იყო საკუთარი სიცოცხლის ფასად შემოკლებინა მანძილი ამ ახალ თავისუფალ სამშობლომდე. სწორედ ამ განახლებული, თავისუფალი და ბედ-

ნიერი სამშობლოს ნახვისა და მოპოვების რწმენა ახარებს და ასულდგმულებს კოლა ლომთათიძეს, უნერგავს მას ძალასა და სიხარულს: „დავცქერი ჩემს დანგრეულს და მშვენიერ ქვეყანას და გული ჩემი ბედნიერია... მე ვიცი, რომ ის ჩემი იქნება და შენი კიდევ, ჩემო ძმაო. ვიცი მე, რომ დავცქერი ჩემს სამშობლოს, მაგრამ შორს არის ის ჩემგან და შენგან კიდევ, ჩემო ძმაო. დავცქერი ჩემს სამშობლოს, გული ჩემი მძლავრად სცემს და იქითკენ მიიწევს, სამშობლოსაკენ — წავიდეთ წინ და ვიკვლიათ გზა, წავიდეთ და ვკაჟოთ!.. გული ჩემი ჩქარობს, გული ჩემი ხარობს, ჩემს გულს არ ეშინია და ბედნიერ შეყვარებულს, იმედით სავსეს, მას აღარა სურს დასვენება, ის მიდის... მზე მხურვალედ გვკოცნის ჩვენ, ნიაივ გვკოცნის, ყვავილები გვიცინიან, წყარო გზას გვილოცავს, სამშობლოსაკენ მივლივართ მე და ჩემი გული, ბედნიერი ვართ ჩვენ“...

ეს სამშობლო, რომლისკენაც მიიჩქარიან კოლა და მისი გული, არის სიმბოლო სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ქვეყნისა, სოციალურ თავისუფლებისაკენ სწრაფვას, (რაც კოლას მთელ შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს) ცხოვრების მეორე პერიოდში მან დაუკავშირა ეროვნული საკითხიც და ნაციონალური თავისუფლების ლოზუნგი უწყვეტად გადააბა, სოციალური თავისუფლებისაკენ ძველ სწრაფვას. ამაშია ის სიახლე, რომელიც კ. ლომთათიძის ამ პერიოდის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებში შეიძინა. მან უფრო მტკიცედ დააკავშირა ეს ორი პრობლემა, სწორად ჩახვდა რა იმას, რომ საქართველოს ეროვნული განთავისუფლება შეუძლებელია სოციალური თავისუფლების მიუღწევლად, თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის გაცამტვერების გარეშე. მაგრამ ყოველივე ეს კოლას უხარია კიდევ იმიტომ, რომ ამით საქართველოც განთავისუფლდება. სწორედ ამ „ორმაგი თავისუფლებისაკენ“ მიისწრაფვის უტეხი კოლა, მისკენ ეძახის მკითხველს და სწამს, რომ ორთავე სურვილი აღუსრულდება.

ამრიგად, აქაც დომინირობს ის ოპტიმისტური რწმენა ქვეყნისა და ხალხის ნათელ მომავალში, რომელიც კოლას შემოქმედებას რომანტიზებულ იერს აძლევს, თავისუფლებაპოყვარეობის პათეტიკით უდენტავს მწერლის ყოველ ნაწარმოებს და მებრძოლი, შემართებული სულითა და ცხოველმყოფელი ძალით ავსებს. ტყუილად

კი არ ამბობს ამაყად მწერალი: „...მე მებრძოლი ვარ და არ შეშინია არაფრის... ამხანაგები მყავს მე, წევრი ვარ ძლიერი პარტიის, რომელმაც ქვეყანა უნდა დაიპყროს, გააბედნიეროს“.¹

აქ გამოთქმულ მოსაზრებათა საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჭოლა, ეროვნულ პრობლემას წყვეტს მებრძოლი სოციალ-დემოკრატიის პოზიციებიდან, ე. ი. ეროვნულ საკითხს სოციალურს უმორჩილებს და სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლება ეროვნული თავისუფლების ერთადერთ გზად და საშუალებად მიაჩნია.

როგორც ყოველთვის, ჭოლა ამ ნაწარმოებშიც ეხება სიყვარულის საკითხს და ამ შემთხვევაშიც ამელაგნებს ოპტიმისტურ განწყობას, ალაპარებულს სიცოცხლის წყურვილითა და არსებობის სიხარულით. „გული იშლება და იფურჩქნება, გული ცელქობს... სალაში მზის სხივებს, სალაში მზეს, სალაში სიცოცხლეს!.. თუ გიყვართ რად სტირით, მე მომბაძეთ, მხიარული იყავით, თუ გიყვართ!.. ძლიერია სიყვარული ვათარცა სიკვდილი. დიდნი წყალნი ვერ დაქრობენ იმს ცეცხლს და დიდნი მდინარენი, ვერ წალეკავენ მას — ძლიერია სიყვარული, ვითარცა სიკვდილი... მაგრამ როგორც სიკვდილი მწარე არ არის ის... ძლიერია სიყვარული, როგორც სიკვდილი, მაგრამ ძვირფასია ის, როგორც სიცოცხლე, როგორც დღევანდელი დილა... გაუშარჯოს სიყვარულს!“.

დიადი მიზანი, ნათელი იდეალები, ბრძოლის წყურვილი და რწმენა გაპარჯების გარდუევალობაში ახარებს ჭოლას, ნერგავს მასში ნათელ მსოფლშეგრძნებას: „ეჰ, ძმებო, კეთილებო, მეგობრებო, ნუ დაგიშვიათ ცხვირები, არ არის სირცხვილი ცხოვრებით აღტაცება! არ არის სირცხვილი სიცილი და მხიარულება, არ არის სირცხვილი თამაში! რა ვუყოთ, რომ დღეს-დღეობით ცუდათ გვაქვს მოწყობილი ცხოვრება, რომ ტანჯავც მეფობს ამ ქვეყანად, ჩვენ ხომ ვებრძვით მას! ჩვენ ხომ არ ვზოგავთ სიცოცხლეს, ჩვენ ხომ უკან არ ვიხევთ! და თუ შეგებდეთ შემთხვევა სიცოცხლეს გამოსაწუწნოთ სიტკბოება, გაბედულად და აღტაცებით დაეწაფეთ მას, ნუ შეგრცხვებათ!.. დატკბით, იმხიარულეთ, იმღერეთ, გაბავშვდით, ეს არ არის

¹ ამ ნაწარმოებს არა აქვს რაიმე კომპოზიციური ჩარჩო და არც მთხრობელია დასახელებული. ამიტომ, ვფიქრობთ, გვაქვს უფლება — ლირიკული გმირის ნაზრევი ავტორისეულად მივიჩნიოთ.

სირცხვილი — ცხოვრება მშვენიერებაა და აღტაცებაა საქირო იმის წინაშე!..“

ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში ქალის, ოჯახისა და სიყვარულის თემას უაღრესად დიდი ადგილი უკავია. ამ პრობლემას ჭოლა, მეტ-ნაკლებად, თითქმის ყველა თავის უმთავრეს ნაწარმოებში ეხება. ამავ თემას სპეციალურად მიუძღვნა მან რამდენიმე მოთხრობა და ნოველა, რომლებიც ამ რთული და უმნიშვნელოვანესი საკითხის მბატკრულ გადაწყვეტას ისახავენ მიზნად.

ჭოლას პოზიცია ქალის საზოგადოებრივი დანიშნულების, ცოლ-ქმრობის და სიყვარულის საკითხებში პრინციპიალურად ახალი შოვნაა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, იგი ამ საკითხსაც სოციალ-დემოკრატიული პოზიციებიდან უდგება და ახალი მსოფლმხედველობრივი პრინციპების მორჩევებით წყვეტს. ამიტომ მისი შეხედულებები ჩვენი ეროვნული მწერლობისთვისობრივად ახალი საფეხურია, ამ თემის მბატკრული გადაწყვეტის საქმეში.

ჭოლა ქალში ხედავს არა მამაკაცის ენებათაღლევის დამამშვიდებელ ობიექტს, არა მის მონა-მორჩილ არსებას და საზოგადოების მეორეხარისხოვან წევრს, არამედ მამაკაცის თანასწორუფლებიან ადამიანს, რომელიც ისეთივე დიდი ძალაა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც მამაკაცი და ამიტომ ადგილიც ასეთივე უნდა ეჭიროს.

მაგრამ ქალის ხეიღრი არა მარტო საპატროა, არამედ მეტად რთული და მძიმე. იგი არა მარტო მხარში უნდა ამოუღვეს მამაკაცს საზოგადოებრივ საქმიანობაში, არამედ, მასთან ერთად იქნეს ბურჯი ოჯახისა, მცველი ზნეობრიობისა და აღმზრდელი იმ ახალი თაობისა, რომელმაც უნდა განახორციელოს კაცობრიობის უდიდესი ნატურა — შექმნას ექსპლოატაციისაგან თავისუფალი საზოგადოება.

ამრიგად, ჭოლას შეხედულებების მიხედვით, ქალი, ერთდროულად, უნდა იყოს: მოქალაქე და პატრიოტი, პროლეტარიატის საქმისათვის მტკიცე, უშიშარი მებრძოლი და სათნო, ერთგული მეგობარი, სიყვარულსა და ორმხრივ პატივისცემაზე დაფუძნებული ახალი ოჯახის ბურჯი და მშენებელი, კეთილშობილებითა და პატიოსნებით აღსაჭე ადამიანი. ასეთია ახალი დროისა და ამოცანების სიმალღეზე მდგომი ჭოლასეული იდეალი და ამიტომაც ამითრახებს იგი ასე

დაუნდობლად ვიწრო ბუნებისა და ამორალური ქცევის ქალებს, ვისთვისაც „სამშობლო, მხოლოდ მათი/გულია“.

სწორედ იმ დიდი მისიისა და საპატიო როლს ვამო, რომელსაც ჭოლა ქალს აკუთვნებს, სძაგს მას გეტერიზმი, მოჩვენებითი ოჯახური იდილია და სიყალბეზე აგებული სიყვარული. ჭოლა შოღალატი ქალის დაუნდობელი მტერია. ასეთი ქალი მას გველზე უფრო სძაგს და ამიტომაც, რომ ყველგან კიცხავს მას, სადაც კი ამის საშუალება მიეცემა („თეთრი ღამე“ და სხვ.).

ჭოლას აზრით ცოლქმრობისა და ოჯახის საფუძველი უნდა იყოს ღრმა, გულწრფელი, ორმხრივი სიყვარული ქალ-ვაჟს შორის. თუ არ არსებობს ასეთი ქემმარტი სიყვარული, მაშინ ვერც ნამდვილი ცოლ-ქმრობა იარსებებს და ვერც ნამდვილი ოჯახი აშენდება. ასეთი აზრია გატარებული, მაგალითად, ჭოლას ბატარა, მაგრამ ამ თვალსაზრისით 'მეტად მნიშვნელოვან მოთხრობაში „ღ უ შ ი ლ ი“ (1910 წ.).

ზაფხულის ერთ საღამოს, სახეიროდ გამოხული ქმარი, ბაღის ერთ კუნჭულში შემთხვევით გადაეყრება ცოლს, რომელიც ქმრის ამხანაგთან ერთად საიდუმლოდ განმარტოვებულა. ისინი „იბზნებს გაქვავებულებივით და დასცქეროდნენ მორევს — იცქირობოდნეს და დუმდნენ... ეს დუმილიც სიმღერით საუბარი იყო... დიახ, საუბრობდნენ, ვიშ, რა გულახდილად, რა გულწრფელად, რა გარკვევით ამბობდნენ ისინი იმას, რასაც გრძნობდნენ!.. დმერთმანი, შემეხარბა მე ეს სურათი! ერთხელაც, ერთხელად არ გვისაუბრია მე — და ჩემ ცოლს ანე, ერთხელაც არ ჯვიჩვენებია ერთმანეთისათვის ჩვენი გული, ერთხელაც კი არა!..“

ამ შემთხვევამ ღრმად ჩააფიქრა ქმარი. იგი იქვეა და ბოლმამ კი არ დააბრმავა და გააფულოსა, არამედ აიძულა ახალი თვალთ დაენახა თავისი წარსული ცხოვრებაც და ცოლთან ურთიერთობაც. და ქმარი, რომელმაც აშდენი წლის მანძილზე ვერ მოძებნა ცოლთან საერთო უნა, რომლისთვისაც ცოლი, ლოგინში მასთან ერთად წოლის მიუხედავად, მაინც რჩებოდა უცხო არსებად; ვის გულში ერთხელაც არ ჩაუხედავს და არც თავისი ვული გადაუხსნია, საფსებით სამართლიანად ეკითხება თავის თავს: „მაშ რად ჰქვიოდა იმას ჩემი ცოლი? რა უფლებით მქვიოდა მე მისი ქმარი? რატომ უნდა მოვიდეს ის ამალამ ჩემს ბინაზე და ჩემთან ერთად დაწვეს! რატომ

ის და ჩემი ამხანაგი არ წავლენ ერთად, ერთ ბინაზე? და მე გამიკვირდა, მე დაუჭერებლად მომეჩვენა ის გარემოება, რომ ის ქალი, რომელიც ახლა ჩემი ამხანაგის გვერდით ზის და რომელიც სრულიადაც არ ფიქრობს ჩემზე, სრულიადაც არ ვახსოვარ მე, აი, ის ქალი, ამაღამ ჩემი იქნება, თუ მოვისურვებ — ამაღამ დავინახავ მას ტანგანდღილს... რა უფლებით? როგორ შეიძლება ეს?"

თავისი ცოლის სხვა მამაკაცთან პაემანის უნებლიეთ შემსწრე ქმარმა იგრძნო ცოლისა და მისი შეყვარებულის გულისძგერა. „დიახ, მართალია ბალზაქი — დუმილი აღამიანმა შეიძლება გაიგოს!“ — ამბობს ქმარი და გარკვევით ეამბ შეყვარებულთა ენა, მათი უსიტყვო საუბარი. „ჩვენ ერთი არსება ვართ — ამბობდა მათი დუმილი — ჩვენში ერთი სულია და ერთი გული, ერთი შინაარსი, ერთი არსება, ერთი სიმღერა. ჩვენ, განუყრელნი ვართ მუდამ, ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ... ჩვენ არ გადაეფხვებით ერთმანეთს იმიტომ, რომ თავის თავს კაცი ვერ გადაეხვევა, ჩვენ არ ვაკოცებთ ერთმანეთს იმიტომ, რომ თავის თავს ვერ აკოცებს კაცი, და არ ვსაუბრობთ იმიტომ, რომ არ არის საჭირო ენით ლაპარაკი, როცა გული ლაპარაკობს“.

ამ იღუმალმა, უსიტყვო საუბარმა, ამ მქვერმეტყველურმა დუმილმა ძალუხად იმოქმედა ქმარზე. „არც ერთხელ, არც ერთხელ ჩემს სიცოცხლეში, — ამბობს იგი, — მე არ გამომიცდია ისეთი მღჯობარეობა, როგორშიაც ჩემი ცოლი და ჩემი ამხანაგი იმყოფებოდა. ბედნიერები! მდიდრები! თავისუფლები“.

ამის შეგრძნებამ, ამის დანახვამ ახალი აზრით გააშუქა მისი გონება. ქმარს ეს აზრი განსაკუთრებით საყურადღებოა, რამდენადაც იგი გვირკევეს თვით ავტორის, ჟოლა. ღობთათიანის, აზრს სიყვარულსა და ცოლქმარობაზე. „სიცოცხლე მართო იმისთვის უნდა გვიყვარდეს, რომ სიყვარული არსებობს, — გვეუბნევა მოტყუებული, მაგრამ აწ უკვე ქეშმარიტებას მიმწვდარი ქმრის პირით ავტორი — და თუ კი სიყვარული არსებობს, მაშ რად, რად ჰქვია აი, ამ ქალს რომელიც იქ ზის, ჩემი ცოლი? რად მქვია მე, იმის ქმარი? რა უფლებით ვინ დააკანონა ეს სიცრუე და, თუ ასეთი კანონმდებელი, მისდასასირცხვოდ, არსებობს, მე რად ვლებულობ ამ კანონს, მე რად ვემორჩილები მას? მე ხომ სიყვარული მინდა და არა ცოლი? ჩემ ცოლსაც სიყვარული უნდა და არა ქმარი? მაშ რად უნდა მოვიდეს

ის ამელამ ჩემს ბინაზე, რად უნდა გაიხადოს მან ჩემს წინ ტანზე, რად უნდა დამინახოს მისი სიტყვით მან, რომლის გული ჩემთვის არა ძვერს? რად, რად უნდა იყოს ის ჩემი ამელამ, თუ მოვისურვებ? რად არ მეტყვის მე ამას ჩემი ცოლი? რად არ მეტყვის? ვერ მიგხვდები, ჰგონია განა? მე ხომ მხეცი არა ვარ, რად არ მეტყვი?“.

და ქმრის გონებაში მომწიფდა გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება შედეგია პროტესტისა ბურჟუაზიული, ფარისევლური „ქორწინების საიდუმლოების“ წინააღმდეგ, შედეგია ახალი შეხედულებისა ცოლქმრობაზე! ოჯახზე. იგი აღშფოთებულია არა იმით, რომ მის ცოლს სხვა შეუყვარდა, არამედ იმით, რომ მათ რცხვენიათ ამისა და ცდილობენ დამალონ თავიანთი ურთიერთობა, თავიანთი ჯრძობა. ქმარი აღშფოთებულია ამ ქურდული სიყვარულით, მისი აზრით, სიყვარულს აქვს თავისი შეუვალი უფლება და ყოველი აღაშინიანი სიყვარულის საკითხში სავსებით თავისუფალი უნდა იყოს. „ეხ, თქვე მზღალებო. — მიმართავს თავის გონებაში ქმარი ცოლსა და მის შეყვარებულს, — რათ იხდით ბოღიშა, რა დააშავეთ; რათ გეშინიათ სიცოცხლისა და ბედნიერებს — ვინ, ვინ ჩანერგა თქვენს გულში ასე მტკიცეთ ცრუმორწმუნეობა, ვინ დაგიმონაგათ თქვენ... თუ თქვენ მონები ხართ, მე თავისუფალი კაცი ვარ და მე გასწავლით თქვენ, როგორ უნდა მოიქცეთ, მე გასწავლით, თქვე საცოდავებო!“.

ნაწარმოების გმირმა მართლაც „ასწავლა“, როგორ უნდა მოიქცეს ჭეშმარიტი სიყვარულის ყოველი პატივისმცემელი: მან მისწერა მოკლე ბარათი ცოლს, გაანდო თავისი აზრი და საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადავიდა, რათა ხელი არ შეეშალა ნამდვილი სიყვარულისათვის და ამ ნამდვილ სიყვარულზე აგებული ოჯახს დაფუძნებისათვის. მოთხრობის ფინალს ქმრის მონაყოლი გვამცნობს: „მე ეხლა ტფილისში ვქუშაობ. ჩემი ცოლი №-ში მასწავლებლობს, იქვეა ჩემი ამხანაგიც. ისინი ტკბილად, ბედნიერად ცხოვრობენ. გუშინწინ წერილი მივიღე, ვაჟი შესძენიათ და ჩემი სახელი დაურქმევიათ“.

ამრიგად, ამ ნაწარმოებში ჭოლა სულიერსა და ფიზიკურ ერთიანობაზე აგებული ცოლქმრული კავშირის მქადაგებლად გვევლინება და უარყოფს ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ გარეგნულსა და ფარისევლურ კავშირს, გარდუვალი გეტერიზმითა

და ღალატით, ცხოველური ინსტინქტებითა და ფულზე დახურდავე-ბული მორალით.

ქალის მაღალი დანიშნულების ქადაგებას ემსახურება ჟოლას მეორე მცირე ზომის მოთხრობაც—„მოღალატე“ (1910წ.). ამ ნაწარმოებში შეუერივებელ და პრინციპულ ავტორს, ქალის ღირსების საზომად მიაჩნია არა მოშინბვლელი გარეგნობა, არამედ მისი მოქალაქეობრივ-საზოგადოებრივი ვარგისიანობა. როგორც ჟოლას სხვა ნაწარმოებში (მაგალითად, „პირველ მაისში“) აქაც მოთხრობის მთავარ პერსონაჟს უყვარს ქალი იმ წვლილისათვის, რომელიც ამ უკანასკნელს რევოლუციისა და ხალხთა განთავისუფლების საქმეში შეაქვს. ჟოლას გმირისათვის პირადული და საზოგადოებრივი ერთ მთლიანობაშია მოცემული. ამ მამაკაცს არ წარმოუდგენია საყვარელი ქალი, რომელთანაც მას არ ანათესავებდეს, უპირველეს ყოვლისა, იდეური და კლასობრივი ინტერესები; არ წარმოუდგენია უყვარდეს ისეთი ქალი, რომელიც არათუ არაა მტრის მხარეზე, არამედ არ გრძნობს უღიღეს. სიძულვილს იდეური და კლასობრივი მტრების მიმართ, ქალი რომელიც ნეიტრალურ, ყველასადმი ლოიალურ პოზიციებზე დგას.

ავტორი მოთხრობელის პირით პირდაპირ გვიცხადებს: „დიდ როლს ვაძლევ მე დედაკაცს საზოგადოებრივ ბრძოლაში, მას დიდი ძალა აქვს მგონია“... და აქვე გამოთქვამს თავისი იდეურ-კლასობრივი პოზიციის გამომხატველ აზრს: „მე იმდენად არ მაკვირვებს რეაქციონერი კაცი, რამდენად ქალი. რეაქციონერი ქალი — ეს ბუნების კანონების თავდაყირა დასობა მგონია... მე ვიცი, რომ სისულელეა ეს, მე ვიცი, რომ დედაკაცზედაც ისე მოქმედებენ წრე და კლასობრივი ინტერესები, როგორ მამაკაცზე. ვიცი, რომ დედაკაცი არ ჩამოუვარდება მამაკაცს სისასტიკესა და სიწამლდრეში, მაგრამ მოუხედავად ამისა, მე მაინც მაშფოთებს დედაკაცი — რეაქციის მომხრე“.

ამ პაწია მოთხრობის სიუჟეტი ასეთია: რევოლუციონერ ვაჟს, გაგვიყვარდა ლამაზი ქალიშვილი, ლოლა დეიძე. მათ ერთმანეთს ცოლქმრობის პირობა მისცეს, მაგრამ ვაჟი, რომელსაც დიდი ხანია პოლიცია დაეძებდა, დააპატიმრეს და საგუბერნიო ციხეში ჩასვეს. საპატიმროში მან ორი წელი და ათი თვე დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში არ იყო დღე და საათი, რომ ტუსაღს ლოლაზე არ ეფიქ-

როს. ვერაგმა ლოლამ კი მხოლოდ ერთხელ მოიგონა უბედური შეყვარებული და ახალ წელს მოლოცვის მოკლე ბარათი გაუგზავნა მას. ციხიდან განთავისუფლებიან შემდეგ ვაჟი შემთხვევით გადაეყრება ჟანდარმის ოფიცერთან მხიარულად მოსეირნე ქალიშვილს. აღმოჩნდება, რომ ეს მოარშიყე ქალიშვილი სწორედ ის ლოლა დეიძეა, რომელიც მას ესოდენ უყვარდა და უყვარს. ვაჟი თვალებს არ უჯერის — „ცივმა ჟრუანტელმა ფეხის თითებამდე გამიჩრბინა და თვალსაც თითქოს სიბნელე გადაეფარა. ეს ვინ არის? ნუთუ ლოლა? ნუთუ ლოლა არის ეს ქალი?“.

მაგრამ ყველაზე მთავარი და ხაზგასასმელი აქ შემდეგია: ვაჟს ეწყინა არა იმდენად ის, რომ ქალი უცხო მამაკაცთან მოსეირნე დაინახა, არამედ ის, რომ ეს უცხო მამაკაცი — „ყაზახების ოფიცერია. ტანადი, აწოვანი, ლამაზი ყაზახთა ოფიცერი“. კოლას პერსონაჟი შედარებით უნებელია იმ გარემოებით, რომ მისი მეტოქე, მისი „რაცხიფი“ ერთ-ერთი მეთაურია იმ ყაზახებისა, რომელნიც თვითმპყრობელური რეჟიმის პირობებში ხალხთა ხოცვა-ჟლეტის, მხეტური წამების ოსტატები იყვნენ და ნაცუმციირესობათა ეროვნული დისკრიმინაციის, სხვადასხვა ეკზეკუციების, პოგრომების, სისხლიანი დარბევების განსახიერებად გვევლინებოდნენ; ვინც თვითმპყრობელური რეჟიმის ერთ მთავარ ბურჯსა და ერთგულ დამცველს წარმოადგენდა.

უფრო ამიტომ შესძავდა ვაჟს ქალი, მიუხედავად იმისა, რომ მას გაგიყებით უყვარდა იგი, უყვარდა იმ წუთშიაც კი, როცა სხვათაგან ხელი-ხელ გაყრილს ჰედავდა: „ვუცქერდი მას და თან ვგრძნობდი — რა ღრმად, რა ძლიერად, რა უსაზღვროდ მყვარებია მე ლოლა“. როცა ქალმა იცნო ვაჟი, როცა მან „საჩქაროდ გამოაძრო აფიცერს მკლავი მკლავიდან“ და სიხარულით წამოვიდა ვაჟისაკენ, ამ უყანასუნელმა ქალის ცბიერი ღიმილისა და მისალმების პასუხად ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და ცივად, სასტიკად უპასუხა მას: — „თქვენ შეცდით, ქალბატონო, მე თქვენ ვერ მიცნობთ, — და უფრო დაბალი ხმით დაეუმატე: — ჩემი მეგობრები აფიცრებთან როდი დადიან!“.

ასეთი მკაცრი, სასტიკი მოქცევა ქალთან, რომელსაც აღმერთებდა და რომელიც თავისთავზე უფრო ძალუმაღ გიყვარს, მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის ადამიანებს შეუძლიათ, ადამიანებს, რომელნიც მაღალი საკაცობრიო იდეალებით ხელმძღვანელობენ და ვაჟმაც იმი-

ტომ შეიძლება ქალი, რომ იგი თავის იდეურსა და კლასობრივ მტერთან შერიგებული, მასთან შეხმატკბილებული დაჩანახა. ვაჟმა დასძლია სიყვარული და უღიღესი სულიერი ტკივილს მიუბნედავად, საბუღალდო მიატოვა საყვარელი აჩუბება. როდესაც ვაჟმა ქალი მისალმების ღიზსადაც არ გაბადა და ხელი არ გაუწოდა, ლოლა დიქემ — მოგვითხრობს ვაჟი, — „საჩქაროდ შემებრუნა“ პირი და აფიცრისაკენ წავიდა და მე მომინდა უცებ გამოვკიდებოდი უკან მას, დავცემულიყავ მის წინაშე და ავტირებულიყავ, ბოღში მომეხადა. მეთქვა, რომ მიყვარდა ის და მეტი არავინ, არავინ... მაგრამ ყველა ამის მაგიერ, როცა ისა და მისი კავალერი გაუღდნენ გზას და როცა ერთხელ მან უკან მოიხუნდა, მე გადავაფურთხე მისკენ“.

ქოლამ არა ერთხელ დაგვიხატა სიყვარულის უარყოფა თვით ამ სიყვარულისავე გულისთვის, სიყვარულის უარყოფა ამ გრძნობის სიწმინდის შესაძარჩუნებლად, მისი შეუბღალაობისათვის, მისი კეთილშობილურობის დასაცავად. ამ შემთხვევაშიაც ასეთივე მდგომარეობა გვაქვს: ვაჟს უყვარს ქალი, მაგრამ ვერ უპატივბოა, რომ საყვარელი ადამიანი ხალხის ამწიოკებელთან, შიგვკრელთან, კლასობრივ მტერთან დაინახა — „ურცხვი, ურცხვი, ურცხვი, ვისთან სეირნობს! ფუ!.. ვისთან. სეირნობს!.. შეხეთ ვისთან სეირნობს! სოფლებს არბევენ და ეს კი ვისთან სეირნობს! ჩვენ სატუალღობში ვყრივართ, ჩვენ სახარობელაზე გეგზაუნდან და ეს კი ვისთან სეირნობს.. ვიდექი ერთ ალაგას ვიდფურთხებოდი და ვიძახადი: ურცხვი! ურცხვი! ურცხვი!“

ექსპლოატაციანზე დაფუძნებულ საზოგადოებაში მყოფი ქალის უუფლებო მდგომარეობის მართალი სურათია მოცემული მოთხრობაში „უბედური“ (1912 წ.), რომელიც განსაკუთრებით იმ მხრითაა საყურადღებო, რომ მასში მოიხმის თამამი და ხმაჟალალი მღწობება ქალთა ემანსიპაციისაკენ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ფართე მონაწილეობისაკენ, მოწოდება „მაღალი ქალობისაკენ“. ავტორმა მიზნად დაისახა ხორცშესხმულად ეჩვენებინა მის წარმოსახვაში არსებული იდეალური სახე ქალისა, რომელიც არა მარტო ქალურ-სექსუალური ბუნების მატარებელია, არამედ მოქალაქე, მოღვაწე, პატრიოტი, თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი. ეს ნაწარმოები ფრიალ საყურადღებოა ქალთა საკითხზე ქოლას შეხედულებების მართებულად გააზრებისათვის.

„უბედური“ ეპისტოლარული სტილით დაწერილი მოთხრობაა. იგი წარმოადგენს საყვარელი ქალისადმი მიწერილ ბარათს, რომელშიაც მისი დაწერილი თავის გრძნობებს გადაუშლის ქალს. წერილის მინაწერში ავტორი (ჟ. ლომთათიძე) გვაპცნობს, რომ მას შემთხვევით ხელში ჩაუვარდა ეს ბარათი და აქვეყნებს მას. — „როგორც ახირებულ საბუთს“. ამრიგად, აქაც იმავე კომპოზიციურ ჩარჩოსთან ვვაქვს საქმე, როგორც კოლას ზოგიერთ სხვა მოთხრობებში.

ნაწარმოები დაწერილია მომხიბლავი გულწრფელობით. ავტორისათვის დამახასიათებელი ლირიკული ექსპრესიის მიუხედავად, მოთხრობა გულდინჯი ეპიკოსის ქმნილებას მოგვაგონებს და მასში მრავალადა ჩართული ქემმარტი რეალისტურობით და შთამბეჭდაობით შესრულებული სურათები იმდროინდელი ყოფისა.

პატიმრობის პირველ წლებში (განსაკუთრებით, 1907-10 წლებში), კოლას ნაწერებში სიუჟეტის როლი და მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო სუსტდება და იგი ნაწარმოების მხატვრულად მაორგანიზებელი ფაქტორიდან, ერთი მთლიანი ხერხემლიდან, იდეურ-თემატური მხარის მთავარი ძარღვიდან — რაღაც მეორე ხარისხოვან, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიმაღ იქცევა. გარემოს რეალისტურ სურათს სულ უფრო მეტად ენაცვლება გრძნობისა და განცდის აღწერა და ამგვარი ნაწარმოები მთლიანი სურათის ნაცვლად წარმოგვიდგება დაუსრულებელ ლირიკულ ეტიუდად, პირადი განცდის „ჩანახატად“, რაღაც გრძელ ლირიკულ წიადსვლად.

აქ, კი სხვა შემთხვევებთან ვვაქვს საქმე: მოთხრობა „უბედური“ თავისი ლირიკული წიადსვლების და მასში გადმოცემული განცდებისა და გრძნობების დეტალურ აღწერათა მიუხედავად, სიუჟეტური ნაწარმოებია, რომელაც საკმაოდ ცხოვლად და დამაჭერებლად გვიხატავს თანამედროვე სინამდვილეს.

„გულამშიერი“ აზნაურის ქალი, ქეთო, მშობლებმა ძალით მიათხოვეს მდიდარ ვაჭარს, ჯიბილო დვალაძეს. ქეთოს კი სხვა უყვარდა, ჯერ ვიღაც მასწავლებელი, მერე ახალგაზრდა ვაჟაკი სინო. ამავე დროს, ქეთო ბავშვობიდანვე უყვარს მეორე ახალგაზრდას — სანდროს (მოთხრობის გმირი, რომლის პირითაც მიმდინარეობს თხრობა), მაგრამ ქეთომ ეს არ იცის. და აი, სანდრო გადაწყვეტს გაუგზავნოს საყვარელ ქალს ბარათი, რომელშიც სურს გადაუშალოს თავისი გულის ნადები და ამავე დროს, ამხილოს საყვარელი ქა-

ლის უზნეობა. სწორედ ეს წერილია მოთხრობის ძირითადი ნაწილი. სანდროს სასიყვარულო ბარათში ბევრი ადგილი ეთმობა წარსულის მოგონებას და ეს წარსულს სურათები მხატვრული თხრობის შესანიშნავ პასაჟებს ქმნიან. „უბედურში“ კიდევ ერთხელ გამოჩნდა ქ. ლომთათიძის ჩინებული უნარი ეპიკური ამასხველობისა, დრამატუზებულ სიტუაციების რეალისტურად გადმოცემისა, პერსონაჟთა მეტყველი პორტრეტების შექმნისა, გმირთა ენობრივი დახასიათებისა.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარია არა ეს, არამედ ავტორის მიერ სანდროს პირით გამოთქმული შეხედულებები ქალის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე, მის როლზე, უზნეობასა და მოქალაქეობრივ როლზე. აი, რას წერს სანდრო საყვარელ ქალს: „უბედური კაცი ვარ, ქეთო, შეიძლება უმთავრესად იმიტომ, რომ ქართველი კაცი ვარ, იმიტომ, რომ ქართველი ქალი მიყვარს. ოცდაექვსი წლისა ვარ ეხლა, დაეყვაცებული, მოქმედების გარკვეული პროგრამით. ექვიანობის, ძიების დრო წავიდა. მე მწამს, რომ კეშმარიტია ჩემი გზა, მწამს, რომ განხორციელდება ჩემი მიზანი. მე კი მაინც უბედური კაცი ვარ. იმიტომ, რომ... აბა ერთი ის რად ღირს, ქეთო, რომ ამ წერილს, ამ აღსარებას გწერ, უსინდისო დედაკაცს, შენ, რომელიც ერთ და იმავე დროს რამდენიმე კაცს ეკუთვნი, შენ რომელიც ქმარს ეალერსები იმიტომ, რომ მდიდრულად გინახავს, ხოლო სინოს კი იმიტომ, რომ ის ახალგაზრდაა, ჯანმრთელია და ლამაზი... წაბილწულია შენი სული და შენ კი გწერ ამ წმინდა წერილს, ამ მოთხრობას სუფთა გრძობისას“.

სანდროს ვერ უპატიებია ქეთოსათვის, რომ იგი ცოლია იმ კაცისა, „რომელიც არ ღყვარდა, რომელსაც მიჰყიდეს“. რომ იგი პირფერობს საძულველ ქმართან, ემორჩილება მის სურვილებს, ეალერსება, კოცნის მას, ხოლო ზურგს უკან კი ღალატობს. „სამი შვილის დედა ხარ და შენ, და დედა — სხვისი საყვარელი ხარ! შენ ჰღალატობ ქმარს“. ამ მოთხრობის გმირი — სანდრო, ისეთივე დაუნდობელია უზნეო აღმანიებზე მიმართ, როგორც თვით ქოლა, რომელმაც არ იცის მოღალატეთა პატიება და შეწყალება. მისი აზრით, უსინდისობაა არა მარტო ღალატი ქმრისა, არამედ ცხოვრება უსინდისო ქმართანაც. „პატიოსანი ქალი უსინდისო ქმარს უნდა გაშორდეს, თორემ მეძაობაა ასეთი ცხოვრება“.

ამგვარად, აქ მოჩანს ის ძირითადი პრინციპები, რომელიც, საერთოდ, დამახასიათებელია ქოლასათვის, როგორც ახალი მორალის მქადაგებლისათვის. მხოლოდ ერთში ემადლიერება. სანდრო ქეთოს, ვისი ცხოვრების მაგალითზედაც მან დიდი გამოცდილება და მწარე, მაგრამ სასარგებლო გაკვეთილი მიიღო: „შენი წყალობით, — წერს იგი ქეთოს, — ვიცი, მე თუ რა გარყვნილებაა, რა საზიზღრობაა, როცა დედაკაცი აღვიძებს მხოლოდ სქესობრიობას...“

სანდრო, რომელიც ასეთი პირდაპირობით ამხელს ქეთოს უზნეობას, გამოაქვეყნა აზრს, ნიშნულს და დამახასიათებელს თვით ქოლასთვის. ეს აზრი ერთგვარი მეთოდი და ხერხია, რომლითაც ქოლასათვის ნაწარმოებებში გამოყვანილ ქალთა დადებით ხასიათებს ხატავს. „როცა მე სიყვარულში ვტყუვდები, — ამბობს სანდრო, — თავს როდი ვიკლავ, დანაკარგი როდი მსპობს, წელში როდი მტეხს... იცი რატომ, ქეთო? იმიტომ, რომ ის, ვინც მე მიყვარს, თურმე ჩემივე შემოქმედების ნაყოფია. მე ვაპატიოსნებ... მე ვაკეთილშობილებ... ყველა ღირსებას მე ვანიჭებ უსულო არსებას... მე დონკიხოტი ვამაღლებ ალდონსას მშვენიერ დულცინეამდე... და როცა ჩემს დულცინეს სინამდვილე სხვანაირად მაჩვენებს, ვეძებ სხვას, სხვა ალდონსას, რათა ეხლა ის ვაქციო დულცინეად“.

ეს მართლაც აღსარებას ჰგავს: დადებითი გმირების ჩვენებისას ქოლა ზშირად გვაწვდის არა იქამინდელ ქალთა ნატურალისტურ ფოტოსურათებს, არამედ წარმოსახვით შექმნილ ტიპიზირებულ სახეებს, გაშუქებულს მომავლის იდეალური თვისებათა ასპექტში; ე. ი. იმ მომავალ დადებით თვისებათა ასპექტში, რომელიც, მისი აზრით, აუცილებლად უნდა შეიძინონ „ხვალინდელი დღის“ ქალებმა.

რასაკვირველია, ნათქვამი იყო არ უნდა გავიგოთ, ვითომც ქოლას მიერ შექმნილი ქალის ყველა დადებითი ხასიათი მხოლოდ წმინდა წარმოსახვის შედეგია და რომ ავტორი ვერ ხედავდა, ვერ პოულობდა გვირ ქალებს თანამედროვეთა შორის. ქოლას მიერ ასახული გვირ ქალთა სახეები შთაგონებულია იმ რეალურად არსებულ მოღვაწე ქალებით, რომელნიც მამაკაცებთან ერთად სქედდნენ ქვეყნისა და ხალხის მომავალს. ქოლა ხედავს მათ, უყვარს ისინი; აღტაცებულია მათი სიამაყითა და სიმტკიცით, საზრიანობითა და თავდადებით, მაგრამ იგი ამაზე როდი ჩერდება; იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქმნის „იდეალურ ქალთა“ სახეებს, ე. ი. კიდევ უფრო ხვეწს,

ამკვეთრებს, აკეთილშობილებს რეალურად არსებული ხასიათების დადებით თვისებებს და „სინამდვილის ტიპიურ“ სახეთა პარალელურად, „მომავლის ტიპიურ“ არსებებსაც გვიხატავს.

თავისი პოზიციის ცხადსაყოფად სანდრო ვრცლად გადმოსცემს სიუჟეტს შ. არაგვისპირელის ნოველისას „ჩემი სამშობლო ჩემი გულია!..“ (რომელიც დაახლოებით ამავე ხანებშია დაწერილი)¹ და ამ ნაწარმოებში დიდ სიმართლესა ხედავს. სანდრო (ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, თვით ჭოლა) საესეებით ეთანხმება შ. არაგვისპირელს და თავის მხრივ. ნახევრად პუბლიცისტური ფორმით, მეტად პირდაპირ და ჭიქურად გამოთქვამს მოსაზრებებს, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ თვით ჭოლა. ლომთათიძის აზრად ქალთა იმჟამინდელი მდგომარეობისა და აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში მათი ჩაბმის პერსპექტივების შესახებ.

„უბედურში“ მოცემულია ქართველი ქალის შეფასება საზოგადოებრივი თვალსაზრისით და ის იდეალები, რომელიც ჭოლას ქალთა კემშარტი ემანსიპაციის სფეროში ჰქონდა. „წარსული მე-19 საუკუნის განმავლობაში ქართველ ქალს შეიძლება დაეძლია სიყვარული. იმიტომ, რომ შეაჩერებდა იმას მოვალეობა ქმრის, შეიღებების წინაშე, საზოგადოების წინაშე. მაგრამ მოვალეობა სამშობლოს წინაშე, მოვალეობა საზოგადოებრივი მიმართულების წინაშე, განა ეს მოვალეობა იცოდა ქართველმა ქალმა? განა ეხლაც, ქეთო, ეხლაც ეს მოვალეობა აქვს მას შეგნებული?“..

აი, სწორედ ამაზე ჩივის ავტორი. ეს პათეტიკური კითხვა, იმავე დროს, ლეიტმოტივია. რომელიც არა მარტო ამ პაწია მოთხრობას გააყვება თავიდან ბოლომდე, არამედ ჭოლას სხვა ნაწარმოებებსაც. „აქვს თუ არა თანამედროვე ქართველ ქალს თავისი მოვალეობა შეგნებული?“ — აი, ჭოლას სატკივარი, რომელიც თავს არ ავიწყებს მას და აიძულებს განუწყვეტლივ იოცნებოს იმ დროზე, როცა ქალი იქნება ერთსა და იმავე დროს კემშარტი მოქალაქე, სახალსო საქმისათვის თავდადებული მებრძოლი, მამაკაცის ერთგული მეგობარი, კლემამოსილი სატრფო, ნაზი დედა და ახალი თაობის უნარჩანი აღმზრდელი.

1. შ. არაგვისპირელის აღწერილი ნოველა დაიწერა 1909 წელს, ხოლო ჭოლას „უბედური“ 1912 წელს.

ქ. ლომთათიძემ ამ მოთხრობას საგულისხმო სათაური მისცა — „უბედური“, უბედური აქ არის არა არჩევანში შემცდარი და სიყვარულში დამარცხებული, მაგრამ წმინდა გრძნობის მატარებელი სანდრო, არამედ ზნეობრივად დაცემული, კაპიტალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელი გეტერიზმის გზაზე შემდგარი ქეთო, ქალი, რომელიც სულით ხორცამდე გახრწნა სოციალურმა სინამდვილემ და ამ სინამდვილით წარმოქმნილმა გაიძვერა ჯიბილოებმა. სწორედ ამ გარემოებამ დასწყვიტა ავტორს გული, ამიტომ მიაჩნია მას უბედურად ქეთო (თუმცა, შესაძლოა, ქეთოს სრულიადაც არ მიაჩნია თავი ასეთად) და არა სანდრო, მიუხედავად იმისა, რომ უბედურად იგი თავის თავსა თვლის.

ამრიგად, მოთხრობა „უბედური“ ესაა ქადაგება ურთიერთ პატივისცემაზე, ურთიერთნდობაზე, თანასწორობაზე დაფუძნებული ახალი, წმინდა ოჯახისა და უმწიკვლო ცოლქმრული სიყვარულისა, — როგორც მტკიცე ოჯახის მყარი საძირკველისა. აქ იგრძნობა შ. არაგვისპირელის ერთგვარი გავლენაც. მაგრამ ამ შემთხვევაში ჭოლა სრულიად სხვა გზით მიდის და სრულიად სხვა იდეას ქადაგებს ვიდრე შ. არაგვისპირელი. ძირითადი განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ ჭოლას მთავარი ამოცანა პოზიტიურ ხასიათს ატარებს; ესაა ახალი იდეალის ქადაგება და ახალი მორალის, ადამიანთა შორის ახალი ურთიერთობისაკენ მოწოდება. რაც შეეხება შ. არაგვისპირელს, მას როგორც კრიტიკულ რეალისტს, უმთავრესად, არსებულის უარყოფა, მისი მზილება, გაკიცხვა და სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ მკითხველის ამხედრება აინტერესებდა.

„მე კაცისა“ ლომთათიძის ყველაზე ვრცელი ნაწარმოებია, იგი გამოქვეყნებულია დაუმთავრებელი სახით, რადგან მისი დასასრული დაკარგულად ითვლება.

„მე კაცისა“ დაწერილია 1912 წელს, ე. ი. ჭოლას სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში, რამაც თავისებური დალი დააჩნია მას. უბრალო ნვალესი მხატვრულობით შექმნილი პასაჟების პარალელურად ნაწარმოებში ჩართულია ნაჩქარევად შესრულებული და მხატვრულად სუსტი ეპიზოდები. გარდა ამისა, ხშირია განმეორებანი და აღრინდელ ნაწარმოებთა ცალკეული მომენტების რემინისცენციები.

მოთხრობას არა აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სიუჟეტი. ამის მიზეზი, შესაძლოა, მოთხრობის იდეურ-თემატურ მრავალპლანიანობაშიც მდგომარეობდეს. ნაწარმოებში (სხვადასხვა ოდენობრივი შეზავებით, კომპოზიციური სტრუქტურით და იდეურ-მხატვრული ინტერპრეტაციით) თავს იყრის ყველა ის თემატიკური რკალი, რომელიც სხვადასხვა დროს ჯოლას ადრინდელ ნაწარმოებებში გამოვლინდა. მაგრამ, ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოების მთავარ ღერძს, რომელსაც სიუჟეტური შენაკადები უკავშირდებიან და რომელზედაც ასხმულია ამ რთული ნაწარმოების მკვეზავი თემატიკური რკალები, წარმოადგენს ქალისა და სიყვარულის პრობლემა.

მაგრამ ავტორის ინტერესი მხოლოდ ამ პრობლემით როდი შემოიფარგლება, თუმცა ქალისა და სიყვარულის თემა აქ უმთავრესი საკითხია, ნაწარმოებში დიდი ადგილი ეთმობა ჯოლას შემოქმედებისათვის დამახასიათებელ სხვა პრობლემებსაც (განსაკუთრებით, სატუსაღოს თემას და რეაქციის დროინდელი სინამდვილის რეალისტურ აღწერას).

ამ ნაწარმოებში, რომელიც უფრო ფსიქოლოგიური პროზის ქანრს განეკუთვნება, მრავლადაა ჩართული ცალკეული ეპიზოდები, რომლებშიც ავტორი იმდროინდელი სინამდვილის რომელსავე კონკრეტულ მხარეს, ან მოვლენას აგვიწერს. ამგვარი ჩართული ეპიზოდები შესრულებულია დამახასიათებელი რეალისტურობით, დიდი ექსპრესიით და მეტყველი ლაქონურობით. ავტორისათვის საკმარისია ორიოდვე შტრიხი მართალი და შთამბეჭდავი სახის შესაქმნელად (ასეთია: მაგალითად: შესანიშნავი ოსტატობით შესრულებული სცენები სატუსაღოში, რომელთაც ნაწარმოებში დიდი ადგილი ეთმობათ. ამ სცენებში: ისევე, როგორც გიორგისა და ნინოს ურთიერთობაში, მრავალი ავტობიოგრაფიული დეტალი შეინიშნება). მიუხედავად იმისა, რომ „ძე კაცისაში“ ადამიანთა განცდები, უმრავლეს შემთხვევაში, გადმოცემულია ფსიქოლოგიური სიღრმით და მხატვრული გამოკვეთილობით, ხანდახან, პერსონაჟთა სულიერი ცხოვრების აღწერისას, მხატვრული მხარე აშკარად მოისუსტებს. აქაიქ შეინიშნება სხვა ნაკლოვანებებიც (ამბავი ალაგ-ალაგ მეტად გაჭიანურებულია, სტილი ხორკლიანი, სიუჟეტი მოდუნებული: სურათებს მხატვრული ექსპრესია აკლია).

ნაწარმოების სიუჟეტური ქარგა ასეთია: რევოლუციონერი გიორგი სიამაშვილი საპყრობილეში ჩასვეს. გავიდა ორი წელი და გიორგის ცოლმა, ნინომ, სხვა შეიყვარა. ნინომ მისწერა სატუსაღოში ქმარს წერილი და თავისი განზრახვა შეატყობინა. მან აცნობა გიორგის. რომ გადაწყვეტილი აქვს გაშორდეს მას და გაჰყვეს ვასო ზამბახიძეს. გიორგი მეტად დინჯად და ობიექტურად მიუდგა ცოლის გადაწყვეტილებას. „სიყვარული ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა. — ფიქრობს გიორგი, — ის ისე სჭირია კაცს, როგორც საქმელი. რომელი კვლავთამყოფი იტყვის აბა — რაკი ესაა და ეს მასალა საქმელისა არ არის, მეორე არ იხმარო!.. არა, ვერც ქალი შეიძლება ამდენ ლოდინს, მით უმეტეს, ვერც კაცი. და გინდა თუ არა — შე გახსოვდეთ!.. ერთი მითხარით, — ჩვენ ის ველურება ხომ არა ვართ, მიცვალებულ ქმარს რომ ცოლს დააკლავენ ხოლმე თავზე!“

გიორგიც ხომ „მიცვალებული“ იყო. „— რა უფლება გაქვს შენ, გიორგი ადამაშვილო, მოსთხოვო შენს ცოლს, ჩემი სიკვდილის შემდეგაც ჩემი ცოლი იყავიო!“ — ეკამათება თავის თავს გიორგი.

მაგრამ ამ თითქოსდა ლოგიკური დასაბუთების მიუხედავად მიტოვებული ქმარი მტკივნეულად განიცდიდა თავის მდგომარეობას. განსაკუთრებით ეცოდება გიორგის თავისი პატარა ბიჭუნა ჟორჯიკი, რომელსაც დედის ამგვარი საქციელი აუცილებლად მრავალ ტკივილს მიაყენებს და შესაძლოა ცხოვრებაც კი გაუმრუდოს. არანაკლებ განიცდის თავის საქციელს თვით ნინოც, რომელსაც დაუფიქრებელი ნაბიჯი გადაუდგამს და ვასოს დაკავშირებია. ის საბედისწერო წერილიც ქმარისადმი, რომლითაც იწყება მოთხოვნა, ნინოს ანგარიშმიუცემლად დაუწერია და ახლა სასტიკად ნანობს. გონზე მოსული ქალი მწარედ გალანძღავს შეძლებულ საყვარელს და თავიდან მოიშორებს მას. აი, რას ეუბნება იგი ვასოს: „გიორგი ჩემს გულში შეუტყვევლად ზის... მე აზრადაც არ მომსვლია არასოდეს, რომ გიორგის ვულაატებდი და ერთხელაც არ მიმიღია ზომები თქვენს წინააღმდეგ... თქვენ კი ისარგებლეთ ჩემი წუთიერი სისუსტით... დღეს ეს წარსულია უკვე, ვასო, და გეუბნებით გულახდილად, რომ თქვენ ყოველივე ფასი დაკარგეთ ჩემს თვალში“.

ნინოს ზიზღსა გერის და აშფოთებს ის გარემოება, რომ ზო-

გიერთნი — „რაკი მას კაბა აცვია და დედათა სქესს ეკუთვნის, აუცილებლად სხვანაირი თვალით უცქერიათ“. მორალისა და ეთიკის საკითხებში ნინო მკაცრია არა მარტო სხვათა მიმართ, არამედ (შესაძლოა უფრო მეტადაც) თავის თავის მიმართ. ლალატი მას გაცილებით უფრო ფართოდ ესმის: „სიცრუეა, როცა ამბობენ. დედაკაცი მაშინ ლალატობს ქმარს, როცა ფიზიკურად ლალატობსო. არა, დედაკაცი პირველად ლალატობს ქმარს მაშინ. როცა რწმუნდება — ამასა და ამას მე ვუნდივარო და როცა ეს, მას სიამოვნებას ჰგვრის. აი, პირველი ლალატი, ნამდვილი ლალატი. შემდეგ კი გაგრძელებაა ამ ლალატისა და მეტი არაფერი. როცა დედაკაცი ამჩნევს მოტრფიალეს და არ იღებს ზომებს იმის წინააღმდეგ — აი, ლალატი, ნამდვილი ლალატი“.

ბუნებით პატიოსანი და ალაღმართალი. ნინო სინდისის მძიმე ქენჯნას განიცდის ხოლმე, როცა წარმოიდგენს, რომ ადრე იგი თვით იყო ასეთივე გრძნობის ტყვეობაში და, მაშასადამე, ამით უკვე უღალატა ქმარს. მიუხედავად იმისა, რომ ხორციელად საყვარელს არ დაკავშირებია და ვასომ მხოლოდ ერთხელ აკოცა მას. სიძულვილი ვასოსადმი ნინოს კიდევ უფრო გაუძლიერდა მას შემდეგ, როცა მან უოველ მხრავ აწონ-დაწონა თავისი ურთიერთობა მასთან და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ვასოს არცთუ ძალიან ეწყინა თავისი მეგობრის გიორგის დაპატიმრება. პირიქით, ნინო ახლა დარწმუნებულია, რომ ვასოს გულში გაეხარდა კიდევ ეს გარემოება. რადგან იმედი ჰქონდა, რომ მის ცოლს გადაიბირებდა. „რამდენად მხეცია თურმე ადამიანი, — ფიქრობს ნინო, ვინ უწოდა მას ძე კაცისა, როცა ის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი არის მხეცისა! რამდენად მხეცია თურმე ადამიანი! აკი ისიც (ე. ი. ვასოც — გ. ც.) აცეკვდა, ათამაშდა მეგობრის საფლაგზე — მისი ქონება დამრჩებო“.

ავტორი თუ ნინოს დიდი სიმპატიით ეპყრობა, სამაგიეროდ, მთელ სიძულვილს ვასო ზამბახიძისადმი ამჟღავნებს. მას სძულს ეს გაიძვერა ადამიანი, რომელიც შემაზრზენი ცინიზმითა და დაუნდობლობით ბილწავს მეგობრის წმინდათაწმინდას. აი, რას ეუბნება ანგარებიათი ეგოისტი ვასო ზამბახიძე საპყრობილეში მჯდარო მეგობრის, გიორგი ადამაშვილის ცოლს, ნინოს, რათა ისარგებლოს ქალის წუთიერი სისუსტით და იგი თავის მხარეზე გადაიბიროს, სამუდამოდ დაიხლოვოს: „ვითომ რაო, რომ ვილაც და-

იტანჯება. ადამიანი ერთხელ ცხოვრობს ამქვეყნად, მხოლოდ ერთხელ და ცხოვრობს მხოლოდ თავისთვის, მხოლოდ თავისთვის. თუ ის ერთი არ დაიტანჯა, ჩვენ ორი უნდა დავიტანჯოთ — ასე უნდა განა? ლოდიკაა ეს? ისიც კმარა, რომ ჩვენ მოვიცდით სანამ ის ნორმალურ პირობებში ჩავარდებოდეს და არ გავაგებინებთ იმას ჯერ არაფერს. იქ ტანჯვა გაუორკეცდება. კიდეც აყოცე იმას, კიდეც გადაეხვიე, კიდეც სწერე წერილი — სიცრუე, ზოგიერთ შემთხვევაში საპირობა. დეე, ნურას გაიგებს. ძნელია ეს ჩემთვის, მაგრამ შევეუბრებოდი უნდა ბედს“. ვასო „ლოდიკას“ იშველიებს, მას უნდა ქალს გზაკვალი დაუბნოს, მისი წუთიერი სისუსტით ისარგებლოს და დაიმორჩილოს.

სწორედ აქ მოჩანს ვასოს შინა ბუნების მთელი საზიზღრობა. იგი „ქუმანიურობასაც“ ჩემობს, კეთილშობილებით აღსავსე კაცად მოაქვს თავი და, ამავე დროს, მეგობარს გულს უქოდავს, მის ცოლს ვერაგულ მახვს უგებს. ამით ვასო ახრჩობს თავის მეგობარს, მაგრამ ქალათის ბინძურ მოვალეობას ასრულებს არა შიშველი ხელებით, არამედ თეთრი ხელთათმანებით.

ზნედაცემულ, ცხოველური ინსტინქტებით გამსჭვალულ და ყოველად ბინძური სულის. ვასოს, ნაწარმოებში უპირისპირდება ქედუხრელი, კეთილშობილებით აღსავსე ვაჟკაცი გიორგი. გიორგი ადამაშვილის ბიოგრაფიაში არის ერთი ფრიად საგულისხმო დეტალი, რომელიც ერთგვარ სინათლესა ჰფენს თვით ქოლა ლომთათიძის სულიერ მდგომარეობასა და პირადულ განცდებს (რევოლუციის დამარცხების შემდეგ გამეფებული რეაქციის პირობებში): „რა ტუყოთ, რომ ის ტუსალი იყო! ამით ვერ გააკვირვებ გიორგი ადამაშვილს, მებრძოლს ვერ გააკვირვებ დამარცხებით. ვინც იბრძვის, ის მზად უნდა იყოს აიტანოს დამარცხების შედეგიც! ყოველივე ხომ ძალთა განწყობილებაზეა დამოკიდებული! ის იბრძოდა — დამარცხდა, რა საჭიროა აქ ბედისადმი საჩივარი და ინდოურივით ცხვირის დაშვება... გიორგი აწყობდა რა მომავალი ბრძოლის გეგმას, დარწმუნებული, რომ მისი დამარცხება არ იყო საბოლოო, მხიარული და ლალი იყო. ის ხშირად ხუმრობით სწერდა ნაცნობებს: ახალგაზრდა ვიყავი აქ რომ მოვედი, ეხლა კი უფრო ახალგაზრდა ვარო. სუსხი, რომელმაც შავ და ღრმა კვალად გაიარა, არა თუ საშუალო მოქალა-

ქეზე, არამედ გამოცდილ და გამოწრთობილ ამხანაგების გულშიაც დიდი არეულობა გამოიწვია, იმის გულს ოდნავაც არ წაჰკარებია, არც ერთი ყვაილი არ დაუჰკვნია იმის გულში...“

ეს უაღრესად საყურადღებო სიტყვებია: ჭოლას დადებითი გმირი კვლავ იმედია. მტკიცე და უტეხი ადამიანია, ისეთი, როგორც იყო ჯეირანი. ეს გაკაყებულ ვაჟკაცები თვით ჭოლას მსგავსად, ვერ გატეხა რეაქციის სუსხმა, ვერ მოხარა საპყრობილემ. „უკვირდა გიორგის ის გარემოება, რომ ასე გაუტყდათ ადამიანებს გული. ეპიდემიას, უბედურებას, შავ-ჭირს, ხოლერას უნდა შეებრძოლო. რა აჭირებს ადამიანს!.. მე მაინც ჩემი გზით ვივლი. ვიცი, რომ გამარჯვება ჩემია და სწამდა მას, რომ მისი გული ოდნავადაც არ შეკრთებოდა... რა ვუყოთ, მაინც წინ! — ამბობდა ის და განაგრძობდა ლოდინს, — ამასაც ბოლო მოელება და ისევ ძველი გზით გავსწევთ ახალი ქვეყნისკენ“.

ეს „ძველი გზა“ — ის რევოლუციური ბრძოლის გზაა, რომლითაც გიორგისთანა უტეხი ნებისყოფის ადამიანები ახალი ქვეყნისაკენ ისწრაფვიან და თან მშრომელი ხალხის ფართე მასები მიჰყავთ.

ისევე, როგორც ჭოლას სტრაიკური მოთმინება ანციფტრებდა მის მტრებსაც და მოყვარეებსაც — ჭოლას გმირიც ამნაირივე უღრეკი და უტეხი სულის ადამიანია. მისი ფოლადინებური ნებისყოფა აკვირვებს ირგვლივყოფთ. აი, რას წერდა გიორგი ადამაშვილს მისი ერთი შეგობარი: „გული არ გაქვს შენ. თუ როგორ არის შენი საქმე, ბიჭო, ნანგრევებზე ვდგევართ; ნანგრევებზე და ეს რა არის! უარესი ის არის. რომ გუშინდელი მოყვრები დღეს აფურთხებენ ან ნანგრევებს ქვეშ მოყოლილ იმედებს, ამ ნანგრევებს ქვეშ მოყოლილ მებრძოლებს, ამ წმინდა საფლავებს! მოყავთ, ბიჭო, ტიტველი ქალები, მოყავთ მთვრალი ქალები და თვითონაც მთვრალები და ტიტველები ამ ნანგრევებზე გარყენილებას ეძლევიან. ხე არ ყოფნით ჯვრების ასამართავად და ჯვრები არ ყოფნით ჯვარზე საცმელად. და შენ ისევ და ისევ მზიარული ხარ, როგორც საბერძნეთის ღმერთი, რის გული გაქვს. რკინაა ის თუ ჩვეულებრივი გულიო!“.

მართლაც. რომ რკინის გული ჰქონდა გიორგისაც და განსაკუთრებით იმას, ვინც ამ საერთო სიღუბსჭირეში გიორგისთანა უტეხი

ადამიანების ხატვით, დადებითი იდეალების ქადაგებით, დადებითი გმირების ჩვენებით მკითხველს ამხნევებდა, ხალხს გულს უკაეებდა, ძალას კმატებდა. ასეთი იყო რევოლუციის რაინდი ჯ. ლომთათიძე.

„ძე კაცისაში“ ჯოლა ლომთათიძემ მოგვცა სიყვარულის თავისებური კონცეფტია. ავტორი ცდილობს ჟენიქლოლოგიური და ფიზიოლოგიური საფუძველი მოუნახოს ამ ყოვლისმძლე გრძნობას, ფილოსოფიურად დაასაბუთოს იგი, რათა ამით გააადვილოს სიყვარულის საზოგადოებისათვის სასარგებლო სტიმულად გამოყენება. ასეთი მიზნის მისაღწევად მან კამათის ხერხი აირჩია: გიორგის გულში ორგვარი, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი ბუდობს. ერთი მხრივ, იგი გვისურათებს და გვისაბუთებს სიყვარულის სწორ გაგებას, ხოლო მეორე მხრივ, ეს უკეთილშობილესი და უმაღლესი გრძნობა მთლიანად ფიზიოლოგიურ იმპულსებზე დაყვას. „ქალი მიყვება იმას, — ამტკიცებს ხანდახან გიორგი, — ვინც იმაში იწვევს ძლიერ სქესობრივ ცნობისმოყვარეობას, აგრეთვე იქცევა კაციც. ეს ბუნების კანონია... ვინაც ვინ უყვარს, იქასთან უნდა იცხოვროს, არ არის სიყვარული, — არ არის ცოლ-ქმარი, — ანბახური ჭეშმარიტებაა“...

მაგრამ გიორგი ყოველთვის როდი ფიქრობს ასე. ზოგჯერ გიორგი ადამაშვილი სულ სხვა თვალსაზრისზე დგას და ამგვარი „თავისუფალი“ სიყვარულის მოტრფიალედ კი არ გვევლინება, არამედ მტკიცე ცოლქმრული ერთობის დამცველად უნდა ითქვას, რომ მისთვის სწორედ ესაა უფრო ორგანული და დამახასიათებელი. მაშ, რატომაა რომ გიორგის ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები და გრძნობები ეუფლებიან? ამაში კვლავ ციხეა დამნაშავე, მისი აუტანელი პირობები, რომელიც ფოლადისებური სიმტკიცის ადამიანებსაც კი, ჭკუიდან შლიდა და სულიერად აძაბუნებდა. ისევე, როგორც ჯოლას პერსონაჟების განწყობილებაში უეცრად წამოტივტივებული და რეაქციით გამოწვეული დაცემულობისა და გულგატეხილობის გრძნობები. საბოლოო ანგარიშში, დაძლეული არიან ხოლმე ოპტიმიზმით, რწმენით, ბრძოლისა და გამარჯვების წყურვილით, — ასევე მრავალი უმართებულო, ავადმყოფური აზრი აღმოცენებული მის შეგნებაში (გამოწვეული ციხის მძიმე პირობებით და გულის-დამღრღნელი ეჭვით), საბოლოო ანგარიშში, მარცხდება სიყვარულის მართებულ, ახლებურ გაგებასთან ჭიდილში.

ნაწარმოებში ჩართული მრავალი სურათოვანი ეპიზოდის საშუალებით ავტორმა გვიჩვენა სიყვარულის ნაირფერი ვაგების, მისაღმი სხვადასხვა მიდგომის მაგალითები. ასეთია, თუნდაც, ხაზინის მოხელის პათოლოგიური სიყვარულის და მისი სკანდალური სასამართლო პროცესის ამბავი; ფოსტის უნებისყოფა მოხელის გარყვნილ ცოლთან კავშირის ეპიზოდი; სოციალ-დემოკრატ ილიკო სიამაშვილის და სონა ლოლაძის, ურთიერთობის ისტორია, და სხვ. ასეთი მაგალითების წყალობით, ზნედაცემულობისა და გარყვნილების ფაქტების ზეგავლენით სპეტაკმა ადამიანმა და მტკიცე რევოლუციონერმა ილიკომ დაჰკარგა ყოველგვარი რწმენა ქალში, რის გამოც კიდევ უფრო მეტად იტანჯება. ილიკო „დიდის სიფრთხილით და თავგამოდებით ჰფარავდა, რომ გულის სიდრამეში მას არ სწამდა დედაკაცი, რცხვენოდა მას ამის, იტანჯებოდა ამის გამო. ლოლიკა, მიმართულეა მისი, პრინციპები — ყველაფერი წინააღმდეგი იყო მასში. ამ რწმენისა, მაგრამ ეს ასე იყო“.

ქალის კეთილ თვისებებში ურწმუნოების ერთ-ერთი მაგალითია აჭარელი ქართველის, ხუსეინის მიერ თავისი ცოლის მოკვლის ამბავი. ეს გამოწვეული იყო სწორედ იმ „საზოგადოებრივი აზრის“ წინაშე სრული მორჩილებით, რომელზედაც ერთ-ერთი პერსონაჟი (ხაზინის მოხელე) ასე ამბობს: „ხომ იცით, როგორ დასცინის „საზოგადოება“ კაცს, რომელსაც ცოლი სხვაზე ცვლის, ხომ იცით. სიტყვა „რქოსანი“? ხომ იცით, რას ეძახიან „სახელის გატეხას“, ხომ იცით სხვადასხვა კერპები, ფეტისები, რომლებიც თხოულობენ — თუ გინდა გაჰქრეს სავსებით შინაარსი, ოღონდ ფორმა მაინც დარჩესო“, ასეთი ვაგებით დაბრმავებული ხუსეინაც სწორედ ამ საჩვენებელი პატიოსნების გარეგნული „ფორმის“ გულისათვის კლავს თავის ცოლს, თუმცა კარგად იცის, რომ იგი სრულიად უდანაშაულოა. ამ ღრმად მოფიქრებული და მეტად საგულისხმო მაგალითით ჭოლამ შთაბეჭდავად გვიჩვენა ქალის უმწეობა და თანადროული საზოგადოების ჩაყვანილობა ქალის უარისმყოფელ, დამამცილებელ ცრურწმენათა და მეშჩანურ წარმოდგენათა რკალში.

ჭოლა, როგორც მებრძოლი ქალების მამაკაცებთან გათანასწორობისათვის, საზოგადოებრივ-ცხოვრებაში მათი აქტიური ჩაბმის

სათვის, ქალთა ემანსიპაციისათვის — ამგვარი სურათებით ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ქალთა ბუნების ასეთი მანკიერი გაგება შედეგია მამაკაცთა სულიერი და გონებრივი ჩამორჩენილობისა, მათი „აზიურობისა“, დრომოჭმული, დღეს უკვე მავნე ტრადიციებისა. „უსამართლო ვართ, გიორგი, ჩვენ მამაკაცები. ჩვენ მხოლოდ ჩვენი კბილის ტკივილს ვგრძნობთ და ვერ წარმოგვიდგენია, რომ ასევე გრძნობს ამ კბილის ტკივილს სხვაც... შენ კი მხოლოდ ქალების შესახებ გაგონდება ანეგდოტები“ — ეუბნება გიორგის მისი მეგობარი და საბუთად მოჰყავს კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი მაგალითები იმისა, რომ მამაკაცები უფრო ხშირად ღალატობენ ქალსაც და ოჯახსაც:

ავტორი „მხეცს“ უწოდებს იმ გრძნობას, რომელიც მამაკაცში ქალის ბრმა მორჩილების, ქალთა მამაკაცებისადმი მარადი ერთგულების, მამაკაცთა სურვილებისადმი მათი უსიტყვო მორჩილების ინსტინქტებს ნერგავს და ასულდგმულებს. მამაკაცთა დიდ უმრავლესობაში დაბუდებული ეს „მხეცი“ ყველა კაცს და მათ შორის გიორგი ადამაშვილსაც მხოლოდ იმას აჩვენებს, რაც ეზმანება მამაკაცურ პატივმოყვარეობას და გადაჭარბებულ თავმოყვარეობას. აჩვენებს სინამდვილის ნაწილს, ჭეშმარიტების ცალ მხარეს, მხოლოდ იმ სურათებს — „თუ როგორ იწელებს მშვენიერი სქესის კუჭი მრავალი მხანაგის მისწრაფებას, გულის თქმას, იდეურობას, სიყვარულს, სიხარულს, ახალგაზრდობას და რწმენას“. ხედავს დაბორკილ კაცებს, თითებშეჭრილს, დამახინჯებულსა და დაცემულ ადამიანებს, მაგრამ მამაკაცში დაბუდებული ეს „მხეცი“ სრულიად ვერ ამჩნევს საწინააღმდეგო მაგალითებს, რომელნიც რიცხვით პირველზე ნაკლები არ არიან. მამაკაცის ბუნებაში მჯდარი „მხეცი“ მხოლოდ პირველზე ამახვილებს ყურადღებას, ზეიმობს სასიხარულო გამარჯვებას და „...სტუქსავს ძეს კაცისას, თვალებზე აფარებს ხელებს და არ აძლევს საშუალებას დაინახოს ის, რაც არ მოსწონს. არ უჩვენებს ქალებს — მეგობრებს, ქალებს — მეგობრებს, ქალებს — ტანჯულთ და წამებულთ, შეურაცხყოფილთ და დამონებულთ, მუშა ქალებს, პატიოსან ქალებს.. და ხარხარებს, ხარხარებს მხეცი და გაჰკვივის: ცრუ არის ქალი და უპატიოსნო! ცრუ არის ქალი და უპატიოსნო!.. და ის მხეცი, რომელიც ამას ამბობს ქართველი კაცის

გულში უფრო მაგრად შეიძლებს ფეხის მოკიდებას“, რადგან ავტორის აზრით, ღღეს ქართველი ქალი უფრო დაჩაგრულია.

აქ კიდევ უფრო აშკარა ხდება ჭოლას აზრიც და მთელი ნაწარმოების იდეაც: საჭიროა შევებრძოლოთ მამაკაცში დაბუდებულ „მხეცს“; საჭიროა დავამარცხოთ იგი, ვინც — „იმ თავიდანვე, რაც კი პირუტყვი იქცა კაცად, იმ თავიდანვე ამოუდგა გვერდში ახალდაბადებულს და არ ანებებს ზრდასა და სიცოცხლეს, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვის მას“. ამ ავი „მხეცის“ დამარცხება აუცილებელია საზოგადოების პროგრესისათვის, ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის, მამაკაცთა სულიერი ზრდისათვის, მათი ზნეობრივი ამბლებისათვის და კაცობრიობის შემდგომი წარმატებისათვის. აღამიანმა — „ძემ კაცისამ“ თუ მას სურს წინსვლა, განვითარება, საყოველთაო ბედნიერება და თავისუფლება, აუცილებლად უნდა სძლიოს თავისივე თავში დასადგურებულ მტერს, — აი, მთავარი იდეა ამ ფრიად საგულისხმო ნაწარმოებისა. ავტორმა ამ აზრის დასასაბუთებლად მოიყვანა მაგალითები იმისა, თუ რაოდენ საზიანოა კაცისათვის, როცა ეს „მხეცი“ გაბატონდება „კაცის ძეზე“, დაიმორჩილებს, დააძაბუნებს მას და კაცურ საწყისს გაუქარწყლებს.

თვით სათაური, რომელიც ავტორმა ამ ნაწარმოებს მისცა თავისებური მოწოდებაა იმისაკენ, რომ მამაკაცი იქცეს ღირსეულ „ძელ კაცისა“, ნამდვილ აღამიანად, „კაცურ კაცად“.

ამრიგად, ჭოლას ეს ნაწარმოებიც მებრძოლი ხასიათისაა. იგი მიმართულია შეშჩანობის, ცოლქმრული დაღატაკის, დრომოკმული ადათ-წესების, ამორალიზმის და ქალთა დამონებისა, მათდამი ქედმაღლური დამოკიდებულებების წინააღმდეგ. ჭ. ლომთათიძის ნაწარმოები „ძე კაცისა“ ესაა ქადაგება ქვეშაირი სიყვარულისა, წმინდა და მტკიცე ოჯახისა, ცოლქმრული ერთგულებისა და ურთიერთპატივისცემისა.

ამ ძირითადი იდეის საწინააღმდეგო აზრები გამოთქმული ნაწარმოებში (რომლებიც საკმაოდ ხშირად გვხვდებიან) შედეგია არა ჭ. ლომთათიძის იდეური პოზიციისა, არამედ იმ პოლემიკური ფორმისა. რომელიც ავტორმა ამ ნაწარმოებს მისცა: ჭოლა მეტი მხატვრული თვალსაჩინოებისათვის ურთმანეთთან აკამათებს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციას, მაგრამ თვითონ სავსებით მტკი-

ცედ, შეგნებულად და დამაჯერებლად დგება მოწინავე, პროგრესულ თვალსაზრისზე და ნაწარმოებშიაც სწორედ ამ დადებითსა და მოწინავე საწყისს ამარჯვებინებს.

ქ. ლომთათიძის შემოქმედებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორგანულად შერწყმულია ორი თვისობრივად განსხვავებული ნაკადი: ლირიკული პროზისა (ავტორის სუბიექტური განცდის წინ წამოწევი, სინამდვილის ავტორისეული „მეს“ პრიზმში გარდატეხით) და მიუყერძობელი თხრობისა (ავტორის „ჩაუტრეველად“, სინამდვილის მართალი, „ობიექტური“ ჩვენებით — რაც ეპიკური პროზის ნიშანდობლიობას წარმოადგენს). ქ. ლომთათიძე ჩინებულად ფლობს ორივე ხერხს. პერსონაჟთა ეპიკური გამოკვეთის უნარი, მათი ენობრივი დახასიათებით, დამთავრებული ფაბულური ამბით და მწყობრია სიუჟეტით (ეს კომპონენტები ლირიკულ პროზაში, უმრავლეს შემთხვევაში, მეტად ამორფული სახით არიან ხოლმე წარმოდგენილი) ჭოლას მცირე ზომის ეპიკური ხასიათის თხზულებებს სინამდვილის მეტად კოლორიტულ, მართალ და დასამახსოვრებელ მხატვრულ სურათებად აქცევს.

ასეთია, მაგალითად, პატარა მოთხრობა — „მამასახლისი თუაძე“. მასში სიუჟეტური ამბავი ყოველგვარი შემზადების (ექსპოზიციის) გარეშე იწყება (საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აჩქარებული რეგისტრი ჭოლასათვის ფრიად დამახასიათებელია). კალმის ორიოდლე მონასში და თვალწინ წარმოგვიდგება მთელი ადამიანური ხასიათი. მკითხველმა ჯერ კიდევ არ იცის ამ კაცის ცხოვრების დაწერილებითი ისტორია, მაგრამ უკვე იცნობს მას, როგორც პიროვნებას. იცნობს მის ადამიანურ რაობას. ეს კი ჭოლას მხატვრული ნიჭიერების უდავო გამოხატულებაა. მისი უბრალო, თითქმის ესკიზური ჩანახატი, როგორღაც შეუმჩნევლად, ფართე პლანის პორტრეტის თვისობრიობას იძენს და ყოველივეს გვეუბნება.

ჭოლას საუკეთესო ქმნილებათა უმრავლესობის მსგავსად „მამასახლისი თუაძეც“ ავტობიოგრაფიული ელემენტის შემცველია: ისევე როგორც თვით ჭოლას, ამ ნაწარმოების „მოთხრობელსაც“ ბევრ შვობიდანვე დაყოლილი პირდაპირობის ჩვევა, კარგი ნაკიბობა, სითამამე და სოფლის ბობოლეებისადმი შეურიგებლობა ახასიათებს. ეს „მოთხრობელიც“, ისევე როგორც ჭოლა, სასწავლებლიდან

გამორიცხეს. გარდა ამისა ამ ნაწარმოებში გადმოცემულია ეპიზოდი, რომელიც გვხვდება მოთხრობაში „ცხოვრების გულიდან“ („ჰქრის. ჰქრის“): მამასახლისმა გლეხობაში მოკრებილი ფული შექამა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ გამფლანგველი დაესაჯათ, გადასახადი გლეხებს ხელშეორედ შეაწერეს.

ამ რამდენიმე გვერდიან ნაწარმოებში შესანიშნავადაა დახატული ძველი სოფლის გაქნილი მამასახლისის პორტრეტი. ავტორი შეუნიღბავი სინანულით მოგვითხრობს გლეხკაცობის დაქსაქსულობაზე, რაც ხელს უშლის ქართველ მშრომელ გლეხობას წინაღულდებს მჩაგვრელებს.

ჰოლა გვიჩვენებს მათრახით მოთვინიერებული, „მოკვიანებული“ ხალხის გაუტანლობას და უპირობას, ვისაც მლიქვნელობა და ურთიერთუნდობლობა ძვალსა და რბილში გასჯდომია. საკმარისია საძულველმა მამასახლისმა ტკბილი სიტყვით მიმართოს ხალხს, მოიგონოს თავისი ძველი „დამსახურება“, ღრიოდ გულის მოსაგები და მაამებლური სიტყვა უთხრას თავის თანასოფლელებს, რომ ისინი მაშინვე დაივიწყებენ ურთიერთ მოლაპარაკებას და სოფლის თავკაცად კვლავ ყაჩადანა თუაძეს აირჩევენ.

„მამასახლისი თუაძე“, ერთი შეხედვით, რალაც ლოკალური თემისა და ნახევრად კამერული ქღერის ნაწარმოებია, რომელიც მეტად კერძობით საკითხს ეხება: თავმომწონე გურული მამასახლისის საჩვენებელ ფართიფურთს, ყოყლოჩინობას და გაიძვერული ხრიკებით არჩვენებში გამარჯვებას. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად მოჩანს ასე. თუ, ამ პატარა მოთხრობას უფრო ღრმად ჩავუკვირდებით დავრწმუნდებით, რომ ნაწარმოებს საკმაოდ მღიდარი სიმბოლიკა მოსდგამს და ღრმად ქვეტექსტურია.

ავტორმა თუაძეს პიროვნება და საქმიანობა იმ პრიზმად გამოიყენა, რომლის დანმარებითაც თანამედროვეობის მეტად მწველ პრობლემას შეეხა; ესაა მშრომელთა შეუხმატკბილებლობის, საერთო მტრის წინაღმდეგ მათი დაურაზმელობის და ურთიერთ გათიშულობის სავეალალო შედეგების ჩვენება. ჰოლამ დაგვიხატა სიმბოლური სურათი მშრომელი გლეხობის შეუთანხმებელი მოქმედებისა და შინაგანი დაქსაქსულობისა, რაც 1905 წლის რევოლუციის დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად მოგვევლინა.

სხარტი თხრობა, შესანიშნავი კოლორიტი, დიდი სიმახველით გამოპერწილი ადამიანთა სახეები და პერსონაჟთა ჩინებული ენობრივი დახასიათება, ამ მცირე ზომის ნაწარმოებს მეტად საგულისხმოსა ხდის.

„მამასახლისი თუაძე“ დაწერილია 1910 წელს, ამგვარივე მცირე ზომის, მაგრამ მეტად პლასტიკურ, მართალ და მხატვრულად გამოკვეთილ ნაწარმოებების მოკლე სერიასთან ერთად (ამ დროსაა, მაგალითად, შექმნილი „წერილი“, „გზაში“, და სხვა). მათ მოყვა ასეთივე მოკლე, სხარტი, რეალისტური მოთხრობების მთელი წყება, მაგალითად, „შიში“, „ჰონორარი“ „ივანე გარგანელი“, „მარინე მონაზონი“, „მღვდლისას“ და სხვა.

ამავე წლებშია დაწერილი პატარა მოთხრობა „გრამაფონი“. ამ უწყინარი სათაურის მქონე ორ-სამ გვერდიან ნაწარმოებში გადმოცემულია მეფის საპყრობილის საშინელებანი. მაგრამ გადმოცემულია ბოროტი და შავბნელი სამყაროს ისეთი შთამბეჭდავი დახასიათებით, რომ მკითხველი მასში წარმოდგენილ სურათს აღიქვამს როგორც კოლა ლომთათიძის მიერ სახელმწიფო სათათბიროსადმი გაგზავნილი იმ შეკითხვის გაგრძელებას, რომლითაც პატიმარმა კოლამ მთელს მსოფლიოს ამცნო რუსეთის ციხეებში სიკვდილმისჯილთა უღეთო წამების ამბავი.

„გრამაფონსაც“ ავტობიოგრაფიული ელემენტი უღვეს საფუძვლად. მოთხრობის სიუჟეტური ამბავი სადა და მარტივია. ერთ-ერთი ციხის უფროსი, რომელიც სხვაზე უფრო მეტი „გამომგონებლობის“ უნარით ყოფილა დაჯილდოებული, გრამაფონს იყიდის და იმისათვის რათა სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანის დროს მსხვერპლთა განწირული ხმა სხვა ტუსალებმა არ გაიგონონ, იგი გრამაფონს ამღერებს. სწორედ ისე, როგორც დიდი სამამულე ომის წლებში, ფაშისტი ბარბაროსები საკონცენტრაციო ბანაკების მსხვერპლთა სიკვდილით დასჯისას ორკესტრი ე. წ. „სიკვდილის ტანგოს“ ასრულებდა.

ამ გამომგონებელ-მეციხოვნეს საშინლად სძავს „მთხრობელი“ (მთხრობელში თვით კოლა უნდა ვიგულისხმეთ). მთხრობელი გრძნობს ციხის უფროსის მისდამი დამოკიდებულებას და გადაწყვეტს ისარგებლოს ამით. მან იცის, რომ ციხის უფროსი ტუსაღ-

თა წერილებს კითხულობს. იგი დაწერს საგანგებო წერილს, რომელშიც, ვითომდაც, თავის მეგობარს უქებს ციხის უფროსის ჰუმანურობასა და ტუსაღებისადმი მზრუნველობას.

გონებაშეზღუდული ციხის უფროსი პატიმრის ანკესზე წამოეგება და გრამაფონს გადააგდებინებს: მას არა სურს, რომ თავისდა უნებლიეთაც კი, ტუსაღების ოდნავი სიამოვნების მიზეზი გახდეს.

ამ საინტერესო სიუჟეტური სვლით მწერალმა გვიჩვენა არა მარტო ციხის უფროსის უგუნურება, არამედ მისი ღვარძლიანი, ჯალათური ბუნებაც და ჩინებულად დაგვიხატა იმ დესპოტური ადამიანების სახე, რომელნიც საღისტური წყურვილით სტანჯავდნენ თავისუფლების საქმისათვის ცხრაკლიტულში გამომწყვდეულ მებრძოლებს.

აი, ერთი ეპიზოდი მოთხრობიდან, რომელიც კარგად ახასიათებს მეფის ჯალათების იეზუიტურ შინაბუნებას: „...ქირივით ვძულდი მე ციხის უფროსს... ერთი ყვავილი გამოვზარდე მე სატუსალოში. ის ამოსულიყო ციხის დახაესებულ კედელზე. მე გადმოვრგი მიწაზე. ერთ დილას, სეირნობის დროს, ციხის უფროსმა თვალი მომკრა, რომ ყვავილის გარშემო მიწას ვჩიჩქნიდი, ვარბილებდი... კატის ნაბიჯით, ნელა მოვიდა ყვავილთან, დაწვდა მას და თავი წააგლიჯა, მერე ფეხით გათელა. ის იყო შებრუნდა წასასვლელად, რომ მივაძახე: ფესვები დარჩა მიწაში, ამოიყრის... ნელი ხმით მოიხმო ზედამხედველი და უბრძანა ამოეღო ფესვებიც... აი, ასე ვუყვარდი მე ციხის უფროსს“...

ამ ნაწარმოებში მრავალი ღრმად მოფიქრებული, მეტყველი და საინტერესო რეალისტური დეტალია. იგრძნობა ავტორის მახვილი ჩონჩა. აი, მაგალითად, როგორ დასცინის ავტორი მეშინაურ შეხედულებას სოციალისტებზე (რომელსაც სოციალისტური პარტიის მტრები ბნელსა და უვიც ადამიანებში ავრცელებდნენ). „ის არც წინათ ყოფილა დიდი მეგობარი ჩემი. მან წინათაც იცოდა, რომ კაცისმჭამელი ვიყავი, სოციალისტი. რომ ჰებსა და წყაროებს ვწამლავედი, უკანონო ცოლთან ვცხოვრობდი და კანონიერი კი გაშვებული მყავდა“... ეს გმირის დამახასიათებელი ფაქტიური მონაცემები კი არ არის; არამედ ის ცილისმწამებლური ხმები და მოარული კორები, რომლებსაც სახალხო თავისუფლებისათვის მებრძოლთა სახელის

გასატყვისად პროვოკატორები და ოხრანკის დაქირავებული აგენტები ავრცელებდნენ.

ამ ნაწარმოებში კიდევ ერთხელ გაიელვა ციხის საშინელებამ. აი. როგორი ყოვლისმთქმელი დეტალით გვამცნობს ავტორი ადამიანთა ტანჯვის აუტანელ გარემოს: „ერთ საღამოს ჩემი ამხანაგი უნდა დაეხრჩოთ. შავი ტილოთი დაფარული კუბო შებინდებისას შემოიტანეს სატუსალოში და დასასჯელიც ქვემო სართულში გადაიყვანეს. დაღამდა, სულგანაბული ვუცდიდით, თუ როდის ატყუდებოდა შემზარავი ხმაურობა, ბოაკილის მტკრევის ხმა და ჩვენი ამხანაგის ძახილი — მშვიდობითო“.

ეს სწორედ ისეთივე კონდენსირებული სურათია, რომელსაც ვ. გ. კოროლენკო „შემამარწყუნებელს“ უწოდებდა. ჭოლას პაწია მოთხრობა „გრამაფონი“, თავისი ხალისიანი იუმორის მიუხედავად, სწორედ ასეთი შემამარწყუნებელი სურათია ბნელეთის საშინელი სამყაროსი.

არანაკლებ საინტერესოა ჭ. ლომთათიძის მომცრო ნაწარმოები „გ.ზ.ა.ში“, რომელიც უანრობრივად ეტყუდსა და ე. წ. „სურათს“ შრომის მერყეობს. მასში ავტორმა ენობრივი დახასიათების დიდი ოსტატობა გამოამჟღავნა. ისევე როგორც რამდენიმე სხვა შემთხვევაში ჭოლამ მთავარ პერსონაჟად ქართლელი გლეხი გამოიყვანა და თავისი გმირი ქართლურ კილოზე ალაპარაკა. უნდა ითქვას, რომ მწერალმა შეძლო ამ დიალექტის კოლორიტიცა და სურჩელების გადმოცემა.

ჭოლა ლომთათიძის ქართლელი გლეხკაცის ენა კარგადაა ტიპიზირებული. მართალია, ავტორმა ამას მიაღწია არა იმდენად ლექსიკითა და ქართლური კილოსათვის დამახასიათებელ წინადადებათა თავისებური წყობით, რამდენადაც თხრობის რიტმისა და ინტონაციის უნარიანი აღქმით, მაგრამ, საბოლოოდ, ავტორის მიერ ქართლური კილოს თავისებურებანი საკმაოდ კარგადაა დაქვერილ-გადმოცემული.

ეს ნაწარმოები მარტო ენობრივი დახასიათების სისრულითა და ოსტატობით როდი გამოირჩევა, მასში გაკვრით მოცემული ხასიათებიც კი, მეტად სკულპტურული, მკვეთრი და დასამახსოვრებელი არიან. ასეთია, მაგალითად, ძველი პრისტავის სახე, რომლის გარეგ-

ნულ პორტრეტს ავტორი თუმცა არ გვაძლევს, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ცოცხალივით აღიმართება ჩვენ თვალწინ.

ფერადოვნებით, რეალისტურობით გამოირჩევა სოფლის ბაზარში (კვერცხით) ვაჭრობის სცენა, რომლის ყველა დეტალი იმდენად მართალი და ტიპიურია, რომ მკითხველს ძალაუნებურად ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში ასახული ამგვარი სცენების საუკეთესო ნიმუშები აგონდება.

ნაწარმოების მთავარი ღირსება ის არის, რომ ცენტრალური გმირი (ვისი პირითაც მიმდინარეობს თხრობა) „შიგნიდანაა“ მაღალ-ოსტატურად გახსნილი და როგორღაც უბრალოდ, შეუმჩნევლად, მაგრამ მთელი თავისი შინაბუნებით ისე კარგად არის ნათელყოფილი, ისეთი ფსიქოლოგიური სიღრმით არის დახასიათებული, რომ მკითხველს ჰგონია თითქოს ამ პერსონაჟის გულსა და გონებაში იხედება და ტლუ სოფლის ბიჭის მარტივი განცდებისა და აზრების აღმოცენების მოწმე ხდება.

მკითხველს ეცოდება პრიმიტიული ჰაბუკი, ჭერ კიდევ გონებაგაუხსნელი და მიაბიტი, რომლის შეზღუდულ გონებაში დიდი უშუალობით აირეკლება მახინჯი სოციალური სინამდვილე, მძლავრის მიერ სუსტის ჩაგვრა. მაგრამ მის პიროვნებაში მოჩანს ის დევგმირული ღონეც, რომელიც ჭერ კიდევ მინაბულია, ჭერ კიდევ თვლემს რევოლუციამდელი ქართველი გლეხკაცის მძლავრ, თუმცაღა გონების ნაპერწყლით გაუნათებელ სხეულში.

ჰოლა ლომთათიძე სიუჟეტის აგების დროს მრავალრიცხოვან ხერხებს მიმართავს. საერთოდ ჰოლა მხატვრული ფორმის თვალსაზრისით საკმაოდ რთულ მწერლად გვევლინება. იდეის გარკვეულობის, მოქმედ პირთა ნოველესებური განსაზღვრულობის, სიუჟეტის საერთო სიმარტივის და სტილური სისადავის მიუხედავად, მისი მხატვრული ჩანაფიქრი, უმრავლეს შემთხვევაში, რთული და ძნელია.

ეს ფრიად საგულისხმო მომენტია და მისი სათანადოდ გაუთვალისწინებლობა აუცილებლად შეცდომამდე მიგვიყვანს. ამ აზრის საილუსტრაციოდ ავიღოთ ჰოლას „მცირეფორმიანი ნაწარმოები რწერილი“. მას სულ ერთაბზაციანი ავტორისეული შესავალი უძღვის (ამ შესავალს „ავტორისეულს“ პირობითად ვუწოდებთ, რადგან

მოთხრობის მთელი მომდევნო ნაწილი, ე. ი. საკუთრივ წერილიც: „ავტორისეულია“. შესავალს მოსდევს ანონიმი კორესპონდენტის წერილი. სინამდვილეში, ეს მხოლოდ ხერხია, რადგან თვით წერილიც კოლასვე ეკუთვნის და ავტობიოგრაფიულ დეტალებით არის აღსავსე,

ანონიმი ავტორის წერილი (საკუთრივ ბარათი) საოცრად იკრებოკრო, ჩიქორთული ქართულითაა დაწერილი. განსაკუთრებით, მისი შესავალი ნაწილი. სადაც ნაცვალსახელთა ისეთი სიჭარბე და ესეთი ტავტოლოგიაა, რომ იღია ჰავკავაძის გლახა კრიაშვილსაც შემურდებოდა: აი, მოკლე ამონაწერი ამ ულაზათო ბარათიდან: „გეტყობა; რომ გიგრძენია ის, რასაც სწერ და მერწმუნე, რომ მეც ვიგრძენი მგონია. ისე როგორც შენ. კიდეც ამიტომ გიგზავნი შენ ამ წერილს. ვფიქრობ, რომ მიგახვდენ... ესლა ღამეა მეგობარო, როცა ამ წერილს ვწერ და მე სანთელი მიდგა წინ და არ ვიცი რად, მაგრამ დარწმუნებული ვარ. რომ როცა შენ სწერდი შენს წერილებს, ნაშინაც ღამე იყო, შენც სანთელი გედგა წინ და შენც, ისეთი მოწყენილი იყავი იმ დროს, როგორც მე ვარ ესლა მოწყენილი. მოწყენილი იყავი და არ გეძინებოდა და არც მე მეძინება. და კიდეც გეტყვი, ესლაც, როცა მე ამ წერილს ვწერ, მგონია, რომ შენ მოწყენილა ხარ და არ გეძინება, ღამე კი გრძელია. არც მე მეძინება ისე. როგორც შენ. მოდი ისევ მოგწერ ამ წერილს ვინძლო წაიკითხო“.

რითაა გამოწვეული ბარათის ასეთი ღვარჯნილი სტილი? — საქმე ისაა, რომ აქაც მხატვრულ ხერხთან გვაქვს საქმე: კოლას სურს უფრო ღრმად, უფრო უშუალოდ განგვაცდევინოს ანონიმი ავტორის გულწრფელი აღსარება და წერილიც მის „სტილს“ „მიუსადაგა“. ანონიმი ავტორი კი წერაში გაუწაფაფე ადამიანია, აკი ამბობს კიდეც თავის თავზე: — „თუ ვერ მიგახვდენ, ალბათ, იმიტომ, რომ მე არ შემიძლია გამოვთქვა ჩემი ფიქრები, სიტყვა. კალამი არ მემორჩილება — მე არც ორატორი ვარ და არც მწერალი, მე უბრალო კაცი ვარ“.

აი, ამ „უბრალო“ კაცის „დაწერილია“ ეს ბარათი და არა კოლასი! ამრიგად, აქაც პერსონაჟის ენობრივი დახასიათების საინტერესო ფაქტთან გვაქვს საქმე.

თუ ზემოთქმულს არ გავითვალისწინებთ (როგორც ამას კო-

ლას ზოგიერთი რეცენზენტი სჩადიოდა). შეიძლება „ანონიმი ავტორის“ ენობრავ-სტილისტური ცოდვები თვით ჰოლას მოვახვიოთ თავზე. მაგრამ ეს მხატვრული ნაწარმოების რაობაში ჩაუწყდენლობის შედეგი იქნება. საერთოდ. კი უნდა ითქვას, რომ ჰ. ლომთათიძეს ენობრივი შეცდომები არცთუ იშვიათად მოსდიოდა და მათი კიდევ უფრო გაზრდა დაუშვასხურებელი საყვედურების ხარჯზე. უარესი შეცდომა იქნება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ნაწარმოებში მრავალი ავტობიოგრაფიული დეტალი გვხვდება. შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოების საერთო ჩარჩო თავისებური ავტორისეული წამძღვარებაა (ე. წ. „vorgeschichte“), რომელშიც ჰოლას ცხოვრების გარკვეული პერიოდი მოჩანს.

მოთხრობა „წერილი“ დაიწერა 1910 წელს. ეს ის დროა, როცა ჰ. ლომთათიძემ III სახელმწიფო საათბიროს უკვე გაუგზავნა თავისი ცნობილი შეკითხვა რუსეთის სპატიმრობებში სიკვდილმისჯილთა ტანჯვის შესახებ (1909 წელს) და ამის თაობაზე მრავალ გამოხმაურების მოწმეც გახდა. ასეთივე ხასიათს ატარებს ვითომდაც „ანონიმი ავტორის“ მიერ გამოგზავნილი ეს წერილიც, რომელშიც ჰოლასავე თავგადასავალის ეპიზოდებია ჩაწინწკლული და რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ჰ. ლომთათიძის ბავშვობის დროინდელი სურათები. მათში განსაკუთრებით ერთი სურათია წინ წამოწეული: ესაა საყვარელი თიკანის დაკვლის ეპიზოდი. უნდა ითქვას, რომ თხის დაკვლა ისეთი სიმართლით, პლასტიკურობით და შთამბეჭდაობით არის დახატული, რომ საცოდავი პირუტყვის დაკვლაში მკითხველი. უნებლიეთ ადამიანის მკვლელობის საშინელებასაც ხედავს და გაცილებით უფრო მეტს კითხულობს, ვიდრე საქონლის დაკვლის ჩვეულებრივ ამბავში.

„წერილში“ რამდენადმე ლ. ტოლსტოის ქადაგების გამოძახილიც მოჩანს, მაგრამ არა ბოროტებისადმი წინააღმდეგობის „თეორიისა“, არამედ „ვეგეტარიანული“ შეხედულებებისა. ჰ. ლომთათიძე „დიდი სინდისის კაცს“ უწოდებს ლ. ტოლსტოის და მის მსგავსად, ადამიანთა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ამხედრებული, ამავე დროს, საერთოდ ყოველგვარი სულიერი არსების სიცოცხლის მოსწრაფვის წინააღმდეგაც ილაშქრებს.

ციხეში დამწყვედელი ჰოლა მარტო ადრეული ბავშვობის ამბებს როდი იგონებს. მისი გონების რეტროსპექტული მხედველობის არეში მრავალი სხვა მოვლენაც ირეკლება: ხან წარსულის გადაფასების მიზნით, მოგონებათა გროვიდან წამოტივტივებული, და ხანაც მოვლენის უფრო ღრმად გასააზრებლად, ანდა ერთხელ განცდილის ხელშეორედ განსაცდელად. მოგონებათა შორის ყველაზე ხვავრიელია რევოლუციურ წარსულთან დაკავშირებული ეპიზოდები და დეტალები. მათი მოგონების ხასიათი და ასპექტი კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ჰოლა არასოდეს არ უარყოფდა თავის მებრძოლ სულს, არ ნანობდა „ჩადენილს“, არ სურდა ერთხელ არჩეული გზის, მიტოვება, თვით ფიქრსა და ოცნებაშიც კი.

ჟუ 1910 წელს და მის შემდეგ დაწერილ ჰოლას მოკლე პროზულ თხზულებათა უმრავლესობა აგებულია სოციალური ჩაგვრის, თვითმპყრობელური რეჟიმის მხილებისა და რევოლუციური მოძრაობის თემაზე, მოთხრობა: „პონორარი“ თავიდან ბოლომდე, პირწმინდად, ავტობიოგრაფიულია და ჰოლა ლომთათიძის სამწერლო დებიუტის დროინდელ ერთ „უწყინარ“ ეპიზოდს გადმოგვცემს. ამ ნაწარმოებში ავტორმა იუღია სოლოვეიჩიკის სახელით თავისი მეუღლე, ცილია, შემოიყვანა.

ნაწარმოების მთავარ პერსონაჟად ლევან კვალიაშვილი გვევლინება და თხრობაც მისი პირით მიმდინარეობს. დასაწყისშივე გვებულობთ, რომ ლევანის მთავარი. სასიცოცხლო ამოცანა „სახელოვან“ ქართველ მწერლად გახდომა ყოფილა. იგი განუწყვეტლივ ოცნებობს იმ დროზე, როცა მის: სახელს ნინოშვილის, ყაზბეგის, ჰონჭაძის სახელების გვერდით დააყენებენ და ქვეყნისათვის თავშეწირულ ადამიანთა რიცხვს მიაკუთვნებენ.

ლევან კვალიაშვილს (ისევე როგორც თვით ჰოლასაც) თავისი სიყვარულის გამხელისა რცხვენია. „მე — აღიარებს ლევანი — დიდი აგდებით ვუცქეროდი ამ პატიოსან გრძნობას (ე: ი. სიყვარულს გ. ც.), არ ვცემდი პატივს. აბა, რა დროს სიყვარული იყო, როცა ქვეყანაზე ამდენი საქმე იყო გასაკეთებელი, სად გვეცალა სასიყვარულოთ?...“

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლევანს მაინც უყვარს უცხო ერის შვილი, რუსი ებრაელი, იუღია სოლოვეიჩიკი, — ლამაზი, მკვირცხლი, ენერგიული და საქმიანი ქალიშვილი. აი, როგორ ახასიათებს

ლევანი იულიას: „წინდახედული და დარბაისელი, გამოცდილი და ბრძენი, ძმა და მეგობარი“. როცა იგი უფრო ახლო გაიცნობს იუ-ლიას, გამოდგება, რომ ქალიშვილს მეტი ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს, ვიდრე ლევანს. იულია ყოველნაირად უწყობს ხელს, რათა ლევანმა ლიტერატურულ ფრონტზე წარმატებას მიაღწიოს.

მაგრამ ავტორი უეცრად წყვეტს თხრობის ძაფს და ნაწარმოებს მოულოდნელ ვოდვეილურ დასასრულს უქმნის: როცა ლევანი და იულია ერთ-ერთი ქართული გამოცემის რედაქციიდან ლევანის დასტამბულ მოთხრობას და პონორარს ელიან, ლევანს მოუვა წერილი და ფული, მაგრამ გამოდგება, რომ წერილი რედაქციისაგან კი არ არის, არამედ მოხუცი დედის გამოგზავნილია. საცოდავი, ძნელად მოპოვებული თუმნიანიც, თურმე დედას გამოუგზავნია სტუდენტი შვილისათვის.

დედის წერილი (რომელიც მას მეზობლიანთ ბიჭუნასთვის დაუწერიანებია) ამ მოთხრობის ერთი საუკეთესო ფრაგმენტია. მასში კიდევ ერთხელ მოჩანს ის უნარი, რომელიც ჭოლა ლომთათიძეს პერსონაჟთა ენობრივ დახასიათებაში მოსდგამდა.

ნაწარმოებში შიგადაშიგ: „ჩაწინწყლულია“ ავტობიოგრაფიული დეტალები, რომლებიც არა ერთხელ გვხვდება ჭოლას პირად წერილებსა და ნაწარმოებებში. აი, ერთი ასეთი დეტალთაგანი: „...ვინც ქართველ ლიტერატორობას აპირებს, იმისათვის კარგია, რომ მოახერხებდეს და ჭამას გადაეჩვეოდეს. ნივთიერად ცუდად ეგრძნობდი თავს, კვირაში ორხელ ვსადილობდი მხოლოდ, და თუ კი დილით და საღამოთი ჩაისა და პურის ნაჭერს ვიშოვიდი, დიდი ბედნიერება იყო ეს. აქ კი მადა დამეკარგა, შიმშილი აღარ მაწუხებდა — რა კარგი ყოფილა მწერლობა! ველოდი და ველოდი პასუხს რედაქციიდან..“. მაგრამ რედაქციის „ყიზილბაში“ თანამშრომლები განუწყვეტელი მოლოდინით აწამებდნენ ლევანს. განა თვით ჭოლაც ასეთივე ტანჯული არ იყო რედაქციებისაგან?

მართალია, „პონორარი“ არ გამოირჩევა იდეურ-შინაარსობრივად, მასში არა გვაქვს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მხატვრული პასაჟები, საგულისხმო პერსონაჟები, ან სიტუაციები, მაგრამ იგი კონტა, მიმზიდველი, მოხდენილი მხატვრული ფორმის თხზულებაა.

სულ სხვა რაობის, დანიშნულებისა და მხატვრული ღირებუ-

ლებისა ამავე 1912 წელს დაწერილი მოთხრობა „ივანე გარგანელი“, რომელიც თავისი მკირეფორმიანობის მიუხედავად, კოლალომთათიძის უძლიერესი ნაწარმოებია. იგი გამოირჩევა ხმამაღალი სოციალური ჟღერით, მამხილებელი სულით და დიდი მხატვრული შთამბეჭდაობით. ეს თხზულება ერთ-ერთი საუკეთესოა კოლაშ მთელ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

„ივანე გარგანელი“ მახვილი ბრალდებაა, თვითმპყრობელური სინამდვილისადმი მიმართული. ეს მოთხრობა დაღავეს და ამთარახებს მეფის რუსეთის პოლიციურ-კატორღულ რეჟიმს, მის მართლმსაჯულებას, ნაციონალურ ჩაგვრას, გლეხთა წვრილმესაკუთრულ ინსტინქტებს, მმართველი ბიუროკრატული აპარატის მექრთამეობას და მრავალ სხვა მომაკვდინებელ ცოდვებს რუსეთის ყოფილი იმპერიისას. მაგრამ ნაწარმოების მთავარი მახვილი მიმართულია მეფის რუსეთის პოლიტიკური რეჟიმისა და მისი სისხლისმსმელი ინსტიტუტების წინააღმდეგ.

ივანე გარგანელი ერთი ჯანსუსტი, უბირი ქართლელი გლეხია, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლე სოფლის მენახარეობაში გაატარა. ეს ჩია ტანის, ქარებით შეპყრობილი ოცდარორი წლის ქაბუკი, რომელიც ყოველივე ამასთან ერთად, ჩიყვითაც არის დაავადებული, სახლ-ქარისა და მამულის გაყოფის დროს უფროს ძმას წაჰკიდებია და დანით დაუქრია იგი. ამისათვის ივანე დაუპატიმრებიათ და ციხეში უქრავთ თავი.

მწერალი ძუნწი, მაგრამ შთამბეჭდავი, მრავლისმეტყველი შტრინებით გვიხასიათებს იმ ჯოჯოხეთურ გარემოს, რომელშიც თავისდა მოულოდნელად მოხვდა ივანე. ძმის მიერ სასამართლოში მიცემულმა ახლებურმა ჩვენებამ და ექიმის ცნობამ საქმეს ვერ უშველა. ავადმყოფობის მიუხედავად სასამართლომ ივანეს მეტად მძიმე განჩინება გამოუტანა — წლინახევრიანი ყოფნა ე. წ. „სამუშაო როტაში“, ანუ გასამხედროებულ ნაწილში, რომელშიც პატიმრები იძულებითი შრომით იხდიდნენ სასჯელს.

აი, როგორ აღწერს გარგანელი თავის გასაჰირს: „რა ყოფილა, კნიაზო, რა ყოფილა! („კნიაზობით“ გარგანელი მთხრობელს, ავტორს მიმართავს) ვეუბნები, — არ შემიძლია-მეთქი, მაგრამ შენის ესმის, ქართული არავინ იცის! სტოიო! დამიყვირა სტარშმა და ისეთი ამკრა ნიკაჰში ხელი, რომ პირაღმა დავეცი და ყველას სიცი-

ლი აუტყდა. წამიყვანეს, ეხლა ქედში ჩამცხეს... რა ყოფილა, კნიაზო, რა ყოფილა! ღმერთი თურმე როდი ხედავს ქვეყანას. წამათრიეს, წამიჭიკავეს, იქ ტვირთი ვერ ავწიე, რალაცა გაწყდა, კნიაზო, გულში. მე არასოდეს მაგოდენა ტვირთი არ მიზიდავს, მწყემსი ვიყავი. იქ ისეთი მცემეს, იმ ღამეს სისხლი გამოვაფურთხე პირიდან, კნიაზო, ბალნიცაში წამიყვანეს, იქ დობტურმა გამსინჯა. დამინიშნეს კომისია, დამბრაკეს, უკან გამომამბრუნეს... რათ არ ჰკლავენ კაცს. მომკლან სჯობია. იქ, კნიაზო კაცებს როზგებს სცემენ... გააწვენენ, გაატიტვლებენ და სცემენ, კნიაზო, როზგებს და მერე ბალნიცაში შემოიტანენ... სისხლით შეღებილი ტალახი გეგონება კაცის ხორცი... სიკვდილი არ ჯობია?..“

ივანე გარგანელის პრიმიტიული თვალთახედვით, მაგრამ მართლად და უბრალოდ აღწერილი სურათი პატიმართა ტანჯვისა, მართლაც, რომ შემზარავია. მას კიდევ უფრო თვალსაჩინოსა ხდის მთხრობელის (ავტორის) კომენტარი: „ამ რა ყოფილა, რა ყოფილაში (იგულისხმება გარგანელის აკვიატებული შეძახილი გ. ც.) იხატება მთელი მისი გამოცდილება, მთელი მისი შიში და განცვიფრება ადამიანის ბარბაროსობისა და უგულობის წინაშე. ეს იყო მისი ცოდნა, შავი და მძიმე ცოდნა, ცოდნა, რომელმაც სრულებით დასცა, მიწასთან გაასწორა საცოდავი ადამიანი, რომელმაც სამუდამოდ მოჰკლა რწმენა ადამიანისადმი იმის სნეულ გულში“.

აქ ჭოლა ლომთათიძემ გამოიყენა ხერხი, რომლისთვისაც ადრეც არა ერთხელ მიუმართავთ ხალხის ცხოვრების მართალ ამსახველებს: — უკულმართი სოციალ-პოლიტიკური სისტემის მიერ დაბეჩავებული. „პატარა“, თავდაცვისუნარმოკლებულ ადამიანთა უწყალოთ გასრესის ჩვენების გზით — ამ სისტემის მხილებისა.

ჭოლას გარგანელი სადღაც ენათესავება ანატოლ ფრანსის კრეზებილს, ჩეხოვის საცოდავ ჩინოვნიკებს, მის. ჭავჭავიძის ჩანჩურას. ყველაზე საშინელი კი ის არის, რომ ქვეყნად ჭერ კიდევ ბევრია ასეთი გარგანელები, რომელნიც ვერ აღუდგებიან მჩაგვრელთ და რომელთაც ჭერ კიდევ არც ესმით ამის აუცილებლობა.

ამიტომ სტკივა ავტორს გული, ამიტომაც ჰბურავს ძლიერი შთაბეჭდილების მომხდენ. ან პატარა მოთხრობას სევდისა და სინანულის ბლონდი. მოთხრობის დასასრულს, მთხრობელი გასცქერის სასაფლაოს, სადაც დაკრძალეს ივანეს დაღლილი სხეული და ზამთრის

პეიზაჟი რეაქციის სიმბოლურ სურათად გვევლინება: „თოვს, არე-მარეს თხელი ნისლი დასწოლია, რომელსაც მოწყენილი, ზანტი ქარი არხევს და ამ რხევაში საფლავის ქვები ადამიანებად მეჩვენებიან, თითქოს ერთმანეთისაკენ იწევენ, ერთმანეთს ეკვრიან, მარტო-ობასა და სიცივეს, რომ თავი დააღწიონ, სეველა — ამინდის შვილი — გააქრონ მოჰქლან (ხაზი ჩვენია — გ. ც.). ჰეი, ძმებო, საყვარლებო, ლამაზებო, მშვენიერებო — მასწავლეთ, როგორ მოეკლა მეც ჩემი სევდა...“

რევოლუციის დამარცხებით გამოწვეული სევდა აქაც საფლავის ქვასავით აწევს მწერლის სიკეთისაკენ მსწრაფ გულს. მაგრამ აქაც, ისევე როგორც ჭოლა ლომთათიძის საუკეთესო ნაწარმოებებში, სევდა მთლიანად ვერ იმორჩილებს მწერალს, ვერ უკლავს რწმენას, ვერ უხშობს მომავალი ბედნიერების იმედს.

1912 წელს, რეაქციის სუსხით გათოშილი, საპატრიმროში დამწყვდეული ავადმყოფი ჭოლა ამ ნაწარმოებშიც იმედდაუწურავად ადამიანად და ბედნიერი მყოობადის ჰომლოდინე მებრძოლად გვევლინება. სწორედ ესაა, ყველაზე მათავარი. „აქვს ადამიანს ერთი თვისება — წერს ჭოლა — რა მდგომარეობაშიც უნდა ჩავარდეს ის, რა სიბნელეც უნდა ეხვიოს ირგვლივ, რა მძიმე ტვირთიც ედოს მას მხრებზე — ის მაინც შეიძლებს გაიხედოს — წინ, მაინც შეიძლებს მაინც შეიძლებს სადღაც დაინახოს მზის სხივი, მაინც დაინახავს ალაგს, სადღაც ამ მძიმე ტვირთს მიიტანს და გადაადგებს მხრებიდან... ადამიანს მაინც აქვს თვისება — რწმენა, რომ სადღაც ამ ქვეყანაზე არსებობს ერთი კუთხე, ერთი ალაგი, ერთი საკვირველი რამ, სადღაც ადრე თუ გვიან მივა ის და მოისვენებს, გაბედნიერდება. აქვს ადამიანს რწმენა, რომ დიდისაგან დიდია ქვეყანა და სადღაც, ერთ ალაგას, სადღაც ის ხვალ-თუ ზეგ მივა, ყველაფერი რიგზე მოეწყობა...“

ჭოლა ლომთათიძემ კარგად იცის, სადაა ის „აღთქმული ქვეყანა“, სადღაც ტვირთმძიმე და დამაშვრალი ადამიანები მომაკვდინებელ ტვირთს გადაიგდებენ და თავისუფლად ამოისუნთქავენ, სადღაც „ყველაფერი რიგზე მოეწყობა“. მაგრამ ყველამ (მათ რიცხვში ჭოლას ზოგიერთმა ლიტერატურულმა გმირმა) როდი იცოდა ეს ამბავი ასე კარგად; ზოგიერთ მათგანს კაცობრიობის „მყუდრო სავანეს“ არსებობა მიაჩნდა „ტკბილ სიზმრად მყრალ საწოლში“, მაგრამ უმრავლესობა მაინც ეძებდა გზას მისკენ, ოცნებობდა მასზე: „ჰეი, ძი-

მიეზო, საყვარლებო, ლამაზებო, მშვენიერებო, შეიძლება იცოდეთ, სად არის ეს კუთხე, შეიძლება გვასწავლოთ ჩვენც, უბედურ ადამიანებს! პეი, ძამიებო! ჩვენ გვწამს, რომ ეს ასეა, ჩვენ გვწამს, ჩვენ მხოლოდ ამით ვცოცხლობთ და არ ვიკლავთ თავს“.

ტრაგიკული ფინალისა და მწერლის გულზე შემოწოლილი სევდის მიუხედავად „ივანე გარგანელში“ გარკვევით მოჩანს იმედის სხივიც. მთხრობელს (ანუ, თუ შეიძლება ითქვას, „ლირიკულ გმირს“) მომავლის რწმენა ჯერ კიდევ არ გაცამტვერებია.

ამ ნაწარმოებში, თუმცა, ვუალირებულად, მაგრამ მაინც მკაფიოდ მოჩანს პროტესტი ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ძმები, რომელთაც ურთიერთი მოსაკლავად გაიმეტეს, ჩხუბის შემდეგ პირველად ციხეში შეხვდებიან ერთმანეთს. ისინი სულ ორიოდ სიტყვას წარმოსთქვამენ, მაგრამ მათ მოკლე ფრაზებში დიდი ტრაგიზმი და გრძობათა დანაღმულობა მოჩანს. ავტორმა ჩინებულად მიგვანიშნა მათი სულიერი განწყობა და დიდი შინაგანი მღელვარება. სწორედ ამ მომენტში შოლტის ტყლაშუნივით გაისმის ასევე მოკლე, მაგრამ მკაცრი, უგრძობელი და როყიო შეძახილი: „Ну, ну, чего ревеш! тише!“ — ამ სიტყვებით თითქოს. რაღაც უხეში ძალა იჭრება ძმებს შორის, თიშავს მათ და ორთავეს ფეხქვეშ თელავს. „მოდრი და ამ მხეცე ბის რამე გაიგე. გუშინ ერთმანეთი უნდოდით მოეკლათ დღეს კი როგორ შესტირიან ერთმანეთს, დაცინვით თქვა ზედამხედველმა, როცა მას გადაუთარგმნეს იმათი სიტყვები...“

რა თქმა უნდა, „ამ მხეცებში“, თვითმპყრობელური სულისკვეთებით აღზრდილი რუსი სალდათისათვის, ქართველები იგულისხმებიან. ყველაზე საშინელი კი ისაა, რომ ეს უხეში, ბნელი ძალა, ციხის მცველად გახედნილი, რომლისთვისაც უნტეროფიცერის ერთი ბრძანება კმარა, რათა უყოყმანოდ დახვრიტოს საკუთარი მშობლები, — სხვა ხალხს მხეცებს უწოდებს, საქმეში ჩაუხედავად მსჯელობს მათ შორაღსა და საქციელზე, კიცხავს მთელ ერს და საკუთარი თავის უპირატესობასაც კი გრძობს.

ამ მოთხრობაში არის მეორე დეტალიც, რომელიც არანაკლებ მკვევრმეტყველად ლაპარაკობს მეფის დაგეშილ მეციხოვნეთა არა მარტო სისასტიკესა და დაუნდობლობაზე, არამედ უფიცობასა და

უკიდურეს გონებაშეზღუდულობაზე. აი, ეს ლაკონური, მაგრამ შემადრწუნებელი სცენაა: „...ორ დარაჯს მიჰქონდა უბრალო კუბოში ჩასვენებული ივანე გარგანელის ცხედარი. როცა ჰიშკართან მიიტანეს, კუბო ძირს დადგეს, მეკარე ზედამხედველმა ახადა კუბოს თავი, რათა ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყო, მკვდარი მიაქვთ თუ ცოცხალიო. ამოიღო რევოლვერი და შუბლზე მიაღო: — შენ, გაიგონე... თქვი, ცოცხალი თუ ხარ... ამოიღე ხმა, სულ ერთია, თუ ცოცხალი ხარ, ჩაგაძაღლებ, გესერი რევოლვერს და მაინც მოგკლავ, ამიტომ გიჯობს თქვა ხარ თუ არა ცოცხალი! აჰ სიტყვებზე ზოგიერთმა დარაჯმა — გაიცინა, ივანე კი ესვენა. გულაღჯე, ტიტველი, მოკლე მიტკალში გახვეული და ღია თეთრი თვალებით შესტკეპროდა ჩვენი ქვეყნის ლურჯსა და ღრმა ცას“.

მართლაც, მეფის მეციხოვნეთა (ამ მეციხოვნეთა რიცხვი კი ერთობ დიდი იყო, რადგან მთელი პოლიცია, ჯარი, სასამართლო, სკოლა და აღმზრდელი დაწესებულებანი, საეკლესიო მამები და საერო-ბო ორგანიზაციათა მესვეურები — ასეთ მეციხოვნეებს წარმოადგენდნენ) რაობის საჩვენებლად ამაზე მეტყველსა და კონცენტრირებულ დეტალს ძნელად თუ ვინმე მოიფიქრებდა.

როგორც 1910—14 წლებში დაწერილ „მცირეგაბარიტიან“ მოთხრობათა უმრავლესობა, ეს ნაწარმოებიც გამოირჩევა რეალისტური მხატვრული დეტალების სიუხვით, შთამბეჭდაობითა და სიმართლით. აქაც იმავე ოსტატურ ენობრივ დახასიათებასთან გვაქვს საქმე, რომელიც ჰოლას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწერილ მოთხრობებში შეიმჩნევა. ისიც საგულისხმოა, რომ მოქმედი პირნი უმეტესად ქართლელნი არიან და ამ კილოზე ლაპარაკობენ (ეს ენება ბათუმის, ახალციხის, მეტეხის ციხეებში და ასტრახან-სარატოვში დაწერილ ნაწარმოებებს).

„ივანე გარგანელი“, ჰოლა ლომთათიძის მიერ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შექმნილ ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო თხზულებაა.

მცირე მოცულობის მიუხედავად ჰ. ლომთათიძის „ში შ ი“ საკმაოდ რთული ნაწარმოებია. ამ ნაწარმოების კომპოზიციური და მხატვრული სირთულე ავტორის თავისებურმა ჩანაფიქრმა განაპირობა: ჰ. ლომთათიძე ანალიტიკოსის თვალით გასცქერის რევოლუციის დამარცხების შემდეგდროინდელ მძიმე პერიოდს, როცა გამძვინვარ-

რებული თვითმპყრობელობის ანგარიშსწორებით დათესილი შიში ხალხსა რყენიდა, როცა რევოლუციის დამარცხება ზოგიერთ სუსტ-ნებისყოფიან ადამიანს პირუტყვად აქცევდა და ძმათა გამცემლობისაკენ, მოღალატეობისაკენ, რევოლუციისადმი ზურგშექცევისაკენ უბიძგებდა.

ავტორისავე სიტყვით რომ ვთქვათ, ეს იყო დრო, „როცა შიში, შავი შიში დადიოდა სოფელ-ქვეყანაში და ამახინჯებდა ადამიანს“.

ჰ. ლომთათიძე გვიჩვენებს ამ „წყეულ დროს“, გვიჩვენებს რეაქციის სუსხს და პიროვნებებს, რომელთაც მძიმე განსაცდელის ქამს გამოცდა ვერ დაიჭირეს, სულიერად წახდნენ და რენეგატებად, გამცემლებად, დამფრთხალ ობივატელებად იქცნენ. მაგრამ ქოლას მთავარი სათქმელი ეს როდია; იგი ამასთან ერთად გვეუბნება, რომ ყველა არ გადაქცეულა დამფრთხალ ეგოისტად — ნამდვილ, ან პოტენციალურ მოღალატედ. ქართველი ხალხის დიდმა უმრავლესობამ ბოლომდე შეინარჩუნა თავისი მორალური სახე და ქელი არ მოუხარა რეაქციას.

ცდებოდნენ ისინი, ვინც ძველ მეზობლებში მხოლოდ ნირშეცვილი, სახეშეცვილი და რწმენაშეცვილი კაცუნებს ხედავდნენ, კაცებს, რომელნიც ყოველ წუთში მზად იყვნენ ღალატისა და გამცემლობისათვის. ასეთ აზრს ქოლა ლომთათიძე ხალხის შეურაცხყოფელს უწოდებს და ორიგინალური მხატვრული ხერხებით ცდილობს ნათელყოს მისი მცდარობა და უადგილობა, მისი ცილისმწამებლური ხასიათი.

„შიში“ ჰ. ლომთათიძემ შ. არაგვისპირელს უძღვნა და ეს არაა შემთხვევითი. მას სურდა შ. არაგვისპირელის მსგავსად, ფსიქოლოგიური ხასიათის ნაწარმოები დაეწერა. ეს ნაწარმოები მართლაც ასეთია, მაგრამ ცალკეულმა ურთიერთ დაუკავშირებელმა სურათებმა კომპოზიციური დანაწევრებულობა, ფრაგმენტულობა შესძინა მას.

ქოლა, — რომელსაც არაერთხელ ჩაეხება სიკვდილისათვის თვალელებში, რომელიც არაერთხელ მდგარა სასიკვდილო განსაცდელის პირისპირ და არასოდეს არ შემეკრთალა, შიშს არ აპყობია, — ამ ფსიქოლოგიური ქანრის ნაწარმოებში მიზნად ისახავს გვაჩვენოს შიში — მოსალოდნელი შიშის გრძნობის წინაშე.

მთავარ პერსონაჟს ავადმყოფური განცდა დაუფლებია: მას ეშინიან, რომ ოდესმე შიშმა არ დაიმორჩილოს, სირცხვილი არ აჭამოს

და სახელი არ გაუტეხოს. სინამდვილეში, ეს ადამიანი, მამაცი და გამბედავია, მაგრამ გადატანილი განსაცდელის შემდეგ, როცა იგი ვონების თვალთ ალადგენს წარსულს, ხანდახან შიშს იგრძნობს ხოლმე და ეს გარემოება ძალიან აწუხებს, რადგან ეშინიან, ასეთივე გრძნობა საფრთხის წინაშეც არ აღეძრას და სიმბდალე არ ჩაადენინოს. ერთი სიტყვით, როგორც ვთქვით, ესაა შიში მოსალოდნელი შიშის წინაშე. „...მე მეშინია შიშის, მეშინია შიშის იმიტომ, რომ შიში სტიქიურია. მეშინია, იმიტომ, რომ ვფიქრობ ოდესმე უალაგო ალაგას მომასწრებს ის, მომწყვეტს წელსა და მიწასთან გამასწორებს. თუ ეს დღემდე არ მომხდარა, ოდესმე მოხდება მგონია და... მეშინია, მეშინია“.

ნათქვამია, შიშს დიდი თვალები აქვსო. ჭ. ლომთათიძე მხატვრულად გააზრებული რამდენიმე ცხოვრებისეული მაგალითით ნათელყოფს, რომ შიშმოგვრილი ადამიანები სწორი ორიენტაციის უნარს კარგავენ და ხშირზე ხშირად ცდებიან. ამრიგად, თუ ნაწარმოების იდეა შიშის გრძნობის მავნეობის ჩვენებაში მდგომარეობს, მისი მთავარი პათოსი დაკავშირებულია რწმენასთან, რომ შიშმა ვერ მოიცვა მებრძოლი ქართველი ხალხი, ვერ „მოწყვიტა მას წელი“ და, რომ ცდება იგი, ვინც ყოველ ადამიანში რეაქციით დამფრთხალ, „გაპირუტყვებულ“ არსებას ხედავს.

ძირითად ამბავთან სიუჟეტურად დაუკავშირებელი ორი ეპიზოდის შემდეგ (თბილისში დემონსტრაციის დახვრეტის დროს გადარჩენა და ხონში, წისქვილთან, ხრამში ჩაჩეხვისაგან გადარჩენა), რომლებითაც იწყება მოთხრობა, ავტორი გადმოგვცემს ნოველური ხასიათის ამბავს. ამ უკანასკნელის დახმარებით ვლინდება ნაწარმოების მთავარი იდეაც და მისი ძირითადი პათოსიც. ეს ძირითადი ამბავი მოიცავს რეაქციით გადამწვარ გურიაში სტუმრობის და იქ, 1905 წლის რევოლუციის მონაწილესთან, რადიკალურად განწყობილ გლეხთან, ტერორისტ, ივანესთან, ღამის გათევის ეპიზოდს.

ეს ცენტრალური ამბავი (თუ შეიძლება ითქვას საკუთრივ ნოველა) იწყება გურიაში რეაქციის პარპაშის კონცენტრირებული სურათით: „ერთ საღამოს დასწვეს სადგური ნატანები. მეორე საღამოს ოზურგეთი აინთო და გურია გაანათა. რამდენიმე დღეში გურიის დამებმა ცეცხლის თვალებით დაიწყეს ცქერა და ცამდე ავარდნილ აღს ეხვია შავი შიში, სავსე ზღაპრული საშინელებით, კაცისმჭამ-

ლებით, მოლალატეებით. დაცინვით, უიმედობით... შიშმა მოიცვა ქვეყანა, შავმა საზარელმა შიშმა“.

ამ „საშინელ დროს“ ყველაზე მეტად ადამიანის ზნეობა დამახინჯდა, რადგან სწორედ ზნეობა იქცა ცხოველური შიშის მსხვერპლად. „ადამიანს თავს ესხმოდა შიში და მახინჯდებოდა ლამაზი ადამიანი, მახინჯდებოდა მისი სახე, მისი სიტყვა, მისი მიხვრა-მოხვრა. მახინჯდებოდა კეჟისა და კეთილი ფიქრების გამომხატველი თვალი, ჯადოსანი და სასწაულთმოქმედი თვალი ადამიანისა, მისი მშვენება, მისი სიამაყე... საშინელი იყო ადამიანის თვალი ისე, როგორც საშინელი იყო მისი ღიმილიც, ღიმილი შეშინებული ადამიანისა“...

ავტორი აქვე გვაწვდის დეტალს, რომელიც მანამდე არ შეგხვედრია მის თხზულებებში: მოსახლეობის ნაწილი (განსაკუთრებით კონსერვატიული ბუნების მოხუცებულნი) მტრულად ხედებიან ე. წ. „ახალთაობას“ (რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას). კოლამ ნიუანსურად, მაგრამ ნათლად გვიჩვენა რეაქციით დაბრმავებული ადამიანების ზურგშექცევა და შულლი თავისუფლებისათვის მებრძოლთადმი. „სალამის ნაცულად შემოგვაფურთხეს, — უი, არ დაგინახა, არ დაგინახა თქვენ კაცმა, თქვენ, ქვეყნის დამქცევებო, — მოგვესალმნენ ისინი...“ და აი, ამ საერთო შიშთანობის პერიოდში მთხრობელი და მისი მეგობარი, არჩილი, მიაღებიათ „ბებერი არწივის“, ივანე სანადირაძის, მთებში შეყუყუულ სახლს.

კოლა ლომთათიძემ კალმის ორიოდ მინასმით ცოცხლად დაგვიხატა მხნე და გაუტეხელი, ქარმაგი და უშიშარი ივანე. ივანეს კეჟაში არ მოსდის სოციალ-დემოკრატი ავტორიტარების შორსგამიზნული, მოსამზადებელი მუშაობა და მასების გარევოლუციონერების ნელი ტემპები. იგი დაუყოვნებლივი ბრძოლის მომხრეა და მხოლოდ იარაღზე უჭირავს თვალი. „კაი, მოგივიდეს, კაი იყოს თქვენ რომ ქადაგებთ... ქრისტე რომ ჩამოვა ქვეყანაზე, იმ დროს კაი იქნება თქვენი ქადაგობა... ახლა კი... ამდენი შავფეხი დაღის ქვეყანაზე, იგენტან ქადაგობა არ გაეა... იგენს სხვაი წამალი უნდა!“.

მთხრობელი (ავტორი) ასე ახასიათებს ივანეს: „მისი აზრით, მსხვერპლი უნდა გამხდარიყო ნახევარზე მეტი მცხოვრებლებისა — ყველა ბერი. ყველა მღვდელი, ყველა აზნაური, თავადი, ვაჰრები და მათი ამყოლი გლეხობა“... ივანე სანადირაძის „კრედო“

ასეთია: „ვისაც თოფის გამონიშნება არ შეუძლია, იგი რა აფხანაკია... თოფი! დეილოცა მისი მომგონი“.

ჰოლა ლომთათიძე აქ არა მარტო იმ ეპოქისათვის შეტად დამახასიათებლ და ცხოვრებისეულ ტიპს გვიხატავს, არამედ კიცხავს კიდევ იმ „ურა-რევოლუციონერებს“, რომელნიც უგულვებელყოფდნენ შექმნილ ისტორიულ ვითარებას, რევოლუციის დამარცხების ფაქტს და ჯიუტად განაგრძობდნენ შეიარაღებული ბრძოლის ტაქტიკას, რითაც ხალხს საფრთხეში აგდებდნენ, უზრო მსხვერპლს ზრდიდნენ და რეპრესიების საბაბსა ჰქმნიდნენ. ჰოლა ახალ ვითარებაში ახალი ტაქტიკის მომხრეა და როგორც. ცნობილია, მებრძოლი სოციალ-დემოკრატია — რსდმ პარტიის ლენინურ-ისკრული ფრთის სახით — ამავე ხაზს ადგა.

ივანე გულთბილად მიიღებს სტუმრებს. იგი კარგად გაუმასპინძლდება და დაასვენებს ტყე-ღრეში მალული ხეტიალით დაქანულ რევოლუციონერებს. მაგრამ შუა ღამით ორი შეხიზნული მეგობარი გაიგონებს ივანეს საუბარს მეზობლებთან. მეზობლები თხოვენ მას — „ორივე მოგვეციო“. პეტრეს (მთხრობელს) და არჩილს მოეჩვენებათ, რომ სოფლელები მათ გაცემას მოითხოვენ და თითქოს ივანეც მზადაა გასცეს ისინი. მეგობრები საჩქაროდ მიეშურებიან სტუმართმოყვარე ოჯახიდან, მაგრამ ბოლო წუთს გამოირკვევა, რომ თანასოფლელები ივანეს ხარებს თხოვდნენ ტყიდან შეშის მოსატანად.

ამ ვოდვეილურ ინტრიგას ავტორი მეტად ოსტატურად იყენებს: ეს შემთხვევა გვიჩვენებს, თუ რაოდენ „დიდი თვალები“ ჰქონდა იმხანად შიშს, როგორი ეჭვის თვალით ამზერინებდა იგი ხალხს და რა ადვილად შეეძლო მიეჩნია ერთ ადამიანს მეორე, გამცემად და მოლალატედ: ე. ი. შიშმა გატეხა რწმენა ადამიანში და პიროვნებებს ურთიერთის ნდობა დაუკარგა.

მეორე მხრივ, ეს ვოდვეილური შემთხვევა ხდება მიზეზი თავის თავით უკმაყოფილებისა და სინანულისა იმ ადამიანისათვის, რომელიც, გულში დასადგურებული შიშის წყალობით, ცუდს იფიქრებს რევოლუციისათვის ისეთ თავდადებულ კაცზედაც კი, როგორიც ივანე იყო.

მაგრამ მთავარი აქ. ის არის, რომ წყეული ღროის და წყეული შიშის ზეგავლენით უნდობლობით, ეჭვით და სიძულვილით მხო-

ლოდ ცალკეული პირებისადმი კი არ იმსჯელებოდნენ, არამედ საერთოდ მთელი ხალხისადმიც კი. „ეხლა, რომ ვფიქრობ — ამბობს განსაცდელის გავლის შემდეგ პეტრე — ყველაზე უფრო მიმძიმის ის გრძნობა სიძულვილისა, რომელიც მაშინ ვიგრძენი მე ამ საყვარელი ხალხისადმი. მე შეიძლება მძულდეს და მძულს კიდევ, ვთქვათ პეტრე, ივანე, გიორგი, მაგრამ საერთოდ ადამიანი?!...მძიმეა, მერწმუნეთ, მძიმეა ჩემთვის ეს მოგონება, სასირცხოა, დამამცირებელია ჩემთვის ეს მოგონება და... და რა ხშირად მაგონდება, ღმერთო, რა ხშირად! მძულდა მე მაშინ ეს ხალხი, მძულდა, მძულდა!“

ამრიგად, 1912 წელს დაწერილ ამ ნაწარმოებში კოლა ლომთათიძე არა მარტო გვიჩვენებს იმ წყეულ დროს, როცა „ერთი მხრით, შეშინებული გურია, მეორე მხრით, შეშინებული სამეგრელო და იმერეთი“ რეაქციის ბრტყალებში იყო გათანჯული, „როცა, შიში. შავი შიში, დადიოდა სოფელ-ქვეყანაში და ამახინჯებდა ადამიანს“, — არამედ მკითხველში ნერგავს იმის რწმენას, რომ წყეულმა შიშმა იმ მძიმე დროსაც კი, ყველა ვერ დაიმორჩილა, რომ საჭიროა ამ საზიზლარი გრძნობის ალაგმვა, მისი ავი ბუნების მხილება, მისი მავნე და გადამდები არსის ყველასათვის ნათელყოფა, რათა შიშმა არ მოიცვას ხალხი, არ წაპილწოს მისი სული, არ დასცეს ზნეობა, არ აქციოს ადამიანი პირუტყვად.

როცა კოლა ლომთათიძე ოდნავ ჰიპერბოლიზებულ ასპექტში გვიხატავს შიშს და ამბობს, რომ: „გაუმძლარი ყოფილა შიში ისე, როგორც სიკვდილი, როგორც სიკვდილი, შიშიც კამს. თურმე, ყველაფერს — სიყვარულს, რწმენას, იმედს, მიმართულებას და როგორც სიკვდილი, შიშიც ვერ ძლება თურმე...“ — იგი ამით შიშის უძლეველობის ქადაგებას კი არ ეწევა, მის პოპულარიზაციას კი არ ისახავს მიზნად, არამედ სურს ნათელყოს ამ ცხოველური გრძნობის მთელი სიავე, ცხადყოს მისი საზიზლარი ბუნება, რათა ამით დააზღვიოს ხალხი მისდამი მორჩილებისაგან, შეაიარალოს ადამიანები ზიზლითა და სიძულვილით. ხელი შეუწყოს შიშის საწინააღმდეგო „იმუნიტეტის“ გამომუშავებას.

კოლა ცდილობს ყველასათვის ნათელყოს, რამდენად საზიზლარია შიშის გრძნობით შეპყრობილი ადამიანი გარეშეთათვისაც და თავისთავისთვისაც, რამდენად მტანჯველი განცდა იპყრობს კაცს, როცა იგი შიშისაგან გამოერკვევა და თავის ნამოქმედარ-ნათქვამს

გადახედავს (იმ შემთხვევაში, თუ მისი საქციელი ან ფიქრი, მხოლოდ და მხოლოდ, შიშის გრძნობითაა ნაკარნახევი). ამ ნაწარმოების იდეა ჭოლამ ორიოდ დიდმნიშვნელოვანი სიტყვით გამოხატა: შიში — ცხოველური გრძნობაა, საძაგელი და საზოზლარი. იგი კაცს პირუტყვად აქცევს. იგი არ შექვერის ადამიანს, — „ბუნების გვირგვინს და მეუფეს“. ამიტომ უნდა გზნვდევნოთ შიში ჩვენი გულიდან: შიში ტეხს რწმენას, „შიშით ზარდაცემულს, წელმოწყვეტალს, ყოველივე სჯერა, სჯერა დაუჯერებელიც კი“.

ავტორის აზრით, კაცობრიობას, პროგრესს, რევოლუციას. სახალხო თავისუფლებას სპირდება არა შიშით დაბრმავებული, წელგატეხილი ადამიანები, არამედ თამამი, შეუპოვარი, უშიშარი მებრძოლები და ჭოლაც ისევე დაუნდობლად ილაშქრებს ადამიანის გამაპირუტყვებელი შიშის წინააღმდეგ, როგორც აქამდე ილაშქრებდა „ადამიანთა წელკავის“ — „კმაყოფილების“ და „მოთმინების“ წინააღმდეგ. ასეთია ამ პატარა, კომპოზიციურად არცთუ კარგად შეკრული, მაგრამ საინტერესო ნაწარმოების ფილოსოფიური აზრი და სიმბოლური ქვეტექსტი.

თუმცა, ნოველა „მღვდლისას“ გარეგნულად სრულიად განსხვავდება „შიშისაგან“, მაგრამ ფილოსოფიური სიღრმითა და გააზრებით ისინი მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს. თუ „შიში“ მიზნად ისახავს დააზღვიოს მკითხველი ამ მაცდური გრძნობისაგან და თავიდან ააციდინოს სულიერი წაბილწვა, ნოველა „მღვდლისას“ მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვინც სხვის ოჯახს ბილწავს და საკუთარი უზნეობით წმინდა, უდანაშაულო ადამიანებს სულში აფუროთხებს.

„მღვდლისას“ ჭოლა ლომთათიძის ერთი უმშვენიერესი ნაწარმოებთაგანია. მასში კარგად მოჩანს ჭოლას მხატვრული ოსტატობა. ამ ღრმააზროვანი და მდიდარი შინაარსის ნაწარმოებებში კიდევ ერთხელ თვალნათლივ გამოჩნდა ჭ. ლომთათიძის კეთილშობილური მისწრაფებანი, სულიერი ინტერესები და მაღალი ჰუმანიზმი. დამთავრებული, კარგად შეკრული სიუჟეტის მქონე ეს ნაწარმოები ეანრული თვალსაზრისითაც სავსებით გარკვეულია და ნოველას წარმოადგენს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭოლას სიახლოვე შ. არაგვისპირელთან ყველაზე მეტად სწორედ ამ ნაწარმოებში მოჩანს. მაგრამ

არა იმიტომ, რომ აქ სასიყვარულო ინტრიგასთან გვაქვს საქმე, ან ცოლქმრული დაღატაკი ნაჩვენები, არამედ პერსონაჟთა ღრმა ფსიქოლოგიური დახასიათების გამო, მოქმედ პირთა „შიგნიდან“ გახსნისა და მოქმედებაში ჩვენების, მათი ცხოვრებისეულ სიტუაციებში ნათელყოფის გამო.

აღსანიშნავია, რომ თავისი შემოქმედების დასალიერზე ჭ. ლომთათიძე, წერის მანერით, თითქოს უფრო უახლოვდება იმ სტილს (ამ ცნების ფართე გაგებით), რითაც დაიწყო მისი ლიტერატურული მოღვაწეობა; ესაა სიუჟეტური თხრობა, მოვლენათა ობიექტური ჩვენებით, ავტორის „გამოუჩინლად“, ლირიკული წილსვლებისა და ჩანართების გარეშე (თუმცა თხრობა ხშირად პირველი პირით მიმდინარეობს და მთხრობელი იგივე ავტორია). ჟოლას ლირიკული ნიმუშებისაგან განსხვავებით ეს ეპიკური სტილი გამოირჩევა კომპოზიციური სისადავით, პერსონაჟთა ენობრივი დახასიათებით და მოქმედების მეტი დინამიურობით. ასეთია ეს პატარა ნოველაც, აღსავსე დიდი გრძნობით, კაცთმოყვარეობით და კეთილშობილური სწრაფვით.

უსწავლელი, გონებაშეზღუდული, მაგრამ ლამაზი და ხორციელი სწრაფვით აღსავსე ქალი, ირინე, ვიღაც ნოქარს უნდა გაჰყოლოდა ცოლად. მაგრამ ნოქარმა უფრო მდიდარი ქვრივი შეირთო და ირინე იძულებული გახდა მღვდელს მისთხოვებოდა. ავტორცმა ქალმა თავიდანვე შეიძაგა ქმარი და თვალი გარე-გარე გაუბრუნდა. ბოლოს, როგორც იქნა მონახა ტრფობის ობიექტი და ვლადიმერი (მთხრობელი) შეიღვარა. ჭ. ლომთათიძე შესანიშნავი ნიუანსებითა და მრავლისმთქმელი დეტალებით მეტყველად გვიჩვენებს ირინეს მზაკვრობასა და ოინბაზობას. ქალბ მეტად მოხერხებულად ატყუებს ქმარს, პატროსანსა და მიამიტ მღვდელს, ონოფრეს, და სინდისგარე-ხილი აშოლლანის ვნებიანობით ეძლევა ქმრისავე ამხანაგს.

ირინეს ავტორცობა, დაუფარავი ვულგარულობა და ურცხვი სქესობრივი ლტოლვა ბოლომდე შეუმჩნეველი რჩება ცოლისმოყვარული და მისთვის თავდადებული ქმარისათვის. თუმცა ონოფრე გრძნობს მისდამი ქალის გულგრილობას და ცდილობს მის ხელს არსებული ყველა საშუალებით გული მოუღბოს, თავი შეაყვაროს მეუღლეს, მაგრამ ვერაფერს გახდება. იგი მზადაა ანაფორაც კი გაიხადოს. მახლობელ-ნათესაენი დასთმოს და დღე-ღამ იშრომოს, თუ

ირინე ამას მოიწადინებს, მაგრამ ირინეს სავსებით აკმაყოფილებს ის რაც აქვს და ნაქურდალი სიყვარულითაც „იოლად მიდის“; თანაც არავითარ უხერხულობას არ გრძნობს.

ნაწარმოების ფინალი მეტად მოულოდნელია. ირინე დაორსულდება (არა ქმრისაგან, არამედ ვლადიმერისაგან) და მუცელს გადაჰყვება. ერთ დღეს, ცოლის სიკვდილით სასოწარკვეთილი ონოფრე ვლადიმერთან მივა; ჩვეულებისამებრ სახლში მიიპატიჟებს, გაუმასპინძლდება და, ვითომ სხვათა შორის, წერილების დასტას გადასცემს. სახლში დაბრუნებული ვლადიმერი დარწმუნდება, რომ ეს მისივე წერილებია ირინესადმი მიწერილი. წერილებს შორის მან იპოვნა ის ბინძური კარიკატურაც, რომელიც მან ონოფრეს დასაციინად დახატა და ირინეს მიაართვა. ცხადი ხდება, რომ ონოფრემ შეიტყო ირინესა და ვლადიმერის უგვანო საქციელი, თუმცაღა ცოლის სახელის შეუბღალლობისათვის ყოველივე გულში ჩაიკლა და მქენჯნავი საიდუმლო ბოლომდე შეინახა. მაგრამ ბოლმა მაინც დასძლევს პატიოსან ვაჟეკაცს და ონოფრე იმავე ღამეს თავს ჩამოიხრჩობს.

ამ ნოველაში ჰ. ლომთათიძე დაუნდობლად აშიშვლებს არა მარტო ზნედაცემულ ქალს, მეშხანური ბუნების ირინეს, რომელიც ურცხვად ქურდავს ქმარს და იმსხვერპლებს კიდევ მას, არამედ იმ მამაკაცსაც, ვინც მეგობრის ოჯახის წამბილწავად გვევლინება, ვინც ირინესთან ერთად ონოფრეს მკვლელი ხდება. აი, რა ცინიზმით მოგვითხრობს ვლადიმერი თავის დანაშაულებრივ კავშირზე ირინესთან: „ზედმიწევნით ზორციელი იყო ჩვენი სიყვარული, თუ სიყვარული იყო ეს, მაგრამ ეს სიყვარული მე სავსებით აკმაყოფილებდა... ერთხელაც რა არის, ერთხელაც არ დაფიქრებულვარ. იმის შესახებ, თუ რამდენად საკადრისი იყო ის, რასაც ვკადრულობდი...“

ავტორი ამხელს რა თავის „გმირს“, ამასთანავე გვიჩვენებს, რომ ვლადიმერი ირინეს სიკვდილის შემდეგ ჩახვდა კავშირის უგვანობას: „ვიცოდი, რომ ყოვლად ბინძური იყო ჩემი მდგომარეობა“ და საბოლოოდ ასეთი განაჩენი გამოაქვს თავისთავისთვისაც და ირინესთვისაც: „ერთი მითხარით — რად დასცინიან იმ ადამიანს, რომელსაც ატყუებენ. აბა, ის რა შუაშია, თუ მისი ცოლი და მისი მეგობარი უღირსი ადამიანები არიან? განა მე არ უნდა მცოდნოდა, რომ

თუ ვინმე იყო. დაცივნის ღირსი ამ ისტორიაში, ისე ჩვენ — მე და ირინე“.

თუ მწერალი, ერთის მხრივ, გვიძაგებს საზიზღარ გეტერას, ირინეს, (რომელიც თან ღალატობდა ქმარს და თან არწმუნებდა: — „მხოლოდ შენ მიყვარხარო“) და მის ურცხვ საყვარელს ვლადიმერს (რომელიც ისე თელავდა მეგობრის პიროვნებას და ადამიანობას, რომ ვერც კი ვრძნობდა ამას) — მეორე მხრივ, იგი გვაყვარებს, სიმპათიას გვაგრძნობინებს პატიოსანი, კეთილშობილური ონოფრესადმი, ვინც ასე რაინდულად შეხვდა მის თავზე დატრიალებულ უბედურებას და საფლავში წაიღო უღირსი, მაგრამ მაინც საყვარელი არსების ღალატი.

რა მიზანს ისახავდა ჯ. ლომთათიძე ამ ნოველაში? მას ისევე, როგორც შ. არაგვისპირელს სურს ხელი შეუწყოს ხალხის ზნეობრივ გაჯანსაღებას, საზოგადოების მორალურ ამაღლებას; მას სურს ამხილოს ცოლქმრული ღალატი, აჩვენოს მისი სისაძაგლე და უღირსობა, დააზღვიოს ადამიანები ამგვარი ცდუნებისა და ცოდვებისაგან. ჭოლა საგანგებო დებულებასაც კი აყენებს ზნეობრივი დანაშაულის შესახებ (თუმცა მეტად საეჭვოსა და საყოყმანოს), რათა გამაზვილოს ყურადღება საფრთხეზე, გვიჩვენოს ზნეობრივი დანაშაულის შემპარავი ხასიათი, მისი უჩინარი, მაცდუნებელი ბუნება და ამით მზადყოფნის, ბოროტებისადმი წინააღმდეგობის ინსტიქტები განავითაროს თავის მკითხველებში. „ცოდვა, დიდი ზნეობრივი დანაშაული — გვეუბნება თავის გასამართლებლად ნოველის მთავარი პერსონაჟი — ყოველთვის შეუმჩნეველად (sic!) ხდება ხოლმე, ვერც კი გაიგებ, როდის მოხდა და როგორ მოხდა ყველაფერი ის, რაც მოხდა... ასეთი მდგომარეობა შეიძლება ერთ წამს გაგრძელდეს, შეიძლება წლობითაც. თან შეიძლება ისიც, რომ ერთ საქციელში ადამიანი ზედმიწევნით უნამუსო იყოს და საერთოდ კი ის რიგიანი იყოს და სანდო...“

მაგრამ ნაწარმოების ფინალი სულ სხვას გვეუბნება: არ შეიძლება ყოველად უნამუსო ადამიანი — „საერთოდ კარგი იყოს“, საზოგადოებისათვის მისაღები და სასარგებლო აღმოჩნდეს, თუ ზნეობრივად არ გამოცვალა, კრიტიკულად არ გადახედა მთელ თავის არსებას და მორალური კომპრომისების გზით იარა.

ამრიგად, ჭოლა ამ ნაწარმოებშიც მაღალი საზოგადოებრივი

პოზიციებიდან იაზრებს ზნეობის საკითხებს და ბურჟუაზიული მო-
რალის დამდაღავად, მის მამხილებლად გვევლინება.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ჯ. ლომთათიძის ბოლოდროინდელი
ნაწარმოებები ავტორის დიდ მხატვრულ ოსტატობას მოწმობენ. ნო-
ველაშიც „შიში“ არა ერთი შესანიშნავად გამოკვეთილი მხატვრული
სახე და სიტუაცია გვხვდება. განსაკუთრებით, დასამახსოვრებელია
ონოფრე. ავტორი ამ ნაწარმოებშიაც ენობრივ დახასიათებას მიმარ-
თავს და, ამ მხრივ, შესანიშნავ ეფექტს აღწევს (ასეთია ონოფრეს-
თან საუბარი, ნარდის თამაშის ეპიზოდი და სხვ.): გარდა ამისა
„მღვდლისას“ გამოირჩევა რაღაც ნახევრად ფარული და ალბათ.
ამიტომ კიდევ უფრო თვალსაჩინო იუმორით. ეს იუმორი კარგად
ეხმარება ვლადიმერის (მთხრობელის) თვითმხილებას და მეტ სიღრ-
მეს, ფილოსოფიურ ჩაფიქრებულობას ჰმატებს ამ დიდად თვალსაჩი-
ნო ნაწარმოებს.

ჟოლა ლომთათიძის მოთხრობა „მარინე მონაზონი“ თავისი
იდეურ-თემატური მხარით, როგორღაც, განზე დგას ჟოლას მეორე
პერიოდის შემოქმედების მაგისტრალური გზიდან. თუ ამ პერიოდის
შემოქმედებაში ძირითად თემას წარმოადგენდა თვითმპყრობელური
რეჟიმისა და სოციალური უკუღმართობის მხილება, რეაქციის პარ-
პაშისა და ხალხის ჩაგვრის ჩვენება, ეროვნული პრობლემატიკა და
კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილით ნაკარნახევი თანამედრო-
ვეობის ყველაზე აქტუალური საკითხები, — „მარინე მონაზონი“,
რაღაც „საყოველთაო“ ჰუმანიზმით გატაცების კვალს ატარებს.
ჟოლას გარდაცვალებამდე წლინახევრით ადრე დაწერილი ეს ნაწარ-
მოები ჰარბი მგრძნობელობით გამოირჩევა და უაღრესად ალტრუის-
ტული ხასიათისაა. მასში ჯ. ლომთათიძის მებრძოლი ბუნება რო-
გორღაც შერბილებულ-მოთვინიერებული მოჩანს და ცხოვრების
ახლებურად გადაჭედვის იდეას, ახალ ყოფისათვის ბრძოლის იდეას,
თითქოს, მორჩილი, პასიური ჰუმანურობა ენაცვლება.

ჟოლა ლომთათიძის წინმსწრაფი და შეურიგებელი ბუნებისათ-
ვის. შეუფერებლად მოჩანს ნაწარმოების დასასრულს გამოთქმული
აზრი: „აღამიანები ყ ე ე ლ ა ნ ი ძმები ვართ, ერთ მზეს ქვეშ და-
ბადებულნი და გაზრდილნი“. მართალია, ამ სიტყვებში ავტორის
დიდი ჰუმანიზმი მოჩანს, მაგრამ ჟოლას ჰუმანიზმი იმით განსხვავ-
დება ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში მანამდე, გამოვლინებუ-

ლისაგან, რომ იგი პროლეტარული იდეოლოგიის ასპექტშია გადამტყდარი: მანამდე ჭოლა „ყველა ადამიანის ადამიანობას“ კი არ ქადაგებდა, არამედ მხოლოდ იმითი, ვინც სხვისი შრომით არ ცხოვრობს, სხვას არ „ჩაგრაეს, „სხვისი სისხლით არ იკვებება, როგორც მყრალი ბაღლინჯო“ და ვინც აქტიურად იბრძვის ხალხის უკეთეს მერმისისათვის. „მარინე მონაზონის“ ჰუმანიზმი კი უფრო „ფართოა“. იგი მარინესთანა პასიურ პიროვნებებსაც აქცევს დადებით გმირთა რკალში და ამით საღდაც ტოვებს შესაძლებლობას ყველა ადამიანის ძმობისა და ერთობის ქადაგებისათვის.

ეტყობა მძიმე წლებმა ქვეცნობიერად, რამდენადმე, მაინც იმოქმედეს ჭოლა ლომთათიძეზე და იგი საჭიროზე მეტად მგრძობიარე გახდა. ამით უნდა ავხსნათ ის სანტიმენტალური ელემენტიც, რომელიც ამ ნაწარმოებში შეიმჩნევა (ასეთია, მაგალითად, მარინეს პატარა ბიჭუნას, დედისთვალის, გარდაცვალების და შემდეგ მისი „გამოცხადების“ ეპიზოდები).

მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, ჭ. ლომთათიძის „მარინე მონაზონი“ მაღალმხატვრული ნაწარმოებია. შესანიშნავადაა გამოკვეთილი თვით მარინეს სახე. მკითხველს ცოცხლად წარმოუდგება ლამაზი, მტკიცე, კეთილშობილური ბუნების ქართველი ქალი, რომლის პირადი მწარე ხვედრი არის ამავე დროს, ხვედრი ქალისა ექსპლოატატორულ წესწყობილებების პირობებში, როცა პრივილეგირებული კლასის წარმომადგენელი უწყალოდ თელავს ქალის ნამუსს, მის მეობას. ყოველივე ეს მომავალი უბედურების სათავე ხდება.

მარინე დამოუკიდებელი ხასიათის პატრონია. როცა მოკლავენ ალფესი ელიაძეს, რომელმაც შეაცდინა ქალიშვილი, ხოლო შემდეგ უსირცხვილოდ მიატოვა; მარინე ყურადღებას არ მიაქცევს თანასოფლელთა მითქმა-მოთქმას და ქმარსავით გამოიგლოვებს მას. კიდევ უფრო სრულად იკვეთება მარინეს ხასიათი მას შემდეგ, რაც უკანონო შვილისადმი მისი მზრუნველობისა და სიყვარულის ამბავს ვეცნობით.

ჭ. ლომთათიძემ დიდი ექსპრესიითა და მღელვარებით დაგვიხატა მარინეს ერთადერთი სიხარულის, პატარა დედისთვალის, სიკვდილი და შემდეგ გულმოკლული დედამისის გადაწყვეტილება მონაზონად აღკვეცისა. ხალხის სამსახურში, გაჭირვებულთა დახმ-

რებაში ჰპოვებს მონაზონი მარინე თავდავიწყებას, ცხოვრების აზრს და ერთადერთ მიზანს თავისი უბედური ცხოვრებისა.

მაგრამ მწერალი ერთნაირი სიყვარულით როდი ეპყრობა ყველა პერსონაჟს; სიძულვილითაა გამჟვალული ავტორის დამოკიდებულება თაღლითი ბერისადმი, რომელიც გაიძვერული ხერხით დასტყუებს უკანასკნელ ხუმანეთიანს მარინე მონაზონს. ამ ნაწარმოებში კიდევ ერთხელ იჩინა თავი ხალხურმა იუმორმა, ქართველი ხალხის (კერძოდ გურულების) სალაპარაკო ენის ჩინებულმა ცოდნამ, რაც პერსონაჟთა ენობრივ დახასიათებაში გამოვლინდა.

„მარინე მონაზონში“ კიდევ ორი გარემოება იპყრობს ჩვენს ყურადღებას, ესაა ჟ. ლომთათიძის დამოკიდებულება იმჟამინდელი ლიტერატურული პროცესისადმი, კერძოდ, ქართულ ლიტერატურაში სასიყვარულო-სამიჯნურო თემის ხვედრითი წონის ზრდისადმი და იმ ვულგარულ-მატერიალისტური შეხედულებებისადმი, რომელთაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უკანასკნელ მიღწევათა დახმარებით ადამიანი უბრალო ქიმიურ თუ ელექტრონულ პროცესებამდე დაჰყავდათ.

„მარინე მონაზონში“ ასეთ საგულისხმო სიტყვებს ვპოულობთ: „ბიჭმა გოგოს აკოცა, გოგომ ბიჭს — მოცლილი კაცის მეტი დეიწყებს ვინმე ამაზე წერას? რაც ქვეყანა გაჩენილა, მას მერე კოცნიან ერთმანეთს. ყველა სულიერმა იცის კოცნა, სკვინჩა რა აბდალე ჩიტია, და იგიც კი იკოცნება გაზაფხულზე. და გაზეთებმა ამაზეც უნდა წერონ?“.

ჰოლას ერთ-ერთი პერსონაჟის მიერ თქმული ეს სიტყვები, უნებლიეთ გვაგონებენ ჰოლას წერილს ი. გრიშაშვილისადმი, სადაც მან, მართალია, ცალმხრივად (და ი: გრიშაშვილისადმი არც თუ სავსებით სამართლიანად), მაგრამ ქართული მწერლობის იმჟამინდელი მდგომარეობის თვალსაზრისით, მეტად დროულად გაილაშქრა ქართულ მწერლობაში სასიყვარულო თემის მეტისმეტი მოძალების წინააღმდეგ. ვფიქრობთ, აქაც ამ ტენდენციის ერთგვარ გამოვლინებასთან გვაქვს საქმე.

ჰოლა არც იმის მომხრეა, რომ ადამიანი მარტო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ობიექტად ვაქციოთ. მას ადრეც არა ერთხელ აღუნიშნავს კაცის „გულის“ (ე. ი. ადამიანური განცდის, გონების, გარემოსადმი-ესთეტიკური დამოკიდებულების და საერთოდ სული-

ერი მომენტის) მნიშვნელობა საზოგადოებრივი პროგრესისათვის. ამიტომ იგი მოხუცი დიდიდედის პირით დასცინის იმათ, ვინც ნებსით თუ უნებლად, მეცნიერების ახალ მონაცემებს „ადამიანურობის“ საწინააღმდეგოდ იყენებს. მარინე მონაზონის დიდი ჰუმანურობისა და კაცთმოყვარეობის დახასიათების შემდეგ დიდიდედა მეტად რეზონულ შეკითხვას აძლევს შვილიშვილს: „კიდევ გამოვა და იტყვის შენი მეგობარი, ბათომელი მუშა ილაკრიე, რომ კაცის სული ელექტრიჩესტვოა, ჰაერია და მეტი არაფერიო?“.

ჰოლას ეს მოთხრობაც სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის სულის ქება, ადამიანთა კეთილშობილური სწრაფვის, ჰუმანურობის დიდი ინსტინქტის და მაღალი სულიერი თვისებების ხოტბა, ადამიანისავე „ბუნების გალამაზებისა“ და სრულყოფის მიზნით.



ჰ. ლომთათიძის შემოქმედება გარკვეული ეტაპია რევოლუციონური ქართული რეალისტური ლიტერატურის განვითარებაში. ჰოლა ქართული ლირიკული პროზის ერთ-ერთ მესაძირკველად და ამჟანრის გამოჩენილ ოსტატად გვევლინება.

ჰოლა ლომთათიძის მიზანდასახული და მებრძოლი იდეურობით აღსავსე მხატვრული პროზა დაუზოგავად ამხელდა უკუღმართ სოციალურ სინამდვილეს, კლასობრივ ჩაგვრას, ეროვნულ დისკრიმინაციას და დიდი ექსპრესიით გვისურათებდა მანკიერი პოლიტიკური რეჟიმის საშინელებას.

ჰ. ლომთათიძე — ეს უშიშარი რევოლუციონერი და სახალხო თავისუფლებისათვის წამებული მებრძოლი — მთელს ქართულ მწერლობაში ერთი ყველაზე თამამი, უდრეკი და თანამიმდევრული პროტესტანტია, რომელიც ყველაზე მოწინავე მსოფლმხედველობრივი პოზიციებიდან მართლად გვიჩვენებდა ხალხის ჩაგრულ ყოფას, ბურჟუაზიული ინტელიგენციის რენეგატობას, ლიბერალური წრეების აშკარა გამცემლობას და რეაქციის პერიოდის საშინელებას.

ჰ. ლომთათიძე პირველი მარქსისტი მწერალია ეროვნული ლიტერატურის ისტორიაში. ამასთან ერთად, ჰოლა ლომთათიძე რომანტიკული გზნებით ასახავდა ახალი ტიპის, ახალი ადამიანის გაჩენას ქართულ სინამდვილეში და შთაგონებულად გვიხატავდა სახალხო საქმისათვის მებრძოლ რევოლუციონერს, მის გმირობასა და თავდა-

დებას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ რევოლუციური რომანტიზ-
მი XIX ს. დამლევისა და XX ს. დასაწყისის ქართულ ლიტერატუ-
რაში ყველაზე სრულად და ორგანულად ჰოლა ლომთათიძის მხატვ-
რულ შემოქმედებაში გამოვლინდა.

ჰოლა ლომთათიძე — თავისი შემოქმედების მაღალი იდეურ-პო-
ლიტიკური მიზანდასახულობით, თემატიკური ინტერესით, მებრძოლი
ბუნებით, ჰუმანიტი ხალხურობით, უკეთესი მომავლის ოპტიმისტუ-
რი რწმენით — სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის უახ-
ლოეს წინამორბედად გვევლინება.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	3
2. ლომთათიძის ცხოვრება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა	13
3. ლომთათიძის მხატვრული შემოქმედება	<u>175</u>
1. კოლა ლომთათიძის შემოქმედების პირველი პერიოდი (1901 — 1904 წწ.)	33. 184
2. კოლა ლომთათიძის შემოქმედების მეორე პერიოდი (1907 — 1915 წწ.)	33. 219

8 Ⴀ 1
399.962.1.092 [ლომთათიძე]
U 784

რედაქტორი ნ. ხომერიკი
მხატვარი ირ. ქანაშვილი
ტექნორედაქტორი თ. მამფორია
კორექტორი ვ. თათვიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/IV-66 წ.
ქაღალდის ზომა 84x108¹/₃₂,
ნაბეჭდი თაბახი 22,25
საარტიცხო-საგამომცემლო თაბახი 19,77

უე 00244. ტირაჟი 2 000. შუკე. № 4144.

ფაშბსდაშ მან. 23 ქაჭ.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Поллиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, Ленина № 14.